

ქიეზანი

საქართველოს
არქეოლოგიაში



№21

2013



საქართველოს ეროვნული მუზეუმი
Georgian National Museum

ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი
OTAR LORDKIPANIDZE CENTRE OF ARCHAEOLOGY

ძ ი ე ბ ა ნ ი

საქართველოს არქეოლოგიაში

№ 21

D Z I E B A N I

Journal of the Georgian Archaeology

თბილისი 2013 Tbilisi

UDC (უბკ) 902(479.22)
ძ-531

რედაქცია: **გ. კვირკველია** (რედაქტორი)
გ. გამყრელიძე
დ. კაჭარავა
ზ. მახარაძე
მ. წერეთელი
მ. ჩარკვიანი (მდივანი)

Editors
of the volume: **G. Kvirkvelia** (editor-in-chief)
M. Charkviani
G. Gamkrelidze
D. Kacharava
Z. Makharadze
M. Tsereteli

ISSN 1512-0589

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2013
Georgian National Museum, 2013

სარჩევი

საწველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება FIELD INVESTIGATIONS

თენგიზ მეშველიანი, რონ პინჰასი, ანა ბელფერ-კოენი, ზინოვი მაცკევიჩი,

ნინო ჯაყელი

საწურბლიას მღვიმეში 2012 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში 7

T. Meshveliani, R. Pinhasi, A. Belfer-Cohen, Z. Matskevich, N. Jakeli

THE RESULTS OF THE ARCHAEOLOGICAL EXPEDITION IN SATSURBLIA CAVE IN 2012 12

გოდერძი ნარიმანიშვილი, ელისო ყვავაძე, ლიანა ბითაძე, ბიძინა მურვანიძე,

რევაზ დავლიანიძე, გელა გიუნაშვილი, ნინო შანშაშვილი, მარინე კვაჭაძე,

არქეოლოგიური გათხრები წინწყაროში 14

G. Narimanishvili, E. Kvavadze, L. Bitadze, B. Murvanidze, R. Davlianidze, G. Giunashvili, Nino Shanshashvili, M.

Qvavadze, †O. Bendukidze

ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS IN TSINTSQARO 21

რევაზ პაპუაშვილი, ლერი ჯიბლაძე

არქეოლოგიური სამუშაოები ხობის რაიონში 33

R. Papuashvili, L. Jibladze

ARCHAEOLOGICAL INVESTIGATION IN KHOBI REGION 35

DESCRIPTION OF THE PLATES

დავით ლომიტაშვილი, ზურაბ თვალჭრელიძე, ნინო ქებულაძე, ნიკოლოზ მურღულია, მარინე ბოკერია, ანა

თვარაძე, მერი ზამთარაძე, თამილა კაპანაძე, იან ქოლვინი, პოლ ევერილი, ბენ ნილი, ჯეინ თიმბი, ადამ

სლეიტერი, ლორა ჯეიმსი

ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური ექსპედიციის 2010 წლის სეზონის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში 44

D. Lomitashvili, Z. Tvalchrelidze, N. Kebuladze, N. Murgulia, M. Bokeria, A. Tvaradze, M. Zamtaradze, T. Kapanadze, I. Colvin, P.

Everill, B. Neil, J. Timby, A. Slater, L. James

REPORT ON EXCAVATION IN 2010 BY ANGLO-GEORGIAN EXPEDITION AT NOKALAKEVI 54

დავით მინდორაშვილი

ღართისკარში 2011 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები 64

D. MINDORASHVILI	
THE RESULTS OF EXCAVATIONS AT GARTISKARI IN 2011	68
D. MINDORASHVILI	
GLDANI RIQIANI CEMETERY	77
დავით მინდორაშვილი	
ადრეული შუასაუკუნეების სამარხები ბეთანიიდან	81
D. MINDORASHVILI	
EARLY MEDIEVAL GRAVES FROM BETHANIA	84
დავით მინდორაშვილი	
დაღეთის სამაროვანი.....	86
D. Mindorashvili	
DAGHETI SEMETERY.....	93

სტატიები

ARTICLES

† ოლეგ ბენდუქიძე	
სამხრეთ კავკასიაში მსხვილფეხა რქოსანი საქონლის წარმოშობის შესახებ.....	100
Oleg Bendukidze	
ON THE ORIGIN OF THE SOUTH CAUCASIAN CATTLE	109
ნინო შანშაშვილი	
მტკვარ-არაქსის კულტურის მოხატული კერამიკა სამხრეთ კავკასიიდან.....	110
N. Shanshashvili	
PAINTED POTTERY OF THE KURA-ARAXES CULTURE FROM THE SOUTH CAUCASUS	116
DESCRIPTION OF THE PLATES	119
ალექსანდრე ორჯონიკიძე	
კომბინირებული იარაღი სოფ. ჟებოტიდან	129
A. Orjonikidze	
COMBINED TOOL FROM THE VILLAGE ZHEBOTI	132
ზებედე შატბერაშვილი, ვახტანგ შატბერაშვილი	
ბედენური ყორღანები დურნუკის მიდამოებიდან.....	134
Z. Shatberashvili, V. Shatberashvili	
KURGANS OF BEDENI CULTURE FROM DURNUKI.	136

გოდერძი ნარიმანიშვილი, ნინო შანშაშვილი, დიმიტრი ნარიმანიშვილი	
სამხრეთ კავკასიის მეგალითური ძეგლების ერთი ჯგუფის შესწავლისათვის	140
G. Narimnishvili, N. Shanshashvili, D. Narimanishvili	
STUDY OF ONE GROUP OF MEGALITHS FROM SOUTH CAUCASUS	149
ალექსანდრე ორჯონიკიძე, თინა აბულაშვილი, გელა გობეჯიშვილი, თინა კახელიშვილი, გურამ ჩიქოვანი, თინა ჭანიშვილი, მანანა ხუციშვილი, ხათუნა ჯორბენაძე.	
ცხინვალის არქეოლოგიური ძეგლები.....	167
A. Orjonikidze, T. Abulashvili, G. Gobejishvili, T. Kakhelishvili, G. Chikovani, T. Chanishvili, M. Khutsishvili, Kh. Jorbenadze.	
ARCHAEOLOGICAL SITES OF TSKHINVALI	172
ქეთევან რამიშვილი	
ძალის ქანდაკებები კოლხური კულტურის ძეგლებზე	191
K. RAMISHVILI	
THE STATUETTES OF DOGS ON THE COLCHIAN ARTIFACTS.....	200
ქეთევან რამიშვილი, ნინო სულავა	
კოლხურ-კობანურ ბრინჯაოს ნანარმზე „ფანტასტიკური“ ცხოველის გამოსახულების სტილური ანალიზი ქრონოლოგიურ ჭრილში	208
K. RAMISHVILI, N. SULAVA	
THE STYLISTICAL AND CHRONOLOGICAL ANALYSIS OF “FANCY” ANIMALS DEPICTED ON THE COLCHIAN- KOBAN BRONZE ARTIFACTS	214
ნინო ახვლედიანი, ირინე სულთანისხვილი	
ე.ნ. ურარტული მახვილების შესახებ	219
N. Akhvlediani, I. Sultanishvili	
ABOUT THE SO-CALLED URARTIAN SWORDS	226
ლერი ჯიბლაძე, რევაზ კვირკვაია	
საყურადღებო არტეფაქტები ცენტრალური კოლხეთიდან	241
L. Jibladze, R. Kvirkaia	
REMARKABLE ARTIFACTS FROM THE CENTRAL COLCHIS	243
ზურაბ ბრაგვაძე	
იბერია – კოლხეთის ზოგიერთი ისტორიულ-არქეოლოგიური პრობლემისათვის	248
Zurab Bragvadze	
SOME HISTORICAL-ARCHAEOLOGICAL PROBLEMS OF IBERIA-COLCHIS.....	255

თინათინ ჭანიშვილი

თიხის ჭურჭლის ერთი სახეობა (მათარა) საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან257

T. Tchanishvili

ONE KIND OF POTTERY (FLASK) FROM ARCHAEOLOGICAL SITES OF GEORGIA260

ნინო კალანდაძე, ვახტანგ ხოშტარია, მარიამ მჭედლიშვილი, ნინო თავართქილაძე, თეიმურაზ ფარჯანაძე, ემზარ ლომთაძე

ბრინჯაოს გრავერებული სარტყლის რესტავრაცია და კვლევა.....263

N.Kalandadze, M. Mtchedlishvili, V. Khoshtaria, E.Lomtadze, N.Tavartkiladze, T. Farjanadze.

RESTORATION AND RESEARCH OF ENGRAVED BRONZE BELT267

რამინ რამიშვილი

აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთსა და მთაში ქრისტიანობის გავრცელების თავისებურებანი269

R. RAMISHVILI

SOME PECULIARITIES OF THE SPREADING OF CHRISTIANITY IN HIGHLANDS AND FOOTHILLS OF EAST GEORGIA279

რამინ რამიშვილი – საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიის გამოჩენილი მკვლევარი (1928-2012)280

კახი წერეთელი.....283

ოლეგ ბენდუქიძე.....284

ცისანა ჩიკოიძე.....285


საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება FIELD INVESTIGATIONS

თენგიზ მეშველიანი, რონ პინჰასი, ანა ბელფერ-კოენი, ზინოვი მაცკევიჩი,
ნინო ჯაყელი

სანურბლიას მღვიმეში 2012 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში

ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების, რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის „მონადირე-შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა“ (გრანტი №014-08)

ფარგლებში სანურბლიას მღვიმეში 2008-2010 წწ. მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამუშაოები [მეშველიანი და სხვ. 2011; Мешвелиანი 2013; ვეკუა და სხვ. 2011; ყვავაძე და სხვ. 2011].



სურ. 1 – სანურბლიას მღვიმის გეგმა



სურ. 2

2012 წელს საწურბლიას მღვიმეში (GPS კოორდინატები X-371444, Y-469736), რომელიც მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, ნყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავის ტერიტორიაზე, 25 მაისიდან 20 ივნისამდე, გაგრძელდა არქეოლოგიური სამუშაოები საერთაშორისო საქართველო-ირლანდია-ისრაელის პროექტის „სამხრეთ კავკასიის შუა და ზედაპალეოლითური ძეგლების დათარიღებისათვის“ ფარგლებში (არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობა №09/12/582, ექსპედიციის ხელმძღვანელი თ. მეშველიანი). საანგარიშო წელს გათხრები ძირითად ორ უბანზე ვანარმოეთ; პირველი მღვიმის შესასვლელთან (კვადრატები S-T₂₀₋₂₁₋₂₂₋₂₃) და მეორე – მის სიღრმეში (კვადრატები U-V-W₄₋₅₋₆).



სურ. 3

მღვიმის შიდა ნაწილში გათხრების მიზანი იყო წინა წლებში (კვადრატები U-V-W₄₋₅₋₆) გათხრილი ქრილის გაფართოება (იხ. სურ. 1, გეგმა), იქიდან დიდი ლოდების ამოღება, რაც ქრილში დაღრმავების საშუალებას მოგვცემდა. ძირითადად სტრატეგრაფიული ქრილის ზედა ნაწილის გათხრა ვანარმოეთ, რამაც გამოავლინა

ენეოლითური პერიოდის (დაახლოებით V-IV ათასწლეულის) მასალა. V-W₄ კვადრატში (სურ. 2), მღვიმის დასავლეთ კედლის პარალელურად, გამოვლენილია დიდი და გრძელი ქვების კონცენტრაცია (ქვების გროვა ან ხელოვნურად შექმნილი საყრდენი კედელი). შეიძლება ამ „კედელმა“ მღვიმის მეორე დარბაზი ჩაკეტა, რომელიც ახლა სედიმენტითაა დამარხული. მღვიმის დასავლეთ კედლის დანალექი ქანები და მასალა დაცურებულია ფერდზე. ესაა სხვადასხვა ზომის ბრექჩირებული ქვების კონგლომერატი, რომელიც შეიცავს კულტურულ ნაშთებს, როგორცაა კერამიკის ნატეხები და ქვის მასალა. მათ შორის აღსანიშნავია ტიპური ენეოლითური ხანის წერაქვი და დიდი ზომის ცხოველთა ძვლები. V₄ კვადრატში -5.50 სმ-ზე, გაითხარა თიხნარი ფენა, რომელიც უფრო ადრეა ჩამოყალიბებული, ვიდრე ფერდი ან კედლის ჩამოყალიბება/კონსტრუქცია და რომელიც შეიცავს ზედაპალეოლითურ მასალას.



სურ. 4


მღვიმის მეორე უბანზე ორი ახალი კვადრატი გაიხსნა, T₂₀-T₂₁ (იხ. სურ. 1, გეგმა) და გაითხარა 2008-2010 წწ. გათხრილ T₂₂₋₂₃-S₂₀₋₂₃ კვადრატების სიღრმემდე (-5.30 მ.) ამ კვადრატებში ჯერჯერობით ფენათა სტრატეგრაფია ასეთია:

ფენა I – ფხვიერი თიხნარი, დიდი რაოდენობით შეიცავს ქვებს, დაახლოებით 70 სმ. ფენა შეიცავს ნეოლოთურ, ენეოლითურ, შუასაუკუნეების და თანამედროვე პერიოდის არეულ მასალას.

ფენა II – ლითოლოგიურად ესაა მუქი ფერის ქვიშიანი თიხნარი, რომელშიც დაფიქსირდა სულ მცირე 4 საცხოვრებელი იატაკი (მოყვითალო შლამიანი თიხნარი, დამწვარი და დატყეპნილი ზედაპირი). ყველგან აღმოჩნდა „კერა“, რიყის ქვებისაგან შექმნილი მრგვალი ფორმის კონსტრუქცია ნახშირის დიდი რაოდენობით. ფენა შეიცავს ზედაპალეოლითურ მასალას, აღსანიშნავია დამწვარი ძვლების და კაჟის დიდი რაოდენობა. ფენის სიმძლავრე დაახლოებით 80 სმ-ია (სურ. 3-4)

ფაუნისტური მასალას რაც შეეხება, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მისი კარგი შენახულობა. ჩანს, რომ ძვლების უმეტესი ნაწილი ადამიანის მიერაა მოხმარებული და წარმოდგენილია ფრაგმენტების სახით. ძვლებზე აღინიშნება ნაკანრები და ასევე დაზიანებები, რომელიც ძვლის ტვინის ამოღებასთანაა დაკავშირებული. დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ძვლებს ადამიანი იარაღის გასაკეთებლადაც ხმარობდა. თითქმის ყველა ძვალი ნანადირევ ცხოველს ეკუთვნის და მონადირეების მიერაა მოტანილია მღვიმეში. ძირითადად ესაა ჩლიქოსანი ცხოველები, როგორცაა შველი, ირემი და ტახი. ტახების უმრავლესობა დიდი ზომისაა და შესაბამისად მასზე ნადირობა საკმაოდ საშიშია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საწურბლიას ბინადარი გამოცდილი მონადირე იყო. ფაუნისტურ მასალაში ასევე ბევრია დიდი ბოვიდები, როგორცაა დომბა და ბიზონი. შეიძლება ვივარაუდოთ რომ საწურბლიას ბინადრებს დიდი რაოდენობის ხორცის მოპოვება შეეძლოთ, რაც იმის დასტურია, რომ მღვიმეში ბევრი ადამიანი ცხოვრობდა. საინტერესოა, რომ ფაუნისტურ მასალაში დათვის და მგლის გარდა, პატარა მტაცებელი ცხოველის ძვლოვანი მასალაცაა აღმოჩენილი. ასეთი ფაუნა ტყიანი ლანდშაფტისათვისაა დამახასიათებელი რაც დიდ მსგავსებას იჩენს კოტიას კლდის მღვიმის ფაუნისტურ მასალასთან [Bar-Oz et al 2009; Bar-Oz et al 2007]. ისევე როგორც კოტიას კლდის მღვიმეში, საწურბლიას ფაუნისტურ მასალაში ნანახია თახვი, რაც საინტერესო ფაქტია და მიუთითებს, რომ მონადირეები პატარა ცხოველებზეც ნადირობდნენ. ფაუნისტურ მასალაში, განსაკუთრებით ჩლიქოსნების ძვლებზე, კარგად ჩანს ადამიანის მოქმედების

კვალი, გაპობა-გატყავება, დამწვარი ძვალი. ცხოველთა სახეობის და ძვლების სიმრავლე მიუთითებს თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნადირობას ადამიანის არსებობისათვის. ასევე ცხადყოფს, რომ საწურბლიას მონადირეებს ათვისებული ჰქონდათ ამ რეგიონის განსხვავებული ეკოლოგიური ზონები.




სურ. 5

ხელოვნების მცირე ფორმები წარმოდგენილია ქვაზე, ნიჟარაზე და ცხოველის კბილზე ნაკეთები საკიდებით და მძივებით (სურ. 5). 26 ცალი მძივი დამზადებულია *Theodoxu pallsi*-ზე, ერთი ორსადგულიან მოლუსკზე – *Cardium sp.*-ზე [დავითაშვილი, 1985, გვ.130] (II ფენა კვ. S_{22a}). ხოლო ერთი საკიდი, რომელიც დამუშავების დროს გატეხილა ორად, თავფეხიან მოლუსკზე, *Belemnites sp.*-ზე [დავითაშვილი, 1985, გვ.220] (II ფენა, კვ. S_{21b+d} და S_{22c+d'} საკიდის ორივე ნაწილი ერთ სიღრმეზე, – 520-525 სმ-ზეა ნაპოვნი). ორი ცალი ქვის საკიდა, ერთი სილისციტის, სარდიონის, სამწუხაროდ R₁₇ კვადრატის გასუფთავებისას აღმოჩნდა ზედაპირზე და მეორე, ქვიშაქვის I ფენიდან. II ფენაში T_{23d} კვადრატში ნანახია მცირე ზომის ქვიშაქვა კალციტის ძარღვებით, მისი ლამაზი და უცნაური ფორმის გამო, ის ადამიანს მღვიმეში მოუტანია. ცხოველის კბილზე დამზადებული

საკიდი (II ფენა, კვ. S_{23d}) არაა გახვრეტილი, მაგრამ გარშემო შემოუყვება ღრმა ნაჭდევი, რომელზედაც იკიდებოდა ეს ამულეტი. ასეთი ღარიანი საკიდი ნანახია ძუძუანას მღვიმეშიც [Bar-Yosef et al. 2011, fig. 6 (13)].

რაც შეეხება ძვლოვან მასალას ნელს ნანახია 6 ცალი დამუშავებული ირმის რქა, შესაძლოა მინის საჩიჩქნად გამოყენებული. 4 ცალი ნემსი, ამათგან 3 მხოლოდ წვერია შერჩენილი, ხოლო მეოთხე თითქმის სრულია, დაზიანებულია მხოლოდ ყუნწი. 9 ცალი სხვადასხვა ფორმის სახვრეტი, მათგან 3 ცალი მხოლოდ წვერი, დანარჩენი სრული სახითაა წარმოდგენილი (სურ. 6).



სურ. 6

ქვის მასალის შესწავლის და მისი ტიპოლოგიიდან გამომდინარე (ცხრილი 1-2), წინასწარულად შეიძლება ვთქვათ (T_{21,22,23} და S_{20,21,22,23} კვადრატების მასალის საფუძველზე), რომ ესაა ზედაპალეოლითის ფინალური ფაზა, რომელიც მსგავსია ძუძუანის მღვიმის B ფენის [Bar-Osef O. et. all 2011]. თუმცა ქვის მასალაში ნანახი დამუშავებულ დარტყმის მოედნიანი მიკროლამელა (დაახლოებით 30 ც.), სეგმენტი (2 ც.) და ტრაპეცია (20 ც.), ასევე მიკრო საჭრისების ტექნიკის გამოჩენა გვაფიქრებინებს (ცხრილი 3-4), რომ ფენა II შეიძლება გვიანზედაპალეოლითურ-მეზოლითური ხანის იყოს. მუცლის მხრიდან დარტყმის მოედნის შესწორება მიკროლამელებზე დამახასიათებელი ელემენტია მეზოლითური ხანის ძეგლებისათვის [გაბუნია 1976; გაბუნია

2002; წერეთელი 1978]. ახალი თარიღების სერია და მასალის შემდგომი შესწავლა დაგეგმარება გავიგოთ, II ფენა მეზოლითური ხანისაა თუ საქმე გვაქვს კულტურის ლოკალურ ვარიანტთან.

მღვიმეში საცხოვრებელი იატაკების აღმოჩენა იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, რომ შევისწავლოთ თანამედროვე ადამიანის მიერ მღვიმის მუდმივი და ინტენსიური ათვისება, მისი ქცევა და აღვადგინოთ ის გარემოპირობები, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება საწურბლიას ბინადარს.

ცხრილი 1

მასალის ტიპოლოგიური სია

დასახელება	რაოდენობა	%
პირველადი ანატკეცი	151	
პირველადი ლამელა	19	0.
პირველადი სხვა	1	0.
ანატკეცი	2145	14
ლამელა	608	4.
მიკროლამელა	1656	11
სამწახნაგა	1	0.
განივი	2	0.
ნდა ¹ სხვა	198	1.
სასაჭრისე	96	0.
მსგ ²	276	3 0.
ანამტვრევი	276	1.
ქერცლისებური	8812	59
ნუკლეუსი	6	0.
იარალი	762	5.
სულ	14736	1.

ცხრილი 2

ნუკლეუსის ტიპები

ტიპი	რაოდენობა
ერთფუძიანი	1
ორფუძიანი	3
ამორფული	4
ფრაგმენტი	1
სხვა	1
სულ	6

ცხრილი 3

იარაღის ტიპები

იარაღის ტიპი	რაოდენობა	%
მიკროგრავეტები	26	3.41
დაბლაგვებული მიკროლამელა	312	40.94
ბიპოლარული დაბლაგვებული მიკროლამელა	47	6.17
საჭრისი	17	2.23
საფხეკი	102	13.39
გეომეტრიული ფორმის	22	2.89
სხვა	236	30.97
სულ	762	100

ცხრილი 4

ობსიდიანის რაოდენობა მასალაში

ობსიდიანი	რაოდენობა
ანატკეცი	5
ლამელა	2
მიკროლამელა	7
ნდა	1
ანამტვრევი	2
ქერცლისებური	32
სულ	49
მასალის საერთო რაოდენობა	0.30 %

THE RESULTS OF THE ARCHAEOLOGICAL EXPEDITION IN SATSUBLIA CAVE IN 2012

Summary

In 2012 the international Georgian-Ireland-Israel expedition took place in Satsurbliia cave (West Georgia) where two main areas were excavated squares S-T₂₀₋₂₁₋₂₂₋₂₃ near the entrance of the cave and second in the rear part of the cave squares T-U-V-W₃₋₄₋₅. In the first area in the layer II was found *in situ* yellow burnt trampled 4 surfaces "living floors" with circular concentrations of stones "hearths" which yielded a high density of finds including macro and micro fauna, wood charcoal, lithics, bone tools, perforated shells, beads and pendants. Presently we are still awaiting the results of the C14 analyses. Hence the only dating possible for the excavated levels at Satsurbliia is relative chronology based on comparative techno-typological criteria. Accordingly, we may assign the archaeological material from layer II to the same chronological phase as that of Layer B (final Upper Paleolithic) in Dzudzuana cave. Still some of the retrieved lithic material (i.e., bladelets with basal treatment and modification; some geometric microliths - lunates and rectangles) are typical of local Mesolithic assemblages of Georgia and thus it may be taken to indicate that layer II in Satsurbliia represents a later stage of the final Upper Palaeolithic, possessing already some markers of the Mesolithic cultures to come. The layers of living floors provide a unique opportunity to study a permanent and intensive use of the site by modern humans in its broader behavioral, ecological and environmental context.

ლიტერატურა

- გაბუნია მ., 1976: თრიალეთის მეზოლითური კულტურა. თბილისი.
- გაბუნია მ., 2002: ჯავახეთის მეზოლითური კულტურა (სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის რეგიონი). – ჯავახეთი I, 136-165. ახალციხე
- დავითაშვილი ლ. 1985: პალეონტოლოგიის მოკლე კურსი. I ნაწილი, თბილისი .
- ვეკუა ა., ბენდუქიძე ო., მეშველიანი თ., ჯაყელი ნ., კალანდაძე თ., ვანიშვილი ნ. 2011: სანურბლიას მღვიმის ფრინველები. – სემმ, საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული ხანა, № 3, 65-74.
- მეშველიანი თ., ვეკუა ა., რუხიშვილი ნ., ყვავაძე ე., ჩაგელიშვილი რ., ჯაყელი ნ. 2011: სახელმწიფო გრანტის "მონადირე-შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა საქართველოში" ფარგლებში 2008-2009 წწ. ჩატარებული საველე არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. ძიებანი, № 20, 9-27.
- ყვავაძე ე., მეშველიანი თ., ჯაყელი ნ., მარტყოფიშვილი ი. 2011: სანურბლიას მღვიმეში 2010 წელს მოპოვებული მასალის პალინოლოგიური კვლევის შედეგები. – სემმ, საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული ხანა, № 3, გვ. 85-100.
- ნერეთელი ლ. 1978: მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში. თბილისი.
- Мешвелиани Т. 2013: К вопросу о возникновении Неолита в Западной Грузии. – Археология, этнография и антропология Евразии, 2(54), 61-72.
- Bar-Oz G., Belfer-Cohen A., Meshveliani T., Jakeli N., Matskevich Z., Bar-Yosef O. 2009: Bear in Mind: Bear Hunting in the Mesolithic of the Southern Caucasus. *Archaeology, Ethnology & Anthropology of Eurasia*. 37/1(2009), 15-24.
- Bar-Oz G., Bar-Yosef O., Belfer-Cohen A., Meshveliani T., Boaretto N., Jakeli N., Koridze E., Matskevich Z. 2007: Mesolithic Hunters at Kotias Klde, Western Georgia: Preliminary Results. – *Paléorient*, vol. 33.2, 47-58.
- Bar-Yosef O., A. Belfer-Cohen, Jakeli N., Bar-Oz G., Boaretto E., Goldberg P., Kvavadze E., Matskevich Z. 2011: Dzudzuana: an Upper Paleolithic cave site in the Caucasus foothills (Georgia) *ANTIQUITY*, 331-349.

ილუსტრაციის აღწერილობა

სურ. 1 – სანურბლიას მღვიმის გეგმა

სურ. 2 – U,V,W₄₋₅₋₆ კვადრატების ჭრილი

სურ. 3-4 – T₂₀₋₂₁ კვადრატების ჭრილი

სურ. 5 – ხელოვნების მცირე ფორმები: 1. ბელემნიტის (*Belemnites sp*) საკიდი, 2. ცხოველის კბილზე დამზადებული საკიდი, 3. ქვიშაქვის საკიდი, 4. სილიციტის საკიდი, 5. ქვიშაქვა კალციტის ძარღვებით, 6. ნიჟარის (*Cardium sp*) მძივი, 7. ნიჟარის (*Theodixu pallasi*) მძივები

სურ. 6 – ძვლის იარაღები: 1-2 დამუშავებული რქა, 3-8 ძვლის სახვრეტი იარაღები, 9-11 ძვლის ნემსები

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1 – Plan of Satsurbliia Cave

Fig. 2 – Section of U,V,W 4-5-6 squares

Figs. 3-4 – Section of T 20-21 squares

Fig. 5 – Objects of art: 1. pendant on Belemnite (*Belemnite sp.*), 2. pendant on the animal tooth, 3. pendant on the sand stone, 4. pendant on silicate, 5. sand stone with calcite veins, 6. beads on the shell (*Cardium sp*), 7. beads on the shells (*Theodixu pallasi*)

Fig. 6 – Bone tools: 1-2 worked antler, 3-8 bone tools, 9-11 bone needles

ცხრილი 1. მასალის ტიპოლოგიური სია

ცხრილი 2. ნუკლეუსის ტიპები

ცხრილი 3. იარაღის ტიპები

ცხრილი 4. ობსიდიანის რაოდენობა მასალაში

Table 1. Typological list of the material

Table 2. Core types

Table 3. Tool types

Table 4. Amount of obsidian in the material

(Footnotes)

1 ნდა – ნუკლეუსის დამუშავების დროს მიღებული ანატკეცი

2 მსტ – მიკროსაჭრისის ტექნიკა

**გოდერძი ნარიმანიშვილი, ელისო ყვავაძე, ლიანა ბითაძე, ბიძინა მურვანიძე,
რევაზ დავლიანიძე, გელა გიუნაშვილი, ნინო შანშაშვილი, მარინე კვაჭაძე,
წოლეგ ბენდუქიძე**

არქეოლოგიური გათხრები ნინწყაროში

სოფ. ნინწყაროს მიდამოებში არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა 2008-2010 წლებში და დაკავშირებული იყო მარაბდა-ახალქალაქი-კარნახის რკინიგზის რეაბილიტაციასთან. არქეოლოგიურად შესასწავლი მონაკვეთი მდებარეობს თეთრწყაროს რაიონის სოფ. ნინწყაროს სამხრეთით (ტაბ. I₁). სამშენებლო მოედანი მოიცავდა ტერიტორიას PK 185-დან PK 240-მდე. ადგილის არქეოლოგიური დაზვერვა დაიწყო რკინიგზის 24-ე კმ-დან და გაგრძელდა 31-ე კმ-მდე. პროექტით გათვალისწინებული იყო რკინიგზის ხაზის ჩრდილოეთით გადაწევა და სადგურის მშენებლობა. აღნიშნული მონაკვეთის არქეოლოგიური დაზვერვა თავდაპირველად XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს განხორციელდა, როდესაც იწყებოდა მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის მშენებლობა. იმ პერიოდში მშენებლობის ზონაში არქეოლოგიური ძეგლები არ მოხვდა და შესაბამისად ამ ტერიტორიის დაწვრილებითი არქეოლოგიური შესწავლა არ მომხდარა.

2008 წელს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ჩაატარა I და II ეტაპის სამუშაოები. I ეტაპის სამუშაოები განხორციელდა 2008 წლის მარტში, II ეტაპისა 2008 წლის ნოემბერში. III ეტაპის საველე სამუშაოები 2010 წლის 7 აპრილს დაიწყო და 19 მაისს დასრულდა. I ეტაპის დაზვერვითი სამუშაოები დაიწყო სადგურ ნინწყაროდან, იმ ადგილიდან, საიდანაც რკინიგზის ახალი ხაზი ძველს თანდათან ჩრდილოეთით შორდება და დასავლეთით მიემართება. შესასწავლი მონაკვეთის სიგრძე 6.0 კილომეტრს უდრიდა. არქეოლოგიური ძეგლების დაფიქსირება მიმდინარეობდა ახალი ხაზის სავარაუდო ტრასის ორივე მხარეს და 30-40 მეტრს მოიცავდა.

საველე და კამერალურ სამუშაოებში მონაწილეობდნენ არქეოლოგები გოდერძი ნარიმანიშვილი (ხელმძღვანელი), ბიძინა მურვანიძე, რევაზ დავლიანიძე, ნინო შანშაშვილი, მარინე კვაჭაძე, გელა გიუნაშვილი, პალინოლოგი ელისო ყვავაძე, ანთროპოლოგი ლიანა ბითაძე, ზოოლოგი ოლეგ ბენდუქიძე,

არქიტექტორი გიორგი ტატიშვილი, მხატვარი ინგა ესვანჯია, ტოპოგრაფი ალექსამდრე თევზაძე, თსუ სტუდენტები გიორგი კარელიძე, დიმიტრი ნარიმანიშვილი, ქეთევან თამაზაშვილი და ელზა კონონაშვილი.

რკინიგზის ახალ მონაკვეთზე არქეოლოგიური ძეგლების ინტენსივობის მიხედვით კვლევის I ეტაპზე ოთხი ზონა გამოიყო, სადაც არქეოლოგიურად საეჭვო 144 ნიშნული დაფიქსირდა (ტაბ. I₂). შემდგომში, რკინიგზის ხაზის კორექტირების გამო ნიშნულთა ნაწილი სამშენებლო ზონის გარეთ აღმოჩნდა. სტატიაში ასევე არ შევხებით იმ ნიშნულებს, რომელთა ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძეგლები არ დაფიქსირდა.

პირველი ზონა იწყება რკინიგზის სადგურთან, PK 185-დან და PK 200-მდე აღწევს, სადაც ამ ზონას მცირე ხევი საზღვრავს. პირველ ზონაში მოექცა №№ 76-90 ნიშნულები, რომლებიც სავარაუდო არქეოლოგიურ ნაშთებს შეიცავენ (ტაბ. II₁).

№ 78 ნიშნულზე 20.0 მ სიგრძისა და 8.0 მ სიგანის თხრილი გაიჭრა, რომელშიც ინტენსიური ქვაყრილი დაფიქსირდა. ის წარმოადგენს ყორღანის ქვაყრილს. ნაპირები დიდი ზომის ქვებითაა შემავრებული. კრომლესის დიამეტრი 13.0 მ-ს, სიმაღლე 1.0 მ-ს უდრის (ტაბ. IV₁). ყრილი XX ს-ის 80-იან წლებში დაუზიანებიათ ნინწყაროს რკინიგზის სადგურის წყალმომარაგების სისტემის გაყვანის დროს (ტაბ. II_{2,4}). კრომლესის ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირდა ოთხკუთხა ქვაყრილი, რომლიც სამარხი კამერის კონტურებს ემთხვეოდა (ტაბ. II₄). კამერა შევსებული იყო მჭიდროდ ჩალაგებული ბაზალტის ქვებით, რომლებიც კამერის პირიდან 2.2 მ სიღრმემდე აღწევდა და თითქმის იატაკამდე ჩადიოდა (ტაბ. IV₁). სამარხი კამერის იატაკი 0 ნერტილიდან 3.2 მ სიღრმეზე, მიწის ძველი ზედაპირიდან კი 2.5 მ სიღრმეზეა გამართული. სამარხი კამერის პირი ყორღანის ქვაყრილის ზედაპირიდან 1.0 მ სიღრმეზეა. მის თავზე ქვაყრილის ქვეშ, მთელ ფართობზე სამარხი კამერიდან ამოყრილი ყვითელი თიხა ეყარა,

რომლის სისქე 0.25-0.30 მ-ს უდრიდა. ყვითელი თიხის ზოლი კამერის ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების გასწვრივ ჩაუყვებოდა და კამერაში ჩაყრილი ქვაყრილის ქვედა რიგამდე აღწევდა. კამერის კედელსა და ქვაყრილს შორის მხოლოდ ყვითელი თიხა ეყარა (მინარევეების გარეშე) და მისი სისქე 0.15 – 0.25 მ-ს აღწევდა.

სამარხ კამერას გეგმაში კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის ფორმა აქვს (ტაბ. IV₂). კამერის ზომები მინის თანამედროვე ზედაპირთან აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 3.80 მ-ია, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ – 3.60 მ. ძირისაკენ სამარხი ორმო თანდათან ვიწროვდება. კამერის ზომები სამარხი ორმოს იატაკთან: სიგრძე ჩრდილოეთ კედელთან 2.50 მ, სამხრეთ კედელთან – 2.60 მ; სიგანე აღმოსავლეთ და დასავლეთ კედელთან – 2.30 მ, შუა ნაწილში – 2.50 მეტრია. სამარხი კამერის პირიდან 1.50 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა ორი ხარის თავის ქალა, რომლებიც სამარხი კამერის ორმოს პირიდან 2.0 მ-ის სიღრმეზე და იატაკიდან 0.45 მ სიმაღლეზე გამართულ თაროზე ეწყობა (ტაბ. II_{3,5}; III_{2,5}). თარო აღმოსავლეთ კედელთან ერთად არის ამოკვეთილი თიხაში. ის კედელს მთელ სიგრძეზე მიუყვება. მისი სიგანე ცენტრალურ ნაწილში 0.4 მ-ია, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებისაკენ კი ვიწროვდება (ტაბ. III₄). თაროსთან ერთად თიხაში ამოკვეთილია ნახევარწრიული შვერილი, რომელიც სამარხი კამერის ცენტრში მდებარეობს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის თაროს ფეხს წარმოადგენს. თაროს ქვეშ, შვერილის ჩრდილოეთით და სამხრეთით, კედლების გასწვრივ შეკვეთილია ღრმულები, რომლებიც იმ დონეზეა შეჭრილი, რომ აღმოსავლეთი კედლის დახრის ხაზს არ სცილდება სიღრმეში. ეს ორი ღრმული შვერილთან ერთად ურმის ფორმას იმეორებენ და ხარის თავებთან ერთად, ხარშებმული ურმის შთაბეჭდილებას ტოვებენ (ტაბ. IV₂). თაროს ნახევარწრიული ფორმა აქვს. რომლის ჩრდილოეთით ხარის ერთი თავი, სამხრეთით კი მეორე ხარის თავი დევს (ტაბ. II_{3,5}). ხარის თავები ერთმანეთისაგან 1.40 მ-ით იყო დაცილებული. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან მდებარე ხარის რქის წვერებს შორის მანძილი 0.80 მ-ია, რქების სიგრძე დაახლ. 0.30 მ-ის ტოლია, ხოლო თავის ქალის სიგრძე – 0.62 მ. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან მდებარე ხარის რქების წვერებს შორის მანძილი დაახლ. 0.70 მ-ია; რქების სიგრძე 0.24 მ-ია.

კამერის იატაკის მთელ ფართობზე და-

ფიქსირდა ხის ძელების ნაშთები, რომელთა დიდი ნაწილი ურემს ეკუთვნის. კამერაში ოთხი ბორბალი დაფიქსირდა. ორი ჩრდილოეთის, ორი კი სამხრეთის კედლის გასწვრივ იყო ჩადგმული იატაკში. იატაკში ჩაჭრილია 0.2 მ. სიღრმის ფოსოები, რომელშიც ბორბლებია ჩადგმული (ტაბ. III₁; IV₂). ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე დაწყობილ ბორბლებს შორის მანძილი 1.80 მ-ია; ხოლო აღმოსავლეთ დასავლეთ ხაზზე მდებარე ბორბლების ცენტრებს შორის მანძილი 1.40 მ-ს უდრის. ბორბლების შემორჩენილი დიამეტრი 1.0 მ-ს უდრის. ფიცრის მაქსიმალური სისქე 0.08 მ-ია, მინიმალური – 0.03 მ. საღერძე ფოსოს დიამეტრი 0.22 მ-ია, სისქე 0.16 მეტრი. ურმის დეტალები სამარხი კამერის სხვადასხვა ნაწილშიც დაფიქსირდა. დასავლეთის კედელთან აღმოჩნდა ორი ძელი: პირველის სიგრძეა 1.45 მ, სიგანე – 0.25 მ; მეორე ძელისა – 1.20 მ, სიგანე – 0.27 მეტრი. ჩრდილოეთ და სამხრეთი კედლების გასწვრივ, კამერის იატაკზე დაწყობილი ძელები შედის თაროს ქვეშ შეჭრილ ფოსოებში. ძელები ორგანული ნაშთების მოშავო-მოყავისფრო მასითაა დაფარული. ამ ფენის სისქე 0.25 მ-ია და ის მთლიანად ფარავს კამერის ცენტრს.

ხარის თავების ოდნავ ქვევით, ყორღანის ქვაყრილიდან 3.2 მ და თაროს პირიდან 0.2 მ სიღრმეზე მცირე ზომის თიხის ჭურჭელი, სავარუდოდ ჭრაქი დაფიქსირდა (ტაბ. III₃). ის თაროდან 0.4 მ. დაცილებით იდო. დიდი დერგი კი სამხრეთი კედლის გასწვრივაა ჩალენილი. ამავე დონეზე, სამარხი კამერის მთელ ფართობზეა მიმოფანტული თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები (ტაბ. V_{9,12,13}) და წვრილფეხა საქონლის ძელები. რაც აშკარად ძარცვის კვალზე მიუთითებს. იატაკზე უნდა ყოფილიყო ბრინჯაოს რაღაც ნივთი, რომლისაგანაც მცირე ფრაგმენტებილა შემორჩა, ჟანგის სახით.

იატაკზე დაფიქსირებულ მოშავო-მოყავისფრო ფენაში დადასტურდა ადამიანის ძლიერ დაზიანებული ძელები. მიცვალებული დასვენებული ყოფილა ურმის ძარაზე. ძელებს მუქი ყავისფერი შეფერილობა აქვს. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ მიცვალებული ტყავში ყოფილა გახვეული. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ იგი ტყავის საფენზე იყო დასვენებული და ზევდანაც ტყავი ეფარა. ასეთი ვარაუდის საფუძველს პალინოლოგიური კვლევის შედეგიც იძლევა.

მიცვალებულის ნაშთების პრეპარაცია ჩაატარა ანთროპოლოგმა ლ. ბითაძემ, რომელმაც მიცვალებულის ჩონჩხისა და ქალის

სარქველის ფრაგმენტები, აგრეთვე, ძვლების ფხვიერი მასის ლაქები დააფიქსირა, რაც „ძვლის ფხვნილს“ წარმოადგენდა. მიწაზე აღბეჭდილი თავის ქალის ფრაგმენტის განივი ზომა – 132 მმ, ხოლო გრძივი – 90-100 მმ-ია. თავის ქალას ამ ფრაგმენტზე რამდენიმე წვრილი ნეკნის მცირე ფრაგმენტი ელაგა ზემოდან. სავარაუდოდ გარდაცვლილის ასაკი 10-14 წელი უნდა ყოფილიყო. ძვლის კონტურების მიხედვით, ალბად მიცვალებულს თავი მარჯვენა გვერდზე ედო. სახის ზედა ნაწილი შავი ლაქის სახით არის შემორჩენილი.

პალინოლოგიური კვლევისათვის წინწყაროს №1 ყორღანიდან 22 ნიმუში დამუშავდა. აქედან ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა თავის არეში და იატაკის შავი ლაქებიდან მოპოვებული მასალა, სადაც ნაპოვნი და განსაზღვრულია 30-ზე მეტი მცენარის მრავალი მტვრის მარცვალი. ქალას მიდამო განსაკუთრებულად საინტერესოა იმიტომ, რომ ადამიანის თმებში გროვდება იმ მცენარეთა მტვერი, რომლის გარემოში იგი ცხოვრობს და საქმიანობს. სამარხში, მიუხედავად იმისა, რომ თავად თმები იშლება და ვიზუალურად აღარ არის შესამჩნევი, თმებში არსებული მტვრის მარცვლები და მიკროორგანიზმების ფოსილიები საკმაოდ კარგად ინახება, რასაც თმის ცხიმი უწყობს ხელს.

იმ ნიმუშებში, რომლებიც №1 ყორღნის მიცვალებულის თავის ქალას ირგვლივ იყო აღებული, ნაპოვნი როგორც ველური, ისე კულტურულ მცენარეთა მტვრის მარცვლები. ბევრია ფიჭვის მტვერი (ტაბ. IX_{1a}). კარგადაა წარმოდგენილი მუხის, ნიფლის, მურყნის და ცაცხვის მტვერი (ტაბ. IX_{1b,c,f,g}). აღინიშნება აგრეთვე ნაძვის, სოჭის და რცხილას მტვრის მარცვლები. ნაპოვნი თხილის და კულტურული ვაზის მტვრის მარცვლები (ტაბ. IX_{1d,e,h,i}). ბალახოვნებს შორის ბევრია იმ სარეველათა მტვრის მარცვლები, რომლებიც ნათესებში ხარობს. ესენია ნაცარქათამა, მათიტელა, ნარშავი, ხვართქლა. კარგადაა წარმოდგენილი ის სარეველებიც, რომლებიც ეზოში, გზის და ბილიკების პირას იზრდება. ესენია მაგალითად ფარსმანდუკი, მრავალძარღვა, ნარი და სხვა. პალინოლოგიურ სპექტრებში საკმაოდ დიდი რაოდენობით აღინიშნება ტყის გვიმრების სპორები (ტაბ. IX_{1k}). სამარხის იატაკიდან აღებულ სინჯებში უხვადაა წარმოდგენილი კაკლის და თხილის მტვერი. შესაძლოა, ისინი მიცვალებულს ჩააყოლეს საიქიო ცხოვრებისთვის.

გარდა მცენარეთა მტვრის მარცვლებისა, შესწავლილ ნიმუშებში კარგაა წარმოდგენილი დაშლილი ხის მერქნის უჯრედები. მერქნის პარენქიმული უჯრედები ბევრია იმ ნიმუშებში, რომლებიც სამარხის იატაკის დონეზე აღებული. კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე სხვადასხვა სოკოს სპორები და მარცვლოვნების ფიტოლიტები. ბევრია ტკიპების ჯაგრები, კლანჭები და მარწუხები. ზოოლოგიური მასალის ნაშთებიდან აღსანიშნავია ფრინველის ბუმბულის ნაშთი და ცხოველის ბენვი, რომელიც, როგორც ჩანს, ტყავის ნაშთია. აღმოჩენილია აგრეთვე იმ მწერების ეპიდერმისიც, რომლებმაც ტყავი შეჭამეს. ტკიპას და მწერების უამრავი ნაშთი მიუთითებს, რომ მიცვალებულის დაკრძალვა ზაფხულში მოხდა, როცა ფეხსახსრიანები და მწერები აქტიურ ფაზაში არიან და სწრაფად მრავლდებიან.

თითქმის ყველა სინჯში აღმოჩენილია სელის ქსოვილის ბოჭკო. აღინიშნება სელის ფერადი ბოჭკოც. გვხვდება ნაცრისფერი, ცისფერი და მწვანე ფერის ბოჭკოები, მაგრამ ჭარბობს ლურჯი ფერი. შალის ბოჭკო ცოტაა, რადგან მასაც მწერები გაანადგურებდნენ.

პალინოლოგიური სპექტრების ტიპი საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ბრინჯაოს ხანაში წინწყაროს მიდამოებში არსებული ლანდშაფტები. ახლომდებარე გორაკები ტყიანი უნდა ყოფილიყო, სადაც იზრდებოდა მუხა, ნიფელი, რცხილა, ცაცხვი და სხვა ფართოფოთლოვანი სითბომოყვარული ჯიშები. ხეებსა და მდინარეების პირას მურყნის ტყე იყო გავრცელებული. ფიჭვი, სოჭი და ნაძვი უფრო შორს, თრიალეთის ქედის მაღალმთის ზოლში იზრდებოდა და მათი მტვერი წინწყაროში ქარს უნდა მოეტანა. რაც შეეხება უშუალოდ ყორღანის ადგილის მოდამოებს, იგი მჭიდროდ დასახლებული უნდა ყოფილიყო, სადაც დიდი ფართობი ნათესებს, ბაღებს და ვენახებს ეკავათ.

ყორღანში საკმაოდ დიდი ჯიშის ხარებია დაფიქსირებული (ტაბ. II_{3,5}; IV₂). მათ წაგრძელებული და ვინრო თავისქალა (უფრო შუბლი), გრძელი და წვრილი, საკმაოდ ფაქიზი აგებულების რქები აქვთ. რქების მიმართულება და შუბლის ფორმა რქებშორისი ქედის მიხედვით წააგავს *Bos primigenius*-ის შესაბამის ნიმუშებს. ორივე თავის ქალა ეკუთვნის ერთი და იგივე ჯიშს; მარცხენა თავის ქალა ეკუთვნის უფრო დიდ ეგზემპლარს. ასაკის მიხედვითაც ორივე თავის ქალა ტოლია (კბილების მოცვეთილობის საფუძველზე), თუმცა მარცხენა თავის ქალას

კბილები ოდნავ ნაკლებად აქვს მოცვეთილი. თავის ქალას თვალბუდეები საკმაოდ დიდია და არ არის ამობურცული გვერდებისაკენ. თავის ქალები *Bos brachycerus*-ს არ ეკუთვნის, რადგან მისი თავის ქალას დიაგნოსტიკური ნიშანია შუბლის ლილვაკის შუა ნაწილში არსებული დიდი კოპი, რაც ყორღანში აღმოჩენილ ცალებზე არ შეინიშნება. ყორღანში აღმოჩენილ ორივე თავის ქალას რქებშორისი ლილვაკი მთელ მის სიგანეზე თანაბრად ამობურცული აქვს და ოდნავ სწორხაზოვანია. ყველა ზემოთმოყვანილი ნიშნების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ორივე თავის ქალა, სავარაუდოდ, ეკუთვნის *Bos taurus primigenius*-ის ტიპს. ამ ჯიშის ხარები ადრე დაფიქსირებული იყო პროფ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის მიერ თრიალეთის ყორღანებში.

ყორღანში დაფიქსირდა: 1. დაუმუშავებული ობსიდიანის ანატეცები (5 ცალი), აღმოჩნდა ყორღანის ქვაყრილში; 2. საქონლის ძვლის ფრაგმენტები და კბილები, აღმოჩნდა დასაკრძალავი ორმოს აღმოსავლეთ კედელთან; 3. კუს ძვლები და ჯავშანი, აღმოჩნდა სამარხი ორმოს შევსებაში; 4. ობსიდიანის დაუმუშავებული ანამტვრევები (8 ცალი), აღმოჩნდა სამარხის ორმოს შევსებაში, კუს ძვლების სიახლოვეს; 5. წვრილფეხა საქონლის ძვლები, აღმოჩნდა სამარხი ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ხარის თავის მახლობლად; 6. საქონლის ძვლის ფრაგმენტები აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ კედელთან; 7. რქის ფრაგმენტი აღმოჩნდა დასაკრძალავ ორმოში; 8. საქონლის თავის ქალის ფრაგმენტი, აღმოჩნდა კამერის სამხრეთ კედელთან; 9. ქრაქი (ტაბ. $V_{10,11}$), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, ხელით ნაძერწი; 10. დერგის ფრაგმენტები (ტაბ. $V_{9,12}$), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირი შავადაა ნაპრიალები, მხარზე აქვს ორ-ორი რელიეფური კოპი. მიმობნეული იყო კამერის მთელ ფართობზე; 11. დიდი ზომის ჭურჭლის (დერგის) ფრაგმენტები (ტაბ. V_{13}), თიხის, გამომწვარია ორ ფენად: ზედაპირი შავადაა ნაპრიალები, შიდაპირი მოყავისფო-მოჩაღისფროა. მიმობნეული იყო კამერის მთელ ფართობზე; 12. გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი, ბრინჯაოსი; 13. მსხვილფეხა საქონლის ძვლები, აღმოჩნდა კამერის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან; 14. საქონლის კბილები, აღმოჩნდა კამერის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან; 15. წვრილფეხა საქონლის ძვლები, აღმოჩნდა 2 მ-ის სიღრმეზე; 16. საქონლის ძვლები, აღმოჩნდა

მიცვალებულის თავის ქალის აღმოსავლეთით; 17. საქონლის ძვლები, აღმოჩნდა სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან მდებარე ხარის თავის ქალის ქვეშ; 18. ხარის თავი, აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან; 19. ხარის თავი, აღმოჩნდა ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან.

ყორღანში აღმოჩენილი კერამიკა შუაბრინჯაოს ხანის სამარხებში გამოვლენილი თიხის ჭურჭლების ანალოგებს წარმოადგენენ, რაც ნინწყაროს ყორღანს ძვ.წ. XX – XIX საუკუნეებით ათარიღებს.

2010 წელს I ზონაში გაითხარა 2008 წელს დაფიქსირებული ზოგიერთი ნიშნული და გავლებული იქნა რამდენიმე ახალი თხრილი:

თხრილი № 9 (2008 წლის ანგარიშში № 89 ნიშნული). 2008 წელს აქ ნაგრძელებული ფორმის ქვაყრილი დაფიქსირდა, რომლის ზომებია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 14.0 მ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ – 10.5 მ. გაირკვა, რომ დიდ ფართობზე გაშლილი ქვაყრილი რამდენიმე დამოუკიდებელი ყრილისაგან შედგება. 2010 წელს გავლებულ თხრილში სამარხი კამერა არ დაფიქსირდა.

თხრილი № 11 მიმართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, მცირედი გადახრით ჩრდილოეთისაკენ (ტაბ. VI_{5,6}). თხრილს ასიმეტრიული ფორმა აქვს, მისი ზომებია: აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 12.0 მ, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე – 7.25 მ; სიღრმე დასავლეთით 0.60 მ-ია, აღმოსავლეთით – 0.30 მ. ყრილის ცენტრალურ ნაწილში დიდი ზომის ბაზალტის ქვები ჭარბობს, რომელთა შორის წვრილი ქვები დაფიქსირდა. ქვაყრილის პრეპარაციის შედეგად გამოიკვეთა კედელი, რომელიც მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. კედლის შემორჩენილი სიგრძე 4.0 მ-ია, სიგანე კი 1.0 მ-ს უდრის. ერთი კედელი ოდნავ მორკალულია. თხრილში გამოვლენილი კედლები რაღაც ნაგებობას უნდა ეკუთვნოდეს. ის იმდენადაა დაზიანებული, რომ გეგმარებისა და რაობის გარკვევა შეუძლებელია. გათხრების შედეგად თხრილში რამდენიმე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი და ობსიდიანის ანატეცები აღმოჩნდა. ისინი ქვაყრილის ზედაპირზე დაფიქსირდა და ამდენად ძნელი სათქმელია ეკუთვნის თუ არა ისინი აქ გამოვლენილ ნაგებობას. კერამიკის ფრაგმენტები ძვ.წ. VII-VI სს. მიეკუთვნება. თხრილში გამოვლენილ ქვაყრილში აღმოჩნდა: 1. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი, თიხის,

მონიტალო-მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირი ნაპრიალები აქვს, შიდაპირი ხაოიანი; 2. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტები (2 ც.), თიხის, მოყავისფროდაა გამომწვარი, ზედა და შიდა პირი შავი აქვს. ყელთან ამოღარული სარტყლები გასდევს; 3. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი, თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირი ნაპრიალებია; 4. მსხვილფეხა საქონლის ძვლები; 5. სადღვებლის მხრის ფრაგმენტი სასულე ნახვრეტით (ტაბ. V_{7,8}), თიხის, გამომწვარი მონაცრისფროდ, ზედა და შიდა პირი მოჩალისფრო აქვს. აღმოჩნდა 0.60 მ სიღრმეზე; 6. ანატეკეცი (ტაბ. V₆), 2 ც., ობსიდიანის, აღმოჩნდა 0.60 მ-ის სიღრმეზე; 7. ლამელის ფრაგმენტი (ტაბ. V₅), ობსიდიანის, აღმოჩნდა 0.60 მ-ის სიღრმეზე.

მეორე ზონა იწყება PK 200-დან და PK 205-მდე გრძელდება და სახნავ მინდორს ემთხვევა (ტაბ. VI_{3,4}). ეს მონაკვეთი დაახლოებით 0.5 კმ სიგრძისაა. მინდორს აღმოსავლეთიდან მცირე ხევი, დასავლეთიდან კი მაღალი ბორცვი საზღვრავს. მთის ძირში, აღმოსავლეთით გრუნტის გზაა, რომელიც ლიანდაგის ქვეშ არსებულ ხიდზე გადის და სოფ. სამშვილდისაკენ მიემართება. მინდორი ჩრდილოეთიდან დაბალი ქედით, სამხრეთით კი არსებული რკინიგზით არის შემოსაზღვრული. I ეტაპის სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ მეორე ზონაში ექცევა №№ 91-98 ნიშნულები, რომლებიც ძირითადად ქვაყრილებით ან მიწაყრილითაა წარმოდგენილი (ტაბ. VI₂).

№ 91 ნიშნული წარმოადგენს ქვამიწაყრილიან ბორცვს, რომელსაც ორი შემალევა აქვს. ბორცვზე 2008 წელს ორი სადაზვერვო თხრილი გაიჭრა. პირველი თხრილის სიგრძე 4.0 მ-ია, სიგანე 1.0 მ, სიღრმე 1.3 მ. მეორე თხრილის სიგრძე 4.0 მ-ია, სიგანე 0.8 მ, სიღრმე 1.4 მ. თხრილებში ქვაყრილის კონტურები გამოიკვეთა.

2010 წელს გავლებული თხრილი (თხრილი № 12) მიმართულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, მისი ზომებია: სიგრძე 6.50 მ, სიგანე – 1.6 მ, სიღრმე – 1.30 მ. კორდოვანი ფენის ქვეშ დაფიქსირდა წვრილი ქვების მცირე გროვები; თხრილის ცენტრში 1.30 მ-ის სიღრმეზე გაიწმინდა სამარხი კამერა, რომლის ზომებია: 1.30×0.90 მ, სიღრმე 0.25 მ. 2010 წელს თხრილის ზომებმა სიგრძეში 6.50 მ-ს, სიგანეში – 1.6 მ-ს, სიღრმეში – 1.30 მ-ს მიაღწია. სამარხი კამერა დაზიანებულია სოფ. ქოსალარის წყლის მილის გაყვანის დროს. სამარხ კამერაში თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები დაფიქსირდა.

სამარხში აღმოჩნდა: 1. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (12 ც.), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, დამზადებულია კარგად განლეპილი თიხისგან, ზედაპირი ნაპრიალები აქვს და ნაპრიალებივე ზოლები დაუყვება; 2. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი, თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ობსიდიანის მინარევები კეცში; 3. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი, თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედა და შიდაპირი ნაპრიალები აქვს.

თხრილი № 13 მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. მისი ზომებია: სიგრძე – 5 მ, სიგანე აღმოსავლეთით 1.5 მ, დასავლეთით 3.0 მ; სიღრმე – 0.80 მ. კორდოვანი ფენის ქვეშ გაიწმინდა დიდი ზომის ბაზალტის ქვები, რომელთა შორის წვრილი ქვებია. თხრილში აღმოჩნდა: ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (5 ც.), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, ზედაპირი მოჩალისფრო აქვს, ხელითაა ნაძერწი. აღმოჩნდა 0.75 მ-ის სიღრმეზე.

№ 92 ნიშნული მიწაყრილიან ბორცვს წარმოადგენს. ყრილის სტრუქტურის გარკვევისა და სამარხი კამერის დაფიქსირების მიზნით 2008 წელს ბორცვზე ერთი თხრილი გაიჭრა. თხრილის სიგრძე 4.5 მ-ია, სიგანე 1.0 მ, სიღრმე 1.3 მ. გამოვლინდა ქვებით შედგენილი ყორღანული ყრილი. თხრილი მიმართულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. 2010 წელს გავლებული თხრილი (თხრილი № 14) მიმართულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, მისი ზომებია: სიგრძე 4.0 მ, სიგანე – 1.5 მ, სიღრმე – 1.10 მ. თხრილი გავლებულია მცირე ზომის ბორცვის დასავლეთ ფერდობზე. კორდოვანი ფენის ქვეშ დაფიქსირდა ქვამიწაყრილი. 0.75 მ-ს სიღრმეზე გაიწმინდა სამარხი კამერის ჩრდილოეთი ნაწილი. სამარხის ზომებია: 0.75×1.0 მ, სიღრმე 0.25 მ. სამარხში აღმოჩნდა: 1. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (3 ც.), თიხის, შავადაა გამომწვარი, კეცში თეთრი წვრილმარცვლოვანი მინარევებით; 2. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი, თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, სქელკეციანი; 3. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (5 ც.), თიხის, გამომწვარია ორ ფენად, ზედაპირი აქვს მოყვითალო, შიდაპირი – მოშავო-მონაცრისფრო, კეცში შერეულია ობსიდიანის ნატეხები.

მესამე ზონა (ტაბ. VIII) დღეს არსებული რკინიგზის ხაზს დიდად სცილდება. იგი მოქცეულია PK 215-სა და PK 230-ს შორის. მინდორი, სადაც რკინიგზის ახალი ხაზი

უნდა გავიდეს და სადგურიც უნდა აშენდეს, ქედებითაა შემოფარგლული და ერთგვარ ტაფობს წარმოადგენს. III ზონა ყორღანულ ყრილებს შეიცავს (ნიშნულები №№ 99 - 115, 135 - 144). მათი ერთი ნაწილი უშუალოდ რკინიგზის ზოლში ექცევა (№№ 101, 102, 103, 107, 108, 109, 110, 139, 142 და 143 ნიშნულები). ამ ობიექტებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დიდი ზომის ყრილები, რომელთა ნიშნულებაა - №№ 101, 107, 108, 110.

ნიშნული 101 პირველი ეტაპის სამუშაოების დროს დაფიქსირდა. წარმოადგენს ქვამინაყრილიან ბორცვს (ტაბ. VII_{2,3}), რომლის დიამეტრი 19.0 მ-ს უდრის. ყრილის ცენტრალურ ნაწილში გავლებული იქნა თხრილი, რომლის სიგრძე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 10.0 მ-ია. თხრილის სიგანე 7.5 მ-ს უდრის. მაქსიმალური სიღრმე კი 2.5 მ-ს აღწევს (ტაბ. VII₁). 1.9 მ. სიღრმეზე გამოვლინდა მონითალოდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ობსიდიანის ანატკეცები. თხრილის სამხრეთ ნაწილში 2.2 მ. სიღრმეზე გამოიკვეთა წვრილი ქვების უსისტემო ყრილი. ქვების დონეზე და მის ქვეშ გამოვლინდა კაჟისაგან დამზადებული იარაღები, რომლებიც ძველი ქვის ხანის მუსტიეს საფეხურს მიეკუთვნებიან. № 101 ნიშნულზე აღმოჩნდა: 1. საფხეკი (ტაბ. VII₉), ობსიდიანის, ფრაგმენტული. აღმოჩნდა ყრილის ზედაპირიდან 1.90 მ-ის სიღრმეზე; 2. საფხეკი (ტაბ. VII₁₀), ობსიდიანის. აღმოჩნდა ყრილის ზედაპირიდან 1.90 მ-ის სიღრმეზე; 3. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, 3 ცალი, თიხის, მონითალოდ გამომწვარი; 4. ანატკეცი, ობსიდიანის, მცირე ზომის; 5. ანატკეცი (ტაბ. VII₇), ობსიდიანის; 6. საფხეკი (ტაბ. VII₅), ობსიდიანის; 7. ამოღარული საფხეკი (ტაბ. VII₄), თეთრი ფერის კაჟის; 8. საფხეკი (ტაბ. VII₆), კაჟის, მოყვითალო ფერის, ნაგორავები, გადალესილი გვერდებით; 9. ამოღარული საფხეკი, კაჟის, მოყავისფრო; 10. საფხეკი (ტაბ. VII₁₂), არგოლიტის; 11. საფხეკი (ტაბ. VII₁₃), არგოლიტის; 12. საფხეკი (ტაბ. VII₁₄), კაჟის, მოყავისფრო; 13. საფხეკი (ტაბ. VII₁₁), კაჟის, მოყვითალო; 14. საფხეკი, კაჟის, ყავისფერი, ფრაგმენტული; 15. ამოღარული საფხეკი, ობსიდიანის, ფრაგმენტული; 16. ნუკლეუსი, კაჟის, მოყავისფრო, შავი ჩანართებით (ტაბ. VII₈).

ნიშნული 102 მდებარეობს III ზონის სამხრეთ ნაწილში. გამოვლინდა I ეტაპის სამუშაოების დროს. წარმოადგენს ქვამინაყრილიან ბორცვს (ტაბ. IX₂). მისი დიამეტრი 6.0 მეტრია, სიმაღლე

1.5 მ-ს უდრის. ყორღანული ყრილის შესწავლის მიზნით ბორცვის სამხრეთ ნაწილში გავლებული იქნა თხრილი, რომლის სიგრძე 7.0 მ-ია, სიგანე 2.5 მეტრს უდრის. ყრილის ძირიდან 0.5 მ სიღრმეზე გამოიკვეთა კლდოვანი დედაქანი (ტაბ. IX₃). არქეოლოგიური მასალა არ დაფიქსირდა.

ნიშნული 107 მდებარეობს III ზონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. გამოვლინდა I ეტაპის სამუშაოების დროს. წარმოადგენს ნაგრძელებული ფორმის ბორცვს, რომლის სიგრძე 12.0 მ-ია, სიგანე 5.5 მ-ს უდრის, სიმაღლე 1.5 მ-ია. 2010 წელს გავლებული იქნა ორი თხრილი (ტაბ. VIII₁₂). ერთის სიგრძე 5.5 მ-ს, სიგანე 1.5 მ-ს, სიღრმე 1.0 მ-ს უდრის. მეორე თხრილის სიგრძე 4.5 მ-ია, სიგანე 1.4 მ, სიღრმე 1.2 მ-ია. თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა: 1. ჭურჭლის ფრაგმენტები (2 ც.), თიხის, მონითალოდ გამომწვარი, ერთ-ერთ ფრაგმენტზე შემორჩენილია მწვანე ფერის ჭიქური.

ნიშნული 108 მდებარეობს 107 ნიშნულის ჩრდილო-დასავლეთით 50 მ-ის დაცილებით. გამოვლინდა I ეტაპის სამუშაოების დროს. წარმოადგენს ქვამინაყრილიან ბორცვს (ტაბ. VIII₄). მისი დიამეტრი 7.0 მ-ია. სიმაღლე 1.4 მ-ს უდრის. 2010 წელს მოიხსნა ბორცვის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. თხრილის ზომებია 5.8×4.5 მ. მაქსიმალური სიმაღლე ცენტრში 1.7 მ-ს აღწევს. ბორცვის ცენტრში გამოვლინდა 1.5×1.5 მ ფართობის და 0.1 მ სიღრმის ორმო, რომელსაც ცეცხლის კვალი ემჩნეოდა და შევსებული იყო ნაცრით. აქ ობსიდიანის ორი ანატკეცი აღმოჩნდა. ახლა ძნელია ამ ბორცვისა და მის ქვეშ დაფიქსირებული ნაცრიანი ორმოს თარიღზე და ფუნქციაზე საუბარი. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ის წარმოადგენს ყორღანს, სადაც მიცვალებულის კრემირებული ნაშთები დაკრძალეს. 108 ნიშნულზე აღმოჩნდა: 1. დერგის პირის ფრაგმენტი (ტაბ. VIII₅), თიხის, მონითალოდ გამომწვარი, პირგადაშლილი; 2. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი, თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი; 3. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი, თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, ქარსის მინარევებით კეცში, ზედაპირი შავადაა ნაპრიალები; 4. ამოღარული საფხეკი (ტაბ. VIII₆), ობსიდიანის; 5. საფხეკი (ტაბ. VIII₇), ობსიდიანის, ფრაგმენტული.

№ 110 ნიშნული წარმოადგენს ქვამინაყრილის დიდი ზომის ზვინულს. იგი დაფარული იყო მცენარეული საფარით. პირველ რიგში ზვინული გასუფთავდა ბუჩქნარისა-

გან. გამოვლინდა ბაზალტის დიდი ქვებით შედგენილი ქვაყრილი (ტაბ. VIII₃). ყორღანული ყრილის სამხრეთ ფერდზე ერთი სადაზვერვო თხრილი იქნა გავლებული (ტაბ. VIII₂). თხრილის სიგრძე 6.0 მ-ია, სიგანე 1.4 მ, სიღრმე 1.5 მ. ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ ყორღანული სამარხის ზვინულზე თანამედროვე ეპოქაში კიდევ დაუყრიათ ქვები. 2010 წელს მინაყრილის ზვინული მთლიანად იქნა მოხსნილი. ბორცვის ქვეშ სამარხი კამერა არ დაფიქსირდა, სამაგიეროდ გამოვლინდა ქვის ხანის სადგომის ნაშთები, სადაც კაჟის რამდენიმე იარაღი იქნა აღმოჩენილი. № 110 ნიშნულზე აღმოჩნდა: 1. ჭურჭლის ფრაგმენტები, 2 ც., თიხის, მონითალოდ გამომწვარი, ერთ-ერთ ფრაგმენტზე შემორჩენილია მომწვანო ფერის ჭიქური; 2. ლაგამი (ტაბ. V₂), რკინის, ორნაწილიანი; 3. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, 3 ც., თიხის, მონითალოდ გამომწვარი, უსახო; 4. ლურსმანი, რკინის; 5. იარაღი (ტაბ. VIII₈), რიყის ქვისა; 6. საფხეკი (ტაბ. VIII₁₁), კაჟის; 7. საფხეკი (ტაბ. VIII₁₀), კაჟის; 8. საფხეკი (ტაბ. VIII₉), კაჟის, ფრაგმენტული.

მეოთხე ზონა №№ 116 – 134 ნიშნულებს მოიცავს. მშენებლობის პროცესში რკინიგზის ხაზმა კორექტირება განიცადა და სამხრეთით გადაინია. ამდენად, მხოლოდ ერთი ნიშნული (№ 124) მოექცა რკინიგზის ზოლში. ის წარმოადგენს ქვამინაყრილიან ბორცვს (დიამეტრი 4.40 მ, სიმაღლე 1.2 მ). ბორცვის ჩრდილოეთ ნაწილში გაიჭრა ერთი თხრილი (ტაბ. IX₃), რომელშიც არქეოლოგიური მასალა არ დაფიქსირდა.

ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS IN TSINTSQARO

Summary

The archaeological works in the vicinity of the village Tsintskaro were carried out in 2008-2010 and were connected with the rehabilitation works of Marabda-Kartsakhi railroad. The section which had to be archaeologically studied was located to the S of Tetrtskaro municipality village Tsintskaro (PI I, 1). The construction area included the territory from PK 185 to PK 240.

On the new section of railway, according to the intensity of archaeological sites four zones were defined, where 144 possible archaeological benchmarks were identified (PL I, 2). The first zone was beginning from PK 185 and ending at PK 200 which included benchmarks from 79 to 90 (PL II,1) represented with stone or soil piles (PL VI,2). These piles contained few archaeological remains. The remains of damaged stone wall (4x1 meters) were revealed in the trench # 11. The pottery shards (PL V, 6-8), the fragment of lamella (PL V, 5), and the obsidian flake were revealed on the wall, but it is difficult to say that these artifacts belonged to the structure. The pottery found here is dated to the 7th-6th centuries BC.

The second zone is nearly 0.5 km length and contains archaeological benchmarks from 91 to 98 (PI VI 3, 4). The third zone (PI VI II, 1) is beginning from the PK 215 to the PK 230 and contains the piles of kurgans (benchmarks ## 99-115, 135-144). Particular attention is drawn by big piles (benchmarks ## 101, 107, 108,110). Benchmark # 101 is a pile consisted from stone and soil (PL VII 2, 3) with the diameter of 19 meters. In trench cut into the central part of pile (PL VII 1) red burnished pottery shards and obsidian flakes were revealed. In the S part of the trench in the depth of 2, 2, meters the pile consisted from small stones was revealed. The flint and argillite tools were revealed on the level of the stone pile and under it, they can be attributed to the Paleolithic Mousterian period (PI VII 4-14). Very few archaeological material was revealed in the benchmarks #102 (PI IX 2, 5) # 107 (PL VIII 12), # 108 (PL VIII 4, 5, 6, 7) and # 110 (PL VIII 2, 3, 8-11).

The zone 4 contains benchmarks ## 116-134. Only one of them - # 124 was included in the railway line.

In the zone of construction area, archaeologically most important was the kurgan (diameter 13 meters, height 1 meter PL IV,1) on the benchmark # 78, which was excavated by the expedition. In the central part of the stone pile, the burial pit (3, 8x3, 6 meters) was revealed, which had rounded corners and was quadrangular in plan (PI IV, 2). The pit was filled with basalt stones (PL IV 1). The grave was oriented from East to West.

In the burial chamber, on the depth of 1.5 meters and 0.45 meters height from the floor, on the shelf two bull skulls were found (PI II 3,5; III 2,5). The shelf was cut into the clay soil in the E wall of the chamber. Under the shelf, to the both, S and N sides, two notches were cut into the soil. These notches and the shelf were repeating the shape of the chariot and together with the skulls of two bulls were making an impression of the chariot with harnessed bulls (PI IV 2). One skull of bull was placed to the N of the semicircular shelf, another one to the S. (PI II 3, 5). The skulls were placed 1.4 meters away from each other. The distance from the one horn to the other of the bull skull placed in the SE corner was 0.8 meters; length of the horn is 0.3 meter, length of the skull -0.63 meter. On the floor of the burial chamber the remains of wooden beams were preserved. Most of them belonged to the chariot. The chariot had four wheels (PL III 1). The ceramic lamp (PL III 3) and the big jar were placed on the floor. The pottery shards (PL V, 9, 12, 13) and animal bones were scattered on the floor also, what points to the looting of the chamber. The remains of rusted bronze item found on the floor are very damaged and cannot be identified.

The badly damaged human bones found on the floor belonged to the 10-14 year old female. According to the contours of bones the head should be placed on the right side. The deceased was placed on the chariot and should be wrapped in leather. This supposition is approved by palynological studies of the grave.

22 palynological samples were taken from Tsintskaro Kurgan. Most were taken from the area of head and the place of spread of dark spots. Altogether the pollen of more than 30 species was identified. The pine pollen is in a big majority. The oak, beech, alder and lime pollen is also well represented. Spruce, fir, hornbeam corylus, juglans regia, and

vine pollen is also notable. The pollen of herbaceous species is represented by polygonum, carduus and convolvulus. Spores of forest ferns, and fungal spores are also well represented. Ticks are met as whole organisms and as their hairs, chella, claws and other remains. Large amounts of flax fibres are revealed at the site, among which dyed examples (blue, grey, green colors) are met. The zoological material is represented by the bird feather and animal fur.

The bulls found in kurgan are too big and represent the type of *Bos Taurus Primigenius*. These species of bulls were found earlier in Trialeti kurgans.

The pottery found in kurgan # 1 is analogous to the pottery of Middle Bronze Age and can be dated to the 20th – 19th centuries BC.


ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I – 1. რკინიგზის წინწყაროს მონაკვეთის აეროფოტო; 2. I-IV არქეოლოგიური ზონების ტოპოგეგმა.
- ტაბ. II – 1. I არქეოლოგიური ზონის ტოპოგეგმა; 2. I ყორღანის ქვაყრილისა და კამერის ხედი; 3. I ყორღანი. ჩრდილოეთით მდებარე ხარის თავი; 4. I ყორღანის სამარხი კამერის ქვაყრილი; 5. I ყორღანი. სამხრეთით მდებარე ხარის თავი.
- ტაბ. III – 1. I ყორღანის საერთო ხედი; 2,5. I ყორღანი. სამხრეთით მდებარე ხარის თავი; 3. I ყორღანი, ჭრაქი; 4. I ყორღანის კამერის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილი ხარის თავები.
- ტაბ. IV – 1. I ყორღანის გეგმა და ჭრილები; 2. I ყორღანის კამერის გეგმა და ჭრილები;
- ტაბ. V – 1,3-8. № 11 თხრილში გამოვლენილ ნაგებობაში აღმოჩენილი არტეფაქტები; 2. ნიშნული № 110, რკინის ლაგამი; 9-12. I ყორღანში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ნატეხები და ჭრაქი.
- ტაბ. VI – 1. ნიშნული 89, ქვაყრილი; 2. II არქეოლოგიური ზონის გეგმა, №№ 91-98 ნიშნულები; 3. II არქეოლოგიური ზონის საერთო ხედი; 4. II არქეოლოგიური ზონის ტოპოგეგმა; 5. № 11 თხრილში გამოვლენილი ნაგებობის ნაშთი; 6. № 11 თხრილში გამოვლენილი ნაგებობის გეგმა და ჭრილი.
- ტაბ. VII – 1. ნიშნული 101, ყორღანის ყრილის გეგმა და ჭრილი; 2. ნიშნული 101, ყორღანის ყრილი; 3. ნიშნული 101, მუშაობის პროცესი; 4-14. ნიშნული 101, ქვის იარაღები.
- ტაბ. VIII – 1. III არქეოლოგიური ზონის ტოპოგეგმა; 2. ნიშნული 110, ქვაყრილის გეგმა და ჭრილი; 3. ნიშნული 110, მუშაობის პროცესი; სურ. 4. ნიშნული 108, ქვაყრილის გეგმა და ჭრილი; 5-7. ნიშნული 108. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი და ობსიდიანის იარაღები; 8-11. ნიშნული 110, ქვის იარაღები; 12. ნიშნული 107, ქვაყრილის გეგმა და ჭრილები.
- ტაბ. IX – 1. წინწყაროს № 1 ყორღანი. თავის ქალას არეში აღმოჩენილ მცენარეთა მტვრის მარცვლები: *a.* ფიჭვი (*Pinus*); *b.* ნიფელი (*აგუს*); *c.* მუხა (*Quercus*); *d,e.* კაკალი (*Juglans*); *f.* ცაცხვი (*Tilia*); *g.* მურყანი (*Alnus*); *h,i.* კულტურული ვაზი (*Vitis vinifera*); *j.* ვარდკაჭაჭა (*Cichorioideae*); *k,l.* გვიმრისებრი (*Polypodiaceae*). 2. ნიშნული 102, ქვაყრილი; 3. ნიშნული 124, ქვაყრილის გეგმა და ჭრილი; 4. ნიშნული 102, ქვაყრილის გეგმა და ჭრილი.


DESCRIPTION OF THE PLATES

- Pl. I – 1. Aerial photo of Tsintskaro area; 2. The topographical map of 1st-4th archaeological zones
- Pl. II – 1. The topographical map of the 1st archaeological zone; 2. The view of the stone pile and burial chamber of the kurgan # 1; 3. Kurgan # 1, the skull of the bull placed in the N part of the chamber; 4. The stone pile on the burial chamber of kurgan # 1; 5. The bull skull found in the S part of the chamber.
- Pl. III – 1. General view to the Kurgan; 2, 5. The bull skull found in the S part of the chamber; 3. Lamp; 4. The bull skulls found in the E part of the chamber.
- Pl. IV – 1. The plan and sections of the kurgan # 1; 2. The plan and sections of the burial chamber of the kurgan # 1;
- Pl. V – 1,3-8. Artifacts revealed in the trench #11; 2. Benchmark # 110, iron horse-bit; 9-12. The fragments of the pottery revealed in the kurgan # 1 and the lamp;
- Pl. VI – 1. Benchmark # 89, the stone pile; 2. The plan of the archaeological zone # 2, benchmarks ## 91-98; 3. The general view of the archaeological zone # 2; 4. Topographical plan of the archaeological zone # 2; 5. The remains of the structure revealed in the trench # 11; 6. The plan and section of the structures revealed in the trench # 11.
- Pl. VII – 1. Benchmark # 101, the plan and section of the kurgan pile; 2. Benchmark # 101, the kurgan pile; 3. Benchmark # 101, the process of work; 4-14. Benchmark # 101, the stone tools.
- Pl. VIII – 1. The topographical plan of the archaeological zone # 3; 2. Benchmark # 110, the plan and section of the pile; 3. Benchmark # 110, the process of work; 4. Benchmark # 108, the plan and section of the pile; 5-7. Benchmark # 108, the fragments of pottery and obsidian tools; 8-11. Benchmark # 110, stone tools; 12. Benchmark # 107, the plan and sections of the pile.
- Pl. IX – 1. Tsintskaro kurgan # 1, the pollen found in the area of the human skull: a. Pinus; b. Fagus; c. Quercus; d, e. Juglans; f. Tilia; g. Alnus; h, i. Vitis vinifera; j. Cichorioideae; k, l. Polypodiaceae. 2. Benchmark # 102, the stone pile; 3. Benchmark # 124, the plan and sections of the pile; 4. Benchmark # 102, the plan and sections of the pile.


ტაბ. I



1



2



1



2



3



4



5


ტაბ. III



1



2



3




4



5

ტაბ. V



ტაბ. VI




1




3




5



2




4



6

ტაბ. VII










1




2



3



ტაბ. VIII




1




1:1



3




2




1:1



4




5



6

7




8

9



10

11



1:1







2:2

3:3

12

ტაბ. IX



არქეოლოგიური სამუშაოები ხობის რაიონში

საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და შპს „შავი ზღვის ტერმინალს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად 2012 წლის 11-13 მარტს ხობის რ-ნის სოფ. ყულევში, მდ. ხობისწყლის შესართავთან, მარჯვენა სანაპიროზე ჩატარდა I ეტაპის სადაზვერვო-საექსპერტო ხასიათის სამუშაოები. ამ ტერიტორიაზე 400 მ სიგრძისა და 30 მ სიგანის ზღვისპირა ზოლში დაგეგმილი იყო ნაპირდამცავი ჯებირის მშენებლობა. დაზვერვებისას გამოვლინდა ზღვის ტალღების აქტიური მოქმედების შედეგად ზედაპირულად გაშიშვლებული კულტურული ფენები, რომელიც შეიცავდა კერამიკის ფრაგმენტებსა და სამშენებლო ბათქაშებს. აღნიშნულის საფუძველზე, 2012 წ. 1-7 მაისს, ამ მიდამოებში ჩატარდა II ეტაპის სადაზვერვო გათხრითი სამუშაოები. არქეოლოგიური ობიექტის სტრატეგრაფიის, გავრცელების არეალისა და ქრონოლოგიის დასადგენად გავლებულ იქნა სხვადასხვა ზომისა და სიღრმის ცხრა საცდელი თხრილი, რომლებიც გრუნტამდე იქნა დაყვანილი (ტაბ. I). არქეოლოგიურად შედეგიანი აღმოჩნდა №№ 1, 3 და 4 თხრილები, სადაც ზოგადი სტრატეგრაფიული სურათი ასე გამოიყურებოდა: 1. კორდოვანი ფენა; 2. 1 მ სისქის ნაყარი მიწა, რომელშიც არეული იყო სხვადასხვა პერიოდის კულტურული ნაშთები, კერძოდ: თიხის ჭურჭლის, სადგრების, XIX ს. თურქული ჩიბუხების ფრაგმენტები და რკინის ლურსმანი (ტაბ. III_{1,7,9,10}), ასევე გამოვლინდა იმპორტული თიხის ნაწარმი, კერძოდ, ქიოსური (?) ამფორის ზედა ნაწილი (ტაბ. III₈); 3. 0,8-1,5 მ სისქის მოშავო ფერის კულტურული ფენა, სადაც წარმოდგენილი იყო კერამიკის, ბათქაშის და ძვლის ფრაგმენტები, ნახშირის ჩანართები, სხვადასხვა ჯიშის მცენარეული ნაშთები; 4. თხელი მოლურჯო-მონაცრისფრო სტერილური ფენა; 5. ტორფის ფენა.

№ 4 თხრილში მიწის ზედაპირიდან 1,5 მ. სიღრმეზე აღმოჩენილ კირხსნარიან რიყის ქვებით გამართულ XIX ს.-ის ნაგებობის საძირკველს ჩაჭრილი ჰქონდა მწირე არქეოლოგიური მასალების შემცველი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კულტურული ფენა (ტაბ.

II_{1,2}). საცდელ თხრილებში გამოვლენილი არქეოლოგიური არტეფაქტები სავარაუდოდ განეკუთვნება წინაანტიკურ და ადრეანტიკურ ხანას, ასევე XIX საუკუნის პირველ ნახევარს. აქ აღმოჩენილი მარცვლოვანი ჭდეებით, რომბული, ტალღისებური და სხვა სახის ორნამენტით გაფორმებული თიხის ჭურჭელი კარგადაა ცნობილი როგორც ყულევის ადრე შესწავლილ ნამოსახლარებზე, ასევე კოლხეთის დაბლობის მთელ რიგ ძეგლებზე, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა [მიქელაძე 1978: ტაბ. XXIII, XXXII₁₀₁, XLIX; პაპუაშვილი რ, პაპუაშვილი ნ. 2005: ტაბ. XXXI_{2,4}, XXXII_{7,8}; გოგაძე 1982, ტაბ. 41_{1495,1498}; ჯიბლაძე 2007: ტაბ. XIX].

ამრიგად, თუ შევაჯამებთ სოფ. ყულევში 2012 წელს ჩატარებულ სამუშაოებს, ვფიქრობთ, შემდეგი დასკვნების გამოტანა შეიძლება: ეს ტერიტორია ექცევა მდ. ხობისწყლის მარჯვენა სანაპიროზე 2000-2006 წწ. შესწავლილი ვრცელი ნამოსახლარის გავრცელების არეალში. უნდა ვივარაუდოთ რომ იგი წარმოადგენდა ამ ნამოსახლარის გავრცელების ერთგვარ პერიფერიულ მხარეს. შეიძლება ამითაც აიხსნას აქ არსებული შედარებით მკრთალი კულტურული ფენები და არქეოლოგიური მასალის სიმწირე.

საქართველის სახელმწიფო ელექტროსისტემისა და ეროვნულ მუზეუმს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით 2012 წლის 7-22 ივლისს ჩატარდა I ეტაპის დაზვერვითი-საექსპერტო არქეოლოგიური სამუშაოები ხობის, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების იმ მონაკვეთებში, სადაც დაგეგმილია ელექტროგადამცემი ხაზებისა და ორი ქვესადგურის მშენებლობა (ჯვარი-ხორგას მშენებარე ელექტროგადამცემი ხაზი).

სოფ. ხორგაში და სოფ. ჯვარში ზედაპირულად შესწავლილ იქნა 13 ჰა და 16 ჰა ფართობის მქონე ორი ქვესადგურის მშენებლობის ზონა, 8 კმ სიგრძისა და 30 მ სიგანის დერეფანი 500 მ² მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზისათვის; 60 კმ სიგრძისა და 25 მ სიგანის დერეფანი 220 მ² ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზისათვის.

საექსპერტო დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები ჩატარდა შემდეგ სოფლებში: ხორგა,

გურიფული, ნოჯიხევი, ბია, საჯიჯაო, ძველი ხიბულა (ხობის რ.), ნარაზენი, ჭაქვინჯი, ყულიშკარი, გრიგოლიში, ჭკადუაში, ენერი (ზუგდიდის რ.), ჯვარი, ჭალე, მუჟავა (ნალენჯიხის რ.). აღნიშნული რაიონებიდან განსაკუთრებით საყურადღებო გამოდგა სოფ. ბიას მონაკვეთი, სადაც 77-ე ელექტროგადამცემი ანძის გამართვა არის დაგეგმილი. აქ 10 მ რადიუსში ზედაპირულად გამოვლინდა მრავალრიცხოვანი კერამიკისა და რკინის ნიღის ფრაგმენტები. არქეოლოგიური არტეფაქტები მიმოხეული იყო რამდენიმე წლის წინათ მოხსნულ მინდორში, სავალ ბილიკებზე და ნვიმისგანჩამორეცხილ გაშიშვლებულ ნიადაგში. აქ არსებული ჩალისფრად, აგურისფრად და შავად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხების პროფილები, ორნამენტაცია და სხვა მახასიათებელი ნიშნები მიუთითებენ, რომ ისინი დამზადებული უნდა იყოს განვითარებულ შუა საუკუნეებში (X-XII სს.). აღმოჩნდა რკინის ნიღის მოზრდილი ნატეხები (ტაბ. VII), რომელიც შესაძლოა მიგვანიშნებდეს რკინის სანარმოს არსებობაზე. ამ ეჭვს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ სამეგრელოს ბორცვოვან მთისწინა ზოლში, აქვე ახლოს, ჩხორონყუს რაიონში, სოფ. ჭოლაში (ჭოლა I, II, III) რკინის სანარმოსახელოსნოების არსებობა კარგადაა ცნობილი სამეცნიერო წრეებისთვის [Хахутаишвили 1987: 164-178]. ამ ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე სოფ. ბიაში, დობერას უბანზე 2012 წლის 10-21 სექტემბერს განხორციელდა II ეტაპის სადაზვერვო გათხრითი სამუშაოები. სხვადასხვა ზომის 9 თხრილით შემოწმდა 77-ე ელექტროგადამცემი ანძისათვის განკუთვნილი ტერიტორია და დერეფნის ის ნაწილი, სადაც არქეოლოგიურად საინტერესო არტეფაქტები დადასტურდა (ტაბ. IV_{1,3}). თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზედაპირზე და 10-15 სმ. სიღრმეში არსებულ კერამიკის მცირე ფრაგმენტებს, მეოთხე თხრილის გარდა, ყველა დანარჩენი სტერილური აღმოჩნდა. № 4 თხრილში კი ასეთი სტრატოგრაფია გამოიკვეთა: 1. კორდოვანი ფენა; 2. 20-25 სმ სისქის ჰუმუსური ფენა; 3. 0,7-0,8 მ სიძლიერის კულტურული ფენა; 4. გრუნტი. კულტურული ფენის ზედა ნაწილი მინის ზედაპირთან სიახლოვის გამო დაზიანებული იყო, რადგან მრავალი წლის განმავლობაში იხვნებოდა. უფრო სიღრმეში გამოჩენა დაიწყო სქელკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტებმა, რომლებიც 4 მ² ფართობზე იყო მიმოხეული. მის ქვეშ, თიხნარ გრუნტში

ჩადგმული მთლიანად შემორჩენილი ქვევრის ძირი გამოვლინდა (ტაბ. V_{1,2}), რომელშიც ხის ნახშირი, სხვა ორგანული მინარევები და პატარა ზომის რკინის დანა დადასტურდა (ტაბ. VI₆). ირგვლივ, ქვევრის სხვა ნატეხებიც იყო მიმოხეული. კარგად გამოიკვეთა, რომ ქვევრის ზედა ნაწილი კირხსნარით ყოფილა შელესილი. იქვე ეყარა მოლესილობის მოზრდილი ნატეხები. ერთ-ერთ ასეთ მოლესილობაში დოქისა და ქოთნის ნატეხები იყო ჩაყოლებული. ასევე დადასტურდა მცირე ზომის თეთრი ფერის ქვა და რკინის სოლის ფრაგმენტი (ტაბ. VI₅). აქაც დაფიქსირდა რკინის ნიღები.

№ 4 თხრილში გამოვლენილი თიხის ჭურჭლის ნატეხები სხვადასხვა მახასიათებელი ნიშნებით (ტაბ. VI_{1,4}) გარკვეულ პარალელებს პოულობს დასავლეთ საქართველოს X-XII სს-ების ძეგლების ანალოგიურ ნაწარმთან [ჯაფარიძე 1956: ტაბ. I₁₀, III]. ვფიქრობთ, შეიძლება ითქვას, რომ განვითარებულ შუასაუკუნეებში აქ გამართული უნდა ყოფილიყო მარანი, სადაც ჩადგმული ქვევრების ზედა ნაწილები კირხსნარითაა შელესილი. მართალია უძრავ მდგომარეობაში მხოლოდ ერთი ქვევრის ზედა ნაწილი აღმოჩნდა, მაგრამ აშკარაა, რომ აქ სხვა და ანალოგიური თიხის ჭურჭელიც უნდა ყოფილიყო. ამაზე მეტყველებს სხვადასხვა ქვევრის პირის გვირგვინები და მცირე ზომის ქოთნები.

აღსანიშნავია, რომ სოფ. დობერას მოპირდაპირე ქედზე სამხრეთ-აღმოსავლეთით, უშუალოდ, მომდევნო 78-ე ელექტროგადამცემი ანძის აღმართვის ადგილზე, მისგან 50 მეტრის დაშორებით ეროზიულ გრუნტულ მიწაზე ზედაპირულად აკრეფილ იქნა კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც პროფილირებული ფორმებისა და გამოწვის მიხედვით კლასიკურ ხანას მიეკუთვნება. 78-ე ელექტროგადამცემი ანძა იდგმება სოფლების ბიასა და ნოჯიხევის გამყოფ სერზე, რომელიც ოხვამე ფერდს (სალოცავი ფერდი) ერწყმის. აქვე დასტურდება სხვა ტოპონიმებიც: „ლადუამ ნოხორი“, „დომენტიმ ნოხორი“ (ლადუებისა და დომენტის ნამოსახლარები). ზედაპირულად აკრეფილი მასალები და ეს ტოპონიმები იქნებ მიუთითებდეს, რომ ეს ადგილები განვითარებულ და გვიან შუასაუკუნეებში დასახლებული უნდა ყოფილიყო.

ARCHAEOLOGICAL INVESTIGATION IN KHOBİ REGION

Summary

According to the agreement signed by the GNM and LTD "Black Sea terminal" in march and may of 2012, in the v. Kulevi (Khobi municipality) on the sea shore, before the construction of the protection dam the 1st and 2nd stage archaeological field survey works were conducted. In some trenches the archaeological artifacts belonging to the Pre-Classical and Early Classical periods, and 19th century were revealed. It appeared that the territory was the periphery of the Kulevi big settlement which was excavated in 1999-2006.

According to the agreement signed by the GNM and Georgian Electrosystem in July 2012, in the zone of electro-transmission line of Jvari- Khorga, field expertize works were conducted. After the first stage works in September 2012 the survey –excavating works were conducted in the v. Bia. On the territory of electro-transmission tower # 77 9 trenches were excavated. The artifacts found in trenches make us to think that the territory was inhabited during the Developed Medieval Period.

ლიტერატურა

გოგაძე ე. 1982: კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბილისი.

მიქელაძე თ. 1978: არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბილისი.

პაპუაშვილი რ, პაპუაშვილი ნ. 2005: კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბილისი.

ჯაფარიძე ვ. 1956: ქართული კერამიკა (XI-XIII სს.). თბილისი.

ჯიბლაძე ლ. 2007: კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. თბილისი.

Хахутаишвили Д. 1987: Производство Железа в древней Грузии. Тбилиси.

ტაბულების აღწერა

ტაბ. I – ყულევი, ტოპოგემა არქეოლოგიური თხრილებით.

ტაბ. II – ყულევი, თხრილი №4: 1. გეგმა; 2. ჭრილი.

ტაბ. III – ყულევი, სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური მასალა: 1-7. კოლხური თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები; 8. იმპორტული ამფორის ფრაგმენტი; 9. თურქული ჩიბუხის ფრაგმენტი; 10. რკინის ლურსმანი.

ტაბ. IV – სოფელი ბია: 1-2. ტოპოგემა არქეოლოგიური თხრილებით; 3. ხედი.

ტაბ. V – სოფელი ბია, თხრილი №4: 1. გეგმა; 2. ჭრილი.

ტაბ. VI – სოფელი ბია, თხრილი №4, 1-5. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები; 6-7. რკინის სოლი და დანა.

ტაბ. VII – სოფელი ბია, თხრილი №4, რკინის ნიღები.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – Qulevi, plan with indication of the trenches.

Pl. II – Qulevi, trench No 4: 1. Plan; 2. section.

Pl. III – Qulevi, artefacts of different periods: 1-7. Fragments of Colchian pottery; 8. Fragment of imported amphora; 9. Fragments of Turkish pipe; 10. Iron nail.


Pl. IV – Village Bia: 1. Topographic map; 2. Section.

Pl. V – Village Bia, trench No 4: 1. Plan; 2. Section.

Pl. VI – Village Bia, trench No 4: 1-5. Fragments of the clay pottery; 6-7. Iron wedge and nail.


Pl. VII – Village Bia, trench No 4: iron slags.

ტაბ. I




■ – არქეოლოგიური ობიექტები


ყულევი 2012 წ.



ტაბ. III



ტაბ. IV



3

ტაბ. V


ხობის რ-ნი, სოფ. ბია

თხრილი №4
გეგმა




0,5 მ.

2012 წ.




პირობითი ნიშნები:


1. ჰუმუსური ფენა
2. კულტურული ფენა
3. გრუნტი
4. ქვევრის ნატეხები
5. ნახშირები
6. კირხსნარის მოლესილობა
7. ქვები



ტაბ. VI



ჭაბ. VII



დავით ლომიჯაშვილი, ზურაბ თვალჭრელიძე, ნინო ქებულაძე, ნიკოლოზ მურღულია, მარინე ბოკერია, ანა თვარაძე, მერი ზამთარაძე, თამილა კაპანაძე, იან ქოლვინი, პოლ ევერილი, ბენ ნილი, ჯეინ თიმბი, ადამ სლეიტერი, ლორა ჯეიმსი

ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური ექსპედიციის 2010 წლის სეზონის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში

2010 წლის სეზონზე ქართულ-ინგლისურ-მა ექსპედიციამ ნოქალაქევის ნაქალაქარზე არქეოლოგიური სამუშაოები 17 ივლისიდან 15 აგვისტომდე აწარმოვა. აღნიშნულ პერიოდში არქეოლოგიური სამუშაოები A და B თხრილებში წარიმართა.

A თხრილში წარმოებული სამუშაოების ანგარიში

AA თხრილზე (უბანი XXX; ნაქალაქარის კვადრანტი – F₂; GPS კოორდინატები: N 42°21'26.1", E 42°11'44.5") ძირითადი სამუშაოები წარიმართა წინა წლებში გამოვლენილი ელინისტური ხანის კულტურული ფენების, სამაროვნის და სამოსახლოს ბოლომდე შესწავლის მიზნით (ტაბ. I₁). საანგარიშო წელს სრულად გაიწმინდა ელინისტური ხანის ფენები, რომლის ქვედა ჰორიზონტზეც ამოსვლა დაიწყო ადრე ანტიკური ხანის (ძვ.წ. VI-IV სს.) კერამიკულმა მასალამ. აღნიშნულ ფენაში მასიური არქეოლოგიური მონაპოვრები წარმოდგენილია, როგორც კერამიკული ჭურჭლის, ისე სხვადასხვა სარიტუალო თუ სამეურნეო დანიშნულების თიხის ნივთებით. ეს ფენა თხრილის მთელ ფართობზე ვრცელდებოდა სხვადასხვა ინტენსიობით – 10-დან 20 სმ-მდე (ტაბ. I₂).

საანგარიშო წელს 268-ე ფენაში მასიური არქეოლოგიური მასალის გარდა, გამოვლინდა კიდევ ერთი ნაგებობის ნაშთი, რომელიც მდებარეობს თხრილის ცენტრალურ ნაწილში და წარმოადგენს დიდი, ცუდად გათლილი ლოდებით მოწყობილი კედლის საძირკველს (ტაბ. I₄). ის ორიენტირებულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე, დასავლეთის მხრიდან ემიჯნება ქვების გროვას, ხოლო აღმოსავლეთით – კიდევ ერთ ნაგებობას. საინტერესოა, რომ აქამდე აღნიშნული ტიპის ნაგებობები (ერთ რიგად დაწყობილი უხეშად გათლილი ქვები, დუღაბის გარეშე, რომელზეც მოწყობილი უნდა ყოფილიყო ხის ძელური კედლები, შელესილი თიხით) ელინისტური პერიოდით თარიღდებოდა, როგორც სტრატეგრაფიულად, ისე ტიპოლოგიურად და სხვა პარალელების მოშველიებით. თუმცა აღნიშნულ სეზონზე კი-

დეე ორი ახალი ნაგებობა გამოვლინდა, ზუსტად სტრატეგიფიცირებულ ადრე ანტიკური ხანის ფენაში და შესაბამისად, აღნიშნული ნაგებობის გამოჩენა ნოქალაქევი, შესაძლოა, ძვ.წ. VI-IV სს-დანაც ვივარაუდოთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნახსენები ნაგებობის სრულად გაწმინდა საანგარიშო წელს ვერ მოხერხდა, შესაბამისად მისი სრული შესწავლა და დაფიქსირება მომავალ წელს მოხდება და, შესაბამისად, მისი დანიშნულების და წარმომავლობის შესახებ უფრო ზუსტი ინტერპრეტაციებიც შემდგომ გაკეთდება.

ელინისტურიდან ადრე ანტიკურ პერიოდზე გარდამავალი ფენის ზედა ჰორიზონტზე აქა-იქ ამოვიდა წინარე ანტიკური (ძვ.წ. VIII-VII სს.) ხანის კერამიკული მასალა, როგორც ჭურჭლის სახით, ასევე ორმხრივპროტომიანი ზოომორფული ფიგურების ფრაგმენტების სახითაც. ამ მხრივ გამოსარჩევია თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხე, სადაც გამოვლენილი ქვის გროვის ფენაში გამოჩნდა ზოომორფული ფიგურის თავის და კისრის ფრაგმენტი (ტაბ. I₃, IV₁). წინასწარული დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ ის *in situ* მდგომარეობაში დაგვხვდა და შესაბამისად, მომავალ სეზონზე თხრილის ამ ნაწილში მოსალოდნელია VIII-VII სს-ის ფენამდე დასვლა.

ფენის აღების დროს თხრილში გამოვლინდა ორი ელინისტური ხანის სამარხი.

10.02 სამარხი – წარმოადგენდა ჩვილის ძვლების გროვას, რომელიც, შესაძლოა, შეხვეული ყოფილიყო რაიმე ტიპის ქსოვილში, სამარხი ძალიან ცუდ მდგომარეობაში დაგვხვდა – ძვლები ადვილად იმსხვრეოდა, შესაბამისად, ძვლების გროვა ამოვიღეთ მინის ბლოკად (ტაბ. III_{1.4}). ამ სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი ცალი ზურგშეზნექილი და პირგახსნილი სამაჯური.

10.04 სამარხი – განეკუთვნება დერგ-სამარხის ტიპს, რომელშიც ასევე ბავშვი იყო დაკრძალული. ჩონჩხის ძვლები ძლიერ იყო დაზიანებული და არეული, შესაბამისად დაკრძალვის წესის დაზუსტება ვერ მოხერ-

ხდა (ტაბ I_{5,6}). აღნიშნულ სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს საყურე (ტაბ. IV₁₁), ბრინჯაოს სამაჯური (ტაბ. IV₁₀) და პასტის მძივები. ორივე სამარხიდან აღებული იქნა მიწის სინჯები №№ 2-10, პალეობოტანიკური და პალინოლოგიური ანალიზებისთვის.

თხრილის ძირითად ფართობზე წარმოებული სამუშაოების გარდა, საანგარიშო წელს მოხდა თხრილის სამხრეთ-დასავლეთ კონტურის გასწორება. საქმე იმაშია, რომ 2010 წლამდე თხრილის სამხრეთ კიდეტან გადიოდა მაღალი ძაბვის სადენი, რის გამოც თხრილის სამხრეთი კიდე სწორხაზოვანი არ იყო. სადენის უფრო სამხრეთით გადატანის შემდეგ მოხერხდა თხრილის ამ მონაკვეთის ჩასწორება, სადაც ძირითადად გამოვლინდა ადრე შუა საუკუნეების (IV-VI სს.) ფენები, სადაც აღმოჩნდა აღნიშნული პერიოდის წელშეზნეტილი ამფორის ფრაგმენტები (ტაბ. IV₆), ამფორესკების ძირები, დიდი რაოდენობით სამშენებლო კერამიკა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 2007 წელს თხრილის სამხრეთ კიდეტან გამოვლენილი რიყის ქვის სასიარულო ფენის (“ქუჩის”) გაგრძელება, რომელიც კიდე უფრო სამხრეთით, თხრილის გარეთ გრძელდება (ტაბ. I₇). გამოვლენილი “ქუჩის” შემორჩენილი ნაწილის ზომებია 1.85 მ (სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ) 3.90 მ-ზე (დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ). იმავე ფენაში გამოვლინდა ხელსაფქვავი ქვა, რომელიც სრულად არის შემონახული (ტაბ. IV₂₁).

ზემოთ აღნიშნული მასალების გარდა მიმდინარე წელს თხრილში ასევე გამოვლინდა მძივების საპრიალებელი ქვა (ტაბ IV₂₁), თიხის კონუსის ფორმის გახვრეტილი ნივთი, კიდევე ერთი მცირე ზომის ზოომორფული ფიგურა (ტაბ. IV₃), ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტი [7] და ბრინჯაოს ფირფიტა [8].

სამუშაოების დასრულების შემდეგ, შეუსწავლელი კულტურული ფენების უსაფრთხოების მიზნით, თხრილი დაიფარა პოლიეთილენის საფარით და მიწის თხელი ფენით (ტაბ. I₈).

B თხრილზე წარმოებული სამუშაოების ანგარიში

საანგარიშო წელს სამუშაოები წარმოებდა თხრილის მთელ ფართობზე – მის სამხრეთ (ძველ) და ჩრდილოეთ (ახალ) ნაწილებში (ტაბ. II₁).

ჩრდილოეთ მონაკვეთზე გამოვლინდა კირქვის ქვების ფენა. ფენა ვრცელდება B თხრილის ჩრდილოეთ ნაწილის მთლიან ფართობზე

და შედგება სხვადასხვა ზომის კირქვებისაგან რომელთა ზომები მერყეობს 0.13×0.3 მ შორის (ტაბ. II₂).

2010 წელს ჩრდილოეთ ნაწილში გამოვლენილი კირქვის ქვების ფენა მხოლოდ გაიწმინდა და გათხრის შემდეგ შესაძლებელი იქნება დასკვნების გაკეთება მისი განსაზღვრისთვის, თუმცა გამოდინარე იქიდან, რომ სხვადასხვა ზომის ქვები სხვადასხვა სიხშირით საკმაოდ არასისტემურად არის თხრილში განლაგებული და ფენის განმედიდს დროს მასში აღმოჩენილი მასალა, ძირითადად, კერამიკული ნაწარმი, სხვადასხვა პერიოდით არის წარმოდგენილი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ფენა წარმოადგენს ნაყარს მომიჯნავე ჩრდილოეთ ფერდობიდან.

რაც შეეხება B თხრილის სამხრეთ ნაწილს, აქ უკეთ გამოჩნდა ჯერ კიდევე 2009 წელს აღმოჩენილი საშუალო ზომის კირქვის ქვების ფენა, გაითხარა ასევე 2009 წლის სეზონის მიწურულს აღმოჩენილი ორი სამარხი და ერთი ახალი.

2009 წლის სეზონზე აღმოჩენილი ნაყარი კირქვის ქვების ფენა მდებარეობს თხრილის სამხრეთ ნაწილის ჩრდილოეთ მონაკვეთში. ვრცელდება ჩრდილოეთ-სამხრეთის (1,20×0,9მ) და დასავლეთ-აღმოსავლეთის (2,30×1,60 მ.) მიმართულებით, შეიცავს დიდი რაოდენობით კირქვის ქვებს და ასევე ბათქაშის ფრაგმენტებს.

აღნიშნული ფენა სავარაუდოდ უნდა წარმოადგენდეს მომიჯნავე ჩრდილოეთის ფერდობიდან მიმდინარე ნაყარს.

BB თხრილის სამხრეთ ნაწილში გამოვლენილი მუქი ფერის, დუღაბის შემცველი ფენა ვრცელდება თხრილის სამხრეთ მონაკვეთში (ზომები: სიგრძე – 2.77მ; სიგანე – 2.55 მ). ფენაში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ბათქაში. მასში აღმოჩენილი მასალიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ წარმოადგენს ელინისტურიდან შუა საუკუნეებზე გარდამავალ ფენას და ასევე შეიძლება იყოს ჩრდილოეთ ფერდობიდან ჩამოტანილი არეული ფენა. მასში ჩაჭრილია სამარხი 10.05.

ექსპედიციის მიწურულს თხრილის სამხრეთ ნაწილში გამოვლინდა წრიული ფორმის ბათქაშის შემცველი ფენა, დროის უქონლობის გამო მისი გათხრა მომავალი წლისათვის გადაიდო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ 2010 წლის სეზონზე გაითხარა სამი სამარხი, ორი 2009 წლის სეზონზე გამოვლენილი 1001; 1003 და ერთი წლევანდელი

1005.

10.01 სამარხი წარმოადგენს ქრისტიანული პერიოდის ადრე შუასაუკუნეების სამარხს და მდებარეობს B თხრილის სამხრეთ ნაწილის დასავლეთ კიდეებთან, მის ცენტრალურ ნაწილში. მიცვალებული ესვენა თავით დასავლეთისაკენ, გულაღმა გაშოტილ მდგომარეობაში (ტაბ II_{3,4}). სავარაუდოდ სამარხი ბავშვისა უნდა ყოფილიყო. ჩონჩხის დაცულობა ცუდი იყო. დაფიქსირდა მხოლოდ თავის ქალა, მკლავების ზედა კიდურები და ნეკნები. მიცვალებულის თავის ქალა ჩატეხილი იყო მომიჯნავე ჩრდილოეთ ფერდობიდან დაცურებული მოზრდილი კირქვით (ზომები: 0,18x0,15მ). ჩონჩხის ქვედა ნაწილი არ აღმოჩენილა და მის ადგილას ჩაყრილია ბათქაშები და მცირე ზომის კირქვის ქვები. შესაძლოა, სწორედ ეს იყო მიზეზი ჩონჩხის ქვედა ნაწილის დაზიანებისა.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2009 წელს აღნიშნული სამარხის აღმოსავლეთით, დაახლოებით 30 სმ-ში, გაითხარა მოზრდილი ადამიანის სამარხი (ჩონჩხი საკმაოდ დიდი ზომისა იყო). შესაძლოა ამ სამარხის გაჭრის მიზნით იქნა ამოღებული ჩონჩხის ქვედა ნაწილი.

ნაყარში აღმოჩნდა კერამიკის სამი ნატეხი, რომლებიც თავისი სისქიდან და კეციდან გამომდინარე სავარაუდოდ ერთი ჭურჭლისა უნდა ყოფილიყო.

10.03 სამარხი წარმოადგენს ქრისტიანული პერიოდის სამარხს (10.01-ის თანადროულია). მდებარეობს B თხრილის სამხრეთ ნაწილში, მის დასავლეთ კიდეებთან, 10.01 სამარხის ჩრდილოეთით. მას ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება საშუალო ზომის კირქვის ქვების ფენა. დასავლეთ-აღმოსავლეთ დამხრობის ჩონჩხი გულაღმა გაშოტილ მდგომარეობაშია. კარგად არის შემორჩენილი (ტაბ II₁). ძვლების ზომებისა და ჩონჩხის სიგრძის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეკუთვნის ზრდასრულ ადამიანს. თავის ქალა ჩრდილოეთით არის მიმართული, პირღია მდგომარეობაშია, ორივე ყბა კარგად არის შემორჩენილი. სამარხი უინვენტარია.

10.05 სამარხი მდებარეობს B თხრილის სამხრეთ ნაწილის სამხრეთ მონაკვეთში. ჩაჭრილია ფენაში. სამარხის ჭრილს სამხრეთის და ჩრდილოეთის მხრიდან შემოუყვება საშუალო ზომის სამ-სამი ქვა. ჩონჩხი დასავლეთ-აღმოსავლეთ დამხრობის არის და გულაღმა გაშოტილ მდგომარეობაშია. ჩონჩხი ცუდად არის დაცული. არ ფიქსირდება თავის

ქალა, აღმოჩნდა მხოლოდ ქვედა ყბა კბილებით. ძვლებიდან ფიქსირდება ლავინის ძვლები, ბეჭის ძვლები, ნეკნები, ორივე ხელის მხრის ძვალი, იდაყვის ძვალი და სხივანა ძვლები, გავის ძვალი და მენჯები (მარცხენა ნახევრად დამტვრეულია). არ ფიქსირდება მარცხენა ფეხი, ხოლო მარჯვენა წარმოადგენილია მხოლოდ ბარძაყის ძვლით (ტაბ II₅).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიცვალებული დაკრძალულია ქრისტიანული წესით. ამას მოწმობს მისი დასავლეთ-აღმოსავლეთის დამხრობა და დაკრძალვის წესი – დაკრძალულია გულაღმა გაშოტილ მდგომარეობაში. მაგრამ ჩატანებული აქვს ინვენტარი. მას მარჯვენა ხელზე ეკეთა ბრინჯაოს სამაჯური (ტაბ. IV₁₃), ზურგმუხუნეკავი, მრგვალგანიკვეთიანი მავთულისაგან, ბურცობებიანი ბოლოთი (ტაბ. II₆). სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მსგავსი სამაჯურის აღმოჩენის ფაქტი იშვიათია, თუმცა დასტურდება ნოქალაქევი. სამაჯური თარიღდება ძვ.წ. III ს-ის ბოლო – ძვ.წ. II ს-ის ბოლოთი. სამაჯურის გარდა მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა სხვადასხვა ტიპის მძივები, (ყვითელი ფერის მსხლისებულები ფორმის, ლურჯი ფერის მრგვალი და ასევე ლურჯი ფერის სპირალისებური) სხვადასხვა რაოდენობით (ტაბ. IV₁₇) და აგრეთვე დაფიქსირდა ბრინჯაოს საყურის ფრაგმენტი. ყველა ტიპის მძივი მინისაა. სამარხში აღმოჩენილი მასალიდან და მიცვალებულის დაკრძალვის წესიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სამარხი იყო ელინისტურიდან შუა საუკუნეებზე გარდამავალი ხანის, იმ პერიოდის, როდესაც ქრისტიანობა წარმართობასთან ერთად თანაარსებობდა. როგორც აღვნიშნეთ, სამარხი ჩაჭრილია ფენაში, რომელიც, აქ აღმოჩენილი მასალიდან გამომდინარე, სწორედ ელინისტურიდან შუა საუკუნეებზე გარდამავალი ეტაპის ფენას უნდა წარმოადგენდეს.

2010 წლის სეზონზე A და B თხრილებში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში A და B თხრილში სულ სამი ინვენტარიანი სამარხია აღმოჩენილი. AAA თხრილში – ორი და BB თხრილში – ერთი.

A თხრილი

სამარხი № 2 – დაკრძალული იყო ჩვილი ბავშვი. წარმოადგენდა ძვლების გროვას, რომელიც, დასაშვებია, ქსოვილში ყოფილიყო შეხვეული. ძვლები – მსხვრევადი და არეული.

ინვენტარი: 1. სამაჯური ბრინჯაოსი, პა-

ტარა ზომის, წვრილღეროვანი რკალი. თავები ერთმანეთზე საკმაოდ გადადებული. ბოლოები – ბურცობებით შემკული; 2. სამაჯური ბრინჯაოსი, ოვალურზედაპირიანი, განიერი რკალი, მცირედ ზურგშეზნექილი. თავებისაკენ მცირედ გამსხვილებული და ჩამოჭრილი. თავები ერთმანეთს ძლიერ დაცილებული. კარგი პატივით იქნებოდა დაფარული.

დერგსამარხი №4 – ვერტიკალურად დაფლულ დერგში ბავშვის ჩონჩხი იყო დაკრძალული.

ინვენტარი: 1. დერგი (ტაბ. IV₅), საკმაოდ დიდი ზომის. ღია მოყავისფრო, არათანაბრად გამომწვარი, თხელკედლიანი, სამეთუნეო მორგზე გამოძერნილი. პირფართო, გარეთკენ გადახრილი, ბაკო მცირედ შესქელებული. დაბალყელიანი, შეზნექილპროფილიანი. კორპუსი მხრებიდანვე ფართო და მომრგვალებული, ძირისაკენ თანდათან დავიწროვებული. პატარა ზომის ბრტყელი ძირით დაბოლოვებული; 2. სამაჯური ბრინჯაოსი, პატარა ზომის, მსხვილგანიკვეთიანი, ოდნავ დეფორმირებული რკალი. თავები ერთმანეთისაგან საკმაოდ დაცილებული და ბოლოებჩამოჭრილი; 3. საყურე რგოლი, ბრინჯაოსი, წვრილღეროვანი. თავგახსნილი. ძალზე პატარა ზომის. დეფორმირებული; 4. მძივები, სხვადასხვა ფერის პასტის, წვრილი, მრგვალი და ბრტყელი ფორმის.

№ 2 სამარხის ზურგშეზნექილი სამაჯური ძვ.წ. III-II საუკუნეებით დათარიღებულ სამაჯურებთან ამჟღავნებს მსგავსებას. იმის გამო, რომ ეს სამარხი და შესაბამისად ჩონჩხიც ძალზე არეული იყო, თვით სამარხის ფორმაც ვერ განისაზღვრა, ჩვენი აზრით, ეს სამაჯური ასევე დანგრეული სხვა სამარხიდან უნდა იყოს მის ახლოს მოხვედრილი.

რაც შეეხება თავგადადებულ სამაჯურს, კოლხეთის კოლექციებში მისი ანალოგი არ იძებნება. იგი არც ნოქალაქევის ადრე აღმოჩენილი ქვევრსამარხებისა თუ ორივე ტიპის ორმოსამარხებისთვის არ არის დამახასიათებელი, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. IV-I საუკუნემდეა, მაგრამ თვით ნოქალაქევი გვაქვს ანალოგიური, ასე ვთქვათ, „არასამარხეული“ მსგავსი სამაჯური.

საქმე ეხება, 1947 წ. გათხრილ ჰორიზონტალურად დაფლულ №5 ქვევრსამარხს, რომელიც ძვ.წ. III-II სს-ითაა დათარიღებული. ამ სამარხიდან 0,35 სმ დაშორებით აღმოჩნდა ვერტიკალურად დაფლული დერგის

ქვედა ნაწილი, რომელშიც რაღაც ფრინველის ძვლებთან ერთად ანალოგიურ სამაჯური იყო აღმოჩენილი.

სამთავროს სამაროვანზე ჰორიზონტალურად დაფლული ქვევრსამარხის, ასევე გვერდით, ვერტიკალურად ჩადგმული, ცხოველის ძვლებითა და ქვევრსამარხისათვის არადამახასიათებელი ინვენტარის, ჭურჭლების შემცველი აღმოჩენა, კენოტაფებად ან ქვევრსამარხებთან დაკავშირებულ რიტუალური დანიშნულების ჭურჭლებადაა მიჩნეული, თუმცა კენოტაფსაც არ გამოირიცხავდნენ.

დერგსამარხის აღმოჩენა A ამ თხრილისათვის უკვე მეორე შემთხვევაა. 2006 წ. ზუსტად ჩვენი დერგის იდენტური დერგი-სამარხი აღმოჩნდა. საინტერესოა ისიც, რომ მასშიც ბავშვი იყო დაკრძალული, სამწუხაროდ, სამარხი უინვენტაროა. რაც შეეხება ჭურჭელში დაკრძალვის საკითხს, ამავე უბანზე 2008 წ. სამი ამფორა სამარხია აღმოჩენილი თანაც სამივე – ჩვილი ბავშვის.

საინტერესოა ისიც, რომ ამ თხრილში მომრავლდა ბავშვთა სამარხები, ისინი იმავდროული ნაგებობების სიახლოვესაა აღმოჩენილი. ეს ბერძნული სამყაროდან შემოსული წესი უნდა იყოს, როცა ბავშვებს საერთო სასაფლაოზე არ კრძალავდნენ, არამედ სახლთან ახლოს. საინტერესოა, რომ ასეთივე დაკრძალვის წესია დადასტურებული სვანეთის ეთნოგრაფიაშიც.

დერგსამარხი უცხოა კოლხებისათვის. ეს ნიმუში აშკარად ელინისტურია. მასში აღმოჩენილი სამკაული უფრო გვიანდელი იერსახისაა. ამდენად, იგი ძვ.წ. II საუკუნისაკენ უნდა გადაიხაროს.

სამარხის ქრონოლოგიის დასადგენად არსებითია დაკრძალვის წესი. თუმცა ზოგჯერ, იმ დროს არსებული რელიეფის გამო ან სამარხის დანგრევამაც შეცვალოს ჩვენამდე მოღწეული სამარხის ფორმა. დაკრძალვის წესი რელიგიის გამომხატველია. ის იდეოლოგიის ყველაზე კონსერვატიულ სფეროს წარმოადგენს. სამწუხაროდ, ჩვენი სამარხების მდგომარეობა არ იძლევა ამის გამოყენების საშუალებას, ამიტომ ქრონოლოგიის განსაზღვრისათვის სამარხეულ ინვენტარს უნდა დავყვრდნოთ.

ელინისტური ხანის სამარხეული ინვენტარი საერთოდ ღარიბულია. ძირითადად სამკაულითაა წარმოდგენილი. ესაა: სამაჯური, ბეჭედი, საყურე, მძივები, იშვიათ შემთხვევაში – მონეტა. მათი საშუალებით ასაკის დადგენა

უფრო ძნელდება, ვინაიდან ლითონის ნაწარმი უფრო დიდხანსაა მიმოქცევაში, ვიდრე ვთქვამთ კერამიკული ჭურჭლისა. მაგალითად, საყურე მთელი ანტიკური პერიოდის სამარხთა ინვენტარის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს.

№ 2 სამარხი და ადრე გათხრილი სამარხთა ნაწილიც, გამთხრელების აზრით, შეიძლება კრემაციულიც არ იყოს (ამ სამარხებში ჩონჩხები არეულია). რა თქმა უნდა, ეს არ არის მისი კლასიკური ფორმის გამოვლინება. კრემაცია, ანუ მიცვალებულის დაწვის წესი კოლხეთში ძველადაც ჰქონიათ, თუმცა თიხის საგანგებო ჭურჭელში ფერფლის დაფლვა კი უფრო გვიანდელი მოვლენაა. მაგალითად, სოხუმის მთაზე აღმოჩენილი კრემაციული ორი სამარხი ძვ.წ. VI საუკუნითაა დათარიღებული. ეს წესი ადრე შუასაუკუნეებამდე აღწევს – ნებელდის კრემაციული სამარხები. გვიანრომულ ხანაში ეს წესი არამარტო ზღვის სანაპიროზე, არამედ ქვეყნის შიგნითაც აღწევს.

რაც შეეხება კრემაციას ელინისტურ ხანაში, ის ცნობილია ჩხორონწყუში, სადაც ასეთი სამარხი თავის დროზე III-I ს-ით იყო დათარიღებული. შემდგომში გამოირკვა, რომ ის ასე ძველი არ უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს იქვე აღმოჩენილი რომაული მონეტები. გარდა ამისა ჩხორონწყუს სამაროვნისთვის დამახასიათებელი ინვენტარი – ბუდეაბმული ფიბულები და მრგვალრკალიანი, ბოლოებგადახვეული სამაჯურები, საქართველოში ჩვენ წელთაღრიცხვამდე არ გვხვდება.

ჩვენი აზრით, სავარაუდოდ, კრემაციულად მიჩნეული დაკრძალვის ფორმა, ძალზე არეული ჩონჩხებით, უფრო მეორადი დაკრძალვის უნდა იყოს. შესასწავლია მისი ფორმები, თუ როგორ დაკრძალვის წესთან გვაქვს საქმე, რისთვისაც მეტი ინფორმაციის დაგროვება იქნება საჭირო.

ამრიგად, წელს აღმოჩენილი სამარხები ელინისტურია, მაგრამ მის უფრო გვიან, III-II საუკუნეებს უნდა განეკუთვნოს.

B თხრილი

ამ თხრილში აღმოჩნდა ქრისტიანული წესით დაკრძალული 3 სამარხი. აქედან მხოლოდ ერთია ინვენტარიანი.

სამარხი №5. სამარხს სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან შემოწყობილი ჰქონდა კლდის ფლეთილი სამ-სამი ქვა. საერთოდ სამარხის ქვებით შემოწყობა ნოქალაქევის III-II საუკუნეების სამარხებისთვისაა დამახასიათებელი, რაც ალბათ სამარხის

მონიშვნის ან გამაგრების თვალსაზრისით იყო განპირობებული. ჩონჩხი ქრისტიანული წესითაა დაკრძალული – გულაღმა, გამოტილ მდგომარეობაში. იგი ცუდად იყო შემონახული, ბევრი ნაწილი აკლდა. დამხრობა დასავლეთ-აღმოსავლეთისაკენ.

სამარხეული ინვენტარი: 1. სამაჯური ბრინჯაოსი, მრგვალგანიკვეთიანი მსხვილი რკალი. თავები ერთმანეთზე მცირედ გადადებული და ჩამოჭრილი. ეტყობა, კარგი პატივით იქნებოდა დაფარული; 2. საყურის მცირე ფრაგმენტი, ბრინჯაოსი, წვრილლეროვანი; 3. მძივები მინის, საკმაოდ დიდი აცმა.

ამ სამარხში აღმოჩენილი სამაჯურის მსგავსი ჩვენთვის მხოლოდ ნებელდის ერთ-ერთი ორმოსამარხიდანაა ცნობილი, სადაც ის სხვა ნივთებთან ერთად – ერთნილადი ფიბულა და მონეტა – ახ.წ. III საუკუნითაა დათარიღებული, ხოლო სამაჯური კი ახ.წ. II საუკუნის ბოლო და III საუკუნის დასაწყისით.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მძივები, რომლებიც მთელი ანტიკური სამარხეული ინვენტარის აუცილებელ და მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენს. აქედან, მინის მძივები, რომლებიც საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ ჩარჩოს მოიცავენ, განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ძველი ათასწლეულის ბოლოს, სადაც მათ ხშირად სხვა ფაქტურისა და რაოდენობის მძივები ახლავს ხოლმე, იქნება ეს თვალედი თუ ინკუსტრირებული მძივების რამდენიმე ცალი. ასევე შეიძლება ახლდეს თითო-ოროლა სარდიონიც კი. ახალი წელთაღრიცხვიდან კი დომინირებს მინის მძივები, განსაკუთრებით ყვითელი და ლურჯი შეფერილობის. წარმოდგენილ ყვითელი ფერის მძივებს უცნაური ფორმა აქვთ, თითქოს ორი სხვადასხვა ფორმისა და ზომის მძივია ერთმანეთზე დასმული, ლურჯი კი ბრტყელი-ჩამოჭრილი ან სპირალურია.

ასეთივე სურათია ჩრდილო შავიზღვისპირეთის თანადროულ ძეგლებზეც.

B თხრილის № 5 სამარხი გვიანანტიკური პერიოდისაა. II საუკუნის ბოლოს და III საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

2010 წლის სეზონზე ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი მასალის კონსერვაცია-რესტავრაცია

ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2010 წელს A და B თხრილებში მიმდინარე სამუშაოების დროს, ფენებიდან და ხუთი სამარხიდან მოპოვებული

არქეოლოგიური მასალის ძირითადი ნაწილი ნოქალაქევის ბაზაზე არსებულ საველე-საკონსერვაციო ლაბორატორიაში იქნა დამუშავებული.

კერამიკული მასალის ძირითადი ნაწილი ადგილზევე იქნა განმენდილი. მოპოვებულ მასალაში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და სამშენებლო მასალა, რომელმაც ასევე მხოლოდ ფრაგმენტული სახით მოაღწია ჩვენამდე.

თიხის ხარისხის, გამოწვის ხასიათისა და ტემპერატურის სხვაობის გამო ფრაგმენტები სხვადასხვა ფერის არის. ძირითადად ბაცი ყავისფერი, ნითელი ან შავი ფრაგმენტები გვხვდება. განსხვავებულია წარმოდგენილი კერამიკული მასალის სისქეც.

2010 წლის გათხრებისას მოძიებული სამარხის დერგი (ტაბ. IV₅) და კულტურულ ფენაში აღმოჩენილი ამფორა (ტაბ. IV₆) ნოქალაქევის ლაბორატორიაში იქნა განმენდილი, აღდგენილი და კონსერვირებული.

2010 წლის არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული ლითონის მასალაში წარმოდგენილი ბრინჯაოს არტეფაქტებიდან ორი სამაჯური დაფარული იყო ავი პატინით. ისინი ძლიერ დაზიანებულ პატარა ჩონჩხის ძვლებთან ერთად ამოვიღეთ ერთიანი მინის ბლოკის სახით (ტაბ. III_{1,3}).

ეს ბლოკი გადატანილ იქნა ნოქალაქევის ექსპედიციის საველე ლაბორატორიაში (ტაბ. III₄). ადგილზე უკვე ძალიან ფრთხილად, რბილი საფხეკების და ფუნჯების გამოყენებით, თანდათანობით იქნა მოშორებული მინა ძვლებიდან და სამაჯურებიდან.

მექანიკური ნადებისა და მინის მოსაშორებლად სამაჯურები მოვათავსეთ სპირტში და რბილი ჯაგრისით გაწმინდეთ. ბინოკულარის ქვეშ მექანიკურად განმენდის შემდეგ, სამაჯურები ბორმანქანაზე დამაგრებული ჯაგრისით გავაპრიალეთ. სამუშაოების დასრულების შემდეგ სამაჯურები დაფარეთ პარალოიდ ბ72-ის 5%-იანი აცეტონხსნარით.

ანალოგიურად მოხდა ბრინჯაოს სხვა ნივთების დამუშავებაც. ბოლოს ყველა კონსერვირებული ნივთი შეიფუთა და მოთავსდა სპეციალურ ყუთში, შესაბამის ფარდობით ტენიანობაზე (RH \square 20%), რომლის კონტროლიც სილიკაგელისა და ინდიკატორული ბარათის დახმარებით ხორციელდებოდა.

2010 წელს რესტავრირებულ-კონსერვირებული იქნა A და B თხრილებზე აღმოჩენილი:

ბრინჯაოს სამაჯურები, 5 ც (ტაბ. IV_{7-10,13}); საყურე რგოლი (ტაბ. IV₁₁); საკინძის(?) თავი (ტაბ. IV₁₂); საყურის(?) ღეროს ფრაგმენტი (ტაბ. IV₁₄); კილიტის მსგავსი ფირფიტა (ტაბ. IV₁₅).

მინის მასალა წარმოდგენილია მძივების და სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტების სახით. მინა ნაწილობრივ ირიზირებული იყო. მინის მოსაშორებლად მასალა მოთავსებულ იქნა სპირტში და რბილი ჯაგრისით სათითაოდ გაიწმინდა. B თხრილის მძივები, მცირე მონაპოვრის ნომრებით №3, №4 და №5 გაერთიანდა და ერთი საინვენტარო ნომერი მიეცა.

2010 წელს აგრეთვე აღმოჩენილი იყო: მინის მძივები (ტაბ. IV_{17,19}); მინის ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. IV₁₈), ქვის საბეჭდავი (ტაბ. IV₁₆), მძივების სახეხ-საპრიალებელი ქვა (ტაბ. IV₂₀), ქვის ხელსაფქვავი (ტაბ. IV₂₁).

სამუშაოების დასრულების შემდეგ ყველა მონაპოვარი დაიფარა პარალოიდ ბ72-ის აცეტონხსნარით. ყველა რესტავრირებულ ნივთზე შეიქმნა სარესტავრაციო სამუშაოებისა და გამოყენებული მასალის ამსახველი ბარათები, რომლებიც ნივთებთან ერთად დაცულია შესაბამის ფონდში.

ტრეინინგები. ექსპედიციის მუშაობის პერიოდში ქართველ და უცხოელ სტუდენტებს ჩაუტარდათ ტრეინინგები: საველე არქეოლოგიაში (ტაბ. III_{7,8}), პრევენციულ კონსერვაციაში, არქეოლოგიური კერამიკის განმენდასა და რესტავრაცია-კონსერვაციაში, ოსტეოლოგიურ კვლევებში.

2010 წლის პალეობოტანიკური კვლევის ანგარიში

ნოქალაქევის პალეობოტანიკური კვლევები 2006 წლიდან მიმდინარეობს და დღეისათვის 130-ზე მეტი ნიმუშია შესწავლილი. ნაქალაქარის ქვედა ტერასის აღმოსავლეთ სექტორში სხვადასხვა კულტურული ფენიდან (თხრილი №1, №4 უბ. VII კვ. F₃ და უბ. VI კვ. F₃) და ასევე A თხრილზე (უბ. XXX კვ. F₂) ელინისტური ეპოქის სამარხებიდან შესწავლილ ნიმუშებში გამოვლენილია განამარხებულ მცენარეთა ფართო სპექტრი: რამდენიმე სახის ხორბალი, ქერი, ფეტვი, ღომი, ოსპი, სელი, ვაზი, კაკალი, თხილი, აგრეთვე კულტურულ მცენარეთა თანმდევი სარეველების და ველურად მოზარდ მცენარეების ნაყოფთა ნაშთები. კარპოლოგიურ კომპლექსში კულტურული მცენარეების და ბუნებრივი სავარგულების სარეველების გამოვლენა ამ პერიოდში მოსახლეობის აქტიურ

სამეურნეო საქმიანობაზე მიგვივითებს. 2010 წლის არქეოლოგიური გათხრების დროს A და B თხრილიდან აღებული მასალა გაირეცხა და გამოყოფილი ფრაქციები შევისწავლეთ სინათლის მიკროსკოპით $\times 10$ — $\times 40 \times 60$ გადიდებებზე. განამარხებული კარპოლოგიური მასალა წარმოდგენილია 30–ზე მეტი სახეობის განამარხებული თესლებით და ნაყოფებით (ცხრილი N 1, ტაბულა VI₁₋₃₂).

შესწავლილი ნიმუშებიდან განამარხებულ მცენარეთა ნაშთებით ყველაზე მრავალფეროვანია სამარხი 10.04, სახეობათა სპექტი წარმოდგენილია როგორც საკვები კულტურების (ხორბალი, ღომი, ოსპი, ყურძენი), ასევე მათი თანმდევი სარეველების და ველურ სახეობათა განამარხებული ნაყოფებით. მცენარეული ნაშთებით ღარიბია B თხრილის სამივე სამარხიდან შესწავლილი ნიმუშები, მხოლოდ ხორბლის და ღომის რამდენიმე მარცვალს შეგვხვდა. ასევე მცირე რაოდენობითაა სარეველების თესლები. აღსანიშნავია განამარხებული ქსოვილის 2 სმ დიამეტრის მომრგვალო ფრაგმენტის და ცალკეული ნაგრები ძაფების (15 ცალი) გამოვლენა (ნიმუში 304, სამარხი N 10.03, B თხრილი) (ტაბულა VI₂₃₋₂₇). ქსოვილის ნაშთი სავარაუდოდ სუდარის ან სამოსის უნდა იყოს. იგი მინერალიზებულია. მინერალიზირებული ნიმუშიდან ძაფების რამდენიმე (3 ცალი) ფრაგმენტი დავამუშავეთ აცეტოლიზური მეთოდით. ქიმიური დამუშავების შედეგად ბოჭკოები ადვილად განცალკევდა და ინარჩუნებდა ძაფის გრების მიმართულებას. ძაფის შემადგენელი ბოჭკოები ქსილემის სქელგარსიანი მოგრძო უჯრედების რამდენიმე კონითაა წარმოდგენილი. განამარხებულ მცენარეულ ბოჭკოებზე გამსხვილებების და ვიწრო სანათურის არსებობის გამო, ჩვენი ვარაუდით, ბოჭკოს ნიმუშები სელს განეკუთვნება. განზრახულია აღნიშნული ქსოვილის უფრო დეტალურად გამოკვლევა.

განამარხებულ კარპოლოგიურ მასალაში შედარებით უხვადაა წარმოდგენილი ველურად მოზარდი მცენარეები, ძირითადად, ბალახოვანი საფარის შემქმნელი რუდერალური და სეგეტალური სახეობები. ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი სახეობის თანამედროვე გავრცელების არეალი, ეკოლოგია და სამეურნეო მნიშვნელობა.

ველურად მოზარდი მცენარეები

Corylus avellana L. ჩვეულებრივი თხილი. მრავალწლოვანია, II-II, VIII-IX. ეკოლოგიური

პირობები: იზრდება ტყეებში მთის ზედა სარტყლამდე, ტყის პირებზე ბუჩქნარების რაყას ქმნის.

Diantus barbatus L. ოსმალური მიხაკი. მრავალწლოვანია, V-VII. ეკოლოგიური პირობები: მთის ქვედა და შუა სარტყელში, ღია ადგილებში, მინდვრებში და ტყის პირებზე.

Coridalis sp. ბუჩქისძირა მრავალწლოვანია, IV-VI. ეკოლოგიური პირობები: იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში, ფართოფოთლოვან ტყეებში.

Ranunculus muricatus L. დუგუში. ერთწლოვანია, IV-V. ეკოლოგიური პირობები: დაბლობებში და მთის ქვედა სარტყელში, ტენიან ადგილებში, ხშირად როგორც სარეველა მინდვრებზე და ტყის პირებზე.

Milium effusum L. მილიუმი. მრავალწლოვანია, V-VIII. ეკოლოგიური პირობები: ტყის პირებზე დაჩრდილულ ადგილებზე, ველობებზე, ზღვის დონიდან 1800 მ-მდე. სამეურნეო მნიშვნელობა: გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Epilobium parviflorum (Schreb.) DC. ნყალ-ნანყენა, მრავალწლოვანია, VII-VIII. ეკოლოგიური პირობები: იზრდება ტენიან ადგილებში, მდინარეთა და ნაკადულების პირას, ბუჩქნარებში. რუდელარული სარეველაა – უფრო ხშირად გვხვდება გზის პირებზე. ასევე იზრდება ბოსტანში და ხორბლეულთა ნათესებში.

Galium verum L. მინდვრისნემსა. მრავალწლოვანია, VII-VIII. ეკოლოგიური პირობები: იზრდება დაჩრდილულ, ჭაობიან ტენიან ადგილებში, გზის პირებზე, იშვიათად ხორბლის ნათესებშიც.

ნათესების სარეველები:

Echinochloa crus-galli (L.) Roem. ბურჩხა. მრავალწლოვანია, VII-IX ეკოლოგიური პირობები: იზრდება ბუჩქნარებსა და მინდვრებში, კლიმატის მიმართ ნაკლებად მომთხოვნია, ძალიან აგრესიული სარეველაა, გაურბის ხორბლის ნათესებს და უფრო მეტად ეტანება ფეტვისა და ღომის ნათესებს, ხშირად გვხვდება ბალ-ბოსტნებში, რუდერალურ ადგილებში, გზის პირებსა და საცხოვრებელ ადგილებში. სამეურნეო მნიშვნელობა: თესლები გამოიყენება სპირტის სახდელად.

Echinochloa frumentacea (Roxb.) Link. ურიში. ერთწლოვანია, VIII-IX. ჩვენთან ცნობილია, როგორც კულტურული სახეობა. ეკოლოგიური პირობები: სარეველაა, გვხვდება სათესი ხორბლის ყანებში. სამეურნეო მნიშვნელობა:

გამოიყენება როგორც კარგი საკვები ცხენის და რქოსანი პირუტყვის.

Briza media L. ცახცახა. მრავალწლოვანია, V-VII ეკოლოგიური პირობები: მდელოებზე და ველოებზე, ბუჩქნარებსა და მინდვრებზე, მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპურის ჩათვლით. კლიმატის მიმართ ნაკლებად მომთხოვნია, ძირითადად დაბლობის მარცვლოვანია. იზრდება გზის პირებსა და თხრილებზე, ხორბლისა და პარკოსანთა ნათესებში, *Triticum timofeevii*-ის ნათესებში. სამეურნეო მნიშვნელობა: ფოთლების სუსტი განვითარების გამო მხოლოდ მეორეხარისხოვანი საკვები მნიშვნელობა აქვს, საკვებად იყენებს უმთავრესად ცხვარი.

Eleusine indica (L.) Gaerth. დაგუსა. ერთ-წლოვანია, V-VIII ეკოლოგიური პირობები: იზრდება დაბლობსა და მთის ქვედა სარტყელში, გზის პირებზე, რუდერალურ ადგილებსა და ნათესებში გზადმოყოლილი სარეველთა საერთო გავრცელება: ხმელთაშუა ზღვა, აღმოსავლეთ აზია, ინდოეთ-მალაზია. სამეურნეო მნიშვნელობა: მარცვალი გამოიყენება საკვებად, როგორც ფეტვი.

რუდერალური ადგილების სარეველები:

Oxalis corniculata L. მჟაველა, მრავალ-წლოვანია, V-VIII. ეკოლოგიური პირობები: იზრდება დაბლობსა და მთის ქვედა სარტყელში, რუდერალურ ადგილებსა და ბალებში, ტენიან ადგილებში, მდინარის პირას. სამეურნეო მნიშვნელობა: გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, თაფლოვანი მცენარეა.

Rumex obtusifolia L. ლოლო. მრავალწლოვანია, VI-VIII. ეკოლოგიური პირობები: იზრდება ჭარბტენიან ადგილებში, მდინარის პირას, ბალ-ბოსტნებში, რუდერალურ ადგილებში, უფრო იშვიათად ნათესებში: ხორბლის, ქერის, სელის, პარკოსანი კულტურების ნათესებში. სამეურნეო მნიშვნელობა: გამოიყენება სახალხო მედიცინაში, თაფლოვანი მცენარეა.

Sanguisorba officinalis L. თავსისხლა. მრავალ-წლოვანია, VI-VIII. ეკოლოგიური პირობები: გავრცელებულია მდელოებზე, ტყის პირებზე, ზოგჯერ ხორბლის და სელის ნათესებში. სამეურნეო მნიშვნელობა: სასარგებლო მცენარეა, ხალხურ მედიცინაში გამოიყენება.

Plantago lanceolata L. ლანცეტა მრავალ-ძარღვა. მრავალწლოვანია, ეკოლოგიური პირობები: იზრდება ჭარბტენიან მდელოებზე, საცხოვრებელ ადგილებთან, რუდერალურ ადგილებში, უფრო იშვიათად ნათესებში. სამეურნეო მნიშვნელობა: გამოიყენება ხალხურ

მედიცინაში.

Eragrostis minor Host. ტეფი. მრავალწლოვანია, V-VIII. ეკოლოგიური პირობები: სილნარებსა და რიყნარებზე, აგრეთვე როგორც რუდერალური სარეველა გზის პირებსა და ეზოებში, დაბლობ ზონაშია გავრცელებული. სამეურნეო მნიშვნელობა: საქონლის საკვებია.

Chenopodium album L. ნაცარქათამა. ერთ-წლოვანია, V-VII. ეკოლოგიური პირობები: იზრდება გზის პირებსა და თხრილებში. სამეურნეო მნიშვნელობა: გამოიყენებოდა წარსულში საკვებად და ხალხურ მედიცინაში.

ცხრილი N 1

სახეობის ლათინური სახელწოდება	მცენარის ქართული სახელწოდება	თხრილი და კონტექსტი					
		A N10.02	A KL	A N10.04	B (414) N10.01	B (417) N10.03	B (426) N10.05
საკვები მცენარეები							
<i>Triticum aestivum</i>	რბილი ხორბალი			++			
<i>Triticum dicoccum</i>	ასლი	+	+			+	+
<i>Setaria italica</i>	ლომი		+	+++			+
<i>Lens culinaris</i>	ოსპი			+++		+	
<i>Vitis vinifera fragm</i>	ვაზის ფრაგმენტები	+		+++			
<i>Linum ussitatissimum</i>	კულტურული სელი			+			
ველურად მოზარდი მცენარეები							
ტყისპირებზე, ბუჩქნარებსა და ტენიან მდელოებზე გავრცელებული სახეობები							
<i>Corylus avellana</i>	თხილი				+		
<i>Dianthus barbatus</i>	ოსმალური მიხაკი			+			
<i>Coridalis sp.</i>	ბუჩქისძირა					+	+
<i>Ranunculus muricatus</i>	დუგუმი					+	
<i>Milium effusum</i>	მილიუმი		+				
<i>Epilobium parviflorum</i>	ჭყალნანყენი						+
<i>Galium verum</i>	მინდვრისნემსა						
<i>Bolboschoenus maritimus</i>	--		+				
<i>Carex pilulifera</i>	ისლი		+				
<i>Carex sylvatica</i>	ისლი		+				
<i>Corydalis cava</i>	ბუჩქისძირა					+	
<i>Cyperus fuscus</i>	თავნასკვა					+	
<i>Lepidium heteropyllum</i>	ჭინმატელა					+	
<i>Ranunculus bulbosus/ muricatus</i>	დუგუმი					+	
<i>Ranunculus repens</i>	ნიახურა					+	
<i>Salvia viridis</i>	შალბი		+				
<i>Pulmonaria sp.</i>	ორფერი		+				
ნათესების სარეველები							
<i>Echinochloa cruss-galli</i>	ბურჩხა	+	+	++		+	+

<i>Chenopodium album</i>	ნაცარქათამა			++			
<i>Briza media</i>	ჩახცახა			+		+	
<i>Eleusine indica</i>	დაგუსა			+	+		
<i>Amaranthus lividus</i>	ჟიჯლაყა			+			
<i>Brassica rapa</i>	თაღამი			+			
<i>Genista pillosa</i>	კურდღლისცოცხა			+			
<i>Geranium molle</i>	ქათმისკუჭა			+			
<i>Panicum capillare</i>	----			+			
<i>Medicago lupulina</i>	სვისებრი იონჯა	+					
<i>Oxalis corniculata</i>	მჟაველა			+			
<i>Sagina procumbens</i>	--			+			
<i>Silene dioica</i>	ქოთანა			+			
<i>Malva silvestris</i>	ბალბა			+			
<i>Ranunculus arvensis</i>	ყანის ბაია					+	
რუდერალური მცენარეები							
<i>Oxalis corniculata .</i>	მჟაველა			+		+	
<i>Sanguisorba officinalis</i>	თავსისხლა	+	+	+++	+		
<i>Rumex obtusifolia</i>	ლოლო					+	
<i>Plantago lanceolata</i>	ლანცეტა მრავალძარღვა	+					
<i>Galium verum</i>	მინდვრისნემსა					+	
<i>Eragrostis minor</i>	ტეფი		+		+		+
<i>Leucosium aestivum</i>	ცხენისკბილა			+			
<i>Lotus corniculatus</i>	კურდღლისფრჩხილა			+			
<i>Myosotis discolor</i>	კესანე		+				
<i>Sinapis desserta</i>	მდოგვი			+			
<i>Valerianella officinalis</i>	კატაბალახა			+			
<i>Carduus acanthoides</i>	ნარშავი			+			
<i>Asparagus officinalis</i>	ბალის სატაცური			+			
<i>Polygonum hydropiper</i>	ჭალიკა					+	
<i>Cirsium vulgare</i>	კარი					+	

REPORT ON EXCAVATION IN 2010 BY ANGLO-GEORGIAN EXPEDITION AT NOKALAKEVI

Trench A. The Anglo-Georgian Archaeological expedition worked on the site between Monday 17th July and Friday 15th August 2010. During this season excavation continued in Trenches A and B.

The broad aims and objectives for the 2010 field season For Trench A (Area XXX, Site quarter – F2, GPS coordinates: N 42°21'26.1", E 42°11'44.5") were to finish investigation of Hellenistic layers, structures and burials. The trench A team could excavate Hellenistic layer completely. The next layer underneath includes early antique (6th-4th cc BC) ceramic material (cook and ritual pottery). The thickness of layer – 10-20 cm.

The ruins of building have been revealed in that layer. It situated in the south half of the trench. The structure includes series of six, large, unworked boulders underlying stones; forming east west aligned wall. Dimensions: 3.10 × 5.70 m.

Two Hellenistic graves have been discovered during the excavation of 235 layer. 1st grave was comprised of an incomplete, largely disarticulated, neonate. It contained two copper alloy bracelets (Small Finds 1 and 3).

A second burial was identified within a sub-circular cut, truncating the apex of stones, and located immediately to the west of wall. A coffin comprising of the base of a large dergi/pithos vessel, with a second base as a lid was contained in this cut. Within the vessel was an incomplete, partially disarticulated juvenile; It contained A copper alloy bracelet and earring as well as beads (Small Finds 9, 10 and 13).

Trench B. During the reporting year on trench B excavations were going on the whole area of the trench – in its south part (the old one) and the north part (new one). On the north part of the trench in denoted period were displayed five layers.

In spite of this fact that during expedition time all these layers were only cleaned and not fully excavated we can make some kind of conclusion beforehand. Consequent from discovered mixed material which are dated by various periods and unsystematically situated cobbles in the trench, we think that these are fill layers from the adjoining North Slope. But next year excavations will give possibility to make exact inference.

Touching the South part of the trench there were excavated cobble layer, and three graves. Two of them were discovered in 2009 year at the end of the working period and one in 2010. Two graves are of Christian period and one grave belongs to period when Christianity coexists with paganism. An important finds of this year are: yellow colored glass beads, spiral formed blue colored glass beads, bronze bracelet, fragment of bronze earring and bronze claps of grave-clothes.

Restoration-Conservation. The most of the archaeological finds (Ceramic, Metal (Bronze, copper alloy), stone, glass) discovered in Trenches A and B in 2010 have been restored and conserved in the Nokalakevi's expedition field laboratory.

Archaeobotanical Investigation. More than 30 samples were taken for archaeobotanical investigation in 2010. The samples were treated from Hellenistic and Early Christian period graves (trench A, B) and cultural occupation layers from both of trenches.

The samples were water sieved through the meshes from 0.35-4 mm sieves according to standard procedure. Plant remains were identified by microscope with magnifications between 6 and 50.

Wheat, grape and other plants have been discovered during the archaeobotanical investigation.

ტაბულაჰის აღწერილობა:

- ტაბ. I** - 1. A თხრილი გათხრების დაწყებისას; 2. 268-ე ფენა, საერთო ხედი; 3. ადრეანტიკური ნაგებობის ნაშთი, ხედი აღმოსავლეთიდან; 4. ზოომორფული ფიგურების ფრაგმენტები; 5. 10.05 დერგსამარხი გახსნამდე; 6. 10.05 დერგსამარხი გახსნის შემდეგ; 7. „ქუჩის“ ფრაგმენტი, ხედი აღმოსავლეთიდან; 8. A თხრილი პოლიეთილენის საფარით დახურვის შემდეგ.
- ტაბ. II** - 1. B თხრილი გათხრების დაწყებისას; 2. (422)-ე ფენა, ხედი სამხრეთიდან; 3-4. 10.01 სამარხი; 5. 10.05 სამარხი; 6. ბრინჯაოს სამაჯური 10.05 სამარხიდან; 7. 10.03 სამარხი.
- ტაბ. III** - 1. სამაჯურები და ძვლები *in situ*; 2. სამაჯური და ძვლები მიწის ბლოკში *in situ*; 3. მიწის ბლოკის ამოღების პროცესი; 4. სამაჯური და ძვლები მიწის ბლოკში ამოღების შემდეგ; 5. ბიუსტის წმენდის პროცესი; 6. მღიერებისა და ჩიტების ექსკრიმენტებისგან დაზიანებული ბიუსტი; 7-8. ტრეინინგების პროცესი.
- ტაბ. IV** - 1. ზოომორფული ქანდაკების თავი; 2. ამფორისკი; 3. ქანდაკება (ნაკლული); 4. სანაფი; 5. დერგი; 6. ამფორა; 7. ბრინჯაოს სამაჯური; 8. ბრინჯაოს სამაჯური; 9. ბრინჯაოს სამაჯური; 10. ბრინჯაოს სამაჯური; 11. ბრინჯაოს საყურის რგოლი; 12. ბრინჯაოს საკინძის თავი; 13. ბრინჯაოს სამაჯური; 14. ბრინჯაოს რგოლის ფრაგმენტი; 15. ბრინჯაოს ნივთის ფრაგმენტი; 16. საბეჭდავი ქვა; 17. მიწის მძივი; 18. მიწის ქურჭლის ფრაგმენტები; 19. მიწის მძივი; 20. მძივების სახეხ-საპრიალებელი ქვა; 21. №12-974:5705 ქვის ხელის საფქვალი.
- ტაბ. V** – 2010 წელს გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის ნახაზები.
- ტაბ. VI** – 1. ხორბალი ასლი (*Triticum dicoccum Schubl.*); 2. რბილი ხორბალი (*Triticum aestivum s.l.*); 3. ლომი (*Setaria italica (L.) Beauv.*); 4. ვაზის წიპნის ფრაგმენტები (*Vitis vinifera L.*); 5. კულტურული სელი (*Linum usitatissimum L.*); 6. თხილი (*Corylus avellana L.*); 7-8. ბურჩხა (*Echinochloa crus-galii (L.) R&Sch*); 9. ჯიჯლაყა (*Amaranthus lividus L.*); 10. ბალის სატაცური (*Asparagus officinalis L.*); 11. ოსმალური მიხაკი (*Dianthus barbatus L.*); 12. თაღამი (*rassica rapa L.*); 13. (*Bolboschoenus maritimus (lam.) S.M.*); 14. ნარშავი (*Carduus acanthoides L.*); 15. ნიახურა (*Ranunculus repens L.*); 16. წალიკა (*Polygonum hydropiper*); 17. ბურჩხისძირა (*Corydalis cava L.*); 18. ლოლო (*Rumex obtusifolia L.*); 19. ორფერი (*Pulmonaria sp.*); 20. წინმატელა (*epidium heteropyllum L.*); 21. ნარი (*Cirsium vulgare Fisch.*); 22. ისლი (*Cyperus fuscus L.*); 23. ცხენისკბილა (*eucojum aestivum L.*); 24. კურდღლისფრჩხილა (*otus corniculatus L.*); 25. კატაბალახა (*Valerianella officinalis L.*); 26. ქათმისკუჭა (*erageraium molle L.*); 27. იონჯა (*Medicago sp.*); 28. (*Fabaceae*); 29. ისლი (*Carex sylvatica L.*); 29. დაგუსა (*leusine indica L.*); 31. კურდღლისცოცხა (*Genista pillosa*); 32. (*Vitis sp.*).
- ტაბ. VII.** მინერალიზებული ქსოვილის ნაშთი ადრე ქრისტიანული პერიოდის სამარხიდან (სამარხი 10.03); 5-24. მცენარეული წარმოშობის ბოჭკო ქიმიური დამუშავების შემდეგ.


DESCRIPTION OF THE PLATES

- Pl. I – 1. Trench A at the beginning of the excavations; 2. Layer 268, general view; 3. Remains of the building, 6th-4th cc. BC, view from the East; 4. Fragments of zoomorphic figurines; 5. Pot burial 10.05 before opening; 6. Pot burial 10.05 after cleaning; 7. Fragment of the „street“, view from the East; 8. Trench A after conservation.
- Pl. II – 1. Trench B at the beginning of excavations; 2. layer 422, view from the South; 3-4. Grave 10.01; 5. Grave 10.05; 6. Bronze bracelet from the grave 10.05; 7. Grave 10.03.
- Pl. III – 1. Bracelets and bones *in situ*; 2. Bracelets and bones in earthen block *in situ*; 3. Process of extracting of the earthen block; 4. Bracelets and bones after extracting; 5. Process of the cleaning of bronze bust; 6. Bust before cleaning; 7-8. Process of the tranning.
- Pl. IV – Head of the zoomorphic figurine; 2. Amphoriscus; 3. Damaged sculpture; 4. Loom weight; 5. Pot; 6. Amphora; 7. Bronze bracelet; 8. Bronze bracelet; 9. Bronze bracelet; 10. Bronze bracelet; 11. Bronze earring; 12. Head of the bronze pin; 13. Bronze bracelet; 14. Fragment of the bronze ring; 15. Fragment of the bronze item; 16. Signet stone; 17. Glass bead; 18. Fragments of the glass vessel; 19. Glass bead; 20. Stone tool for making beads; 21. Stone handmill.
- Pl. V – Drawings of the artefacts found in 2010.

Pl. VI – *Triticum dicoccum* Schubl.; 2. *Triticum aestivum s.l.*; 3. *Setaria italica* (L.)Beauv; 4. *Vitis vinifera* L.; 5. *Linum usitatissimum* L.; 6. *Corylus avellana* L.; 7-8. *Echinochloa crus-galii* (L.) R&Sch; 9. *Amaranthus lividus* L.; 10. *Asparagus officinalis* L.; 11. *Dianthus barbatus* L.; 12. *Brassica rapa* L.; 13. *Bolboschoenus maritimus (lam.) S.M.* ; 14. *Carduus acanthoides* L.; 15. *Ranunculus repens* L.; 16. *Polygonum hydropiper*); 17. *Corydalis cava* L.; 18. *Rumex obtusifolia* L.; 19. *Pulmonaria sp.* ; 20. *Lepidium heteropyllum* L.; 21. *Cirsium vulgare* Fisch.; 22. *Cyperus fuscus* L.; 23. *Leucojum aestivum* L.; 24. *Lotus corniculatus* L.; 25. *Valerianella officinalis* L.; 26. *Gerageraium molle* L.; 27. *Medicago sp.*; 28. Fabaceae; 29. *Carex sylvatica* L.; 29. *Eleusine indica* L.; 31. *Genista pillosa*; 32. *Vitis sp.*

Pl. VII – Remains of the mineralized tissue from the Early Christian grave; vegetative fibers after chemical processing.


ცაბ. I




ცაბ. II




1



2



3



4



5



6




7

ცაბ. III




1




2



3



4



5



6




7




8


ცაბ. IV




ცაბ. V



ცაბ. VI



გაბ. VII



ღართისკარში 2011 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები

გასული საუკუნის 80-იან წლებში ღართის-კარის მიდამოებში მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის (ხელმძღვ. აკად. ა. აფაქიძე) მიერ ჩატარებული გათხრებისას მნიშვნელოვან აღმოჩენებს ჰქონდა ადგილი. მიკვლევულ იქნა დედაქალაქის ჩრდილოეთიდან დამცავი მძლავრი კედლები, რომლებიც ნაგები ყოფილა ალიზით, ქვებისა და ხის ძელების საფუძველზე. კედელი სიგანით 3 მ-დე აღწევდა. მცირერიცხოვანი კერამიკული მასალა, აგრეთვე ალიზის ნყოფის ხასიათი, ზომები, სამშენებლო ტექნოლოგია – კედელს ელინისტური პერიოდით ათარილებდა. C¹⁴ მეთოდით ძეგლის თარიღი ძვ.წ. 280 წლით განისაზღვრა. გამოითქვა ვარაუდი, რომ კედლის ნაშთები, უნდა წარმოადგენდეს იმ ზღუდეს, რომელიც სტრაბონის (ძვ.წ. I – ახ.წ. I სს.) მოწმობით, არაგვის გასწვრივ გამავალ გზას კეტავდა და იბერიის დედაქალაქს ჩრდილოეთიდან მომხდური მომთაბარე ტომების თავდასხმებისაგან იცავდა [აფაქიძე და სხვ. 1982: 199; Strabo, XI, III, 5]. ანტიკურ ხანაში ღართაში რომ ყოფილა მცხეთის ჩრდილოეთი მთავარი კარიბჭე, მოწმობს „ქართლის ცხოვრების“ ცნობა, რომლის მიხედვით, მცხეთაში დაბრუნებულ ახლად გაქრისტიანებულ (326 წ.) მირიან მეფეს ნანა დედოფალი და „ყოველი ერი“ სწორედ ღართისკართან შეეგება [ქც 1955: 110].

ღართისკარში არქეოლოგიური სამუშაოები შემდგომაც გრძელდებოდა. 1980 წ. ყველაზე საყურადღებო იყო ოთხკუთხა (4,5x 4,5მ) კოშკის აღმოჩენა და საფორტიფიკაციო ნაგებობის 120 მ სიგრძეზე გამოვლენა. გალავანი მდ. არაგვისაკენ ეშვებოდა. ალიზის კედლები ყველგან რიყის ქვის საფუძველზე იყო ნაშენი. ჭრილებში შეიმჩნეოდა დამწვარი ხის ძელების ნაშთები, რომლებიც დამრეც რელიეფზე კედლის დაცურების სანინალმდეგო ტერასების შესაქმნელად უნდა გამოეყენებინათ. ყველგან შეიმჩნეოდა ძლიერი ცეცხლის კვალი, რომელიც კოშკთან წყდებოდა. კოშკი და კოშკის შემდგომ გაყოლებაზე არსებული კედლები არაგვის მხარეს უკვე გამოუწვავი ალიზის აგურით იყო ნაგები. ცეცხლისკვალიანი კედლები მხოლოდ ძლიერ დაქანებაზე ყოფილა გამართული. სავარაუდოდ, განსაკუთრებით დაფერდებულ

ადგილებში კედლის ძირში მდებარე ალიზის აგურებს, ცეცხლის საშუალებით გამოწვავდნენ. გამომწვარი აგური უფრო მაგარია და სინესტესაც მეტად იტანს, ვიდრე გამოუწვავი ალიზი [აფაქიძე და სხვ. 1989: 22-24].

1982-83 წწ. ღართისკარის სასიმაგრო კედლის გათხრებისას გამოვლინდა ერთმანეთისაგან 60 მ-ით დაშორებული კიდევ ორი ოთხკუთხა კოშკი. ერთ-ერთი კოშკის სარდაფი ამოვსებული იყო დამწვარ-დანახშირებული მუხის ძელებით. ისინი რამდენიმე სართულის მქონე კოშკის სართულშორისი გადახურვისათვის უხმარიათ. იმავე წელს არაგვის მარცხენა ნაპირზეც აღმოჩნდა ალიზით ნაგები ზღუდის ნაშთი, რომელიც არაგვის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ზღუდის გაგრძელებას წარმოადგენს [აფაქიძე და სხვ. 1995: 22-23].

1986-87 წწ. IV კოშკის სამხრეთით, ითხრებოდა სამი ნავისაგან შედგენილი დასავლეთიდან აღმოსავლეთით ორიენტირებული სამლოცველო (6,25x7მ). მის ცენტრალურ ნაწილში უკანა კედელთან მიშენებული იყო ორი ოთხკუთხა ფორმის საკურთხეველი. ნაგებობის ცენტრში იდგა საკერპე, შუაში პატარა ნაცრით სავსე ორმოთი. ჩრდილოეთი ნავის კუთხეში მოთავსებული იყო კიდევ ერთი საკურთხეველი. თიხატყეპნილ იატაკში აღმოჩნდა ორი ქვევრი, იატაკზე კი მრავალრიცხოვანი კერამიკა [Апакиძე и др. 1995: 83].

ღართისკარის შიდა ტერიტორიაზე, არაგვის ხიდან 220 მ² ფართობზე გამოვლინდა რიყის ქვით ნაგები ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომელიც დახურული ყოფილა კრამიტით. კომპლექსის სიახლოვეს კი აღმოჩნდა აღწერილი ძეგლების თანადროული ნისქვილი, რომელშიც განლაგებული ყოფილა საფქვავი მონყობილობების რიგები. მათზე ერთდროულად 12 მენისქვილეს შეეძლო მუშაობა. ფიქრობენ, რომ ნისქვილი ღართისკარის ტაძარ-სამლოცველოს კუთვნილი უნდა ყოფილიყო [ნიკოლაიშვილი, ნარიმანიშვილი 1988: 43-47; ნიკოლაიშვილი 2005: 95].

2009 წ. ღართისკარის მიდამოებში არქეოლოგიური სამუშაოები განაახლა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის

არქეოლოგიის ცენტრის ექსპედიციამ კომპანია „BP“-ის მიერ მილსადენის 73-ე კმ-ზე დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით. შესასწავლი ტერიტორია წარმოადგენს მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ (ღართის მშრალი ხევისაკენ) ციცაბოდ დაქანებულ მთის ვიწრო თხემს, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 660-750-მ-ია. საძიებო თხრილების მეშვეობით დადგინდა ძეგლის ხასიათი და მისი გავრცელების ტერიტორია. გაირკვა, რომ ალიზის აგურების ნაშთების, ალიზის კედლების ქვის საფუძვლებისა და დამწვარი ძეგლების სახით, საქმე გვქონდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, იქვე ახლოს, მთის ფერდობის ძირას გამოვლენილი დიდი საფორტიფიკაციო სისტემის შემადგენელ ნაწილთან. კედლები ყველაზე უკეთ დაფიქსირდა მთის ფერდობის შუა ნაწილში (ზედა უბანი) და ფერდობის ქვემო ნაწილში, ღართის ხევის პირას (ქვედა უბანი). დანარჩენ ადგილას, მკვეთრად დაქანებული რელიეფის გამო ძეგლის კვალი მთლიანად იყო ნაშლილი.

2011 წ. ოქტომბერ-ნოემბერში კვლავ განახლდა სამუშაოები, რომლის მიზანს შეადგენდა ზედა და ქვედა უბანზე სასიმაგრო კედლების სრული სახით წარმოჩენა. ზედა უბანზე საკვლევი ფართობი დახრილია ღართის ხევის მარცხენა ნაპირისკენ, მაგრამ დახრა არაა მკვეთრი. შესაბამისად, საფეხურისებურად გამოკვეთილი ოთხი ტერასა, რომლებზეც სასიმაგრო კედელი იყო აგებული, არაა მკვეთრად გამოხატული. ამიტომაცაა, რომ ქვედა უბნისაგან განსხვავებით, აქ სასიმაგრო კედლების მშენებლობაში ძეგლები ფაქტიურად არაა გამოყენებული. ტერიტორიის ზომიერი დახრილობა არ საჭიროებდა გალავნის დამატებით შეკვრა-შემადგენლობას ხის ძეგლებით.

ალიზის გალავნის ნაშთები ძლიერ იყო დაზიანებული. მონაკვეთის მთელ სიგრძეზე (33 მ) გამოვლინდა ქვაფენილი — ალიზის კედლების საფუძველი. მისი სიგანე შეადგენდა 2,6-2,8 მ-ს (ტაბ. I₂). რიყის ქვის საფუძველზე ამოყვანილი ალიზის ზღუდის შესახებ საფუძვლიანი მსჯელობა ძნელია, რადგან კედლის ზედა ნაწილი თითქმის მთლიანადაა განადგურებული. თუმცა, ზოგიერთ ადგილას მაინც ფიქსირდება ალიზის აგურების ფრაგმენტები (აგურების ზომები: 52-53×26-28×12-15სმ).

ზედა უბანზე გამოვლინდა სასიმაგრო კედელში ჩართული ალიზის აგურებით ნა-

გები ოთხკუთხა გეგმის კოშკი, რომელიც კედლიდან 0,85-0,95 მ-ით გარეთაა გამოწეული. შემორჩენილი იყო მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი (სიგანე 1,2 მ). კოშკის ზურგის ერთი კედელი კონგლომერატშია ამოჭრილი, დანარჩენები კი ალიზის აგურებითაა ნაშენი (ტაბ. II₄). კედლის ზედა ნაწილი მოლესილია. სავარაუდოდ, მისი სახით საქმე უნდა გვქონდეს კოშკის ქვედა სართულის (სარდაფის) გადახურვასთან და ზედა სართულის მოლესილ იატაკთან. არსებული მასალების მიხედვით კოშკი საკმაოდ მაღალი ჩანს. არაა გამორიცხული, რომ ის სამსართულიანი ნაგებობა ყოფილიყო. კოშკში გალავნის კედლის საფუძვლის დონეზე შემორჩენილია ჰორიზონტალურად გამართული ძეგლების (დმ 18-19 სმ) ნაშთი (ტაბ. II₄), რომლებიც კოშკის ქვედა სართულის გადახურვის ფრაგმენტია. ძეგლებიდან კოშკის ქვედა სართულის (სარდაფის) იატაკამდე სიმაღლე 1,8 მ-ია. კოშკის შიდა ზომები 4,5×4,5 მ-ს აღწევს.

ზედა უბანზე არქეოლოგიური მასალა თუ არ ჩავთვლით კოშკის ალიზის კედელთან აღმოჩენილ თიხის ჭურჭლის სამიოდე ნატეხს (ტაბ. I₁), ფაქტიურად არ გამოვლენილა.

ზედა უბანზე ჩატარებული გათხრებით გაირკვა: 1. საფორტიფიკაციო სისტემის შესწავლილი 33 მ სიგრძისა და 2,7-2,8 მ სიგანის ზღუდე რელიეფთანაა მისადაგებული და ღართის ხევის მარცხენა ნაპირისკენ ეშვება; 2. გალავნის ქვედა ნაწილი წარმოადგენდა რიყის ქვებით შემტკიცებულ საფუძველს, რომელზედაც ალიზის კედელი იყო ამოყვანილი; 3. შედარებით ზომიერად დაქანებული რელიეფის გამო, ალიზის დამცავი კედლის ხის ძეგლებით შემადგენლობის საჭიროება აღარ არსებობდა. ამიტომაც ხის ძეგლები ამ მონაკვეთში არ აღმოჩენილა.

ქვედა უბანზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად დაქანებულ ფერდობზე გამოვლინდა ჩრდილო-დასავლეთ სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე დამხრობილი, 14,5 მ სიგრძეზე შემორჩენილი, სასიმაგრო კედლის ნაშთი, წარმოადგენილი საშუალო ზომის ქვების ყრილით (ტაბ. II₂). ზოგიერთ ადგილას დაფიქსირდა ქვების გროვაში არეული ალიზის აგურის ნაშთები. პრეპარაციის შემდეგ კედლის მთელ სიგრძეზე გამოჩნდა დამწვარი ძეგლების კვალი (ტაბ. II₃). კედლის ერთ ბოლოს, ღართის ხევის პირას აღმოჩნდა შედარებით უკეთ შემორჩენილი ალიზის აგურები, რომლებიც უშუალოდ ქვაყრლზე იყო დალაგებული

(ტაბ. II₅). ქვაყრილის ქვეშ გამოვლინდა ხის ძელები. ალიზის აგურებიდან მხოლოდ ერთი იყო მთლიანი სახით შემორჩენილი (ზომები: 54×33×8-9სმ).

გამოირკვა, რომ ძელები დაქანებულ ფერდობზე გამოკვეთილ საფეხურებზე ქმნიდნენ მოგრძო კვადრატულ ბადეს (ტაბ. II₃). ძელები მრგვალგანივკვეთიანია (დმ 20 სმ). გარდიგარდმო დადებული ერთი ძელი ოთხკუთხაგანივკვეთიანი ჩანდა, ანუ ის საგანგებოდ გაეთალათ. გათხრებისას არ აღმოჩენილა არც ერთი ლურსმანი. ძელები ერთმანეთზე გადაბმული ყოფილა მათზე ამოკვეთილი ფოსოებით. ზოგიერთ მათგანზე ჩანდა, რომ ზედა ძელზე ნახევარწრიულად ამოჭრილი ფოსოთი ის „ჩამჯდარი“ იყო ქვედა ძელში (ტაბ. II_{6,7}). ამგვარად გადაბმული ძელები ქმნიდნენ კვადრატულ ბადეს (ტაბ. II₃). კვადრატების ზომებია: 90×70 სმ, 70×140 სმ, 110×110 სმ. ძელების განლაგების მიხედვით, სასიმაგრო კედლის სიგანე 2,7-2,8 მ ყოფილა. ძელები უშუალოდ იდო მიწაზე. ზოგან ძელების ჰორიზონტალობის უკეთ დასაცავად მათ ქვეშ ქვები დაელაგებინათ.

გათხრების შემდეგ ასე გამოიყურება ქვებით, ძელებითა და ალიზის აგურით შედგენილი სასიმაგრო კედლის აგების თანამიმდევრობა: I ეტაპი – დაქანებულ ფერდზე კეთდებოდა საფეხურების რიგი (ტერასები), რომლებზეც იდებოდა ხის ძელებით შედგენილი კვადრატების ბადე (ტაბ. II₃). ძელები ერთმანეთში „ჯდებოდა“ მათში ამოჭრილი ფოსოების საშუალებით (ტაბ. II₇); II ეტაპი – ძელებით შედგენილი კვადრატები ივსებოდა წვრილი ქვებითა და მიწით. ქვისა და მიწის ეს მასა გულმოდგინედ იტკეპნებოდა; III ეტაპი – მოტკეპნილ ფართობზე ლაგდებოდა საშუალო და პატარა ზომის ქვების ერთი ფენა (ტაბ. II₂); IV ეტაპი – ქვის ფენაზე შენდებოდა ალიზის კედელი (ტაბ. II₅). ჩვენს მიერ გათხრილი კედელი სწორედ ისეა ნაშენი, როგორც 1979 წ. ლართისკარის მიდამოებში გამოვლენილი საფორტიფიკაციო კედლები. იქაც ალიზით ნაგები კედლები გამართული ყოფილა ხის ძელებისა და რიყის ქვის შემზადებაზე.

როგორც აღვნიშნეთ, კედელს ეტყობა ძლიერი ხანძრის კვალი. ნახშირადაა ქცეული ხის ძელები, ხოლო კედლის საფუძვლად გამოყენებული ქვები და მასზე დაშენებული ალიზის აგურები ცეცხლის ზემოქმედებისაგან ფერშეცვლილი და განითლებულია. ძლიერი ცეცხლის კვალი შეიმჩნევა გასულ საუკუნეში გათხრილ

ლართისკარის ალიზით ნაგები სასიმაგრო კედლების ერთ ნაწილზეც. ფიქრობენ, რომ დაქანებული რელიეფის მქონე ადგილებში აგებული კედლები საგანგებოდაა გამომწვარი, რადგან ამგვარი კედლები გაცილებით მტკიცეა. ხოლო დაბლობ, სწორ ადგილებში, სადაც კედლები უფრო მყარად დგანან საფუძველზე, სასიმაგრო კედლების გამოწვის აუცილებლობა არ იყო. ამიტომაც მათზე ცეცხლის კვალიც არ შეინიშნება [აფაქიძე და სხვ. 1989: 22-24].

ძეგლის ხასიათიდან გამომდინარე, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ უბნის გათხრებისასაც თითქმის არ აღმოჩენილა ცალკეული არტეფაქტები, თუ არ ჩავთვლით 2009 წ. გამოვლენილ ნავისებური მოყვანილობის ხელსაფქვავის ქვას, შურდულის ქვებსა და კერამიკის რამდენიმე ნატეხს.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ექსპედიციამ ამ ტერიტორიაზე გამოავლინა მცხეთის ანტიკური ხანის მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაწილი, რომლის დიდი მონაკვეთი დამრეც რელიეფზე მდებარეობის გამო, სამწუხაროდ ჩამორეცხილია და კედელი ძალზე ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ ზედა და ქვედა უბანზე გამოვლენილი სასიმაგრო კედლებს შორის მანძილი 100 მ-დეა და მათ შორის აღარაა შემორჩენილი დამცავი კედლების კვალი, უეჭველია, რომ ორ სხვადასხვა უბანზე შესწავლილი სასიმაგრო კედელი ერთიანი საფორტიფიკაციო ნაგებობაა. სრულიად ერთგვაროვანია კედლების მშენებლობის ტექნიკა, ხერხები, მასალა თუ ხასიათი, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ორივე უბანზე შესწავლილი კედლები ერთ პერიოდშია აგებული.

არქეოლოგიური სამუშაოების ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა გარკვეულიყო სასიმაგრო კედლების მიმართება მცხეთის ჩრდილოეთი კარიბჭის ერთიან საფორტიფიკაციო სისტემასთან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში მთის ფერდის ძირას და მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლენილ იქნა საფორტიფიკაციო სისტემის ცალკეული მონაკვეთები, რომლებიც ზუსტად ისეა ნაგები, როგორც საკუთრივ მთის ფერდობზე ჩვენს მიერ შესწავლილი სასიმაგრო კედლები. თავიდანვე ნათელი იყო, რომ ჩვენს მიერ მთის ფერდზე და მის ძირას სხვადასხვა წლებში გათხრილი კედლები თანადროულია და ერთიანი საფორტიფიკაციო სისტემის ნაწილებს

შეადგენდნენ. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა დადგენილიყო თუ როგორ უკავშირდებოდნენ ისინი ერთმანეთს. არსებული მასალების მიხედვით ისე ჩანს, რომ ძეგლი ერთფენიანია, აგებულია ერთიანად, ერთი გარკვეული ეპოქის ფარგლებში. ბუნებრივია, რომ საფორტიფიკაციო კედელს სისტემატურად უნდა განეცადა შეკეთება, გადაკეთება თუ ზოგიერთი ადგილების ხელმეორედ აშენება. თუმცა, ამგვარი ქმედებების კვალი გათხრების პროცესში ვერ დაფიქსირდა ძეგლის უაღრესად ცუდად დაცულობის გამო. გათხრების შედეგად კიდევ ერთხელ დადასტურდა მცხეთის საფორტიფიკაციო სისტემის მასშტაბურობა და გრანდიოზულობა, რაც თვალნათლივ აჩვენებს ქართლის სამეფოს იმდროინდელ შესაძლებლობებს. ასეთია, მოკლედ ლართისკარის მიდამოებში 2011 წ. ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების წინასწარული შედეგები.

THE RESULTS OF EXCAVATIONS AT GARTISKARI IN 2011
Summary

In eighties of the 20th century at Gartiskari the North fortification wall of Mtskheta was revealed. The wall was constructed using the mud brick and was built on the basis of wooden beams and stone. In 2011 the archaeological expedition of GNM Otar lordkipanidze Center of Archaeology resumed works at the KP 73 of WREP, where the operating company of the pipeline, "British Petroleum" was planning to carry out construction activities. The territory of the planned work is a narrow, inclined from N to S mountain ridge, which is located on the right bank of the river Aragvi. The newly revealed walls represent the part of big fortification system revealed in eighties of 20th century. The walls were preserved on the middle part of slope (upper section) and near the Gartiskhevi, on the lower part of the slope (lower section). On the other parts of the site, due to sharp inclination of the ridge the walls were not preserved.

The mud brick walls on the upper section were poorly preserved. On the whole length of the section (33 meters) the stone foundation of the wall was revealed. The width of the wall was 2, 6 -2, 8 meters (PI I₂). The mud bricks were found only in some places (dimensions -52-53x26-28x12-15 cm.). Here the remains of quadrangular tower (interior dimensions: 4,5x4,5 m.) built of mud bricks and included in the fortification system were revealed also. The survived SE wall of the tower width was 1, 2 meters (PL II₄). The tower should be tall; it is possible that it was three storied.

After the works on the steep slope of lower section the ruins of fortification wall (14.5 meters) was revealed. It was oriented from NW to SE and was represented by the piles of stone (PI II₂) which included mud brick also. After cleaning, on the whole length of the wall the remains of burnt wooden beams were revealed (PI II₃). On the steep slope the small terraces were arranged, where the beams were arranged in quadrangular grid. They were tied by the notches cut into the beams (PL II₆₋₇).

The sequence of construction of the fortification wall was the following: On the first stage the terraces were cut on the steep slope and the quadrangular grids of wooden beams were arranged there (PL II₃); on the second stage of construction the grids were filled with small stones and soil which afterwards was thoroughly compacted; the third stage works included stacking up of one row of stones on the compacted layer of soil (PL II₂) and on the last stage, the mud brick wall was constructed on the stone fundament (PI II₃). The fortification wall excavated by our expedition is constructed exactly in the same way as it was on the wall excavated in eighties of the 20th century.

So, on the territory of excavations the expedition revealed the part of the fortification wall of 3rd-2nd centuries which was defending Mtskheta. The large scale of the fortification system shows the ability of Kartli kingdom of this period.

ლიტერატურა

- აფაქიძე და სხვ. 1982:** აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მელითაური კ. და სხვ. დიდი მცხეთა 1979 (დიდი მცხეთის ტერიტორიაზე 1979 წელს ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები). მცხეთა VI, თბილისი.
- აფაქიძე და სხვ. 1989:** აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა. და სხვ. დიდი მცხეთა – 80 (1980 წლის საველ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები). მცხეთა IX, თბილისი.
- აფაქიძე და სხვ. 1995:** აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. და სხვ. მცხეთა – 82 (1982 წელს საველ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები). მცხეთა X, თბილისი.
- ნიკოლაიშვილი ვ. 2005 :** დიდი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია (არქეოლოგიურ მონაცემთა მიხედვით). – იბერია-კოლხეთი, №2, 93-108.
- ნიკოლაიშვილი ვ., ნარიმანიშვილი გ. 1988 :** ძველი მცხეთის ჩრდილოეთი კარიბჭე. – მეცნიერება და ტექნიკა, №12, 43-47.
- ქართლის ცხოვრება 1955:** ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბილისი.
- Апакидзе и др. 1995: Апакидзе А.М., Николаишвили В.В., Нариманишвили Г.К. и др.** Археологические раскопки в Мцхета и ее округе. – ПАИ, 1987, 83-89.


ტაბულაჰის აღწერილობა







- ტაბ. I – 1.** ზედა უბნის კოშკთან აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები; **2.** ზედა უბანზე მიკვლეული ალიზის კედლების ფრაგმენტები; **3.** ქვედა უბანზე მიკვლეული ალიზის კედლების ფრაგმენტები.
- ტაბ. II – 1.** ზედა უბნის ალიზის კედლების ქვის საფუძველი; **2.** ქვედა უბნის ალიზის კედლის ქვის საფუძველი; **3.** ქვედა უბნის ალიზის კედლის ხის ძელების საფუძველი; **4.** ზედა უბნის ალიზის კოშკი; **5.** ქვედა უბნის ალიზის კედლის ფრაგმენტი; **6.** ქვედა უბანი. ხის ძელებით შედგენილი სწორკუთხედი; **7.** ხის ძელების გადაბმა (ჭრილი).

DESCRIPTION OF PLATES

- PL I -1. The pottery shards found at the tower; 2. The fragments of mud bricks found at the upper section. 3. The fragments of mud bricks found at the lower section.
- PL II -1. The stone basis of mud brick wall from the upper section. 2. The stone basis of mud brick wall from the lower section. 3. The wooden beam basis of mud brick wall from the lower section. 4. The tower (upper section). 5. The fragment of the mud brick wall from the lower section. 6. Lower section, quadrangular basis built of wooden beams. 7. The tie of wooden beams (in section).

ტაბ. I





გლდანის „რიყიანის“ სამაროვანი

გლდანი და მისი მიდამოები მდიდარია სხვადასხვა პერიოდის ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებით. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ ფართოა – ადრეული ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული გვიანდელი შუასაუკუნეების ჩათვლით [OAK 1906: 80-84; Абрамишвили и др. 1982: 38-40; Шмерлинг и др. 1960: 94-95]. ამჯერად გლდანის ადრეული შუასაუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე შევჩერდებით.

ჯერ კიდევ 1903 წ. ე. რესლერს სოფ. გლდანისა და მამაკოდის საზღვარზე გაუთხრია აღმ-დას. ხაზზე დამხრობილი 4 ქვის სამარხი, რომლებშიც მიცვალებულები დაეკრძალათ ქრისტიანული წესით. სამარხებში გამოვლინდა: ვერცხლის ბეჭდის ფრაგმენტი; წვრილი მავთულისაგან დამზადებული თავგახსნილი რგოლი; ბრინჯაოს ღეროს ნატეხი; სარდიონის თვლით შემკული ბრინჯაოს საყურის ფრაგმენტი; რკინის რგოლი. №1 სამარხში, სადაც 3 მიცვალებული ესვენა, თავის ქალებს შორის აღმოჩნდა V ს-ის რომაული ოქროს აურეუსი, ოქროს მავთულისაგან შედგენილი საყურე და 2 მძივი [OAK 1906: 81-83]. სამარხეული ინვენტარი, რომელიც ადრეულ შუასაუკუნეებს განეკუთვნებოდა, ე. რესლერს გადაუცია საიმპერატორო ისტორიული მუზეუმისათვის.

1964 წ. სოფ. გლდანში, ადგილ „რიყიანში“, მშენებლობის დროს დანგრეულა ქვის სამარხები. სამარხეული ინვენტარიდან შემორჩა: ბრინჯაოს 2 საყურე; საკინძის მარჯნის თავები ბრონეულის ყვავილის მოყვანილობისა; ბრინჯაოს საკინძის ღერო და რკინის მრგვალგანივკვეთიანი მორკალური ღეროს (სამაჯურის?) ნატეხი. ნივთები თარიღდება VI-VIII სს-ით [ჯორბენაძე 1998: 43-44].

1975-76 წწ. გლდანის საცხოვრებელი მასივის მშენებლობასთან დაკავშირებით, მასივისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გათხრებს ანარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გლდანის ექსპედიციამ [Артилакვა и др. 1978: 81-86; Артилакვა и др. 1979: 204].

გლდანის მასივის III-IV მიკრორაიონების საზღვარზე ექსპედიციამ შეისწავლა „თავკვერის“ IV-VII სს-ის ნასოფლარი. იქ გამოვლენილა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები და 3

ეკლესია. ნაგებობები რიყისა და კლდის ფლეთილი ქვებით, თიხის ხსნარზე ნაშენ სწორკუთხა გეგმის (6x4 მ; 4,5x4,9 მ; 3x4,5 მ; 3,7x6 მ) მქონე რამდენიმე ოთახს მოიცავდა. იატაკი თიხატყეპნილი ან ქვის ფილებით ყოფილა მოგებული. არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილი იყო სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭლით – ქვევრები, დერგები, სადღვებლები, ქოთნები, ბადიები, დოქები, ხელადები და სხვ. [Артилакვა и др. 1979: 203].

ნასოფლარის ჩრდ-ით, შემალლებულ ადგილას გაითხარა დარბაზული ტიპის 3 ეკლესია. გათხრებისას გამოვლინდა 2 სამშენებლო ფენა. პირველი ფენა მიეკუთვნებოდა ნალისებურაფსიდიან №1 ეკლესიას (4x4 მ), რომელიც ნაშენი ყოფილა კლდის ფლეთილი ქვებით თიხის ხსნარზე. საკურთხეველი ნაგები იყო ტუფის გათლილი კვადრებით. №2 ეკლესია (2,6x5,5მ), რომელიც მეორე სამშენებლო ფენას განეკუთვნებოდა, უშუალოდ ფარავდა პირველი ფენის ეკლესიას. შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდან ჰქონია. ნალისებური აფსიდა გარედან ოთხკუთხა მოხაზულობის ყოფილა. საკურთხეველის წინ მდგარა ქვის ემბაზი. მოგვიანებით ეკლესიისათვის სამხრეთიდან მიუშენებიათ პატარა სათავსო.

№ 2 ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით 9 მ-ის დაშორებით მდგარა ნალისებურაფსიდიანი № 3 ეკლესია (5x4მ). საკურთხეველი ნაგები ყოფილა ტუფის ქვათილებით, კედლები – რიყისა და კლდის ფლეთილი ქვებით თიხის ხსნარზე. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდან ჰქონია. ეკლესიები გადახურული ყოფილა ბრტყელი კრამიტით. კერამიკულ მასალასთან ერთად № 2 ეკლესიის საკურთხეველთან აღმოჩნდა ხოსროვ II-ის (591-628) ვერცხლის მონეტა [Артилакვა и др. 1979: 198-199].

2012 წ. ივლისში გლდანში II-IV მიკრორაიონების გასაყარზე, ვართაგავას ქუჩაზე (სურ. 1) შემთხვევით აღმოჩნდა ქვის სამარხი. მოსახლეობა ამ ადგილს „რიყიანის“ სახელით მოიხსენიებს. ამდენად, უეჭველი იყო, რომ აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენდა ჯერ კიდევ 1964 წ. კერძო სახლების მშენებლობისას გამოვლენილი სამაროვნის ნაწილს.



სურ. 1

„რიყიანის“ ტერიტორიაზე ექსპედიციამ მიაკვლია ქვის 7 სამარხს. ყველა სამარხს თავის დროზე ეფარა სხვადასხვა ზომის ქვის ფილები, მაგრამ სახურავი არცერთ მათგანზე აღარ შემორჩენილა, რადგან ამ ადგილას რამდენიმე ათეული წლის წინ მიწის ზედაპირის მოსწორებისას ტრაქტორს ყველა სამარხისათვის მოუცლია სახურავი.

ქვის სამარხი № 1 მდებარეობს ვართაგავას ქუჩის № 2 სახლის წინ. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე (ტაბ. 1₁). თავბოლო და გვერდითი კედლები შედგენილია ქვიშაქვის თითო დაუმუშავებელი ქვით. გვერდითი კედლები გატეხილი და დეფორმირებულია ტრაქტორის ზემოქმედების გამო. ამიტომ, გვერდითი კედლების სწორხაზოვნება დარღვეულია. სამარხი გადახურული ყოფილა ქვიშაქვის ფილებით, რომლიდანაც მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი შემორჩა. სამარხის ზომები: სიგრძე 175 სმ, სიგანე 80 სმ, სიღრმე 60 სმ, ქვების სისქე 5-15 სმ (ტაბ. 1₂).

სამარხში გაიწმინდა 3 მიცვალებულის საკმაოდ ცუდად შემონახული ჩონჩხი. მათგან ადრე დაკრძალული 2 მიცვალებულის ერთმანეთში არეული ძვლები მიეხვევათ სამარხის ჩრდ. კედელთან. ბოლოს დაკრძალული

მესამე მიცვალებულის ნეშტი გამოვლინდა სამარხის სამხრეთ ნაწილში. ეს უკანასკნელი ინვა ზურგზე გამოტილი თავით დასავლეთით. ხელები ელაგა ტანის გასწვრივ (ტაბ. 1₃).

სამარხში აღმოჩნდა: 1. საკინძი ბრინჯაოს ღეროთი და ცილინდრული ფორმის მარჯნის მძივით. ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე 5,5 სმ (ტაბ. 1₄); 2. საკინძი. რკინის. ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე 6 სმ (ტაბ. 1₅). ორივე ნივთი გამოვლინდა ჩრდილოეთ კედელთან მიხვეტილი პირველი მიცვალებულის თავთან.

ქვის სამარხი № 2 მდებარეობს № 1 სამარხის ჩრდილოეთით 5,5 მ-ის დაშორებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე (ტაბ. 1₆). თავბოლო და გვერდითი კედლები შედგენილია ქვიშაქვის თითო დაუმუშავებელი ქვით. სამარხის ზომები: სიგრძე 175 სმ, სიგანე 40 სმ, სიღრმე 90 სმ, კედლების სისქე 7-15 სმ (ტაბ. 1₇).

სამარხში აღმოჩნდა 4 მიცვალებულის ძვლები. მათგან სამის ჩონჩხი მიხვეტილი იყო ჩრდ. კედელთან. ძვლები ერთმანეთში იყო არეული. თუმცა, 3 თავის ქალის დაფიქსირება მაინც მოხერხდა. მეოთხე, ბოლო მიცვალებული დაეკრძალათ ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთით, ხელები ელაგა მუცელზე (ტაბ. 1₈).

სამარხში აღმოჩნდა: 1. საკინძი. რკინის.

ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე 8 სმ (ტაბ. I₆); 2. საკინძი. ბრინჯაოს ღერო შემკულია ბრონეულის ყვავილის ფორმის მარჯნის მძივითა და ბრინჯაოს ვარდულებით. ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე 12,5 სმ (ტაბ. I₇); 3. საკინძი. ანალოგიური. ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე 11,5 სმ (ტაბ. I₈); 4. საკინძის ღერო. ბრინჯაოსი. თავთან ორი რელიეფური სარტყლით. ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე 14 სმ (ტაბ. I₉); 5. საკინძის ღერო. ბრინჯაოსი. ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე 5 სმ (ტაბ. I₁₀); 6. საკინძი. ბრინჯაოსი. ხელის მტევნის გამოსახულებით. სიგრძე 16,8 სმ (ტაბ. I₁₁); 7. ბეჭედი. ბრინჯაოსი. მრგვალგანივკვეთიანი რკალით. წრიული ფორმის ბუდის ცენტრში გამოსახულია რელიეფური ნერტილებით შედგენილი ვარდული. ბუდეს გარშემო შემოყვება რელიეფური ზოლი, რომელიც რკალის ბუდესთან მიერთების ადგილას ყლუფებს ქმნიან. რკალის დმ 1,9 სმ (ტაბ. I₁₂). საკინძები გამოვლინდა ჩრდილო კედელთან მიხვეტილი ყველაზე ადრე დაკრძალული მიცვალებულის თავთან. ბეჭედი — იმავე მიცვალებულის მუცლის არეში.

ქვის სამარხი № 3 მდებარეობს № 2 სამარხის ჩრდილო-დასავლეთით 1,10 მ-ის დაშორებით. დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთ სამხრეთ-აღმოსავლეთის ხაზზე (ტაბ. I₁). თავ-ბოლო და გვერდითი კედლები შედგენილია ქვიშაქვის თითო ქვით. ჩრდილო-აღმოსავლეთის გვერდითი კედლის ქვა გადანოლილი იყო სამარხში და მოპირდაპირე გვერდით ქვას ებჯინებოდა. სამარხის ზომები: სიგრძე 155 სმ, სიგანე 65 სმ, სიღრმე 60 სმ, კედლების სისქე 12-16 სმ (ტაბ. II₁).

სამარხში აღმოჩნდა 1 მიცვალებული, დაკრძალული ზუგზე გამოტილი, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ხელები დალაგებული ჰქონდა მუცელზე. აღსანიშნავია, რომ მიცვალებული დაეკრძალათ სამარხის გვერდით კედელთან ახლოს, ისე, რომ სამარხის დიდი ნაწილი თავისუფალი იყო. ჩანს, ჭირისუფლებს სამარხის ეს ნაწილი მომდევნო მიცვალებულისთვის დაეტოვებინათ (ტაბ. II₁).

მიცვალებულის თავთან გამოვლინდა რკინის სფერულთავიანი საკინძი. სიგრძე 4,5 სმ (ტაბ. II₂).

ქვის სამარხი № 4 მდებარეობს № 3 სამარხის დასავლეთით 2,50 მ-ის დაშორებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე (ტაბ. I₁). თავ-ბოლო და გვერდითი კედლები შედგენილია ქვიშაქვის თითო ქვით. სამარხის ზომები: სიგრძე 165 სმ, სიგანე 80 სმ, სიღრმე 70 სმ, კედლების სისქე 15-25 სმ (ტაბ. II₃).

სამარხში დაეკრძალათ 1 მიცვალებული, ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ელაგა მუცელზე. მარჯვენა ფეხი სწორად ედო. მარცხენა განზე განეული და მუხლში რამდენადმე მოხრილი ჰქონდა (ტაბ. II₃). მიცვალებული დაეკრძალათ ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ, რის გამოც სამარხის სამხრეთი ნაწილი თავისუფალი იყო. ჩანს, №3 სამარხის მსგავსად ჭირისუფლებს თავისუფალი ადგილი შემდგომი მიცვალებულისათვის დაეტოვებინათ.

სამარხში აღმოჩნდა: 1. რკინის დანის ფრაგმენტები. დანა ცალპირლესულია, ზურგ-მორკალური. შემორჩენილი სიგრძე 6 სმ (ტაბ. II₄); 2. რკინის საკინძი. თავთან შემორჩენილია ბრინჯაოს ვარდულის ფრაგმენტები. შემორჩენილი სიგრძე 14 სმ (ტაბ. II₅); 3. რკინის საკინძი, შემკული მძივითა და ბრინჯაოს ვარდულებით. სიგრძე 13,5 სმ (ტაბ. II₆). ნივთები აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან.

ქვის სამარხი № 5 მდებარეობს № 4 სამარხიდან ჩრდილოეთით 3 მ-ის დაშორებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე (ტაბ. I₁). თავ-ბოლო და გვერდითი კედლები შედგენილია ქვიშაქვის თითო ქვით, რომლებიც საკმაოდ დაშლილია. სამარხის ზომები: სიგრძე 170 სმ, სიგანე 50 სმ, სიღრმე 30 სმ, კედლების სისქე 20-25 სმ (ტაბ. II₇).

ძვლები ცუდად იყო შემონახული. მიუხედავად ამისა, ჩანდა რომ სამარხში დაეკრძალათ 2 მიცვალებული – ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთით (ტაბ. II₇).

ჩრდილოეთ კედელთან დასვენებული მიცვალებულის მუცლის არეში აღმოჩნდა ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭედი. ვერცხლში სპილენძის სიჭარბის გამო ბეჭედი პატინითაა დაფარული. მრგვალგანივკვეთიანი რკალი მიერთებულია წრიული მოყვანილობის დაბალ თვალბუდეზე, რომელშიც ჩასმულია გემა. გემაზე ამოკანრულია სქემატურად გამოსახული ცხოველი. რკალის დმ 1,9 სმ, თვალბუდის დმ 1,1 სმ (ტაბ. II₈).

ქვის სამარხი № 6 მდებარეობს № 5 სამარხის ჩრდ-ით 4,80 მ-ის დაშორებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე (ტაბ. I₁). თავ-ბოლო და გვერდითი კედლები შედგება ქვიშაქვის თითო ქვისაგან. სამხრეთი გვერდითი ქვა დაზიანებულია და შიგნითაა შეტეხილი. ნყლის მილისაგან დაზიანებულია სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილიც. სამარხის ზომები: სიგრძე 200 სმ, სიგანე 95 სმ, სიღრმე 70 სმ, კედლების სისქე 15-20 სმ (ტაბ. II₉).

სამარხში ძვლები ცუდად იყო შემორჩენილი. გაირკვა, რომ სამარხში დაეკრძალათ 4 მიცვალებული. მათგან ყველაზე ადრე დაკრძალულის ძვლები მიხვეცათ სამარხის ჩრდილოეთ კედელთან. 2 მიცვალებულიდან 1 დაესვენებინათ სამარხის ცენტრში ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ელაგა ტანის გასწვრივ. ასეთივე პოზით იყო დაკრძალული მესამე მიცვალებული სამარხის სამხრეთ კედელთან (ტაბ. II₉). მეოთხე მიცვალებული მოქცეული იყო მესამე მიცვალებულის ქვეშ. სამარხი უინვენტაროა.

ქვის სამარხი №7 მდებარეობს №2 სამარხიდან სამხრეთ-დასავლეთით 2,80 მ-ის დაშორებით. დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთით სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე (ტაბ. I₁). სამარხი დანგრეულა მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გაყვანილი წყლის მილის გამო. ფრაგმენტულადაა შემორჩენილი სამარხის თავ-ბოლო და ერთი გვერდითი კედელი. შემორჩენილი ფრაგმენტებით მაინც დგინდება სამარხის ზომები: სიგრძე 190 სმ, სიგანე 85 სმ, სიღრმე 75 სმ, კედლების სისქე 20-25 სმ (ტაბ. II₁₀).

სამარხში გაინმინდა 2 მიცვალებულის ჩონჩხი. პირველად დაკრძალულის ძვლები მიხვეტილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ გვერდითი კედლის გასწვრივ. მისგან მხოლოდ მკლავებისა და ბარძაყ-წვივის ძვლები იყო გადარჩენილი. მეორე მიცვალებული დაეკრძალათ ზურგზე გამოტილი. ხელები ელაგა ტანის გასწვრივ. ფეხები მოხრილი ჰქონდა მუხლის არეში (ტაბ. II₁₀). სამარხი უინვენტაროა.

გლდანის „რიყიანის“ სამაროვანზე წარმოდგენილია მხოლოდ ქვის სამარხები, რომლებიც შუასაუკუნეების სამარხთა გაბატონებულ ტიპს წარმოადგენს. ადრეული შუასაუკუნეების ქვის სამარხები გვხვდება: სამთავროზე [ტყეშელაშვილი 1956: 255], არმაზისხევში [აფაქიძე და სხვ. 1989: 135], სანგრისხევში [Такаишвили 1904: 81], ტუიაქორორაზე, დიღმის ხეობაში [ნიკოლაიშვილი 1978: 157; 1979: 75; 1985: 92], ცხვარიჭამიში [აფხაზავა 1984: 159], ნასტაკისში [Бохочадзе и др. 1995: 111], რუსთავში [ჭილაშვილი 1958: 57], ბეთანიაში [კიკვიძე, ჭილაშვილი 1961: 114], ჭერემში [მამაიაშვილი 2004: 98], მატანში [Рамишвили 1969: 118], ჟინვალში [ჩიხლაძე 1977: 96], აბანოსხევში [ლომიძე 1998: 52], ქვემო ალევში [აფხაზავა 1988: 45], ივრის ხეობაში [ჯორბენაძე 1982: 44], ფშავში [რჩეულიშვილი 1990: 26], დარიალის ხეობაში [მინდორაშვილი 2005: 47] და სხვ.

სამარხების თავ-ბოლო და გვერდითი კედლები

დაუმუშავებელი ქვიშაქვის ფილებითაა შედგენილი. ყველა სამარხი გადახურული უნდა ყოფილიყო ასეთივე ფილებით, თუმცა ტრაქტორის ზემოქმედების გამო სამარხებს სახურავები აღარ შემორჩენია. სამარხები დამხრობილია აღმ-დას. ხაზზე, მეტ-ნაკლები გადახრით. მკვეთრადაა გადახრილი №№ 3, 7 სამარხები.

სამარხებში დასვენებული იყო 1-4 მიცვალებული. ყველა მათგანი დაკრძალულია ქრისტიანულიწესით – ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთით. მიცვალებულებს ხელები ელაგათ ტანის გასწვრივ ან მუცელზე. როგორც წესი, ქვის სამარხებში ადრე დაკრძალული მიცვალებულების ძვლები მიხვეტილი იყო გვერდზე. აღსანიშნავია, რომ „რიყიანის“ სამაროვანზე ადრე დაკრძალულთა ძვლები უკლებლივ ყველა სამარხის ჩრდ. კედლის გასწვრივაა მიხვეტილი. საინტერესოა ისიც, რომ ზოგიერთ სამარხში (მაგ. №№ 3,4), მიცვალებული დაეკრძალათ სამარხის ერთ-ერთი გვერდითი კედლის ახლოს, ისე, რომ მომდევნო მიცვალებულისათვის სამარხის ერთი ნაწილი თავისუფალი ყოფილიყო. მსგავსი ფაქტი დასტურდება ვაშლაჯვარის ადრეული შუასაუკუნეების სამაროვანის № 4 ქვის სამარხშიც, სადაც იმგვარად დაეკრძალათ მიცვალებული, რომ სამარხში ადგილი დაეტოვებინათ მეორე მიცვალებულისათვის [ნიკოლაიშვილი 1979: 65].

დაკრძალვის წესთან დაკავშირებით საინტერესოა № 4 სამარხი, სადაც მიცვალებულს მარჯვენა ფეხი გაჭიმული ჰქონდა, მარცხენა – მუხლში მოხრილი (ტაბ. II₃). ამგვარად დაკრძალვა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების სამაროვნებზე. მაგ., მატანში, სადაც მიცვალებულს მარცხენა ფეხი ჰქონდა გაჭიმული, მარჯვენა — მუხლში მოხრილი [Рамишвили 1969: ტაბ. VII, სურ. 2]. ასეთივე სურათი გვხვდება დაღეთის ადრეული შუასაუკუნეების სამაროვნის №№ 2,18 სამარხებში. აღსანიშნავია ისიც, რომ გლდანის № 7 სამარხში ზურგზე დასვენებულ მიცვალებულს ფეხები მოხრილი ჰქონდა. მოხრილი ფეხების მიხედვით აქ წარმართული წესით დაკრძალვის ელემენტებთან უნდა გვექონდეს საქმე (ტაბ. II₁₀). ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების არაერთი სამაროვანის მასალებით (სამთავრო, ვაშლაჯვარი, ბაჭყალა, იაღსარი, ქვემო ალევი და სხვ.), გლდანის სამაროვნის მასალებითაც ნათლად ჩანს, რომ საზოგადოებაში ქრისტიანული წეს-ჩვეულებე-

ბის გვერდით წარმართული რწმენა-წარმოდგენები კვლავ დიდხანს იყო შემორჩენილი.

7 სამარხიდან ინვენტარი აღმოჩნდა ხუთში. როგორც მოსალოდნელი იყო, სამარხეული მასალა საკმაოდ მცირერიცხოვანია და ძირითადად სამკაულებითაა წარმოდგენილი. № 4 სამარხში გამოვლინდა რკინის დანის ფრაგმენტები. დანა ცალპირლესულია, მორკალური ზურგით (ტაბ. II₄). დანების ანალოგები მრავლადაა ცნობილი ადრეული შუასაუკუნეების სამაროვნებიდან – სამთავრო, მუხათგვერდი, დიღმის ხეობა, ერწო-თანეთი, გველეთი, დაღეთი და სხვ. [აფხაზავა 1979: ტაბ. XXX_{39,57}; ნიკოლაიშვილი 1985: ტაბ. XVI_{14,16}; ხეცურიანი 1985: 157; მინდორაშვილი 2005: 56].

სამარხეული ნივთების უმრავლესობა საკინძებია. 11 საკინძიდან 5 რკინისაა, 6 ბრინჯაოსი. მათგან მხოლოდ რკინის 1 საკინძია ბურთულთავიანი და მთლიანადსხმული (ტაბ. II₂). ფრაგმენტულობის გამო გაურკვეველია რკინის 2 საკინძი მთლიანადსხმული იყო თუ მძივით შემკული (ტაბ. I_{4,6}). რკინის 2 საკინძი კი მძივებით ყოფილა დაბოლოებული (ტაბ. II_{5,6}). რკინის მთლიანადსხმული და მძივებით შემკული საკინძები ცნობილია: მცხეთიდან [აფაქიძე და სხვ. 1955: 137; ტყემელაშვილი 1957: 150], ქვემო ალევინიდან [აფხაზავა 1988: ტაბ. VI₂₃; ტაბ. X₁₀; ტაბ. XXIV_{22,23}], ერწო-თიანეთიდან [ჯორბენაძე 1982: 72], დიღმის ხეობიდან [ნიკოლაიშვილი 1979: ტაბ. XVI_{18,24,25,39,40}] და არაერთი სხვა ადგილიდან. მათი თარიღი ძირითადად VI-VII სს-თაა განსაზღვრული.

№ 1 სამარხში გამოვლინდა ბრინჯაოს საკინძი, შემკული მარჯნის ცილინდრული მძივით (ტაბ. I₃). ანალოგიური ფორმის საკინძი ცნობილია VI ს-ით დათარიღებულ ქვემო ალევინის № 32 ქვის სამარხიდან [აფხაზავა 1988: ტაბ. XVIII₃₂]. ამგვარი საკინძია აღმოჩენილი იალსარის სამაროვანზე, რომელიც V-VI სს-ით თარიღდება [Рамишвили 1969: 127, სურ. 6]. მსგავსი საკინძები გვხვდება ვაშლაჯვარას სამაროვნის V-VI სს-ის სამარხებში [ნიკოლაიშვილი 1979: ტაბ. XVI_{33,50,51}] და სხვ. „რიყიანის“ სამარხეულ ნივთებს შორის ცილინდრული მძივით შემკული საკინძი (ტაბ. I₃) ყველაზე ადრეული ჩანს და ის VI ს-ით შეიძლება დავათარიღოთ.

საინტერესოა № 2 ქვის სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს 2 საკინძი, შემკული მარჯნის თავებით, რომელთაც ბრონეულის ყვავილის ფორმა აქვთ (ტაბ. I_{7,8}). ანალოგიური საკინძები ძალზე გავრცელებული იყო ადრეული შუასაუკუნეების

აღმოსავლეთ საქართველოში. მსგავსი საკინძები ცნობილია სამთავროდან [აფხაზავა 1979: ტაბ. XVIII_{26,31,32}; ტაბ. XXXVI₂₈₋₃₁; ტაბ. XXXIX_{4,5,6}], ცხვარიჭამიადან [აფხაზავა 1984: 163, სურ. 6-7], რუსთავიდან [აფხაზავა 1979: ტაბ. XXXVIII₃₉], ვაშლაჯვარადან [ნიკოლაიშვილი 1979: ტაბ. XVI₁₋₂], ბეთანიიდან [კიკვიძე, ჭილაშვილი 1961: 116], მლაშედან [აფხაზავა 1979: ტაბ. XXXVIII₁₋₂], ქვემო ალევინიდან [აფხაზავა 1988: ტაბ. I_{19,20}; ტაბ. XVI₁₋₄], ერწო-თიანეთის სამაროვნებიდან [ჯორბენაძე 1982: 74] და არაერთი სხვა ძეგლიდან. ამგვარი საკინძები ძირითადად VII ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება [აფხაზავა 1988: 71].

საკინძების საინტერესო ჯგუფს მიეკუთვნება № 2 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს საკინძი ხელის გამოსახულებით (ტაბ. I₁₁). ანალოგიური საკინძები კარგადაა ცნობილი ადრეული შუასაუკუნეების განათხარი ძეგლებიდან. ისინი გვხვდება: მცხეთაში [Такаишвили 1904: 86], არმაზისხევში, მარტაზისხევში, წყნეთში, ტუიაქოჩორას, ჟინვალის, ერწო-თიანეთის, ქვემო ალევინის და არაერთ სხვა სამაროვანზე [ჯორბენაძე 1982: 70-71]. ამგვარი საკინძები თარიღდება VII ს-ით [აფხაზავა 1988: ტაბ. XXXI₁₆].

ინტერესს იწვევს სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოსა და ვერცხლის ბეჭდები. ბრინჯაოს ბეჭედს აქვს მრგვალგანივკვეთიანი რკალი. წრიული ფორმის ბუდის ცენტრში გამოსახულია რელიეფური ინერტილებით შედგენილი ვარდული. ბუდეს შემოუყვება რელიეფური სარტყელი (ტაბ. I₁₂). ბუდეზე რკალშემოვლებული ბეჭდები კარგადაა ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების სამაროვნებიდან [აფხაზავა 1988: 106]. მეორე ბეჭედი ვერცხლისაა, თვალბუდიანი. მრგვალგანივკვეთიანი რკალი მიერთებულია წრიული მოყვანილობის დაბალ თვალბუდეზე. თვალბუდეში ჩასმულია გემა, რომელზეც ამოკანრულია სქემატურად გამოსახული ცხოველი (ტაბ. II₉). გამოსახულება თავისი სტილითა და შესრულების მანერით აშკარად სასანურია.

მცირერიცხოვანი სამარხეული ინვენტარის მიხედვით გლდანის „რიყიანის“ სამაროვანი VI-VII სს-ით შეიძლება დავათარიღოთ. უდავოა, რომ გლდანი და მისი შემოგარენი მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით, რომელთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებშია შესწავლილი, წარმოადგენდა ეკონომიურად საკმაოდ ნელლონიერ ხეობას, რომელიც მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული დედაქალაქთან.

D. MINDORASHVILI

GLDANI RIQIANI CEMETERY

Summary

Riqiani cemetery is located in Tbilisi, near the Gldani 2nd-4th dividing road, Vartagava Street. In 1964, during the construction of private house the graves were found. The artifacts found here: two bronze earrings, the pomegranate shaped coral pin heads; the fragment of bronze pin and the fragments of iron bracelet dates the assemblage to the Early Medieval Period.

In July 2012 during the construction works at Riqianebi the graves were revealed again. The archaeological expedition of GNM Otari Lordkipanidze Center of Archaeology excavated here seven stone graves, which were oriented from E to W. Each grave contained from one to four human remains. The deceased were buried according to the Christian tradition – lying on their spines, with their heads to the west and hands across the body. The bodies buried earlier were moved to the walls of the graves. In some graves (## 3, 4) the deceased was buried near the wall to preserve the place for the next body.

The grave assemblage is poor and is represented by adornments. The fragments of iron knife are preserved in the grave # 4 (PI II _გ). The majority of artifacts represent iron and bronze pins (PI I _{3,4,6-11}; PI II _{1,5,6}). All of them are dated to the 6th-7th cc AD. Among the bronze and silver finger rings the bronze finger ring with the gem (PI II _გ) is important. The incised depiction of not identified animal on the ring seems to belong to the Sassanian type. According to the artifacts the cemetery can be dated to the 6th-7th centuries AD.

ლიტერატურა

- აფაქიძე და სხვ. 1955: აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წ.წ. განათხარის მიხედვით. მცხეთა I, თბილისი.
- აფაქიძე და სხვ. 1989: აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა., ბიბილური თ., გიუნაშვილი გ., ირემაშვილი შ., მანჯგალაძე გ., სადრაძე ვ., ძნელაძე მ., ხეცურიანი ლ. დიდი მცხეთა 1980, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მცხეთა IX, თბილისი, 6-39.
- აფხაზავა ნ. 1979: ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბილისი.
- აფხაზავა ნ. 1984: ადრეული შუა საუკუნეების სამარხები ცხვარიჭამიდან. – სსმმ, XXXVII-B, 159-166.
- აფხაზავა ნ. 1988: ქვემო ალფევი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბილისი.
- კიკვიძე ი., ჭილაშვილი ლ. 1961: ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი ბეთანიასთან. – სსმმ, XXII-B, 97-121.
- ლომიძე ც. 1998: აბანოსხევის ადრეული შუასაუკუნეების სამაროვანი. – ფსად, VI, 49-57.
- მამაიაშვილი ნ. 2004: ქალაქი ჭერემი, თბილისი.
- მინდორაშვილი დ. 2005: არქეოლოგიური გათხრები ხევში, თბილისი.
- ნიკოლაიშვილი ვ. 1978: ტუიაქორჩორას სამაროვანი. – მცხეთა II, თბილისი, 157-169.
- ნიკოლაიშვილი ვ. 1979: ვაშლაჯვარას სამაროვანი (1972 წლის განათხარის მიხედვით). – სას, II, 63-77.
- ნიკოლაიშვილი ვ. 1985: დიღმის ხეობა ადრეფეოდალურ ხანაში. – სას, III, 90-104.
- რჩეულიშვილი გ. 1990: ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.
- ტყეშელაშვილი ო. 1956: ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან. – სსმმ, XIX-B, 255-280.

- ტყეშელაშვილი ო. 1957:** სამთავროს ახ. ნ. IV-VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი ქინძისთავეები. — სსმმ, XIX-A, და XXI-B, 149-163.
- ჩიხლაძე ვ. 1977:** სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი ჟინვალის სამაროვანზე. — აძ, 95-101.
- ჭილაშვილი ლ. 1958:** ქალაქი რუსთავი, თბილისი.
- ხეცურიანი ლ. 1985:** მუხათგვერდი I, ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი. — მცხეთა VII, თბილისი, 151-162.
- ჯორბენაძე ბ. 1982:** ერნო-თიანეთი შუა საუკუნეებში. თბილისი.
- ჯორბენაძე ბ. 1998:** არქეოლოგიური მასალები აღმოსავლეთ საქართველოში შემთხვევით აღმოჩენილი სამაროვნებიდან. — ფსაძ, ტ. VI, გვ. 40-48.
- Абрамишвили и др. 1982:** Абрамишвили Р. М., Абрамишвили М. Р., Апрецов Л. А., Бердзули М. М., Блануца И. В., Зангури А. Н., Кахиани К. К., Татишвили Т. Н. Археологические раскопки в Тбилиси. — ПАИ, 1979 г, 38-46.
- Артилакვა и др. 1978:** Артилакვა В. Е., Антелидзе В. Г., Годзиашвили Н. Ш. О работе глданской археологической экспедиции. — ПАИ, 1975 г, 81-86.
- Артилакვა и др. 1979:** Артилакვა В., Иремашвили Ш., Годзиашвили Н., Гочалеишвили М. Отчёт о полевой работе глданской археологической экспедиции. — ПАИ, 1976 г, 197-204.
- Бохочадзе и др. 1995:** Бохочадзе А. В., Гозалишвили Г. С., Зангури А. Н. Итоги работ настакинской экспедиции. — ПАИ, 1987 году, 110-113.
- ОАК 1906:** Отчёты археологической комиссии за 1903 г. Москва.
- Рамишвили Р. М. 1969:** Исследование раннефеодального могильника «Иагсари». — ТКАЭ, I, 111-127.
- Такашвили Е. 1904:** Краткий отчёт о раскопках произведенных по поручению императорской археологической комиссии летом 1902 г близ станции Мцхета. — ИКОИМАО, вып. 1, Тифлис.
- Шмерлинг и др. 1960:** Шмерлинг Р., Долидзе В., Барнавели Т. Окрестности Тбилиси, Тбилиси.

სურათისა და ტაბულაჰის აღწერილობა

- სურ. 1** – გლდანის „რიყიანის“ სამაროვანი.
- ტაბ. I** – 1. გლდანის „რიყიანის“ სამაროვანი. გეგმა და ქრილი; 2. ქვის სამარხი №1; 3-4. №1 ქვის სამარხის ინვენტარი; 5. ქვის სამარხი №2; 6-12. №2 ქვის სამარხის ინვენტარი.
- ტაბ. II** – 1. ქვის სამარხი №3; 2. №3 ქვის სამარხის ინვენტარი; 3. ქვის სამარხი №4; 4-6. №4 ქვის სამარხის ინვენტარი; 7. ქვის სამარხი №5; 8. №5 ქვის სამარხის ინვენტარი; 9. ქვის სამარხი №6; 10. ქვის სამარხი №7.


DESCRIPTION OF THE FIGURE AND THE PLATES

Fig. 1 – “Riqiani” semetery in Gldani

Pl. I – 1. “Riqiani” semetery in Gldani. Plan and section; 2. Stone grave No. 1; 3-4. Burial goods from stone grave; 5. Stone grave No. 2; 6-12. Burial goods from stone grave No. 2



Pl. II – 1. Stone grave No. 3; 2. Burial goods from stone grave No. 3; 3. Stone grave No. 4; 4-6. Burial goods from stone grave No. 4; 7. Stone grave No. 5; 8. Burial goods from stone grave No. 5; 9. Stone grave No. 6; 10. Stone grave No. 7.

ტაბ. I



ბუბუბა


ჭრილი



სამ. №1

0 50სმ


2



სამ. №2

0 50სმ

5



ადრეული შუასაუკუნეების სამარხები ბეთანიიდან

ბეთანიის მიდამოები მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით. ჯერ კიდევ 1957 წ. ბეთანიის XII-XIII სს-ის ცნობილი ტაძრის სამხრეთით 3 კმ-ის დაშორებით, სამადლო-ბეთანიის გზის მარცხენა მხარეს გაშლილ ველზე, აღმოჩნდა ნახევრად დანგრეული სამარხები. სამაროვანზე გაიწმინდა 11 ქვის სამარხი. მათში ერთი ან რამდენიმე მიცვალებული დაკრძალული იყო ზურგზე გაშლილი, თავით დასავლეთისაკენ ან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ხელები ელაგათ მკერდზე ან ბარდაყის ძვლების გასწვრივ. სამარხებში აღმოჩნდა: რკინისა და ბრინჯაოს მშვილდსაკინძები; სარდიონის, მარჯნის, მინის მძივებით თავშემკული ბრინჯაოსა და რკინის საკინძები; მრგვალგანივკვეთიანი, თავებგამსხვილებული რკინის სამაჯურები; ოვალურ-ფარაკიანი რკინისა და ბრინჯაოს ბეჭდების ფრაგმენტები. სამაროვანი დათარიღდა VI-IX სს-ით [კიკვიძე, ჭილაშვილი 1961: 97-121].

2011 წლის სექტემბერში, ბეთანიის, ადგილ „დიდებაში“ კერძო სახლის მშენებლობისას, აღმოჩნდა ადამიანის ძვლები და ქვის სამარხის რამდენიმე ფილა. ადგილის მონახულებისთანავე ცხადი გახდა, რომ აქ საქმე გვქონდა სამაროვნის ნაწილთან.

სახლის წინ 24 მ² ფართობის არქეოლოგიური შესწავლისას გაირკვა, რომ თავის დროზე, შენობისათვის ქვაბულის ამოღებისას, ტრაქტორს რამდენიმე სამარხი დაუნგრევია და სამარხების ნაშთები – ქვიშაქვის ქვები და ძვლები, გამოუხვეტავს სახლის სამხრეთით მიმდებარე ტერიტორიაზე. იმავე ფართობზე აღმოჩნდა სამი დაუზიანებელი ქვის სამარხი (ტაბ. 1₁), რომელიც შესწავლილ იქნა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური ცენტრის ექსპედიციის მიერ.

ქვის სამარხი № 1 მდებარეობდა ნაგებობის წინ, მისგან 3,3 მ-ის დაშორებით. დამხრობილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე (ტაბ. 1₂). სამარხს ეხურა ქვიშაქვის ორი დიდი ფილა (ტაბ. 1₃). დასავლეთით მდებარე ფილის ზომები: სიგრძე 1,1 მ, სიგანე 1,4 მ, სისქე 9-10 სმ. მეორე, აღმოსავლეთ ფილის ზომები: სიგრძე 1,1 მ, სიგანე 0,8 მ, სისქე 9 სმ. სამარხის

გრძივი და განივი კედლები შედგენილი იყო თითო ქვით. სამარხის შიდა ზომები: სიგრძე 176 სმ, სიგანე 66 სმ, სიღრმე 55 სმ. მასში რამდენიმე მიცვალებული იყო დაკრძალული. ბოლო მიცვალებული ესვენა ზურგზე გაშლილი, თავით დასავლეთით. თავის ქალა მარცხნივ ქონდა გადავარდნილი. მარცხენა ხელი ედო ბოქვენზე, იდაყვში მოხრილი მარჯვენა ხელი – მუცელზე. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მიხვეტილი იყო ადრე დაკრძალულთა თავის ქალები და სხვა ძვლები (ტაბ. 1₄), მათ შორის თითის ფალანგები, რომელთაგან ერთ-ერთზე წამოცმული იყო ბრინჯაოს ბეჭედი. ადრე დაკრძალულ მიცვალებულთა ძალზე ცუდად შემორჩენილი ძვლების ნაწილი მიეხვეტათ სამარხის აღმოსავლეთ ნაწილშიც, ბოლოს დაკრძალული მიცვალებულის ფეხებთან. ძვლების ცუდად დაცულობის გამო, სამარხში დაკრძალულთა ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. სავარაუდოდ, მასში სულ მცირე 3 მიცვალებული მაინც უნდა ყოფილიყო დაკრძალული.

სამარხში აღმოჩნდა: 1. ბრინჯაოს ბეჭდის რკალის ორი ფრაგმენტი. რკალი მრგვალგანივკვეთიანია. რკალის დმ 1,6 სმ. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ ნაწილში, თავკედლის ძირას, წამოცმული იყო თითის ფალანგაზე (ტაბ. 1₅); 2. მინის თვალი. მომწვანო ფერის. მრგვალი. ერთ მხარეს ოდნავ ამოზურცული. დმ 1,2 სმ. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ ნაწილში, მიხვეტილ ძვლებთან (ტაბ. 1₆); 3. ვერცხლის სასაფეთქლე. შემსხვილებული შუა ნაწილით. წვრილი თავები ერთმანეთზე გადადის. ღერო მრგვალგანივკვეთიანია. რგოლის დმ 8-10 მმ. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ ნაწილში, მიხვეტილ ძვლებთან – თავის ქალასთან (ტაბ. 1₇).

ქვის სამარხი № 2 აღმოჩნდა № 1 სამარხიდან სამხრეთ-დასავლეთით 60 სმ-ის დაშორებით. ზემოდან ეხურა სამი საშუალო და პატარა ზომის ქვიშაქვის ფილა (ტაბ. 1₈). ადრეული შუასაუკუნეების სამარხების ტრადიციული დამხრობის გვერდით აღნიშნული სამარხის ფილების დამხრობა ჩრდილო-აღმოსავლეთ სამხრეთ-დასავლეთ ხაზზე უცნაურად გამოიყურებოდა, მაგრამ სახურავის ახდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს იყო

არა სამარხი თავისი ტრადიციული გაგებით, არამედ ქვიშაქვის სამი ფილისაგან შედგენილი ოთხკუთხა ღრმა ორმო (ტაბ. 1₃). მის ერთ გვერდს მინის მასივი წარმოადგენდა. ორმოში (ზომები 60×50×55 სმ) უსისტემოდ იყო ჩაყრილი მიცვალებულთა ძვლები (ტაბ. 1₃). ორმოში არ აღმოჩნდა რაიმე ნივთი. მიცვალებულთა რაოდენობის დადგენა აქაც ვერ მოხერხდა. ის კი გაირკვა, რომ № 2 სამარხი იყო არა სამარხი, ტრადიციული გაგებით, არამედ რომელიღაც ქვის სამარხიდან გადმოსვენებული ძვლების დასაკრძალი ორმო. ასეთი რამ უცხო არაა ადრეული შუასაუკუნეების სამაროვნებისათვის. მაგ. მსგავსი სურათი გამოვლინდა დაღეთის (თეთრიწყაროს რ-ნი) სამაროვანზე. იქ № 10 სამარხის კედლის გარეთ, ზედ კედელთანვე ჭირისუფლებს გაეკეთებინათ პატარა ორმო, სადაც გადმოულაგებიათ სამარხში ადრე დაკრძალული მიცვალებულების ძვლები. ჩანდა, რომ სამარხის მოცულობა უკვე ველარ იტევდა ახალ მიცვალებულებს და ჭირისუფლებმა შექმნილი მდგომარეობიდან ამგვარი გამოსავალი ნახეს. ასეთივე ვითარებასთან უნდა გვექონდეს საქმე ბეთანიის ძვლებით სავსე ორმოს სახით. ერთი ცხადია, ამ ორმოში არ ყოფილა გადმოსვენებული ძვლები №№ 1,3 სამარხებიდან, რომლებიც მოცულობით საკმაოდ დიდებია და მათში მიცვალებულთა სიჭარბეც არ შეიმჩნევა. ორმოში ძვლები რომელიღაც სხვა სამარხიდან უნდა გადაესვენებინათ.

ქვის სამარხი № 3 მდებარეობდა № 1 სამარხიდან 1,6 მ-ის დაშორებით (ტაბ. 1₄). დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხს ეფარა ქვიშაქვის ორი დიდ ფილა (ტაბ. 1₄). დასავლეთი ფილის ზომები: სიგრძე 117 სმ, სიგანე 100 სმ, სისქე 9-10 სმ. აღმ. ფილის სიგრძეა 100 სმ, სიგანე 120 სმ, სისქე 8-9 სმ. სამარხის გრძივი და განივი კედლები შედგებოდა ქვიშაქვის თითო ფილისაგან. სამარხის შიდა ზომები: სიგრძე 178 სმ, სიგანე 67 სმ, სიღრმე 55 სმ. სამარხში ძვლები თითქმის მთლიანად იყო დაშლილი გარდა ბარძაყის 2 და წვივის 1 ძვლისა (ტაბ. 1₄). მისი მიხედვით ირკვევა, რომ ეს მიცვალებული და როგორც ჩანს, სხვა მიცვალებულებიც დაეკრძალათ ქრისტიანულად – ზურგზე გაშობილი, თავით დასავლეთით. ძვლების ცუდად დაცულობის მიუხედავად შეიმჩნეოდა, რომ სამარხში რამდენიმე მიცვალებული ყოფილა დაკრძალული და ძველი მიცვალებულების ძვლები სამარხის სხვადასხვა ნაწილში ყოფილა მიხვეტილი.

სამარხში აღმოჩნდა: 1. ბრინჯაოს საკინძი. თავმოტეხილი. თავთან მირჩილული აქვს ოქროს წვრილი ბურთულები. ღერო მრგვალგანივკვეთიანია. შემორჩენილი სიგრძე 11,3 სმ. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ ნაწილში, თავის ქალის მიდამოებში (ტაბ. 1₆); 2. რკინის საკინძი. ნაკლული. ორად გატეხილი. მრგვალგანივკვეთიანი. შემორჩენილი სიგრძე 5,5 სმ (ტაბ. 1₉). აღმოჩნდა იქვე; 3. რკინის საკინძი. ნაკლული. მრგვალგანივკვეთიანი. შემორჩენილი სიგრძე 4 სმ (ტაბ. 1₁₀). აღმოჩნდა იქვე; 4. საკინძი. ბრინჯაოსი. თავმოკაუჭებული. მრგვალგანივკვეთიანი. კაუჭზე მიერთებულია მეორე კაუჭი. შემორჩენილი სიგრძე 7,4 სმ (ტაბ. 1₁₁). აღმოჩნდა იქვე; 5. საკინძი. ბრინჯაოსი. თავმოკაუჭებული. ანალოგიურია ზემოთ აღწერილისა. წვერმოტეხილი. შემორჩენილი სიგრძე 5,6 სმ (ტაბ. 1₁₂). აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში; 6. ღერაკები. ბრინჯაოსი. ორი ცალი. ნაკლულები. ერთი სამჯურის ნატეხი შეიძლება იყოს. მრგვალგანივკვეთიანები (ტაბ. 1₁₃). აღმოჩნდა იქვე; 7. ბეჭედი. ვერცხლის. თვალბუდიანი. თვალი დაკარგული აქვს. რკალის დმ 1,7 სმ (ტაბ. 1₁₄). აღმოჩნდა იქვე; 8. კაურები. სამი მთელი და ერთი ნაკლული. სიგრძე — 1,5-1,8 სმ (ტაბ. 1₁₅). აღმოჩნდა მიცვალებულის მკერდის არეში. სამარხში გაბნეული იყო გამჭვირვალე და მწვანე მინის ჭურჭლების რამდენიმე სქელკედლიანი უსახური ნატეხი, რომელიც სამარხში მიწას უნდა ჩაჰყოლოდა (ტაბ. 1₁₆). გარდა ამისა, სამარხში ჩნდებოდა ნახშირის კვალი.

ორივე ქვის სამარხი ნაგებია ნაწილობრივ დამუშავებული დიდი ფილებით. ქვის სამარხები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბეთანიის ტერიტორიაზე ადრეცაა მიკვლეული [კიკვიძე ი., ჭილაშვილი ლ. 1961: 97-121]. ქვის სამარხები ტიპიურია ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვნებისათვის. ისინი საოჯახო დასაკრძალავებია და მათში ძალიან ხშირად რამდენიმე მიცვალებულია დასვენებული. ასეთი ვითარებაა ბეთანიის ორივე სამარხშიც. ბოლო მიცვალებული დაკრძალულია ზურგზე გაშობილი, თავით დასავლეთით, ადრე დაკრძალულთა ძვლები კი სამარხის სხვადასხვა ნაწილშია მიხვეტილი. ამგვარ სურათს ვხვდებით აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების თითქმის ყველა სამაროვანზე. ჩანს, ბეთანიის სამაროვანზეც ჰქონიათ წესი ქვის სამარხებში ნლების მანძილზე დიდი რაოდენობით დაგროვილი ძვლების სხვაგან გადასვენებისა.

ამის დასტურია სამაროვანზე გათხრილი ძვლებით სავსე ვინრო და ღრმა ორმო (ტაბ. I₃). № 3 სამარხში ჩნდებოდა ნახშირის მცირე ნატეხები. სამარხებში ნახშირის კვალის გამოვლენა საფლავის ცეცხლით განწმენდის უძველეს ტრადიციასთანაა დაკავშირებული. აღნიშნული წესი ემყარებოდა უძველეს რწმენას ცეცხლზე, როგორც ავის სულების საწინააღმდეგო და უწმინდურობისაგან გამწმენდ ძალაზე [გიორგაძე დ. 1987: 24; რჩეულიშვილი გ. 1990: 77].

სამარხეული ინვენტარი როგორც მოსალოდნელი იყო ღარიბულია და მხოლოდ სამკაულისგან შედგება (ტაბ. I₅₋₁₆).

№ 1 სამარხიდან მომდინარეობს ვერცხლის სასაფეთქლე (ტაბ. I₇), რომლის ანალოგები ფართოდაა ცნობილი როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე ჩრდილო კავკასიის ძეგლებიდან. აგრეთვე ჩრდილო შავიზღვისპირეთის, ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის „ჭუნების ეპოქის“ სამაროვნებიდან [მინდორაშვილი 2005: 79; Кузнецов 1962: 79; Мамаев 1986: სურ. 5₁₂; Рунич 1969: ტაბ. III₉].

რკინის 2 საკინძი ნაკლულია (ტაბ. I₉₋₁₀). კიდევ ერთი ნაკლული საკინძი ბრინჯაოსია, თავმოტეხილი. შერჩენილი აქვს ოქროს წვრილი კოპების სარტყელი (ტაბ. I₈). სამივე აღმოჩნდა № 3 ქვის სამარხში. რკინისა და ბრინჯაოს საკინძები ერთობ დამახასიათებელი ნივთებია აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების მატერიალური კულტურისათვის [აფხაზავა 1979: ტაბ. XVIII₂₈, XXI₈, XXX₅₂, XXXV_{30,31}; აფხაზავა 1988: ტაბ. XXXII_{40,41}]. ანალოგების მიხედვით № 3 სამარხის საკინძები VI-VII სს-ს, უფრო კი VII ს-ს შეიძლება მივაკუთვნოთ. № 3 სამარხში აღმოჩენილი თავმოკაუჭებული საკინძების (ტაბ. I₁₁₋₁₂) მსგავსი ნივთები აღმოჩენილია ქვემო ალევის VII ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ სამარხებში [აფხაზავა ნ. 1988: ტაბ. IV₁₀, XXIII₂₂].

იმავე სამარხშია მიკვლეული ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭედი (ტაბ. I₁₄). მსგავსი ფორმის ბეჭდები კარგადაა ცნობილი სამთავროს [აფხაზავა ნ. 1979: ტაბ. XX₇, XXXIV₃₅, XXXV₃₂, XLII₂₈], ქვემო ალევის [აფხაზავა ნ. 1988: ტაბ. V₁₅] დარიალის ხეობის [მინდორაშვილი დ. 2005: 69] VII ს-ით დათარიღებული სამარხეული კომპლექსებიდან.

№ 3 სამარხში აღმოჩნდა ნიჟარები (ტაბ. I₁₅). ამგვარი სამკაული ფართოდაა გავრცელებული როგორც აღმოსავლეთ საქართველოს [აფხაზავა 1979: ტაბ. XXI₃₃, XXXVI₇, XLI₃₁; აფხაზავა 1988: ტაბ. VI_{16-17,48}, XXXIX_{51,52}; მინდორაშვილი 2005:

85], ისე ჩრდილო კავკასიის ადრეული შუასაუკუნეების ძეგლებზე. თვლიან, რომ კავკასიაში ისინი ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებიდანაა გავრცელებული [Рунич 1975: 150].

ამრიგად, მცირერიცხოვანი ინვენტარის მიხედვით ბეთანიის სამარხები VII ს-ით შეიძლება დავათარილოთ. აღსანიშნავია, რომ შესწავლილი სამარხების ირგვლივ მიმდებარე ვრცელი ტერიტორიაც სამაროვანს უკავია. სამწუხაროდ, მისი დიდი ნაწილი უკვე განადგურებული ჩანს ამ ფართობზე აგებული აგარაკებით.

EARLY MEDIEVAL GRAVES FROM BETHANIA

Summary

In September 2011 in The v. Bethania, place "Dideba" during the process of construction of private house the human bones and the stone slabs of the stone grave were discovered. After the visiting the place it became clear that the discovery belonged to the part of the cemetery. On the territory in front of the house three undisturbed stone graves were discovered (Pl. I₁), which were excavated by the archaeological expedition of GNM Otar Lordkipanidze Center of Archaeology.

Oriented from E to W, stone graves ##1, 2 were built from partially elaborated stone slabs and were used as family cist. In both graves the last deceased were buried on their spine, with their heads to the west and hands across the body. The bodies buried earlier were moved to the walls and other places of the graves (Pl. I₂₋₄). The stone grave # 3 was oriented from NE to SW. It appeared that it was a pit surrounded with sandstone slabs (60x50x55cm) where the human bones were placed without any order (Pl. I₄). Supposedly the pit was used to place the human remains from the graves where there was no place to bury the new deceased. This is usual for Early Medieval cemeteries of East Georgia (e.g. Dageti cemetery).

The grave assemblage was very poor and included only adornments (Pl. I₅₋₁₆) which can date the cemetery to the 7th c AD.

ლიტერატურა

აფხაზავა ნ. 1979: ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბილისი.

აფხაზავა ნ. 1988: ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბილისი.

გიორგაძე დ. 1987: დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში. თბილისი.

კიკვიძე ი., ჭილაშვილი ლ. 1961: ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი ბეთანიასთან. – სსმმ, ტ. XXII-B, 97-121.

მინდორაშვილი დ. 2005: არქეოლოგიური გათხრები ხევში. თბილისი.

რჩეულიშვილი გ. 1990: ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

Кузнецов В. А. 1962: Аланские племена Северного Кавказа. МИА, т. 106, Москва.

Мамаев Х. М. 1986: Хронология катакомбных могильников Чечено-Ингушетии конца IV-первой половины VIII в. – ПХППЧИ, Грозный, 44-70.

Рунич А. П. 1969: Аланские катакомбные могильники V-VIII вв в городе Кисловодске и его окрестностях. – МАДИСО, т. II, Орджоникидзе, 97-111.


ტაბულის აღწერილობა

ტაბ. I. 1. 2011 წ. ბეთანიაში გათხრილი სამარხების გეგმა; 2. სამარხი №1; 3. სამარხი №2 (ორმო); 4. სამარხი №3; 5-7. №1 სამარხის ინვენტარი; 8-15. №3 სამარხის ინვენტარი; 16. №3 სამარხში მიწასთან ერთად მოხვედრილი მინის ჭურჭლის ნატეხები.

DESCRIPTION OF THE PLATE



Pl.I – 1. Graves found in Betania in 2011, plan; 2. Grave No. 1; 3. Grave No. 2 (pit); 4. Grave No. 3; 5-7. Burial goods from the grave 1; 8-15. Burial goods from the grave 3; Fragments of the glass vessel from the grave 3 fallen there with soil.

ტაბ. I





სამ. №1 0 20 სმ

სამ. №3 0 20 სმ



სამ. №2 (თრმთ)



დავით მინდორაშვილი

დაღეთის სამაროვანი

(2004 წლის განათხარი მასალების მიხედვით)

დაღეთის სამაროვანი მდებარეობს თეთრინყაროს რ-ში სოფ. დაღეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახ. 300 მ-ის დაშორებით, გაშლილ ველზე. სტატიაში განხილული სამარხები შეადგენს მცირე ნაწილს ვრცელი სამაროვნისა, რომელიც 2003-2004 წწ. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით შეისწავლა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციებმა ჯერ გ. მირცხულავას, შემდეგ ნინამდებარე სტატიის ავტორის ხელმძღვანელობით. სტატიაში ვაქვეყნებთ 2004 წ. ჩვენს მიერ გათხრილ სამარხეულ მასალას. აღვწერთ მხოლოდ ინვენტარიან სამარხებს.

№ 1 ქვის სამარხი მდებარეობს შესწავლილი ფართობის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. I). დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. სამარხის თავ-ბოლო კედლები თითო, გვერდითი კედლები კი ბაზალტის ორ-ორი ფილითაა შედგენილი. სიმყარისათვის კედლებს გარედან ჩასობილი აქვთ მომცრო ქვები. სამარხი გადახურულია ორი ფილით. სახურავის სიგრძე: 165 სმ, სიგანე 70-90 სმ. სამარხის ზომები: სიგრძე 140 სმ, სიგანე 35-40 სმ, სიღრმე 40 სმ. ქვის ფილების სისქე 10-20 სმ (ტაბ. II).

სამარხში ესვენა 2 მიცვალებული. თავდაპირველად დაკრძალული მიცვალებულის ძვლები, მეორე მიცვალებულის დაკრძალვისას სამარხის სამხრეთ კედელთან მიუწევიათ. პირველი მიცვალებული დასვენებული ყოფილა ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთისაკენ. მეორე მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, მოხრილი კიდურებით (ტაბ. II). სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, მეორე მიცვალებულთან აღმოჩნდა ბრინჯაოს მავთულისაგან დამზადებული ნახევარკალისებრი ყუნწიანი საკიდი (ტაბ. I).

№ 2 ქვის სამარხი მდებარეობს №1 სამარხის ჩრდილო-დასავლეთით 2 მ დაშორებით (ტაბ. I). სამარხის თავ-ბოლო კედლები ბაზალტის თითო, გვერდითი კედლები კი ორ-ორი ფილითაა შედგენილი. სახურავის 3 ქვიდან შუა ქვა განძის მაძიებლებს მოეხსნათ. სახურავის სიგრძე: 240

სმ, სიგანე 90-100 სმ. სამარხის ზომები: სიგრძე 160 სმ, სიგანე 50 სმ, სიღრმე 50 სმ. ქვის ფილების სისქე 10-18 სმ (ტაბ. II).

სამარხში ესვენა 2 მიცვალებული. პირველი მიცვალებულის ჩონჩხი მიეხვეცათ სამხრეთი კედლის გასწვრივ. მისგან მხოლოდ თავის ქალის ფრაგმენტი და ბარძაყ-წვივის ძვლები იყო შემორჩენილი. მეორე მიცვალებული ესვენა ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთისაკენ. ხელები ელაგა ტანის გასწვრივ (ტაბ. II). სამარხის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა: ბრინჯაოს რგოლისა თუ ბეჭდის ფრაგმენტი (ტაბ. I); რკინის ლურსმანი (ტაბ. I); სამარხის დასავლეთ ნაწილში, მიცვალებულის ყელის არეში, გამოვლინდა ლურჯი მინის ხუთი მილაკისებური და ერთი მრგვალი მძივი (ტაბ. I).

№ 3 ქვის სამარხი მდებარეობს №2 სამარხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,5 მ დაშორებით (ტაბ. I). სამარხის თავ-ბოლო კედლები ბაზალტის თითო, გვერდითი კედლები კი ორ-ორი მასიური ფილითაა შედგენილი. გადახურულია ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი 2 დიდი ფილით. სახურავის სიგრძე: 220 სმ, სიგანე დას. ნაწილში 100-110 სმ, აღმ. ნაწილში 130-140 სმ. სამარხის ზომები: სიგრძე 190 სმ, სიგანე 65-75 სმ, სიღრმე 60 სმ. ქვის ფილების სისქე 5-12 სმ (ტაბ. II).

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში მიხვეტილი იყო 2 მიცვალებულის ძვლები. დაახლოებით ცენტრალურ ნაწილში, მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, მკვეთრად მოკეცილი ფეხებით დაეკრძალათ ჩვილი. მეორე ჩვილის ნეკნისა და თავის ქალის ფრაგმენტები შემორჩენილი იყო სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან. მეხუთე, ყველაზე გვიანდელი მიცვალებული ესვენა სამარხის დასავლეთ ნაწილში, მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, მოკეცილი ფეხებით. ზედა კიდურების ძვლები აღარ შემორჩენილა (ტაბ. II). სამარხის დაახლოებით ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ბრინჯაოს საკინძი, შემკული ბრონეულის ყვავილის გამოსახულებიანი მარჯნის მძივითა და ბრინჯაოს ვარდულებით (ტაბ. I); სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, მიხვეტილ ძვლებთან გამოვლინდა ბრინჯაოს რკალგახსნილი სასაფეთქლე რგოლი, დამზადებული

მრგვალგანიკვეთიანი მავთულისაგან (ტაბ. I₆).

№ 4 ქვის სამარხი მდებარეობს № 3 სამარხის აღმოსავლეთით 0,3 მ დაშორებით (ტაბ. I). სამარხის თავ-ბოლო კედლები ბაზალტის თითო, გვერდითი კედლები კი ორ-ორი ფილითაა შედგენილი. თავ-ბოლო კედლებს სიმყარისათვის გარედან, ჩასობილი აქვთ ქვები. სამარხი თავის დროზე გადახურული ყოფილა 2 პატარა ფილით, რომლებიც განძის მაძიებლებს აეხადათ. თუმცა, სამარხი ხელუხლებელი დაეტოვებინათ. სამარხის ზომები: სიგრძე 70 სმ, სიგანე 30-35 სმ, სიღრმე 30 სმ. ქვის ფილების სისქე 5-15 სმ (ტაბ. II₄).

სამარხში დაეკრძალათ ბავშვი, რომლისგან მხოლოდ თავის ქალისა და ირიბად დალაგებული იდაყვის ძვლები იყო შემორჩენილი. სავარაუდოდ, მიცვალებული დაკრძალული ყოფილა მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, მოხრილი კიდურებით (ტაბ. II₄). სამარხის სამხ.-დას. ნაწილში, თავის ქალასთან აღმოჩნდა ბრინჯაოს ზარაკი (ტაბ. I₇).

№ 9 ქვის სამარხი მდებარეობს № 6 სამარხის აღმოსავლეთით 1,5 მ დაშორებით (ტაბ. I). სამარხის თავ-ბოლო კედლები ბაზალტის კარგად დამუშავებული თითო სწორკუთხა ფილაა. ისინი გვერდით კედლებს შორისაა მოქცეული და რამდენადმე შიგნით შეწეული. სამარხის სამხრეთი კედელი ერთიანი ფილაა. 2 ფილისაგან შედგება ჩრდილოეთი კედელი. სიმყარისათვის სამხრეთ კედელს გარედან ჩასობილი აქვს ქვა. სამარხი გადახურულია ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი 2 მასიური ფილით. სახურავის სიგრძე: 235 სმ, სიგანე 120 სმ. სამარხის ზომები: სიგრძე 170 სმ, სიგანე 70 სმ, სიღრმე 60 სმ. ქვის ფილების სისქე 9-10 სმ (ტაბ. III₉).

სამარხის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა შვიდი თავის ქალა, რომელთაგან ექვსის ძვლები მიხვეტილი იყო აღმოსავლეთ ნაწილში. ამდენად, მათი დაკრძალვის თავდაპირველი პოზის დადგენა შეუძლებელია. მეშვიდე, ყველაზე გვიანდელი მიცვალებული დაუკრძალავთ სამხრეთი კედლის გასწვრივ, მარცხენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით. მიცვალებულს ხელის მტევნები სახესთან ქონდა მიტანილი (ტაბ. III₉). ბოლო მიცვალებულის გვერდზე, ჩრდილოეთ მხარეს, დასვენებულ ბავშვთან აღმოჩნდა ბრინჯაოს თავებშესქელებული სამაჯური (ტაბ. I₈). სამარხის დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა: ბრინჯაოს დეფორმირებული თვალბუდიანი ბეჭედი (ტაბ. I₉); ბრინჯაოს საკინძის ღერო (ტაბ. I₁₀); რკინის საკინძის ღერო (ტაბ. I₁₁).

№ 10 ქვის სამარხი მდებარეობს № 9

სამარხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 0,8 მ დაშორებით (ტაბ. I). სამარხის თავ-ბოლო კედლები ბაზალტის თითო, გვერდითი კედლები კი ორ-ორი ფილითაა შედგენილი. სიმყარისათვის დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებს გარედან ჩასობილი აქვთ ქვები. სამარხი გადახურულია 3 მასიური ფილით, რომელთაგან დასავლეთ ნაწილის ფილა გამორჩეულად დიდია – სიგრძე 160 სმ, სიგანე 125 სმ. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილის ორი ქვა განძის მაძიებლებს ადგილიდან დაეძრათ. თუმცა, საკუთრივ სამარხი ხელუხლებელი იყო. სამარხის ზომები: სიგრძე 220 სმ, სიგანე 75-80 სმ, სიღრმე 50 სმ. ქვის ფილების სისქე 10-12 სმ (ტაბ. III₁₀).

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში მიხვეტილი იყო სულ მცირე 5 მიცვალებულის ძვლები (მიცვალებულთა რაოდენობა განისაზღვრა თავის ქალების მიხედვით). სამარხის დასავლეთ ნაწილში კიდევ 3 მიცვალებული დაეკრძალათ. სამხრეთ კედლის გასწვრივ მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, მოხრილი კიდურებით. მეორე მიცვალებული დაკრძალულია ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ, მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, მოხრილი კიდურებით. ამ ორივე მიცვალებულზე ზემოდან დაეკრძალათ ყველაზე გვიანდელი, მესამე მიცვალებული – მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, მოხრილი კიდურებით (ტაბ. III₁₀).

სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან აღმოჩნდა ბრინჯაოს ნაკლული საყურე, შემკული მარგალიტის მძივით (ტაბ. I₁₂). ანალოგიური საყურე აღმოჩნდა ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან (ტაბ. I₁₃). სამარხის დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა: რკინის რგოლისა თუ ბეჭდის ფრაგმენტი (ტაბ. I₁₄); ბრინჯაოს ბეჭედი, 3 მცირე ზომის „ფარაკით“ (ტაბ. I₁₅); ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭედი (ტაბ. I₁₆); მინის სანელსაცხებლის ყელის ნატეხი (ტაბ. I₁₇).

სამარხის გარეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმდებარე ფართობზე აღმოჩნდა ორმო (75x45x50 სმ), რომელიც დასავლეთიდან № 10 სამარხის აღმოსავლეთი კედლით, ხოლო ჩრდილოეთიდან ბაზალტის 1 ფილით იყო შემოსაზღვრული. № 10 სამარხის სახურავის აღმოსავლეთ ნაწილის ბოლო ქვა ამ ორმოსაც ფარავდა. ორმოს განმენდისას, მის ჩრდილოეთ ნაწილში გამოვლინდა სამი თავის ქალა (მათგან ერთი ბავშვის) და მათ წინ დალაგებული ძვლების გროვა (ტაბ. III₁₀). ჩანს, ჭირისუფლებს ადრე დაკრძალული მიცვალებულების ძვლები

№ 10 სამარხიდან ამოვლავებინათ და იქვე, სახელდახელოდ გათხრილ პატარა ორმოში დაეფლათ. ეტყობა, სამარხის მოცულობა უკვე ვეღარ იტევდა ახალ მიცვალებულებს და ამასთან სამარხის აღმოსავლეთ ნაწილიც უკვე შევსებული იყო მიხვეტილი ძვლებით. № 10 სამარხიდან გადმოსვენებულ მიცვალებულებს ინვენტარი არ ახლდა.

№ 12 ქვის სამარხი მდებარეობს № 11 სამარხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 0,2 მ დაშორებით (ტაბ. I). სამარხის თავ-ბოლო კედლები ბაზალტის თითო, გვერდითი კედლები კი ორ-ორი ფილითაა შედგენილი. სიმყარისათვის კედლებს გარედან ჩასობილი აქვთ ქვები. სამარხი გადახურულია 3 ფილით. სახურავის სიგრძე 210 სმ, სიგანე 65-90 სმ. სამარხის ზომები: სიგრძე 190 სმ, სიგანე 45 სმ, სიღრმე 45 სმ (ტაბ. III₁₂).

სამარხის დასავლეთ ნაწილში დაეკრძალათ ბავშვი, ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთისაკენ. ცენტრალურ ნაწილში მიხვეტილი იყო მეორე მიცვალებულის ძვლები. ადგილიდან იყო დაძრული მესამე მიცვალებულის ძვლებიც, რომელიც დასვენებული ყოფილა ზურგზე გამოტილი, გაჭიმული ქვედა კიდურებით. მისი პოზის დადგენა იმით ხერხდება, რომ მიცვალებულის ძვლები ჭირისუფლებს კი არ მიუხვეტიათ, არამედ სამარხის ჩრდილოეთ კედელთან მიუწევიათ იმავე პოზაში, როგორც ის თავდაპირველად იყო ჩასვენებული (ტაბ. III₁₂). სამარხის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ბრინჯაოს ბეჭედი (ტაბ. I₁₈).

№ 18 ქვის სამარხი მდებარეობს № 10 სამარხის ჩრდილო-დასავლეთით 2,2 მ დაშორებით (ტაბ. I). სამარხის თავ-ბოლო კედლები ბაზალტის თითო, გვერდითი კედლები კი ორ-ორი ფილისაგან შედგება. გვერდითი კედლები შუა ნაწილში მკვეთრად დავინროებულია, რის გამოც სამარხს ბიკონუსური მოყვანილობა აქვს. კედლებს სიმყარისათვის გარედან, ჩასობილი აქვთ ქვები. სამარხის სახურავიდან ჩვენამდე მხოლოდ ერთმა ფილამ მოაღწია. ფილის სიგრძე 135 სმ, სიგანე 90-105 სმ. სახურავის დანარჩენი ნაწილი განძის მაძიებლებს აეხადათ. თუმცა, სამარხი ხელუხლებლად დაეტოვებინათ. სამარხის ზომები: სიგრძე 180 სმ, სიგანე თავსა და ბოლოში 60-65 სმ, შუა ნაწილში – 40 სმ, სიღრმე 50 სმ. ქვის ფილების სისქე 5-15 სმ (ტაბ. IV₁₈).

მიცვალებული დაეკრძალათ ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთისაკენ. ხელები ელაგა

ტანის გასწვრივ (ტაბ. IV₁₈). სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, მიცვალებულის თავთან, აღმოჩნდა რკინის ცალპირლესული დანა (ტაბ. I₁₉).

№ 20 ქვის ფილებით გადახურული ორ-მოსამარხი მდებარეობს № 19 სამარხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 0,6 მ დაშორებით (ტაბ. I). სამარხს ეხურა ბაზალტის ორი ფილა. სახურავის სიგრძე 105 სმ, სიგანე 85 სმ. ოვალური მოყვანილობის ორმოში (100×45×20სმ) დაეკრძალათ ბავშვი, მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, მოხრილი კიდურებით (ტაბ. IV₂₀). მიცვალებულის მკლავისა და იდაყვის ძვლების შეერთების ადგილას აღმოჩნდა ბრინჯაოს თვალბუდიანი ბეჭედი (ტაბ. I₂₀).

№ 25 ქვის სამარხი მდებარეობს № 22 სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთით 0,75 მ დაშორებით (ტაბ. I). სამარხის თავ-ბოლო კედლები შედგენილია ბაზალტის თითო, გვერდითი კედლები კი ორ-ორი ფილით. სამარხი გადახურულია 2 ფილით. სახურავის სიგრძე 175 სმ, სიგანე 85 სმ. სამარხის ზომები: სიგრძე 165 სმ, სიგანე 45 სმ, სიღრმე 45 სმ. ქვის ფილების სისქე 5-15 სმ (ტაბ. IV₂₅).

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში მიხვეტილი იყო 4 მიცვალებულის ძვლები. მათგან 1 ბავშვისაა. ბოლო, მეხუთე მიცვალებული დაეკრძალათ ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთისაკენ. ხელები ელაგა მუცელზე (ტაბ. IV₂₅). სამარხის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა: ბრინჯაოს ღერაკები (ტაბ. I₂₁); ბრინჯაოს მოგრძო სამკაული, შემკული მარგალიტის მძივითა და შავი მინის თვლებით. სიგრძე 5 სმ (ტაბ. I₂₂); მინის მრგვალ-ბრტყელი (25 ც) და სფერული (1 ც), აგრეთვე სარდიონის 1 სფერული მძივი (ტაბ. I₂₃).

სამაროვანზე № 21 სამარხიდან სამხრეთ-დასავლეთით 1 მ დაშორებით გამოვლინდა 70 სმ სიღრმისა და 120 სმ დმ-ის ბრტყელძირა ორმო (ტაბ. IV). მასში არაფერი აღმოჩენილა, გარდა რელიეფური სარტყელით შემკული, წითლად გამომწვარი ქვევრისა თუ დერგის ნატეხისა.

სამარხთა აღწავლა და დაკრძალვის წესი. 2004 წ. შესწავლილი 25 სამარხიდან 17 ქვის სამარხია, 8 ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი. ქვის სამარხების გასამართავად გამოყენებულია ამ რეგიონში მრავლად არსებული ბაზალტის ნაწილობრივ დამუშავებული ფილები, რომელთაც რამდენადმე სწორკუთხა მოყვანილობა აქვთ. გვხვდება სრულიად დაუმუშავებელი

ფილებიც. ზედაპირის კარგი დამუშავებით მხოლოდ № 9 სამარხის ქვის ფილები გამოირჩევა. ქვის სამარხები მიცვალებულთა ასაკის შესაბამისად სხვადასხვა ზომისაა. მცირე-ნლოვანთა სამარხების სიგრძე 65-70 სმ (№№ 4,5). მოზრდილთა სამარხების სიგრძე 140-220 სმ. სამარხების ასაგებად გამოყენებული ქვის ფილების რაოდენობა, სამარხთა ზომების მიუხედავად ძირითადად ერთნაირია. უმეტეს შემთხვევაში სამარხების თავ-ბოლო კედლების გასამართავად გამოყენებულია თითო, ხოლო გვერდითი კედლებისათვის ორ-ორი ფილა. თითო-თითო ფილითაა შედგენილი № 5 ბავშვის სამარხის ოთხივე კედელი. იშვიათად გვერდითი კედლების გასამართად სამ-სამი ქვაა გამოყენებული (№2 3). №№ 9, 21 სამარხების ერთი გვერდითი კედელი თითო ფილითაა შედგენილი, მეორე – ორით. სამარხები გადახურულია ერთი (№ 5), უმრავლეს შემთხვევაში ორი (№№ 1, 2, 3, 9, 25) ან სამი (№№ 10, 12, 19, 23) ფილით. სახურავის ქვებს შორის დარჩენილი სიცარიელე წვრილი ქვებითაა შევსებული. სამარხების თავ-ბოლო და გვერდით კედლებს სიმყარისათვის გარედან ჩასობილი აქვთ ქვები.

ქვის სამარხები ტიპურია აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების სამაროვნებისთვის. ისინი გვხვდება: რუსთავში [ჭილაშვილი 1958: 57], ბეთანიაში [კიკვიძე, ჭილაშვილი 1961: 114], სამთავროზე [ტყეშელაშვილი 1956: 255], არმაზისხევში [აფაქიძე და სხვ. 1989: 135], სანგრისხევში [Такаишвили 1904: 81], ტუიაქორხრაზე, დიღმის ხეობაში [ნიკოლაიშვილი 1978: 157; 1978ა: 75; 1985: 92], ცხვარიჭამიაში [აფხაზავა 1984: 159], ნასტაკისში [Бохочадзе и др. 1995: 111], ჭერემში [მამაიაშვილი 2004: 98], მატანში [Рамишвили 1969: 118], ჟინვალში [ჩიხლაძე 1977: 96], აბანოსხევში [ლომიძე 1998: 52], ქვემო ალევში [აფხაზავა 1988: 45], ივრის ხეობაში [ჯორბენაძე 1982: 44], ფშავში [რჩეულიშვილი 1990: 26], დარიალის ხეობაში [მინდორაშვილი 2005: 47] და სხვ.

თავისი აღნაგობით გამოირჩევა №№ 18, 19, 21, 22 ქვის სამარხები, რომელთა შუა ნაწილი მკვეთრადაა შევიწროებული, რის გამოც სამარხებს გეგმაში ბიკონუსური მოყვანილობა აქვთ. რა მიზეზით იყო განპირობებული სამარხების ამგვარად გამართვა ძნელი სათქმელია. ერთი რამ სრულიად ცხადია — სამარხებს ასეთი ფორმა არ ჰქონდათ მიღებული ქვების ბუნებრივი დაცურებისა თუ ტექნიკის ზემოქმედების გამო (ეს ადგილი დიდი ხნის გან-

მავლობაში სახნავ-სათესად გამოიყენებოდა), ვინაიდან ადგილიდან არაა დაძრული გვერდითი და თავ-ბოლო კედლების გარეთ, მათ გასამარებლად ჩასობილი ქვები და ისინი ისევ კედლებზეა მიბჯენილი. შენარჩუნებულია კედლების ვერტიკალურობა, რაც შეუძლებელი იქნებოდა მათზე ტექნიკის ზემოქმედების შემთხვევაში. ასე, რომ ამგვარი აღნაგობის სამარხებს შეგნებულად და გამიზნულად აკეთებდნენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათში ჩასვენებული მიცვალებულები დაკრძალვის წესითა თუ ინვენტარით სხვებისგან არ გამოირჩევიან.

№ 10 სამარხის გარეთ, აღმოჩნდა ორმო (75x45x50სმ), სადაც მიცვალებულთა ძვლები უსისტემოდ იყო ჩალაგებული. ჩანს, სამარხის მოცულობა უკვე ვეღარ იტევდა ახალ მიცვალებულებს. ამასთან სამარხის აღმოსავლეთი ნაწილიც უკვე შევსებული იყო მიხვეტილი ძვლებით. ეტყობა ამიტომ, გარკვეულ ეტაპზე ჭირისუფლებმა გადაწყვიტეს ადრე დაკრძალულთა ძვლების ორმოში გადმოსვენება, რათა ახალი მიცვალებულებისათვის გაეთავისუფლებინათ ადგილი.

სამარხიდან მიცვალებულთა ძვლების ორმოში გადასვენების ფაქტი დასტურდება ბეთანიის თანადროულ სამაროვანზეც. იქ სამარხებს შორის აღმოჩნდა ქვის ფილებით შედგენილი და ასეთივე ფილებით გადახურული ორმო, სადაც გაინმინდა მიცვალებულთა უსისტემოდ ჩალაგებული ძვლები. უეჭველია, ძვლები ახლო მდებარე რომელიმე სამარხიდან იყო გადმოსვენებული.

ქვის ფილებით გადახურული ორმო-სამარხები (8 ერთეული) მარტივი კონსტრუქციისაა. 100-180 სმ სიგრძის, 30-60 სმ სიგანისა და 15-35 სმ სიღრმის ოვალური მოყვანილობის დასაკრძალავი ორმოები გადახურულია ბაზალტის 2-4 დაუმუშავებელი ფილით. სამარხების ზომები მიცვალებულთა ასაკის შესაბამისად სხვადასხვაა. ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების სამაროვნებზე არც თუ იშვიათად გვხვდება. თუმცა, ქვის სამარხებს რაოდენობრივად მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები ცნობილია: სამთავროდან [ტყეშელაშვილი 1956: 258; ნიკოლაიშვილი და სხვ. 1985: 132; აფაქიძე და სხვ. 1989: 17-22], დიღმის ხეობიდან [ნიკოლაიშვილი 1978ა: 75; 1985: 102], ნასტაკისიდან [Бохочадзе и др. 1995: 111], კაჭ-

რეთიდან [უგრელიძე 1955: 115], ჭერემიდან [მამაიაშვილი 2004: 98], მატანიდან [Рамишвили 1969: 117], ივრის ხეობიდან [ჯორბენაძე 1982: 66], ჟინვალის ხეობიდან [ჩიხლაძე 1977: 96], ახალი ჟინვალის ხეობიდან, აბანოსხევიდან [Рамишвили, Джорбенадзе 1976: 34, 37; ლომიძე 1998: 52] და სხვ. სამარხთა აღნიშნული ტიპი მიჩნეულია ორმოსამარხიდან ქვის სამარხზე გარდამავალი ეტაპის სამარხებად [Рамишвили 1969: 119]. თავის დროზე ეს მოსაზრება სამართლიანად იქნა უარყოფილი ნ. აფხაზავას მიერ [აფხაზავა 1988: 116. ლიტ. იხ. იქვე]. ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები ძირითადად მხოლოდ IV-V სს-ში რომ ყოფილიყო გავრცელებული, ისინი მართლაც ორმოსამარხებიდან ქვის სამარხებზე გარდამავალ ტიპად შეიძლება მიგვეჩნია. მაგრამ როცა ისინი ქვის სამარხების გვერდით VII ს-შიც განაგრძობენ თანაარსებობას და ამის კიდევ ერთი მაგალითი დაღეთის სამაროვანია, ბუნებრივია, ეჭვს იწვევს მათი გარდამავალ ტიპად მიჩნევის შესაძლებლობა. ამგვარ სამარხებში შერწყმულია ორმოსამარხებისა და ქვის სამარხების ელემენტები (დასაკრძალავი ორმო, ქვის ფილებით გადახურვა), რაც იწვევს ცდუნებას, ისინი ორმოსამარხებიდან ქვის სამარხებზე გარდამავალ ტიპად მივიჩნიოთ. სინამდვილეში, ამგვარი სამარხები ჩვეულებრივი ორმოსამარხებია, მაგრამ უკვე ქვის ფილებით გადახურული, რომლებმაც ქვის სამარხების გვერდით დიდხანს იარსება.

ყველა სამარხი დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. უმრავლესობა მეტნაკლებად გადახრილია სამხრეთ-დასავლეთ ჩრდილო-აღმოსავლეთხაზზე. სამარხთა ამგვარი გადახრები ხშირია ადრეული შუასაუკუნეების სამაროვნებზე და დაკავშირებულია წელიწადის სხვადასხვა დროს მიცვალებულის დაკრძალვასთან [აფხაზავა 1988: 46]. გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ისე საოჯახო სამარხები. 17 ქვის სამარხიდან 5 ინდივიდუალურია (№№ 4, 5, 7, 18, 24). დანარჩენი საოჯახო სამარხებია. ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები ყველა ინდივიდუალურია. 25 სამარხში დაკრძალულ მიცვალებულთა საერთო რაოდენობა (თუ მიხვეტილ ძვლებში ინდივიდთა რაოდენობა უფრო მეტი არაა, ვიდრე ეს განისაზღვრა) 52-ს აღწევს. როგორც აღვნიშნეთ, ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხებში, აგრეთვე №№ 1, 5, 7, 18, 24 ქვის სამარხში თითო მიცვალებულია დაკრძალული; №№ 1, 2, 13, 19 სამარხებში – ორ-

ორი; №№ 12, 21, 23 სამარხებში – სამ-სამი; № 22 სამარხში – ოთხი; №№ 3, 25 სამარხებში – ხუთ-ხუთი. № 10 სამარხში 11 მიცვალებული ესვენა. 52 ინდივიდიდან 12 ბავშვია, რაც დაკრძალულთა საერთო რაოდენობის 1/5 შეადგენს.

მიცვალებულთა საერთო რაოდენობიდან 27-ის ძვლები სამარხების სხვადასხვა ნაწილშია მიხვეტილი ან ისე ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, რომ მათი დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ ხერხდება. ქრისტიანული წესით – ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთისაკენ, ხელები ტანის გასწვრივ ან მუცლის არემი დალაგებული – დაკრძალულია 15 მიცვალებული (თითო №№ 8, 17 ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხებსა და №№ 1, 2, 18, 22-25 ქვის სამარხებში, ორ-ორი – №№ 12, 19, 21 ქვის სამარხებში).

18 მიცვალებული დაკრძალულია მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთით, მეტ-ნაკლებად მოხრილი კიდურებით (თითო №№ 1, 4, 5, 7, 9, 13, 23 ქვის სამარხებსა და №№ 11, 15, 16, 20 ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხებში; ორ-ორი №№ 3, 10 ქვის სამარხებში; სამი – № 22 ქვის სამარხში). ერთსა და იმავე სამარხში მიცვალებულები ესვენა როგორც ქრისტიანული, ისე წარმართული წესით (№№ 1, 22, 23). ერთ შემთხვევაში მიცვალებული დაეკრძალათ მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, მოხრილი კიდურებით. ის ორ, მარცხენა გვერდზე დაკრძალულ მიცვალებულთან ერთად ესვენა (№10).

აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების სამაროვნებზე არც თუ იშვიათად გვხვდება დაკრძალვის ქრისტიანული და წარმართული წესის თანაარსებობა. ასეთი სურათი ჩანს: რაჭისუბანში (ბოლნისის რ-ნი) [Синауридзе 1977: 31], ბეთანიაში [კიკვიძე, ჭილაშვილი 1961: 114], დიღმის ხეობაში [ნიკოლაიშვილი 1978ა: 75, 76; 1985: 102], ჭერემში [მამაიაშვილი 2004: 86, 94], მატანში [Рамишвили 1969: 118], ჟინვალში [ნიკოლაიშვილი, ჩიხლაძე 1980: 18], აბანოსხევიში [ლომიძე 1998: 52], ქვემო ალევში [აფხაზავა 1988: 47] და სხვ. ქრისტიანულად დაკრძალულ მიცვალებულთა გვერდით, მიცვალებულთა მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე მოხრილი კიდურებით დაკრძალვაში, კარგად ჩანს ჯერ კიდევ შემორჩენილი წარმართული ტრადიციების არსებობა. ტრადიციული წეს-ჩვეულებების, რელიგიური სისტემებისა თუ მათი გადმონათების უმთავრესი შემნახველები როგორც წესი, ქალები იყვნენ [აფხაზავა 1988:

52]. ადრეული შუასაუკუნეების სხვა სამარო-ვნებზე წარმართული წესით დაკრძალულთა უმრავლესობა ქალებია [რამიშვილი 1983: 112; აფხაზავა 1988: 48, 52]. ასეთივე სურათი ჩანს დაღეთის სამაროვანზეც.

სამარხეული ინვენტარი არაა მრავალრიცხოვანი. 25 სამარხში სულ 24 დასახელების ნივთია აღმოჩენილი. მათი აბსოლუტური უმრავლესობა აღმოჩენილია 9 ქვის სამარხში (№№ 1-4, 7, 9, 10, 12, 18). ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხებიდან ინვენტარიანი მხოლოდ ორია (№№ 7, 20). სამარხეული ინვენტარი ძირითადად სამკაულები და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებია. № 18 ქვის სამარხში აღმოჩნდა რკინის ცალპირლესული დანის პირი (სიგრძე 10 სმ). დანას უნდა ჰქონოდა ხის ტარი, რომელიც არ შემორჩენილა (ტაბ. I₉). აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების სამარხებში რკინის დანები საკმაოდ ხშირად გვხვდება. ისინი აღმოჩენილია: სამთავროში [ტყეშელაშვილი 1957: სურ. 2; აფხაზავა 1979: ტაბ. XXI₂₈, XXX₃₉], არმაზისხევში [აფაქიძე და სხვ. 1955: 136], დიღმის ხეობაში [ნიკოლაიშვილი 1985: ტაბ. XVI], მუხათგვერდში [ხეცურიანი 1985: 152, 157], ყოლოთოში [აფხაზავა 1979: ტაბ. XXVI₁], ივრის ხეობაში [ჯორბენაძე 1982: ტაბ. XX_{2176/1}], ფშავის არაგვის ხეობაში [Рамишвили и др. 1991: ტაბ. 227], დარიალის ხეობაში [მინდორაშვილი 2005: 56] და სხვ.

№ 4 ქვის სამარხში, მიცვალებულის თავის ქალასთან აღმოჩნდა ბრინჯაოს ზარაკი (სიმაღლე 1,3 სმ, დმ 2-2,3 სმ) (ტაბ. I₇). ანალოგიური ნივთები ცნობილია ივრის ხეობიდან [ჯორბენაძე 1982: ტაბ. XIX₂₁₇₈]. VII ს-ს მიაკუთვნებენ ნაქალაქარ ჭერმის სამაროვნიდან მომდინარე ამგვარ ზარაკს [მამაიაშვილი 2004: 87, 88]. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი მსგავსი ზარაკი თარიღდება VII ს-ის მეორე ნახევრით [აფხაზავა 1979: ტაბ. XLIII₆₀].

№1 ქვის სამარხში, მიცვალებულის თავის ქალასთან გამოვლინდა ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული ყუნწიანი ნახევარრკალისებური საკიდი (დმ 3 სმ) (ტაბ. I₁). ანალოგიური საკიდი აღმოჩენილია ქვემო ალევის VII ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ № 6 ქვის სამარხში [აფხაზავა 1988: 13, ტაბ. III₁₂].

№ 3 ქვის სამარხის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული თავგახსნილი

სასაფეთქლე რგოლი (დმ 2 სმ) (ტაბ. I₆). მსგავსი სასაფეთქლე რგოლი ცნობილია ვაშლაჯვარის VI-VII სს-ით დათარიღებული №15 სამარხიდან [ნიკოლაიშვილი 1978ა: 67, ტაბ. XVI₃₀].

№ 9 ქვის სამარხის დასავლეთ ნაწილში, მიხვეტილ ძვლებთან გამოვლინდა ბრინჯაოს ოვალურგანივკვეთიანი, ოდნავ ზურგ- და თავებშესქელებული სამაჯური (დმ 4 სმ) (ტაბ. I₆). დაახლოებით მსგავსი სამაჯური ცნობილია ქვემო ალევის №№ 38, 57 ქვის სამარხებიდან, რომელთაგან პირველი VII ს-ის პირველი, მეორე კი იმავე საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება [აფხაზავა 1988: 33, 44, ტაბ. XX₃₄, XXIX₁₃].

№10 ქვის სამარხის სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში აღმოჩნდა ბრინჯაოს ორწილადი საყურეები (სიგრძე 3 სმ). ერთს მრგვალგანივკვეთიან რგოლზე ქვემოდან ებმის მარგალიტის ოვალური, მეორეს სფეროსებრი მძივი (ტაბ. I_{12,13}). ანალოგიური საყურეები ცნობილია ქვემო ალევის VII ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული №6 ქვის სამარხიდან [აფხაზავა 1988: 13, ტაბ. III₁₀]. მსგავსი საყურეები გვხვდება დასავლეთ საქართველოს სამარხეულ კომპლექსებშიც (ნებელდა) [Воронов и др. 1986: 55, ტაბ. CIII₁₅].

№ 2 სამარხში ბრინჯაოს, ხოლო №10 სამარხში რკინის რგოლისა თუ ბეჭდის ნატეხია აღმოჩენილი (ტაბ. I_{2,14}). ანალოგიური ფორმის ნივთი ცნობილია ქვემო ალევის VII ს-ს მეორე ნახევრით დათარიღებული № 2 ქვის სამარხის ინვენტარიდან [აფხაზავა 1988: 11, ტაბ. II₂].

სამარხებში გამოვლენილი 5 ბეჭდიდან 4 ბრინჯაოსია. მათგან 2 მრგვალ და ბრტყელგანივკვეთიანი მავთულის რგოლებია (დმ 1,8 სმ, 2 სმ). ერთს, ზურგზე 3 ფარაკისებური პატარა შემსხვილება აქვს (ქვის სამარხები №№ 10, 19; ტაბ. I_{15,18}). 2 (დმ 1,7 სმ, 2 სმ) თვალბუდიანია. თვლები გამჭვირვალე თეთრი ფერის მინისაა (ქვის სამარხები №№9, 20; ტაბ. I_{9,20}). ასეთივე თვალბუდიანი ჩასმული ვერცხლის ბეჭედში, რომელსაც წნული ორნამენტით შემკული რკალი (დმ 2 სმ), ხოლო თვალბუდეზე ვერცხლისავე ორი ბურთულა აქვს მიჩრილული (ქვის სამარხი №10, ტაბ. I₁₆). № 20 ქვის სამარხის ბრინჯაოს თვალბუდიანი ბეჭდის ანალოგი ცნობილია ქვემო ალევის VII ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებული № 43 ქვის სამარხიდან [აფხაზავა 1988: 37, ტაბ. XXIII₉].

სამარხებში 3 საკინძია აღმოჩენილი. 1 რკინისაა, ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე 5,5 სმ (ქვის სამარხი №9; ტაბ. I₁₁). ადრეული შუასაუკუნეების რკინისღეროიანი საკინძები ცნობილ-

ია: ბეთანიიდან [კიკვიძე, ჭილაშვილი 1961: 116, ტაბ. I_{10,11}], რუსთავიდან [Иващенко 1988: ტაბ. XXVII_{13,14,28,51}], სამთავროდან [უგრელიძე 1967: 76], წყნეთიდან [ჯორბენაძე 1998: 42], მატნიდან [Рамишвили 1969: 123], დიღმის ხეობიდან [ნიკოლაიშვილი 1978ა: ტაბ. XVI_{27,39,40}; 1985: 99, 100], დარიალის ხეობიდან [მინდორაშვილი 2005: 76] და სხვ. ბრინჯაოს 1 საკინძის მხოლოდ მრგვალგანივკვეთიანი ღეროა შემორჩენილი. სიგრძე 3,5 სმ (ქვის სამარხი №9; ტაბ. I₁₀). მეორე საკინძი (სიგრძე 9,5 სმ) ბრონეულის ყვავილის ფორმის მარგალიტის მძივითა და ბრინჯაოს ვარდულებითაა შემკული (ქვის სამარხი №3; ტაბ. I₅). მსგავსი საკინძები აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების სამარხეულ კომპლექსებში მრავლადაა აღმოჩენილი. ისინი ცნობილია: ბეთანიიდან [კიკვიძე, ჭილაშვილი 1961: 116, ტაბ. I_{1,2,3}], რუსთავიდან [Иващенко 1988: ტაბ. XXVII_{44,45}, XXVIII₁₆; აფხაზავა 1979: ტაბ. XXXVIII₃₉], ივრის ხეობიდან, წყნეთიდან, გლდანთან [ჯორბენაძე 1982: 45, 74; 1998: 41, 44], ცხვარიჭამიიდან [აფხაზავა 1984: 160, 163], დიღმის ხეობის სამაროვნებიდან [ნიკოლაიშვილი 1978ა: 73; 1985: 100], ქვემო ალევინიდან, სადაც ისინი VII ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება [აფხაზავა 1988: 18, 28]. საკინძები განსაკუთრებით მრავლადაა აღმოჩენილი სამთავროს სამაროვანზე VII ს-ის მეორე ნახევრის კომპლექსებში [აფხაზავა 1979: ტაბ. XVIII_{25,31,32,41-43}, XXI₁₃, XXXV_{12,13}, XXXVI_{8,15,29-31}, XXXVII_{16,17}, XXXIX₄₋₆, XLI₁₈₋₂₀, XLII_{9,21,22}, XLIII₅₆].

მძივები 2 სამარხში იყო და ისიც მცირე რაოდენობით. № 25 ქვის სამარხიდან მომდინარე მინის მძივები ძირითადად მრგვალ-ბრტყელი ფორმისაა. იქვეა მიკვლეული სარდიონის 1 სფერული მძივი (ტაბ. I₂₃). №2 ქვის სამარხის მილაკისებური მძივები ლურჯი მინისაა (ტაბ. I₄). ლურჯი მინის ანალოგიური მძივები ცნობილია ქვემო ალევის №8 ქვის სამარხიდან, რომელიც VII ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება [აფხაზავა 1988: 15, ტაბ. IV₃₈].

მინის ნაწარმიდან შემორჩენილია № 10 სამარხში ნაპოვნი გამჭვირვალე მინის სანელ-საცხებლის ყელის ნატეხი (ტაბ. I₁₇). ჭურჭლის ფორმის დადგენა არ ხერხდება. აღნიშნული ჭურჭელი ქრისტიანულ ყოფაში კარგად ცნობილი ნივთია, რომელიც დაკრძალვის რიტუალთანაა დაკავშირებული.

როგორც ვნახეთ, სამარხებში გამოვლენილი ნივთები პარალელური მასალების მიხედვით ყველგან ძირითადად VII ს-ით თარიღდება. ამავე

პერიოდს უნდა მიეკუთვნოს ჩვენს მიერ დაღეთის სამაროვანზე შესწავლილი სამარხებიც.

სამაროვანზე დაკრძალული ჩანან დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები. დაკრძალვის ქრისტიანულ ტრადიციებთან ერთად ჯერ კიდევ ცოცხლობს დაკრძალვის წარმართული წესი – მიცვალებულის მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე დასვენება. ერთსა და იმავე სამაროვანზე ერთმანეთის გვერდით და ზოგჯერ ერთ სამარხში მიცვალებულთა სხვადასხვა წესით დაკრძალვა მათ განსხვავებულ რელიგიურ მრწამსზე უნდა მეტყველებდეს. თუმცა, როგორც ფიქრობენ, წარმართული ტრადიციების გარდა, ასეთ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობდა ხალხური აზროვნების სტიქია, ხალხური კულტის უტილიტარიზმი, ხალხური მითოლოგიზაციის მექანიზმი, ზღაპრული წარმოდგენები, რომელიც მუდამ ქმნიდა „წარმართული“ ტიპის ხალხურ რწმენებს, წარმართობის ზღვარზე მდგარ „ხალხურ ქრისტიანობას“ [აფხაზავა 1988: 49, 51, 52].

ამრიგად, დაღეთის სამაროვანი, მიუხედავად სამარხეული ინვენტარის სიმცირისა, საინტერესო წყაროა ადრეული შუასაუკუნეების ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ყოფის, ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული პროცესების გასარკვევად.

D. Mindorashvili

DAGHETI SEMETERY
(Following of the excavations of 2004)

Summary

Dageti cemetery is located in Tetrtskaro municipality, approximately in 300 meters to the SE of the v. Dageti, in the field. The article refers to the results of excavations of 2004. In this year 25 graves were excavated. Among them 17 were stone graves and 8 pit graves covered with stone slabs (Pls II-IV). The stone graves are typical for the cemeteries of Early Medieval Period of East Georgia. Some of them (graves ## 18, 19, 21, 22) are notable for its shape: the middle parts were specially narrowed and there is no sign of any damage. The burial ritual in these graves is absolutely same with other ones.

Near the grave # 10 the pit (75x45x50cm) where the human bones were placed without any order was found. Supposedly the pit was used to place the human remains from the graves where there was no place to bury the new deceased.

All graves were oriented from East to West with some deviations from SW to NE. Some graves were individual, some were used for family. All pit graves covered with stone slabs were individual.

The deceased were buried according to the Christian tradition – lying on their spines, with their heads to the west and hands across the body or according to the pagan tradition- on the right or left side with their heads to the west, in more or less crooked position. In the family graves ## 1, 22 and 23 some deceased were buried according to the Christian tradition, others according to the pagan tradition.

The grave assemblages were represented by small bell, pendant, ear rings, bracelets, finger rings, bronze and iron pins and beads (Pl. I). The cemetery can be dated to the 7 th century AD. Despite the fact that the burial inventory is very poor, the Dageti cemetery is a good source for understanding the social and economic conditions of local population and the problems of establishing Christianity in Early Medieval Qvemo Qartli.

ლიტერატურა

- აფაქიძე და სხვ. 1955: აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წ.წ. განათხარის მიხედვით მცხეთა, I, თბილისი.
- აფაქიძე და სხვ. 1989: აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., სისარულიძე ა., ბიბილური თ., გიუნაშვილი გ., ირემაშვილი შ., მანჯგალაძე გ., სადრაძე ვ., ძნელაძე მ., ხეცურიანი ლ. დიდი მცხეთა 1980, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. — მცხეთა IX, თბილისი, 6-39.
- აფხაზავა ნ. 1979: ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბილისი.
- აფხაზავა ნ. 1984: ადრეული შუა საუკუნეების სამარხები ცხვარიჭამიდან. — სსმ, XXXVII-B, 159-166.
- აფხაზავა ნ. 1988: ქვემო ალფეი ადრეულ შუა საუკუნეებში, თბილისი.
- კიკვიძე ი., ჭილაშვილი ლ. 1961: ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი ბეთანიასთან. — სსმ, XXII-B, 97-121.
- ლომიძე ც. 1998: აბანოსხევის ადრეული შუასაუკუნეების სამაროვანი. — ფსად, VI, 49-57.
- მამაიაშვილი ნ. 2004: ქალაქი ჭერემი. თბილისი.
- მინდორაშვილი დ. 2005: არქეოლოგიური გათხრები ხევში. თბილისი.
- ნიკოლაიშვილი ვ. 1978: ტუიაქორორას სამაროვანი. — მცხეთა II, თბილისი, 157-169.
- ნიკოლაიშვილი ვ. 1978ა: ვაშლაჯვარას სამაროვანი (1972 წლის განათხარის მიხედვით). — სას, II, 63-77.

- ნიკოლაიშვილი ვ. 1985:** დიღმის ხეობა ადრეფეოდალურ ხანაში. — სას, III, 90-104.
- ნიკოლაიშვილი ვ. და სხვ. 1985:** ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., ლლონტი ნ. მცხეთისგორის სამაროვანი. — მცხეთა VII, თბილისი, 132-150.
- ნიკოლაიშვილი ვ., ჩიხლაძე ვ. 1980:** ჟინვალის სამაროვანზე წარმოებული მუშაობის ანგარიში, ჟინვალის ექსპედიცია, მეორე სამეცნიერო სესიის ანგარიში, თბილისი, 16-21.
- რამიშვილი რ. 1983:** ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ. განათხარის მიხედვით. ჟინვალი I, თბილისი, 81-130.
- რჩეულიშვილი გ. 1990:** ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.
- ტყეშელაშვილი ო. 1956:** ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან. — სსმმ, XIX-B, 255-280.
- ტყეშელაშვილი ო. 1957:** სამთავროს ახ. ნ. IV-VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი ქინძისთავეები. — სსმმ, XIX-A, და XXI-B, 149-163.
- უგრელიძე ნ. 1955:** კაჭრეთში აღმოჩენილი სამარხი. — მსკა, ტ. I, 115-117.
- უგრელიძე ნ. 1967:** ადრეულ შუასაუკუნეთა მინის წარმოების ისტორიისათვის. თბილისი.
- ჩიხლაძე ვ. 1977:** სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი ჟინვალის სამაროვანზე. — აძ, 95-101.
- ჭილაშვილი ლ. 1958:** ქალაქი რუსთავი. თბილისი.
- ხეცურიანი ლ. 1985:** მუხათგვერდი I, ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი, კატალოგი. — მცხეთა VII, თბილისი, 151-162.
- ჯორბენაძე ბ. 1982:** ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში. თბილისი.
- ჯორბენაძე ბ. 1998:** არქეოლოგიური მასალები აღმოსავლეთ საქართველოში შემთხვევით აღმოჩენილი სამაროვნიდან. — ფსაძ, ტ. VI, 40-48.
- Бохочадзе и др. 1995:** Бохочадзе А. В., Гозалишвили Г. С., Зангури А. Н. Итоги работ настакинской экспедиции. — ПАИ, 1987 году, 110-113.
- Воронов и др. 1986:** Воронов Ю. Н., Бгажба О. Х., Шенкао Н. К., Логинов В. А., Исследования в селе Цебельда. — ПАИ, 1983 году, Тбилиси, 53-56.
- Иващенко М. М. 1988:** Руставский могильник. — რუსთავი I, არქეოლოგიური გათხრები 1946-1965 წწ. თბილისი, 71-86.
- Рамишвили Р. М. 1969:** Исследование раннефеодального могильника «Иагсари». — ТКАЭ, I, 111-127.
- Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А. 1976:** Археологические исследования в зоне строительства Жинвальского гидротехнического комплекса. — Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, Тбилиси, 30-44.
- Синауридзе М. 1977:** Результаты археологического изучения Болнисского района. Тбилиси.
- Рамишвили Р. М. и др. 1991:** Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Глonti М. Г., Гогочури Г. К., Цитланадзе Л. Г., Мухигулашвили Н. З., Бучуკური А. И., Робакидзе Ц. Ш., Чихладзе В. В., Рчеулишвили Г. М., Маргвелашვილი М. Г., Циклаური И. Д., Лომიძე Ц. Ш., Циклаური Д. К., Калანდაдзе З. А., Гамехардашვილი М. З., Буачიძე К. Г., Археологическая экспедиция горного региона Восточной Грузии. ПАИ, 1986г. Тбилиси, 89-95.
- Такашвили Е. 1904:** Краткий отчёт о раскопках произведенных по поручению императорской археологической комиссии летом 1902 г близ станции Мцхета. — ИКОИМАО, вып. 1, Тифлис.

ტაბულაჰის აღწერილობა

ტაბ. I – დაღეთის სამაროვნის გეგმა (2004 წ.) და სამარხეული ინვენტარი.

ტაბ. II – №№ 1-8 სამარხები.

ტაბ. III – №№ 9-17 სამარხები.

ტაბ. IV – №№ 18-25 სამარხები.

DESCRIPTION OF THE PLATES


Pl. I – The plan of Dageti Cemetery (2004) and grave inventory.

Pl. II – Graves Nos. 1-18.


Pl. III – Graves Nos. 9-17.

Pl. IV – Graves Nos. 18-25.


ტაბ. I




ცაბ. II



ტაბ. III



ტაბ. IV



სამხრეთ კავკასიაში მსხვილფეხა რქოსანი
საქონლის წარმოშობის შესახებ

შინაური ცხოველები ადამიანებს უკვე ნეოლითის ხანაში ჰყავდათ. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი შინაური მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი გახლდათ. ამ ცხოველის გამოჩენა იმდენად მნიშვნელოვანი იყო პრეისტორიული ადამიანის მეურნეობისათვის, რომ ზოგიერთ რეგიონში (ეგვიპტე, ინდოეთი) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი გააღმერთეს კიდევ.

მოშინაურებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შედარებით ადრეულ, ნეოლითის ხანაში გამოჩენის ფაქტი საქართველოს ტერიტორიაზეც დასტურდება (შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლებში), ხოლო უფრო მასშტაბურად თუ ვიმსჯელებთ, ეს ფაქტი მთელს სამხრეთ კავკასიას ეხება. თუმცა აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, მიუხედავად შინაური მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ისეთი ადრეული გამოჩენის უტყუარი ნიშნებისა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოშია, მწირი მასალაა აღმოჩენილი. დასავლეთ საქართველოში შინაური მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაშთები მიკვლეულია ნეოლით-ენეოლითური პერიოდის ნასადგომარებში: ზემო იმერეთში (სამელე კლდე, დარკვეთი, სამერცხლე კლდე, ძუძუანა), სადაც ძვლოვან ნაშთებს შორის რაოდენობრივად სჭარბობს გარეულ ცხოველთა ძვლები. ჩვენი ვარაუდით, ამგვარი მოვლენა პირდაპირ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ტყიან ლანდშაფტთან და შესაბამისად, ამ ადგილებში გარეული ცხოველებიც ბევრი უნდა ყოფილიყო. ამგვარად, ჩვენ მიერ შესწავლილი აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალების საფუძველზე შეგვიძლია გადაჭრით დავასკვნათ, რომ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის განვითარების დონე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ნეოლითში ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა.

თანამედროვე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც დედამიწის სხვადასხვა რეგიონში ბინადრობს, უდაოდ პოლიფილეთური წარმოშობისაა. ეს ფაქტი თავისთავად გულისხმობს ჰიბრიდიზაციის ძალ-

ზე მნიშვნელოვან პროცესებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, უძველესი ადამიანის მონაწილეობის გარეშე ვერ მოხდებოდა, რაც დადგინდა პრეისტორიულ ეპოქაში საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიებზე გავრცელებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თავის ქალების აგებულების ანალიზის საფუძველზე.

ჩვენს სტატიაში დასმული პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული არქეოლოგიურ კვლევებთან. ჩვენს ინტერესს წარმოადგენდა, აგრეთვე, დაგვედგინა, უძველესი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ე.ი. პირველი წარმომადგენელი იმ ჯიშისა, რომლის ნაშთებიც გვხვდება ნეოლით-ენეოლითის ხანის ძეგლებში საქართველოს ტერიტორიაზე (ხოლო უფრო ფართო გაგებით მთელს სამხრეთ კავკასიაში). სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში ერთ-ერთ უძველეს ჯიშად ჯერჯერობით ითვლება ჩვენს მიერ დადასტურებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნარჩენები ნაჭივჭავებიდან (თეთრინყარო) (ზ. შატბერაშვილისა და ვ. ნიკოლაიშვილის გათხრები).

ჩვენ მიერ შესწავლილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მასალა ნაჭივჭავებიდან წარმოდგენილი იყო ორი სხვადასხვა ზომის ფორმით. პირველი — შედარებით უფრო დიდი ზომისა, *Bos mastanzadei*–ს ტიპის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. არ არის გამორიცხული, რომ ნაჭივჭავებში ეს იყო განსაკუთრებით დიდი ზომის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიში, ისეთივე, როგორც ნაპოვნია შენგავითის გვიან ენეოლითში [Межлумян 1972] და მეორე — შედარებით უფრო პატარა ჯიშისა, რომლის რქების ღერძები და სხვა ნაშთები ჩვენ მაშინვე მივაკუთვნეთ პატარა, შეიძლება ითქვას ჯუჯა, დაახლოებით ე.წ. ხევსურული ძროხისხელა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს.

ოსტეოლოგიური მასალა ამ პატარა ჯიშის ცხოველისა ნაჭივჭავებიდან წარმოდგენილია ორი იზოლირებული რქის ღერძითა და მარცხენა ფრონტალური ძვლის ერთი ფრაგმენტით, რომელსაც შენარჩუნებული აქვს მარცხენა რქის ღერძის საძირკველი.

ყველა ეს ნიმუში დაახლოებით ერთი ზომისაა, ფორმაცა და რქოვან ღერძთა მიმართულებაც ერთნაირი აქვთ და შესაბამისად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ერთსა და იმავე ჯიშს მიეკუთვნებიან. ნაჭივჭავეების პატარა ზომის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ რქის ნიმუშის საფუძველზე, რომელსაც შენარჩუნებული აქვს თავის ქალის მომიჯნავე ფრაგმენტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ ეგზემპლარზე შემონახულია ე.წ. რქათა-შორისი ქედი, რომლის აგებულებაც, ჩვენი აზრით, ცოტა რამით თუ განსხვავდება *Bos frontosus*-ის იგივე სტრუქტურის თავის ქალისაგან. ასე მაგალითად, მიუხედავად ეგზემპლარის ფრაგმენტულობისა ენეოლითური ორმო № 30-24-35-დან, მასზე აშკარად ჩანს მადაგნოსტიკური თავისებურება, რომელიც დამახასიათებელია *Bos frontosus*-ისთვის. ეს თავისებურებაა დიდი ბორცვი რქათაშორისი ქედის ცენტრში, რომელიც აშკარად უფრო მაღლაა აწეული, ვიდრე რქათა ღერძების საძირკვლები. შუბლის ამგვარი აგებულება, როგორც ცნობილია, ძალიანაა დამახასიათებელი *Bos frontosus*-ისთვის [Лискун Е. 1934].

ამგვარად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პატარა ზომის, ფაქტიურად ჯუჯა ჯიში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, მსგავსია *Bos frontosus*-ისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა უკვე გვიანი ენეოლითის ხანაში და, შესაბამისად, საქონლის ეს ტიპი ფაქტიურად შეიძლება მივიჩნიოთ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ერთ-ერთ პირველ ჯიშად.

როგორც ცნობილია, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშის დადგენისას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება თავის ქალას ან მის ნაწილებს, ასევე რქის ღერძებს, მაშინ, როდესაც პოსტკრანიოლოგიური ჩონჩხის ძვლები მცირე გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა ჯიშს იმდენად მსგავსი აქვს, რომ ჯიშის დასადგენად არ გამოდგება. მართალია, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაშთები საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად გვხვდება კულტურული ძეგლების სხვადასხვა ფენებში, მაგრამ არც თავის ქალები და არც მათი ფრაგმენტები, რაც არსებითია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშის და საერთოდ, ყველა შინაური ცხოველის ჯიშის დასადგენად, საქართველოს

საცავებში თითქმის არაა შემონახული. ხოლო უფრო ადრე, ბ. კუფტინის მიერ თრიალეთის ყორღანებში აღმოჩენილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თავის ქალები, რომლებიც იმ დროს ცნობილია ოსტეოლოგმა ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩმა შეისწავლა და აგრეთვე ანალოგიური, ა. ციციშვილის მიერ დამუშავებული მასალები ილტოდან, როგორც ჩანს, ჩვენთვის მიუწვდომელია.

მეტ-ნაკლებად კარგად შემონახა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თავის ქალების მთელი სერია (დაახლ. 15 ეგზემპლარი), მათ შორის სამი შენგავითიდან და დანარჩენი თორმეტი — ლჭაშენის სამარხებიდან, რომლებიც სხვადასხვა ხანის სამარხებში იქნა აღმოჩენილი მეზობელი სომხეთის ტერიტორიაზე. ეს მასალა თავის დროზე მორფოლოგიურად დაწვრილებით შეისწავლა ცნობილია სომეხმა პალეოზოოლოგმა ს. მეჟლუმიანმა (მოიპოვება სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული თავის ქალების საკმაოდ კარგი ფოტოასლები). ს. მეჟლუმიანის მონაცემები დღემდე მნიშვნელოვანია (რასაკვირველია, ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის დასკვნებიც, მაგრამ ის მასალა, რის საფუძველზეც მან დასკვნები გააკეთა, ამჟამად ჩვენთვის მიუწვდომელია. = ო. ბ.); არსებითად, ეს ერთადერთი ნაშრომია კავკასიური *Bos frontosus*-ის შესახებ. ჩვენი დასკვნების უმეტესობა თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მასალებსა და ს. მეჟლუმიანის მონაცემებს ეყრდნობა. ეს მონაცემები თანმიმდევრულადაა დალაგებული ეპოქების მიხედვით და მოიცავს დროის შემდეგ ინტერვალებს: გვიანი ენეოლითი — ადრებრინჯაოს ხანა — შუაბრინჯაოს ხანა — გვიანბრინჯაოს ხანა — რკინის ხანა, რაც საშუალებას იძლევა მთელი სისრულით დახასიათდეს იმ ადგილობრივი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშის ტიპი, რომელიც წარსულში ბინადრობდა სამხრეთ კავკასიის ამ რაიონში. უნდა ითქვას, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ს. მეჟლუმიანის დასკვნებს მის ხელთ არსებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თავის ქალების მორფოლოგიური ტიპის შესახებ.

სამხრეთკავკასიური მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წარმოშობის შესახებ მსჯელობისას ს. მეჟლუმიანი ასკვნის, რომ მის მიერ შესწავლილი პირუტყვი წარმოშობით, ფილოგენეტიურად დაკავშირებულია მხოლოდ ჩვეულებრივ, *Bos* გვარის ტიპიურ ევროპულ

ველურ ხარ *Bos primigenius*-თან. ამ დროს, ჩვენი თვალსაზრისით, თავის ქალათა უმეტესობა, რომლებზედაც ს. მეყლუმიანი მუშაობდა, თავისი აგებულებით აშკარად განსხვავდება ევროპული ველური ხარის თავის ქალის აგებულებისგან.

ჩვენი თვალსაზრისით, ს. მეყლუმიანის მიერ შესწავლილი თავის ქალები თავისი აგებულებითა და ძირითადი ნიშნების მიხედვით (ფორმა და რქების ღერძების თაღისებრი მიმართულება, შუბლის ძვლის ზედა ნაწილის ამოზრცულობა, კეფის ძვლის ფორმა, თვალის ბუდეების მცირედ ამოზრცულობა და ა. შ.) ძალიან ჰგავს სხვა სახეობის თავის ქალას, კონკრეტულად კი ველურ ბინაგადინურ ხარს *Bos mastanzadei* [Бурчак-Абрамович 1952; Бурчак-Абрамович, Векуа 1980], მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავდება *Bos primigenius*-ის თავის ქალის აგებულებისაგან. *Bos primigenius*-ის თავის ქალებს თითქმის არ მოეპოვება არც ერთი *Bos frontosus*-ისა და *Bos mastanzadei*-ს (= *Urmiabos maraghanus* Bur., მარაგიდან, ჩრდილოეთ ირანი.) შუა პლესტოცენის ხანის ბინაგადების (აზერბაიჯანი) თავის ქალებისათვის დამახასიათებელი თვისება. ბურჩაკ-აბრამოვიჩის [Бурчак-Абрамович 1957] მიხედვით, *Bos primigenius*-ისათვის ტიპურია თავის ქალისა და რქათა ღერძების მასიურობა. რქათაშორისი ქედის ზედაპირი სწორხაზოვანია, ეს ქედი გადაშვერილია კეფის თავზე (თავის ქალის კისერზე ბუნებრივი, ჰორიზონტალური მდებარეობის დროს), თვალბუდეების აშკარა გამოშვერილობა და ასე შემდეგ. განსაკუთრებით აღსანიშნავია რქათა ფორმა და მიმართულება: რქები მიმართულია ჯერ განზე და ირიბად ზევითკენ, ხოლო შემდეგ მათი ბოლოები მოხრილია და ერთმანეთისაკენ მიემართება. ერთიანობაში, რქები სპირალიზებულია და მოხრილი. თუ გვერდიდან დავაკვირდებით, რქების ღერძები ზედა ნაწილში მოხრილია. ამგვარი ფორმის რქები მრავლად შეინიშნება პალეოლითის, ნეოლითისა და პრეისტორიული პერიოდების გამოსახულებებზე. მაგალითად, გობუსტანის (აზერბაიჯანი) ხარის გამოსახულებები კლდზე, ასურული და ბაბილონური ბარელიეფები და ტაძრის ხუთფეხა ხარის შედუს ქანდაკებები, ხარის პატარა ბრტყელი ოქროს ფიგურები და მაიკოპის კულტურის ვერცხლის სასმისები. ე.ი. იმ რაიონებში, რომლებზედაც ვრცელდებოდა *Bos primigenius*-ის გავრცელების არეალი. *Bos primigenius*-ის თავის ქალებსათვის დამახასიათებელი ზემოთჩამოთვ-

ლილი თვისებები არ აღენიშნება უმეტეს ნაწილს ს. მეყლუმიანის მიერ შესწავლილ ხარების თავის ქალებს სომხეთის ტერიტორიიდან. სამაგიეროდ, ს. მეყლუმიანის მიერ შესწავლილი თავის ქალების უმეტესობა ჰგავს ველურ *B. mastanzadei*-ს თავის ქალას. რაც გვიჩვენებს იმაზე, რომ ეს ფორმა (შინაური *Bos frontosus*-ი) ველური *B. mastanzadei* Bur.-ისაგან წარმოიშვა. და მართლაც, *Bos primigenius*-ისაგან და მისგან წარმოშობილი შინაური პირუტყვის თანამედროვე ჯიშებისაგან განსხვავებით, *Bos mastanzadei*-სა და *Bos frontosus*-ისათვის და აგრეთვე ამ უკანასკნელი სახეობისაგან წარმოშობილი შინაურ პირუტყვთა ჯიშებისათვის (სიმენტალის და გოთური ჯიშების) სრულიად სხვა თვისებები იყო დამახასიათებელი. *B. mastanzadei*-სა და *B. frontosus*-ს შეგნებულად ერთად ვასახელებთ, რადგან ეს ორი ფორმა ახლოს დგას ერთმანეთთან და ტიპის მიხედვით ბევრი მსგავსება ახასიათებს. არც ერთს არ მოეპოვება *Bos primigenius*-ის თავის ქალებისათვის დამახასიათებელი თვისებათა უმეტესობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი: რქების ღერძთა ფორმა და მიმართულება, შუბლ-თხემის ნაკერის აგებულება, რქათაშორისი სივრცის ფორმა, კეფის ძვლის ფორმა, თავის ქალის ძვლების მასიურობა, ორბიტათა ამოზრცულობის ხარისხი და სხვა.

ს. მეყლუმიანის მიერ შესწავლილი ხართა თავის ქალების სერიის და აგრეთვე, გრაკლიანის გორასა (გ. კვირკველიას გათხრები) და დარაკოვში (გ. ნარიმანიშვილის გათხრები) აღმოჩენილი თავის ქალების *Bos primigenius Bojanus*-ის თავის ქალებთან შედარებისას თვალნათლივ შეგვიძლია დავინახოთ, რომ *Bos primigenius*-ის თავის ქალისათვის დამახასიათებელი თვისებათა უმრავლესობა, ხოლო განსაკუთრებით, სამი ძირითადი: რქათა ღერძების ფორმა და მიმართულება, რქათაშორისი ქედის ფორმა, შუბლის ძვლის ზედა ნაწილის ფორმა და კეფის ფორმა მკვეთრად განასხვავებს ამ ორი ფორმის (*Bos frontosus*-ისა და მისი სავარაუდო წინაპრის *Bos mastanzadei*-ს) თავის ქალებს *Bos primigenius*-ის თავის ქალებისაგან. A

მართალია, ს. მეყლუმიანი [Межлумян 1972] შესაძლებლად მიიჩნევდა მის მიერ შესწავლილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის *Bos primigenius*-ისაგან წარმოშობას, ჩვენ არ ვეთანხმებით მას. ჩვენი ვარაუდით,

სამხრეთ ამიერკავკასიის შინაური მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ველური ბინაგადინური *Bos mastanzadei*-ს მემკვიდრეა, რასაც ჩვენს მიერ ზემოთჩამოთვლილი ამ ორი ფორმის თავის ქალების თვისებათა მსგავსება მოწმობს. ჩვენი აზრით, თავის ქალათა შორის ამგვარი მორფოლოგიური მსგავსება შეუძლებელია შემთხვევითი იყოს.

თუმცა, მიუხედავად თავის ქალათა აგებულების მსგავსებისა, განსაკუთრებით სამი ნიშნის მიხედვით (რქების ფორმა და მიმართულება, შუბლის ძვლის ზედა ნაწილის თაღისებური ფორმა, კეფის ფორმა), *Bos mastanzadei*-სა და მეფლუმიანის მიერ შესწავლილ *Bos frontosus*-ს შორის აბსოლუტური დამთხვევა (ანალოგია) არ გვაქვს. ამას თავისი მიზეზიც უნდა ჰქონოდა, რომელიც, ჩვენი აზრით, შეიძლება აიხსნას კიდევ ერთი ფორმის მონაწილეობით ამიერკავკასიის ჯიშის ხარის შექმნაში.

ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი თავისებურება *Bos frontosus*-ის თავის ქალათა მორფოლოგიისათვის არის ის, რომ მათი შუა თხემის ძვალი კონცხივით იჭრება შუბლის ძვლის ზედა ნაწილში. თუმცა სწორედ ეს თავისებურებაა დიაგნოსტიკური *Poephagus*-ის (ცენტრალურ-აზიური ღრუტუნა ხარები – აზავერები) სახეობის თავის ქალებისათვის [Основы палеонтологии 1962: 406] და მეფლუმიანის მიერ შესწავლილ თავის ქალებშიც აღინიშნება. გრაკლიანი გორისა და დარაკოვის თავის ქალებს ეს თავისებურება არ უჩანს, რადგან წლების შემდეგ ნაკერი შუბლისა და თხემის ძვლებს შორის შეხორცდა. თუმცა სხვა ნიშნებით გავს მათ. აზავერებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი თავისებურება, რომლებიც მეფლუმიანის მიერ შესწავლილი სერიის თავის ქალებს აღენიშნება, არის მეტად თუ ნაკლებად განვითარებული ე.წ. შუბლის ძვლის ყლორტების არსებობა. ეს არის შუბლის ძვლის ცილინდრული წამონაზარდები, რომლებზედაც რქათა ღერძები დგას. დაბოლოს, მესამე, არანაკლებ მნიშვნელოვანი თავისებურება არის რქათა ღერძების შებრტყელებულობა [Лискун 1951] თითქმის მთელ სიგრძეზე, რომელიც მეფლუმიანის და ჩვენ მიერ შესწავლილი თავის ქალების სერიის მხოლოდ მცირე ნაწილს აღენიშნება და აგრეთვე გრაკლიანი გორისა და დარაკოვის თავის ქალებსაც. ყველა ზემოთნახსენებ თავის ქალას შეიძლება აზავერისაგან მემკვიდრეობით გამოყოლილი კიდევ რამე სხვა თავისებურე-

ბაც აღმოაჩნდეს, რომლებიც დაადასტურებენ ჩვენს ვარაუდებს ბრინჯაოს ეპოქის სამხრეთ-კავკასიური ერთი ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესახებ. ამგვარად, შესაძლოა, პირდაპირ განვაცხადოთ *frontosus*-ის ჯიშის ჰიბრიდული წარმოშობის შესახებ, რომლის წარმოქმნაშიც დიდი წილი უდევს *Poephagus*-ის გვარის აზავერს. უნდა აღინიშნოს, რომ შუბლ-თხემის ნაკერის ამგვარი აგებულება (თხემთაშორისი ძვლის შეჭრა შუბლის ძვლებს შორის) აზავერებში წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს არგუმენტს მეცნიერთათვის, რომლებიც ემხრობიან სახეობა *Poephagus*-ის დაახლოებას ან ჩართვას ჯგუფში, ფაქტიურად ქვეტრიბაში *Bisontina sensu Rutimeyer 1867* [Lydekke 1898; Matsumoto; 1918]. თუმცა მეცნიერთა მეორე ნაწილი [Pilgrim 1939; Sokolov 1953] მიიჩნევს, რომ აზავერები უნდა მოთავსდნენ *Bos*-ის გვარში. მათი არგუმენტაცია ევროპული ველური ხარისა და აზავერის თავის ქალათა სუფთა ფორმალური გარეგნული მსგავსებაა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ *Bos*-ისა და *Poiphagus*-ის გვარების შეჯვარების შედეგად გაჩენილი მამრები რეპროდუქციის უნარს მოკლებულნი არიან, რაც პირდაპირ მიუთითებს მათ ტაქსონომიურ დაგენეტიკურ დაშორებულობაზე ერთმანეთისაგან და შესაბამისად, მათი ერთ ტაქსონომად გაერთიანება შეუძლებელია. და მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში *Bos* გვარისთვის ნამდვილი ხარის სისხლის დამატება გრძელდებოდა, მამრთა უნაყოფობის თავიდან აცილების მიზნით, ერთ-ერთი უმთავრესი მანიშნებელი იაკის სისხლის არსებობა (შუა თხემის ძვლის შეჭრა შუბლის ძვალში) *Bos frontosus*-სა და მისგან წარმოშობილ ჯიშებში დღემდეა შემონახული.

ამგვარად, რეალურად არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება, ერთის მხრივ, რქათა ფორმისა და მიმართულების, შუბლის ზედა ნაწილის ფორმისა და კეფის ფორმის მიხედვით *Bos primigenius*-სა და *Bos mastanzadei*-ს თავის ქალებს შორის, და შესაბამისად, მათ შთამომავლობას *Bos taurus primigenius*-სა და *Bos taurus frontosus*-ის შინაურ ჯიშებს შორის, მეორეს მხრივ.

Bos frontosus-ის თავის ქალის ფორმა *Bos primigenius*-ის თავის ქალის ფორმისა და მისგან წარმოშობილი ჯიშებისაგან განსხვავებით იმდენად თავისებური და სპეციფიკურია, რომ, ჩვენი აზრით, სპეციალურ აღწერას იმსახურებს.

ს. მეფლუმიანის მონაცემთა მიხედვით:

„რქათა ღერძების ხასიათი, რომლებიც უფრო მეტად განიცდის ინდივიდუალურ ცვლილებებს, შეიმჩნევა ევროპული ველური ხარის ტიპიდან მეტად მნიშვნელოვანი გადახრები (იგულისხმება *Bos frontosus*-ი = ო.ბ.) ცნობილია, რომ *Bos primigenius*-ისათვის დამახასიათებელია რქების ძლიერი გადახრა რქათაშორისი ქედიდან უკან, რქათა მასიურობა, ღრმა განივი ღარების არსებობა; ისინი მიმართულია გვერდით, ზევით და შორი-შორს, მოხრილია შიგნითა მხარეს. მარგალიტების გვირგვინის რქების საძირკველთან არსებობა. აღსანიშნავი პოპულაციისათვის (ე.ი. მეჟლუმინის მიერ შესწავლილი *Bos frontosus*-ისათვის) დამახასიათებელია რქის ღერძთა შედარებითი მასიურობა, რქის ზედაპირზე განივი ღარების არსებობა, შედარებით დიდი სიგრძე. თუმცა რაც შეეხება რქათაღერძების მიმართულებას დამოხრილობის ხარისხს, გვხვდება ისეთი ეგზემპლარებიც, რომლებიც აღსანიშნავი ტიპისაგან გადახრას გვიჩვენებს. ამგვ.: ეგზემპლარ № 8 აქვს *Bos taurus primigenius*-ისაგან სრულიად განსხვავებული რქების მიმართულება. ეს უკანასკნელნი პირდაპირ გადიან განზე და შემდეგ ქვევით და შედარებით ვიწრო ცილინდრულ ნამონაზარდებზე დგანან, რომლებიც შუბლის ძვლის გაგრძელებას წარმოადგენენ. ფორმა ტიპიურია *Bos frontosus*-ისათვის. აღნიშნული ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშანი არის აგრეთვე გრძელი ფართო შუბლი, ფართო რქათაშორისი ადგილი, რომელიც თავის ქალის ძირითადი სიგრძის 43% შეადგენს (*Bos frontosus*-ისათვის 39-44%), ამობურცული რქათაშორისი ხაზი შუაში ჩაღრმავებულია.“ და შემდგომ: „*Bos taurus primigenius*-ის ტიპის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის დამახასიათებელია რქათა ღერძების რქათაშორისი ხაზიდან გადაცდენა. მე-8 ეგზემპლარი კი, (რომელსაც თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ თავის ქალათა კოლექციიდან ყველაზე მეტად აქვს გამოხატული თვისებებით *Bos frontosus*-თან მსგავსება - ო.ბ.) რქათაშორისი ხაზი მალა აქვს განლაგებული, ხოლო რქათა ღერძები დაბლა. ამის გამო, თავის შედარებით უფრო მეტად აწეულ ნაწილში ეს უკანასკნელნი ვერ აღწევენ რქათაშორის ქედს — ეს თვისება ძალიან ტიპიურია *Bos frontosus*-ისთვის. უფრო სუსტად გამოხატული თვისებები *Bos frontosus*-ისა ახასიათებს, მაგალითად, 332-ე ეგზემპლარს. ამას გარდა, მხოლოდ ზოგიერთი *Bos frontosus*-ის მსგავსი მაჩვენებლები აღენიშნება სხვა თავის

ქალებსაც, როგორცაა: რქათაშორისი ადგილის სიგანე, სიგანე ლოყების დონეზე, კეფის სიგანე“ [Межлумян 1972: 51].

როგორც ზემოთმოყვანილი ციტატიდან ჩანს, ს. მეჟლუმინმა სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ხარების თავის ქალების სერიის რამდენიმე ეგზემპლარი მორფოლოგიური და მორფომეტრიული მაჩვენებლების მიხედვით მიაკუთვნა *Bos frontosus Wilson*-ის მორფოტიპს. თუმცაღა, ჩვენი აზრით, ამავე სახეობას (მორფოტიპს) *Bos frontosus* (ზოგიერთი ეგზემპლარის გამოკლებით, რომლებიც უფრო გვიანდელ, რკინის ეპოქას განეკუთვნებიან (ურარტუ), სავსებით შეგვიძლია მთელი სერია ან დიდი უმეტესობა მაინც ბრინჯაოს ხანის ლჭაშენის სამარხებში აღმოჩენილი ხარის თავის ქალებისა მივაკუთვნოთ ერთსა და იმავე პოპულაციას — *Bos frontosus Wilson*, რაზეც პირველ რიგში მიუთითებს რქების ფორმა და მიმართულება (რქები განზე გადის და შემდეგ წინ, ირიბად შუბლის თავზე.) შუბლის ძვალი ზედა ნაწილში ამობურცულია, თხემ-კეფის საერთო ფორმა და აგებულება სამკუთხედის ფორმისაა და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თხემთაშორისი ძვლის არსებობა, რომელიც კონცხივით იჭრება შუბლის ძვლებს შორის. დასტურდება სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც ახასიათებს ს. მეჟლუმინის მიერ შესწავლილ ბრინჯაოს ეპოქის ხარის თავის ქალებს. აგრეთვე შუბლის ზედა ნაწილის ამობურცულობა, შედარებით ფართო შუბლის ძვალი (*frontale*) და სხვა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ყველაფერი, როგორც ჩანს დაკავშირებული იყო ე.წ. შიდაჯიშობრივ ცვალებადობასთან. ჩვენი ამგვარი დასკვნა, სავარაუდოდ, შეიძლება სწორად ჩავთვალოთ, ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ იგი ეხება თავის ქალათა ბრინჯაოს ეპოქის ეგზემპლარებს მთლიანად და მხოლოდ ნაწილობრივ ადრეანტიკურ (ს. მეჟლუმინთან რკინის) ხანას. ყველა დანარჩენი თავისი მაჩვენებლებით *Bos frontosus*-ისაგან განსხვავებული თავის ქალები, რომელთა რაოდენობა ს. მეჟლუმინის მიხედვით, ბევრი არ იყო, რკინის ეპოქის მასალიდანაა.

ს. მეჟლუმინი, როგორც უკვე ითქვა, სამხრეთკავკასიური შინაური ხარის ველური ევროპული ტურისაგან წარმოშობას ვარაუდობს, ამიტომ მის ნაშრომში ხშირად გვხვდება შემდეგი თვალსაზრისი: „ბრინჯაოს ხანის შინაური მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი,

ე.ი. *Bos frontosus*-ი წარმოიშვა ტრანსფორმაციის გზით ველური *Bos primigenius*-ის დომესტიკაციის შედეგად.“ და იქვე: „*Bos frontosus*-ად წოდებული კრანოლოგიური ტიპი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, კრანოლოგიურ ტიპ *primigenius*-ის ერთ-ერთ სტადიას წარმოადგენს.“ ამასთანავე, შენგავითის ენეოლითის თავის ქალას თავისი შუბლის, თხემისა და კეფის ნაწილების აგებულების მიხედვით არავითარი მსგავსება არა აქვს ველურ ხარ *Bos primigenius*-თან. ამიტომ, ს. მეჟლუმინის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ჩვენ მივიჩნევთ, რომ მის მიერ შესწავლილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თავის ქალების ჯიშობრივი ტიპის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რქების ღერძთა ფორმასა და მიმართულებას, კეფის ფორმასა და შუბლის ზედა ნაწილის თაღისებრ აგებულებას, რქათაშორის ადგილს და არა დიდ ზომას, როგორც ეს ევროპულ ველურ ხარს ახასიათებს, რადგან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დიდი ზომა სავსებით შეიძლება ყოფილიყო სელექციის შედეგი. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ ბრინჯაოს ხანის თავის ქალათა უმეტესობა აგებულებით *Bos frontosus*-ისაგან მცირედ განსხვავებული ეგზემპლარების ჩათვლით, უნდა მივაკუთვნოთ იგივე *Bos frontosus*-ის პოპულაციას. გვიანდელი თავის ქალების გამოკლებით ურარტუდან (თანაც მათი მხოლოდ ნაწილი და არა მთლიანად), რომელთა შორისაც ს. მეჟლუმინის მონაცემების მიხედვით, უკვე აშკარად დასტურდება ზებუდა *Bos braehyceros*-ი და მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარია სამი ურარტული ქალაქიდან (ძვ.წ. VII ს.), რომლებმაც სავარაუდოდ შემოგვინახა ბრინჯაოს ეპოქის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ტიპი *Bos frontosus*-ი.

ამგვარად, სამხრეთ კავკასიის ტერიტორია, ყოველ შემთხვევაში, მისი სამხრეთი ნაწილი, თანამედროვე საქართველო და თანამედროვე სომხეთი წარმოადგენდა ისეთ არეალს, სადაც ბრინჯაოს ხანაში ბატონობდა განსაკუთრებული ჯიში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა *Bos frontosus*-ის სახით.

ნიშნდობლივია, რომ ჯიშობრივი ტიპი *Bos frontosus*-ი ს. მეჟლუმინის მიერ დასტურდება მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში. ხოლო ბრინჯაოს ეპოქის დასასრულს (ურარტუს სახელმწიფოს არსებობის ხანას) ბრინჯაოს ეპოქისათვის დამახასიათებელ ტიპ *Bos frontosus*-თან (ს. მეჟლუმინთან *B. taurus primigenius*) ერთად უკვე გვხვდება შედარებით

მცირე რაოდენობის სხვა ტიპის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თავის ქალები. შემდგომ კი უკვე თავის ქალების რაოდენობა თანაბარი პროპორციებით გვხვდება (50% ძველი, 50% ახალი). ს. მეჟლუმინი [Межлумян 1972: 65] წერს: „მსხვილი შინაური ცხოველების არსებობა ბრინჯაოს ეპოქის ყორღანებსა და დასახლებებში დიდ მნიშვნელობას იძენს. შეიმჩნევა *Bos primigenius*-ის ტიპის საქონლის მუდმივი არსებობა აღნიშნულ ეპოქაში (სინამდვილეში ეს *Bos frontosus*-ია - ო.ბ.).“

შედეგად, ნეოლითიდან დაწყებული ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისამდე ყველგან გვხვდება კრანოლოგიური ტიპის *Bos taurus primigenius*-ის ტიპის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. (სინამდვილეში ეს *Bos frontosus*-ია - ო.ბ.).

ს. მეჟლუმინის მიხედვით, „უკვე ბრინჯაოს ეპოქაში, ე.ი. მაშინ, როდესაც მესაქონლეობა განვითარდა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ახასიათებს *frontosus*-ის ნიშნები. ხოლო რაც შეეხება კრანოლოგიურ ტიპს *Bos brachyceros*, იგი ჩნდება მხოლოდ რკინის ეპოქაში (ძვ.წ. VII ს-ში. - ო.ბ.), მაშინ, როდესაც აღმოაჩინეს საშუალო და მცირე ზომის შინაური ხარები. მაშასადამე, დიდი ზომის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ერთგვაროვნება ირღვევა *brachyceros*-ის გამოჩენით, რომელიც მთელი რკინის ეპოქის მანძილზე არსებობს *Bos taurus primigenius*-თან ერთად (სინამდვილეში სამხრეთ კავკასიაში ბრინჯაოს ეპოქაში ეს უკვე *Bos frontosus*-ია - ო.ბ.).“

დასკვნა-შეჯამება

- 1) აშკარაა, რომ *Bos frontosus* იყო განსაკუთრებული სამხრეთ კავკასიური ჯიში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, რომელიც გავრცელებული იყო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზეც. სავარაუდოდ, იგი თავისი წარმოშობით არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული *Bos mastanzadei Burtchak*-თან ბინაგადიდან (აზერბაიჯანი). სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი წარმოიშვა ველური ხარის სხვა სახეობისაგან, რომელიც წინა აზიის დასავლეთ რაიონებში იყო გავრცელებული.
- 2) ამას პირველ რიგში გვიდასტურებს თავის ქალათა მსგავსი აგებულება, თხემისა და კეფის ნაწილების თავისებურებები, რქათა ღერძების ფორმა და მიმართულება, აგრეთვე ყველაფერი ერთად. მორფოლოგიური მსგავსება აგებულებისა რომელიც აღნიშნება *Bos mastanzadei*-სა და თანამედ-

როვე სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თავის ქალებს და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თავის ქალებს დარაკოვიდან და გრაკლიანის გორიდან ამ ორ ზემოთნახსენებ ფორმას აგებულება განსხვავებული აქვს თავის ქალის ნაწილების მიხედვით *Bos primigenius Bojanus*-ის თავის ქალის ნაწილებისგან.

- 3) ამგვარად, შეგვიძლია ვიმსჯელოთ ბრინჯაოს ეპოქის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წარმოშობის შესახებ. ამ ჯიშის (*Bos frontosus*) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წინაპარი შესაძლოა ყოფილიყო *Bos mastanzadei Bur*, რომელიც არის მეოთხეული ფაუნის ენდემური ელემენტი აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა [Бурчак-Абрамович 1952], ხოლო უფრო ფართო გაგებით – წინა აზიის დასავლეთი ნახევრისა [Бурчак-Абрамович, Векуа 1980]; *Bos frontosus*-ი ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული სამხრეთ კავკასიაში (თანამედროვე სამხრეთ საქართველო და თანამედროვე სომხეთი) და შეიძლება დავუშვათ, რომ *Bos frontosus*-ი წარმოიშვა კავკასიის სწორედ ამ რეგიონში, რადგან *Bos frontosus*-ისათვის სავარაუდო წინაპარი ველური წინააზიური ტურის ფორმა – *Bos mastanzadei Burchak (1952)* პლეისტოცენის მეორე ნახევარსა და შესაძლოა უფრო გვიანაც (ანუ ჰოლოცენში) სამხრეთ კავკასიაში ბინადრობდა. მიუხედავად ამისა, არ არის გამორიცხული, რომ იმ არეალად, სადაც ეს შინაური საქონლის ჯიში ჩამოყალიბდა, აგრეთვე მოიაზრებოდეს უფრო აღმოსავლეთით მდებარე რაიონებიც ირანის ზეგნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ფარგლებამდე (იგულისხმება ირანის აზერბაიჯანი, სადაც ასევე ნაპოვნი იყო *Bos mastanzadei*-ს თავის ქალა (*Urmiabos maraghanus*-ის სახით). ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ სამხრეთ კავკასია მხოლოდ დასავლეთი ნაწილი იყო იმ ფართო არეალისა, რომლის ფარგლებშიც წარმოიშვა *Bos frontosus Wilson*-ი.
- 4) *Bos frontosus*-ის თავის ქალათა მთავარი თავისებურება არის შუბლ-თხემის ნაკერის სამკუთხედი (კონუსისებრი) ფორმა. ამის გამო, როგორც ეს დამახასიათებელია *Bos frontosus*-ის თავის ქალებისათვის მათი თხემთაშორისი ძვალი სოლივით ერჭობა შუბლის ძვლებს შორის. სწორედ ამ თავისებურების გამოა შესაძლებელი პირვე-

ლივე ნახვისთანავე ამოვიცნოთ *Bos frontosus*-ი. უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული მორფოლოგიური თავისებურება წარმოადგენს დიაგნოსტიკურს *Poephagus*-ის (აზავერების) ჯიშის თავის ქალებისათვის. და შესაბამისად, *Bos frontosus*-ი ჰიბრიდიზაციის შედეგად წარმოიშვა.

- 5) *Bos frontosus*-ი სამხრეთ კავკასიაში არსებობდა ბრინჯაოს ეპოქაში და ოდნავ უფრო გვიანაც, რკინის ეპოქაშიც. რაც შეეხება უფრო ადრინდელ ჯიშებს, რომლებიც არსებობდნენ ნეოლითსა და ადრე ენეოლითში, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას.
- 6) *Bos mastanzadae*-ს ტიპის ხარის მონაწილეობა *Bos frontosus*-ის შექმნაში პირდაპირი დასტურია იმისა, რომ ეს ველური ხარი (*Bos mastanzadae*) არსებობდა ჰოლოცენის დასაწყისამდე და ძველი ადამიანის მიერ იყო მოშინაურებული ნეოლითის ხანაში.
- 7) საკითხავია, რა დროს, საიდან და რა ვითარებაში მოხვდა ჩვენს მიერ აღმოჩენილი მსხვილფეხა საქონელი სამხრეთ კავკასიაში? ამ ჯიშის შექმნის ერთი კომპონენტი, როგორც ჩვენ დავადგინეთ, იყო აზავერი, რომელიც ბინადრობს ცენტრალურ აზიაში (წარსულში კი ციმბირში და ჩინეთში). რაც შეეხება ჰიბრიდიზაციის მეორე კომპონენტს – გარეულ *Bos mastanzadei*-ს, ეს ფორმაც ცენტრალურ-აზიური წარმოშობის იყო, რადგან ნიკოლოზ ბურჩაკ-აბრამოვიჩის აზრით [Бурчак-Абрамович 1952], ის ძალიან ახლო დგას ინდურ გარეულ ხართან *Bos nomadicus*-სთან. საინტერესოა, რომ უ. დიურსტს *Bos nomadicus*-ი აღწერილი აქვს ანაუს პალეოლითიდან, ხოლო მისი მოშინაურებული ფორმა იგივე ანაუს ნეოლითის ფენებიდან. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მივიღეთ სრულიად ნათელი პასუხი: ორივე სახეობა, რომელიც მონაწილეობდა სამხრეთ კავკასიური მსხვილფეხა საქონლის ჯიშის შექმნაში ცენტრალურ აზიური წარმოშობისა იყო.
- 8) აზავერის მონაწილეობა სამხრეთ კავკასიური *Bos frontosus*-ის ჯიშის შექმნაში ადასტურებს ავრანლოში [წარმადანიშვილი 2010; წარმადანიშვილი, ამირანაშვილი, კვაჭაძე, შანშაშვილი 2010] აღმოჩენილი ხარის თავის ბრინჯაოს პატარა გამოსახულება, რომელიც სავარაუდოდ, კვერთხის ნაწილია. ამ ფიგურას შინაური აზავერის ნიშნები

ახასიათებს რქების ღერძების ფორმის, მათი მიმართულებისა და თავის ქალაზე განლაგების მიხედვით. უფრო მეტიც, ფიგურას შუბლზე ჩაჭრილი ღარებით აშკარად აღენიშნება თვალეზზე გადმონეული ქოჩორი, რომელიც აზავერებისთვის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია.

მასალის მოკლე აღწერილობა

გრაკლიანის გორის ხარის თავის ქალა (სურ. 1-2) წარმოდგენილია მხოლოდ შუბლის ფრაგმენტით, რომელიც ეკუთვნის ზრდასრულ ცხოველს. მას მთლიანად აკლია ქალის სახის ნაწილი, ბაზალური ნაწილი და კეფის ნაწილები ორივე მხრიდან. შემორჩენილია ორივე რქის ქვედა ნახევარი (მოტეხილი აქვს რქების კენწეროები) და ნაწილობრივ თხემის ძვალი. ქალის შუბლს ოდნავ ემჩნევა დეფორმაცია და ჩატეხილობა. რქათაშორისი ლილვაკი ოდნავ ასიმეტრიულია, მისი მარცხენა მონაკვეთი კი ოდნავ უფრო გრძელია. რქების მიმართულება ისეთივეა, როგორც აქვს ლჭაშენში მოპოვებულ თავის ქალებს. ისინი მიმართულია ოდნავ ზევით და წინისაკენ. რქებს ემჩნევა ძალზე სუსტი სპირალურობა და აქვს მრავალი ზედაპირული ღარი. რქების საძირკვლებს განივკვეთში ელიფსის ფორმა აქვთ. ჯიშის დასადგენად განსაკუთრებით აღსანიშნავია რქათაშორისი ლილვაკის ფორმა, რომლის შუაში აღინიშნება ოდნავი ჩაღრმავება, რაც არის სამხრეთკავკასიური *Bos frontosus*-ისათვის დამახასიათებელი (თუმცა ეს ნიშანი ძალზე ცვალებადია და *Bos frontosus*-ის ზოგიერთ თავის ქალაზე აქვს კოპის ფორმა). როგორც ჩვენ დავადგინეთ, *Bos frontosus*-ი იყო ჰიბრიდული წარმოშობის (*Bos + Poephagus*) და ასეთი ჩაღრმავება აღენიშნება თხემთაშორისი ძვლის შემოჭრა შუბლის ძვლებს შორის, რაც დამახასიათებელია სწორედ აზავერებისათვის (იაკებისათვის).

თავის ქალის განზომილებები:

1. თავის ქალის თვალეზების უკანა სიგანე : 16 სმ.
2. რქათაშორისი ლილვაკის სიგანე : 14,3 სმ.
3. მარჯვენა რქის ბაზალური დიამეტრები : 5,4 / 4,5 სმ.
4. მარცხენა რქის ბაზალური დიამეტრები : 5,7 / 4,6 სმ.

დარაკოვის ხარის თავის ქალის ფრაგმენტი (სურ. 3-4).


დარაკოვის ნამოსახლარის № 1 ნაგებობაში აღმოჩნდა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის თავის ქალის შუბლისა და კეფის ფრაგმენტი, მარცხენა რქის საძირკვლით, თავის ქალის აღნიშნული ფრაგმენტის რქის ბაზალური ნაწილის განივი ჭრილი ელიფსური ფორმისაა და ამ ჯიშის შედარებით დიდი ზომის რქის მიხედვით, ეკუთვნის ზრდასრულ ხარს. ეს ნიმუში ჩვენთვის დიდად საინტერესოა, რადგან საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტად განვსაზღვროთ დარაკოვის ნამოსახლარზე მოპოვებული შინაური საქონლის ჯიში. ეფის შემორჩენილი ფრაგმენტის საფუძველზე ჩანს, რომ კეფის ნაკერი ქმნის დამრეცგვერდებიან სამკუთხედს. შუბლის ზედა ნაწილის (თავის ქალის ბუნებრივი ორიენტაციის დროს) ანუ რქათაშორისი ლილვაკის ცენტრში მოთავსებულია საკმაოდ დიდი წარმონაქმნი ბორცვის სახით, რომლის აბორალური კიდე ნახევარმთვარისებურადაა ამოღარული. შუბლის ძვლის უკანა ნაწილს აქვს გუმბათისებრი ფორმა. ზემოთაღნიშნული შუბლისა და კეფის ძვლების აგებულება ძლიერ დამახასიათებელია *Bos frontosus*-ის ქვესახეობისათვის. რქის ძირი, თავის ქალის ჰორიზონტალური მდგომარეობის დროს, მიმართულია თითქმის ჰორიზონტალურად და ოდნავ გადახრილია უკან. რქის შემორჩენილ ძირს აქვს ელიფსისებური განივკვეთი (ზომები : რქის ძირის დიდი დიამეტრი – 7,21 სმ ; მცირე დიამეტრი — 5,52 სმ).



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

ON THE ORIGIN OF THE SOUTH CAUCASIAN CATTLE

Summary

In this article we discuss one of the types of cow which was found in the south Caucasus archeological sites – *Bos frontosus* Wilson. In our opinion the last was formed on the basis of cross breeding of oxen and jacks. This hypothesis verifies the presence of so called interparietal bone in the frontal part of its skull. Nowadays *Bos frontosus* mainly inhabits in the mountainous regions of the Switzerland, German and Sweden. Therefore, to take into account the finds on Caucasus we can suppose that the morphotype of this kind might pass through transitional path – the territory of the South Caucasus. *Bos frontosus* type of cattle was spread on the territory of Georgia in the early Bronze period (Grakliani Gora, layers of Kuro-Araxes culture) till the Achemenian epoch (Darakovi).

ლიტერატურა

- ნარიშანიშვილი გ. 2010:** თრიალეთი ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებში. – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბილისი, 275-311.
- ნარიშანიშვილი გ., ამირანაშვილი ჯ., კვაჭაძე მ., შანშაშვილი ნ. 2010:** ავრანლოს არქეოლოგიური ძეგლები. – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბილისი, 370-380.
- Бурчак-Абрамович Н. 1952:** Первобытный бык (*Bos mastan-zadei mihi species nova*) в четвертичной фауне сел. Бинагады на Апшеронском полуострове. Бинагадинское местонахождение четвертичной фауны и флоры. II. – Труды Естественно-исторического музея им. Г. Зардаби, Вып. V, 181-201.
- Бурчак-Абрамович Н. 1957:** Ископаемые быки Старого Света. Труды Естественно-исторического музея им. Г. Зардаби т. I, вып. 11. Баку.
- Бурчак-Абрамович Н., Векуа А. 1980:** Палеобиологическая история позднекайнозойских быков Кавказа. Тбилиси.
- Лискун Е. 1934:** Частное животноводство. Москва-Ленинград.
- Лискун Е. 1951:** Крупный рогатый скот. Москва.
- Межлумян С. 1972:** Палеофауна эпох энеолита, бронзы и железа на территории Армении. Ереван.
- Основы палеонтологии. 1962:** (под ред. В. Громовой) . Москва.
- Соколов И. 1953:** Опыт естественной классификации полорогих (Bovidae). Труды Зоологического Института, т. XIV. Ленинград.
- Lydekker R. 1898:** Crania of ruminans from the Indian tertiaries. Indian tertiary and posttertiary vertebrata, 1.3 ser. x 3. Memoirs of the Geological survey of India, 88-181.
- Matsumoto H. 1918:** On some fossil bisontines of Eastern Asia. – Science reports Tohoku Imp. Univers. (2 Geol.) III, 83-102.
- Pilgrim G.E. 1939:** The fossil Bovidae of India. – Palaeontologia Indica, NS, 26, 1-356.

სურათების აღწერა

- სურათი 1** გრაკლიანის გორის ხარის თავის ქალა. ხედი შუბლის მხრიდან.
- სურათი 2** გრაკლიანის გორის ძროხის თავის ქალა. ხედი კეფის მხრიდან.
- სურათი 3** დარაკოვის ხარის თავის ქალა. ხედი შუბლის მხრიდან.
- სურათი 4** დარაკოვის ხარის თავის ქალა. ხედი კეფის მხრიდან.

DESCRIPTION OF THE PLATES:

- Pl. I. Grakliani Gora, the skull of cow, view from forehead;
- Pl. II. Grakliani Gora, the skull of cow, view from occiput;
- Pl. III. Darakovi, the skull of cow, view from forehead;
- Pl. IV Darakovi, the skull of cow, view from occiput.

მტკვარ-არაქსის კულტურის მოხატული კერამიკა სამხრეთ კავკასიიდან

სამხრეთ კავკასიაში მოხატული კერამიკა ნეოლითიდან ჩნდება. ხალაფური სტილის მოხატული ჭურჭლის მცირერიცხოვანი ფრაგმენტები აღმოჩენილია სომხეთში: არატაშენი [Бадалян, Аветисян, Ломбард, Шатенье 2004:32; Palumbi 2007: 63, 73, ტაბ. 2₁₋₃], თელუთა [Кушнарева, Чубинишвили 1970: 41] და აზერბაიჯანში: ქიულ-თეფე I, კამილ-თეფე, შახ-თეფე, პოლუთეფე ნამოსახლარებზე [Кушнарева, Чубинишвили 1970: 39, 40, სურ. 12; Алмамедов 2008: 5], რომლებიც თარიღდება ძვ.წ. VI-IV ათასწლეულებით. საქართველოს ტერიტორიაზე ნეოლითური ხანის მოხატული ჭურჭელი დღესდღეობით აღმოჩენილი არ არის.

ხანგრძლივი წყვეტილის შემდეგ მოხატული კერამიკა სამხრეთ კავკასიის მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე ჩნდება.

მტკვარ-არაქსული მოხატული კერამიკის ფრაგმენტები პირველად თრიალეთში, სოფ. ბეშთაშენთან გათხრილ „ციკლოპურ ნაქალაქარზე“ აღმოჩნდა 1936-1940 წლებში [Куфтин 1941: 117, ტაბ. CXXI]. მათი კეცი უმეტესწილად ჩალისფერია. ერთი ფრაგმენტი (საინვ. № 43-68: 104) შეღებილია ყავისფრად, კარგადაა მოპრიალებული და ზედ შავი საღებავით დამტრისხული სამკუთხედებია დატანილი (ტაბ. V₃). მეორე ნატეხი დაფარულია ნითელი საღებავით (საინვ. № 43-68: 113). მხრის კიდეზე შავი საღებავით ჰორიზონტალური ხაზია გავლებული, რომლის ქვემოთ ასევე შავი საღებავით ფრინველის სტილიზებული გამოსახულებაა შესრულებული (ტაბ. V₆). მესამე ფრაგმენტი წარმოდგენილია პირ-გვერდის ნატეხით, რომლის ზედაპირი დაფარულია მონითალო-ვარდისფერი ანგობით (საინვ. № 43-68:112); ყელისა და მხარის საზღვარზე მუქი ნითელი საღებავით ჰორიზონტალური ხაზია გავლებული, რომლის ზემოთ ნითელი საღებავით დახატულია სამთითა და სამი ნერტილი (ტაბ. V₁₀). მეოთხე ფრაგმენტზე (საინვ. № 43-68:36) თითქოს ცხოველის აბსტრაქტული გამოსახულებაა მოცემული (ტაბ. V₇). დანარჩენი ექვსი ფრაგმენტი დაფარულია ნითელი, ან ღია ყავისფერი საღებავით, რომელზეც შავი, ან მუქი ნითელი საღებავით შესრულებული

ჰორიზონტალური ხაზი შეიმჩნევა.

1947 წელს ბ. კუფტინმა თრიალეთშივე, სოფ. ოზნიში გათხრილ ნამოსახლარზე სამყურა ჭურჭელს მიაკვლია (ტაბ. III₁), რომლის ყელი და მხრის ზედა და შიდაპირი ნითლად არის შეღებილი, ხოლო მხარი შემკულია შავი საღებავით შესრულებული სარტყლით [Жоржикашвили, Гогадзе 1971: 41, ტაბ. 30₁₃₇].

XX ს-ის 50-იან წლებში მოხატული კერამიკა აღმოჩენილია ქვაცხელების ნამოსახლარზე. ნამოსახლარის C ფენაში ერთი მთელი სამყურა ჭურჭელია ნაპოვნი (ტაბ. I₂), რომლის ყელი ნითლად არის შეღებილი, ხოლო მხარზე შავი საღებავით ჰორიზონტალური სარტყელია გავლებული [ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: ტაბ. IV₄₀₈]. ამავე ფენიდანაა ყურის ფრაგმენტი (ტაბ. V₄), რომლის ზემოდან ნითელი საღებავით რვა სქელი ნერტილია დასმული [ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: ტაბ. XXXII₃].

შედარებით მრავლადაა წარმოდგენილი მოხატული კერამიკა ქვაცხელების B ფენაში. აქ გამოვლენილია დიდი ზომის სამყურა ქილები (ტაბ. I_{2,3}), რომელთა ყელი შეღებილია ნითლად და შემკულია შავი ფერის სარტყლით [ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: ტაბ. IV_{136,242,254}]. ერთი ჭურჭელი გამოირჩევა განსხვავებული დეკორით (ტაბ. II₂). მუქი ნითელი საღებავით შეღებულ ყელის ძირზე შავი საღებავით სქელი ჰორიზონტალური სარტყელია შემოვლებული. ზოლს ზემოთ სამკუთხედები და ნახევარკალია გამოსახული, რომელთა შორის რომბულად დალაგებული ოთხი მსხვილი ნერტილია დატანილი [ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: 36, ფერადი ჩანართი]. ქვაცხელების B2 ფენაში ნაპოვნი ჩალისფრად ანგობირებული ქილის ფრაგმენტები (საინვ. № 15-55: 1258). მის ყელს ირგვლივ შემოუყვება მუქი ყავისფერი ფართო ზოლი, რომლის ზემოთ ნითელი საღებავით დახატულია ფრინველი. ფრინველის გვერდით მოცემულია სამკუთხედი და სამი ვერტიკალური ხაზი (ტაბ. IV_{5,6}). აღსანიშნავია ამავე ფენაში ნაპოვნი კარგად გაპრიალებული ჭურჭლის პატარა ფრაგმენტი (ტაბ. V₅), რომელზეც შემორჩენილია მოთეთროდ ანგობირებულ ფონზე შესრულებული სქელი ყავისფერი ზოლი

და შევსებული წრეები (საინვ. № 15-55:923).

ორი მოხატული ფრაგმენტი ცნობილია გუდაბერტყას ნამოსახლარიდან. სავარაუდოდ ორივე ნატეხი ერთ ჭურჭელს ეკუთვნოდა. ერთი ცალი შემთხვევით არის აღმოჩენილი და ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ტაბ. V₃), ხოლო მეორე აღმოჩნდა სტაციონარული გათხრების დროს XX საუკუნის 50-იან წლებში და ინახება გორის მუზეუმში (ტაბ. V₄). ორივე ფრაგმენტი ჩალისფერია; წითელი საღებავით ორი ჰორიზონტალური ზოლია გავლებული, რომელშიც რქიანი ცხოველის სქემატური ფიგურაა წითლად დახატული. ეროვნული მუზეუმის ფრაგმენტზე ცხოველის თავზე გავლებულ წითელ ზოლს ზემოთ გაურკვეველი გამოსახულებების ფრაგმენტია შემორჩენილი, ხოლო გორის მუზეუმის ფრაგმენტზე დაშტრიხული მართკუთხედების რიგი მოცემული ზოლის ქვემოთაა გამოსახული.

შენგავითში აღმოჩენილი ჯამის (8×16 სმ) ღია ყავისფერ შიდაპირზე მუქი ყავისფერი საღებავით შესრულებულია შესანიშნავი კომპოზიცია: შუაში დახატულია დიდი წრე, რომელშიც სამი მონითალო-ყავისფერი საღებავით შევსებული სამკუთხედი. ეს გამოსახულება მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ შვერილიან კერას მოგვაგონებს. „კერის“ ირგვლივ ფრინველებია დატანილი (ტაბ. IV₂). ორი მათგანის ნისკარტის ქვეშ შევსებული წრეა, ერთ-ერთ ფრინველთან სვასტიკა, ხოლო სამთან – გველის ფორმის კლაკნილი ხაზებია დახატული [Ханзадия 1969: 155].

XX ს-ის 70-იან წლებში არაგვის ხეობაში (სოფ. ქვემო არანისი) აღმოჩენილი მოხატული კერამიკა განსხვავებული დეკორითაა შემკული [ლლონტი 1985: 17]. აქ ნაპოვნი მოხატული ჭურჭლებიდან რამდენიმე აღდგენილია. ორი მათგანი წარმოადგენს პატარა ქოთანს, რომელთაგან ერთ-ერთის ყელი და მუცელი წითელი საღებავითაა დაფარული. მხარზე შავი საღებავით დატანილია ჰორიზონტალური სქელი ზოლი, რომლის ზემოთ შავი ნერტილებისგან შემდგარი სამკუთხედების რიგია მოცემული (ტაბ. V₁₃). მეორე ქოთანს მუცელზე შავი საღებავით ჰორიზონტალური სარტყელი აქვს შემოვლებული (ტაბ. V₁₄), რომლის ზემოთ მოცემულია შავი ნერტილებით შევსებული სამკუთხედები [ლლონტი 1985: 18, სურ, 1,2]. ამის გარდა აღმოჩენილია კიდევ რვა მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტი. ერთი მათგანი (საინვ.

№ 09-XIX-75-103) წარმოადგენს მაღალყელიან ყურიან ჭურჭელს, რომლის ყელი და გვერდი წითლადაა შეღებილი. მხარი და მუცელი გამოყოფილია ყავისფერი საღებავით შესრულებული სქელი ჰორიზონტალური სარტყელით. მის ზემოთ დაკბილული სამკუთხედების რიგია მოცემული, ასევე ყავისფრად შესრულებული (ტაბ. II₃). დიდი ზომის ყურიანი ჭურჭელი (საინვ. № 09-XIX-76-297) რესტავრირებულია. ყელი და მხარი მას წითლად აქვს შეღებილი. მუცელზე შავი საღებავით ჰორიზონტალური სარტყელი აქვს დატანილი. პირს ქვემოთ შავი ნერტილებით შესრულებული სამკუთხედების რიგია, რომელთა ქვემოთ ასევე შავი საღებავით სვასტიკაა გამოსახული (ტაბ. III-3). ერთ-ერთი ფრაგმენტი (საინვ. № 09-XIX-76-125) წარმოადგენს დიდი ზომის მაღალყელიანი ჭურჭლის ყელ-გვერდის ნაწილს, რომელიც წითლადაა შეღებილი. მხარზე შავი ფერის ჰორიზონტალური სარტყელი აქვს გავლებული. პირს ქვემოთ ნერტილებით შედგენილი სამკუთხედების რიგია გამოსახული შავი საღებავით (ტაბ. II₁). ერთი ფრაგმენტი (საინვ. № 09-XIX-83-45) ყავისფერია, რომელზეც შემორჩენილია მუქი ფერის საღებავით დატანილი დაკბილული სამკუთხედების კვალი (ტაბ. V₁). აქვე აღმოჩნდა მაღალყელიანი ჭურჭლის ყელისა და გვერდის ფრაგმენტი, წითლად შეღებილი. მხარზე მუქი ყავისფერი საღებავით სამკუთხედების რიგი შემოუყვება, რომლის ზემოთ იგივე ფერის საღებავით ოთხი სვასტიკაა დახატული (ტაბ. III₂). მაღალყელიანი ჭურჭლის ერთი ფრაგმენტი (საინვ. № 09-XIX-76-87) წითლადაა შეღებილი, ზედაპირზე შავი და ყავისფერი საღებავით ლათინური T-ს მსგავსი ორნამენტია მოცემული (ტაბ. V₁₂). ერთ-ერთი პატარა ფრაგმენტი (საინვ. № 09-XIX-76-218) შეღებილია წითლად. მასზე შავი საღებავით დახატულია ნერტილებით და ცალი სპირალით შემკული დაკბილული სამკუთხედების რიგი (ტაბ. V₂). ერთ წითელ ნატეხზე (საინვ. № 09-XIX-76-88) შავი საღებავით სქელი ხაზია გავლებული.

თრიალეთში, ავრანლოს ნამოსახლარზე 2006 წელს აღმოჩენილ ფრაგმენტზე (ტაბ. V₆). ღია ყავისფერ ფონზე წითელი საღებავით ვერტიკალური ხაზებია დატანილი [შანშაშვილი 2010: ტაბ. VII₄₃].

მტკვარ-არაქსის კულტურის მოხატული კერამიკის პირველი სტილისტური ანალიზი ბ. კუფტინს ეკუთვნის. მან ბემთაშენში აღმოჩენილი მოხატული კერამიკის ფრაგმენტები ორ ჯგუფად დაყო: 1. მონითალო-ყა-

ვისფერი საღებავით შესრულებული პრიმიტიული „ბავშვური“ ნახატი წითლად შეღებილ და უხეშად ნაპრიალებ ზედაპირზე; 2. შავი საღებავით შესრულებული შედარებით გარკვეული ნახატი (ირიზად დაშტრიხული სამკუთხედები), რომელიც დატანილია თხელი თიხით ანგობირებულ და კარგად ნაპრიალებ ზედაპირზე. ეს მოხატული კერამიკა სრულიად განსხვავდება თრიალეთის ყორღანებში აღმოჩენილი მოხატული კერამიკისაგან [Куртин 1941: 112].

მიუხედავად იმისა, რომ ბ. კუფტინის მიერ ჩატარებული გათხრების შემდეგ თითქმის ოთხმოცი წელი გავიდა და შესწავლილია ადრე ბრინჯაოს ხანის არა ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი, მტკვარ-არაქსის კულტურის მოხატული კერამიკის ბ. კუფტინისეული კლასიფიკაცია ძირითადად მისაღები რჩება, თუმცა ახალი მასალის საფუძველზე შესაძლებლად მიგვაჩნია სამხრეთ კავკასიის მოხატული კერამიკისათვის ახალი კლასიფიკაციის შემოთავაზება.

ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურის მოხატული კერამიკა სტილისტურად რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

I. გეომეტრიული სტილი, რომელშიც რამდენიმე სახეობა გამოიყოფა:

I.1. ჰორიზონტალური სარტყელი. ეს ორნამენტული მოტივი ყველაზე ფართოდაა გავრცელებული და თითქმის ყველა მოხატულ ჭურჭელსა და კერამიკულ ფრაგმენტზეა დატანილი. ამ სახეობაში შეიძლება გამოიყოს:

I.1.1. ჰორიზონტალური სარტყელი (ტაბ. I₁₋₃; III₁), როგორც დამოუკიდებელი მოტივი (ბეშთაშენი, ოზნი, ქვაცხელები C);

I.1.2. ჰორიზონტალური სარტყელი, რომლის ზემოთ მოცემულია სხვადასხვა სახის გამოსახულებები:

I.1.2-a - დაშტრიხული სამკუთხედი (ტაბ. IV₅. ქვაცხელები B); I.1.2-b - დაკბილული სამკუთხედი (ტაბ. II₃. ქვემო არანისი); I.1.2-c წერტილებით გამოსახული სამკუთხედი (ტაბ. V₁₃. ქვემო არანისი); I.1.2-d ტეხილი ხაზით შედგენილი სამკუთხედი (ტაბ. II₂; V₁₄. ქვაცხელები B, ქვემო არანისი); I.1.2-e შევსებული წრე (ტაბ. V_{5,10}. ბეშთაშენი, ქვაცხელები C); I.1.2-f ნახევარწრე (ტაბ. II₂. ქვაცხელები B); I.1.2-g ვერტიკალური ზოლი (ტაბ. IV₆. ქვაცხელები B); I.1.2-h ოთხი წერტილით შედგენილი რომბი (ტაბ. II₂. ქვაცხელები B); I.1.2-i სვასტიკა (ტაბ. III_{2,3}. ქვემო არანისი); I.1.2-j წერტილებით და სპირალით შემკული ხაზოვანი სამკუთხედი (ტაბ. V₂. ქვემო არანისი);

I.1.2 — k ტეხილი ხაზებით გამოსახული ფრინველი (ტაბ. IV₆. ქვაცხელები B);

I.1.3. ჰორიზონტალური სარტყელი, რომლის ქვემოთ გამოსახულია დაშტრიხული სამკუთხედები (ტაბ. V₃. ბეშთაშენი).

I.2. სამკუთხედები. ამ სახეობაში შეიძლება რამდენიმე ტიპის გამოყოფა: I.2.1. ტეხილი ხაზებით შესრულებული სამკუთხედები (ტაბ. II₂; V₁₄. ქვაცხელები B, ქვემო არანისი); I.2.2. დაშტრიხული სამკუთხედები (ტაბ. IV_{5,6}; V₃. ბეშთაშენი, ქვაცხელები B); I.2.3. დაკბილული სამკუთხედები (ტაბ. II₃; V-1. ქვემო არანისი); I.2.4. წერტილებით გამოსახული სამკუთხედები (ტაბ. V₁₃). ქვემო არანისი).

I.3. შევსებული წრე (ტაბ. IV₁; V_{5,10}. ბეშთაშენი, ქვაცხელები ჩ, შენგავითი).

I.4. ვერტიკალური ხაზები (ტაბ. IV_{5,6}; V_{6,9}. ქვაცხელები B, ავრანლო).

ზოომორფულ სტილი. ეს სტილი რამდენიმე სახეობას აერთიანებს:

II.1. ფრინველი (ტაბ. IV_{1,5,6}; V₈. შენგავითი, ქვაცხელები B, ბეშთაშენი). ფრინველების გამოსახულება ტრადიციულია მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ორნამენტაციაში. ძირითადად გამოისახებოდა გრძელფეხებიანი და მალაწყელიანი ფრინველი, სავარაუდოდ ყარყატი, რომელიც ევრაზიის სხვადასხვა ხალხების რწმენა-წარმოდგენებში ოჯახის კეთილდღეობასთან, ნაყოფიერებასთან და შვილიერებასთან ასოცირდებოდა. ყარყატის რელიეფური და ამოკანრული გამოსახულებები ფართოდ იყო გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის მთელ მანძილზე. ეს გამოსახულებები იმდენად ერთგვაროვანია, რომ შესაძლებელია გარკვეულ კანონიკურობასა და შესაბამისად, საკრალურობაზე ლაპარაკი. ჩვენი აზრით, მოხატვის ტექნიკით შესრულებული ფრინველებიც ამ კატეგორიას განეკუთვნებიან. ბეშთაშენის და ქვაცხელების ფრინველები ტეხილი ხაზებით არის გამოსახული. ისინი მსგავსებას იჩენენ მტკვარ-არაქსის კერამიკაზე ფრინველების ამოკანრულ გამოსახულებებთან (ტაბ. VI_{5,6}), ხოლო შენგავითის ფრინველები სქელი ფუნჯით არიან დახატული და მსგავსებას იჩენენ რელიეფურ გამოსახულებებთან.

II.2. რქოსანი ცხოველი (ტაბ. IV_{3,4}), რომლის ტანი ორი შეერთებული სამკუთხედი-თაა გადმოცემული (გუდაბერტყა). ეს გამოსახულებები მსგავსებას იჩენენ მესხეთში (ზველი) ნაპოვნ ერთ-ერთ ჭურჭელზე ამოკანრვით შესრულებულ რქოსანი ცხოველ-

ბის პროცესიასთან, რომელიც სარტყლად შემოსდევს ჭურჭელს [ორჯონიკიძე 1983: ტაბ. 27]. აგრეთვე თისელი სერის (ტაბ. VI_{1,3}) მტკვარ-არაქსულ ნამოსახლარზე აღმოჩენილ კერამიკის ფრაგმენტებზე გამოსახულ რქოსან ცხოველებთან, რომელთა ტანი ასევე ორი შეერთებული სამკუთხედითაა გადმოცემული [გოგოჭური, ორჯონიკიძე 2010: ტაბ. IV₉₋₁₁]. მსგავსი გამოსახულება დატანილია შენგავითში (ტაბ. VIII₅) აღმოჩენილ ჭურჭელზეც [Кушнарёва, Чубинишвили 1970: სურ. 25₁]

II.3. ოთხფეხა ცხოველის (?) აბსტრაქტული გამოსახულება (ტაბ. V₇. ბეშთაშენი);

II.4. გველი? (ტაბ. IV₁. შენგავითი).

ჰერალდიკური სტილი. ეს სტილი სამ სახეობად შეიძლება დაიყოს:

III.1. სვასტიკა (ტაბ. III_{2,3}. ქვემო არანისი). რომელთა ფრთების დაბოლოებები ორმაგდება. უნდა აღინიშნოს, რომ რელიეფურად შესრულებული სვასტიკა (ტაბ. VI₇) გამოსახულია მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარ ორხევის № 2 შენობის პლატფორმაზე [მირცხულავა 2010: 100, ტაბ. 25₁].

III.2. ლათინური T-ს მსგავსი ორნამენტი (ტაბ. V₁₂. ქვემო არანისი);

III.3. სავარცხლისებრი ორნამენტი (ტაბ. V₁₀. ბეშთაშენი). მსგავსი გამოსახულება, რომელიც რელიეფურადაა შესრულებული (ტაბ. V₁₁) ცნობილია ქვემო არანისიდან [ლლონტი 2006: ტაბ. II], ხოლო ამოკანრული კი ქვაცხელების ნამოსახლარის B ფენაშია (ტაბ. VI₆) აღმოჩენილი [ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: ტაბ. IV₁₃₆].

კომპოზიციები. ამ ჯგუფში გაერთიანებულია ზომორფული და გეომეტრიული სტილის ერთობლივად გამოსახული ელემენტები, რომლებიც ერთიან კომპოზიციას ქმნიან.

ამ ჯგუფში შესაძლებელია ორი ვარიანტის გამოყოფა:

IV.1. მარტივი კომპოზიცია (ტაბ. IV₃₋₆. გუდაბერტყა, ქვაცხელები B). ამ ვარიანტის გამოსახულებები ერთ ჰორიზონტალურ სარტყელზეა დალაგებული. კომპოზიციური სურათის სრულად აღდგენა საკმაოდ რთულია, რადგან ისინი მხოლოდ კერამიკის მცირე ფრაგმენტებზე არის შემორჩენილი.

IV.2. რთული კომპოზიცია (ტაბ. IV₁. შენგავითი) წარმოდგენილია კარგად შენახული ჯამის შიდაპირზე. შესაძლოა ასახავს ორი დაპირისპირებული ძალის – ყარყატებისა და გველების ბრძოლას ასტრალური სიმბოლოების (სვასტიკა, წრე) ფონზე.

მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის მოხატულობა სხვადასხვა ტექნიკითაა შესრულებული: 1. ნითლად შეღებილ ანგობირებულ ზედაპირზე (ოზნი, ქვაცხელები C, B, ქვემო არანისი); 2. უშუალოდ ყავისფერკეციან ანგობირებულ ზედაპირზე (ქვაცხელები B, შენგავითი); 3. უშუალოდ ჩალისფერკეციან ანგობირებულ ზედაპირზე (გუდაბერტყა); 4. მოვარდისფროდ ანგობირებულ ზედაპირზე (ბეშთაშენი, ქვაცხელები B); 5. ყავისფერკეციან მოთეთრო ანგობით დაფარულ ზედაპირზე (ქვაცხელები B); 6. უხეშად ნაპრიალებ მოყავისფრო-მონითალო ზედაპირზე (ბეშთაშენი, ქვაცხელები C1, ავრანლო).

გამოიყენებოდა რამდენიმე ფერის საღებავი: 1. ჭურჭლის ზედაპირის დასაფარავად ნითელი საღებავი არის ნახმარი (ბეშთაშენი, ოზნი, ქვაცხელები, ქვემო არანისი). 2. ორნამენტი ძირითადად შავი საღებავით არის დატანილი (ბეშთაშენი, ოზნი, ქვაცხელები, ქვემო არანისი). გავრცელებულია აგრეთვე ნითელი (ბეშთაშენი, ქვემო არანისი, გუდაბერტყა, ავრანლო), ყავისფერი (ქვემო არანისი, ყავისფერი, შენგავითი) და იშვიათად ყვითელი (ქვემო არანისი) საღებავებით დატანილი ორნამენტი.

მოხატულობა ძირითადად მონოქრომულია, თუმცა ორ შემთხვევაში გვხვდება პოლიქრომული ორნამენტი (ტაბ. V_{5,12}. ქვაცხელები B, ქვემო არანისი).

სამხრეთ კავკასიის მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე მოხატული ჭურჭელი გავრცელებას იწყებს ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრიდან. უძველესი ძეგლები, სადაც თავს იჩენს მოხატული კერამიკის ეგზემპლარები არის ქვაცხელების ჩ1 ფენა და ოზნი. ორივე ძეგლი თარიღდება IV-III ათასწლეულების მიჯნით. აქ მოხატულობა გვხვდება მხოლოდ ერთ კერამიკულ ტიპზე – მაღალყელიან სამყურა ჭურჭელზე, რომლის ყელი ნითლადაა შეღებილი და მუცელზე შავი ფერის სარტყელი შემოუყვება.

ბეშთაშენის “ციკლოპურ ნაქალაქარზე” გათხრილ მტკვარ-არაქსის კულტურის ფენაში ბ. კუფტინმა სამი ჰორიზონტი გამოყო და სამ ქრონოლოგიურ ჯგუფს მიაკუთვნა. ყველაზე ადრეულ, ქვედა ჰორიზონტს მიეკუთვნება ფართო ძირიანი, დიდი ზომის დერგები და ქოთნები [Куфтин 1941: 115, სურ. 122]. ბ. კუფტინის მიერ ადრეულ კომპლექსად მიჩნეული კერამიკა იდენტურია არსლანთეფე VI B1 ფენაში, გვიან ურუქულ კერამიკასთან ერთად აღმოჩენილი

ქოთნებისა და სომხეთში, გელაროტსა და ჰორომში აღმოჩენილი ჭურჭლისა. სომხეთში აღმოჩენილი მსგავსი კერამიკის შემცველი ფენები ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულით და III ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება. გელაროტის მსგავსი კერამიკა მომდინარეობს ფენებიდან, რომელთა C¹⁴ მეთოდის მიხედვით თარიღდება ძვ.წ. 3100-2700 წწ. [Smith, Badalyan, Avetisyan, Zardaryan 2004: 20], ხოლო ჰორომიდან ძვ.წ. 3350-3050 წწ. და ძვ.წ. 3371-3136 წწ. [Badaljan, Kohl, Stronach, Tonikjan 1994: 14; Badaljan, Edens, Gorny, Kohl 1993: 3]. არსლანთეფე VIB ფენა ტრადიციული „საშუალო“ ქრონოლოგიით ჯემდეთ-ნასრის/ადრე დინასტიური I ეპოქის თანადროულია და 3100-2800 წწ. თარიღდება [Conti, Persiani 1993: 386].

მეორე ჯგუფის კერამიკა ხასიათდება მაღალი ტექნიკური და მხატვრული თვისებებით და ზედაპირის გაპრიალების მაღალი ხარისხით. ამ ჭურჭლის არქიტექტონიკაც განსხვავებულია [Куфтин 1941: 115, სურ. 124]. მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის კერამიკა მსგავსებას იჩენს ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებულ შიდა ქართლის ნამოსახლარებზე აღმოჩენილ ჭურჭელთან.

მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვნება ნატიფი ამოღარული ორნამენტით შემკული შავპრიალა კერამიკა და მოხატული კერამიკის ფრაგმენტები [Куфтин 1941: 117]. ბ. კუფტინის მიერ გამოყოფილ ბემთაშენის მესამე ქრონოლოგიური ჯგუფის მოხატული ფრაგმენტები, აგრეთვე ქვაცხელების B ფენაში, გუდაბერტყასა და ქვემო არანისში აღმოჩენილი ჭურჭელი, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით და მეორე ნახევრით თარიღდება, დიდ მსგავსებას იჩენს ანატოლიის მტკვარ-არაქსული ძეგლების მოხატულ (ტაბ. VIII_{1,4,6,13}) კერამიკასთან (ნორშუნ-თეფე, არსლან-თეფე, თეფეჯიქი, პულურ-საკიოლი). არსლან თეფეს VIC და ნორშუნთეფეს XXI-XVIII ფენებში დადასტურებული მოხატული ჭურჭელი ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრითა და შუა ხანებით თარიღდება [Conti, Persiani 1993: 388]. ანალოგიური კერამიკის შემცველი პულურის VIII ფენა C¹⁴ მეთოდით ძვ.წ. 2470-+150წ თარიღდება [Kosay 1976: 130].

მაღათის და ქებანის რეგიონებიდან მომდინარე მოხატული კერამიკისათვის დამახასიათებელი ორნამენტული მოტივებია დაშტრიხული სამკუთხედები (ნორშუნთეფე [არრო 1997: ტაბ. 3₃₁₁, 18-ჯ11, 25_{ჯ31}, 41_{ჯ31}], თე-

ფეჯიქი [Marro 1997: ტაბ. 34_{ჯ53}], პულურ-საკიოლი [Marro 1997: ტაბ. 31_{ჯ52}, 41_{ჯ52}]), ფრინველების სქემატური გამოსახულება (ნორშუნთეფე [Marro 1997: ტაბ. 103_ა], პულურ-საკიოლი [Marro 1997: ტაბ. 103_ბ]), სვასტიკა (ნორშუნთეფე [Marro 1997: ტაბ. 3-p11]), სქელი წერტილები (ნორშუნთეფე [Marro 1997: ტაბ. 18_{ჯ11}], თეფეჯიქი [არრო 1997: ტაბ. 38_{ჯ22}]), დაკბილული სამკუთხედები (თეფეჯიქი [Marro 1997: ტაბ. 17_{ჯ51}]), ჯიხვი (პულურ-საკიოლი [Marro 1997: ტაბ. 104_ბ]). მონოქრომული მოხატულობა ძირითადად შესრულებულია კრემისფერ ზედაპირზე ყავისფერი, შავი, ან წითელი საღებავით.

სამხრეთ კავკასიის მოხატული კერამიკა აგრეთვე გარკვეულ მსგავსებას იჩენს სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში გავრცელებულ ადრებრინჯაოს ხანის ქარაბაბას მოხატულ კერამიკასთანაც, რომელიც ძირითადად სამსათის III, ყურბან ჰუიუქის IV პერიოდის ფენებში და ჰაიაზ ჰუიუქში გვხვდება. ამ კერამიკისათვის დამახასიათებელია ყავისფერი, ან წითელი საღებავით პირის, ან ყელ-პირის დაფარვა [Abay 1997: 164] და ჭარბობს გეომეტრიული მოტივები, თუმცა ძალზე იშვიათად გვხვდება სტილიზებული ფრინველების და რქოსანი ცხოველების გამოსახულებები [Abay 1997: 168, სურ. 12]. ასევე დამახასიათებელია დაშტრიხული სამკუთხედების და დაკბილული სამკუთხედების მოტივი [Abay 1997: 165]. ე. აბაის მიხედვით, შესაბამისი პარალელური მასალის საფუძველზე, ქარაბაბას მოხატული კერამიკა თარიღდება ადრედინასტიური II პერიოდის მიწურულით და III პერიოდის დასაწყისით, რაც ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარს შეესაბამება [Abay 1997: 232].

სამხრეთ კავკასიასა და ანატოლიაში მტკვარ-არაქსულ ძეგლებზე მოპოვებული კერამიკის მოხატულობა გარკვეულ მსგავსებას აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ირანის და შუა აზიის თანადროული კერამიკის მოხატულობასთანაც იჩენს (ტაბ. VII). სვასტიკის და რქოსანი ცხოველების გამოსახულება, მაგალითად, ფართოდ არის გავრცელებული ირანის როგორც ნეოლითურ, ისე ადრებრინჯაოს (თეფე ბამპური, Sahr-i sohta) ხანის ძეგლებზე [Sajjadi 2003: სურ. 20, 26]. დაკბილული სამკუთხედებით შემკული კერამიკა გავრცელებულია შაჰრ-ი სოჰტას როგორც ენეოლითურ, ისე ადრებრინჯაოს ხანის ფენებში [Tosi 1968: სურ. 10_ა, 11_ბ, 47, 49; Tosi 1969: 25_{ა,с,д,fg}],

26_{c,f}, 28_{d,f,g}, 31_a, 33_g, 38_d], თურქმენისტანის (ტაბ. VII_{1,6}) ნეოლითური (ალტინდეფე) და ადრე-ბრინჯაოს (გეოქსიური, კარადეფე, ნამაზგა) ხანის (ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნა) ძეგლებზე [Массон, Мерперт, Мунчаев, Черныш 1982: სურ. 5_{4,7}, ტაბ. XXIII₂₀] და თეფე ბამპურის (ტაბ. VII_{7,8}) ძვ.წ. III ათასწლეულის მინურული დათარიღებულ ფენებში [Cardi 1970: სურ. 29₃₁₇, 318, სურ. 31_{51,74}, სურ. 39_{389b,400}]. ეს მოტივი ირანის ნეოლითური ეპოქის (ძვ.წ. V ათასწლეული) ძეგლებზეც (ტალ-ი ბაკუნ A) გვხვდება [ანგსდორფი, ცრონ 1942: ტაბ. 54₇]. ტალ-ი ბაკუნის კერამიკაზე საკმაოდ ხშირია სვასტიკის გამოსახულება [Langsdorff, McCown 1942: ტაბ. 5_{9,10}; 6₁₇; 7₁; 36₁₁; 44₇, 74₁]. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი ჭურჭლის ყელ-პირი შეღებილია ყავისფრად, ხოლო მუცელზე ჰორიზონტალური სარტყლებია გავლებული [Langsdorff, McCown 1942: ტაბ. 2_{1,2}; 3_{8,9}; 4₁]. ტალ-ი ბაკუნის კერამიკაზე ხშირია ჯიხვის [Langsdorff, McCown 1942: ტაბ. 4_{1,4}; 30₇; 69₁₅₋₁₈; 70₁₋₆] გამოსახულება. გვხვდება ნერტილების რიგიც [Langsdorff, McCown 1942: ტაბ. 43-4; 54_{10,15}].

შენგავითმი აღმოჩენილი ჯამი (ტაბ. IX₂), რომლის შიდაპირია მოხატული, მსგავსებას იჩენს პულურ-საკიოლში (ტაბ. IX₁) აღმოჩენილ ჯამთან [Koşay 1976: სურ. 79]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ანატოლიის ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლებზეც ჯამების შიდაპირის მოხატვა საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. ამ ტიპის კერამიკა მრავლად გვხვდება როგორც ნეოლითური ეპოქის (ტაბ. IX₃₋₈) ძეგლებზე მესოპოტამიიდან [Goff 1963: სურ. 32₄₁], ასევე ირანში, მაგალითად, შაჰრ-ი სოჰტას (ტაბ. IX, 9₁₁) ნამოსახლარზე [Sajjadi 2003: სურ. 26]. ამდენად, ორნამენტული მოტივები, რომელიც ერთეულობით გვხვდება სამხრეთ კავკასიის და ანატოლიის ადრე-ბრინჯაოს ეპოქის მოხატულ კერამიკაზე საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ირანის და შუა აზიის ძეგლებზე ნეოლითურ და ადრე-ბრინჯაოს ხანის კერამიკაზე.

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მოპოვებულ ათიათასობით შავად გამომწვარ მტკვარ-არაქსულ ჭურჭლებს შორის მხოლოდ რამდენიმე ათეული მოხატული ჭურჭელია დაფიქსირებული. აღსანიშნავია, რომ მოხატულობა არ არის დამახასიათებელი ხირბეთ-კერაქის კერამიკისათვის. მხოლოდ ერთი ეგზემპლარია დადასტურებული ბეთ-იერახიდან (ინფორმაცია მოგვანოდა ტელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორმა რ.

გრინბერგმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ). ჩვენთვის უცნობია მოხატული კერამიკა აზერბაიჯანის და ირანის მტკვარ-არაქსულ ძეგლებზე. სომხეთიდანაც მხოლოდ ერთი ეგზემპლარია ცნობილი. სამხრეთ კავკასიისა და თურქეთის ადრე-ბრინჯაოს ხანის მოხატულობაში სჭარბობს ის მოტივები, რომლებიც მტკვარ-არაქსის კულტურის შავპირი კერამიკაზე რელიეფურად არის მოცემული, ან ამოკანრულია (ფრინველი, ჯიხვი, დაშტრიხული სამკუთხედები). ამ გამოსახულებებში დაცულია გარკვეული კანონიკური წესი, რაც მათ ღრმა საკრალურობაზე უნდა მიუთითებდეს. ამდენად, მტკვარ-არაქსის კულტურის მოხატულობა ავთენტურია და სხვა არქეოლოგიურ კულტურებს არ ახასიათებს. ხოლო ის ფაქტი, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე მოხატული კერამიკა იშვიათია, მიუთითებს იმაზე, რომ კერამიკის მოხატვის ტექნიკა სამხრეთული კულტურების გავლენის შედეგია, ოღონდ ამ უკანასკნელისაგან აღებულია მხოლოდ ტექნიკა და არა სტილი.

PAINTED POTTERY OF THE KURA-ARAXES CULTURE FROM THE SOUTH CAUCASUS
Summary

Painted pottery in the South Caucasus appears from the Neolithic period. Several fragments of the painted vessels of Halaf style were discovered in Armenia: Aratashen, Teghuta and Azerbaijan: Kúl-Tepe I, Kamil-Tepe, Shakh-Tepe and Polutepe settlements, which, dated from the 6th – 4th millenniums B.C. There are not discovered any decorated vessels of the Neolithic Age on the Georgian territory yet.

After a long interval, the fragments of the painted ceramics appear on the sites of the Kura-Araxes culture of the South Caucasus. Painted pottery of the Kura-Araxes culture began to spread since the first half of the 3rd millennium B.C. The most ancient sites, where the examples of painted ceramics are revealed, are layer C1 of Kvatskhelebi and Ozni. Both sites are dated from the 4th-3rd millenniums. Here we find a drawing only on one type of ceramics – a high-necked three-lug vessel, the neck of which is painted in red and the bowl is surrounded with a black band. Some fragments of the painted ceramics appear in the “Cyclopean settlement” excavated in Beshtasheni, Trialeti, in 1936-1940. B. Kuftin divided the pottery from the Beshtasheni Kura-Araxian settlement into three chronological groups according to layers. The pottery from the Beshtasheni settlement, regarded by B. Kuftin as an early complex, is identical with pots excavated in Arslantepe VI B1 together with Uruk ceramics, and also with pottery found in Armenia, at Gegharot and Horom. Layers with similar ceramic content in Armenia are dated from the late 4th and early 3rd millennia BC. Pottery similar to Beshtasheni from Gegharot comes from layer dated by C14 analysis from 3100-2700 BC, while the vessels from Horom date from 3350-3050 BC and 3371-3136 BC. According to traditional chronology, Arslantepe VI B is contemporary with Jemdet-Nasr/Early Dynastcal period I and dated from 3100-2800 BC.

Pottery of the second chronological group from Beshtasheni noted by B. Kuftin has parallels in settlements in Shida Kartli and dated from the 1st half of 3rd millennia.

The third chronological group consists of pottery fragments found in the same area of the settlement, in its upper layers. B. Kuftin brought together fragments of black burnished pottery with sophisticated engraved ornament and painted ceramics. Painted fragments of the third chronological group from Beshtasheni, also painted pottery from Kvatskhelebi B, Gudabertka and Kvemo Aranisi, dated from the middle and the second half of the 3rd millennia, resemble the painted vessels found in Malatya and Keban regions (Norşuntepe, Arslantepe, Tepecik, Pulur-Sakyol). Painted vessels recorded at Arslantepe VI C and at Norşuntepe XXI-XVIII are dated from the first half and the middle of the 3rd millennia BC. Stratum VIII at Pulir containing analogous pottery is dated from 2470+ BC by C14 analysis.

Decorated ceramics of the South Caucasus has a certain similarity to Early Bronze Age Karababa painted ceramics, spread in the South-Eastern Anatolia, which basically we find in the layers of Samsat III, Kurban Höyük IV period and Hayaz Höyük. According to E. Abay, on the basis of relevant parallel material, painted pottery from Karababa is dated from the end of the 2nd early dynastic period and the beginning of the 3rd period, which corresponds to the first half of the 3rd millennium B.C.

Drawing on the ceramics discovered on the sites of the Kura-Araxes cultures in the South Caucasus and Anatolia shows a certain similarity to the drawing on the ceramics of the same period of the Eastern Iran and Central Asia (Tepe Bampur, Shahr-i Sokhta, Karadepe, Namazga). Thus, the ornamental motifs found in paucity on the ceramics of the early Bronze Age of the South Caucasus and Anatolia are widely spread on the ceramics of the Neolithic Age and the early Bronze Age of Iran and Central Asia.

Among the thousands black burnished vessels discovered on the territory of the South Caucasus, only dozens of painted ones are recorded. We are not aware of the painted pottery from the sites of the Kura-Araxes culture of Azerbaijan and Iran. Only one example is known from Armenia and Israel. On the drawings of the early Bronze Age of the South Caucasus and Turkey prevail the motifs, which are expressed as reliefs or are scratched out on the black-polished ceramics of the Kura-Araxes culture (bird, ibex, hatched triangles). These images preserve a certain canonic rule, which indicates to their deep sacral significance. Therefore, drawing of the Kura-Araxes culture is authentic and is not familiar to other archeological cultures. The fact that the decorated ceramics on the sites of the Kura-Araxes culture is rare indicates, that the technique of drawing of the ceramics is a result of influence of the southern cultures,

but only technique is taken from the later and not the style.

We believe that, the ornamental motifs and the technique of drawing, which appeared in the 1st half of the 3rd millennium B.C. on the sites of the Kura-Araxes culture, far earlier were typical for the Neolithic sites of Iran. This tradition of drawing in Iran did not stop also in the early Bronze Age. Taking into account that the sites of the Kura-Araxes culture are spread on a wide geographic area, we can assume that the tradition of drawing the ceramics was spread from Iran to Anatolia and from Anatolia to the South Caucasus

ლიტერატურა

- გოგოჭური გ., ორჯონიკიძე ალ. 2010:** თისელი სერის მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარი და სამაროვანი. – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში. თბილისი, 110-132.
- მირცხულავა გ. 2010:** მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემები. თბილისი.
- ორჯონიკიძე ა. 1983:** სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში. თბილისი.
- ღლონტი მ. 1985:** არაგვის ხეობის მოხატული ჭურჭელი. – არქეოლოგიური ძიებანი. ახალგაზრდა მეცნიერთა IV და V სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი, 17-19.
- ღლონტი მ. 2006:** რელიეფურორნამენტისანი ჭურჭელი არაგვის ხეობიდან. – ძიებანი, № 17-18, 51-61.
- შანშაშვილი ნ. 2010:** მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები თრიალეთიდან. – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში. თბილისი, 142-184.
- ჯავახიშვილი ალ., ღლონტი ლ. 1962:** ურბნისი I. თბილისი.
- Алмамедов Х. 2008:** Крашенная и расписная керамика Азербайджана эпохи энеолита. – Автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата исторических наук. Баку.
- Бадалян Р., Аветисян П., Ломбард П., Шатенъ К. 2004:** Неолитическое поселение Араташен. – Археология, этнология, фольклористика Кавказа. Тбилиси, 31-33.
- Жоржикашвили Л., Гогодзе Э. 1974:** Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тбилиси.
- Куфтин Б. 1941:** Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.
- Кушнарёва К., Чубинишвили Т. 1970:** Древние культуры Южного Кавказа. Ленинград.
- Массон В., Мерперт Н., Мунчаев Р., Черныш Е. 1982:** Энеолит СССР. Москва.
- Станкевич И. 1978:** Керамика Южной Туркмении и Ирана в Бронзовом веке. – Древность и средневековые народов Средней Азии (Ред. Б. Гафуров, Б. Литвинский), Москва, 17-31.
- Ханзадян Э. 1969:** Гарни IV. Результаты раскопок 1949-1966 гг. (на арм. яз.). Ереван.
- Abay E. 1997:** Die Keramik der Frühbronzezeit in Anatolien mit "syrischen Affinitäten". Münster.
- Badaljan R., Edens Ch., Gorny R., Kohl Ph. 1993:** Preliminary report on the 1992 excavation at Horom, Armenia. – Iran, #31, 1-24.
- Badaljan R., Kohl Ph., Stronach D., Tonikjan A. 1994:** Preliminary report on the 1993 excavation at Horom, Armenia. – Iran #32, 1-29.
- Cardi B. 1970:** Excavations at Bampur, a third millennium settlement in Persian Baluchistan, 1966, vol. 51, part.3. Anthropological papers of the American Museum of Natural History, New York.
- Conti A.M., Persiani C. 1993:** When worlds collide: cultural development in Eastern Anatolia in the Early Bronze Age. In: M. Frangipane, H. Hauptmann, M. Liverani, P. Matthiae, M. Mellink (eds.), Between the Rivers and over the Mountains, Rome, 361-413.
- Goff B. 1963:** Symbols of Prehistoric Mesopotamia. New Haven-London.

Hauptmann H., 1972: Die Grabungen auf dem Norsun-Tepe, 1970. – Keban Project 1970, Ankara, 103-117.

Koşey H.Z. 1976: Pulur excavation 1968-1970, Keban Project. Ankara.

Langsdorff A., McCown D.E. 1942: Tall-i-Bakun A. Season of 1932. Chicago, Illinois.

Marro C. 1997: La culture du haut-Euphrate au bronze ancien: essai d'interprétation à partir de la céramique peinte de Keban (Turquie). Istanbul.

Palumbi G. 2007: A Preliminary analysis on the prehistoric pottery from Aratashen (Armenia). – Les cultures du Caucase (VI-IIIème Millénaires av. n. è.). Leurs relation avec le Proche-Orient. Paris, 63-76.

Sajjadi S.M.S. 2003: Excavation at Shahr-I Sokhta. – Iran XLI, 21-97.

Smith A.T., Badalyan R., Avetisyan P., Zardaryan M. 2004: Early complex societies in Southern Caucasia: a preliminary report on the 2002 investigations by project ArAGATs on the Tsakahovit Plain, Republic of Armenia. – AJA, 108, 1-41.

Tosi M. 1968: Excavations at Shahr-I Sokhta, a chalcolithic settlement in the Iranian Sistan. Preliminary report on the first campaign, October-december 1967. – East and West, vol. 18, 1/2, 9-66.

Tosi M. 1969: Excavations at Shahr-I Sokhta. Preliminary report on the second campaign, September-december 1968. – East and West, vol. 19, 3/4, 283-386.

ტაბულაჰის აღწერა

ტაბ. I – 1. ქვაცხელები B (ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: ტაბ. IV₁₅₄ მიხედვით); 2. ქვაცხელები C (ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: ტაბ. IV₄₀₈ მიხედვით); 3. ქვაცხელები B (ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: ტაბ. IV₁₃₆ მიხედვით).

ტაბ. II – 1. ქვემო არანისი (ინვ. № 09-XIX-76-125); 2. ქვაცხელები B (ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: ტაბ. IV₂₄₁ მიხედვით); 3. ქვემო არანისი (ინვ. № 09-XIX-75-103).

ტაბ. III – 1. ოზნი (Жоржикашвили, Гогодзе 1974: ტაბ. 30₁₃₇ მიხედვით); 2. ქვემო არანისი (ინვ. № 09-XIX-76-75); 3. ქვემო არანისი (ინვ. № 09-XIX-76-297).

ტაბ. IV – 1, 2. შენგავითი (Ханзадян 1969: სურ. 104 მიხედვით); 3, 4. გუდაბერტყა; 5, 6. ქვაცხელები B (ინვ. № 15-55:1258).

ტაბ. V – 1. ქვემო არანისი (ინვ. № 09-XIX-83-43); 2. ქვემო არანისი (ლონტი 1985: 20, სურ. 6 მიხედვით); 3. ბეშთაშენი (Куфтин 1941: ტაბ. CXXI მიხედვით); 4. ქვაცხელები C (ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: ტაბ. XXXII₃ მიხედვით); 5. ქვაცხელები B (ინვ. № 15-55:923); 6. ავრანლო (შანშაშვილი 2010: ტაბ. VII₄₃); 7. ბეშთაშენი (ინვ. № 43-68:30); 8. ბეშთაშენი (Куфтин 1941: ტაბ. CXXI მიხედვით); 9. ქვაცხელები B (ინვ. № 15-55:1258); 10. ბეშთაშენი (Куфтин 1941: ტაბ. CXXI მიხედვით); 11. ქვემო არანისი (ლონტი 2006: ტაბ. II); 12. ქვემო არანისი (ინვ. № 09-XIX-76-87); 13,14. ქვემო არანისი (ლონტი 1985: 18, სურ. 12 მიხედვით).

ტაბ. VI – 1-3. თისელი სერი (გოგოჭური, ორჯონიკიძე 2010: ტაბ. IV₉₋₁₁); 4. კიროვაკანი (Ханзадян 1969: სურ. 77 მიხედვით); 5. არევიკი (Ханзадян 1969: სურ. 75 მიხედვით); 6. ქვაცხელები (ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: ტაბ. IV_{136b} მიხედვით); 7. ორხევი (მირცხულავა 2010: ტაბ. 25₁).

ტაბ. VII – 1, 2. გეოქსიური (Массон и др. 1982: ტაბ. XXII_{40,41} მიხედვით); 3. კარადეფე (Массон и др. 1982: ტაბ. XXI₃₁ მიხედვით); 4, 6. გეოქსიური (Массон и др. 1982: ტაბ. XXII_{45,46} მიხედვით); 5. ალტინდეფე (Массон и др. 1982: ტაბ. XXIII₂₀ მიხედვით); 7,8. თეფე ბამპური (Станкевич 1978: სურ. 12_{137B}, სურ. 11_{102A} მიხედვით).

ტაბ. VIII – 1. ნორშუნთეფე (Marro 1997: ტაბ. 104₁); 2. პულურ-საკიოლი (Koşey 1976: ტაბ. 87 მიხედვით); 3. პულურ-საკიოლი (Koşey 1976: ტაბ. 85₅₁ მიხედვით); 4. პულურ-საკიოლი (Marro 1997: ტაბ. 108₁); 5. შენგავითი (Кушнарёва, Чубинишвили 1970: სურ. 25₁₂ მიხედვით); 6. თეფეჯიქი (Marro 1997: ტაბ. 17_{p51v1}); 7. ნორშუნთეფე (Hauptmann 1972: ტაბ. 50₁ მიხედვით); 8. თეფეჯიქი (Marro 1997: ტაბ. 17_{p51v2}); 9. თეფეჯიქი (Marro 1997: ტაბ. 34); 10. ნორშუნთეფე (Marro 1997: ტაბ. 41_{v3}); 11. პულურ-საკიოლი (Koşey 1976: ტაბ. 87₁₁₈ მიხედვით); 12. პულურ-საკიოლი (Koşey 1976: ტაბ. 86₈₂ მიხედვით); 13. პულურ-საკიოლი (Koşey 1976: ტაბ. 86₁₁₀ მიხედვით).

ტაბ. IX – 1. პულურ-საკიოლი (Koşey 1976: ტაბ. 79 მიხედვით); 2. შენგავითი (Ханзадян 1969: სურ. 104 მიხედვით); 3-8. სამარა, მესოპოტამია (Goff B. 1963: სურ. 32,34-36, 40,41 მიხედვით); 9-11. შაჰრ-ი სოჰტა (Sajjadi 2003: სურ. 26 მიხედვით).

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – 1. Kvatskhelebi B; 2. Kvatskhelebi C; 3. Kvatskhelebi B.

Pl. II – 1. Kvemo Aranisi; 2. Kvatskhelebi B; 3. Kvemo Aranisi.

Pl. III – 1. Ozni; 2. Kvemo Aranisi; 3. Kvemo Aranisi.

Pl. IV – 1, 2. Shengavit; 3, 4. Gudabertqa; 5, 6. Kvatskhelebi B.

Pl. V – 1. Kvemo Aranisi; 2. Kvemo Aranisi; 3. Beshtasheni; 4. Kvatskhelebi C; 5. Kvatskhelebi B; 6. Avranlo; 7. Beshtasheni; 8. Beshtasheni; 9. Kvatskhelebi B; 10. Beshtasheni; 11. Kvemo Aranisi; 12. Kvemo Aranisi; 13,14. Kvemo Aranisi.


Pl. VI – 1-3. Tiseli Seri; 4. Kirovakan; 5. Arevik; 6. Kvatskhelebi B; 7. Orkhevi.

Pl. VII – 1, 2. Geoksiur; 3. Karadepe; 4, 6. Geoksiur; 5. Altindepe; 7,8. Tepe Bampur.

Pl. VIII – 1. Norşuntepe; 2. Pulus-Sakyol; 3. Pulus-Sakyol; 4. Pulus-Sakyol; 5. Shengavit; 6. Tepecik; 7. Norsuntepe; 8. Tepecik; 9. Tepecik; 10. Norşuntepe; 11. Pulus-Sakyol; 12. Pulus-Sakyol; 13. Pulus-Sakyol.



Pl. X – 1. Pulus-Sakyol; 2. Shengavit; 3-8. Samara, Mesopotamia; 9-11. Shahr-i Sokhta.

გაბ. I





1

0 2 4 6




2

0 2 4 6





3





0 4 8 12



ტაბ. II



1







2

0 3 6 9


3

0 2 4 6


ცაბ. III





2




3




ტაბ. IV




2




3



4




5




6

გაბ. V




1

0 2 4 6




2


0 2 4 6




3




4




5




6




7




8



9




10




11


0 4 8 12



12




13




14


ცაბ. VI




1




2




3



4



5




6




7



ტაბ. VII



1



2




3



4




5



6



7



8

ტაბ. VIII



1




2




3




4




5




6




7




8




9



10



11



12




13

ტაბ. IX



1




2



3



4



5



6



7



8



9



10



11



კომბინირებული იარაღი სოფ. ჟებოტიდან

გვიანმეტყვარარქსულ ხანაში ძველ აღმოსავლურ სამყაროსთან კავშირურთიერთობის გაძლიერებას ამიერკავკასიაში მეტალურგიის აღმავლობა, ლითონის საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების იარაღის მთელი რიგი ახალი ტიპების გაჩენა მოჰყვა [ჯაფარიძე 1991: 125]. მათ შორის აღსანიშნავია დარიშხანიანი ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ყუახვრელიანი კომბინირებული იარაღი – ცულ-ნერაქვი და ცულ-ერო. პირველს საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე ვხვდებით, მეორე კი მხოლოდ სომხეთიდანაა ცნობილი. ზომებში არსებული სხვაობის მიუხედავად, სამხრეთ კავკასიური ცულ-ნერაქვები აგებულია მეტნაკლებად ერთმანეთის მსგავსია: მსხვილი, მრგვალი ან ოვალური სატარე ნახვრეტის ერთ მხარეს შედარებით გრძელი ცულისპირია მოქცეული, მეორეზე კი – წვერისაკენ შევიწროვებული, მოკლე სამუშაო ნისკარტი. ტარის უკეთ დაგების მიზნით სატარე ნახვრეტი წინიდან უფრო ფართოა, ვიდრე შიდა მხრიდან. უმეტესობას ტანი გარეთ ოდნავ გამობურცული აქვს, შიგნით – შედრეკილი [კორიძე 1958:135].

ცულ-ნერაქვი ფართოდ იყო გავრცელებული როგორც წინა აზიაში, ისე ევროპის ტერიტორიაზე [ჯაფარიძე 1955:102]. აღსანიშნავია, რომ ამ იარაღის თითქმის ნახევარს ადრებრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიური ცალები შეადგენს [მარტიროსიანი, მნაცაკანია 1973:124].

საქართველოში ცულ-ნერაქვი 1912 წელს ნაპოვნი იყო თიანეთის რაიონში, სოფ. სიმონიანთხევში; მეორე – 1949 წელს აღმოჩნდა დმანისის რაიონში, მდინარე ფინეზაურის მარჯვენა შენაკადის შესართავთან. უცნობი წარმომავლობის კიდევ ერთი ამგვარი იარაღია დაცული საქართველოს ეროვნულ მუზეუმში [კორიძე 1958:135]. უფრო დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი იგი სომხეთის ტერიტორიაზე. არაერთი ცულ-ნერაქვი იყო ერევნის მახლობლად 1967 წელს ნაპოვნი განძში, რომელშიც ამას გარდა აღმოჩნდა ყუახვრელიანი და ბრტყელი ცულებიც [მარტიროსიანი, მნაცაკანია 1973:123]. 1934 წელს, აქვე, ალავერდშიც იქნა ნაპოვნი ერთი ცულ-ნერაქვი

[მარტიროსიანი, 1964:32].

სამხრეთ კავკასიაში ამგვარი იარაღის გაჩენამ იმთავითვე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. გამოითქვა არაერთი მოსაზრება მისი დანიშნულებისა და წარმომავლობის შესახებ. უმრავლესობა მას წინააზიიდან გავრცელებულად თვლის. სწორედ აქედან ივარაუდება მისი გამოჩენა აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიის გავლით. [კუფტინ 1944:301]

არც იმას გამორიცხავენ, რომ ამიერკავკასიური და საერთოდ, ძველ აღმოსავლური ცულ-ნერაქვები ერთდროულად ჩამოყალიბდა ორ სანარმოო ცენტრში – ტიგროს-ევფრატისა და მტკვარ-არაქსის ორმდინარეთში [მარტიროსიანი, მნაცაკანია 1973: 125].

თავის დროზე, ბ. კუფტინი დასაშვებად მიიჩნევდა საქართველოსა და სომხეთში აღმოჩენილი ამ იარაღის გამოყენებას სამთამადნო სამუშოებისთვის [კუფტინ 1944: 401]. დ. ქორიძეც თვლიდა, რომ ამ იარაღის გამოყენება შესაძლებელი იყო როგორც სპილენძის მადნის მოსაპოვებლად, ისე ფართო სამეურნეო საქმიანობაში. კავკასიის, უკრაინისა და უნგრეთის კომბინირებულ იარაღს იგი განასხვავებდა წინააზიურისაგან – აქადურისა (ნარამსინის სტელაზე გამოსახულის) და თეფე-გავრას საბრძოლო იარაღისაგან და მათ სამეურნეო დანიშნულებაზე მიუთითებდა [კორიძე 1958: 136]. ა. მარტიროსიანი, შემდეგ – ს. ესაიანიც ალავერდის ცულ-ნერაქვში შემტევი იარაღს ხედავდნენ [მარტიროსიანი, 1964: 32; ესაიანი 1966: 32]. ზოგი, საქართველოსა და სომხეთში აღმოჩენილი ცულ-ნერაქვების მსგავსების საფუძველზე, ყველა ამ იარაღს ერთი – ალავერდის სპილენძის სამთამადნო ცენტრიდან გამოსულად თვლის [მარტიროსიანი, 1964: 33]. თუმცა უნდა ითქვას, რომ სპილენძის მადნით მდიდარ დმანისშიც, სადაც ცულ-ნერაქვია აღმოჩენილი, შესაძლოა არსებულიყო საკუთარი სანარმოო ცენტრი. ამიტომ ეგებ მართებული იყოს მოსაზრება, რომ აუცილებელი არ არის ეს იარაღი მაინდამაინც სამთამადნო წარმოებას დაუკავშირდეს, მას ფართო სამეურნეო საქმიანობაში უნდა ჰქონოდა გამოყენება [ჯაფარიძე 1976:131; კორიძე 1958:135]. მით უფრო, რომ იგი

ცნობილია სასარგებლო წიაღისეულით ღარიბ თიანეთის რაიონშიც, სადაც ბოლო ხანებში სპოლენდის კიდევ ერთი კომბინირებული იარაღი აღმოჩნდა. ესაა, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული (№ 13-2003:1) სოფ. ყებოტაში 2003 წელს შემთხვევით აღმოჩენილი 17,7 სმ სიგრძის საბრძოლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მასიური იარაღი – ცულ-ერო [ღამბაშიძე და სხვ. 2010: 501; [Орджоникидзе 2011: 193-194].

ცულ-წერაქვის მსგავსად მასაც აქვს ოდნავ გამოდრეკილი, შიდა მხარეს კი შეზნექილი, მოგრძო ცულისპირი. სწორტანიანი მოკლე ერო პირისაკენ რამდენადმე გაფართოებულია. მსხვილსატარეზე დატანილი მრგვალი ნახვრეტი წინა მხარეს აქაც უფრო ფართოა, ვიდრე შიდა მხარეს (ტაბ. I.)

სოფ. ყებოტის ამ აღმოჩენამდე ამიერკავკასიაში ცნობილი იყო ადრებრინჯაოს ხანის მხოლოდ ერთი ამგვარი კომბინირებული იარაღი გუმბრის მუზეუმიდან. იგი ახლო დგას ჩვენს ეგზემპლართან იმ განსხვავებით, რომ აქვს შედარებით ვიწრო და ბლაგვი ეროსპირი. სატარე ამ იარაღს ორ თანაბარ ნაწილად ყოფს [Мартиросян, 1964:32].

ცულ-წერაქვისაგან განსხვავებით მან კავკასიაში სათანადო გავრცელება ვერ ჰპოვა. ერთი ამგვარი იარაღია ცნობილი მაიკოპის ყორღანიდან, აღმოჩენილი წინააზიური წარმომავლობის მქონე თანმხლებ ინვენტართან ერთად [Мунчаев 1975: 401]. სამაგიეროდ, ფართოდაა იგი გავრცელებული წინააზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე. მიჩნეულია, რომ ამგვარი იარაღი შეიქმნა ძველი შუმერული ცულის ფორმების კომბინაციით [Чайлд 1952: 213] და ძირითადად საომარი დანიშნულებისა იყო, რომელსაც შინაც საკმაოდ ეფექტური გამოყენება უნდა ჰქონოდა [ჯაფარიძე 1955: 102].

ფართო არეალზე გავრცელებული ეს იარაღი სხვადასხვა ვარიანტითაა წარმოდგენილი. სოფ. ყებოტის ცალს შეიძლება დავუახლოვოთ აღმოსავლეთ ევროპის, განსაკუთრებით კი ტრიპოლიეს კულტურის რამდენიმე იარაღი გოროდნიცადან და ბრადიდან მიუხედავად იმისა, რომ მათ ჩვენი ცულ-ეროსაგან განსხვავებით, ცულისა და ეროს პირი თითქმის ორჯერ გვერდზე მკვეთრი ნიბოცაა გამოყვანილი [Рындина 1971: рис. 29].

უფრო მეტ სხვაობას ავლენს უნგრეთის იარაღი მილისებრი სატარით [Чайлд 1952: рис. 53].

რამდენიმე ცულ-ერო ცნობილია კრეტიდანაც. ერთ მათგანს გ. ჩაილდი შუმერული ცულის ორი ტიპის კომბინაციად მიიჩნევდა [Чайлд 1952: 58]. საერთოდ კი კრეტული იარაღი საგრძნობლად განსხვავდება ჩვენი ეგზემპლარისაგან. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა კომბინირებული იარაღის ის ფორმა, რომელსაც ცულის პირის ბოლოს, შიდა მხრიდან შემადლება გააჩნია, [Чайлд 1952: 57, рис. 11₄]. მსგავსად ტროაში აღმოჩენილი ვინროპირიანი ცალი-სა [Чайлд 1952: рис. 21₄]. გარკვეული მსგავსება შეიძლება დავინახოთ ავილოვასა და ჩერნიხის მიერ ანატოლიური ლითონის იარაღის შესწავლისადმი მიძღვნილი სტატიის კრებით ტაბულაზე გამოსახულ ზოგიერთ ცულ-ეროსთანაც [Авилова, Черных 1989:49, рис. 3]. თუმცა, მათი უმეტესობა ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენი ცალისაგან.

მაიკოპის ყორღანის ცულ-ეროც რამდენადმე უახლოვდება ყებოტის იარაღს, მაგრამ მაინც განსხვავებულია მისგან პროპორციებით და მილისებრი სატარით [Мунчаев 1975:218], რითაც იგი ემსგავსება კრეტა-მინოსურ ცალებს. ამ სიახლოვის გამო ბ. კუფტინმა მაიკოპის ცულ-ერო დაუკავშირა ჯერ შუამინოსურ [Куфтин 1944: 302], მოგვიანებით კი ადრემინოსურ ეპოქას [Куфтин 1949: 309]. იგი თვლიდა, რომ ამგვარი იარაღის ჩამოყალიბების კერა უნდა ყოფილიყო წინა აზია, სადაც გვხვდება ორივე – გრძივი და განივი ტიპი შუმერული ყუახვრელიანი ცულისა, რომელთაგან მეორეს სრულიად არ იცნობდა არც ეგეოსური სამყარო და არც დუნაისპირეთი. მიუხედავად იმისა, რომ მესოპოტამიისათვის საკუთრივ კომბინირებული იარაღი უცნობია, ხოლო ირანსა და დუნაისპირეთში კი იგი კარგადაა წარმოდგენილი, მისი აზრით მაჩვენებელია იმ კულტურული ნაკადებისა, რომლებიც მიემართებოდა წინააზიის მეტალურგიული კერებიდან კავკასიის გავლით აღმოსავლეთ ევროპაში – დუნაისპირეთსა და ეგეოსურ სამყაროში [Куфтин 1944: 302-303]. წინააზიურ წარმოშობისად მიიჩნევდა მაიკოპის იარაღს ა. იესენიც [Иессен 1950: 173]. გ. ჩაილდიც მაიკოპის ყორღანის ცალს მესოპოტამური წარმომავლობის მქონე ორი ფორმის კომბინაციად და იქიდან შემოტანილად თვლიდა, მსგავსად კრეტის ცულ-ეროსი [Чайлд 1952: 56]. მაიკოპისა და კრეტის ამ იარაღებს შორის არსებული ტიპოლოგიური მსგავსება რ. მუნჩაევსაც მათი ერთი ცენტრიდან – მესოპოტამიიდან გავრცელებაზე აფიქრებინებს

[Мунчаев 1975:401]. აღნიშნავენ იმასაც, რომ ნინააზიაში მაიკოპის ცულ-ეჩოს ზუსტი ანალოგი არ ჩანს ისევე, როგორც, საერთოდ, ეგეოსსა და დუნაისპირეთში [Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии 1994: 199]. არც იმას გამორიცხავენ, რომ ეს კომბინირებული იარაღი მაიკოპშივე ჩამოყალიბებულიყო, სადაც აღმოჩნდა ორივე ტიპი – ცული და თოხი (ეჩო), რომელთა კომბინაციითაც არის მიღებული ეს იარაღი [ჯაფარიძე 1976: 213]. ოთ. ჯაფარიძეს დასაშვებად მიაჩნია ამგვარი იარაღის თავდაპირველი გამოჩენა მესოპოტამიასა და ირანში, შემდგომ კი მისი გავრცელება სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ეგეოსურ სამყაროშიც [ჯაფარიძე 1976:213].

ისიც უნდა ითქვას, რომ ირანში აღმოჩენილი ზოგიერთი იარაღი, მაგალითად, თეფე-ჰისარ III ტიპისა, სწორი ცულისა და ეჩოსპირით და გრძელი მილისებრი სატარით განსხვავდება ჩვენი ეგზემპლარისაგან და თითქოს უფრო განვითარებული იერისა ჩანს [Куфтин 1944: 303]. ფორმით მასვე უახლოვდება და მისი თანადროული უნდა იყოს ასტრაბადის განძის იარაღიც, რომელიც ოქროს ჭურჭელთან, ღერომოკაუჭებულ შუბისპირთან და ორკაპა კავთან ერთად აღმოჩნდა. იგი ჰისარ III დროით, ანუ ძვ.წ.აღ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება [Массон 1964: 241-245, рис. 41]. კიდევ უფრო მოგვიანო ხანისაა მდინარე ინდის ველზე, მოხენჯო-დაროში აღმოჩენილი ცულ-ეჩო, რომელსაც ე. მაკეი მაიკოპის ცალს უდარებდა. თუმცა, იქვე აღნიშნავდა, რომ ეს იარაღი გრძელი, მილისებრი სატარით უფრო მეტად თეფე-ჰისარის ცალის მსგავსია [Маккей 1951: 94 рис. 22-4]. შუა აზიაში აღმოჩენილი ცულ-ეჩოც დაკავშირებული ჩანს აღმოსავლეთ ირანთან (ჰისარ III), ინდის ველთან და სამხრეთ ავღანეთთან [Черных 1978: 68]. ჩამოთვლილი იარაღი ჩვენ ცალთან მნიშვნელოვან ტიპოლოგიურ სხვაობას ავლენს. მოტანილი პარალელური მასალით თითქოს ისე ჩანს, რომ სოფ. ჟებოტის ცულ-ეჩოს ყველაზე მეტად გუმბრის მუზეუმის ცალი ემსგავსება. თუმცა, მისი ზუსტი ანალოგი მაინც არ ჩანს. თუ განვიხილავთ ჟებოტის კომბინირებული იარაღის შემადგენელ თითოეულ ფორმას ცალ-ცალკე, შევამჩნევთ, რომ მისი ცულისპირი უახლოვდება საქართველოს და სომხეთის ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანაში გავრცელებული ყუადაქანებული ტიპის ცულს, კარგად ცნობილს ქულბაქებიდან, იალბუზიდან, ბრდაძორიდან,

აფხაზეთის ადრეული დოლმენიდან, გუმბრიდან და სხვ. იგი ადგილობრივ, მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში ჩამოყალიბებულ ფორმადაა მიჩნეული, რომელიც ძვ.წ III ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩნდება და დროით წინ უსწრებს აქვე გავრცელებულ ბრინჯაოს ყუამილიან ცულს, რომელიც გენეტიკურად ძველ შუმერულ ყუამილიან ცულებს უკავშირდება [Куфтин 1944: 297; ჯაფარიძე 1976: 126, 129, 187].

რაც შეეხება ეჩოსპირს, მტკვარ-არაქსის კულტურის არეალისთვის იგი უცნობია. სამაგიეროდ, მის არაერთ ეგზემპლარს ვხვდებით როგორც ნინა აზიაში, ისე ჩრდილო კავკასიაში მაიკოპის კულტურის ძეგლებზე, ხშირად ძველი აღმოსავლური იერის მქონე თანმხლებ ინვენტართან ერთად. იგი ცნობილია მაიკოპის ყორღანიდან (ცულ-ეჩოსთან ერთად), გალიუგაი I ნასახლარიდან, პსეკუპსკის სამაროვნიდან და სხვა. ბოლო ხანებში მსგავსმა იარაღმა თავი იჩინა სამხრეთ საქართველოში – სამცხეშიც, ორჭოსნის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარზე [Джибладзе 2005:100].

ნინააზიური წარმომავლობის მქონე კომბინირებული იარაღის შემადგენელი ორივე ფორმის – ცულისა და ეჩოს (თოხი) არსებობა აღმოსავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე, არ უნდა გამორიცხავდეს სოფ. ჟებოტის იარაღის ადგილობრივ კულტურულ გარემოში ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

A. Orjonikidze

COMBINED TOOL FROM THE VILLAGE ZHEBOTA

Summary

In the late Kuro-Araxes period the strengthening of relationships with the ancient East world brought the rise of metallurgy and caused the appearance of new tools. One of them is the combined tool: adz-axe.

Until recent times only one tool of this type was known from Armenia. The adz-axe was discovered recently in Georgia, Tianeti municipality v. Zhebota. It is a combined, massive tool-weapon with prolonged axe and short adze. The round hole on the thick handle is wider on the outer part than on the inner one. This kind of tool is also found in the North Caucasus, in Maikop Kurgan. On the other hand, the various types of this tool are widely spread in Near East and East Europe. However, there is no exact parallel of Zhebota tool. If we discuss the separate parts of this item, we will see that its axe head is very close to the Kuro-Araxian axe with the tube-like butt, and the adz head is close to the adz found at early Bronze settlement of Orchosani. We think there is a reason to suppose that the axe-adz from Zhebota is combined on the basis of the shapes of adzes and axes found on the territory of East Georgia and the prototypes of this item should be found in the Near Eastern world.

ლიტერატურა

ღამბაშიძე ი., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი. 2010: უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში. თბილისი.

ჯაფარიძე ი. 1955: ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში. თბილისი.

ჯაფარიძე ი. 1976: ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი.

ჯაფარიძე ი. 1991: საქართველოს არქეოლოგია. თბილისი.

Авилова Л. И. Черных Е Н 1989: Малая Азия в системе металлургических провинций. – Естественно-научные методы в археологии, Москва, 31-83.

Джибладзе Л. В. 2005: Новая уникальная находка из Орджашани. – АЭФК. Баку, 100-101.

Есаян С. А. 1966: Оружие и военное дело в древней Армении. Ереван.

Иессен А. А. 1950: К хронологии "Больших кубанских курганов". – СА, XII, 157-200.

Коридзе Д. Л. 1958: Новые находки медных орудий в Квемо-Картли. – СА, 1, 134-140.

Куфтин Б. А. 1944: К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии – ССМ, XII-B, 291-440.

Куфтин Б. А. 1949: К археологии Колхиды, I. Тбилиси.

Маккей Э. 1951: Древнейшая культура долины Инда. Москва.

Мартirosян А. А. 1964: Армения в эпоху бронзы и древнего железа. Ереван.

Мартirosян А. А. Мнацакян А. О. 1973: Приереванский клад древней бронзы. – КСИА, 134, 123-127

Массон В. М. 1964: Средняя Азия и Древний восток. Москва.

Мунчаев Р. М. 1975: Кавказ на заре бронзового века. Москва.

Орджоникидзе А. З. 2011: Комбинированное оружие из села Жеботы — АЭФК. Тбилиси, 193-194

Рындина Н. В. 1971: Древнейшее металлообрабатывающее производство Восточной Европы. Москва.

Чайлд Г. 1952: У истоков европейской цивилизации. Москва.


Черных Е. Н. 1978: Металлургические провинции и периодизация эпохи раннего металла на территории СССР. – СА, 4, 53-82.

ტაგულის აღწერილობა

ტაბ. I – ლითონის კომბინირებული იარაღი თიანეთის რაიონის სოფ. ჟებოტიდან.

DESCRIPTION OF THE PLATE

Pl. I – Combined metal tool from the village Zhebota, Tianeti region.



ბადენური ყორღანები დურნუკის მიდამოებიდან

1980 წლიდან 1991 წლამდე ქვემო ქართლში მუშაობდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მარაბდა-ახალქალაქის ექსპედიცია (ხელმძღვანელი ზ. შატბერაშვილი). ექსპედიციამ სხვადასხვა პერიოდის არაერთი ძეგლი შეისწავლა, რომელთაგანაც ნაწილი გამოქვეყნებულია, ნაწილი კი არა. სწორედ ამ ნაკლის აღმოფხვრას ემსახურება წინამდებარე წერილიც, რომელსაც სხვა ძეგლების პუბლიკაციაც მოყვება.

მარნეულისა და სოფ. წინწყაროს შორის მდებარე ველზე, თეთრწყაროს რაიონში, დღევანდელი სოფლის, და დურნუკის მიმდებარე ტერიტორიაზე ექსპედიციამ შეისწავლა ადრეული ყორღანები, გვიანბრინჯაოს ხანის აკლდამა და სადგურ ცხრაძმის ტერიტორიაზე არსებული, ძვ.წ. IV-III საუკუნეების სამაროვანი. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ 1986-87 წლებში მარაბდა-ახალქალაქის ექსპედიციის მიერ გათხრილ ორ ყორღანზე. აღსანიშნავია, რომ გათხრილი ყორღანების მახლობლად, დაზვერვებისას დაფიქსირდა კიდევ 3 ყორღანი, რომლებიც გათხრილ ყორღანებთან ერთად ერთ ხაზზე, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იყო გამწკრივებული. აღნიშნული ფაქტი ყურადღებას იმითაც იქცევს, რომ მსგავს მოვლენას ვხვდებით ბედენის პლატოზეც, სადაც ადრეობრინჯაოს ხანის ყორღანები ასევე ერთ რიგად, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენაა გამწკრივებული. მნიშვნელოვანი უნდა იყოს ის, რომ დურნუკ-წინწყაროს მიდამოებსა და ბედენის პლატოზე უძველესი დროიდან გადიოდა ქვემო ქართლის თრიალეთ-ჯავახეთთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი გზა. მას დღესაც იყენებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან წამოსული მეცხვარეები, რომლებსაც თავიანთი ცხვრის ფარები საზამთრო საძოვრებიდან თრიალეთ-ჯავახეთის საზაფხულო საძოვრებზე მიჰყავთ.

დურნუკის ყორღანი № 1 (ტაბ. I) მდებარეობდა დღევანდელი სოფ. დიდი დურნუკის სამხრეთით და დღევანდელი სოფ. ხაიშის¹

სამხრეთ-აღმოსავლეთით, 1,5 კილომეტრში. იგი ქვამინაყრილიანი იყო (დიამეტრი 32 მ, სიმაღლე – 1,7 მ). ყრილი ზემოდან თითქმის მთლიანად იყო დაფარული კლდის ნაფლეთი ქვით, ქვემოთ კი ნაგორავები ქვებისა და მიწის ნარევისაგან შედგებოდა. ყორღანის ყრილის კიდეები ზედა ჯავშნის ქვეშ მხოლოდ მინაყრილისა იყო. კრატერში მოზრდილი ლოდები ეყარა. კრატერის თავზე 2,5 მეტრის სიგრძის, ტლანქად დამუშავებული ქვის მენჰირი ეგდო (ტაბ. I). ყორღანს ყრილსა და კრატერთან შეუფერებლად მცირე ზომის დასაკრძლავი კამერა (1,2-0,9 მ) ჰქონდა, რომელიც მოყვითალო-მოთეთრო ფერის თიხნარში იყო ჩაჭრილი. მიცვალებულის ძვლები ფრაგმენტულად იყო შემონახული და მისი პოზის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. სამარხის იატაკზე გამოვლინდა ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ინვენტარი:

1. ტოლჩა, შავპრიალა, ყავისფერსარჩულიანი; პირი გადაშლილია, ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი. ყური მხარსა და მუცელზეა მიძერწილი, ნაწილობრივ აღდგენილია (ტაბ. II_{3,5}).
 2. ორი შეტყუებული ტოლჩა ზიარჭურჭელი, შავპრიალა, ყავისფერსარჩულიანი; პირი გადაშლილია, ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი. ერთმანეთთან შეერთებულია წყვილი ყურით, ჭურჭლის მუცლის ნატეხზე შეიმჩნევა წვრილი ნასვრეტი, რომელიც, სავარაუდოდ სითხის გადასანაწილებელი მილის არსებობაზე მიგვანიშნებს. შემორჩენილია ფრაგმენტულად. გრაფიკულად რეკონსტრუირებულია (ტაბ. II_{1,4}).
 3. ტოლჩა, შავპრიალა, ყავისფერსარჩულიანი; შემორჩენილია გადაშლილი პირის, ცილინდრული ყელისა და სფერული მუცლის ფრაგმენტები (ტაბ. II₂).
- დასაკრძლავ კამერაში მიკვლეული მასალა

1 სოფელი გაშენდა 1988-89 წლებში და იქ სვანეთიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები დასახლდნენ.

თავისი ფორმებითა და ჭურჭლის ზედაპირის დამუშავებით ბედენური კულტურისათვისაა დამახასიათებელი. მას არაერთი პარალელი მოეძებნება ბედენის პლატოზე, თრიალეთში, ალაზნის ველსა და ბედენური კულტურის სხვა ძეგლებზე [იხ. გობეჯიშვილი 1980: 62-68; შატბერაშვილი, ნიკოლაიშვილი, შატბერაშვილი 2010: 194-207; Дедабришвили 1979: 44-47].

ამ მასალაში აღსანიშნავია შავპრიალა, ყავისფერსარჩულიანი ზიარჭურჭელი, რომელიც საქართველოში მიკვლეული ამ ტიპის ჭურჭლიდან ყველაზე მეტად ბედენის № 5 გორასამარხში, ე.წ. გადაჭრილი გორის აკლდამაში აღმოჩენილ ასეთივე ჭურჭელს [გობეჯიშვილი 1980: 75] ემსგავსება. ზიარჭურჭელი გვხვდება როგორც ადრებრინჯაოს, ისე შემდგომი პერიოდების ძეგლებზე [დანვრილებით იხ. ფხაკაძე 2002: 29-33 და იქვე მითითებული ლიტერატურა].

დურნუკის ყორღანი №2. მდებარეობდა დღევანდელი სოფ. ხაიშის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფლიდან 2 კილომეტრში. იგი ქვამინაყრილიანი იყო (დიამეტრი 29 მ, სიმაღლე – 1,4 მ). ყრილი ზემოდან თითქმის მთლიანად იყო დაფარული კლდის ნაფლეთი ქვით, სიღრმეში კი ნაგორავები ქვებისა და მიწის ნარევისაგან შედგებოდა. ყორღანს მცირე ზომის დასაკრძლავი კამერა (1,35x1 მ) ქონდა, რომელიც მოყვითალო-მოთეთრო ფერის თიხნარში იყო ჩაჭრილი და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იყო დამხრობილი. მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი. იგი წელში გამართული იყო, ფეხები შეკეცილი ქონდა, თავი კი ქვის ოდნავ შემალლებულ სასთუმალზე, დასავლეთისაკენ ედო. სამარხის იატაკზე, მიცვალებულის თავისა და ყელის არეში აღმოჩნდა:

1. სასაფეთქლე ხვია, ელექტრუმის, სპირალურად, ერთნახევარჯერ დახვეული. ლე რო მრგვალგანივკვეთიანია. ხვიის ცალი ბოლო გაბტრყელებული და გაფართოვებულია, გაფართოვებული ადგილის შუაში ოდნავ შემალლებული ქედია, რომელიც ამოკანრული წინვისებრი ორნამეტითაა შემკული. რგოლის მეორე ბოლო დანვრილებული და ოდნავ შებრტყელებულია. ნივთის წვრილი ბოლო, მრგვალი ღერო და გამსხვილებული თავი გვაფიქრებინებს, რომ ეს გველის სტილიზებული გამოსახულება უნდა იყოს. დიამეტრი- 3,9 სმ.

2. სასაფეთქლე ხვია, ელექტრუმის, ზემოთ აღწერილის იდენტური, განსხვავება ისაა, რომ ნივთი ორნამენტირებული არაა. დიამეტრი – 3,9

სმ.

3. მძივი, სადრიონის, ნაგრძელებული, გვერდდნახნაგებული, სიმაღლე 1,2 სმ.

4. იოტები, მინისებური პასტის.

როგორც ვხედავთ, ყორღანში მოპოვებული მასალა მწირია. აქ აღმოჩენილი ელექტრუმის სპირალურ ხვიებს ზუსტი პარალელი საქართველოში არგააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ ადრე და შუაბრინჯაოს კომპლექსებში არაერთი სპირალური სასაფეთქლე ხვია გვხვდება, თუმცა ისინი ბევრად მსხვილი განივკვეთისაა, მასიურია და არც თავები აქვს დაბრტყელებული. ამ მხრივ გამოირჩევა თრიალეთის XXII ყორღანში აღმოჩენილი ვერცხლის ხვია, რომელიც ხაიშის ცალებს ემსგავსება, თუმცა იგი არც ისეთი ნატიფია და არც ორნამენტირებული არაა. თრიალეთის XXII ყორღანის კომპლექსი შეიცავს შავად ნაპრიალებ, ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელ მცირე ზომის, ყურიან ჭურჭელს, ოქროს ორვოლუტიან თავიან საკინძს, ვერცხლის შემოსაკრავსა და ორ სასაფეთქლე ხვიას. იგი თრიალეთის ადრებრინჯაოს ხანის ყორღანთა ჯგუფს მიეკუთვნება [გოგაძე 1972: 31,142 ტაბ IX₈₋₁₁]. ამგვარად, პარალელური მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დურნუკის № 2 ყორღანი ადრებრინჯაოს ხანის ბედენურ კულტურას უნდა მიეკუთვნებოდეს.

დურნუკის ზემოთაღწერილი ორი ყორღანის სინქრონულობაზე უნდა მეტყველებდეს მათი კონსტრუქციული მსგავსებაც: დიამეტრი და სიმაღლე თითქმის თანაბარია, სამარხის ზომა ყორღანის პროპორციებთან შედარებით მცირეა, მსგავსია ყრილის შევსების წესიც.

KURGANS OF BEDENI CULTURE FROM DURNUKI.
Summary

In 1986-87 Marabda-Akhalkalaki expedition of the Archaeological center excavated two kurgans in Tetrtskaro district, near the village Durnuki. The double vessel from the kurgan No. 1 is very rare and interesting artifact for this period. Also rare is a one and half twisted, ornamented hair ring from the kurgan No. 2. Both kurgans belong to the Early bronze Bedeni Culture.

ლიტერატურა

გობეჯიშვილი გ. 1980 : ბედენის გორასამარხების კულტურა. თბილისი.

გოგაძე ე. 1972 : თრიალეთის ყორღანული კულტურის ქრონოლოგია და პერიოდიზაცია. თბილისი.

ფხაკაძე გ. 2002: ადრებრინჯაოს ხანის ზიარჭურჭლის დანიშნულებისა და გავრცელების შესახებ. – ძიებანი, 9, 29-33.

შატბერაშვილი ზ., ნიკოლაიშვილი ვ., შატბერაშვილი ვ. 2010: – ტყემლარას ბრინჯაოს ხანის სამარხები. – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბილისი, 194-207.

Дедабришвили Ш. 1979: Курганы Алазанской Долины. Труды Кахетинской археологической экспедиции, II. Тбилиси.

ტაბულაჰის აღწერა

ტაბ. I – 1. დურნუკის № 1 ყორღანის ყრილი, ხედი სამხრეთიდან; 2. მენჰირი № 1 ყორღანიდან; 3. დურნუკის № 1 ყორღანის ჭრილი.

ტაბ. II – დურნუკის № 1 ყორღანის კერამიკა.

ტაბ. III – 1. დურნუკის № 2 ყორღანის ყრილი, ხედი სამხრეთიდან; 2. დურნუკის № 2 ყორღანის დასაკრძალავი კამერა; 3-4. ელექტრუმის ხვიები დურნუკის № 2 ყორღანიდან; 5. სარდიონის მძივი დურნუკის № 2 ყორღანიდან.





DESCRIPTION OF THE PLATES

PL. I – 1. Durnuki kurgan No. 1, section from South; 2. Menhir from kurgan No. 1; 3. Durnuki kurgan No. 1, section.

PL. II – Pottery from Durnuki kurgan No. 1.

PL. III – 1. Durnuki kurgan No. 2, section from South; 2. Burial chamber of Durnuki kurgan No. 1; 3-4. Electrum hair-rings from Durnuki kurgan No. 2; 5. Cornelian bead from Durnuki kurgan No. 2.

ჭაბ. II



ჭაბ. III



1



2



3



4



5



სამხრეთ კავკასიის მეგალითური ძეგლების ერთი ჯგუფის შესწავლისათვის

სამხრეთ კავკასიის მეგალითური კულტურის ძეგლების შესწავლის ინტერესი XIX საუკუნეში გაჩნდა, თუმცა მათი მეცნიერული კვლევა XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო. მეგალითური ძეგლები რამდენიმე კატეგორიად იქნა დაყოფილი. მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას „ციკლოპური“ სიმაგრეები, მენჰირ-ვეშაპები და დოლმენები იქცევდა. საქართველოს მეგალითური ძეგლების შესახებ ინფორმაციები XIX ს-ის მიწურულს გაჩნდა, ინტენსიური შესწავლა კი XX ს-ის 20-30-იან წლებში მიმდინარეობდა. კვლევის შედეგები შეჯამდა ლ. მელიქსეთ-ბეგის მონოგრაფიაში, რომელიც 1938 წელს გამოიცა [მელიქსეთ-ბეგი 1938]. თუმცა შემდეგში საქართველოს მეგალითების შესახებ დიდი ხნის განმავლობაში ახალი ინფორმაცია თითქმის არ ყოფილა. გამონაკლისს წარმოადგენდა შავიზღვისპირეთში გათხრილი დოლმენები [ჯაფარიძე 1959]. სომხეთის ტერიტორიაზე არსებულ მეგალითებს პირველად გერმანელმა მოგზაურმა ა. ჰაქსტრაუზენმა მიაქცია ყურადღება. 1909 წელს გელამის მთებში მიკვლეული მენჰირების შესახებ ნ. მარისა და ი. სმირნოვის გამოკვლევა მოგვიანებით გამოქვეყნდა [Март, Смирнов 1931]. ი. მეშჩანიანოვმა კავკასიის მეგალითურ ძეგლებს სპეციალური ნაშრომები უძღვნა [Мещанинов 1926; Мещанинов 1932], რომელსაც მალე მოჰყვა ბ. პიოტროვსკის მონოგრაფია [Пiotровский 1939]. სომხეთში 60-იან წლებში ისევ აქტუალური გახდა „ციკლოპური“ სიმაგრეების კვლევა, თუმცა ფართო მასშტაბის, მიზანმიმართული არქეოლოგიური გათხრები არც მაშინ ჩატარებულა. სამხრეთ კავკასიაში არქეოლოგიურად შესწავლილ ერთადერთ ძეგლად დიდი ხნის მანძილზე „ბეშთაშენის ციკლოპური ნაქალაქარი“ (ბ. კუფტინის ტერმინი) რჩებოდა, სადაც ადრებრინჯაოს ხანიდან მოკიდებული ახ.წ. XVI საუკუნემდე ინტენსიური ცხოვრების კვალი დადასტურდა [Куптин 1941: 108-126; ნარიმანიშვილი 2012: 131]. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული მენჰირების არქეოლოგიური შესწავლა არც მელიქსეთ-ბეგის

1938 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფიის [მელიქსეთ-ბეგი 1938] შემდეგ განხორციელებულა. მენჰირების კვლევა ძირითადად ეთნოგრაფებმა განაგრძეს, რომელთა მონაცემები ა. სიხარულიძის დისერტაციაში იქნა შეჯამებული [სიხარულიძე 1970]. მოგვიანებით მ. ჩხაიძემ დაიცვა დისერტაცია მეგალითური კულტურის ძეგლებზე [ჩხაიძე 1997]. მენჰირების შესახებ 2007 წელს მცირე სტატია ჩვენც გამოვაქვეყნეთ [Нариманишвили, Шаншашвили 2007: 164-165].

ვფიქრობთ, რომ სამხრეთ კავკასიის მენჰირები დღემდე ერთ-ერთ შეუსწავლელ ძეგლებს წარმოადგენენ და მათ მიმართ ინტერესის განახლებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ფართო სამეცნიერო საზოგადოების დაინტერესების მიზნით 2012 წელს ქ. ერზერუმში წავიკითხეთ მოხსენება „Menhirs from South Caucasus“ [Narimanishvili, Shanshashvili, Narimanishvili 2012: 131]. ამავე კონფერენციაზე იყო წარმოდგენილი კიდევ ერთი მოხსენება, რომელიც ამ ტიპის ძეგლების კვლევას ეხებოდა [Gilbert, Bobokhyan 2012: 60]. როგორც გამოირკვა, ა. ბობოხიანმა 2012 წელს სომხეთის ვეშაპ//მეგალითების კვლევის ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე არსებულ მეგალითებსაც მოიცავს. ჩვენთვის ასევე საინტერესო იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამხრეთკავკასიური მონოლითების მსგავსი მენჰირი ერზერუმთან ახლოს ყოფილა აღმოჩენილი. ეს აღმოჩენა კიდევ ერთხელ მიგვითითებს, რომ ანატოლია და ჭოროხის აუზი [მელიქსეთ-ბეგი 1938: 106] მეგალითური ძეგლების გავრცელების კიდევ ერთ საინტერესო რეგიონს წარმოადგენს.

სამხრეთ კავკასიაში ვერტიკალურად მდგარი ქვების შესახებ პირველი ინფორმაცია ქართულ საისტორიო წყაროებში მოგვეპოვება. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“ თრიალეთის სამი მენჰირის (ქვაკაცი) შესახებ შეიცავს ინფორმაციას [ქართული სამართლის ძეგლები 1965: 324]. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ „... შაორის მთის თხემსა ზედა დგას ციხე დიდროვანის ლოდითა ნაშენი“ [ქართლის ცხოვრება 1973: 320]. იმის გამო, რომ ძველი

მენჭირები დიდ მონუმენტებს წარმოადგენდნენ და მათ გამოორჩეული მდებარეობა ჰქონდათ, ისინი დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდნენ მყარი აღნიშვნის წერტილად. საყურადღებოა, რომ სამხრეთ კავკასიის მთელ რიგ რეგიონებში ვერტიკალურად მდგარი ქვები კულტის ობიექტად რჩებოდა დიდი ხნის განმავლობაში. მენჭირებს გამოორჩეულ, განსაკუთრებულ ზებუნებრივ ძალას და სასწაულთმოქმედ ბუნებას მიაწერდნენ როგორც დიოფიზიტი და მონოფიზიტი ქრისტიანები, ასევე ისლამის მიმდევრები. მენჭირები დღესაც რჩებიან კულტის ობიექტებად. თუმცა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მათი თავდაპირველი ბუნების შესახებ არაფერია ცნობილი.

სამხრეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ წარმართული მენჭირის ახალი რელიგიის კულტის ობიექტად ქცევის კარგი მაგალითია თრიალეთის სოფ. თეჯისის წმ. კონსტანტინეს ეკლესია. წარმართული მონუმენტისა და ქრისტიანული ეკლესიის ეს სიმბიოზი არის ქრისტიანობის მიერ ძველი რელიგიის, როგორც ბოროტების სათავის დამხობის სიმბოლო. მ. ჩხაიძე აღნიშნავს „მიუხედავად იმისა რომ წმ. კონსტანტინეს ეკლესიის სტელა ადრე ალბათ ვეშაპს წარმოადგენდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ღვთის ტაძარშიც იმავე როლს ასრულებდა“ [ჩხაიძე 1997: 19]. ეკლესია ადრეულ შუასაუკუნეებში ჩანს აგებული. მას არაერთი გადაკეთების კვალი ამჩნევია. მის სიახლოვეს სოფ. ლიბი ყოფილა გაშენებული, რომელიც XVIII ს-ის მიწურულისათვის ქრისტიანული მოსახლეობისაგან დაცლილა. XIX საუკუნის შუა ხანებში ძველ ნასოფლარზე სარვანის ტომის მუსლიმი მოსახლეობა დასახლდა. როგორც ჩანს, ამ დროისათვის ეკლესიას კარნიზი და სახურავი აღარ ჰქონია. მეზობელი სოფლის ქრისტიან თემს, ადგილობრივი მოსახლეობის თანხმობით, ეკლესიისათვის დროებითი სახურავი გაუკეთებია. სახურავი XX ს-ის 70-იან წლებშიც შეუკეთებიათ. ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ეკლესიის აფსიდში, კანკელის ხაზზე დღესაც დგას მენჭირი, 3.85 მ. სიმაღლის ქვის მონოლითი, რომლის ფასადზე ჯვარია ამოკვეთილი (ტაბ. III₅, 7), ზურგზე – რქოსანი ცხოველის თავი, გვერდზე კი თითქოს თევზის თვალია გამოსახული [სიხარულიძე 1969: 42, სურ. 2; Сихарулидзе 1970: 11-12; ჩხაიძე 1997: 17-18]. ეკლესია არ არის

დიდი ზომის და ამდენად მენჭირის თავი ჭერს ებჯინება. ასე იქნებოდა ეკლესიის აგების დროსაც. ქვის მონოლითი იმდენად დიდია, რომ ეკლესიის კარის ღიობში (რომელსაც გადაკეთების კვალი არ ეტყობა) არ შეეტეოდა. აშკარაა, რომ ეკლესია მენჭირზეა დაშენებული. თვით მენჭირი ბაზალტის მასივში ამოღებულ ფოსოშია ჩადგმული. ეკლესიას ბაზალტის დიდი ლოდებით ნაგები „ციკლოპური“ გალავანი შემოუყვება. ახლა ძნელია მენჭირისა და გალავნის ურთიერთმიმართებაზე საუბარი, თუმცა მაინც რჩება მათი სინქრონულობის შთაბეჭდილება. ეკლესიასთან ყორღანებია გამართული. ვიზუალურად თევზის მენჭირი და მის გარშემო გამართული ყორღანები თიქმადამის მენჭირის და მის გარშემო განლაგებულ ყორღანების ჯგუფთან პოულობს მსგავსებას.

სამხრეთ კავკასიის მენჭირები, ანუ ვერტიკალურად მდგარი ქვები პირველად XIX საუკუნის მიწურულს იქნა აღწერილი, თუმცა მათი შესწავლით მეცნიერები პირველად XX საუკუნის დასაწყისში დაინტერესდნენ. 1909 წელს ნ. მარმა და ი. სმირნოვმა გელამის მთებში მიაკვლიეს და შეისწავლეს ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებით შემკული ქვები (ტაბ. I). მენჭირები განთავსებული იყო მაღალმთიან იალალებზე, რომელსაც ადგილობრივი ქურთები აჟდახაიურტს, სომხები კი ვიშაპნერს უწოდებდნენ [Марр, Смирнов 1931]. მენჭირების ნაწილს თევზის ფორმა ჰქონდა. თითქმის ყველა მათგანი შემკული იყო რელიეფური გამოსახულებებით [Пиотровский 1939: 3], რომელთა უმეტესობა რქოსანი ცხოველის, ხარის ან ცხვრის გამოსახულებას წარმოადგენდა. გამოსახულებები თავით ქვემოთაა მიმართული. ფეხები უსიცოცხლოდ არის ჩამოკიდებული, ისე, რომ იქმნება შთაბეჭდილება თითქოს ქვაზე ხარის, ან ცხვრის ტყავია ჩამოკიდებული. რამდენიმე ქვაზე ცხოველების გარდა გამოსახულია ფრინველი – ყარყატი ან წერო, გველი და ტეხილი ხაზები. შემდეგში სომხეთში კიდევ ორ პუნქტში დაფიქსირდა მენჭირი-ვეშაპები. მსგავსი ქანდაკებები აღმოჩნდა სევანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე, ასევე არაგანის მთის სამხრეთ ფერდობზე [Пиотровский 1939: 12-13]. ფანტასტიკური გამოსახულებებით შემკულ მონოლითებს სომხები ვიშაპებს (ვეშაპი) ეძახდნენ [Пиотровский 1939: 3]. ამის გამო მეცნიერთა ერთმა ნაწილმა ეს ტერმინი დაამკვიდრა გამოსახულებებით შემკული

მენჭირების აღსანიშნავად.

რელიეფური და ამოკვეთილი გამოსახულებებით შემკული მენჭირები სამხრეთ საქართველოშიც აღმოჩნდა. სოფ. მურჯახეთის ქვის ობელისკმა და სოფ. განძის მენჭირმა ჯერ კიდევ XIX ს-ში მიიქციეს მკვლევართა ყურადღება [მელიქსეთ-ბეგი 1938: 98-104, ტაბ. XLIV-XLVIII]. განძის მენჭირი (ტაბ. II_{3,4,5}) პირველად ი. როსტომაშვილმა აღწერა 1898 წელს. მისი აზრით ქვაზე თევზის ლაყურები და თვალთა გამოსახული, რომელთა ქვევით რელიეფურად წარმოდგენილია ფრინველები, ალბათ ნეროები. ლ. მელიქსეთ-ბეგი ამ დეტალების გამო მურჯახეთის და განძის მენჭირებს გელამის მთების „ვეშაპებს“ ადარებს. განძის მენჭირზე გამოსახულია თევზის თვალი, თავი და ლაყურები. ფასადზე კი ამოკვეთილია ხარის თავი და ერთმანეთის მოპირდაპირედ მდგარი ორი ფრინველი. მონოლითს თავზე ღარი დაუყვება, რის გამოც მას „პირლია თევზს“ უწოდებენ [მელიქსეთ-ბეგი 1938: 103-104; სიხარულიძე 1970; Сихарулидзе 1970: 13; ჩხაიძე 1997: 16-17]. მურჯახეთის მენჭირის სიმაღლე 2.9 მ-ია (ტაბ. II_{6,7,8}). ი. როსტომაშვილი და ე. თაყაიშვილი მენჭირს ფალოსის გამოსახულებად მიიჩნევენ. ქვის ზედაპირზე დატანილი რელიეფურ გამოსახულებასაც მეცნიერები სხადასხვაგვარად ხსნიან – ი. სმირნოვი ხარის თავისა და ფეხების გამოსახულებას ამსგავსებს, ნ. მარი და ი. მეშჩანიანოვი თევზის თვალებსა და ლაყურებს ხედავენ. ეთნოგრაფი ა. სიხარულიძე თვლის რომ ქვაზე გამოსახულია ხარის თავ-ფეხი, რომლის ორივე მხარეს ფრინველები დგანან [Сихарулидзе 1970: 13-14; სიხარულიძე 1970: 45-48]. ლ. მელიქსეთ-ბეგი ქვაზე მოცემულ გამოსახულებებს კოსმოსის სამნილადი დაყოფის აღმნიშვნელად მიიჩნევს. მისი აზრით ზედა სამყარო წარმოდგენილია ფრინველებით, შუასკნელი – ძაღლის თავით, ქვესკნელი კი ორთავიანი გველით [მელიქსეთ-ბეგი 1938: 102-103].

თანამედროვე ნალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე, სოფ. სანომერსა და შიპიაკს შორის, მინდორში იდგა მენჭირი (ტაბ. III_{3,4}), რომელსაც ბ. კუფტინი თავის დღიურში ასე აღწერს: „აღმართული ქვა თექელი-დაში სოფ. სანომერისა და სოფ. შეპიაკის (ორივე სოფელი ამჟამად წყალშია. ავტ.) კუთვნილი მინების საზღვარზე მდებარეობს... ეს ქვა თავისი სიდიდით, ფორმით და მოპირკეთებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ის

წარმოადგენს მუქი ნაცრისფერი ვულკანური ჯიშის ქვის მსიგარისებურ ბოძს, რომელიც მიწის ზედაპირიდან 1.6 მ. სიმაღლეზეა ამოზრდილი. შუა ნაწილში ქვის გარშემოწერილობა 2.4 მ-ია. ზედაპირი კარგად, მომრგვალებულადაა გათლილი, ჩრდილოეთით მიქცეული მხარე კი რამდენადმე დაბტყელებულია. ... შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიწაში ქვის დიდი ნაწილია ჩაფლული. ქვა ფორმით ვეშაპს გავს. ქვის ზედაპირზე ადგილობრივი მოსახლეობა გველის გამოსახულებას ხედავს [Куптин 1936: 48; წარმანიშვილი 2009: 38]. 1936 წელს ბ. კუფტინმა თექელი-დაშის გათხრა დაიწყო. გათხრის მიზანს დატბორვის ზონიდან ქვის ბარმაქსიზში (დღევანდელი ქ. ნალკა) გადატანა წარმოადგენდა [Куптин 1936: 48]. ბ. კუფტინმა სამუშაოები ვერ დაასრულა. მას არც კულტურული ფენა დაუფიქსირებია [წარმანიშვილი 2009: 38]. იმავე წელს მენჭირის გათხრა ლ. მელიქსეთ-ბეგმა გააგრძელა. აღმოჩნდა, რომ ქვის სიგრძე 2.85 მ-ს, დიამეტრი კი 1.15 მ-ს უდრიდა. ლ. მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს, რომ ქვა ნამდვილი თევზი აღმოჩნდა, რომელსაც დამახასიათებელი ნიშნები – ზედა ნაწილში თვალი, გვერდებზე კი ლაყურები ჰქონდა [მელიქსეთ-ბეგი 1938: 104-105, ტაბ. XLI-XLIII]. სამწუხაროდ მენჭირი დღესაც ნალკის წყალსაცავის ფსკერზეა. 1999-2001 წლებში წყალსაცავში წყლის დონემ იმდენად დაიწია, რომ გამოჩნდა ბ. კუფტინის მიერ გათხრილი და ასევე დღემდე უცნობი არქეოლოგიური ძეგლები: ნამოსახლარები, სამარხები, ყორღანები და მათთან დაკავშირებული სარიტუალო-საპროცესიო გზები. წყალსაცავის ფსკერზე ორი მენჭირი დაფიქსირდა. ერთი მათგანი XV ყორღანის სამხრეთით 0.3 კმ-ის და ნასოფლარ შიპიაკის დასავლეთით 0.1 კმ-ის დაცილებით დევს. მის სიახლოვეს რამდენიმე მცირე ყორღანი, ქვაყრილიანი და კრომლეხიანი სამარხებია გამართული (ტაბ. X₃). № 6 სამარხი კამერის სამხრეთით, კამერასა და კრომლეს შორის მენჭირი დევს (ტაბ. V₄). მისი სიგრძე 2.2 მ-ია, დიამეტრი 0.9 მ-ს უდრის [წარმანიშვილი 2009: 37]. მას სიგარის ფორმა აქვს, ზედაპირი კარგადაა გაპრიალებული, ძირიდან თავამდე ზიგზაგი დაუყვება, თავთან თვალისმაგვარი ნრეა ამოკვეთილი. ეს მენჭირი თითქოს მელიქსეთ-ბეგის და კუფტინის მიერ აღწერილ მენჭირს გავს, მაგრამ არის გარკვეული განსხვავებებიც. პირველ რიგში განსხვავებაა ზომებში. ჩვენ ვერც ლაყურის გამოსახულება ვნახეთ (მენჭირი მიწაზე

დევეს და შეიძლება გამოსახულება ქვევითაა მოქცეული). გარდა ამისა, ჩვენს მიერ ნანახი მენჭირი შიპიაკთან ძალიან ახლოსაა და ორი სოფლის საზღვარი, სადაც მელიქსეთ-ბეგისა და კუფტინის მიერ აღწერილი მენჭირი იდგა, ალბათ აქ არ გადიოდა. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენს მიერ სხვა მენჭირია ნანახი.

მეორე საინტერესო კომპლექსი, რომელიც მენჭირს შეიცავს, წყალსაცავის ჩრდილოეთ ნაწილში, სოფ. სანთას სიახლოვეს მდებარეობს. წყალსაცავის მშენებლობამდე აქ მცირე ტბა მოსუნინ-გელი მდებარეობდა. როგორც ჩანს, კომპლექსი ტბის სიახლოვეს იყო გაშენებული. კომპლექსი ხუთი ქვაყრილიანი ყორღანისაგან, ორი კრომლესისაგან, ქვაყუთებისაგან და მრავალი მცირე ზომის წრიული ქვაყრილისაგან შედგება (ტაბ. X₂). ერთ-ერთი კრომლესის ცენტრში მენჭირი დევს (ტაბ. IV₄, V₆). ბაზალტის მონოლითის სიგრძე 2.1 მ-ია, დიამეტრი 2,0 მ. ქვა ნაკლულია – მოტეხილი აქვს თავი და ძირი. კარგად გაპრიალებულ ზედაპირზე ამოკვეთილია საფეხურებიანი ნაგებობის გამოსახულება, რომლის თავზე სპირალურია დატანილი (ტაბ. IV₅). ერთ სპირალს გრძელი, სამწვერა ფეხი აქვს.

მენჭირი მდგარა თრიალეთის V ყორღანზეც [Куптин 1936: 21; ნარიმანიშვილი 2009: 37], რომელსაც ჩვენ ჯერ-ჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

თრიალეთიდან ჯავახეთისაკენ მიმავალი გზის პირას, უღელტეხილზე დგას მენჭირი (ტაბ. III_{1,2}; V₁), რომელსაც მოსახლეობა თიქმა-დაშის სახელით იცნობს. 3.5 მეტრის სიმაღლის მენჭირი ქიქიანის ობსიდიანის საბადოს ცენტრში დგას და მის გარშემო ყორღანებია გამართული. ბ. კუფტინმა აქ 1940 წელს შუა ბრინჯაოს ხანის, ბედენის და თრიალეთის კულტურების ოთხი ყორღანი გათხარა [Жоржикашвили, Гогадзе 1972: 26]. თიქმა-დაშის მენჭირზე არსებულ გამოსახულებას ზოგიერთი მეცნიერი გველს ამსგავსებს. ა. სიხარულიძემ ქვის ზედაპირის გასუფთავების შედეგად დაადგინა, რომ მონოლითზე გამოსახულია რქოსანი პირუტყვის თავი [სიხარულიძე 1969: 42-43, სურ. 3; Сихарулидзе 1970: 12]. მენჭირზე გამოსახული ხარის თავი დაზიანებულია, მაგრამ გამოსახულების აღდგენა სრულიად შესაძლებელია (ტაბ. III_{1,2}).

თრიალეთში, სოფ. ავრანლოსა და სოფ. ყიზილ-ქილისას შორის, მინდორში დგას მენჭირი (ტაბ. VIII₁), რომლის ხილული სიმაღლე 2.15 მ-ია. ქვას ოდნავ შესამჩნევი ანთროპომორფული

იერი აქვს, რაც გვიანდელი ნამოქმედარი უნდა იყოს.

თრიალეთშივე, სოფ. თეჯისის წმ. კონსტანტინეს ეკლესიაში დგას 3.85 მეტრის სიმაღლის მენჭირი (ტაბ. III_{5,6,7}), რომელზეც გვიან ხანაში ჯვარია გამოსახული (იხ. ზევით). რუხი ფერის ბაზალტის მონოლითისაგან დამზადებული მენჭირი აბსიდის წინ, ჩრდილოეთ კედელთან დგას. ეკლესიას ბაზალტის დიდი ქვებით შედგენილი, მშრალი წყობის გალავანი შემოუყვება, რომელსაც ორი შესასვლელი აქვს.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მენჭირი წაგრძელებული ცილინდრის ფორმისაა, რომელსაც თავი მომრგვალებული აქვს, ძირთან ყველა მათგანი ოდნავ დაკუთხულია, ზევით კი თანდათან ვიწროვდება. სამხრეთ კავკასიაში სხვა ტიპის, მართკუთხა ფორმის მენჭირებიც გვხვდება (ტაბ. II). ქვის ამ მონოლითებს აქვთ ბრტყელი ზედაპირი, რომელზეც ფანტასტიკური ცხოველია გამოსახული. ერთი ასეთი მენჭირი არც თუ ისე დიდი ხნის წინ თრიალეთში აღმოჩნდა (ტაბ. IV_{8,9}). ის სოფ. რეხას სამხრეთით, ეკლესიის ეზოში დევს [ვაჩიშვილი 2003: 30-33, სურ. 1-2]. ქვის სიგრძე 3.2 მ-ია, სიგანე 1.55 მ-ს, სისქე კი 0.42 მ-ს უდრის. მისი ერთი მხარე ოდნავ შევიწროვებულია. როგორც ჩანს, მენჭირის ეს ნაწილი მიწაში იყო ჩაფლული. ზედა ნაწილში ფანტასტიკური ცხოველის თავი და ფეხებია გამოსახული (ტაბ. IV_{8,9,10}), რომელიც გელამის მთების ვეშაპებზე გამოსახულ ხარის თუ ცხვრის გამოსახულებებს მოგვაგონებს. მსგავსი გამოსახულებაა მოცემული ქ. თეთრინყაროს დასავლეთით, 1.0 კმ-ის დაცილებით მდგარ ოთხკუთხა მენჭირზეც. საავტომობილო გზის პირას აღმართული მონოლითი ოდნავ არის გადახრილი, ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობა „მთვრალ ყორღანს“ ეძახდა (ტაბ. II_{1,2}). ქვა პირველად ვ. ტეპცოვმა აღწერა – „თეთრინყაროდან დასავლეთით, ერთი ვერსტის დაცილებით დგას წმინდა ქვა. ქვევით, ძირისაკენ ქვას ცილინდრის ფორმა აქვს. ის მიწაშია ჩასმული და თუ ეს ასეა, არც თუ ისე დაბალ სიღრმეზე. ... ქვას შემოუყვება რიყის ქვის ზღუდე, რომელიც არაფრით არის შეკავშირებული, რის გამოც ხშირად ინგრევა, თუმცა მლოცველების მიერ მალევე ხდება მისი აღდგენა. ზღუდის შესასვლელიდანვე ჩანს ქვაზე გამოკვეთილი სახის კვალი (ტაბ. IV₇). არავინ იცის დანამდვილებით საიდან გაჩნდა ეს ქვა და რატომ დგას განცალკევებით, ტყეში. გარშემო არ ჩანს არავითარი ნანგრევები, ან ადამიანის

ნამოქმედარის კვალი. ვარაუდობდნენ ვილაცის საფლავს, რაც ძალიან დამაჯერებელია, მაგრამ ვისი სამარხია არავინ იცის.“ ძეგლის ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ მენჭირი ყორღანზე დგას, რომლის ქვაყრილის ფორმა საფუძვლიანადაა შეცვლილი. არც ვ. ტეპცოვი და არც ლ. მელიქსეთ-ბეგი, რომელიც ასევე იხსენიებს თეთრინყაროს მენჭირს თავის მონოგრაფიაში [მელიქსეთ-ბეგი 1938: 87-88] ქვაზე არსებული გამოსახულების შესახებ ინფორმაციას არ იძლევიან. თეთრინყაროს მენჭირზე არსებული გამოსახულების მიმართ ჩვენი ყურადღება იმან გამოიწვია, რომ ის იმირზეკის (ტაბ. I_{6,11}), აჯდაჰა-იურტის (ტაბ. I₈), ტოკმაგან-გელის (ტაბ. I_{9,10}), ჯანგირ-ოლას (ტაბ. I₇), არაგანის [Пиотровский 1939: рис. 4,9] და რეხას (ტაბ. IV_{8,10}) მონოლითებზე არსებულ გამოსახულებებთან ამჟღავნებს გარკვეულ მსგავსებას.

ოთხკუთხა მენჭირი დგას ფარავნის ტბასთან, სოფ. ვლადიმეროვკას დასავლეთით, გრუნტის გზის პირას (ტაბ. V₅).

სამხრეთ კავკასიის მენჭირების ერთ ნაწილს თევზის ფორმა აქვს. ამ ტიპის მონოლითები დიდი რაოდენობით დაფიქსირდა სომხეთში [Пиотровский 1939: 3]. მათი უმეტესობა რეალისტურ ქანდაკებებს მიეკუთვნება და ისინი თევზს გამოსახავენ (ტაბ. I_{1,2,3}). შიპიაკ-სანომერის საზღვარზე აღმოჩენილ მენჭირსაც (ტაბ. III_{5,6}) თევზად მიიჩნევენ ლ. მელიქსეთ-ბეგიც [მელიქსეთ-ბეგი 1938: 104-105, ტაბ. XLI]. თუმცა, ის ფორმით ნამდვილად არ გავს თევზს. თევზის ქანდაკებებთან თითქოს უფრო ახლოს უნდა იყოს, ჩვენს მიერ სოფ. ბეშთაშენის სამხრეთით დაახლოებით 2.0 კმ-ის დაცილებით, რკინიგზის ხიდან დაფიქსირებული მენჭირი (ტაბ. V₃). ბეშთაშენის მენჭირი დევს წრიულ ქვაყრილში (დმ. 7.0-8.0 მ) და მხოლოდ მისი მცირე ნაწილი ჩანს. ყრილი ცენტრში ოდნავ შემადლებულია და როგორც ჩანს სამარხის ყრილს წარმოადგენს.

მენჭირების ზოგადი აღწერა გვიჩვენებს, რომ სამხრეთ კავკასიაში დადასტურებული ვერტიკალურად მდგარი ქვის დიდი მონოლითები პირობითად სამ ტიპად შეიძლება დაიყოს:

1. ნაგრძელებული მართკუთხედის ფორმის მენჭირები, რომელთა სიმაღლე ორჯერ ან მეტჯერ აღემატება სიგანეს, სისქე კი სიგანის ნახევარი ან ერთი მესამეა. ქვის განივკვეთი ყველა მონაკვეთში ოთხკუთხა ან კუთხეებმომრგვალებულ ოთხკუთხედს წარმოადგენს (ტაბ. II; III_{5,6}; IV_{8,9}; V₅; VII_{1,2}; VIII_{2,3}; IX).

2. ნაგრძელებული ცილინდრის ფორმის მენჭირები, რომლებსაც წვერი ტანთან შედარებით უფრო შევიწროებული აქვთ. ამ ტიპის მენჭირების სიმაღლე რამდენჯერმე აღემატება დიამეტრს (ტაბ. III_{1,2,3,4}; IV₄; V_{1,2,4,6}; VII₃; VIII₁). ასეთი ფორმის გამო ამ ტიპის მეგალითებს, „სიგარისებურ“ მენჭირებსაც უწოდებენ.

3. მენჭირები, რომლებიც თევზის ქანდაკებას წარმოადგენენ. ისინი თითქოს მეორე ტიპის მენჭირებს გვანან, მაგრამ მესამე ტიპის მენჭირებს თავი და ძირი, ტანთან შედარებით უფრო შევიწროებული აქვთ (ტაბ. I_{1,2,3}; V₃).

სამხრეთ კავკასიის მაღალმთიან რეგიონებში გამოვლენილი მენჭირები არაერთხელ გახდა კვლევის ობიექტი. მენჭირებზე ამოკვეთილი თუ რელიეფური ორნამენტების შესწავლას ეთნოლოგებიც ახორციელებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული არქეოლოგიური გათხრებიც ჩატარდა გელამის მთის ვეშაპების [Пиотровский 1939] და წალკის მენჭირის [მელიქსეთ-ბეგი 1938: 105] გარშემო, მათი რომელიმე არქეოლოგიური კულტურისადმი მიკუთვნება, ან რომელიმე კონკრეტული ისტორიული ეპოქისადმი დაკავშირება მაინც ძნელია. მათი ტიპოლოგიის, დათარიღების და ატრიბუციისათვის საჭიროა ამ ტიპის ძეგლების სისტემური კვლევა. არქეოლოგიურად უნდა იქნეს შესწავლილი რამდენიმე ისეთი ყორღანი, რომლებზეც მენჭირები დგას, ასევე აუცილებელია იმ ნამოსახლარების კვლევა, რომელთა კომპლექსები მენჭირებს შეიცავენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოები სამხრეთ კავკასიაში ჯერ არ ჩატარებულა, გარკვეული წინასწარული ვარაუდების გამოთქმა მაინც არის შესაძლებელი.

სამხრეთ თურქეთში (ნევალი ჩორი, გობეკლი თეფე და ჩაიონიუ თეფესი) ნეოლითური PPNB (Prepottery Neolithic B) სამლოცველოების აღმოჩენის შემდეგ გაჩნდა შესაძლებლობა სამხრეთკავკასიური მენჭირები მათთან მიმართებაში განვიხილოთ. რეხას და თეთრინყაროს მართკუთხა მონოლითები ყველაზე მეტად გობეკლი-თეფეს კარგად დამუშავებულ ბრტყელ მონოლითებს ემსგავსება. სამხრეთ კავკასიის მენჭირების და ანატოლიის ნეოლითური სამლოცველოების სტელებს შორის მსგავსება ცხოველთა გამოსახულებებშიც შეინიშნება. სამხრეთკავკასიურ ქვებზე მოცემულია ხარის ტყავი და თავ-ფეხი (ტაბ. IV_{2,6,7,10}), ცხვარი, გველი

და წერო (ტაბ. I,II,IV). ეს ცხოველები გვხდება ანატოლიის PPNB სამლოცველოების ქვებზეც, რომლებიც ძვ.წ. X-VIII ათასწლეულებით თარიღდება. გობეკლის სტელებზე ფრინველები [Schmidt 2011: 64, 68, 78, 82, სურ. 8, 14, 29, 34], გველები [Schmidt 2011: 65, 67, სურ. 9, 12], ბუკრანიები [Schmidt 2011: 82, 83, სურ. 34, 36], ასევე ცხოველის ტყავებია გამოსახული [Schmidt 2011: 82, სურ. 34]. გობეკლის სამლოცველოში [Schmidt 2011: 67, სურ. 12] და ჯერფ ელ ახმარში [Fortin 1999: 269, სურ. 259-261] აღმოჩენილ ქვისა და თიხის ფილებზე დატანილ გამოსახულებებთან მსგავსებას იჩენს თრიალეთში გამოვლენილი ბაზალტის ფილა (ტაბ. IV₁). ფილა (50x50 სმ.) ჩასმულია სოფ. ხანდოს ერთ-ერთი ეკლესიის იატაკში. ხანდოს ფილაზე გამოსახული ანთროპომორფული ფიგურა ასევე ემსგავსება არუხლოსა და იმირის ნეოლითურ ნამოსახლარებზე გამოვლენილ კერამიკაზე დაძვრნილ ანთროპომორფულ ფიგურებს [საქართველოს არქეოლოგია 1992: ტაბ. XLI₁₋₃].

არაერთხელ იყო აღნიშნული მსგავსება გობეკლის ქვის რელიეფებისა და ჩათალ-ჰუიუქის კედლის მხატვრობას შორის [Sagona, Zimansky 2010: 92; Erdogu 2009: 133]. ჩათალ-ჰუიუქის ძვ.წ. VII ათასწლეულის სამლოცველოების კედლებზე ბუკრანიები და ცხვრის თავებია გამოსახული [Mellaart 1963: 71, 72, სურ. 14, 15; Mellaart 1964: 54, სურ. 7, 13]. „მონადირეთა“ სამლოცველოს კედლის ფრესკაზე გამოსახულია წეროები [Mellaart 1966: ტაბ. LXII], რომლებიც ახლო მსგავსებას ამჟღავნებენ იმირზეკის [Пиотровский 1939: 9, სურ. 5], აჟდაჰა-იურტის (ტაბ. I₈), ტოკმაგანგელის (ტაბ. I₉), განძისა (ტაბ. II_{3,4,5}) და მურჯახეთის (ტაბ. II_{6,7,8}) მენჰირებთან. ჩათალ-ჰუიუქის იკონოგრაფიის მსგავსია მესოპოტამიისა და ირანის ნეოლითურ კერამიკაზე დატანილი ზომორფული ორნამენტული მოტივები (ტაბ. IV₃). აღსანიშნავია, რომ ბუკრანიების, მუფლონების, ფრინველების, ლეოპარდების და გველების გამოსახულებები არპაჩის [Mallowan, Cruikshank Rose 1935: სურ. 74-77; Breniquet 1992: სურ. 1, 2], სიალკისა და სუზის [Dussaud 1935: სურ. 2, 3, 7, 9, 12] ძვ.წ. VI-V ათასწლეულის კერამიკისათვის არის დამახასიათებელი.

კ. შმიდტის აზრით, გობეკლი თეფე დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა რეგიონში მცხოვრები მონადირე-შემგროვებლების მთის სამლოცველოს [Schmidt 2000: 48], ხოლო ვერტიკალურად დაყენებული სტე-

ლები ღვთაებათა ან ტოტემური სულების სათავსოს წარმოადგენდნენ. სტელებზე გამოსახული ცხოველები, როგორც ჩანს, ადამიანთა გარკვეული ჯგუფების ტოტემური ემბლემები იყო. სავარაუდოდ, ადამიანები საკულტო ცერემონიების გამართვის დროს თავისი ტოტემების გამოსახულებებთან იკრიბებოდნენ [Peters, Schmidt 2004: 209-212]. მთებშია განლაგებული სამლოცველოები ნევალი ჩორი და ჩაიონიუ-თეფესი. ხაზგასახმელია, რომ სამხრეთ კავკასიის საკულტო ქვები – მენჰირებიც (აჟდაჰა-იურტი, ტოკმაგანგელი, თიქმა-დაში, თეჯისი და სხვ.) მთებში, დასახლებული ადგილებიდან შორს დგას. სამხრეთ საქართველოს მაღალმთიანეთში (ჯავახეთი) განლაგებულია მეგალითური კულტურის უნიკალური ძეგლი – შაორი. შაორის კომპლექსი ფარავნის ტბის პირას, ზღვის დონიდან 2775 მ სიმაღლეზე მდებარეობს. ძეგლი არქეოლოგიურად ჯერ შესწავლილი არ არის. აქ მხოლოდ გეოდეზიური და არქიტექტურული სამუშაოებია განხორციელებული (ტაბ. VI₁). შაორის მთას ორი მწვერვალი აქვს, ერთი მაღალი, მეორე კი ოდნავ დაბალია. ორივე წვერზე გამართულია ნაგებობები. მაღალ წვერზე დგას წრიული ნაგებობა, რომლის დიამეტრიც 45.0 მეტრია. კედლების შემორჩენილი სიმაღლე 4.0-5.0 მ-ია, სიგანე კი 3.0-5.0 მ-ს უდრის. კედელზე, შიდა მხრიდან მიდგმულია მცირე ზომის (1.5x2.0x2.5 მ.) სათავსები. შაორის მთის დაბალ წვერზე კი უფრო მცირე კომპლექსია განთავსებული. აქედან იწყება ბაზალტის დიდი ქვებით მოგებული გზა (ტაბ. VI₂), რომელიც ზედა კომპლექსთან მიდის და მის კარიბჭეს ებჯინება. გზის გასწვრივ სამი მოედანია განლაგებული (ტაბ. VIII_{2,3}). გზაზე და მოედნებზე მენჰირები მდგარა (ტაბ. VII_{1,2}). სამი მათგანი დღესაც თავის თავდაპირველ ადგილზეა [ნარიმანიშვილი 2009: 103]. ერთი მენჰირი შაორის მთის ძირშიც მდგარა (ტაბ. VII₃). შაორის კომპლექსის დათარიღებისა და ფუნქციის შესახებ მსჯელობა ახლა ძნელია, მაგრამ მენჰირების არსებობა და ქვით ნაგები გზა ამ კომპლექსის საკულტო დანიშნულებზე უდავოდ მიუთითებს. თრიალეთის მთებში განლაგებულია კიდევ ერთი კომპლექსი, რომელსაც გამორჩეული გეგმარება აქვს. არქიტექტურული კომპლექსი მდებარეობს სოფ. გედაკლარის (კლდეკარი) განაპირას. კომპლექსი გამართულია შემადლებაზე, რომლის კლდოვანი მასივის მოსწორებული ფართობზე (600-700 კვ.მ.) ექვსი სათავსოა აგებული (ტაბ. IX₃).

ოთხი მათგანი ერთმანეთს ებჯინება და ერთ ხაზზე არიან განლაგებული. მათ გასწვრივ იმავე ხაზზე, ოდნავ მოშორებით კი კიდევ ორი სათავსო მდებარეობს. სათავსოები კლდეში ჩაკვეთილ მოედნებზეა ნაგები, ისე რომ ნახევრად მიწურებს წარმოადგენენ. კედლების შემორჩენილი სიმაღლე ჩაკვეთილი კლდის მასივის სიმაღლეს შეესაბამება და 1.0-2.8 მ-ს აღწევს. სათავსოების კედლების ეს ნაწილი ამოყვანილია ბაზალტის ოდნავ დამუშავებული ქვებით (ტაბ. IX_{1,2}). კედლების გასწვრივ, მათგან 0.5 მ-ის დაცილებით ქვის მონოლითებია ჩამწკრივებული. ზოგიერთი მათგანი მიწაზე გდია (ტაბ. IX₂). ისინი წარმოადგენენ კარგად გათლილ, ოთხკუთხა ფორმის სტელებს. ყველა მათგანს ეტყობა, რომ ნაკლულია, თავი აქვს მოტეხილი. მათი შემორჩენილი სიმაღლე 1.1 – 1.6 მ-ს აღწევს (ტაბ. IX_{2,3}). ასეთი სტელები მხოლოდ ორ სათავსოში ფიქსირდება ვი-ზუალურად. ძეგლი არქეოლოგიურად არ არის შესწავლილი, ამდენად, მისი დანიშნულებისა და აგების თარიღზე საუბარი ძნელია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქვის საკმაოდ მასიური და მდგრადი კედლების გასწვრივ აღმართული ქვის სტელები თრიალეთის არცერთი ეპოქის ნაგებობის შიდა სივრცეში დღემდე დადასტურებული არ ყოფილა. სწორედ ამის გამო მიიქცია ჩვენი ყურადღება გედაკლარის კომპლექსმა. ჩვენი აზრით, ქვის სვეტები გადახურვის კონსტრუქციას არ ეკუთვნის, რადგან კლდეში ჩაკვეთილ სივრცეში ამოყვანილი მყარად ნაგები ქვის კედლები და სათავსოთა ზომები ასეთ მასიურ საყრდენებს, მით უმეტეს ამგვარი განლაგებით, არ ითხოვს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თრიალეთში (და არა მხოლოდ აქ) გათხრილ ბრინჯაოს ხანის სახლებსა და ყორღანებში დაფიქსირებულია გადახურვის კონსტრუქციები, რომლის შემადგენელი ნაწილია კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული, კედელზე მიბჯვნილი სვეტები. თუმცა, თავისუფლად მდგარი საყრდენი ბოძები შიდა სივრცეშიც არის განთავსებული და ისინი თავხეების ზომებზე ისეა მორგებული, რომ ინტერიერს თანაბარ ნაწილებად ყოფენ. აღსანიშნავია ისიც, რომ გადახურვის კონსტრუქციის ძირითადი ნაწილი და საყრდენი ბოძები ყველა შემთხვევაში ხისაა. ქვის ფილებით ნაგებობათა გადახურვა შაორის და აბულის კომპლექსებისა და მათი ტიპის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში კედლის გასწვრივ ან

თავისუფლად მდგარი საყრდენი ბოძები არ არის დაფიქსირებული. გედაკლარის კომპლექსი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ ვერტიკალურად მდგარი მონოლითები (სტელა, მენჰირი და ვეშაპი) სამხრეთ კავკასიაში ძირითადად კონკრეტულ დასაკრძალავ ნაგებობას ეკუთვნის და მის ყრილზე დგას ან სამარხთა გარემოცვაშია აღმართული. ჩვენ მხოლოდ ორი შემთხვევა ვიცით როდესაც სამარხი კამერაში იდგა სტელა// მენჰირები. ორივე ყორღანი (XIV და XVIII) თრიალეთშია და უორმოო ყორღანების ჯგუფს მიეკუთვნება [Жоржикашвили, Гогадзе 1974: 19-22]. XIV ყორღანის სამარხი კამერაში დაახლ. 1.5 მ-ის სიმაღლის ოთხი (?) მენჰირი (ტაბ. XII₁) დგას [Жоржикашвили, Гогадзе 1974: ტაბ. 14.]. XVIII ყორღანის ქვის ფილებით შემოსაზღვრული ოთხკუთხა სამარხი კამერის (ტაბ. XII₂) სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ორი, დაახლ. 1.0 მ-ის სიმაღლის მონოლითი (ტაბ. XII₃) დგას [Куфтин 1941: ტაბ. LXIII₂; Жоржикашвили, Гогадзе 1974: ტაბ. 8₂, 15₃].

მენჰირები იშვიათადაა დაფიქსირებული ნამოსახლარებზე. ყურადღებას იქცევს არარატის დაბლობზე გათხრილი მოხრაბლურის ნამოსახლარი, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ.წ. IV-III ათასწლ.) სამლოცველოს ცენტრში გამოვლინდა ქვით ნაგები პლატფორმა, რომელზეც 4.0 მ. სიმაღლის მონოლითი იდგა [Кушнарева 1997: 29].

ძველ საკულტო ადგილებში, იქ სადაც მენჰირები იდგა, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ახალი სამლოცველოები გაჩნდა. ძველი კულტის ნაშთები ან ატრიბუტები ნაწილობრივ, ზოგ ადგილას კი სრულად (მაგ. თეჯისი) შემორჩა. საინტერესოა მდ. არაგვის ხეობის სოფ. გველეთში დაფიქსირებული სიტუაცია. სოფლის განაპირას მდგარ, მთავარანგელოზის სამლოცველოში (ტაბ. XI₁) ექვსი მენჰირი დგას [ბარდაველიძე 1982: 30, ტაბ. 17]. მენჰირები (ტაბ. XI) საკულტო კომპლექსის (სამლოცველოს გეგმა და ფოტოები არქეოლოგმა გ. გოგოჭურმა მოგვანოდა) წინაა განთავსებული და მათი შემადგენელი ნაწილია. არაერთი მონოლითი იდგა ლაშარის ჯვრის სამლოცველოშიც, სადაც უკანასკნელ დრომდე მხოლოდ ორი მონოლითი შემორჩა [ბარდაველიძე 1974: 36, ტაბ. 13]. როგორც ჩანს მენჰირები დიდი ხნის მანძილზე გარკვეულ როლს თამაშობდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებში და ისინი დღემდე შემორჩა ადგილობრივ სამლოცველოებში.

სამხრეთ კავკასიის მენჭირებზე მოცემული გამოსახულებები სემანტიკურად ახლოს დგას ანატოლიის ნეოლითური ხანის ზოომორფულ სიმბოლოებთან. ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიის და ანატოლიის ძველი მოსახლეობა ერთ სიმბოლურ ენას იყენებდა. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ სამხრეთ კავკასიაში მენჭირები იმავე დროს გაჩნდა, როდესაც წარმოიშვა სამხრეთ თურქეთის წინაკერამიკული ნეოლითის პერიოდის სამლოცველოები.

იმის გამო, რომ თრიალეთში მენჭირები ყორღანებზე, მათ სიახლოვეს ან დასაკრძალავი კომპლექსების მახლობლად იდგა, გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ისინი წინაპართა კულტთან უნდა იყვნენ დაკავშირებული [Нариманишвили, Шаншашвили 2007]. უკანასკნელ წლებში სომხეთში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ გელამის მთების და არაგანის მენჭირებიც ყორღანების ყრილებზე იყო აღმართული [Gilbert, Bobokhyan 2012: 61]. აღსანიშნავია, რომ დღემდე გათხრილი ყველა ყორღანი, რომლებთანაც მენჭირებია დაკავშირებული, შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. არ არის გამორიცხული, რომ შუა ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა ძველ მენჭირებს იყენებდა დაკრძალვის რიტუალში. შეიძლება დავუშვათ, რომ სამარხები ადრე აღმართული მენჭირის გარშემო იმართებოდა (მაგ. თიქმა-დაში), უშუალოდ ყორღანის ყრილზე მენჭირის აღმართვის შემთხვევაში კი გამორჩეული რიტუალის შესრულებასთან უნდა გვექონდეს საქმე. ვფიქრობთ, რომ ძველი მენჭირების საშუალებით მოსახლეობა ცდილობდა დაემყარებინა კავშირი თავის წინაპრებსა და ძველ ქტონიურ ღვთაებებს შორის. ამავე დროს ხდებოდა გარკვეულ ტერიტორიაზე თავისი კანონიერი უფლებების ხაზგასმა. კავკასიის მთიელები დღემდე აღმართავენ წაგრძელებული ფორმის ქვებს, რომელთაც სხვადასხვა დანიშნულება აქვთ. მაგ., ხევსურეთში მიცვალებულის საფლავზე დადგმულ ქვას „მონამე“ ერქვა; ქვის სვეტები, რომლებსაც სამანი ერქვა ხატ-სალოცავებში გვარის გაყრის, ან მოკვეთის დროს იდგმებოდა და ეს აქტი ნათესაური ურთიერთობის დასრულებას ნიშნავდა; საზღვრის აღსანიშნავად აღმართულ ქვებსაც სამანი//სამძღვარი ერქვა (ინფორმაცია მოგვანოდა გიორგი გოგოჭურმა); წაგრძელებული ფორმის სასაზღვრო ქვები ძვ.წ. III-I ათასწლეულებში ფართოდ იყო გავრცელებული მესოპოტამიაში. ამ სვეტებს ასურეთში კუდურუ ერქვა და

შემკული იყო ღვთაებების გამოსახულებებითა და წარწერებით [Buccellati 1994].

სამხრეთ კავკასიაში მენჭირები დღემდე კულტის ობიექტებს წარმოადგენენ. ადგილობრივი მოსახლეობა თვლის, რომ ეს მონოლითები წმინდა ქვებია და მათ ნაყოფიერების, ჯანმრთელობის და კეთილდღეობის მოტანა შეუძლიათ. მენჭირებზე ყველაზე ხშირად ხარის თავი, ფეხები და ტყავია გამოსახული (ტაბ. I_{4,6-10}; II-1,2; III_{1,2}; IV_{2,6,7,10}). ეთნოლოგების აზრით, ხარის მსხვერპლად შეწირვის რიტუალი მაშინ ჩამოყალიბდა, როდესაც ის ჯერ არ იყო მოშინაურებული. მეცნიერთა ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ საკულტო ცერემონიებში, სადაც ხარის მსხვერპლად შეწირვა ხდება, არასოდეს ფიგურირებს კასტრაცი, ხარი-მინათმოქმედი. ყველა რიტუალში მონაწილეობს მხოლოდ ხარი-მწარმოებელი. როგორც ჩანს, ასეთი საკრალური მნიშვნელობისა და საკულტო ღირებულების ჩამოყალიბება წინ უსწრებს მინათმოქმედების განვითარებას, სადაც ხარი გამწვევ ძალად გამოიყენება [სურგულაძე 1993: 35-44]. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ხარი დღემდე საკულტო ცხოველს წარმოადგენს. საქართველოს მთიან რეგიონებში შემორჩენილია საკულტო პრაქტიკა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც გარეული, ისე შინაური ცხოველები. სამლოცველოებისათვის შეწირული გარეული ცხოველებიდან დომინირებს ჯიხვი და ირემი, ხოლო შინაური ცხოველებიდან ცხვარი და ხარი. მსხველპრშეწირვის ძირითად ობიექტს მაინც ხარი წარმოადგენს, რადგან სამლოცველოების მთავარ ღვთაებას მხოლოდ ხარს წირავენ [ბარდაველიძე 1982: 156]. შეწირული ცხოველების თავს, ტყავს და ფეხებს სამლოცველოებში ან მათ ეზოში ტოვებდნენ; ხშირად კი ხეებზე კიდებდნენ [ბარდაველიძე 1974: 222, ტაბ. 89]. „საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში სამსხვერპლო ცხოველთა ტყავები მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სამსხვერპლო ტყავების ან ცხოველთა ფიტულების ხეზე ჩამოკიდება დამონმებულია მთელ დასავლეთ საქართველოში და სალოცავებისადმი ერთ-ერთ აუცილებელ შესანიშნავ წარმოადგენდა“ [ჩხაიძე 1997: 31-33]. კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე შინაური ხარის უძველესი ნაშთები ნეოლითური ეპოქის ნამოსახლარებზე გვხვდება. არუხლოს ნამოსახლარის ფაუნისტური მასალის კვლევამ აჩვენა, რომ სჭარბობს შინაური ცხოველების ძვლები, რომელთა შორის არის ხარის ნაშთები

[საქართველოს არქეოლოგია 1992: 34]. ხარის უძველესი თიხის ქანდაკებები კი არუხლოსა და ნოფშია აღმოჩენილი [Кушнарёва, Чубинишвили 1970: 163; საქართველოს არქეოლოგია: 1992: 55, ტაბ. XLI₆]. ხარის კულტი დაფიქსირებულია სამხრეთ კავკასიის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზეც. თიხის ფიგურები [საქართველოს არქეოლოგია 1992: ტაბ. LXIX, XCIV, CIII; Хачатрян 1975: სურ. 41] და კერამიკაზე გამოსახული ხარები [Gogochuri, Orjonikidze 2010: ტაბ. IV_{9,10}], ასევე ხარის სკულპტურული გამოსახულებით შემკული კერები [Badalyan, Avetisyan 2007: 149] აღმოჩენილია მტკვარ-არაქსის კულტურის არაერთ ნამოსახლარზე. სამხრეთ კავკასიის ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში ხშირად არის ჩატანებული ხარის თავ-ფეხი [Куфтин 1941: 83; ჩუბინიშვილი 1963: 40; საქართველოს არქეოლოგია 1992: 176; შანშაშვილი, ნარი-მანიშვილი 1989: 56-62]. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ თრიალეთის ყორღანებში დაფიქსირდა მთელი ხარის ჩატანების ფაქტები. ისინი ძირითადად დრომოსებში იყო დასვენებული. XV ყორღანის იატაკზე დაფენილი იყო ორი ხარის ტყავი, რომლებიც ისე იყო მოცილებული სხეულს, რომ თავი და ფეხები ტყავში დარჩა [Куфтин 1941: 83]. მეცნიერებმა ადრევე მიაქციეს ყურადღება, რომ მონოლითებზე გამოსახულია არა ცოცხალი ხარი, არამედ მისი თავი და ტყავი. ა. სიხარულიძე თრიალეთის კულტურის ყორღანების დაკრძალვის წესსა და მონოლითებზე დატანილ უსიცოცხლო ხარის გამოსახულებებს შორის უშუალო კავშირს ხედავს და თვლის, რომ „ვეშაპ-ვეშაპოიდთა“ კულტი ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარსა და II ათასწლეულის დასაწყისში უნდა წარმოშობილიყო [სიხარულიძე 1970: 28]. მ. ჩხაიძე იზიარებს ამ აზრს და მიიჩნევს, რომ გვიანდელი (ძვ.წ. I ათასწ.) ვეშაპების აღმართვა შესაძლებელია აღნიშნულ პერიოდში მოხდა, მაგრამ ეს არ ამტკიცებს იმას, რომ საერთოდ ვეშაპთა კულტის წარმოშობაც ამავე პერიოდში მოხდა. პირიქით, მსგავსი მონოლითების მიზანსწრაფული, მასიური აღმართვა მანიშნებელია იმისა, რომ ეს კულტი ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული სახით არსებობდა [ჩხაიძე 1997: 24-25]. მსხვერპლად შეწირული ცხოველის ტყავის ჩამოკიდება ხეზე ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონებშიც დასტურდება [ჩხაიძე 1997: 33]. მ. ჩხაიძე მენჭირებზე გამოსახულ უსიცოცხლო ცხოველებსა და სან-

მისის კულტს შორის, სრულიად სამართლიანად, გარკვეულ მსგავსებას ხედავს და აღნიშნავს „მონოლითებზე გამოსახული ტყავები შეიძლება დავეუკავშიროთ ვეშაპ-ღვთაებას, რომელიც სანმისს – როგორც ნაყოფიერებისა და კეთილდღეობის სიმბოლოს – იცავდა, ან განაგებდა“ [ჩხაიძე 1997: 35]. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ სამხრეთ კავკასიის მენჭირებზე სამი სამყაროს სემანტიკური კონაა გამოსახული [ჩხაიძე 1997: 27-30]. ნ. მარი ქვის მენჭირებზე გამოსახულ ხარის ტყავებს, ქართულ „შოლტ-თან“ აიგივებდა. „შოლტი“ ეს იყო ხარის ტყავის სპეციალური, საკულტო ნაწილები, რომლებსაც მსხვერპლშენიერვის რიტუალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ [Пиотровский 1939: 4]. ჯ. მელაარტის აზრით, ხარი ძველ ანატოლიაში სიცოცხლისა და მამაკაცური ნაყოფიერების სიმბოლო იყო [Mellaart 1963: 52]. მ. გიმბუტასი თვლიდა, რომ ხარი ან ბიზონი იყო განსახიერება მამაკაცური ნაყოფიერების და ვეგეტაციის ღვთაებისა, რომელიც უნდა მომკვდარიყო, რათა გაზაფხულზე ისევ აღორძინებულიყო [Gimbutas 1992: 230]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამხრეთ კავკასიის მენჭირებზეც გამოსახულია სამსხვერპლო ხარი, რომელიც ნაყოფიერებისა და აღორძინების მამაკაცურ ღვთაებას განსახიერებს. სამხრეთ კავკასიის უძველეს მოსახლეობაში ჩამოყალიბებული ხარის კულტის საკრალური ძალის რწმენა ადგილობრივი მოსახლეობაში დღემდეა შემორჩენილი.

სამხრეთკავკასიურ მენჭირებისა და ანატოლიურ გამოსახულებათა ერთგვაროვნება, შესრულების ტექნიკის მსგავსება, გარკვეული ნორმებისა და პრინციპების დაცვა, ალბათ ერთგვაროვანი ტრადიციების არსებობაზე მიგვითითებს, რაც ერთიანი მსოფლმხედველობის ასახვასაც უნდა წარმოადგენდეს.

ძნელია ერთ სტატიაში ყველა იმ საკითხს შევეხოთ, რომლებიც სამხრეთკავკასიური მენჭირების წარმოშობას, გავრცელებას ეხება ან ქვის მონოლითებზე არსებული სიმბოლიკის ახსნასთან არის დაკავშირებული. ამიტომ, ჩვენი სტატია გვინდა დავასრულოთ იმ სიტყვებით, რომლებიც ნ. მარმა ამ იდუმალებით მოცული ქვების შესახებ გამოთქვა: „ძიება უნდა გაგრძელდეს. ეს ხომ სრულიად სხვა სამყაროა.“

STUDY OF ONE GROUP OF MEGALITHS FROM SOUTH CAUCASUS

In the South Caucasus scientists paid an attention to the menhirs, i.e. upright standing stones, at the end of the 20th century. There are three types of menhirs in the South Caucasus. Menhirs of the first type are of a rectangle shape. The stone has a plane surface on both sides. On the façade side, in all cases, a relief drawing of a fantastic animal is given (pl. II; III_{5,6'}; IV_{8,9'}; V_{5'}; VII_{1,2'}; VIII_{2,3'}; IX); Menhirs of the second type are of a prolonged shape ("cigar shape"), the body is rounded and the base is plane; in the upper part, the stone is slightly narrowed and ends with a rounded head (tab. III_{1,2'}; IV_{4'}; V_{1,2,4,6'}; VII_{3'}; VIII₁); Menhirs of the third type have fish-shape form (pl. I_{1,2,3'}; III_{3,4'}; V_{3'}).

First, the first type menhir from Gandza was described by I. Rostomashvili in 1898. In his opinion, the eyes and gills of a fish are expressed on the stone, below which an image of birds is given, probably storks (pl. II_{3,4,5'}). By these details the menhirs of Murjakheti and Gandza are close to "Wishaps" from Gegham Mount (pl. I_{6,8,9'}). In 1909 N. Marr and I. Smirnov studied the stones from Gegham mount decorated with the images of fantastic animals (pl. I_{4-11'}). All menhirs are decorated with a relief image of horned animals, bull or sheep. Animals are expressed with their heads down. Their pair of legs hangs as if lifeless. There is an impression that an image of bull or sheep skin is expressed on the stone. On some stones the images of birds, snakes and wavy lines are expressed. Similar menhirs were discovered in two more places, at the North-Eastern shore of Lake Sevan and at the Southern slope of Mount Aragats. Menhir from Murjakheti village was described by L. Melikset-Beg in 1938. The height of this monolith is 2,9 meters (pl. II_{6,7,8'}). Relief images given on its surface are differently explained by the scientists. Smirnov saw the head and limbs of a bull, Marr and Meshchaninov considered these images to be eyes and gills of a fish. According to L. Melikset-Beg, the scheme of a three-share division of the cosmos was expressed on the stone. In his opinion, animal expressed the upper world, a dog head expressed the middle world and a two-head snake expressed the underworld. St. Konstantin Church stands on the high plateau at the west of Tejsi village, Trialeti. The church is surrounded by a stone fence with two entrances. Both entrances are roofed by huge stone plates. A big menhir stands in the church apsis (height 3,8 m, diameter 2,5 m). In the later period the image of a cross was marked on the menhir (tab. III_{5,6,7'}). There is a group of kurgans in the west of the church. One of the menhirs of the first type (stone sizes: 3,20×1,55 m, thickness 0,42 m) was discovered not so long ago in Trialeti (pl. IV_{8,9,10'}). It lies near Rekha village, on the church territory. The images of fantastic animal head and limbs are expressed on the stone surface, which are similar to the images of bull/sheep skin applied to the "Wishaps" of Mount Gegham. Almost similar image of rectangular shape is drawn on the plane menhir, located at 1,0 km from Tetrtskaro town (pl. II_{1,2'}; IV_{7'}). This stone was first described by V. Teptsov in 1890. He does not provide any parallel material, because this type of monuments was not yet known. Neither V. Teptsov nor L. Melikset-Beg, who writes about this menhir in his work, provide a drawing of the image on the stone. It should be mentioned that a relief image of the fantastic animal expressed on the monolith has a great similarity to the images expressed on Tokmagan-Gol, Jangir-Ogha, Aragats "Wishaps" (pl. I) and Rekha menhirs. The first type menhirs were also discovered in Gedaklyar (pl. IX). Also rectangle shape menhir (pl. VII_{1,2'}) was discovered on the edge of the road (pl. VI_{2'}), which leads to the cyclopean citadel (pl. VI_{1'}) on the top of Shaori Mountain and on the cult square there (pl. VIII_{2,3'}). Near Shaori mountain footer we find menhir of the second type (VII_{3'}).

One of the second type menhirs is "Tikma-Dash" Menhir (height 3,5 m), which stands at the edge of the railway (pl. III_{1,2'}; V_{1,2'}), on the way from Nardevani village to Lake Paravani. It is placed in the centre of the obsidian mind of Tchikiani. Here are the remnants of ancient workshops of obsidian processing. Some people see the image of a snake on "Tikma-Dash" monolith. There are dozens of kurgans around and near the menhir. Some of them are stone mounds; some of them are covered with obsidian splinters. In 1940, B. Kuftin excavated several kurgans here, dated from the 3rd millennium B.C.. A menhir (height of the part above earth level – 2,15m) stands in the valley between Avranlo and Kizil-Kilisa villages (pl. VIII_{1'}), Trialeti. The stone has a slightly apparent anthropomorphous look. In our opinion, anthropomorphization of menhirs is a relevantly late occurrence. In 1999-2001, the level of water in Tsalka water reservoir decreased so, that archeological sites, which were excavated by B. Kuftin and the ones unknown till present, appeared. Kurgans, settlements, burial places, ritual-procession cobblestone roads connected to the kurgans as well as menhirs were revealed. Menhir of a cigar shape (height 2,2 m; diameter 0,9 m) was found in the southern part of one of the burial places among the group of tumuli (pl. V_{4'}; X_{3'}). Another one menhir of the same shape is included in

the complex located in the northern part of Tsalka water reservoir, near village Santa (pl. IV_{4,5}; V₆). The complex consists of five kurgans (pl. X₂), two circle cromlechs, stone boxes and multiple small stone mounds. In the centre of one of the cromlechs a basalt monolith is placed (height 2,1 m; diameter 1,2 m), the surface whereof is well-polished. The contours of a stepped construction and spirals are expressed on the stone. A long leg of one of the spirals ends with a trident image. The third menhir probably stood on kurgan V of Trialeti, which is dated from the middle Bronze Age. Today this kurgan is on the bottom of Tsalka water reservoir, although the menhir is no more observable.

The third type so-called fish type menhir (height 2,85 meters, base diameter – 1,15 meters) stood in the valley near Bashtasheni village, on the territory of Tsalka water reservoir in Trialeti. This monument, which was excavated in 1936, nowadays is at the bottom of Tsalka water reservoir (pl. III_{3,4}). We found one more menhir 2 km away from the southern part of Beshtasheni village (pl. V₃). Its shape reminds us a fish. Some menhirs have a fish shape. Dozens of the third type menhirs were discovered in Armenia (pl. I_{1,2,3})

Despite the fact that the menhirs with images from the high-mountain regions of the South Caucasus were studied and some of them were excavated, their connection to archeological cultures or their dating to any historic epoch was still difficult. After discovering the Neolithic sanctuaries in the Southern Turkey (Nevali Çori, Göbekli, Çayonu Tepesi), we got opportunity to compare the menhirs of the South Caucasus with the columns of the Neolithic sanctuaries of Turkey. Rectangular monoliths from Rekha and Tetrtskaro are similar to the well-processed plane stones discovered in Gobekli. Symbolic signs discovered by us in the floor stone plate (50×50 cm) of the church of Khando village Trialeti (pl. IV₁), reveal a certain similarity to the schematic images expressed on the small stones or clay plates discovered in the Neolithic sanctuaries of Göbekli and Jerf el Ahmar. An anthropomorphous image drawn on Khando plate reminds us of relief anthropomorphous figures, which are modeled on the clay vessels discovered in the settlement of the Neolithic epoch of Arukhlo and Imiris Gora (Georgia, Kvemo Kartli). Similarity between the drawings and bas-reliefs of the walls of Çatal-Huyuk sanctuaries and the relief images of Göbekli steles, has been observed in the scientific literature more than once. Relief bucrania and sheep heads are presented in the 2nd chapel of CE VI, 10 level, also in E VI B,31 and VII,9 sanctuaries. Two cranes or storks, are expressed on the southern wall of the Hunters' sanctuary FV,I, which are very similar to the relief images of animals drawn on the menhirs of Gandza and Murjakheti and on the "Wishaps"s of Gegham mountains (Imirzek, Azhdakha-Yurt, Tokmagan-Gel). Zoomorphic ornament on the Neolithic ceramics of Mesopotamia and Iran reveal similarity to the iconography of Çatal-Huyuk. Images of bucrania, moufflons, birds, leopards and snakes on the ceramics are characterizing the ceramics of the 6th-5th millenniums B.C. from Arpachiyah, Sialk and Susa. According to K. Schmidt, Göbekli-Tepe represented a mountain sanctuary of the hunters-gatherers' tribes for a long time, Rectangle steles standing upright represented a depository of totem souls or gods. For a certain group of people the animals expressed on the menhirs probably represented a totem emblem. It can be assumed that the population used to gather before the image of its totem during holding the cult ceremonies. Nevali-Çori and Çayonu Tepesi were located also in the mountains. It is characterizing that sacral stones–menhirs of the South Caucasus (Azhdakhka-Yurt, Tokmagan-Gel, Tikma-Dash, Tejis, etc) and the part of sanctuaries (Shaori, Abuli) stand also in the high mountains far from the settlement. A unique monument of megalith architecture – Shaori is located in the high mountains of the Southern Georgia (Javakheti). This complex (pl. VI₁) is located near Paravani Lake, 2775 m. above sea level. Mount Shaori has two peaks, a high and a low one. Complex constructions are erected on both of them. A circle shape construction stands on the high peak, the diameter of which is 45 m. The height of the walls is 4-5 m, and the width – 3-5m. Small storages are built on the inner perimeter (1,5X2,0; 2,0X2,5 m). A relatively small complex is arranged on the lower peak. From the lower peak begins a road (pl. VI₂) covered with big basalt blocks, which leads serpentine-like to the upper complex and reaches the entrance. There are three stadiums along the road. Menhirs stood on the road and the stadiums. Three of them are still there. One menhir, the height of which is 2,3 m, stood near the wall of the cult stadium (pl. VIII_{2,3}), the second one the height of which is 2,9 m stood at the edge of the cobblestone road (tab. VII_{1,2}). The third menhir was standing in the entrance of the stronghold. L. Melikset-Beg names this menhir as an obelisk. We found one more menhir at the northern base of Mount Shaori (tab. VII₃). It is difficult to say anything about the date and function of this complex, but the existence of menhirs and cobblestone roads indicates to the cult significance of this complex.

In the later epoch, Christian chapels appeared in the ancient cult sites, where the menhirs were erected. This process is well observable in the mountainous part of the Eastern Georgia. Menhirs are still preserved in the chapels of Khevsureti and Pshavi. Six monoliths (pl. IX) stand on the territory of archangel chapel in Gveleti village. The chapel

is located in the west of the village 1 km away. The complex consists of several storages and five stone monoliths. Evidently, the menhirs played an important role in the traditional faith-beliefs of the population of the mountainous part in the Eastern Georgia for a long time and are still preserved in the social-cult chapels. Images drawn on the menhirs of the South Caucasus reveal semantic similarity to the zoomorphic symbols of the Neolithic period of Anatolia. Apparently, the ancient population of the South Caucasus and Anatolia used a united symbolic language. Probably, menhirs in the South Caucasus were erected in the same period when the Neolithic sanctuaries were built in the Southern Turkey.

The earliest menhir from South Caucasus (4th – 3rd mill. B.C.) was discovered in a sanctuary of Kura-Araxes period site of Mokhrablur. Taking into account that menhirs in Tsalka often stand on the kurgans, near them, or near the burial complexes, twice (Trialeti kurgans XIV and XVIII), menhirs were revealed in burial chamber they were associated with the cult of the ancestor. Until present, menhirs represented the object of cult in the South Caucasus. Local population considered that these sacral stones contributed to their health, prosperity and fertility. Evidently, the faith of the sacral stones power takes root in the depth of millenniums. It must be mentioned, that up to day all excavated kurgans with menhirs in Trialeti are dated from the Middle Bronze Age. It is not ruled out, that the Middle Bronze Age population used earlier menhirs in their burial rituals. Also it is quite possible, that graves were situated around earlier erected menhirs.

Similarity is apparent among the animals expressed on the steles of the Neolithic sanctuaries of Turkey and the menhirs of the South Caucasus. Bucrania, bull and sheep skins, snake and crane or stork images are expressed on the monoliths of the South Caucasus. These animals are expressed on the Neolithic columns of the 10th-8th millenniums B.C. For example: birds, snakes, bucrania, and animal skin are expressed on the steles of Gobekli.

It is difficult to mention the symbolism, origin and spread of the monoliths with relief images in one article. We want to finish this article with N. Marr's words, which he said in relation to these mysterious stones: "Searching should be continued, as it is an entirely new world".

ლიტერატურა

- ბარდაველიძე ვ. 1974:** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. I. თბილისი.
- ბარდაველიძე ვ. 1982:** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. II. თბილისი.
- ვაჩიშვილი ნ. 2003:** ურჩხული სოფ რეხადან. – საქართველოს სიძველენი, № 4-5, 30-35.
- მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938:** მეგალითური კულტურა საქართველოში. თბილისი.
- ნარიშკინი გ. 2009:** სიახლენი თრიალეთის კულტურაში. თბილისი.
- ნარიშკინი გ. 2012:** თრიალეთის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები. – საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები, 128 – 193. თბილისი.
- საქართველოს არქეოლოგია 1992:** ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანა. ტ. II. თბილისი.
- სიხარულიძე ა. 1969:** თრიალეთის ვეშაპები და ვეშაპოიდები. – სმამ, № 6, 37-48.
- სიხარულიძე ა. 1970:** საქართველოს ვეშაპები და ვეშაპოიდები. დისერტაცია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
- სურგულაძე ი. 1993:** ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბილისი.
- ქართლის ცხოვრება 1973:** ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.
- ქართული სამართლის ძეგლები 1965:** დასტურლამალი. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. გვ. 237-328. თბილისი.

- შანშაშვილი ნ., ნარიშანიშვილი გ. 1989:** წინაპართა კულტთან დაკავშირებული ერთი რიტუალის სემანტიკა. – ძმ, №1, 56-62.
- ჩუბინიშვილი ტ. 1963:** ამირანის გორა. თბილისი.
- ჩხაიძე მ. 1997:** საქართველოს მეგალითური კულტურა და ქვა-კაცი ზეიანის მინებიდან. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 1959:** დოლმენური კულტურა საქართველოში. – თსუ შრომები, ტ. 77, 77-126.
- Жоржикашвили Л., Гогодзе Е. 1974:** Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тбилиси.
- Куфтин Б. 1936:** Дневник работ археологического отряда цалкинской комплексной экспедиции (Хранится в архиве Национального Музея Грузии). Тбилиси.
- Куфтин Б. 1941:** Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.
- Кушнарёва К. 1997:** Ранние комплексные общества Южного Кавказа. – Древние общества Кавказа в эпоху палеометалла, 11-43. Санкт-Петербург.
- Кушнарева К., Чубинишвили Т. 1970:** Древние культуры Южного Кавказа. Ленинград.
- Марр Н., Смирнов Я. 1931:** Вишапы. – Труды ГАИМК, т. 1, Ленинград.
- Мещанинов И. 1926:** Каменные статуи рыб. Вишапы на Кавказе и в Северной Монголии. – Записки коллегии востоковедов. Ленинград.
- Мещанинов И. 1932:** Циклопические сооружения Закавказья. – Известия ГАИМК, 1932, т. XIII, вып. 4-7.
- Нариманишвили Г., Шаншашвили Н. 2007:** Мегалиты и культ предков на Южном Кавказе. – АЭФК, 164-165. Тбилиси.
- Пиотровский Б. 1939:** Вишапы. Каменные статуи в горах Армении. Ленинград.
- Сихарулидзе А. 1970:** Вешапы и вешапоиды Грузии. Автореферат. Тбилиси.
- Хачатрян Т. 1975:** Древняя культура Ширака. Ереван.
- Badalyan R., Avetisyan P. 2007:** Bronze and Early Iron Age Archaeological Sites in Armenia, I. Mt. Aragats and its Surrounding Region. BAR international Series 1697. Oxford.
- Breniquet C. 1992:** A propos du vase halafien de la Tombe G 2 de Tell Arpachiyah. – Iraq, Vol. 54, 69-78.
- Buccellati G. 1994:** The Kudurrus as Monuments. – Mesopotamian History and Environment. Occasional Publications, Vol. 2. Louvain: Peeters, 283-291.
- Dussaud R. 1935:** Motifs et symboles du IV e millénaire dans la céramique oriental.- Syria, T. 16. Fasc. 4, 375-392.
- Erdogu B. 2009:** Ritual symbolism in the early chalcolithic period of Central Anatolia.- Journal for Interdisciplinary Research on Religion and Science, No.5, 129-151.
- Fortin M. 1999:** Syrie, terre de civilisations. Québec.
- Gilbert A., Bobokhyan A. 2012:** Vishapakars – Archaeological Investigation of Relief-Decorated Megaliths in Armenia. – International Symposium on East Anatolia – South Caucasus Culture. Abstracts, 61. Erzurum.
- Gimbutas M. 1992:** The Goddesses and Gods of Old Europe. 6500-3500 B.C. Myths and Cult Images. Los Angeles, New York.
- Gogochuri G., Orjonikidze A. 2010:** The Kura-Araxes culture settlement and cemetery at Tiseli Seri.- In:Rescue Archaeology in Georgia: The Baku-Tbilisi-Ceyhan and South Caucasian Pipelines. 119-132. Tbilisi.
- Mallowan M.E.L., Cruikshank Rose J. 1935:** Excavation at Tall Arpachiyah, 1933, Iraq, Vol.2, No.1, 1-178.
- Mellaart J. 1963:** Excavation at Çatal Hüyük, 1962: Second Preliminary Report. AS, Vol.13, 43-103.
- Mellaart J. 1964:** Excavation at Çatal Hüyük, 1963: Third Preliminary Report. AS, Vol.14, 39-119.
- Mellaart J. 1966:** Excavation at Catal Hüyük, 1965: Fourth Preliminary Report. AS, Vol.16, 165-191.

Narimanishvili G., Shanshashvili N., Narimanishvili D. 2012: Menhirs from South Caucasus. – International Symposium on East Anatolia – South Caucasus Culture. Abstracts, 131. Erzurum.

Peters J., Schmidt K. 2004: Animals in the symbolic world of Pre-Pottery Neolithic Göbekli Tepe, south-eastern Turkey: a preliminary assesment. – Anthropozoologica 39 (1), 179-218.

Sagona A., Zimansky P. 2010: Ancient Turkey. London and New York.

Schmidt K. 2000: Göbekli Tepe, Southeastern Turkey. A preliminary Report on 1995-1999 Excavations. – Paléorient, Vol. 26, No 1, 45-54.

Schmidt K. 2011: Göbekli tepe. In: Özdoğan M., Başgelen N., Kuniholm P. 2011: The Neolithic in Turkey. New Excavations and new Research. The Euphrates Basin. 42-84. Istanbul.

ტაბულების აღწერა

ტაბ. I – 1. გელამი, იმირზეკის № 16 ვეშაპი [Пиотровский 1939: სურ. 6 მიხედვით]; 2. ვეშაპნერი; 3. გელამის № 20 ვეშაპი; 4. გელ-იურტის № 1 [Пиотровский 1939: სურ. 2 მიხედვით]; 5. იმირზეკის № 3 [Пиотровский 1939: სურ. 8 მიხედვით]; 6. იმირზეკის № 5 [Пиотровский 1939: სურ. 5 მიხედვით]; 7. ვეშაპნერის № 3; 8. აყდახა-იურტის მენჭირი № 2 [Пиотровский 1939: სურ. 1 მიხედვით]; 9. ტოკმაგან-გელის მენჭირი № 3 [Пиотровский 1939: სურ. 3 მიხედვით]; 10. ტოკმაგან-გელის მენჭირი № 2 [Пиотровский 1939: სურ. 4 მიხედვით]; 11. იმირზეკის მენჭირი № 1 [Пиотровский 1939: სურ. 7 მიხედვით];

ტაბ. II – 1-2. თეთრინყაროს მენჭირი, ანაზომი და ჩანახატი; 3-4. განძას მენჭირი [მელიქსეთ-ბეგი 1938: ტაბ. XV]; 5. განძას მენჭირი [ჩხაიძე 1997: ტაბ. V-ა მიხედვით]; 6-7. მურჯახეთის მენჭირი [მელიქსეთ-ბეგი 1938: ტაბ. XVII]; 8. მურჯახეთის მენჭირი [ჩხაიძე 1997: ტაბ. V_გ მიხედვით].

ტაბ. III – 1-2. თიქმა-დაში [ჩხაიძე 1997: ტაბ. VI_ა მიხედვით]; 3-4. შიპიაკ-სანომერის მენჭირი [მელიქსეთ-ბეგი 1938: ტაბ. XII]; 5-6. თეჯისის მენჭირი. ანაზომი და ჩანახატი; 7. თეჯისის მენჭირი [ჩხაიძე 1997: ტაბ. IV მიხედვით];

ტაბ. IV – 1. ქვის ფილა სოფ. ხანდოს ეკლესიიდან; 2. გამოსახულება ჯანგირ-ოლას მენჭირიზე [Пиотровский 1939: სურ. 9 მიხედვით]; 3. თიხის ჭურჭელზე გამოსახული ორნამენტი არპაჩიდან [Breniquet 1992: სურ. 1_ა მიხედვით]; 4. სანთის მენჭირი; 5. გამოსახულება სანთის მენჭირზე. დეტალი; 6. გამოსახულება იმირზეკის №1 მენჭირზე [Пиотровский 1939: სურ. 7 მიხედვით]; 7. გამოსახულება თეთრინყაროს მენჭირზე; 8, 9. რეხას მენჭირი; 10. გამოსახულება რეხას მენჭირზე [ვაჩიშვილი 2003: სურ. 1,2 მიხედვით];

ტაბ. V – 1-2. თიქმა-დაშის მენჭირი; 3. ბეშთაშენის მენჭირი; 4. სანომერ-შიპიაკის მენჭირი; 5. განძის მენჭირი; 6. ნალკის წყალსაცავის მენჭირი.

ტაბ. VI – 1. შაორის კომპლექსი, გენგეგმა. ჯვრებით აღნიშნულია მენჭირების განლაგება; 2. შაორის კომპლექსის ქვით ნაგები გზა.

ტაბ. VII. 1-2. შაორის კომპლექსის მენჭირები; 3. მენჭირი შაორის მთის ძირში.

ტაბ. VIII – 1. ყიზილ-ქილისას მენჭირი; 2,3. მენჭირი შაორის კომპლექსის ქვით მოგებულ მოედანზე.

ტაბ. IX – 1. გედაკლარი, № 2 სათავსო (დეტალი), სტელა-მენჭირები; 2. გედაკლარი, № 2 სათავსო, საერთო ხედი ჩრდილოეთიდან; 3. გედაკლარი, № 3 სათავსო, სტელა-მენჭირები. საერთო ხედი ჩრდილოეთიდან;

ტაბ. X – 1. გველეთი. სამლოცველოს გეგმა (გ. გოგოჭურის მიხედვით); 2. ნალკის წყალსაცავის მენჭირის განლაგება, გეგმა; 3. სანომერ-შიპიაკის მენჭირის განლაგება, გეგმა.

ტაბ. XI – 1. გველეთი, მენჭირი (ფოტო გ. გოგოჭურისა); 2,3. გველეთი, მენჭირების განლაგება (ფოტო გ. გოგოჭურისა).

ტაბ. XII – 1. თრიალეთი. XIV ყორღანი, მენჭირი; 2. თრიალეთი. XVIII ყორღანი, მუშაობის პროცესი; 3. თრიალეთი. XVIII ყორღანი, მენჭირები.

DESCRIPTION OF THE PLATES

- Pl. I – 1. Gegham, “wishap” № 16 from Imirzek; 2. Veshapner; 3. Gegham, “wishap” № 20; 4. Gell-Yurt, № 1; 5. Imirzek, № 3; 6. Imirzek, № 5; 7. Veshapner, № 3; 8. Azhdakha-Yurt, menhir № 2; 9. Tokmagan-Gel, menhir № 3; 10. Tokmagan-Gel, menhir № 2; 11. Imirzek, menhir № 1.
- Pl. II – 1-2. Menhir from Tatristsqaro, drawing and sketching; 3-4. Gandza, menhir; 5. Gandza, menhir; 6-7. Murjakheti, menhir; 8. Murjakheti, menhir.
- Pl. III – 1-2. Tikma-Dash; 3-4. Shipiak-Sanomeri, menhir; 5-6. Tejsi, menhir; 7. Tejsi, menhir.
- Pl. IV – 1. Stone slab from Khando church; 2. Image on the Jangir-Ogha menhir; 3. Ornament on the pot from Arpachai; 4. Santa, menhir; 5. Image on the Santa menhir; 6. Image on the Imirzek menhir № 1; 7. Image on the Tetristsqaro menhir; 8-9. Rekha, menhir; 10. Image on the Rekha menhir.
- Pl. V – 1-2. Tikma-Dash, menhir; 3. Beshtasheni, menhir; 4. Shipiak-Sanomer, menhir; 5. Gandza, menhir; 6. Tsalka reservoir, menhir.
- Pl. VI – 1. Shaori complex, general plan; crosses indicate location of menhirs; 2. Paved road of Shaori complex.
- Pl. VII – 1-2. Menhirs of shaori complex; 3. menhir at the foot of the Shaori mountain.
- Pl. VIII – 1. Qizil-Kilisa, menhir; 2-3. Menhir at Shaori paved area.
- Pl. IX – Gedaklar, room № 2 (detail), stele-menhirs; 2. Gedaklar, room № 2, general view from the North; 3. Gedaklar, room № 3, stele-menhirs, general view from the North.
- Pl. X – 1. Gveleti. Plan of the sanctuary; 2. Menhir of the Tsalka reservoir, plan; 3. Menhir of the Sanomer-Shipiak, plan.
- Pl. XI – 1. Gveleti, menhir; 2-3. Gveleti, disposition of menhirs.
- Pl. XII – 1. Trialeti, tumulus № 14, menhir; 2. Trialeti, tumulus № 18, during work-process; 3. Trialeti, tumulus № 18, menhirs.




1




2



3




4



5



6



7



8



9




10




11




1





2





3






4




5










6




7




8





0 2 4 6


1



2



3




0 20 40 60


4



5



6



7




0 20 40 60

8



9



10



1



2



3




4



5



6



2



1



2



3





1




2



3


ტაბ. X



1



2



3



1



2



3



1



2



3

ალექსანდრე ორჯონიკიძე, თინა აბულაშვილი, გელა გობეჯიშვილი, თინა კახელიშვილი, გურამ ჩიქოვანი, თინა ჭანიშვილი, მანანა ხუციშვილი, ხათუნა ჯორბენაძე.

ცხინვალის არქეოლოგიური ძეგლები

შიდა ქართლი სიძველეებით რომ ძალზე მდიდარია, კარგადაა ცნობილი. სადღეისოდ აქ შესწავლილია თითქმის ყველა ეპოქის ამსახველი არქეოლოგიური ძეგლი. ამ ძეგლებზე მოპოვებული მასალების უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებულია, ნაწილი კი დღემდე უცნობია ან მათ შესახებ მხოლოდ მწირი მონაცემები მოგვეპოვება. უკანასკნელს მიეკუთვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი გ. გობეჯიშვილი) ცხინვალთან გათხრილი ქვასათალის შუაბრინჯაოს ხანისა (1947 წ.) და ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრის სანყისი საუკუნეების ქვიანას (1948 წ.) სამაროვნის მასალები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მასალებმა ჩვენამდე ნაკლები სახით მოაღწია, მათი სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვა, ვფიქრობთ, მაინც წაადგება შიდა ქართლისა და საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის კულტურათა კვლევის საქმეს.¹

I. ქვასათალის №1 ორმოსამარხი

1947 წელს ცხინვალთან, სოფ. ქვასათალში გ. გობეჯიშვილმა ერთი სამარხი გათხარა [ჯავახიძე 2009: 31]. შუაბრინჯაოს ხანის ამ სამარხის ჩვენამდე მოღწეული ინვენტარი, თუ არ ჩავთვლით საქონლის მცირერიცხოვან ძვლოვან ნაშთებს, ძირითადად შეიცავს შავპრიალა, რუხსარჩულიანი დერგის ფრაგმენტებს. გვხვდება ლეგამოყვითალო ფერის ჯამის თუ ბადიის ტიპის ჭურჭლის ფრაგმენტებიც. ჭურჭლის ძირები ბრტყელია, კორპუსზე ბლაგვკუთხოვანი გადასვლით (ტაბ. XI; XII).

შემკობა დერგის ტიპის ჭურჭლისთვისაა დამახასიათებელი. ესაა რელიეფური და გრავირებული ორნამენტი. რელიეფური

წარმოდგენილია ზოლებით, ზოომორფული გამოსახულებებით და კოპებით, ხოლო გრავირებული – კონცენტრული ღარებით, გეომეტრიული სახეებით და წერტილებით.

დერგი ორი ტიპისაა: ყელმალა და ყელდაბალი. ყელმალალ დერგს აქვს ოდნავგადაშლილი პირი და მხრისკენ გაფართოებული კონუსური ყელი, რომელიც თანდათანობით გადადის გამობერილ კორპუსზე, რომელსაც კვერცხისებრი ფორმა უნდა ჰქონოდა. ზოგს ყელისა და მხრის საზღვარზე შემოუყვება წყვილი, პარალელური ღარი (ტაბ. IV₃). ერთ დერგს ყელსა და მხარზე დაძერწილი აქვს რელიეფურ ვერტიკალურ ზოლებს შორის მოქცეული, თავით ჭურჭლის პირისაკენ მიმართული, წყვილი რელიეფური გველის გამოსახულება (ტაბ. IV₃). იშვიათად, რელიეფურად გველის გამოსახვას ვხვდებით ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე. ქვემოარანისის გვიანმტკვარარაქსულ ნასახლარზე აღმოჩენილი დერგი შემკულია რელიეფური ზოომორფული ორნამენტით, მათ შორის გველებითაც [დლონტი 2006: ტაბ. II]. მნიშვნელოვნადმატულობს გველის რელიეფური გამოსახულება შუაბრინჯაოს ხანის კერამიკაზე. ის არის თრიალეთის XXIII ყორღანის შავპრიალა, კვერცხისებრტანიან დერგზე, რომლის ასაკი ამ ხანის ადრეული საფეხურითაა განსაზღვრული [გოგაძე 1972: ტაბ. 26]. შედარებით მოგვიანოა მამავერის ხეობაში გათხრილი ყორღანის დერგი, მხარზე გველებით [Кахиани, Глигваშვილი, Дзнелაძე, Калანდაძე, Цквитиანიძე 1991: ტაბ. 136] და მესხეთში, ახჩიას № 14 ყორღანის დერგი, რომელიც რელიეფური გველების გარდა კოპებითაცაა შემკული [ჯავახიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი 1981: სურ. 27-256], ხოლო № 7 ყორღანის მაღალყელიან დერგს, ჩვენი ცალის მსგავსად, ყელზე ვერტიკალური რელიეფური ზოლებიც ჩამოუყვება [ჯავახიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი 1981: 51].

ქვასათალის № 1 ორმოსამარხის მეორე მაღალყელიან დერგს ყელის ბოლოსა და კორპუსის ზედა ნაწილზე შემოყოლებული აქვს

^{<?>} ილუსტრაციები შესრულებულია მხატვარ თ. სახვაძის მიერ

მოკლე ირიბი ნერტილოვანი ხაზებით შევსებული ორი წყვილი პარალელური, ჰორიზონტალური ღარი. ღარებს შორის მოქცეულია ვერტიკალური ამოკანრული ლენტები, შიგ ჩახაზული ურთიერთგადამკვეთი ნერტილოვანი ხაზებით. მათ ქვეშ, კორპუსის ზედა ნაწილზე, შერჩენილია დაბალი დაძერწილი კოპი (ტაბ. I). ფორმით ამ დერგს შეიძლება შევუდაროთ მესხეთში გათხრილი ახჩიას № 3 ყორღანის სამყურა ჭურჭელი, რომელსაც ასევე გააჩნია ნერტილებით შევსებულ სარტყელებს შორის მოქცეული ვერტიკალური, ნაკანრი ლენტების მწკრივი, შიგნით ნერტილებით [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი 1981: 37, სურ. 8-88]. გარკვეული მსგავსება ჩანს თრიალეთის VII ყორღანის მასალასთანაც [გოგაძე 1972: ტაბ. 19-88]. აწყურის სამარხის ერთ ყელმალალ დერგსაც მხარზე ჩამოუყვება ვერტიკალური ლენტები, შიგ ჩახაზული ურთიერთგადამკვეთი ხაზებით, რომელთა თავსა და ბოლოში დაძერწილია კოპები. ავტორები ამ სამარხს თრიალეთურ კულტურას აკუთვნებენ და შუაბრინჯაოს ხანის დასასრულით – ძვ.წ. XVII-XVI სს. ათარიღებენ [Licheli, Rusishvili 2008: 209].

მაღალყელიანი უნდა იყოს ქვასათალის №1 ორმოსამარხის ნერტილოვანი ორნამენტით უხვად შემკული ორი დერგიც, წარმოდგენილი ყელისა და კორპუსის მოზრდილი ფრაგმენტებით. ერთს კორპუსის ზედა ნაწილზე შემოუყვება ირიბი ნერტილოვანი ხაზებით შევსებულ ორ პარალელურ ზოლს შორის მოქცეული, ნერტილებითვე ამოვსებული, ერთმანეთში ჩასმული მახვილკუთხოვანი სარტყელი (ტაბ. IX). ანალოგიური ორნამენტია მოცემული თრიალეთის № 2 ყორღანისა [გოგაძე 1972: ტაბ. 16₁₃] და საბიდ-ალჩას № 5 ყორღანის კერამიკაზეც [ჯაფარიძე 1969: სურ. 63].

კიდევ უფრო მეტი პარალელი ეძებნება ქვასათალის № 1 ორმოსამარხის მეორე დერგს, შემკულს ნერტილოვანი ხაზებით შევსებულ ორ სარტყელს შორის მოქცეული ნერტილებიანი ტეხილხაზოვანი ლენტებით (ტაბ. VIII₁). მსგავს ორნამენტს ხშირად ვხვდებით მესხეთში – ახჩიას, ბერთაყანისა და ნიალას ველის ყორღანების დერგებზე [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი 1981: სურ. 5-46; 10-142; 31-458; 35; 63]. ახლო ანალოგებია ვარძიასთან გათხრილი ყორღანის მასალაშიც, რომელიც ძვ.წ. XVII-XVI სს. თარიღდება [Гамбашидзе, Квижинадзе, Гамбашидзе 1991: 27-34, ტაბ. 61, 72]. მსგავს სურათს ვხედავთ თრიალეთის VII და XVI

ყორღანების კერამიკაზეც [გოგაძე 1972: ტაბ. 19₆, 23₁₂₋₁₃].

მაღალყელიანი, მხარზე შემოყოლებული ირიბი ნერტილოვანი ზოლებით შემკული დერგებია მცხეთის შემოგარენის შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებზეც, რომლებიც ამ ხანის მოგვიანო ჯგუფშია მოქცეული [სადრაძე 2002: 83, ტაბ. XXI]. ამგვარივეა ძვ.წ. XVIII საუკუნით დათარიღებული ნალვლის სამაროვნის ძეგლების ნაწილიც [რამიშვილი 2004: ტაბ. VII]. მსგავს ნაწარმს ზოგჯერ ვხვდებით შიდა ქართლის სიღრმეშიც. ქვასათალთან გათხრილ სხვა სამარხებშიც აღმოჩნდა ყელმალალი დერგი, ყელის ძირზე შემოყოლებული ირიბი ნერტილოვანი ხაზებით ამოვსებული სარტყელით. ამ ჭურჭელს თრიალეთის კულტურისათვის დამახასიათებელ კერამიკას უახლოვებენ. აქვე აღნიშნავენ იმასაც, რომ ნულსა და ქვასათალში ამგვარი დერგები იშვიათია [ჯაფარიძე 2009: 107]. ამ მხრივ ქვასათალის № 1 ორმოსამარხი, შიდა ქართლის ჩრდილო ზოლის სინქრონულ სამარხებთან შედარებით, თრიალეთურ ელემენტს თითქოს ყველაზე უფრო მეტად შეიცავს.

მსგავსებას იჩენს კახეთის ზოგიერთ ყორღანში აღმოჩენილი ჭურჭელიც, სადაც მაღალყელიან, ანალოგიური ორნამენტით შემკულ დერგებზე, შიგნიდან გამოყვანილი კოპებიცაა გამოსახული. ეს ძეგლებიც შუაბრინჯაოს ხანის დასასრულით თარიღდება [დედაბრიშვილი, რუსიშვილი 1980: 45-49].

ქვასათალის № 1 ორმოსამარხის ყელდაბალი დერგები ხასიათდება ოდნავგადაშლილი პირით და დაბალი ჩაღარული ყელით. ამ დერგებს გამობერილი კორპუსი უნდა ჰქონოდა (ტაბ. VI; VII). ორნამენტს ძირითადად შიგნიდან გამოყვანილი კოპები წარმოადგენს (ტაბ. VII). შესაძლოა, ამ ტიპის ჭურჭელს ეკუთვნოდეს ასეთივე კოპებით შემკული ფრაგმენტებიც (ტაბ. VIII₂).

ყელდაბალი დერგები კარგადაა ცნობილი მესხეთის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანებში. ასეთი დერგი უმეტესად სადაა ან კოპებითაა მორთული [ჯაფარიძე და სხვ. 1981: 144]. გვხვდება როგორც მიძერწილი, ისე შიგნიდან გამოყვანილი კოპი. ყელდაბალი დერგია ნალკისა და ზურტაკეთის ყორღანებში, კახეთსა და შიდა ქართლში. ამიერკავკასიაში სხვაგან ამგვარი ჭურჭელი იშვიათია [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი 1981: 145].

კოპებით ჭურჭლის მორთვის ტრადიცია აღმოსავლეთ საქართველოში ადრეული ხა-

ნებიდანაა ცნობილი, რაც დაძვრნილი კოპის მიმართ უფრო ითქმის, თორემ შიგნიდან გამოყვანილი კოპი გაცილებით გვიან ჩნდება – ბედენის კულტურაში [ორჯონიკიძე 1983: 39] და არსებობას აგრძელებს მომდევნო – შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანებში. ზურტაკეთში მას ხშირად ვხვდებით ყელდაბალ დერგებზე, ამოკანრულ სახეებთან ერთად [ჯაფარიძე 1969: სურ. 16; 23; 24]. არის ის ქვემო ქართლის ყორღანებშიც [Кахиани, Глигвашвили 2007: 99-100]. მრავლადაა იგი შიდა ქართლის ძეგლებზეც – ნულსა და ქვასათალში, ცხინვალსა და ნატახტრის სამაროვნის კერამიკაზე [ჯაფარიძე 1969: 104-105; სადრაძე 2002: 69-70].

ქვასათალის № 1 ორმოსამარხის კერამიკულ კოლექციაში ცალკე ჯგუფს ქმნის მომცრო ზომის ჭურჭელი ჯამი თუ ბადია. იგი ძირითადად ღრმაა, პირმოყრილი (ტაბ. II, III). გვხვდება პირგადაშლილი ფორმაც, კორპუსზე ყურის ნაშთით (ტაბ. II₂). იშვიათად არის პირქვეშ მიძვრნილი შვერილიც (ტაბ. X₂).

აღსანიშნავია, რომ ბადიისა თუ ჯამის ტიპის ჭურჭელი თრიალეთის ყორღანებში თითქმის არ გვხვდება, სამაგიეროდ ამგვარი ჭურჭელი კარგადაა წარმოდგენილი შიდა ქართლში, კახეთსა და მესხეთის სამარხებში [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, ნერეთელი 1981: 150].

კერამიკული მასალის ამ თავისებურების საფუძველზე აღმოსავლეთ საქართველოს შუაბრინჯაოს ხანის კულტურაში ეკოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორებით განპირობებულ ორ ლოკალურ ვარიანტს გამოყოფენ. ერთი მოიცავდა საკუთრივ თრიალეთს მიმდებარე მხარეებით, მეორე აერთიანებდა შიდა ქართლს, მესხეთსა და იორ-ალაზნის აუზს [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, ნერეთელი 1981: 150; ჯაფარიძე 2003: 171; Путиридзе 1983]. თრიალეთისათვის დამახასიათებელი ელემენტების გამოჩენას მესხეთში, ადგილობრივი კერამიკის გვერდით ძვ.წ. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვარაუდობენ [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, ნერეთელი 1981: 169]. ანალოგიურ მოვლენას აღნიშნავენ შიდა ქართლის სინქრონულ ძეგლებზეც [ჯაფარიძე 2003: 171; სადრაძე 2002: 75, 106].

ქვასათალის №1 ორმოსამარხის კერამიკა ბევრ საერთოს პოულობს რა როგორც თრიალეთის, ისე შიდა ქართლისა და მესხეთის შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელთან, საშუალებას იძლევა ეს ძეგლიც ძვ.წ. XVII–XVI საუკუნეებით დავათარილოთ.

II. ცხინვალის ქვიანას სამაროვანი[□] (კატალოგი)

სამარხი № 3

1. თიხის მომცრო ჭურჭლის ფრაგმენტები. ლეგა ფერის, პირგადაშლილი, სფერულტანიანი.

სამარხი № 4

4. თიხის მომცრო ჭურჭლის ფრაგმენტები. შავლეგა, პირგაშლილი. შემკულია ამოღარული, პარალელური, ჰორიზონტალური ხაზებით.

სამარხი № 7

7. დოქი. თიხის. ჩალისფერი, პირგადაშლილი, სფერულტანიანი, ბრტყელძირა. პირსა და კორპუსზე ყურით. სიმაღლე 44 სმ. (ტაბ. XIII)

8. კოჭობის ფრაგმენტი. თიხის. ლეგა მოწითალო, პირგადაშლილი, გამობერილი კორპუსით, ბრტყელძირა. კორპუსის ზედა ნაწილზე მიძვრნილი აქვს ყური. სიმაღლე 11 სმ. (ტაბ. XIII).

9. სამაჯური. ბრინჯაოსი. მავთულოვანი, თავებგახსნილი, დაჭდეული ზედაპირით. ბოლოებზე ზოომორფული გამოსახულებებით. დმ. 4,5×5,5 სმ (ტაბ. XIII).

12. რგოლის ნატეხი (სამაჯურის?). რკინის.

13. რგოლის ნატეხები. რკინის.

14. მძივი. მოშავო, განივი თეთრი ზოლებით, კასრისებრი ფორმის. სიგრძეზე გახვრეტილი[□] (ტაბ. XIII).

15. მძივი. სარდიონის. ექვსნახნაგა, კასრისებრი ფორმის სიგრძეზე გახვრეტილი.

16. სამაჯურის ფრაგმენტი. რკინის (ტაბ. XIII).

17. ფიბულის ნატეხი. ბრინჯაოსი (ტაბ. XIII).

18. საკისრე რგოლების ნატეხები. რკინის (ტაბ. XIII).

19. სამაჯურის ნატეხები. რკინის. ბურთულოვანი ზედაპირით (ტაბ. XIII).

21. კოხის ქვები. 28 ც.

სამარხი №8

24. ცხვრის ძვლების ნაშთები

25. ქოთნის ძირგვერდის ნატეხი. მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის.

26. ზედადგრის ნატეხი. ტუფის (ტაბ. XIV).

27. ჭურჭლის ძირის ნატეხი. თიხის. მონაცრისფრო-მოჩალისფრო. ფსკერზე ნაჭდევი ხაზებით.

სამარხი №9

29. ჭურჭლის ნატეხები. თიხის. მონაცრისფროდ გამომწვარი.

სამარხი №10

32. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხები. 2 ცალი. თიხის. მოჩალისფრო- მოვარდისფროდ

გამომწვარი. ძირის დმ. 15,5 სმ (ტაბ. XIV).

33. მახათი. ბრინჯაოსი. სიგრძე 8,5 სმ (ტაბ. XIV).

39. მძივსაკიდი. ცისფერი მინის. კონუსის ფორმის, მრგვალი ყუნწით (ტაბ. XIV).

სამარხი №11

46. ჭურჭლის ნატეხები. თიხის. ლეგა-მოშავო.

სამარხი №13

54. სამაჯურის ნატეხი. რკინის. მავთუ-ლოვანი. დმ. 5,5 სმ.

55. ჭურჭლის ყურ-გვერდის ნატეხები. 4 ც. თიხის. მოვარდისფროდ გამომწვარი.

სამარხი №15

63. დოქის ძირ-გვერდის ნატეხი. თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი, მსხლისებური ფორმის. ძირის დმ. 10 სმ (ტაბ. XIV).

65. მძივები. ლურჯი მინის. მრგვალი ფორმის. ირიზირებული (ტაბ. XIV).

66. მძივები. მოცისფრო პასტის. ცუდად ნაკეთები (ტაბ. XIV).

67. მძივები. მოყვითალო მინის. ბიკონუსური ფორმის. ირიზირებული (ტაბ. XIV).

68. მძივები. სარდიონის (ტაბ. XIV).

69. მძივები. იასპის (ტაბ. XIV).

70. მძივი. ცისფერი პასტის. ოთხნახვრეტიანი (ტაბ. XIV).

71. სამაჯურის ნატეხები. რკინის. ბურთუ-ლოვანი (ტაბ. XIV).

სამარხი №16

80. ჩქიფი. რკინის. სიგრძე 4, 1 სმ.

სამარხი №17

82. მძივები. სარდიონის (ტაბ. XV).

84. მძივები. ცისფერი პასტის მრგვალი ფორმის (ტაბ. XV).

87. სამაჯური. ბრინჯაოსი. მავთულოვანი, ბურთულოვანი თავებით (ტაბ. XV).

88. რგოლი. ბრინჯაოსი. 2 ც. მავთულოვანი, თავგახსნილი (ტაბ. XV).

89. რგოლი ბრინჯაოსი. 2 ც. მავთულოვანი, თავგახსნილი (ტაბ. XV).

90. რგოლის ნატეხები. რკინის. 5 ც. ძვლის და ქსოვილის ანაბეჭდით (ტაბ. XV).

91. ბეჭედი. რკინის. თვალბუდიანი, ფარა-კიანი? (ტაბ. XV).

სამარხი №18

96. მძივები. მოთეთრო პასტის. მრგვალი ფორმის (ტაბ. XV).

100. მძივი. ლურჯი პასტის. მრგვალი ფორმის, თვალადი (ტაბ. XV).

111. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხები. 4 ც.

თიხის. შავად ნაპრიალები. შემკულია გრაფიტით დატანილი ხაზებით (ტაბ. XV).

108. ქოთნის ძირ-გვერდის ფრაგმენტი. კარგად განლექილი თიხის. მოვარდისფროდ გამომწვარი (ტაბ. XV).

სამარხი №19

102. სალესი ქვა. ნახვრეტიანი (ტაბ. XVI).

სამარხი №20

109. დოქი. თიხის. მორუხო. მსხლისებური, პირგადაშლილი.

მალაყელიანი, ბრტყელძირიანი. დაზიანებული (ტაბ. XVI).

სამარხი №21

113. ლანგრის პირ-გვერდის ნატეხი. თიხის ნაპრიალები. გვერდზე დაუყვება ნაკანრი ტალღოვანი ორნამენტი (ტაბ. XVI).

სამარხი №22

118. მძივი. სარდიონის. მუქი ფერის (ტაბ. XVI).

119. სამაჯურის ნატეხები. რკინის. 3ც. ძლიერ დაჟანგული.

120. სამაჯურის ნატეხები. რკინის. 18ც. ძლიერ დაჟანგული. მავთულოვანი.

131. კოხის ქვები (ტაბ. XVI).

სამაროვნის ტერიტორიაზე მოპოვებული მასალა

კერასთან

74. ჭურჭლის ძირ-გვერდის და პირ-გვერდის ნატეხები. 3 ც. თიხის. შავხაოიანი, დაბალყელიანი, ბაკოდაბრტყელებული. ზედაპირი შემკულია ორ ნაჭდევს შორის მოთავსებული წვრილი დაღარული ხაზებით. ძირს კიდეზე შემოუყვება ნაჭდევი სარტყელი. ძირის ზედაპირზე და მუცელზე წრიული ხაზებია (ტაბ. XVII).

თიხის მოედანზე

75. ხუფი (ჭრაქი?). თიხის. შავად გამომწვარი. ზედაპირი კონუსური ფორმის. კონუსის წვერიდან სხივებად იშლება გრაფიტით დატანილი ხაზები. გვერდი მახვილწიბოიანი, პირი მრგვალი. შემორჩენილი აქვს ერთი ნახვრეტი. დაზიანებული (ტაბ. XVII).

76. ბათქამი. ბზენარევი. ძვლის ანაბეჭდით.

81. ჭურჭლის გვერდის ნატეხი. თიხის. შავპრიალა.

ნაყარ მინაში

104. აბზინდა? ბრინჯაოსი. დაზიანებული (ტაბ. XVII).

105. საყურე. ბრინჯაოსი. მავთულოვანი (ტაბ. XVII).

106. დისკო. თიხის. ოვალური ფორმის (ტაბ. XVII).

ნაგებობის ნანგრევებში აღმოჩენილი მასალა

- 124. ჭურჭლის ნატეხები. მოჭიქული. 4 ც.
- 125. ჭურჭლის ნატეხები. მოჭიქული. 3 ც.
- 126. ჭურჭლის ყურის ნატეხი. კარგად განლექილი თიხის. ღიაჩალისფერი.
- 127. ჭურჭლის გვერდის ნატეხები. თიხის. 2 ც. მოვარდისფრო. გრებილი ორნამენტით.
- 128. ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხები. თიხის. 2 ც. მონითალო, პირგადაშლილი. დაბალყელიანი, ბაკომომრგვალებული.
- 129. ჭურჭლის ძირის ნატეხი. თიხის. 2 ც. მოჩალისფრო.
- 130. ჭურჭლის ნატეხები. 12 ც. სხვადასხვა.

A. Orjonikidze, T. Abulashvili, G. Gobejishvili, T. Kakhelishvili, G. Chikovani, T. Chanishvili, M. Khutsishvili, Kh. Jorbenadze.

ARCHAEOLOGICAL SITES OF TSKHINVALI Summary

By the archaeological expedition of the Iv. Javakhishvili Institute of History of Georgian Academy of Sciences (director of expedition Dr. G. Gobejishvili) near the town Tskhinvali was excavated the Middle Bronze Age burial № 1 Kvasatali (1947) and cemetery of Kviana of the beginning of second half of the 1st millennium BC (1948).

Nevertheless that burial goods of the mentioned assemblages currently were preserved in an incomplete amount, we suppose that their publication would certainly help to a special study of the Shida Kartli, and generally Eastern Georgian, cultures of the Bronze and Classical Ages.

ლიტერატურა

- გოგაძე ე. 1972:** თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი.
- დედაბრიშვილი შ., რუსიშვილი რ. 1980:** ზემო ალვანის შუაბრინჯაოს ხანის სამარხი. – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, IV, თბილისი, 45-49.
- ორჯონიკიძე ა. 1983:** სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში. თბილისი.
- რამიშვილი ა. 2004:** ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წალვლში. თბილისი.
- სადრაძე ვ. 2002:** მცხეთისა და მისი შემოგარენის ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- ლლონტი მ. 2006:** რელიგიურორნამენტური ქურჭელი არაგვის ხეობიდან. – ძიებანი, № 17-18, თბილისი, 51-61.
- ჯაფარიძე ო. 1969:** არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბილისი.
- ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი., ავალიშვილი გ., წერეთელი ა. 1981:** მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 2003:** საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 2009:** შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან. თბილისი.
- Гамбашидзе О., Квижинадзе К., Гамбашидзе И. 1991:** Основные результаты работ Месхет-Джавахетской экспедиции в 1985-1986 гг. ПАИ, 1986, 27-34
- Кахиани К., Глигвашвили Э., Дзnelадзе М., Каландадзе Г., Цквितिшვილი З. 1991:** Археологическое исследование Машаверского ущелья. ПАИ, 1986, 51-59
- Кахиани К., Глигвашвили Э. 2007:** Курганное погребение триалетской культуры из Дманиси. – АЭФК, Тбилиси, 99-100.
- Путуридзе М. 1983:** Культура эпохи средней бронзы Центрального и Восточного Закавказья и ее варианты (Триалетская культура). Автореферат, Тбилиси.
- Licheli V., Rusishvili R. 2008:** A Middle Bronze Age burial at Atsquri. – Ancient Near Eastern studies, 19, p. 205-228.

ტაბულების აღწერილობა


ტაბ. I-XII – ქვასათალის № 1 ორმოსამარხი, თიხის ჭურჭელი.


ტაბ. XIII-XVII – ქვიანას სამაროვნის არქეოლოგიური მასალა.

DESCRIPTION OF THE PLATES


Pl. I –XII – Kvasatali. Burial № 1. Clay vessels.

Pl. XIII-XVII – archaeological data from Kviana cemetery.







ტაბ. III




ტაბ. IV




ტაბ. V




ცაბ. VI






ტაბ. VII



გაბ. VIII




ტაბ. IX



1






2




3

0 1 2


ტაბ. X














0 1 2




ტაბ. XII




ტაბ. XIII




ტაბ. XIV



26



32



33





39




61




63




65




66




67




68




69




70



71













71



80

ტაბ. XV




ტაბ. XVI




102



106




109




113




118




131





ტაბ. XVII





74



74



75



104



105

ქალის ქანდაკებები კოლხური კულტურის ძეგლებზე


კავკასიაში აღმოჩენილ კულტურათა შორის ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა კოლხურ-ყობანური წრის ძეგლები, რომელთა შემკულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს ქალის, მგლისა თუ მგელ-ქალის როგორც გრაფიკული, ისე სკულპტურული გამოსახულებები წარმოადგენს.

ნაშრომი შეეხება ქალისა თუ მგელ-ქალის მომცრო ქანდაკებებს, რომლებიც წარმოდგენილია როგორც თავისუფლად მდგომი, ისე სხვადასხვა საგანზე მოთავსებული ფიგურების სახით. ისინი ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან და ყალიბის დაკარგვის წესითაა დამზადებული [გობეჯიშვილი, ჯაფარიძე 1959: 219-220].

ქალის გრაფიკულ გამოსახულებებთან შედარებით, მათი ქანდაკებები გაცილებით

მცირერიცხოვანია. ისინი გამოირჩევიან არა მარტო ფორმათა მრავალფეროვნებით და ღრმა შინაარსობრივი დატვირთვით, არამედ შესრულების მაღალი დონითაც, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ კოლხურ-ყობანურ სივრცეში მცხოვრები მოსახლეობის სულიერი კულტურის ურთულეს საკითხებზე – მხატვრულ აზროვნებაზე, ეკონომიკურ და ტექნიკურ შესაძლებლობებსა და საერთოდ კულტურაზე, მაგრამ ამჯერად ჩვენი მიზანია ქალის ქანდაკებების მხოლოდტიპოლოგიური კლასიფიკაცია, შედარებითი მეთოდის გამოყენებით მათ შორის ცალკეული ჯგუფების გამოყოფა-დახასიათება, სტილურ-კომპოზიციური გააზრება, ცხოველთა ფიგურების ჩამოყალიბება-განვითარების თანმიმდევრობის გარკვევა და ქანდაკების მხატვრულ-სტილური ანალიზი.

ქალის ქანდაკებების აღმოჩენის პუნქტები



სურ. 1. რუკა

ნაშრომი შევასრულეთ არქეოლოგიური ატლასის პრინციპით, ანუ ჩვენთვის საინტერესო ყველა არტეფაქტი მოვიძიეთ მთელი კავკასიისა და არა მხოლოდ კავკასიის მასშტაბით, ხოლო დათარიღებისას კი, კვლევის ამ ეტაპზე, გავითვალისწინეთ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული ყველა განსაზღვრება.

შესრულების განსხვავებული მანერის მიხედვით ძალის ქანდაკებები ორ ჯგუფად დავყავით: I ჯგუფში უფრო რეალისტური ფიგურები გავაერთიანეთ, ხოლო II ჯგუფში სტილიზებული და გეომეტრიზირებული სკულპტურები მოვათავსეთ, მაგრამ ფიგურის მოდელირების თვალსაზრისით, თითოეული ჯგუფის შიგნით გაერთიანებულ გამოსახულებათა შორის შეინიშნება გარკვეული განსხვავებები, ამიტომ I ჯგუფის მთელი მასალა ორ ქვეჯგუფად, ხოლო II ჯგუფისა – ოთხ ქვეჯგუფად დავყავით.

I ჯგუფის I ქვეჯგუფში გავაერთიანეთ ძალის ის ქანდაკებები, რომლებიც ნატურალისტურ-სქემატური მანერითაა შესრულებული. მათ აქვთ შედარებით პროპორციული სხეული, სტატიკური პოზა, წინმიმართული თავი, დამუწული ან ძალზე იშვიათად ზომიერად გაღებული პირი, დაცქვეტილი ყურები და მოგრძო ბოლოანეული ან მოკლე ბოლოჩახვეული კუდი.

ნატურალისტურ-სქემატური მანერით შესრულებული ძალის თავისუფლად მდგომი, მთლიანად სხმული ქანდაკებები, რომლებიც I ჯგუფის I ქვეჯგუფში მოვათავსეთ, ცნობილია ბომბორას ველის აღმოჩენიდან (ტაბ. I_{1,2}). ისინი ზურგზე რკალიან მინიატურულ საკიდებს წარმოადგენენ, სულ ხუთი ცალია. ყველა მათგანი მშვიდ პოზაშია, ოთხ ფეხზე მდგომი, პირმომუწული, მკვეთრად ჩახვეული კუდითა და დაცქვეტილი ყურებით [Лукин 1941: 63, ტაბ. XVI, XVII_{1,3}]. ამავე ქვეჯგუფში გავაერთიანეთ ძალის საკიდი – ქანდაკება ყობანიდან (ტაბ. I₄), რომელიც ასევე სტატიკურ პოზაშია, ოთხ დაბალ ფეხზე მდგომი. აქვს მოგრძო სხეული, დაცქვეტილი, გრძელი ყურები, ჩაშვებული, ბოლოანეული კუდი და დამუწული პირი [Миллер 1922: 310-311, ნახ. 17]. შესრულებულია ნატურალისტურ-სქემატური მანერით.

ძალის მთლიანი ქანდაკებითაა შემკული ბრინჯაოს საკინძი თლიას სამაროვნის № 8 სამარხიდან, რომელიც სტატიკურ პოზაშია, ვიწრო დამუწული პირითა და მომცრო დაცქვეტილი ყურებით (ტაბ. I₂). ბოლოსნორი კუდი ჰქონია, რომელიც განმეზღვის დროს

მოტეხილა [Техов 1957: 120. ტაბ. X₁₆]. შესრულებულია ნატურალისტურ-სქემატური მანერით, მოვათავსეთ I ჯგუფის I ქვეჯგუფში.

I ჯგუფის I ქვეჯგუფში გავაერთიანეთ აგრეთვე ყულანურხვას სამაროვნის № 1 სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს კოლხური ცულის ყუაზე მდგომი ძალის სტატიკური ქანდაკება (ტაბ. I₃), რომელსაც სწორად დაშვებული, ოდნავ ბოლოანეული კუდი, ზომიერად დაღებული პირი და დაცქვეტილი ყურები აქვს, საკმაოდ რეალისტურად გამოსახავს მყეფარე ძალს [Трапш 1970: 114-116, ტაბ. I₃]. შესრულებულია ნატურალისტურ-სქემატური მანერით.

ამავე ქვეჯგუფს მივაკუთვნეთ ძალის სკულპტურული თავები, რომლებიც ბრინჯაოს კონუსურ ბალთებზე წყვილად, ერთმანეთთან თავშეკცვევითაა წარმოდგენილი (ტაბ. I₅). ეს ნივთები ეშერის დანგრეული სამარხიდანაა. ბალთის კონუსები გრძელდება ორკაპა მორკალული ღეროებით, რომლებიც ამავე დროს ძალის კისერს წარმოადგენს. ღეროები დაბოლოებულია ცხოველის წყვილი თავით, დაცქვეტილი ყურებითა და დამუწული პირით [Куртин 1949: ტაბ. XIII_{8,9}]. შესრულებულია ნატურალისტურ-სქემატურად.

ძალის ქანდაკებები ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოდანაც. მაგალითად, შილდის სამლოცველოზე აღმოჩენილია ამავე სამლოცველოსთვის შენირული ძალის ბრინჯაოს მთლიანად სხმული ქანდაკებები (ტაბ. I_{7,8,9}). მათ აქვთ მოგრძო, წელთან შევიწროვებული ტორსი, ბოლოსნორი ან ჩახვეული კუდი, დამუწული პირი და დაცქვეტილი ყურები. ერთერთ მათგანს (ტაბ. I₇) თავი ოდნავ მობრუნებული აქვს, რაც დინამიკურობას ანიჭებს და სიხალისეს სძენს მის ფიგურას. შილდის სამლოცველოზე აღმოჩენილია აგრეთვე პირლია, ყურდაცქვეტილი და კუდჩახვეული ცხოველების ქანდაკებებიც (ტაბ. I_{8,9}), რომლებიც შესაძლოა ძალეები არ არიან, მაგრამ მათი არსებობა მიუთითებს, რომ ცხოველის ამგვარი იკონოგრაფიით გადმოცემა უფრო ადრეული ძეგლებისთვისაც (ძვ.წ. XIV-XII სს.) უცხო არ ყოფილა [მაისურაძე, ფანცხავა 1984: 3, ტაბ. XXIV_{4,9,14,17}; ტაბ. XXV_{6,8}]. შილდის ქანდაკებები შესრულებულია ნატურალისტურ-სქემატურად, სქემატურობის დომინირებით. მოვათავსეთ I ჯგუფის I ქვეჯგუფში.

ძალის მთლიანი ფიგურები ჩართულია გამდლისწყაროში აღმოჩენილ სარიტუალო ნივთზე წარმოდგენილ მრავალფიგურიან კომპოზიციაშიც (ტაბ. I₆). ძალის ქანდა-

კებები სტატიკურია, მოგრძო ტორსითა და დაცქვეტილი ყურებით, ვინრო დამუნული პირით [ლორთქიფანიძე 2002: 111, სურ. 91]. შესრულებულია ნატურალისტურ-სქემატურად. მოვათავსეთ I ჯგუფის I ქვეჯგუფში.

ასეთივე მანერით შესრულებული ძაღლის ბრინჯაოს ქანდაკებები ცნობილია აზერბაიჯანიდან – მინგეჩაურის ერთ-ერთი სამარხიდან (ტაბ. I₁₀) [Казиев 1949: 25, ნახ. 20ა], ასევე სომხეთიდან – პარავაკარის კომპლექსიდან (ტაბ. I₁₁) და ნავურიდან. ამ უკანასკნელთაგან ერთი (11) უფრო ნატურალისტურადაა მოდელირებული, ხოლო მეორე პირლია – უფრო სქემატურია [Есаян, Мнацаканян, 1970: 160, ნახ. 2, 6, 7]. აღნიშნული ქანდაკებები შესრულებულია ნატურალისტურ-სქემატური მანერით, გავაერთიანეთ I ჯგუფის I ქვეჯგუფში.

ძაღლის მინიატურული ქანდაკებები მოთავსებულია ბრინჯაოს ორ საკინძზე, რომლებიც ყობანის სამაროვნიდანაა (ტაბ. I₃). ეს ნივთები ცულის ფორმის საკინძებია, რომლებზეც ძაღლების ირემზე ნადირობის სცენა საკმაოდ დამაჯერებლად, რეალისტურადაა მოცემული [Chantre 1885: 91, ნახ. 29] და [Уварова 1900: ტაბ. XXIX₃]. ძაღლის ფიგურები ნატურალისტურ-სქემატურადაა შესრულებული, გავაერთიანეთ I ჯგუფის I ქვეჯგუფში. მეტად საინტერესოა ლურისტანიდან მომდინარე ბრინჯაოს დანის ტარზე გამოსახული ძაღლის ჯიხვებზე ნადირობის სცენა, რომელიც, როგორც კომპოზიციურად, ასევე ძაღლის ფიგურის მოდელირებით, ზემოგანხილულთა მსგავსია (ტაბ. I₄), თუმცა ჯიხვის თავ-კისერი აქ უფრო სტილიზებულია, ხოლო მისი მკერდი დანის მომრგვალებული ტარის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს [Bronze du Luristan 2008: ნახ. 53]. ნივთი ძვ.წ.-ის IX-VII სს-თა დათარიღებული. საინტერესოდ მივიჩნით ასევე ჩრდილოეთ იტალიის სხვადასხვა პუნქტებიდან (ნომისინი, ზამბანა, ესტე, კასტელეტო ტიკინო) მომდინარე (ძვ.წ. VIII-VII სს.) ფიბულაზე მოცემული ძაღლის ფიგურები, რომლებიც შესრულების სტილითა და მანერით, ჩვენი აზრით, ეხმაურება ზემოგანხილულ ეგზემპლიარებს (ტაბ. I₅), აგრეთვე მსგავსია ნივთის მიმართ ძაღლის ფიგურის განლაგებაც, იქმნება ცარიელი (გამჭოლი) არეები, რაც ნივთებს ჭვირულ იერს ანიჭებს [Eles Masi 1986: ტაბ. 180_{2429,2428}; ტაბ. 188₂₅₃₁; ტაბ. 189₂₅₄₀].

I ჯგუფის II ქვეჯგუფში გავაერთიანეთ ძაღლის ის ქანდაკებები, რომლებიც ნაწი-

ლობრივ სტილიზებულია, თუმცა ფიგურის ნატურალისტური ხასიათი ზოგადად შენარჩუნებულია. განსაკუთრებით სტილიზებულია ძაღლის ფიგურის თავ-კისერი, რომელიც უტრირებულია და დისპროპორციულად დიდა ტორსთან მიმართებაში. მათ აქვთ ფართოდ დაღებული, მყეფარე, ეშვებიანი ხახა, რითაც აქცენტირებულია ფიგურის ექსპრესიული ხასიათი, რაც თავის მხრივ, ერთგვარ დინამიკურობას ანიჭებს ძაღლის სტატიკურ ქანდაკებებს. ტორსი ისევ ნატურალისტურ-სქემატურადაა შესრულებული. ყურები დაცქვეტილი, ხოლო კუდი იშვიათად სწორი, ხოლო ხშირად ბოლოჩახვეულია.

ძაღლის მთლიანად სხმული ბრინჯაოს საკიდი ქანდაკებები ცნობილია თლიას სამაროვნის სხვადასხვა (№ № 80, 82, 217, 88ა, 6) სამარხებიდან (ტაბ. II_{1,2,3}). ფიგურების თავები სტილიზებული და უტრირებულია ტორსთან მიმართებით. მათ აქვთ მოგრძო კისერი, ფართოდ დაღებული, ეშვებიანი, მყეფარე ხახა, რითაც ხაზგასმულია მათი აგრესიული ხასიათი. ტორსი უძრავადაა დაყენებული და ნატურალისტურ-სქემატურადაა მოდელირებული. მიუხედავად ექსპრესიული, მყეფარე პოზისა, ქანდაკებები მაინც სტატიკურია. ნაწილობრივი სტილიზაციის გამო I ჯგუფის II ქვეჯგუფში მოვათავსეთ [Техов 1980: ტაბ. 58, ნახ. II₁; ტაბ. 59₅; ტაბ. 94, ნახ. III₁₄; ტაბ. 62₆; Техов 1957: ტაბ. VII₁; ტაბ. XII₁].

I ჯგუფის II ქვეჯგუფში გავაერთიანეთ ძაღლის საკიდი ქანდაკება ბრილიდან (ტაბ. II₄). ფიგურა საკმაოდ რეალისტურია, თავი ტანის პროპორციულია. მოტრიალებული თავი და ოდნავ ზეანეული წინა ფეხი კი გამოსახულებას შინაგან დინამიზმს ანიჭებს. მყეფარე, ფართოდ დაღებული ხახა ექსპრესიულობას უსვამს ხაზს და მეტად გამომსახველს ხდის ძაღლის სტატიკურ ფიგურას. აღსანიშნავია, რომ თავის მოტრიალებით სივრცობრიობის, მესამე განზომილების ელემენტი შემოაქვს მოქანდაკეს, რაც მის შემოქმედებით ინდივიდუალიზმზე და ნიჭიერებაზე მიუთითებს. ძაღლის ეს ფიგურა არა მარტო პროფილიდან, არამედ რაკურსიდანაც სრულყოფილად აღიქმება [გობეჯიშვილი, ჯაფარიძე 1959: ტაბ. XIV₂]. მსგავსად არის მოდელირებული მწოლიარე ძაღლის საკიდი ქანდაკება ყობანიდან (ტაბ. II₅), მაგრამ ბრილის ძაღლის ფიგურასთან შედარებით, უხეში ნამუშევარია, ტორსი უფრო სქემატურია და კიდურებიც არ არის დეტალურად დამუშავებული, თუმცა გამომსახველობა არც ამ ფიგურას

აკლია [Уварова 1900: ტაბ. XXXV₁₆]. ეს გამოსახულებაც I ჯგუფის II ქვეჯგუფში მოვათავსეთ.

მეტად საინტერესოაა მოდელირებული მგელ-ძაღლის უაღრესად ექსპრესიული ფიგურა მარტაზიდან (ტაბ. II₆). მას მოგრძო ტორსთან შედარებით დისპროპორციულად დიდი თავი აქვს. გამოსახულია მყეფარე პოზაში, ფართოდ დაღებული პირითა და დაცქვეტილი ყურებით, მოგრძო კუდი ბოლოში აწეულია. ბეჭი და გავა მოცულობითი პლასტიკური მასებით არის აქცენტირებული, წელი კი ვიწროა. თავი წინ მიმართული აქვს. ფიგურა სტატიკურია, თუმცა ძლიერ ექსპრესიული და გამომსახველი [საქართველოს ეროვნული მუზეუმის სანაძურთან 2009: 26, ნახ. 5]. ეს ქანდაკებაც I ჯგუფის II ქვეჯგუფში მოვათავსეთ.

მსგავსი ექსპრესიული, მყეფარე მგელ-ძაღლის ფიგურები ცნობილია სომხეთიდან – აირუმის განძიდან (ტაბ. II_{7,8,9}). სულ 12 ცალი. მათგან ნაწილი საკიდებია, ზურგზე რკალით, ხოლო ზოგი კი უბრალოდ ფიგურებია. განძის დაფვლის თარიღია ძვ.წ. VI-V სს, თუმცა შესაძლოა ეს ფიგურები უფრო ადრინდელი იყოს [Есаян, Мнацаканян 1970: 168, ნახ. 4₁₋₆; ნახ. 5_{1,3,5,7,9,11}]. ფიგურები შედარებით ზემოგანხილულებთან, უფრო გეომეტრიზებული და სქემატურია, თუმცა მეტად ექსპრესიული და გამომსახველი. გავაერთიანეთ I ჯგუფის II ქვეჯგუფში.

I ჯგუფის II ქვეჯგუფში გავაერთიანეთ ძაღლის ქანდაკებები, რომლებიც სხვადასხვა ნივთებზეა მოთავსებული. მაგალითად, მოგრძო მართკუთხა აბზინდაზე ციხედი-დისხვეიდან მოცემულია ძაღლის ქანდაკება (ტაბ. II₁₀), რომელსაც აქვს გრძელი, მასიური კისერი და ტორსთან შედარებით დიდი, სტილიზებული თავი, ფართოდ დაღებული მყეფარე ხახა და დაცქვეტილი ყურები [Апакидзе и др. 1987: ტაბ. LXXVII₃], ტორსი კი სტატიკურია და ნატურალისტურად მოდელირებული. I ჯგუფის II ქვეჯგუფში მოვათავსეთ ძაღლის მყეფარე ფიგურა, რომელიც ჩეგერმესის სამაროვიდან მომდინარე ბრინჯაოს ბალთაზეა წარმოდგენილი (ტაბ. II₁₁). თავ-კისერი სტილიზებულია, აქვს ფართოდ დაბჩენილი მყეფარე ხახა, დინგისებური დრუნჩი. საკმაოდ ექსპრესიული ფიგურაა. ტორსი თხელია, წინა ფეხები სქემატური, ხოლო უკანა ფეხების სახსრები მკვეთრად პროფილირებულია. ეს გამოსახურებაც ნაწილობრივ სტილიზებულია.

I ჯგუფის II ქვეჯგუფში მოვაქციეთ აგრეთვე სოფ. რენეში აღმოჩენილი ცენტრალურ-

ამიერკავკასიური ცულის ყუაზე მოთავსებული ძაღლის ქანდაკება, რომელიც ცულთან ერთადაა ჩამოსხმული (ტაბ. II₁₃). ძაღლის სკულპტურა მუცლით უერთდება ცულის ყუას. ცხოველის თავი, ტანთან შედარებით, დისპროპორციულად დიდია, ხახადაღებული, ყურდაცქვეტილი, კისერი ტლანქი, ტანი სწორი და წაგრძელებული, მოგრძო დაშვებული კუდი კი ბოლოში აწეული. ტორსის კუნთები არ გამოიკვეთება. ცულის პირიცა და ტარიც გეომეტრიული ორნამენტიტაა შემკული [ირემაშვილი 1975: 65].

I ჯგუფის II ქვეჯგუფში მოვათავსეთ აგრეთვე ძაღლის ქანდაკებები, რომლებიც კონუსურ ბალთებზეა წარმოდგენილი (ტაბ. II_{15,16}). ნივთები ააგსტიდანაა. ერთი ფიგურა ყალყზე დგას, ხოლო მეორე ჩაცუცქულია [Лукин 1941: ტაბ. 1₅]. ფიგურების თავ-კისერი სტილიზებულია, ტორსი კი, ნატურალისტურად არის შესრულებული. ექსპრესიულ მყეფარე პოზაშია.

ამავე ქვეჯგუფში გავაერთიანეთ თლიას სამაროვნის № 23ა სამარხიდან მომდინარე ხელის ფორმის აბზინდაზე წარმოდგენილი ძაღლის ქანდაკებაც (ტაბ. II₁₂). „ხელზე“ წევს პირდაბჩენილი და ყურებდაცქვეტილი მყეფარე ძაღლი, რომელსაც ტორსთან შედარებით საკმაოდ სტილიზებული და უტრიზებული თავი აქვს, ტორსი კი ნატურალისტურადაა მოდელირებული [Техов 1980: ტაბ. 39₅]. I ჯგუფის II ქვეჯგუფში მოვათავსეთ ასევე ყობანიდან მომდინარე ხელის ფორმის გრძელ საკიდზე განლაგებული ორი ძაღლის ქანდაკებაც, რომლებიც მყეფარე, აგრესიულ პოზაში ერთმანეთის მიყოლებითაა მოცემული (ტაბ. II₁₄). მათი თავები სტილიზებულია, ტორსი – ნაკლებად [Уварова 1900: XXX₈]. ყობანიდანაა ხელის ფორმის მეორე საკიდი, რომელზეც ძაღლის ქანდაკებაა წარმოდგენილი (ტაბ. II₁₇), ზემოგანხილულთა მსგავსია, თუმცა უხეში, ტლანქი ნამუშევარია და უფრო სქემატური [Chantre 1986: ტაბ. XI₁₁]. I ჯგუფის II ქვეჯგუფში მოვათავსეთ.

II ჯგუფში გავაერთიანეთ ძაღლის ის სკულპტურული გამოსახულებები, რომლებიც ძლიერ სტილიზებული, სქემატური და გეომეტრიზირებულია. მათი უმეტესობა ბრტყელი და ორნამენტირებულია. ძაღლის ფიგურები დეფორმირებულია, ხოლო პროპორციები დარღვეული. ისინი რომელიმე საგანზე არიან მოთავსებულები და მის შემკულობას წარმოადგენენ.

II ჯგუფის ზოგიერთი გამოსახულება

პოზით, ტორსისა და კიდურების მოდელირებით I ჯგუფის გამოსახულებებს ემსგავსება. მათ შენარჩუნებული აქვთ ერთგვარი პროპორციულობა და ფიგურატულობა. ამგვარი ფიგურები გავაერთიანეთ II ჯგუფის I ქვეჯგუფში. მათგან უმეტესი ბრტყელი, რელიეფური გამოსახულებაა და ნივთის დეკორს წარმოადგენს, აქვთ ორი ფეხი, ან მხოლოდ თავებით არის გადმოცემული. დიდ მსგავსებას ავლენენ ძაღლის გრაფიკულ გამოსახულებებთან. მაგალითად, ძაღლის გამოსახულებიანი ბრინჯაოს ფიბულა სვანეთიდან (ტაბ. III₁). პირდაღებული ძაღლის ეს ბრტყელი და სტილიზებული ფიგურა ფიბულის რკალის გაგრძელებას წარმოადგენს, ხოლო დაგრძელებული წინა კიდური შესაკრავ ბუდეს უერთდება. მთლიანობაში ფიგურა სქემატურია, უტრირებულია თავ-კისერი, ტორსი კი წვრილი და სტატიკურია. სათანადოდაა შეხამებული ნივთის ფორმასთან და მის დეკორს წარმოადგენს. შემკულია გრაფიკული დეკორით [Уварова 1900: 355, ნახ. 282], რითაც ძაღლის გრაფიკულ გამოსახულებებს ემსგავსება. მოვათავსეთ II ჯგუფის I ქვეჯგუფში.

სვანეთის ფიბულის მსგავსად არის მოდელირებული ძაღლის ბრტყელი ქანდაკება, რომელიც ჩრდილო იტალიიდან (ბერვენუტი, № 12 კრემაციული სამარხი) არის ცნობილი (ტაბ. III₂), დათარიღებულია ძვ.წ. VII ს-ით [Eles Masi 1986: 244, ტაბ. 189₂₅₃₆]. ძაღლის გამოსახულება ბრინჯაოს ფიბულის რკალზეა წარმოდგენილი. აგრეთვე მსგავსია შესრულების მანერაც და ნივთზე ფიგურის მოთავსებაც, თუმცა ფიბულის შესაბნევი ბუდე აქ დაგრძელებულია.

მეტად საინტერესოა ბრინჯაოს ძაღლის ქანდაკება ყობანიდან (ტაბ. III₃), რომელიც ან საკიდია, ან საკინძის თავი [Curtis, Kruszyński 2002: 40, ნახ. 117]. მას თავი უკან აქვს შებრუნებული, რის გამოც კომპოზიცია S-ის ფორმას იღებს. გამოსახულება სტილიზებულია, პოზა კი ტრადიციული, დაღებული პირითა და დაცქვეტილი ყურებით. აღვნიშნავთ, რომ თავმობრუნებული ძაღლის ქანდაკებები კავკასიურ მასალაში მეტი არ შეგვხვედრია. ეს ერთადერთია. ფეხები და კუდი მოტეხილი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ თავი უკან აქვს მობრუნებული, მაინც სიბრტყობრივია, რადგან მოდელირება ერთ სიბრტყეშია განხორციელებული. სიბრტყობრივ-გეომეტრიზირებულია. გამოირჩევა კუთხოვანი დრუნჩითა და სამკუთხა ყურებით. აქვე აღვნიშნავთ უკან თავმობრუნებულ ძაღლის ქანდა-

კებას, რომელიც ჩრდილოეთ იტალიიდან (ჩიაკრიდან, № 67 სამარხი) მომდინარე (ტაბ. III₄) ფიბულაზეა მოცემული, დათარიღებულია ძვ.წ. VII ს-ით [Eles Masi 1986: 244, ტაბ. 189₂₅₄₁]. გამოსახულება ასევე სიბრტყობრივ-გეომეტრიულია, თუმცა კომპოზიციას S-ის ფორმა არ გააჩნია. ზემოგანხილულ ეგზემპლართან შედარებით, უფრო არქაულ შთაბეჭდილებას ტოვებს.

II ჯგუფის I ქვეჯგუფში მოვათავსეთ აგრეთვე ყობანში აღმოჩენილ ბრინჯაოს აბზინდაზე გამოსახული წყვილი ძაღლისებური ცხოველის ფიგურა, რომლებიც პირისპირ, ყალყზე დგანან და ერთმანეთს წინა თათებით ეხებიან. გამოსახულებები ბრტყელია და შემკულია გრაფიკული დეკორით. ფიგურები სტილიზებულია. აქვთ კუთხოვანი, წანვეტილებული დრუნჩი, ფართოდ დაღებული პირი (მყეფარე პოზაშია) და S-ის ფორმაზე აგებული ტორსი (ტაბ. III₅). ფიგურების მოდელირებით გრაფიკულ გამოსახულებებს ემსგავსებიან [Уварова 1900: ტაბ. XXII₁].

წყვილი პირღია ცხოველის ბრინჯაოს ქანდაკებები, რომლებიც ერთმანეთის პირისპირ, ყალყზე დგანან და ზედა კიდურებით ეხებიან, ცნობილია ლურისტანიდანაც (ტაბ. III₆). დათარიღებულია ძვ.წ. X-VIII სს. [Bronzes du Luristan 2008: 180-181, ნახ. 174-175]. ამავე კონტექსტში საყურადღებოა ძაღლის, ერთმანეთის პირისპირ მოცემული წყვილი თავი ბრინჯაოს სატევრის ტარზე ყობანიდან (ტაბ. III₇). ლურისტანული და კავკასიური ზემოგანხილული მაგალითები ერთმანეთს ემსგავსება მხოლოდ ფიგურების კომპოზიციური წყობითა და ზოგადად აზროვნებით, რადგან კავკასიური მასალები-სათვის დამახასიათებელია თავისებური, თვითმყოფადი სტილი, რაც მათ სხვა თანადროული, თუნდაც მსგავსი გამოსახულებებისაგან, უთუოდ გამოარჩევს. ბრინჯაოს სატევარი ბრიტანეთის მუზეუმიდანაა [Curtis, Kruszyński 2002: 10, ნახ. 1].

აქვე აღვნიშნავთ ყობანში აღმოჩენილ ნახევარწრიულ ბრინჯაოს აბზინდაზე მოცემულ ორი ძაღლის რელიეფურ ფიგურას, რომლებიც ღია პირებით ეხებიან ერთმანეთს (ტაბ. III₈). ფიგურები დისპროპორციულია, სტილიზებულია და სქემატური [Chantre 1986: ტაბ. XI₈], ნივთის დეკორს წარმოადგენს და ხაზს უსვამს მის დეკორატიულ ხასიათს. ნივთი მთლიანადაა დაფარული ჩაჭრილი გეომეტრიული ორნამენტით. გამოსახულებები გავაერთიანეთ II ჯგუფის I ქვეჯგუფში. კომპო-

ზიციური აგებულებით ზემოგანხილულთა მსგავსია, თუმცა დეკორატიულობა აქ წინ არის წამონეული.

II ჯგუფის I ქვეჯგუფში მოვათავსეთ ყობანიდან მომდინარე ბრინჯაოს ცულისებური საკინძის თავზე მოთავსებული ძაღლის სამი სკულპტურული თავი (ტაბ. III₉). თავები სტილიზებულია და ყობანურ აბზინდაზე (ტაბ. III₉) გამოსახული ძაღლის თავების მსგავსია, ფართოდ დაღებული პირით, დაგრძელებული ნვეტიანი ზედა ტუჩითა და დაცქვეტილი ყურებით [Уварова 1900: 52, ნახ. 51]. ცულის პირი შემკულია ორი ძაღლის გრაფიკული გამოსახულებითა და გეომეტრიული ორნამენტით.

II ჯგუფის II ქვეჯგუფში გავაერთიანეთ ძაღლისა თუ მგლის ისეთი მწოლიარე მთლიანი ფიგურები, ან მათი თავები, რომლებიც ძლიერ სტილიზებული ან გეომეტრიზირებულია. ყველა მათგანს აქვს ფართოდ გაღებული, დაკრეჭილი, ეშვებიანი პირი და დაცქვეტილი ყურები. მაგალითად, კოლხური ცულების ყუაზე მწოლიარე ცხოველების მთლიანი ფიგურები (ტაბ. IV_{1,2,3,4,5,6}), რომლებიც მომდინარეობენ: 1. ბარონ დე-ბაის კოლექციიდან, კავკასია [Hancár 1935: ტაბ. VI₁]; 2. თლიას სამაროვნის № 51 სამარხიდან [Texov 1981: ტაბ. 53₂]; 3. თლიას სამაროვნის № 41 სამარხიდან [Texov 1985: ტაბ. 104₁]; 4. ფასკაუდან [Скаков 1999: ტაბ. 135, ნახ. 7]; 5. ნალვლიდან [ფანცხავა 1988: ტაბ. XII₃]; 6. პერევიდან [ქორიძე 1965: 35, სურ. 26].

ყველა ცხოველი პირდაღებული და დაღრენილია, გარდა პერევის განძის ცულის ყუაზე გამოსახული ცხოველისა (ტაბ. IV₆). ფიგურები მაქსიმალურად გეომეტრიზირებული და სტილიზებულია, სათანადოდ ეხამება ცულის ყუის მართკუთხა ფორმას. ყველა ცულის ყუაზე მთლიანი ფიგურებია, მხოლოდ თლიას № 41 სამარხიდან მომდინარე ცულზეა წყვილი, ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული წყვილი თავი (ტაბ. IV₃).

II ჯგუფის II ქვეჯგუფში მოვათავსეთ აგრეთვე თლიას სამაროვნის № 254 სამარხიდან მომდინარე კვერთხისთავი, რომელიც სამი ძაღლისებური თუ მგლისებური ცხოველის სტილიზებული თავისაგან შედგება (ტაბ. IV₉). თავები ბრუნვის პრინციპზეა აგებული და ერთმანეთთან კისრებითაა შეერთებული [Texov 1980: ტაბ. 108₉]. შუაში ტარის დასაგები დიდი ნახვრეტი აქვს. ცხოველებს ხახა დაღებული აქვთ, კბილები და ეშვები მკაფიოდ გამოკვეთილი, რითაც მათი აგრესიული

ხასიათია აქცენტირებული. ცხოველის თავები გეომეტრიზირებულია და კვერთხის დეკორს წარმოადგენს. საკმაოდ ექსპრესიული და გამომსახველი თავებია. შემკულია გრაფიკული ორნამენტით.

II ჯგუფის II ქვეჯგუფს მივაკუთვნეთ თლიას სამაროვნის № 317 სამარხში აღმოჩენილი კვერთხის თავი, რომელიც ძაღლისებური (თუ მგლისებური) ცხოველის თავის სკულპტურული გამოსახულებითაა შემკული. ცხოველის თავი პირლია და ყურდაცქვეტილია. მეტად სტილიზებულ-სქემატური და გეომეტრიზირებულია, შემკულია გრაფიკულად, მცირე ნრეებით (ტაბ. IV₁₀). აქვს ნვეტიანი, ზემოთ ანეული დრუნჩი და დაღრენილი ეშვებიანი ხახა [Texov 1980: ტაბ. 135₃]. მთლიანობაში ზემოგანხილულთა მსგავსია, თუმცა კომპოზიცია უფრო სქემატურია და მშრალი.

ამავე ქვეჯგუფში განვიხილავთ კბილებ-დაკრეჭილ და ყურებდაცქვეტილ ძაღლის სკულპტურულ თავს, რომელიც საკიდა, კისერში საკიდი რგოლით (ტაბ. IV₇). ნივთი ყობანიდანაა [Уварова 1900: ტაბ. XXXVII₁]. გამოსახულება კიდევ უფრო გეომეტრიზირებული და სქემატურია, თუმცა გამომსახველობა შენარჩუნებული აქვს.

ბრინჯაოს იარაღის ყუის შემკობა ცხოველის ქანდაკებით ცნობილია ლურისტანის მასალიდანაც. მაგალითად, ორი ალებარდი ლურისტანიდან (ტაბ. IV₈), რომელთაგან ერთი ბრინჯაოსია [Bronzes du Luristan 2008: 88, სურ. 32], ხოლო მეორეს ყუა ბრინჯაოსი, ხოლო პირი რკინისა აქვს [Bronzes du Luristan 2008: 91, სურ. 34]. დათარიღებულია ძვ.წ. IX-VIII სს-ით. ამ ნივთებზე ცხოველის (ლომის) ფიგურები უფრო რეალისტურადაა მოდელირებული, გავა და მკერდი მოცულობითი პლასტიკური მასებითაა აღნიშნული, თუმცა ფიგურათა აღქმა პროფილიდან ხორციელდება ისე, როგორც კოლხური ცულების ყუაზე მოცემული ფიგურებისა. მთლიანობაში ლომის ფიგურები მაინც გეომეტრიული იერის მატარებელია. განსაკუთრებით რკინისპირიან ალებარდის ყუაზე მოთავსებული ცხოველია უფრო გეომეტრიზირებული და ოდნავ სქემატურიც.

II ჯგუფის II ქვეჯგუფში გავაერთიანეთ მეტად სტილიზებული სკულპტურული თავები, რომლებითაც ბრინჯაოს სატევარისმაგვარი საკიდებია შემკული (ტაბ. IV_{11,12,13}). მათ აქვთ მკვეთრად დაღებული პირი, დაკრეჭილი კბილები, დაცქვეტილი ყურები და ანეული გრძელი

ზედა ტუჩი. თავები გეომეტრიზირებულია და მოდელირებით ზემოგანხილული თავების მსგავსია. ისინი აღმოჩენილია: ნითელი შუქურა [Трапш 1969: 126, ტაბ. XX₇], ცალი მხარე ძაღლის გრაფიკული გამოსახულებითაა შემკული, მეორე კი – თევზისა (11); ერგეტა 2, სამარხი-ორმო № 6 [პაპუაშვილი 2003: ტაბ. V₁] (12); ყულევი [Georgien 2001: 69] (13), ორი ეგზემპლარი – სამკუთხედებითაა შემკული; ასეთივე საკიდები ცნობილია დღვაბადან, № 2 სამარხი [Микеладзе и др.... 1995: ტაბ. 56₇]; ასევე ერგეტას № 2 ორმოდან [Микеладзе и др.... 1987: ტაბ. L₂]. აღნიშნული სამარხებიდან სულ 30-მდე ამგვარი საკიდია მოპოვებული.

II ჯგუფის III ქვეჯგუფში მოვათავსეთ მეტად სტილიზებული და სქემატური ძაღლის ქანდაკებები, რომლებიც მაქსიმალურად გეომეტრიზირებულია, ისინი, ფაქტობრივად, გეომეტრიული ფორმების ერთობლიობას წარმოადგენენ და ნივთის ორნამენტს უფრო გვანან, ვიდრე ძაღლის ფიგურებს, თუმცა ცხოველის გარჩევა ჯერ კიდევ შესაძლებელია.

მაგალითად, ბრინჯაოს საკიდი კავკასიიდან (ტაბ. V₁), რომელიც ძაღლის ფიგურის ნახევარია მკერდამდე [Curtis, Kruszyński 2002: 34, 108]. თავი და წინა კიდურები ერთმანეთზეა მიბჯენილი ისე, რომ გამოსახულება მარყუჟისებრად შეკრული ოვალის ფორმას იღებს, თუმცა ნათლად განირჩევა, რომ ძაღლის ფიგურას დაცქვეტილი ყურები და მართკუთხა დამუწული პირი აქვს, შემსხვილებული მართკუთხა დრუნჩით. ძაღლის მსგავსი ფიგურებით ყოფილა დაბოლოებული აგრეთვე ბრინჯაოს სპირალი თლიას სამაროვნის № 217 სამარხიდან (ტაბ. V₂). შესრულებულია გეომეტრიული ფორმების შეერთებით. მართკუთხა თავი მორკალული კისრით უშუალოდ შეერთებულია ასევე მორკალულ წინა კიდურთან, რომელიც დაღებულ პირს ებჯინება [Техов 1980: ტაბ. 94₁₃]. ტორსიც მართკუთხა ფორმისაა. გავაერთიანეთ II ჯგუფის III ქვეჯგუფში.

უფრო მეტად არის გეომეტრიზირებული და სტილიზებული თლიას სამაროვნის № 37 სამარხიდან მომდინარე ბრინჯაოს საკინძზე მოცემული ძაღლის თავ-ფეხის სკულპტურული გამოსახულება (ტაბ. V₃). ტრაპეციის ფორმის დრუნჩი მორკალული კისრითა თუ ტორსით უშუალოდ უერთდება ასევე მორკალულ ფეხს [Техов 1980: ტაბ. 43₇]. მომცრო, აცქვეტილი ყურები აქვს, ხოლო გაღებული პირი – დაღრენილი და ეშვებიანი. ამ შემთხვევაში

კომპოზიცია გახსნილ წრეზეა აგებული. გავაერთიანეთ II ჯგუფის III ქვეჯგუფში. მსგავსი ძაღლის გამოსახულებით შემკული საკინძი თლიას სამაროვნის № 208 სამარხიდანაცაა ცნობილი (ტაბ. V₄). კომპოზიცია შეკრულ რკალზეა აგებული [Техов 1980: ტაბ. 90₄]. მსგავსად არის მოდელირებული ძაღლის მორკალული ფიგურა, რომლითაც შემკულია საკინძი ჩითახევის № 37 სამარხიდან. ფიგურას აქვს სტილიზებული, მართკუთხა თავი, სამკუთხა ყბები და ასევე სამკუთხა დაცქვეტილი ყურები (ტაბ. V₅). ჩაჭრილი ხაზით ორივე ფეხია მინიშნებული. კომპოზიცია გახსნილ რკალზეა აგებული და მკვეთრად გეომეტრიზირებულია, თუმცა ძაღლის ტრადიციული პოზა განირჩევა: დაბჩენილი ხახა და დაცქვეტილი ყურები [Georgian 2001: 303, 153]. მოვათავსეთ II ჯგუფის III ქვეჯგუფში. ზემოაღწერილი ყველა ნივთი ორნამენტიზირებულია და ნივთის დეკორს უფრო წარმოადგენს.

საინტერესოა ბრინჯაოს საკინძი ლურის-სტანიდან (ტაბ. V₆). ნივთი დაბოლოებულია წრით, რომელზეც წყვილი ძაღლის ფიგურა ერთმანეთის პირისპირაა წარმოდგენილი. ძაღლებს აქვთ გაღებული პირი, დაცქვეტილი ყურები და ბოლოში ანეული კუდი. ფიგურები მკვეთრად ორნამენტული ხასიათისაა, საკინძის დეკორია და გეომეტრიული ფორმების ერთობლიობას წარმოადგენს. ვფიქრობთ, კომპოზიციური აზროვნებითა და ფიგურების მოდელირებით ზემოგანხილულთა მსგავსია. დათარიღებულია ძვ.წ. 1150-800-750 წლებით [Bronzes du Luristan 2008: 138-139, 128].

II ჯგუფის III ქვეჯგუფში განვიხილავთ ძაღლის საკიდ ქანდაკებას (ტაბ. V₇) ყაზბეგიდან [Уварова 1900: 148, ნახ. 129]. ბრინჯაოს ეს მცირე, ბრტყელი და ჭვირული ქანდაკება, ა. მილერის აზრით, მორბენალი მწევარია, [Миллер 1922: 303], ხოლო პ. უვაროვას ის ფეხებჩაკეცილი ცხოველი გონია [Уварова 1900: 142, 148]. გამოსახულება მკვეთრად სტილიზებული, გეომეტრიზირებული და ორნამენტიზირებულია, თუმცა ფიგურატულობა ჯერ კიდევ შენარჩუნებულია.

სტილიზაციისა და გეომეტრიზაციის პროცესი გაღრმავებული ჩანს ყაზბეგიდან მომდინარე, კიდევ ერთ, ზემოგანხილულის მსგავს საკიდ ქანდაკებაზე [Уварова 1900: 142, ტაბ. LXVIII₄], რომელსაც პირობითად თუ ვუნოდებთ ძაღლს, რადგან მთლიანობაში ფიგურა გეომეტრიულ ორნამენტს უფრო გავს, ვიდრე ცხოველის

გამოსახულებას (ტაბ.V₉). გავაერთიანეთ II ჯგუფის IV ქვეჯგუფში.

II ჯგუფის IV ქვეჯგუფში გვაქვს აგრეთვე ფასანაურის განძიდან მომდინარე კოლხური ცულის ყუაზე მოცემული ოდესღაც „ცხოველის“ გაურკვეველი ფიგურა (ტაბ. V₉), რომელიც უკვე გეომეტრიულ ორნამენტად არის გადაქცეული [ჯაფარიძე 2003: ტაბ. C₃].

ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ნიმუშებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პროფილში სამკუთხა მოყვანილობის საკიდი ყობანიდან (ტაბ.V₁₀). ფიგურას თავი ძალისა, ხოლო ტანი და კუდი კი – ფრინველისა აქვს [Curtis, Kruszyński 2002: 16, ნახ.18]. სინკრეტული გამოსახულებები, როცა სხვადასხვა ცხოველი (ძაღვი, ირემი, ცხენი და სხვ.) ცალკეული მორფოლოგიური ნიშნებით ერთ სახეში ერთიანდება, კოლხურ გრაფიკულ ხელოვნებაში საკმაოდ ხშირია, ქანდაკებაში კი – ძალზე იშვიათი. ყობანის მასალებში ასეთი სინკრეტული გამოსახულება კიდევ ერთი ცნობილი [Curtis, Kruszyński 2002: 16, ნახ.17]. ჩვენი აზრით, ამგვარი, ირეალური გამოსახულებები, თავისი არსით, უკვე „ფანტასტიკური ცხოველია“, ხოლო ჩვენ შემთხვევაში ძაღლისა და ფრინველის ერთ გამოსახულებად წარმოდგენა შესაძლოა უკავშირდებოდეს ძველ ქართულ მითს, სადაც მითოლოგიური ძაღლი (ყურმა) ფრინველის (ორბისა თუ ზღაპრული ფასკუნჯის) შვილადაა მიჩნეული [აბაკელია 1997: 60].

როგორც მოტანილი გამოსახულებების აღწერილობიდან და საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, I და II ჯგუფებში გაერთიანებული ძაღლისა თუ მგელ-ძაღლის ქანდაკებათა შორის საგრძნობი განსხვავებები შეინიშნება, როგორც ორივე ჯგუფში, ისე ქვეჯგუფის ფარგლებში. არც ერთი გამოსახულება იდენტური არ არის, რაც, ჩვენი აზრით, განპირობებული იყო ერთის მხრივ, ამა თუ იმ სახელოვნებო ცენტრის ტრადიციებითა და მოქანდაკის ინდივიდუალური შემოქმედებითი შესაძლებლობებით, ხოლო მეორე მხრივ, მცირე ქანდაკებების შექმნის მეტად რთული ტექნოლოგიით. როგორც ცნობილია, ქანდაკებები მზადდებოდა ყალიბის დაკარგვის წესით [გობეჯიშვილი, ჯაფარიძე 1959: 219-220], ახალი ყალიბის მომზადებისას კი, ძველის ზუსტი გამეორება შეუძლებელია იქნებოდა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ აღნიშნული ცხოველის სკულპტურული გამოსახულებების იდეურ-მხატვრულ და სპეციფიკურ ნიშანთა ერთობლიობას, აშკარაა,

რომ საქმე გვაქვს მხატვრული აზროვნების ერთიან სტილთან. სტილი კი ყალიბდება საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როგორც მხატვრული აზროვნების გამოხატვის თავისებურებათა სისტემა, სადაც ასახულია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების, სახელოვნებო სკოლისა თუ ცალკეულ შემოქმედთა დამახასიათებელი გამომსახველობითი ხერხების ერთობლიობა, რაც განპირობებულია მათი დამოკიდებულებით არსებული იდეოლოგიისადმი, საზოგადოებრივისტორიული მოვლენებისადმი და შესაბამისი დროის მოთხოვნებისადმი.

გვიანბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანის კოლხური და ზოგადად კავკასიური ზოომორფული (ჩვენ შემთხვევაში ძაღლის) ქანდაკებების შესრულების სტილი არის გეომეტრიულ-სიბრტყობრივი და მიუხედავად ფორმათა მრავალფეროვნებისა, ამ სტილის ფარგლებს არც ერთი სკულპტურული გამოსახულება არ სცილდება. ძაღლის ქანდაკებები ორივე ჯგუფში მეტ-ნაკლებად გეომეტრიული, შებრტყელებული ფორმებითაა მოდელირებული. მიუხედავად იმისა, რომ მრგვალი ქანდაკებებია, მათი გააზრება მაინც სიბრტყიდან ხორციელდება. გააჩნიათ ხედვის ერთი წერტილი და საესებით სრულყოფილად აღიქმებიან პროფილიდან, ფრონტალურად. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძაღლის მომცრო ქანდაკებების შემოქმედი საზოგადოებისა თუ ცალკეულ ხელოსანთა მხატვრული აზროვნება ორგანოზომილებიანი იყო.

რაც შეეხება I და II ჯგუფებში გაერთიანებული ძაღლის ქანდაკებებს შორის არსებულ განსხვავებებსა და თავისებურებებს, ეს გამოწვეული იყო დროთა განმავლობაში არა სტილის, არამედ შესრულების მანერის განვითარება-ცვლილებით, რომელიც წარიმართა ნატურალისტურ-სქემატურიდან სქემატურ სტილიზაციამდე, პლასტიკური ფორმების სრულ გეომეტრიზაციამდე, რაც ძაღლის ქანდაკებების ფორმის მართკუთხა, სამკუთხა, რკალისებური თუ წრიული ელემენტებით მოდელირებას გულისხმობდა. ფინალურ ეტაპზე კი, მთლიანად დომინანტური გახდა დეკორატიული საწყისი, რაც მოცულობითი ფორმის საბოლოოდ ორნამენტად გარდაქმნას ნიშნავდა.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი გაერთიანებული მასალების მიმოხილვისას, ფართოდ ვიყენებთ

პარალელებს მთელი კავკასიის მასშტაბით, სადაც საკუთრივ კოლხური კულტურის გავრცელების ფარგლები საკმაოდ ვრცელი იყო. რაც შეეხება ნაშრომში მოტანილ პარალელურ მასალას ლურისტანიდან და ჩრდილოეთ იტალიის მთიანეთიდან (ეს უკანასკნელი ჰალშტატის კულტურის გავრცელების არეალში შედიოდა), მათსა და კოლხურ მასალას შორის გენეტიკური კავშირის შესახებ დღეს შორს-მიმავალი დასკვნების გაკეთება გაგვიჭირდება. ამ ურთიერთობათა მომავალი კვლევა რომ უაღრესად მნიშვნელოვანი და პერსპექტულია, კარგად გამოჩნდა ნ. სულავას ნაშრომიდანაც, სადაც აღნიშნულ საკითხს სათანადო ყურადღება მიექცა [სულავა 2010: 154-159].

THE STATUETTES OF DOGS ON THE COLCHIAN ARTIFACTS
Summary

The article refers to the statuettes of dogs on the artifacts of Colchian-Koban Culture. The typological classification of these statuettes, allocation and characterization of groups, stylistical-compositional analysis, clearing the sequence of formation and development of animal statuettes and artistic-stylistic analysis is the goal of the article.

According to the manner of fulfillment the statuettes belong to two groups. The naturalistic statuettes belong to the group 1 and the stylized or geometrized statuettes to the group 2. According to the modeling of the figure some varieties can be seen in each group. Based on these varieties, the groups were divided into subgroups: 1st group into two subgroups, and the second one into four.

The style of designing of the dog statuettes is named by us the Geometric-Planned Style. It is notable that in spite of the diversity of shapes all statuettes are processed according the rules of this style. As for differences and some peculiarities of the artifacts belonging to groups 1 and 2, we think they were caused by the developing and changing the manner of processing and was changing from naturalistic- schematic to schematic stylization and full geometrization of plastic shapes. On the final stage the decorative beginning became predominant, what finally meant changing the dimensional form by the ornament.

ლიტერატურა

- აბაკელია ნ. 1997: სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბილისი.
- გობეჯიშვილი გ., ჯაფარიძე ო. 1959: ბრინჯაოსა და რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები. – ა. ავაქიძე (რედ.), საქართველოს არქეოლოგია, თავი III, 89-222. თბილისი.
- ეროვნული მუზეუმის საგანძურები 2009: ზ. სხირტლაძე (რედ.). თბილისი
- ირემაშვილი შ. 1975: პირველად არქეოლოგიაში. – ძმ, № 33, 64- 66.
- ლორთქიფანიძე ოთ. 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.
- მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ. 1984: შილდის სამლოცველო. თბილისი.
- პაპუაშვილი რ. 2003: ერგეტის II სამაროვნის № 6 სამარხი ორმო. – მილსადენის არქეოლოგია, ტ. II, 203-213. თბილისი.
- სულავა ნ. 2010: ბრინჯაოს ნივთებზე “ ფანტასტიკური” ცხოველების გამოსახულებების გავრცელების შესახებ. – ძიებანი, № 19, 154-159.
- ფანცხავა ლ. 1988: კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბილისი.
- ქორიძე დ. 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.
- ჯაფარიძე ოთ. 2003: საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი.
- Апакидзе и др... 1987: Археологические раскопки в Мцхета и её округе. – ПАИ, 1984-85, 47-51. Тбилиси.
- Доманский Я. 1984: Древняя художественная бронза в собрании Государственного Эрмитажа. Москва.
- Есян С.А., Мнацаканян А.О. 1970: Находки новых бронзовых статуэток в Армении. – СА, № 2, 157-168.
- Казиев С.М. 1949: Археологические раскопки в Мингечауре. – МКА, № 1, 9-47.
- Куфтин Б.А. 1949: Материалы к археологии Колхиды, I. Тбилиси.
- Лукин А.Л. 1941: Материалы по археологии Бзыбской Абхазии. – ТОИПКГЭ, 17-97.
- Микеладзе Т.К., Мигдисова Н.П., Папуашвили Р.П., Чубинишвили Н.Т. 1987: О работах Колхидской археологической экспедиции. – ПАИ, 1984-85 годах, 39-42.
- Микеладзе Т.К., Мигдисова Н.П., Папуашвили Р.П., Чубинишвили Н.Т. 1995: Колхидская экспедиция. – ПАИ, 1987 году,

- Миллер А.А. 1922:** Изображения собаки в древностях Кавказа – И. Орбели (ред.), ИРАИМК, т. II, 287-324. Петербург.
- Скаков А.Ю. 1999:** Орнаментированные топоры могильника Фаскау в Северной Осетии – Древности Северного Кавказа, 121-135. Москва.
- Техов Б.В. 1957:** Позднебронзовая культура Лиахвского Бассейна. Сталинир.
- Техов Б.В. 1980:** Тлииский Могильник, I. Тбилиси.
- Техов Б.В. 1981:** Тлииский Могильник, II. Тбилиси.
- Техов Б.В. 1985:** Тлииский Могильник, III. Тбилиси.
- Трапш М.М. 1969:** Древний Сухуми. Труды, II. Сухуми.
- Трапш М.М. 1970:** Памятники эпохи бронзы и раннего железа в Абхазии. Труды, I. Сухуми.
- Уварова П. 1900:** Материалы по Археологии Кавказа, VIII. Москва.
- Bronze du Luristan 2008:** Enigmes de l'Iran ancien III^e-I^{er} millénaire avant J-C. Paris.
- Chantre E. 1885:** Recherches anthropologiques dans le Caucase, I. Paris-Lyon.
- Chantre E. 1886:** Recherches anthropologiques dans le Caucase, II. Paris-Lyon.
- Curtis J., Kruszyński M. 2002:** Ancient Caucasian and Related Material in the British Museum. London.
- Eles Masi P. 1986:** Le fibule dell'Italia settentrionale, PBF, XIV, 5. München.
- Georgien 2001:** Schätze aus dem Land des goldenen Vlies. Bochum.
- Hančar Fr. 1935:** Probleme des Kaukasischen Tierstils. Wien.

ტაბულების აღწერილობა

I ჯგუფი: ტაბ. I-II – ძალის ბრინჯაოს ქანდაკებები:

ტაბ. I – 1-2. ბომბორას ველიდან, ძვ.წ. VIII-VI სს. [Лукин 1941: 24]; 3. კოლხური ცულის ყუაზე, ყულანურხვას სამაროვნიდან, ძვ.წ. VIII ს. [Трапш 1970: 123]; 4. ყობანიდან, ძვ.წ. VIII ს. [Уварова 1900: 361]; 5. კონუსურ სამკაულზე, ეშერას სამაროვნიდან, ძვ.წ. VI [Куфтин 1949:]; 6. სარიტუალო ნივთზე, გამდლიწყაროდან, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი [ლორთქიფანიძე 2002: 111]; 7-9. შილდის სამლოცველოდან, ძვ.წ. XIV-XII სს. [მაისურაძე, ფანცხავა 1984: 3]; 10. მინგეჩაურიდან, ძვ.წ. VII-V ს. [Казиев 1949: 29]; 11. პარავაკარიდან, ძვ.წ. VIII ს. [Есаян, Мнацаканян 1970: 161]; 12. საკინძის თავზე, თლიას სამაროვნის № 8 სამარხიდან, ძვ.წ. II- I ათასწლეულების მიჯნა [Техов 1957: 105]; 13. საკინძზე, ყობანიდან, ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე მეოთხედი [Доманский 1984: 48]; 14. სატევარზე ლურისტანიდან, ძვ.წ. IX-VII სს. [Bronze du Luristan 2008: 101]; 15. ფიბულაზე ჩრდილო იტალიიდან, ძვ.წ. VIII-VII სს. [Eles Masi 1986: 243-244].

ტაბ. II – 1-3, თლიას სამაროვნიდან, ძვ.წ. XII-X სს. [Техов 1980: 51]; 4. ბრილიდან, გვიან ბრინჯაოს ხანა [საქართველოს არქეოლოგია 1959: 129-155]; 5. ყობანიდან ძვ.წ. VIII ს. [Уварова П. 1900: 361]; 6. მარტაზიდან, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი [ეროვნული მუზეუმის საგანძურიდან 2009: 26]; 7- 9. აირუმის განძიდან, ძვ.წ. VI-V სს. [Есаян, Мнацаканян 1970: 168]; 10. აბზინდაზე, ციხედიდისხევიდან, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი [Апакидзе и др... 1987: 49]; 11. ბალთაზე ჩეგერმესიდან, თარილი უცნობია; 12. ხელის ფორმის აბზინდაზე, თლიას სამაროვნის № 23ა სამარხიდან, ძვ.წ. VII ს. [ფანცხავა 1988: 67]; 13. ცულის ყუაზე, რენედან, ძვ.წ. VIII-VII სს. [ირემაშვილი შ. 1975: 66]; 14, 17. ხელის ფორმის საკიდებზე ყობანიდან, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი [Доманский 1984: 69]; 15-16. კონუსურ ბალთებზე, ააგსტიდან, ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნა [Лукин 1941: 24].

II ჯგუფი: ტაბ. III-V – ძალის ბრინჯაოს ქანდაკებები:

ტაბ. III – 1. ფიბულაზე სვანეთიდან, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი [Доманский 1984: ილ. 165]; 2. ფიბულაზე ბენვენუტიდან (ჩრდ. იტალია), ძვ.წ. VII ს. [Eles Masi 1986: 244]; 3. ყობანიდან, ძვ.წ. VIII-VII ს. [Curtis, Kruszyński 2002: 40]; 4. ფიბულაზე ჩიავარიდან (ჩრდილო იტალია), ძვ.წ. VII ს. [Eles Masi 1986: 244]; 5. აბზინდაზე ყობანიდან, ძვ.წ. VIII ს. [Уварова 1900: 361]; 6. ლურისტანიდან, ძვ.წ. X-VIII სს. [Bronze du Luristan 2008: 181]; 7. სატევრის ტარის ყუაზე

ყოზანიდან, ძვ. წ VII ს. [Curtis, Kruszyński 2002: 10]. 8. ცულისებური საკინძის თავზე ყოზანიდან, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი [Доманский 1984: 44]; 9. ნახევარწრიულ აბზინდაზე ყოზანიდან, ძვ.წ. VIII ს. [Уварова 1900: 361].

ტაბ. IV – კოლხური ცულების ყუაზე: 1. დე-ბაის კოლექციიდან, კავკასია, ძვ.წ. VIII-VII ს. [Hančar 1935: 276-294]; 2-3, თლიას სამაროვნის № 51 და № 41 სამარხებიდან, ძვ.წ. VII-VI სს. [ფანცხავა 1988: 81]; 4. ფასკაუდან, ძვ.წ. VIII-VII ს. [Скаков 1999: 128]; 5. ნალვლიდან, ძვ.წ. VIII-VII სს. [Скаков 1999: 128]; 6. პერევიდან, ძვ.წ. VIII-VII სს. [Скаков 1999: 128]; 7. საკიდზე ყოზანიდან, ძვ.წ. VIII ს. [Уварова 1900: 361]; 8. ალეზარდზე ლურისტანიდან, ძვ.წ. IX-VIII სს. [Bronzes du Luristan 2008: 88, სურ. 32]; 9. კვერთხისთავზე თლიას № 254 სამარხიდან, ძვ.წ. VII-VI სს. [ფანცხავა 1988: 80]; 10. კვერთხისთავზე თლიას № 317 სამარხიდან, ძვ.წ. VIII-VII სს. [Техов 1981: 28]; სატევრისმაგვარ საკიდებზე: 11. ნითელი შუქურადან, ძვ.წ. VIII-VI სს. [Траш 1969: 175]; 12. ერგეტადან, ძვ.წ. VIII ს. [პაპუაშვილი 2003: 207]; 13. ყულევიდან, ძვ.წ. VIII-VII სს. [Georgien 2001: 69].

ტაბ. V – 1. საკიდზე კავკასიიდან ძვ.წ. VIII-VII სს. [Curtis, Kruszyński 2002: 40]; 2. სპირალის თავზე, თლიას სამაროვნის № 217 სამარხიდან, ძვ.წ. XI-X სს. [Техов 1980: 36-37]; 3-4. საკინძის თავებზე თლიას სამაროვნის № 37 სამარხიდან, ძვ.წ. XII-X სს. [Техов 1980: 51] და № 208 სამარხიდან, ძვ.წ. VIII ს. [ფანცხავა 1988: 68]; 5. საკინძის თავზე ჩითახევიდან, ძვ.წ. XIII ს. [Georgien 2001: 303, 153]; 6-7. საკიდები ყაზბეგიდან [Уварова 1900: 142, 148]; 8. ცულის ყუაზე ფასანაურიდან, ძვ.წ. VIII-VII სს. [Скаков 1999: 128]; 9. საკინძის თავზე ლურისტანიდან, ძვ.წ. 1150-800-750 წ. [Bronzes du Luristan 2008: 138-139]; 10. საკიდზე ყოზანიდან, ძვ.წ. VIII-VII სს. [Curtis, Kruszyński 2002: 40].

სურ. 1 – რუკა, რომელზეც ძალის ქანდაკებების აღმოჩენის პუნქტებია დატანილი.

DESCRIPTION OF THE PLATES

Group I: Pls. I-II, bronze statuettes of dog:

Pl. I – 1-2. Bombora field, 8th-7th cent. BC; 3. Qulanurkhva burial ground, on the back of Colchian axe, from 8th cent. BC; 4. Koban, 8th cent. BC; 5. Eshera burial ground, on conical ornament, 6th cent. BC; 6. Gamdlistsqaro, on a ritual item, first half of the 1st millenium BC; 7-9. Shilda sanctuary, 14th-12th cent. BC; 10. Mingechaur, 7th-5th cent. BC; 11. Paravakan, 8th cent. BC; 12. Tlia burial ground, grave 8, on the fibula, turn of the 2nd-1st milleniums BC; 13. Koban, fibula, second quarter of the 1st millenium BC; 14. Luristan, dagger, 9th-7th cent. BC; 15. North Italy, fibula, 8th-7th cent. BC.

Pl. II – 1-3. Tlia burial ground, 12th-10th cent. BC; 4. Brili, Late Bronze Age; 5. Koban, 8th cent. BC; 6. Martazi, first half of the 1st millenium BC; 7-9. Airum hoard, 6th-5th cent. BC; 10. Tsikhedidiskhevi, buckle, second half of the 2nd millenium BC; 11. Chegermes, clasp, date unknown; 12. Tlia burial ground, grave 23a, hand-shaped buckle, 7th cent. BC; 13. Rene, axe butt, 8th-7th cent. BC; 14, 17. Koban, hand-shaped pendants, first half of the 1st millenium BC; 15-16. Aagsta, conical buckles, turn of the 2nd-1st milleniums BC.

Group II: Pls. III-V, bronze statuettes of dog:
















Pl. III – 1. Svaneti, fibula, first half of the 1st millenium BC; 2. Benvenuto, North Italy, fibula, 7th cent. BC; 3. Koban, 8th-7th cent. BC; 4. Ciavari, North Italy, fibula, 7th cent. BC; 5. Koban, buckle, 8th cent. BC; 6. Luristan, 10th-8th cent. BC; 7. Koban, dagger hilt, 7th cent. BC; 8. Koban, axe-shaped pin, first half of the 1st millenium BC; 9. Koban, semicircular buckle, 8th cent. BC.

Pl. IV – On the butt of Colchian axes: 1. De-bye's collection, Caucasus, 8th-7th cent. BC; 2-3. Tlia burial ground, graves 51 and 41, 7th-6th cent. BC; 4. Faskau, 8th-7th cent. BC; 5. Tsaghvli, 8th-7th cent. BC; 6. Perevi, 8th-7th cent. BC; 7. Koban, pendant, 8th cent. BC; 8. Luristan, halberd, 9th-8th cent. BC; 9. Tlia, grave 254, pommel of a scepter, 7th-6th cent. BC; 10. Tlia, grave 317, pommel of a scepter, 8th-7th cent. BC; 11. Red Beacon (Sokhumi), dugger-like pendant, 8th-6th cent. BC; 12. Ergeta, dugger-like pendant, 8th cent. BC; 13. Qulevi, dugger-like pendant, 8th-7th cent. BC.


Pl. V – 1. Caucasus, on a pendant, 8th-7th cent. BC; 2. Tlia, grave 217, on the top of a spiral, 11th-10th cent. BC; 3-4. Tlia, grave 37, heads of pins, 12th-10th cent. BC; 5. Chitakhevi, head of a pin, 13th cent. BC; 6-7. Qazbegi, pendants; 8. Phasanauri, axe butt, 8th-7th cent. BC; 9. Luristan, head of a pin, 1150-750 BC; 10. Koban, pendant. 8th-7th cent. BC.

Fig. 1 – Map with the points of discovery of dog statuettes.


ცაბ. I




ცაბ. II



1



2




3




4




5




6




7




8




9




10




11



12



13




14




15




16




17




1




2




3




4




5



6






7




8




ტაბ. IV



10





**კოლხურ-ყობანურ ბრინჯაოს ნაწარმზე
„ფანტასტიკური“ ცხოველის გამოსახულების
სტილური ანალიზი ქრონოლოგიურ ჭრილში**

თლიას სამაროვნის სამარხებში (ძვ.წ. VIII ს-დან), რომლებიც შეიცავენ ადრეული ტიპის ფიბულებს,¹ განიერქედის და პირგამოყვანილ („აღისებურ“) სატევრებს, „ფანტასტიკური“ ცხოველების გამოსახულებები, როგორც გრაფირებით შესრულებული, ასევე პლასტიკური გამოსახულებები, წარმოდგენილია I ტიპოლოგიური ჯგუფის I და II ქვეჯგუფებით და II ტიპოლოგიური ჯგუფის III ქვეჯგუფით [რამიშვილი 2010: 81-95].²

ძვ.წ. VIII ს-ის პირველი ნახევრის (თლიას IV ქრონოლოგიურ ჯგუფში – იხ.: სულავა 2006: 12-18) სამარხებში გაერთიანებული ტიპოლოგიური ჯგუფის I ქვეჯგუფის როგორც გრაფიკული, ისე მცირე პლასტიკის ნიმუშები მკვეთრად ნატურალისტურადაა შესრულებული. ცხოველი მშვიდ, სტატიკურ პოზაშია და წინ მიმართული თავით არის წარმოდგენილი. ამგვარი გრაფიკული გამოსახულებები გვაქვს თლიას №№ 50, 52, 101 სამარხებში [Texov 1980: 14, 20, ტაბ. 45, ნახ. II₄, ფანცხავა 1988: 80; Texov 1980: 14, 20, ტაბ. 46₆, ფანცხავა 1988: 76, 80, სულავა 2006: 15, 16; Texov 1980: 14, 26, 27, ტაბ. 66₁, ფანცხავა 1988: 64]. ასევე: ხიხაძის [კახიძე, მამულაძე 1993: 27-28, 34, ტაბ. V-VI], ლუხვანოს [სახაროვა 1976: 23-24; ფანცხავა 1988: 64], ოყურემის [სახაროვა 1976: 23; სახაროვა 2000: 53; ფანცხავა 1988: 58], ლაილაშის [ქორიძე 1965: 24; სახაროვა 1976: 20], სურმუშის [ქორიძე 1965: სურ. 28; სახაროვა 1976: 16; ფანცხავა 1988: 69], ნიკორწმინდის (სინათლის) განძებიდან [ქორიძე

1965: 36, სურ. 65₂; ფანცხავა 1988: 69]. შემთხვევითი მონაპოვარი: ქუთაისიდან [ფანცხავა 1988: 71], სვანეთიდან [ჩართოლანი 1977: 50], ონიდან [Unterwegs 1995: 108], ზაქაანიდან [რამიშვილი 2010: 82, ტაბ. I₁₀]. სულ 15 გამოსახულებაა და ყველა ცულზეა დატანილი, აქედან სამი – თლიას სამაროვნიდანაა, ხოლო 12 – სხვადასხვა პუნქტებიდან. აქვე ვაერთიანებთ ქანდაკებას საკინძის თავზე თლიას № 8 სამარხიდან [Texov 1957: 105, ტაბ. X₁₆] და გამდლიწყაროს სარიტუალო ნივთზე მოცემულ ცხოველის ორ ქანდაკებას [ლორთქიფანიძე 2002: 111]. სულ 17 ნივთია (ტაბ. I₁).

ძვ.წ. VIII ს-ის პირველი ნახევრის (თლიას IV ქრონოლოგიური ჯგუფში – იხ.: სულავა 2006: 12-18) I ტიპოლოგიური ჯგუფის II ქვეჯგუფის „ფანტასტიკური“ ცხოველები (მცირე პლასტიკის ნიმუშები) მთლიანობაში ნატურალისტურადაა შესრულებული, პოზა შენარჩუნებულია (თავით წინ), თუმცა ნაწილობრივ სტილიზებულია, შეინიშნება პროპორციების ერთგვარი რღვევა, ტორსთან შედარებით თავი უტრირებულია, ფიგურა კი ისევ სტატიკური რჩება. ამგვარი ორი ქანდაკება გვაქვს თლიას №№ 6, 23ა³ სამარხებიდან [Texov 1957: 105, ტაბ. VIII₁, Texov 1980: 17, 51, ტაბ. 39₁].

ძვ.წ. VIII ს-ის პირველ ნახევრში (თლიას IV ქრონოლოგიური ჯგუფში იხ.: [სულავა 2006: 12-18]) I ტიპოლოგიური ჯგუფის II ქვეჯგუფის გრაფიკული გამოსახულებები ჩვენთვის ჯერ-ჯერობით ცნობილი არ არის [სულავა, რამიშვილი 2011].

ძვ.წ. VIII ს-ის პირველ ნახევრში (თლიას IV ქრონოლოგიურ ჯგუფში – იხ.: [სულავა 2006: 12-18]) II ტიპოლოგიური ჯგუფის I, II და IV ქვეჯგუფები არ დასტურდება. მხოლოდ II ტიპოლოგიური ჯგუფის III ქვეჯგუფში გვაქვს ოთხი ქანდაკება (სამი — თლიას №№ 37, 208, 217 სამარხებიდან [Texov 1980: 51, ტაბ. 43₇; სულავა 2006: 15, 16; Texov 1980: 51, ტაბ. 90₄; ფანცხავა 1988: 68; Texov 1981: 36-37 ტაბ. 94, ნახ. III₁₅]) და ერთი – ჩითახევის № 37 სამარხიდან [Georgien 2001: 303], რომლებიც საკინძის თავებს

1 I და II ტიპის ფიბულები, რომელთა ანალოგიურიც კავკასიის კარგად დათარიღებული მასალებიდან ცნობილია კოლხეთის სამაროვნებიდან (ნიგვზიანი, დღვაბა, ურეკი), სადაც ისინი ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და VII ს-ით დათარიღებული კომპლექსებიდანაა ცნობილი [სულავა 2006].

2 წინამდებარე სტატია მეორე ნაწილია ნაშრომისა – „კოლხურ-ყობანურ ბრინჯაოს ნაწარმზე „ფანტასტიკური“ ცხოველის გამოსახულების ქრონოლოგიისათვის“, სადაც დადგენილია „ფანტასტიკური“ ცხოველის გამოსახულების ყველა ტიპის (I და II) ქრონოლოგიური გავრცელება თლიას სამაროვნის ფიბულებიანი სამარხების ქრონოლოგიური ჯგუფების მიხედვით [სულავა, რამიშვილი 2011: 131-144].

წარმოადგენენ. ცხოველის ფიგურები საკმაოდ სტილიზებული და სქემატურია. კომპოზიცია წრეზე ან რკალზეა აგებული. ფიგურები გეომეტრიზირებულია. ძვ.წ. VIII ს-ის პირველ ნახევარში (თლიას IV ქრონოლოგიური ჯგუფში) II ტიპოლოგიური ჯგუფის III ქვეჯგუფის გრაფიკული გამოსახულებები არ გაგვანჩნია.

როგორც ვხედავთ, ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნა ან VIII ს-ის პირველი ნახევარში (თლიას IV ქრონოლოგიურ ჯგუფში – იხ. [სულავა 2006: 12-18]) ქანდაკება, როგორც ნატურალისტური, ასევე სტილიზებული, საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, მცირე პლასტიკის ნიმუშები საკმაოდ ადრე მზადდებოდა და მათი სტილიზაციაც ადრევე დაიწყო. ასევე ადრეული ჩანს დანოლილი ცხოველის გამოსახვა (თლიას № 23a^ასამარხი [Техов 1980: 17, 51, ტაბ. 39_ა]).

მცირე პლასტიკის ნატურალისტურად მოდელირებული ნიმუშები იკონოგრაფიულად ემსგავსება შილდის სამლოცველოზე (ძვ. წ. XIV-XII სს.) აღმოჩენილ ქანდაკებებს, რომლებიც ასევე ხახადალებული და ყურდაცქვეტილია, ხოლო კუდის ბოლო ჩახვეული აქვთ [მაისურაძე, ფანცხავა 1984: 3 ტაბ. XXIV_{4,9,14,17}; ტაბ. XXV_{6,8}].

თლიას ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევარის (თლიას III ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხებში [სულავა 2006: 12-18], რომლებიც შეიცავენ III ტიპის ფიბულებს, მათ შორის იმ ტიპის ფიბულებსაც, რომელთა ბუდეზე გრავირებით დატანილია ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულება, სატევრების ისეთ ტიპებს, რომლებიც კოლხეთის მასალების მიხედვით თარიღდებიან ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრით [სულავა 2006: 14], „ფანტასტიკური“ ცხოველები წარმოდგენილია I ტიპოლოგიური ჯგუფის I და II ქვეჯგუფებით და II ტიპოლოგიური ჯგუფის I და II ქვეჯგუფებით.

თლიას ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევარი – ძვ. წ. VII ს-ის პირველი ნახევარის (თლიას III ქრონოლოგიურ ჯგუფში – იხ.: სულავა 2006: 12-18) სამარხებში მოთავსებული I ტიპოლოგიური ჯგუფის I ქვეჯგუფის გამოსახულებებიც მკვეთრად ნატურალისტურადაა გადმოცემული, თავით წინ. ამგვარი გამოსახულებებით შემკული სულ 15 ნივთი გვაქვს, რომელთაგან ერთი ქანდაკებაა – II ტიპის³ ცულის ყუაზე ყულანურხვას № 1 სამარხიდან [Трапш 1970: 123,

ტაბ. 1₅]; ხოლო 14 – გრაფიკული გამოსახულებაა, აქედან 8 – ცულზეა, რომელთაგან ექვსი – I ტიპის ცულზეა (წითელი შუქურა [Трапш 1969: 176, ტაბ. XV₂], ეშერას № 4 ქვევრსამარხი [Куфтин 1949: ნახ. 37; ფანცხავა 1988: 69], აბგარხუკი [Воронов, Вознюк 1975: 272-273, ნახ. 4]; აჭანდარა [Воронов 1969: 23, № 94], ოთხარა [Воронов 1969: 19, № 48, ტაბ. XXXV₅], ხიხაძირის განძი [კახიძე, მამულაძე 1993: 28-34, ტაბ. VII]), ორი – IV ტიპის ცულზე თლიას № 63 [Техов 1980: 14, 21, ტაბ. 48, ნახ. II; ფანცხავა 1988: 69; სულავა 2006: 14] და დღვაბას № 2 სამარხებიდან [Микеладзе и др. 1995: 43, ტაბ. 54]. გრაფიკული გამოსახულებები გვაქვს აგრეთვე 3 რგოლზე, მათგან 1 – ჩაისუბნის განძიდან [რამიშვილი ალ. 1974: 99, ტაბ. VI_გ], ხოლო 2 – თლიას № 39 სამარხიდან [Техов 1980: 14, 19, ტაბ. 44_{23,24,25}; ფანცხავა 1988: 79]. მსგავსი გამოსახულებებია მოცემული ორ შუბისპირზე: ერთი – ურეკიდან [რამიშვილი 1974: 78, სურ. 38_{3,4}] და მეორე – ბორნილელეს № 8 სამარხიდან [Гамбашидзе, Гамбашидзе 1986: 21-27, ტაბ. XLIX₂₆] და ერთ მახვილზე – ფევრების № 109 სამარხიდან [Пицхелаური и др. 1987: 38, ტაბ. XLV₁].

როგორც ვხედავთ, თლიას ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევარის (თლიას III ქრონოლოგიური ჯგუფის [იხ. სულავა 2006: 12-18] I ტიპოლოგიური ჯგუფში გაერთიანებულ გრაფიკული გამოსახულებები, ძვ.წ. VIII ს-ის პირველი ნახევარის (თლიას IV ქრონოლოგიური ჯგუფის – ნ.ს.) შესაბამისი გამოსახულებებისაგან განსხვავებით, გარდა ცულებისა, სხვა ნივთებზეცაა დატანილი (2 შუბისპირზე – ურეკიდან და ბორნილელეს № 8 სამარხიდან [რამიშვილი 1974: 78, სურ. 38_{3, 4}; Гамбашидзе, Гамбашидзе 1986: 21-27, ტაბ. XLIX₂₆], ერთი მახვილზე – ფევრების № 109 სამარხიდან [Пицхелаური и др. 1987: 38, ტაბ. XLV₁], სამრგოლზე – 1 ჩაისუბნის განძიდან [რამიშვილი 1974: 99, ტაბ. VI_გ], ხოლო 2 – თლიას № 39 სამარხიდან [Техов 1980: 14, 19, ტაბ. 44_{23,24,25}; ფანცხავა 1988: 79].

თლიას ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევარის (III ქრონოლოგიური ჯგუფში – იხ. [სულავა 2006: 12-18]) I ტიპოლოგიური ჯგუფის II ქვეჯგუფში მოთავსებული გამოსახულებები მთლიანობაში ნატურალისტურია, მაგრამ სტილიზაციის ნიშნებიც აშკარაა, განსაკუთრებით მოხრილი კიდურებისა და უმნიშვნელოდ დეფორმირებული სახე-დრუნჩის მოდელირებისას. აქ უკვე ცულებს გარდა „ფანტასტიკური“ ცხოველის გამოსახულებით სხვა

3 ცულების ტიპოლოგიასთან დაკავშირებით ვიყენებთ ლ. სახაროვას მიერ დამუშავებულ სქემას [სახაროვა 1998: 35, ტაბ. IV].

ნივთების შემკობა მატულობს. საკმაოდ ბევრია ცხოველის ქანდაკებებიც. გამოსახულებები სულ 25 ნივთზეა მოცემული (ტაბ. 1₂), აქედან 15 – გარაფიკული გამოსახულებაა, რომელთაგან 7 – ცულებზეა (ოთხი – I ტიპისაა, პრიმორსკოე [Воронов 1969: 24, № 106], თასრაყვა [Воронов 1969: 22, 23, ტაბ. XXXV₁], ვერეშჩაგინის ბორცვი [Шамба 1984: 51, ნახ. 15₂], ანუხვა [Доманский 1984: 11, ნახ. 3], ხოლო სამი – IV ტიპის, თლიას №№ 160, 234, 282 სამარხებიდან [Техов 1980: 14, 32, ტაბ. 83₁; Техов 1980: 14, 40, ტაბ. 103₂; Техов 1981: 6, 19-20, ტაბ. 82₁; ფანცხავა 1988: 69; სულავა 2006: 14]), 8 გამოსახულება კი – სხვადასხვა ნივთზე: ერთ კვერთხისთავზე თლიას № 227 სამარხიდან [Техов 1980: 14, 38, 39, ტაბ. 99₁; ფანცხავა 1988: 80]. ერთ სატევრისმაგვარ საკიდზე (ნითელი შუქურას № 58 სამარხიდან [Трапш 1969: 175, ტაბ. XX₇]; ოთხ შუბისპირზე, რომელთაგან 3 – უდის განძიდანაა [ჯავახიშვილი, ჩუბინიშვილი 1959: 60-61; აბრამიშვილი 1961: 326; ფანცხავა 1988: 73, 74], ხოლო ერთი – აბანოდან [ქორიძე 1965: 45, სურ. 12; ფანცხავა 1988: 73-75]., ერთ პინცეტზე და ერთ საკინძზე (უდის განძიდან [ჯავახიშვილი ალ., ჩუბინიშვილი ტ. 1959: 60, 61]). დანარჩენი 10 – ქანდაკებაა, მათგან 4 – თლიადან (№№ 80, 82, 88a, 217 სამარხები [Техов 1980: 23, 24, ტაბ. 58. ნახ. II₁; Техов 1980: 24, 51, ტაბ. 59₃, ფანცხავა 1988: 78; Техов 1980: 25, ტაბ. 62₆; Техов 1980: 36, 37, ტაბ. 94, ნახ. III₁₄), 1 – ციხედიდისხევიდან [Апакидзе и др. 1987: 49, ტაბ. LXXVII], 1 – რენედან [ირემაშვილი 1975: 65, 66], 2 – ააგსტიდან [Лукин. 1941: 24], 1 – ბრილიდან [გობეჯიშვილი, ჯაფარიძე 1959: 129-155] და 1 – მარტაზიდან [ეროვნული მუზეუმის საგანძურიდან 2009: 26].

თლიას ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევრის (თლიას III ქრონოლოგიურ ჯგუფში – იხ.: სულავა 2006: 12-18) II ტიპოლოგიური ჯგუფის I ქვეჯგუფში გაერთიანებული გამოსახულებები მკვეთრად სტილიზებულია, მოხრილი ფეხები მორკალული წვეტებიანი ბრჭყალებით ბოლოვდება, ფართოდ დაბრენილი პირის ზედა და ქვედა ყბა ასევე მახვილი წვეტებითაა დაბოლოვებული. მიუხედავად ამისა, გამოსახულებები ინარჩუნებენ პროპორციულობას (თავი ტანის პროპორციულია) და ფიგურატულობას, და რაც მთავარია, ყველა მათგანი თავით წინ არის წარმოდგენილი. ყველა გამოსახულება გრაფიკულადაა შესრულებული და სულ 7 ნივთზეა მოცემული (ტაბ. 1₃), რომელთაგან ოთხი – ცულია: ორი – II ტიპისა (თლიას №№ 165, 287

სამარხებიდან [Техов 1980: 14, 32-33, ტაბ. 84_{1,2}, ფანცხავა 1988: 79; Техов 1980: 14, 46, ტაბ. 117₁]), ერთი – IV ტიპის (თლიას № 161 სამარხიდან [Техов 1981: 38-39, ტაბ. 111₁; ფანცხავა 1988: 71; სულავა 2006: 14]), ერთი – I ტიპის (ერგეტა II-ის № 4 სამარხიდან [პაპუაშვილი 1999: 9, ტაბ. 3-4]), ერთი – მართკუთხა აბზინდაა (თლიას № 358 სამარხიდან [Техов 2002: 20, ტაბ. 28₄]) და ორი შუბისპირი (ბოგვიდან [ქორიძე 1972: 38, 39, 46, სურ.10; ფანცხავა 1988: 74] და წალვლიდან [ქორიძე 1972: 39, 46, სურ. 11; ფანცხავა 1988: 73-74]).

თლიას ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევრის (III ქრონოლოგიურ ჯგუფში – იხ. [სულავა 2006: 12-18]) II ტიპოლოგიური ჯგუფის II ქვეჯგუფში გაერთიანებული გრაფიკული გამოსახულებები მეტად სტილიზებული და საკმაოდ სქემატურია, ყველა მათგანს თავი უკან აქვს შებრუნებული, კიდურები კი – მოხრილი რკალებითაა აღნიშნული. შეინიშნება პროპორციების სრული რღვევა. თავი, წვრილ და მორკალულ ტორსთან შედარებით, მკვეთრად უტრირებულია (ტაბ. 1₄). ამგვარი გამოსახულებები დატანილია II ტიპის ცულზე (თლიას № 264 სამარხიდან [Техов 1980: 14, 44, ტაბ. 114₁; ფანცხავა 1988: 79; სულავა 2006: 14]) და 15 – ფიბულაზე (თლიას №№ 98, 160, 165, 221, 228, 229, 234, 249, 259, 262, 287, 254, 264, 358, 385 სამარხებიდან [Техов 1980: 51-52, ტაბ. 64₁₁; Техов 1980: 14, 32, ტაბ. 83₁; Техов 1980: 14, 32-33, ტაბ. 84₁, 2; Техов 1980: 14, 38, ტაბ. 95, ნახ. II₁; Техов 1980: 14, 39, ტაბ. 100₄; Техов 1980: 14, 39, 40, ტაბ. 101₈; Техов 1980: 14, 39-40, ტაბ. 103₇; Техов 1980: 14, 41, ტაბ. 106₃; Техов 1980: 14, 43, ტაბ. 110₃; Техов 1980: 14, 44, ტაბ. 113₈; Техов 1980: 14, 46, ტაბ. 117₅; Техов 1980: 14, 44, ტაბ. 114₄; Техов 1980: 42, 51-52, ტაბ. 108₈; Техов 2002: 20, ტაბ. 28₇; Техов 2002: 32, 229 ტაბ. 60₃; ფანცხავა 1988: 67, 69, 79; სულავა 2006: 14]). ამავე ჯგუფში გვაქვს ცხოველის სტილიზებული სამი ქანდაკება I ტიპის ცულების ყუაზე (თლიას № 51 სამარხიდან [Техов 1981: 6, ტაბ. 53₂; ფანცხავა 1988: 81; სულავა 2006: 14], პერევის განძიდან [ქორიძე 1965: 34, სურ. 26; ფანცხავა 1988: 66] და წალვლიდან [ფანცხავა 1988: 65, 66, ტაბ. XII₃]). ცხოველის 34 თავის ქანდაკება გვაქვს: აქედან 3 – წრიულადაა მოცემული ერთ კვერთხისთავზე (თლიას № 254 სამარხიდან [Техов 1980: 42, 51-52, ტაბ. 108₁; ფანცხავა ლ. 1988: 80; სულავა 2006: 14]), ერთი თავია – მეორე კვერთხისთავზე (თლიას № 317 სამარხიდან [Техов 1981: 28, ტაბ.

135₃)), თითო თავის ქანდაკებაა მოცემული 30 სატევრისმაგვარ საკიდზე (ერგეტას, დღვაბას, ურეკის, ყულევის სამარხებიდან [პაპუაშვილი 2003: 207, ტაბ. V; Mikeladze 1995: 14-18, ტაბ. 7_{9,10,11,12}; Микеладзе и др. 1995: 43, ტაბ. 56₁]), სულ 50 ნივთია. აღსანიშნავია, რომ სრული ქანდაკება მხოლოდ სამია (თლიას № 51 სამარხიდან [Техов 1981: 6, ტაბ. 53₂; ფანცხავა 1988: 81; სულავა 2006: 14], პერევის განძიდან [ქორიძე 1965: 34, სურ. 26; ფანცხავა 1988: 66] და ნალვლიდან [ფანცხავა 1988: 65, 66, ტაბ. XII₃]). სამივე გამოსახულება დაწოლილია და მიუხედავად მკვეთრი სტილიზაციისა, წარმოდგენილია თავით წინ. ასევე სტილიზებული თავების ქანდაკებები გაცილებით მეტია (34 ცალი).

თლიას ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის დასაწყისით დათარიღებულ (თლიას II ქრონოლოგიური ჯგუფის – იხ. [სულავა 2006: 12-18]) სამარხებში, რომლებიც შეიცავენ III ტიპის ფიბულებს, მათ შორის იმ ტიპის ფიბულებსაც, რომელთა ბუდეზე გრავირებით დატანილია ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულება, რკინის იარაღებს (აკინაკები, სხვა ტიპის სატევრები, ცულები), „ფანტასტიკური“ ცხოველები წარმოდგენილია I ტიპოლოგიური ჯგუფის I და II ქვეჯგუფებით და II ტიპოლოგიური ჯგუფის I, II, III და IV ქვეჯგუფებით.

თლიას ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის დასაწყისით დათარიღებულ (II ქრონოლოგიურ ჯგუფში – იხ. [სულავა 2006: 12-18]) მოთავსებული I ტიპოლოგიური ჯგუფის I ქვეჯგუფში მხოლოდ გრაფიკული გამოსახულებები გვაქვს, რომლებიც ნატურალისტურადაა შესრულებული, თავით წინ და მხოლოდ ცულებსა და აბზინდებზეა წარმოდგენილი (ტაბ. I₁). სულ 10 ნივთია, რომელთაგან 5 – ცულია, აქედან I ტიპის – ერთი ცულია (ნარეკვაი, № 53 სამარხი [აფაქიძე და სხვ. 2000: 5, 32, ტაბ. XV₅₉₇]), II ტიპის – ორი ცული (თლიას № 140 [Техов 1981: 9-10, ტაბ. 59₁; ფანცხავა 1988: 69; სულავა 2006: 13] და № 342 [Техов 2002: 12, 188, ტაბ. 8₁] სამარხები), ხოლო IV ტიპის – სამი ცულია (თლიას № 223 [Техов 1981: 6, 12, 13, ტაბ. 66₁; ფანცხავა 1988: 69; სულავა 2006: 12, 13], ნაცარგორას № 319 [რამიშვილი 2001: 43, ტაბ. I₁₂] და სამთავროს № 121 [აბრამიშვილი 1957: 132; აბრამიშვილი 1961: ტაბ. XIV₁]) სამარხები. 5 მართკუთხა აბზინდა (ნაცარგორას № 435 [რამიშვილი 2001: 158, ტაბ. VIII], ერგეტა III № 4 და დღვაბას № 2 სამარხებიდან [Mikeladze 1995: 14-18, ტაბ. 17] და ორი – უდის განძიდან

[ჯავახიშვილი, ჩუბინიშვილი 1959: 60-61; აბრამიშვილი 1961: 326; ფანცხავა 1988: 73-74]).

თლიას ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის დასაწყისით დათარიღებულ (II ქრონოლოგიურ ჯგუფში – იხ.: სულავა 2006: 12-18) გაერთიანებული I ტიპოლოგიური ჯგუფის II ქვეჯგუფის ცხოველის მხოლოდ გრაფიკულად შესრულებული სრული გამოსახულებებიან მათი თავებია მოთავსებული. ისინი მთლიანობაში ნატურალისტურადაა შესრულებული. ფიგურის პროპორციულობა შენარჩუნებულია, ტორსი ზომიერადაა ჩაზნექილი, თუმცა სტილიზაციის ნიშნებიც სახეზეა, რაც კიდურებისა და თავის მცირე დეფორმაციაში გამოიხატება. ამგვარი გამოსახულებები სულ 9 ნივთზეა მოცემული, მათგან 7 – ცულია: ექვსი – IV ტიპისაა (თლიას №№ 233, 263, 308 [Техов 1981: 13, ტაბ. 67₁; Техов 1981: 6, ტაბ. 74₁; Техов 1981: 6, 22, ტაბ. 87₁; ფანცხავა 1988: 55, 64, 70-71; სულავა 2006: 12-13], №№ 372/2, 414 [Техов 2002: 15, ტაბ. 15₁; Техов 2002: 43, ტაბ. 87₁] და ერგეტა IV № 2 [Mikeladze 1995: 14-18, ტაბ. 8₆]) სამარხებიდან, ხოლო ერთი – I ტიპის (ეცერიდან [ჩართოლანი შ. 1977: 51, № 66, ტაბ. XXV₁]), 2 მართკუთხა აბზინდაა (თლიას № 109 [Техов 1981: 6, ტაბ. 55₃; ფანცხავა 1988: 68; სულავა 2006: 12-13] და № 469 [Техов 2002: 63-64, ტაბ. 131₆]) სამარხებიდან.

თლიას ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის დასაწყისით დათარიღებულ (II ქრონოლოგიურ ჯგუფში – იხ. [სულავა 2006: 12-18]) გაერთიანებული II ტიპოლოგიური ჯგუფის I ქვეჯგუფის გრაფიკული გამოსახულებები მკვეთრად სტილიზებულია, დარღვეულია პროპორციები, კიდურები დეფორმირებულია, დრუნჩი – წვეტებიანი, მაგრამ მიუხედავად ძლიერი სტილიზაციისა, ყველა გამოსახულება ფიგურატულობას ინარჩუნებს (ტაბ. I₃). მათ უმეტესობას თავი უკან აქვს შებრუნებული (თლიას № 432 სამარხიდან [Техов 2002: 50, ტაბ. 104₁], ცხეთადან [ქორიძე 1965: 33, 34, სურ. 62₁], ცხინვალის განძიდან [ჯაფარიძე 1950: 106, სურ. 2c; ქორიძე 1965: 29, ტაბ. XIV₁₀; ფანცხავა 1988: 67], მზეთამზეს სამაროვნიდან [ნასიძე 1990: 2, ტაბ. IV₁], ხოლო ნაწილი კი, ადრინდელ პოზას ინარჩუნებს და წინმიმართული თავითაა წარმოდგენილი (თლიას № 252 სამარხიდან [Техов 1981: 6, 14-15, ტაბ. 72₁; ფანცხავა 1988: 69; სულავა 2006: 12-13], ოჯოლას განძიდან [ქორიძე 1965: 34, 38, სურ. 31; ფანცხავა 1988: 70]). ამკარაა, რომ ფიგურის წინ მიმართული თავით გამოსახვა კვლავ აგრძელებს არსებობას, ამავე დროს,

საგრძნობლად მატულობს გამოსახულებები უკან შებრუნებული თავით. საყურადღებოა, რომ ერთ ცულზე (თლიას № 271 სამარხიდან [Техов 1981: 6, ტაბ. 77₁; ფანცხავა 1988: 70-71; სულავა 2006: 12-13]), ცალ მხარეს ცხოველი ნარ-მოდგენილია თავით წინ, ხოლო მეორე მხარეს, მას თავი უკან აქვს შებრუნებული. როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან ეს ორივე კომპოზიცია თანაარსებობს. II ქრონოლოგიურ ჯგუფში გაერთიანებული II ტიპოლოგიური ჯგუფის გამოსახულებები სულ 8 ნივთზეა დატანილი. აქედან 7 – ცულია, რომელთაგან ოთხი – II ტიპისაა (თლიას № 252 [Техов 1981: 6, 14, 15, ტაბ. 72₁; ფანცხავა 1988: 69; სულავა 2006: 12, 13] და № 432 [Техов 2002: 50, ტაბ. 104₁] სამარხებიდან, მზეთამზეს სამაროვნიდან [ნასიძე 1990: 2, ტაბ. IV₁], ცხინვალის განძიდან [ჯაფარიძე 1950: 106, სურ. 2c; ქორიძე 1965: 29, ტაბ. XIV₁₀; ფანცხავა 1988: 67]), ხოლო სამი – IV ტიპის (თლიას № 271 სამარხი [Техов 1981: 6, ტაბ. 77₁; ფანცხავა 1988: 70, 71; სულავა 2006: 12, 13], ოჯოლა [ქორიძე 1965: 34, 38, სურ. 31; ფანცხავა 1988: 70], ცხეთა [ქორიძე 1965; სურ. 62/2]), ერთიც მართკუთხა აბზინდა (თლიას № 233 სამარხი [Техов 1981: 13, ტაბ. 67₁; ფანცხავა 1988: 70-71; სულავა 2006: 12-13]).

თლიას ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის დასაწყისით დათარიღებულ (II ქრონოლოგიურ ჯგუფში – იხ. [სულავა 2006: 12-18]) გაერთიანებული II ტიპოლოგიური ჯგუფის II ქვეჯგუფის გრაფიკული გამოსახულებები სრულადაა სტილიზებული და მეტად სქემატურია. ყველას, ტორსთან შედარებით დისპროპორციულად დიდი თავი უკან აქვს შემობრუნებული, ხოლო კიდურები მოკლე რკალებითაა აღნიშნული (ტაბ. 1₄). ასეთი გამოსახულებები სულ 24 ნივთზეა დატანილი. აქედან 7 ცულია, ყველა II ტიპისაა (თლიას №№ 297, 49, 127, 130, 121, 129, 316 სამარხები [Техов 1981: 48, 49, 28, ტაბ. 133₁; Техов 1981: 30-31, ტაბ. 97₁; Техов 1981: 35, ტაბ. 105₁; Техов 1981: 35-36, ტაბ. 106₁; Техов 1985: 5, 17, ტაბ. 128₁; Техов 1985: 5, 18-20, ტაბ. 131₁; Техов 1985: 5, 51, ტაბ. 200₁; ფანცხავა 1988: 70, 79; სულავა 2006: 13]), 16 ფიბულაა, მათგან 13 – თლიადანაა (№№ 87, 239, 248, 269, 277, 341, 343, 345, 395, 452, 469, 471, 472 სამარხები [Техов 1985: 5, 11, ტაბ. 113₃; ფანცხავა 1988: 79; სულავა 2006: 12, 13; Техов 1981: 6, 13, ტაბ. 68₄; Техов 1981: 6, 14, ტაბ. 70₂; Техов 1981: 6, 17, ტაბ. 76₃; Техов 1981: 6, 18-19, ტაბ. 80₄; Техов 2002, 12, 229, ტაბ. 7₅; Техов 2002:

13, 229, ტაბ. 10₂; Техов 2002: 14, ტაბ. 12₃; Техов 2002: 36, ტაბ. 69₅; Техов 2002: 57, ტაბ. 123₃; Техов 2002: 63-64, ტაბ. 131₇; Техов 2002: 65, ტაბ. 133₆; Техов 2002: 65-66, ტაბ. 134₆; ფანცხავა 1988: 79-80; სულავა 2006: 12-13]), ხოლო 3 – მზეთამზეს სამაროვნიდან [ნასიძე 1990: 2, ტაბ. 5]. ერთი გამოსახულებაა შუბისპირის მასრაზე ცაგერას განძიდან [ქორიძე 1965: 31, სურ 22; სახაროვა 1976: 8-10, 19-23, ტაბ. VII₇; ფანცხავა 1988: 67]. აქვე გავაერთიანეთ I ტიპის ცულის ყუაზე მოთავსებული ორთავიანი „ფანტასტიკური“ ცხოველის სტილიზებული ქანდაკებაც (თლიას № 41 სამარხი [Техов 1985: 5, 7, 8, ტაბ. 104₁; ფანცხავა 1988: 65; სულავა 2006: 12-13]). სულ 25 ნივთი გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ ქანდაკებები, მიუხედავად მკვეთრი სტილიზაციისა და ზოგ შემთხვევაში სქემატიზაციისა, არასდროს გამოისახებიან უკან შებრუნებული თავით. ფიგურებს აქვთ ტორსთან მიმართებით დიდი თავი და მეტად დაღრენილი, წანვეტებული დრუნჩი, რითაც ცხოველის ექსპრესიული ხასიათია აქცენტირებული, ხოლო გამომსახველობა – გაძლიერებული. ვფიქრობთ, რომ ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს ქანდაკებების არქაულობაზე. ამასთანავე, ისინი ინარჩუნებენ ძველ ტრადიციას და საკმაოდ სტილიზებულები, მაინც წინ მიმართული თავით გამოსახებიან.

თლიას ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის დასაწყისით დათარიღებულ (II ქრონოლოგიურ ჯგუფში – იხ. [სულავა 2006: 12-18]) II ტიპოლოგიური ჯგუფის III ქვეჯგუფში „ფანტასტიკური“ ცხოველის გამოსახულებების სტილიზაცია, სქემატიზაცია და გეომეტრიზაცია კულმინაციას აღწევს. ფიგურა სრულადაა მორკალული და ერთი შეხედვით მუდმივად მბრუნავი გეომეტრიული ორნამენტის შთაბეჭდილებას ტოვებს (ტაბ. 1₅). ამგვარი გრაფიკული გამოსახულებები სულ 10 ნივთზეა და ყველა ცულზეა დატანილი. აქედან რვა – I ტიპისაა (თლიას №№ 69, 362/1, 425, 462 სამარხებიდან [Техов 1985: 5, 10, ტაბ. 109₁; Техов 2002: 22, 192-193, ტაბ. 32₁₄₇, ტაბ. 100₁; Техов 2002: 61, 193, ტაბ. 127₆; ფანცხავა 1988: 70; სულავა 2006: 12-13]), ფუშრუკაულიდან [კახიძე, მამულაძე 1993: 37, 38, ტაბ. IX], ხევის განძიდან [ქორიძე 1965: 35, ტაბ. XXXVI₈], ეშერადან [Воронов, Гунба 1978: 263, 264, ნახ. 6₂], ახალი ათონიდან [Лукин 1941: 43, ტაბ. VIII₅], ერთი – IV ტიპისა (თლიას № 374 სამარხიდან [Техов 2002: 22, 192-193, ტაბ. 50₁]) და ერთიც – II ტიპის (ცხინვალის განძიდან [ჯაფარიძე 1950: 106, სურ 2b]).

თლიას ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის დასაწყისით დათარიღებულ (II ქრონოლოგიურ ჯგუფში იხ.: – სულავა 2006: 12-18) II ტიპოლოგიური ჯგუფის IV ქვეჯგუფში გავაერთიანეთ ცულებზე გამოსახული „ფანტასტიკური“ ცხოველის აღმნიშვნელი გეომეტრიულ-სიმბოლური ნიშანი — რვიანისებრად (S-ებურად) ჩახვეული, შეერთებული ორი წვეტიანი თათი, რითაც პირობითად „ფანტასტიკური“ ცხოველი გამოსახება (ტაბ. I₆). ამგვარი გამოსახულებები სულ 11 ნივთზეა. ააქედან 7 ცულია, რომელთაგან ორი – I ტიპისაა (თლიას № 452 სამარხიდან [Texov 2002: 57, ტაბ. 123,] და მეხჩის-ციხის განძიდან [ქორიძე 1965: 37-38, სურ. 30]), ორი – II ტიპის (თლიას №№ 391, 417 სამარხებიდან [Texov 2002: 34, ტაბ. 65; Texov 2002: 44, ტაბ. 90,]), სამი – IV ტიპის (თლიას №№ 345, 428 სამარხებიდან [Texov 2002: 14, ტაბ. 12; Texov 2002: 48-49, 187, ტაბ. 102,] და ცხინვალის განძიდან [ჯაფარიძე 1950: 106, სურ 2a]). 4 აბზინდაა, რომელთაგან 3 – პეპლისებურია (თლიას №№ 275, 407 სამარხებიდან [Texov 1985: 5, 41, ტაბ. 177₁₀; Texov 2002: 40-41, ტაბ. 80₂; ფანცხავა 1988: 79; სულავა 2006: 12-13] და დღვაბას № 2 სამარხიდან [Mikeladze 1995: 14-18, ტაბ. 3₆₆], ხოლო ერთი – მართკუთხა (თლიას № 448 სამარხიდან [Texov 2002: 55, ტაბ. 118₂]).

ამგვარად, ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ირკვევა, რომ I ჯგუფის (I და II ქვეჯგუფები) „ფანტასტიკურცხოველებიანი“ არტეფაქტებისათვის, რომლებიც თარიღდება ძვ.წ. VIII-VII სს-ით, დამახასიათებელია: ცხოველის გამოსახვა ნატურალისტურად, წინ მიმართული თავით. ფიგურები სტატიკურია და პროპორციული. I ჯგუფის II ქვეჯგუფის ცხოველთა გამოსახულებებიც მთლიანობაში ნატურალისტურადაა შესრულებული, ფიგურის პროპორციულობა შენარჩუნებულია, ტორსი ზომიერადაა ჩაზნექილი, თუმცა სტილიზაციის ნიშნებიც სახეზეა, რაც კიდურებისა და თავის მცირე დეფორმაციაში გამოიხატება. II ჯგუფის I და II ქვეჯგუფის „ფანტასტიკურცხოველებიანი“ არტეფაქტებისათვის, რომლებიც თარიღდება ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და VII ს-ით, დამახასიათებელია: გამოსახულებების მკვეთრი სტილიზაცია, დარღვეული პროპორციები, დეფორმირებული კიდურები, წვეტიანი დრუნჩი. უმეტეს მათგანს თავი უკან აქვს მობრუნებული, ნაწილი კი, ადრინდელ პოზას ინარ-

ჩუნებს – თავი წინ აქვთ მიმართული, შეინიშნება ფიგურების სქემატიზაცია. მიუხედავად ძლიერი სტილიზაციისა და სქემატიზაციისა, გამოსახულებები მეტნაკლებად ინარჩუნებენ ფიგურატულობას. II ჯგუფის III და IV ქვეჯგუფის „ფანტასტიკურცხოველებიანი“ არტეფაქტებისათვის, რომლებიც ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარში არსებობენ, დამახასიათებელია: „ფანტასტიკური“ ცხოველის გამოსახულებების სრული სტილიზაცია, სქემატიზაცია და გეომეტრიზაცია. ფიგურა მკვეთრადაა მორკალული და ერთი შეხედვით მუდმივად მბრუნავი გეომეტრიული ორნამენტის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქვე გავაერთიანეთ ცულებზე გამოსახული „ფანტასტიკური“ ცხოველის აღმნიშვნელი გეომეტრიულ-სიმბოლური ნიშანი — რვიანისებრად ჩახვეული, შეერთებული ორი წვეტიანი თათი, რითაც პირობითად „ფანტასტიკური“ ცხოველი გამოიხატება.

„ფანტასტიკურცხოველებიანი“ გამოსახულებათა პლასტიკური არტეფაქტების არსებობის ხანა უფრო ხანმოკლეა: I ჯგუფის I ქვეჯგუფის ქანდაკებები, რომლებიც მხოლოდ ძვ.წ. VIII ს-ის პირველ ნახევარში არსებობენ, შესრულებულია ნატურალისტურად. მათ აქვთ პროპორციული სხეული, სტატიკური პოზა, წინმიმართული თავი, დამუწული ან, ძალზე იშვიათად, ზომიერად გაღებული პირი, დაცქვეტილი ყურები და მოგრძო ბოლოანეული ან ბოლოჩახვეული კუდი. I ჯგუფის II ქვეჯგუფის ქანდაკებებისათვის, რომლებიც ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველ ნახევარში არსებობენ დამახასიათებელია: ნაწილობრივი სტილიზაცია, თუმცა ფიგურის ნატურალისტური ხასიათი ზოგადად შენარჩუნებულია. ძალის ფიგურის თავ-კისერი უტრირებულია და დისპროპორციულად დიდია ტორსთან მიმართებაში. მათ აქვთ ფართოდ დაღებული, მყეფარე ეშვებიანი ხახა, რითაც აქცენტირებულია ფიგურის ექსპრესიული ხასიათი, რაც თავის მხრივ, ერთგვარ დინამიკურობას ანიჭებს ძალის სტატიკურ ქანდაკებებს. ტორსი ისევ ნატურალისტურადაა მოდელირებული. ყურები დაცქვეტილი, ხოლო კუდი ზოგჯერ სწორი, ხოლო ხშირად – ბოლოჩახვეული. II ჯგუფის II ქვეჯგუფის ქანდაკებებისათვის, რომლებიც ძვ.წ. VIII ს. მეორე ნახევარი – VII ს-ში არსებობენ დამახასიათებელია: ფიგურათა მკვეთრი სტილიზაცია. აქ გავაერთიანეთ „ფანტასტიკური“ ცხოველის ისეთი მწოლიარე, მთლიანი ფიგურები ან მათი თავები,

რომლებიც ძლიერ სტილიზებული ან გეომეტრიზირებულია. ყველა მათგანს აქვს ფართოდ გაღებული, დაკრეჭილი, ეშვებიანი პირი და დაცქვეტილი ყურები, ხოლო – II ჯგუფის III ქვეჯგუფის სკულპტურებისათვის, რომლებიც ძვ.წ. VIII ს. პირველ ნახევარში არსებობენ დამახასიათებელია: ძლიერი სტილიზაცია

და სქემატიზაცია. ფიგურები მკვეთრად გეომეტრიზირებულია და ისინი ნივთის ორნამენტს უფრო გვანან, ვიდრე ცხოველის ფიგურებს, თუმცა ცხოველის გარჩევა ჯერ კიდევ შესაძლებელია.

K. RAMISHVILI, N. SULAVA

**THE STYLISTICAL AND CHRONOLOGICAL ANALYSIS OF "FANCY" ANIMALS
DEPICTED ON THE COLCHIAN- KOBAN BRONZE ARTIFACTS**
Summary

The 1st subgroup of the 1st typological group of the artifacts on which "fancy" animals are depicted (dated to the 8th-7th cc BC) is characterized by the naturalization of depiction of animals with the heads directed forward. The figures are static and proportional. The depictions of the second subgroup are also naturalistic, the proportions of figures are preserved, the torso is moderately concave but there are some signs of stylization – the limbs and heads are slightly deformed.

The 1st and 2nd subgroups of the 2nd typological group of artifacts on which "fancy" animals are depicted (dated to the second half of the 8th and 7th cc BC) are characterized by the drastic stylization of depiction, disturbed proportions, deformed limbs, pointed muzzle. Most have their head directed backward, some of them - head directed forward. The figures are schematized. Despite of schematization and stylization, the depictions more or less keep figuration. On the artifacts of the 3rd and 4th subgroups of the 2nd typological group (dated to the second half of the 7th century BC) the depictions of "fancy" animals are fully schematized, stylized and geometrized. The figures are concave and look like a permanently spinning geometric ornament. The other subgroup is represented with the symbolic depictions of "fancy" animals on axes which are represent by two pointed, eight-like curved claws.

The period of existing of plastic art artifacts representing "fancy" animals is shorter. The statuettes of the 1st subgroup of the 1st typological group which existed only in the first half of the 8th century BC, are naturalistic, their body is proportional, the pose is static, heads are directed forward, mouths open, long tails have curled tip. The statuettes of the 2nd subgroup of the 1st typological group which existed in the 8th and first half of 7th centuries BC are partly stylized but the naturalistic features are preserved. The head and neck of dog is much bigger than the torso of the animal and has open, barking mouth with fangs what gives more expression and dynamism to the figure. The torso is modeled naturalistically, the ears are sharpened, the tip of the tail is mostly curled and sometimes straight. The statuettes of the 2nd subgroup of the 2nd typological group which existed in the 8th -of 7th centuries BC are holly stylized. The lying figures of "fancy" animals or their heads are too much stylized and geometrized. All of them have wide open jaws with fangs and sharp ears. The statuettes of the 3rd subgroup of the 2nd typological group which existed in the first half of the 8th century BC are stylized and schematized. The figures are geometrized and they look more like the ornament than the figures of animals, but it is still possible to see the animal on it.

ლიტერატურა

- აბრამიშვილი რ. 1957:** სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, ტ. XIX-A, XXI-B, 115-140.
- აბრამიშვილი რ. 1961:** რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VI სს) — სსმმ, XXII-B, 291-379.
- აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ., სიხარულიძე ა., გიუნაშვილი გ., გავაშელი ე., ლლონტი ნ., კაპანაძე მ. 2000:** ნარეკვავეის სამაროვანი. – მცხეთა 1999, ნარეკვავეი II, თბილისი, 3-105.
- გობეჯიშვილი გ., ჯაფარიძე ო. 1959:** ბრინჯაოსა და რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები. – საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 89-222.
- ეროვნული მუზეუმის საგანძურიდან 2009:** ზ. სხირტლაძე (რედ.). თბილისი.
- ირემაშვილი შ. 1975:** პირველად არქეოლოგიაში. – ძმ, № 33, 64-66.
- კახიძე ა., მამულაძე შ. 1993:** აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი.
- ლორთქიფანიძე ოთ. 2002:** ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.
- მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ. 1984:** შილდის სამლოცველო. თბილისი.
- ნასიძე გ. 1990:** კოლხური კულტურის ახალი კერა. თბილისი.
- პაპუაშვილი რ. 1999:** ერგეტის II სამაროვანი (სამარხი ორმო № 4). – ძმ, № 3 (106), 3-9.
- პაპუაშვილი რ. 2003:** ერგეტის II სამაროვნის № 6 სამარხი ორმო. – მილსადენის არქეოლოგია, ტ. II, თბილისი, 203-213.
- რამიშვილი ალ. 1974:** კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი.
- რამიშვილი ალ. 2001:** კოლხური და შიდა ქართლური კულტურების ურთიერთობის საკითხები ნაცარგორის სამაროვნის მიხედვით. – კავკასია, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი, დამატებანი VI), თბილისი, 156-170.
- რამიშვილი ქ. 2010:** კოლხურ ცულებზე გრავირებული „ფანტასტიკური ცხოველის“ გამოსახულებათა ტიპოლოგიისათვის (სტილისა და კომპოზიციის გააზრების ცდა). – იბერია-კოლხეთი, № 6, 81-95.
- სახაროვა ლ. 1976:** ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბილისი.
- სახაროვა ლ. 1998:** კიდევ ერთხელ კოლხური ცულების ტიპოლოგიის შესახებ – ძიებანი, № 1, 34-42.
- სახაროვა ლ. 2000:** ოყურეშის ბრინჯაოს განძის შესახებ – ძიებანი, № 5, 52-53.
- სულავა ნ. 2006:** კავკასიის ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი). ისტ. მეც. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი.
- სულავა ნ. 2006a:** კავკასიის ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი), ისტ. მეც. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაცია, თბილისი.
- სულავა ნ. 2010:** ბრინჯაოს ნივთებზე „ფანტასტიკური“ ცხოველების გამოსახულებების გავრცელების შესახებ – ძიებანი, № 19, 154-159.
- სულავა ნ., რამიშვილი ქ. 2011:** კოლხურ-ყობანურ ბრინჯაოს ნაწარმზე „ფანტასტიკური“ ცხოველის გამოსახულების ქრონოლოგიისათვის. – იბერია-კოლხეთი, № 7, 131-144.
- ფანცხავა ლ. 1988:** კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბილისი.
- ქორიძე დ. 1965:** კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.
- ქორიძე დ. 1972:** ალისებურ პირიანი შუბების და ხელშუბების გავრცელების არეალისა და გენეზისის საკითხისათვის – სსმმ, XXIX- B, 34-50.
- ჩართოლანი შ. 1977:** სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

ჯავახიშვილი ალ., ჩუბინაშვილი ტ. 1959: უღის განძი – საბჭოთა ხელოვნება, № 4, თბილისი, 59-64.

ჯაფარიძე ო. 1950: ცხინვალის განძი. – სსმმ, XVI-B, 99-107.

Апакидзе А. М., Николайшвили., Мелитаури К. Н., Манджгаладзе Г. Н., Хецуриани Д. Г., Абутидзе А. В., Дзнеладзе М. С., Давлианидзе Р. В., Гиунашвили Г. Д., Глonti Н. В., Молашвили Н. И. 1987: Археологические раскопки в Мцхета и её округе. – ПАИ, 1984-8, 47-51.

Воронов Ю. Н. 1969: Археологическая карта Абхазии. Сухуми.

Воронов Ю. Н., Вознюк А. С. 1975: Новые археологические находки в Гудаутском районе Абхазской АССР. – СА, 2, 268-274.

Воронов Ю. Н., Гунба М. М. 1978: Новые памятники Колхидской культуры в Абхазии. – СА, 2, 257-264.

Гамбашидзе О. С., Гамбашидзе И. О. 1986: Работы Месхет-Джавахетской экспедиции – ПАИ, 1983, 21-27.

Доманский Я. В. 1984: Древняя художественная бронза в собрании Государственного Эрмитажа. Москва.

Квирквелия Г. Т. 1981: Материальная культура Северо-Западной Колхиды в VIII-V вв. до н.э.(автореф. диссерт. на соиск. уч. степ. к.и.н.). Тбилиси.

Куфтин Б. А. 1949: Материалы к археологии Колхиды, I, Тбилиси.

Лукин А. Л. 1941: Материалы по Археологии Бзипской Абхазии, ТОИПКГЭ, I, 17-97.

Микеладзе Т., Мигдисова Н., Папуашвили Р., Чубинишвили Н. 1995: Колхидская экспедиция – ПАИ, 1987 году, 39-43.

Пицхелаури К. Н., Варазашвили В. В., Кинцурашвили М. В., Менабде Ц., Квавадзе Д. А. 1987: Археологические исследования в Кахети – ПАИ, 1984-85 году, 36-38.

Техов Б. В. . 1977: Ц ентральный Кавказ в XVI-X вв.до н.э. Москва.

Техов Б. В. 1980: Тлийский могильник, I. Тбилиси.

Техов Б. В. 1981: Тлийский могильник, II. Тбилиси.

Техов Б. В. 1985: Тлийский могильник, III. Тбилиси.

Техов Б. В. 2002: Тайны древних погребений. Владикавказ.

Трапш М. М. 1969: Древний Сухуми. Труды, т. II. Сухуми.

Трапш М. М. 1970: Памятники эпохи бронзы и раннего железа в Абхазии.Сухуми.

Шамба Г. К. 1984: Раскопки древних памятников Абхазии. Сухуми.

Georgien, Schätze aus dem Land des goldenen Vlies 2001. Bohum.

Mikeladse T. 1995: Grosse kollektive Grabgruben der frühen Eisenzeit in Kolchis. – AA, Berlin, New-York. 1-22.

Unterwegs zum goldenen Vlies 1995. Saarbrücken.

ტაბულის აღწერილობა

- ტაბ. 1 – 1. I ტიპოლოგიური ჯგუფი, I ქვეჯგუფი (თლია, № 52 სამარხი)
2. I ტიპოლოგიური ჯგუფი, II ქვეჯგუფი (ანუხვა)
3. II ტიპოლოგიური ჯგუფი, I ქვეჯგუფი (თლია, № 252 სამარხი)
4. II ტიპოლოგიური ჯგუფი, II ქვეჯგუფი (თლია, № 316 სამარხი)
5. II ტიპოლოგიური ჯგუფი, III ქვეჯგუფი (თლია, № 374 სამარხი)
6. II ტიპოლოგიური ჯგუფი, IV ქვეჯგუფი (ცხინვალი, განძი)

DESCRIPTION OF THE PLATE

- Pl. I – 1. I typological group, I subgroup (Tlia, grave 52).
2. I typological group, II subgroup (Anukhva).
3. II typological group, I subgroup (Tlia, grave 252).
4. II typological group, II subgroup (Tlia, grave 316).
5. II typological group, III subgroup (Tlia, grave 374).
6. II typological group, IV subgroup (Tskhinvali hoard).


ക്രമം. 1



2.6. ურარტული მახვილების შესახებ

ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე მეოთხედში სამხრეთ კავკასიაში საბრძოლო იარაღის – მახვილის ახალი ტიპი ჩნდება. ეს არის რკინის გრძელი მახვილი ბრინჯაოს ქარქაშითა და ფიგურული ტარით, რომლის ქრონოლოგიური დიაპაზონიც ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრით შემოიფარგლება [აბრამიშვილი 1957: 132]. ამ იარაღის სიგრძე 68-83 სმ. შორის მერყეობს. უმეტეს შემთხვევაში გვხვდება 75-76 სმ. სიგრძის მახვილები (აქედან ტარზე ვადის ჩათვლით მოდის 12-14 სმ.). უდიდესი სიგანე (ვადასთან) დაახლოებით 4 სმ. უდრის. ყველა მათგანი

ორპირლესილია. მახვილის პირი დაახლოებით 3/4-ის მანძილზე პარალელურია. უკანასკნელ მეოთხედში კი უცბად ვიწროვდება და წვეტიან ბოლოს ქმნის. მახვილის ტარი ორივე მხრიდან ორ-ორჯერ არის შეზნექილი ელიფსისებურად. ამის გამო მახვილს ხელი მარჯვედ ეკიდება და მისი ხელში გადატრიალების შესაძლებლობა კლებულობს. მახვილის ტარის თავი რკინის პატარა სამკუთხოვანი ღეროთი ბოლოვდება, რომელსაც ზემოდან ბრინჯაოს ღილაკი აქვს დამაგრებული. რკინის ეს ღერო, ისევე როგორც ტარის შუა ნაწილი ამოვსებული იყო ხით ან ძვლით.



სურ. 1

ფიგურულტარიანი რკინის მახვილები ქრონოლოგიურად წინამორბედ რკინის მახვილებთან შედარებით უფრო გრძელი და ვიწროა. მათი ურარტული წარმომავლობა [Пиотровский 1949:41-42; Погребова 1984:51] თავდაპირველად საეჭვოდ იქნა მიჩნეული იმ ფაქტის გამო, რომ ვანის ტერიტორიაზე ამ ტიპის

მახვილები საერთოდ არ იყო აღმოჩენილი, მაშინ როცა ამიერკავკასიის ძეგლებზე ნივთიერი კულტურის თვალსაზრისით წამყვან იარაღს წარმოადგენენ [აბრამიშვილი 1961].¹

¹ აღნიშნული ვითარებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რკინის ფიგურულტარიანი

ამიერკავკასიაში ფიგურულტარიანი რკინის მახვილების 60-მდე ერთეულია ჩვენთვის ცნობილი. აქედან ნახევარზე მეტი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან მომდინარეობს; ერთი დასავლეთ საქართველოდან;² ერთ ათეულამდე ცნობილია აზერბაიჯანიდან [Даниелян 1965: ტაბ. I, II, III], ხუთი კი სომხეთიდან [Пиотровский 1949: სურ.19; Пиотровский 1955: სურ. 32; Пилипосян 1999: ტაბ. 5_{16,17}] (იხ. რუკა № 1).

ფიგურულტარიანი რკინის მახვილების არეალში სხვა ტიპის მახვილები იშვიათია და გამონაკლისს წარმოადგენს. სამთავროს სამაროვანზე ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრის ძეგლებზე მხოლოდ ამ ტიპის მახვილებს ვხვდებით. ზოგადად კი სხვა სახეობის იარაღთან შედარებით მახვილის სიმცირე იმით არის გამოწვეული, რომ მახვილი მხოლოდ ე.წ. წარჩინებული მეომრის შეიარაღებაში შედიოდა. სამთავროს სამაროვანზე არცერთი შემთხვევა არ გვაქვს, რომ ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ შეძლებული მეომრის სამარხში ფიგურულტარიანი რკინის მახვილი არ იყოს აღმოჩენილი.

ფიგურულტარიანი რკინის მახვილები ძირითადად ცენტრალურ ამიერკავკასიასა და აღმოსავლეთ ანატოლიაში ვრცელდება.³ ანატოლიიდან მომდინარე ჩვენთვის ცნობილი ორმოცზე მეტი ერთეულიდან [Osten. 1937: 34, სურ.500; Biber, Sevan, Yalgin 2008: ტაბ. 163_{4,5,6}, 166_{1,4}, 167₇, 169_{14,15,16}, 170_{17,18,19,20}, 171₂₁, Biber 2005: კატალოგი №№ 1-3, 5, 6, 8, 10, 11, 13-17, 21-29, 33, 36, 37- 47, 52, 53, 58-60] თითქმის ყველა (ალიშარ-ჰუიუკის გარდა [Osten 1937: 34; სურ. 500]) ან უკონტექსტოა, ან მათი აღმოჩენის ადგილი უცნობია.

ანატოლიური ფიგურულტარიანი რკინის

მახვილები გენეტიკურად ადგილობრივ, კავკასიურ იარაღს არ უკავშირდება, მათი გენეზისის ძიების პროცესში თავის დროზე ყურადღება გავამახვილეთ ჰალშტატის კულტურისთვის დამახასიათებელ მახვილებზე [Schauer 1971], რომელნიც თავისი აგებულებით (გრძელი და ვიწრო პირი, ფიგურული ტარი და ტარის ღერაკზე წამოცმული ქუდი) გარკვეულ მსგავსებას პოულობენ ამიერკავკასიის ფიგურულტარიან მახვილებთან. ვანის ტბის მიდამოების აღმოჩენებმა კვლევის მიმართულება შეცვალა.

2 რკინის ფიგურულტარიანი მახვილის ერთი ერთეული დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილია პალურში (მასალა გამოუქვეყნებელია, ძეგლი გათხრილია 1965 წელს როსტომ აბრამიშვილის მიერ).

3 რკინის ფიგურულტარიანი მახვილი აღმოჩენილია ასევე დასავლეთ ირანის (ვარ-ქაბუდი) ძვ.წ. VIII-VII სს. დათარიღებულ სამარხში [Overlaet 2004: 335].

მახვილების სიგრძე 46-73 სმ. შორის მერყეობს. ამ ტერიტორიიდან მომდინარე იარაღი ტარის ფიგურული დეტალებითა და პროპორციებით რიგ შემთხვევებში რამდენადმე განსხვავდება ამიერკავკასიურებისგან [Biber, Sevan, Yalgin 2008: 167, სურ. 6, 7; 171, სურ.21].

ფიგურულტარიანი რკინის მახვილები კარმირ-ბლურის მასალების საფუძველზე ორ ტიპად დაყოფ. პიოტროვსკიმ [Пиотровский 1949: 39]. უნდა შევნიშნოთ, რომ კარმირ-ბლურის მახვილები [Пиотровский 1949: სურ.19] პირისა და ტარის მიხედვით იმდენად ერთნაირნი არიან, რომ ვფიქრობთ სიგრძეში და სიგანეში მათი სხვაობა ცალ-ცალკე ტიპებად დაყოფის საფუძველი არ უნდა გახდეს.

მინგეჩაურის მასალებზე დაყრდნობით ამავე იარაღის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია მახვილის ტარის მიხედვით სცადა ო. დანიელიანმაც. მის მიერ გამოყოფილი ორი ტიპიდან არცერთი არ არის მითითებული ტაბულაზე, მხოლოდ აღწერით კი ტიპოლოგიის თვალნათლივ წარმოდგენა რთულდება. ავტორი მინგეჩაურის რკინის მახვილებს ძვ.წ. IX-VII სს. ათარიღებს, თუმცა თარიღს არ ასაბუთებს [Даниелян 1965: 199].

ფიგურულტარიან რკინის მახვილებს შორის სხვადასხვა ტიპები არ გამოიყოფა. ტიპი ერთია, თუმცა გარკვეული განსხვავება მახვილზე ტარის დამაგრების წესის მიხედვით უდაოდ არსებობს. ამ ნიშნით შესაძლებელია ხუთი ქვეტიპის გამოყოფა.⁴

I – მახვილის ტარი რკინისაა და რკინის ფიგურულ ტარზე ბრინჯაოს მანჭვლებით ხე ან ძვალი მაგრდებოდა (სამთავროს სამაროვანი, სამარხები №№ 121, 202, 225, 276, 307) (ტაბ. I₁).

II – ყალიბში წინასწარ ჩამოასხამდნენ გარკვეული ფორმის ბრინჯაოს ორ ფირფიტას, რომელსაც შემდეგ რკინის სატარე ნაწილზე მანჭვლების საშუალებით ამაგრებდნენ. ცარიელ ადგილებს კი ხის ფირფიტებით ავსებდნენ (სამთავროს სამაროვანი, სამ № 79) (ტაბ. I₂).

III – მახვილს რკინის სატარე ნაწილზე შემოსალტული აქვს ბრინჯაოს ფირფიტებისგან გაკეთებული ჩარჩო. ფირფიტები ტარზე მჭიდროდ დამაგრების მიზნით ერთდებიან ბრინჯაოსავე წვრილი ტიხრებით, რომლებიც შემდეგ არიან ჩარჩოზე დადუღებულნი

4 მახვილების ქვეტიპებად დაჯგუფება ემყარება სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ მასალას, სამხრეთ კავკასიიდან მომდინარე ჩვენთვის ცნობილი ყველა ერთეულის გათვალისწინებით.

(სამთავროს სამაროვანი, სამ. №№ 31, 38, 41, 48, 55, 72, 88, 96*) (ტაბ. I_{3,4}).

IV – რკინის სატარე ნაწილზე ჩამო-
ასხამდნენ ბრინჯაოს ტარს, რომლის ერთი
ნაწილიც მასიურია (სამთავროს სამაროვანი,
სამარხები №№ 112, 123, 147, 262, 272, 317) (ტაბ
I_{5,6}). ამ ქვეტიპის მახვილთა ტარის დამზადების
ნესი შეიძლება სხვაგვარიც ყოფილიყო.
ასეთ შემთხვევაში პროცესი შემდეგნაირად
წარმართებოდა – ბრინჯაოსაგან
ჩამოასხამდნენ წინასწარ გათვალისწინებულ
ნივთს, რომლის ერთი ნაწილიც მასიურია და
შუაში აქვს ნახვრეტი. ამ ნახვრეტში შემდეგ
რკინის სატარე ნაწილს გაუყრიდნენ.

V – ისე როგორც I ქვეტიპს ამ მახვილსაც
აქვს რკინის ფიგურული ტარი, რომელზეც ხე
ან ძვალი მაგრდებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელს
პირველისგან განსხვავებით ვადასთან
შემოუყვება ბრინჯაოს სალტე (სამთავროს
სამაროვანი, სამარხი № 174) (ტაბ. I₇).

ქვეტიპებში შემავალი მახვილების დამ-
ზადების ნესი ერთია, თუმცა დეტალების
მიხედვით შესაძლებელია ქვეტიპების ვარიან-
ტების გამოყოფაც.

მახვილის ტარისთვის დამახასიათებელი
თავისებურებები გამოყო მ. პოგრეზოვამაც
[Погрѣзова 1984: 48]. კარმირ-ბლურის მახვი-
ლებს ის ძვ.წ. VI საუკუნით, მუსიერის მახვი-
ლებს კი მათთან ერთად დადასტურებული
„სკვითური“ ისრისპირების საფუძველზე ძვ.წ.
VI ს. დასაწყისით ან ძვ.წ. VII ს. მიწურულით
ათარილებს [Погрѣзова 1984: 134-141]. მუსიერის
სამაროვანი კომპლექსებად გამოქვეყნებული
არ არის. ე.წ. სკვითურ ისრისპირებთან
ერთად აღმოჩენილი მახვილის ტარზე
მსჯელობა კი სავსეა ჩანახატის მიხედვით
საკმაოდ ძნელია [Morgan 1889]. ის შეიძლება
იმ მოკლე, ფართოპირიან და სადა ტარიან
მახვილებს ეკუთვნოდეს, რომლებიც ჩვენთვის
საინტერესო იარაღის მომდევნო ხანაში
არსებობენ და რომელთაც მათი წინამორბედი
ფიგურულტარიანი მახვილების მსგავსი
ბრინჯაოს ქარქაში აქვთ. აქვე ხაზგასმით უნდა
ავლნიშნოთ, რომ ქრონოლოგიურ სისტემაში
ნივთის ადგილი მისი წარმოებისა და აქტიური
მოხმარების პერიოდით განისაზღვრება.
ცალკეული გვიანი შემთხვევები ქრონოლოგიურ
საზღვრებს არ ცვლის.

პოგრეზოვას მიაჩნია, რომ რკინის ფიგურ-
ულტარიანი მახვილი სამთავროს სამა-
როვანზე სკვითურ იარაღზე ადრე ჩნდება,

მაგრამ შემდეგ მათთან თანაარსებობს.
ამასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ
ფიგურულტარიანი მახვილებიდან არცერთი
არ არის აღმოჩენილი სკვითურ იარაღთან,
გარდა ერთი შემთხვევისა – კარმირ-ბლურ-
ზე. მართალია, კარმირ-ბლურზე ეს იარაღი და
სკვითური აკინაკები ერთ ფენაშია აღმოჩენილი,
მაგრამ აქ იმასაც უნდა გაენიოს ანგარიში,
რომ ამავე ფენაში აღმოჩნდა სკვითურ ხანაზე
უფრო ადრეული პერიოდის ისეთი ნივთები,
როგორცაა მეფე სარდურის კაპარჭი (ძვ.წ. VIII
ს. შუა ხანები) და არგიშტი I-ის ფარი (ძვ.წ. VIII
ს.), ანუ კარმირ-ბლური ჩვენთვის საინტერესო
იარაღის ქრონოლოგიის საკითხის დასაზუს-
ტებლად არ გამოდგება.⁵ ფიგურულტარიანი
რკინის მახვილების თარიღთან დაკავშირე-
ბით გასათვალისწინებელია მინგეჩაურში
აღმოჩენილი ამავე ტიპის ბრინჯაოს მახვილიც
[Казиев 1951: ტაბ II₁₀]. შეიძლებოდა ბრინჯაოს
ეს მახვილი რკინის მახვილების პროტოტიპად
მიგვეჩინა, მაგრამ ამ იარაღის თანმხლები

5 რაც შეეხება ვორნაკის № 5 სამარხს,
რომლის თარიღსაც ასევე ეყრდნობა მ. პოგრე-
ზოვა, შევნიშნავთ, რომ ამ სამარხში აღმოჩენილი
მახვილის ვადა და ტარი არ არის შემორჩენილი,
რაც გამორიცხავს მისი ტიპოლოგიური კუთ-
ვნილების დადგენას. ქარქაშის მიხედვით ცხა-
დია, რომ ეს იარაღი ზოგადად ძვ.წ. VIII-VII სს-ის
ფარგლებში ექცევა. მახვილის გაფართოებული
პირის მიხედვით კი ის ფიგურულტარიანი რკი-
ნის მახვილების შემცველი ქრონოლოგიური
ჯგუფის (ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევარი)
მომდევნო ქრონოლოგიურ ჯგუფს (ძვ.წ. VII ს.
მეორე ნახევარი – VI ს.) ეკუთვნის. ამ თარიღს
ხსენებული მახვილებისთვის ადასტურებს სამ-
თავროს № 293 და № 22 სამარხების შედგენი-
ლობაც (კომპლექსი გამოუქვეყნებელია). ორივე ამ
სამარხში აღმოჩენილი ფიგურულტარიანი რკინის
მახვილების ანალოგიური ქარქაშით აღჭურვილი
რკინის ფართოპირიანი მახვილები [აბრამიშვილი
1957: ტაბ. I₈₈; Gambashidze, Hauptmann, Slotta, Yalcin
2001: 15] დადასტურებულია ძვ.წ. VII ს-ის მეორე
ნახევრის – VI ს-ის ქრონოლოგიური ჯგუფის
განმსაზღვრელ მასალასთან ერთად (სამთავროს
№293 სამარხში აღმოჩენილია ე.წ. სკვითური
ტიპის რკინის ისრისპირი; ჩითახევის სამარხში
– რკინის მოხრილი დანა, რომელიც სამთავროს
სამაროვანზე მხოლოდ სკვითური ნივთების
შემცველ ფენაში (ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან)
ჩნდება.

მადლობას ვუხდით ირ. ლამბაშიძეს, რომელმაც
შესაძლებლობა მოგვცა გავცნობოდით ჩითახევის
№ 22 სამარხის კომპლექსის ფოტომასალას.

მასალა გამოქვეყნებული არ არის და არც მისი თარიღის შესახებ ამბობს რამეს ავტორი. არ არის გამორიცხული, მინგეჩაურის ბრინჯაოს მახვილს ფორმა რკინის მახვილებიდან აეღო.

საქართველოს ტერიტორიიდან მომდინარე ჩვენთვის ცნობილი ფიგურულტარიანი რკინის მახვილების ორმოცი ერთეულიდან 21 აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე. სამთავროს სამაროვანზევე დასტურდება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებული ამ იარაღის ყველა ქვეტიპი. ამასთან ერთად, საქართველოს ტერიტორიაზე ამ იარაღის საერთო რაოდენობიდან უმეტესი შიდა ქართლის ძეგლებზეა აღმოჩენილი და ძირითადად მცხეთასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზეა კონცენტრირებული: სამთავროს სამაროვანი-მცხეთა (21 ერთეული); მუხათგვერდის სამაროვანი (მცხეთის რ-ნი) (1 ერთეული – III ქვეტიპი [მცხეთა, IX: 172]. ნარეკვავის სამაროვანი-მცხეთის რ-ნი (6 ერთეული. აქედან ოთხი III ქვეტიპი [ოქროპირიძე 1963: ტაბ. X₂; დავლიანიძე, სადრაძე 1993: ტაბ. XC₂; ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: ტაბ. XII₉₀₆, XXIX₁₀₆₈]), ორი IV ქვეტიპი [დავლიანიძე, სადრაძე 1993: ტაბ. XC₁; მცხეთა, ნარეკვავი II: 2000: ტაბ. XXXIII₇₂₇]; სათოვლეს სამაროვანი-კასპის რ-ნი (1 ერთეული-IV ქვეტიპი [ბადრიაშვილი 1953: ტაბ. I₄]), თელათგორი-კასპის რ-ნი (1 ერთეული – III ქვეტიპი) [კვაჭაძე 2002: ტაბ. III₅]; თბილისი (4 ერთეული, აქედან ორი III ქვეტიპი: ერთი ნაქულბაქევის სამაროვანზე (ტაბ. II), ერთი თრელის სამაროვანზე [Abramishvili 1995: 31, სურ. 14]; ორი IV ქვეტიპი – თრელის სამაროვანზე (ტაბ. III)). IV ქვეტიპის მახვილი აღმოჩენილია შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილში (ნაცარგორაზე – ხაშურის რაიონი [Gambashidze, Hauptmann, Slotta, Yalcin 2001: სურ. 369]).

აღმოსავლეთ საქართველოში შიდა ქართლის ფარგლებს გარეთ ფიგურულტარიანი რკინის მახვილები აღმოჩენილია: ქვემო ქართლში – 1 ერთეული (განთიადის სამაროვანი: სამარხი №61-V ქვეტიპის მახვილი [Кахиани, Иремашвили, Иорданишвили, Цквитиანიძე 1985: ტაბ. XXX]); კახეთში - 4 ერთეული (საგარეჯოში – ერთი IV ქვეტიპის მახვილი [მამაიაშვილი 1988: ტაბ. XXXIX₉₇]; პატარძელში – ორი მახვილი. აქედან ერთი III ქვეტიპი (სემ № 2-30:7), ერთი IV ქვეტიპი (სემ №10-02:228); რკინის კალოს სამაროვანზე – ერთი IV ქვეტიპის მახვილი [კობაიძე 1978: ტაბ. XC]). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლი თავისი შედგენილობით ზოგადად ძვ.წ. VIII-VI სს.

ფარგლებში ექცევა. ფიგურულტარიანი რკინის მახვილები კი მათ ზედა ქრონოლოგიურ თარიღს ძვ.წ. VII ს. პირველი ნახევრით აკონკრეტებს.

არსებული მონაცემების მიხედვით სამხრეთ კავკასიაში ფიგურულტარიანი რკინის მახვილების ერთ-ერთი ძირითადი საწარმოო კერა მცხეთის ტერიტორიაზეა საგულისხმო.

როგორც აღვნიშნეთ ფიგურულტარიანი რკინის მახვილების არეალი ძირითადად ცენტრალური ამიერკავკასიითა და აღმოსავლეთ ანატოლით შემოიფარგლება, თუმცა მათი ბრინჯაოს მინაბადები გვხვდება კოლხური კულტურის წრეშიც: დასავლეთ საქართველოში – ერგეტას სამაროვანზე და კოლხური კულტურის არეალში შემავალ აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში – თლიას სამაროვანზე.

ერგეტას ფიგურულტარიანი ბრინჯაოს სატევრის შემცველი კომპლექსი ძვ.წ. VIII ს. მეორე ნახევრით – VII ს. პირველი ნახევრით არის დათარიღებული [Papuashvili 2004: 154] (ტაბ. IV₅). თლიას სამაროვანზე ე.წ. ურარტული მახვილების მიბადებით დამზადებული ბრინჯაოს სატევარი რამდენიმე სამარხშია აღმოჩენილი: №74a, 165, 201, 262 [Texov 1980: ტაბ. №№ 52, 84, 86, 113]; სამარხები №№ 123, 161, 273, 302, 310 [Texov 1981: ტაბ. 57, 78, 86, 88, 111]; სამარხი № 293 [Texov 1985: ტაბ. 186]; სამარხი № 363 [Texov 2001: ტაბ. 33]. ამათგან ნაწილი იმეორებს ურარტული იარაღის ფიგურულ ტარს, ტარზე ყუნწსა და ქუდს (სამარხები №№ 74a, 165, 201, 310) (ტაბ. IV_{1,2,3,4}), ზოგი იმეორებს მხოლოდ ტარის ყუნწსა და ქუდს (სამარხები №№ 273, 302) (ტაბ. V_{1,2}), ზოგი კი მხოლოდ ტარის ფორმას (სამარხები №№ 161, 363) (ტაბ. V_{3,4}). გვხვდება ისეთი ერთეულიც (სამარხი № 262), რომელიც პირდაპირ არ იმეორებს ე.წ. ურარტული მახვილების ფორმა-მოყვანილობას, მაგრამ აღჭურვილია ამ უკანასკნელთათვის დამახასიათებელი ქარქაშით (ტაბ. V₅). ასეთივე ქარქაშები აქვთ თლიას № 273 და № 310 სამარხებიდან მომდინარე სატევრებს (ტაბ. V₁, IV₃). თლიას სამაროვნის ბრინჯაოს სატევრები დასამზადებელი მასალის გარდა მათი პირველწყაროსგან ზომა-პროპორციებითაც განსხვავდებიან.

ე.წ. ურარტული მახვილების მიბადებით დამზადებული თლიას სატევრებიდან № 123 სამარხში გამონაკლისის სახით გვხვდება ბიმეტალური სატევარი (ტაბ. V₆), რომელსაც რკინის სატარე ნაწილზე შემოსაღებული აქვს ბრინჯაოს ფირფიტების ჩარჩო.

მიუხედავად იმისა, რომ თლიას სამაროვანზე აღმოჩენილი ურარტული სარტყლები კოლხური კულტურის წრისა და ურარტული სამყაროს პირდაპირ კავშირებზე უნდა მიუთითებდეს, ვფიქრობთ, რომ კოლხური კულტურის წრეში ე.წ. ურარტული ფიგურულტარიანი რკინის მახვილების ბრინჯაოს მინაბაძების გაჩენა სამთავრული კულტურის წრის გავლენა უნდა იყოს. ასეთი ვარაუდის შესაძლებლობას გვაძლევს თლიას სატევრების ბრინჯაოს ქარქაშები. ფიგურულტარიან რკინის მახვილებს ხშირად ახლავთ ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტისაგან დამზადებული ქარქაშის ნაწილები. ბრინჯაოს ეს ფირფიტები მახვილის ხის ქარქაშს მხოლოდ თავსა და ბოლოში ჰქონდა შემორტყმული, შუა ნაწილი კი მთლიანად ხის იყო (ტაბ. I, II). ანატოლიური მახვილებისა და მათი ქარქაშებისგან განსხვავებით ამიერკავკასიური მახვილების ბრინჯაოს ტარი, ქარქაშის ბოლო და ზედაპირი ხშირ შემთხვევაში დაფანჯრულია რომბისებური ან სამკუთხედისებური სარკმლებით. თლიას სამაროვნიდან მომდინარე სატევრების ქარქაშები, ისე როგორც ე.წ. ურარტული მახვილების ამიერკავკასიური ერთეულები, ბოლოებდაფანჯრულია (სამარხები №№ 262, 273, 310) (ტაბ. V_{1,57}, IV₃).

ზოგადად, დაფანჯრული ორნამენტი და ჩარჩოსებური ტარი არ არის უცხო თლიას სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს სატევრებისთვის. ჩარჩოსებური დაფანჯრული ტარი აქვთ აქ აღმოჩენილ ცენტრალურკავკასიურ ბრინჯაოს სატევრებს [Техов 1973, ტაბ. 88], რომელთა ანალოგიურიც სასირეთის განძსა და მის სინქრონულ ძეგლებზეა აღმოჩენილი. ყველა ეს ძეგლი ძვ.წ. XIV–XIII სს. მიჯნის ახლო ხანების და ძვ.წ. XIII საუკუნის ფარგლებში ექცევა [Akhvlediani 2005: 257–291]. ამ სატევრების ჩარჩოიანი ტარი ქრონოლოგიურად წინამორბედი წინააზიური სატევარ-მახვილების ტარის მინაბაძს წარმოადგენს. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში კი, ანუ ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე მეოთხედში თლიას ბრინჯაოს სატევრებზე ტარის დაჭვირვით შემკობა, ვფიქრობთ, ე.წ. ურარტული მახვილების კავკასიური ერთეულების გავლენით ჩნდება.

რაც შეეხება თლიას სამაროვანზე აღმოჩენილი ე.წ. ურარტული მახვილების მინაბაძების შემცველი კომპლექსების თარიღს, ამ ძეგლისთვის ჯერ ბ. ტეხოვის და შემდეგ გ. კოსაკის მიერ გამოყოფილი ქრონოლოგიური ჯგუფების თარიღები დამაჯე-

რებლობას მოკლებულია. ბ. ტეხოვის მიერ შემოთავაზებული თარიღებით თლიას ე.წ. ურარტული მახვილების მინაბაძების შემცველი ძეგლები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს, როგორც აღმოსავლეთ ანატოლიიდან, ისე სამხრეთ კავკასიიდან მომდინარე ე.წ. ურარტული მახვილების შემცველი ძეგლების თარიღებს [Техов 1973:106-108].

გ. კოსაკი სამხრეთ კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების დასათარიღებლად ძირითადად სომხეთიდან მომდინარე ძეგლებს ეყრდნობა. ავტორისავე შენიშვნით კვლევისთვის საჭირო ყველა ძეგლი ან ამა თუ იმ ძეგლის თაობაზე არსებული ლიტერატურა რიგ შემთხვევებში მისთვის ხელმისაწვდომი არ იყო [Kossak 1983: 126]. როგორც ჩანს, აღნიშნულის გამო მკვლევარის თვალსაზრისის მიღმა დარჩა კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლთა აბსოლუტური და შეფარდებითი ქრონოლოგიისთვის ნამყვანი ძეგლი – სამთავროს სამაროვანი, რომლის ირგვლივაც ავტორის ინფორმაცია ფრიად მწირი აღმოჩნდა [Kossak 1983:157].

ვფიქრობთ, სწორედ ეს გარემოება (სამთავროს სამაროვნის გვერდის ავლა) გახდა მიზეზი იმისა, რომ კოსაკის მიერ სამხრეთ კავკასიის რიგი ძეგლების თარიღის განსაზღვრა არასწორი გზით წარიმართა.

არქეოლოგიური თვალსაზრისით კავკასიის შესწავლის დასაწყისი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამთავროს სამაროვანთან, რომელიც დღემდე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მთელ კავკასიაში. სამთავროს სამაროვნის მასალებზე დაყრდნობით შემუშავებული იქნა აღნიშნული პერიოდის ევრაზიის ძეგლთა შორის ყველაზე დიფერენცირებული და დროის ვიწრო საზღვრებით გამოყოფილი ქრონოლოგიური ჯგუფები [Каландадзе 1949; ლომთათიძე 1974; აბრამიშვილი 1957], რომელთა გათვალისწინებასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების უნიფიცირებული ქრონოლოგიური სკალის შესადგენად.

სამთავროს სამაროვნის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების ქრონოლოგიური სისტემის ყველაზე გვიანი – სკვითური ნივთების შემცველი ქრონოლოგიური ჯგუფის (ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი – VI საუკუნე) საყრდენი არის: ნეხოს (ძვ.წ. 611-598 წწ.) ბექდის ანაბექდი,

პსამეტიქ I-ის (ძვ.წ. 668-611 წწ.) ბრინჯაოს ბეჭედი კარქემიშიდან და ცუკურ ლიმანის როდოსული ოინოხოია [აბრამიშვილი 1957: 130].

ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრის ქრონოლოგიური ჯგუფის საყრდენი: არგიშტი I-ისა (ძვ.წ. 781-760 წწ.) და სარდურ II-ის სახელების (ძვ.წ. 760-730 წწ.) წარწერიანი ისრისპირები კარმირ-ბლურიდან [აბრამიშვილი 1957: 134].

ძვ.წ. XI-IX სს. ქრონოლოგიური ჯგუფი მოიცავს ორ ფენას, რომლებიც ერთმანეთისგან გამიჯნულია შეფარდებითი ქრონოლოგიის მოშველიებით და ამა თუ იმ ნივთის ტიპოლოგიური განვითარების გათვალისწინებით [აბრამიშვილი 1957: 134-136].

ძვ.წ. XIII-XII სს. ქრონოლოგიური ჯგუფის საყრდენია ფარაონ მერნეპტას (ძვ.წ. 1251-1231 წწ.) კარტუმიანი მახვილი რას-შამ-რადან [აბრამიშვილი 1961: 319]. როგორც სამთავროს სამაროვნის, ისე სამხრეთ კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ყველაზე ადრეული ძეგლების თარიღი ძვ.წ. XV ს-ის მეორე ნახევარი – XIV ს. არის განსაზღვრული [Abramishvili 1977].

სამთავროს მასალების საფუძველზე მიღებულ თარიღებს სამხრეთ კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფებისთვის ამყარებს: მენუას სახელის წარწერიანი ლაგამი (ძვ.წ. 810-786 წწ.); აკრაში ამენოფისის (1455-1419 წწ. ან 1412-1375 წწ.) ბეჭედთან ერთად აღმოჩენილი ლჭაშენის ყორღანების ანალოგიური სამთითები [Edelstein 1973: 59-62] და არტიკის ცილინდრული საბეჭდავები, რომლებსაც ბარტელდ ჰრუდა ძვ.წ. XV-XIII სს. ფარგლებში აქცევს [Kossak 1983: 170-171].

სამხრეთ კავკასიის აბსოლუტური თარიღების მქონე ძეგლების ფონზე პრინციპულად არასწორია კოსაკის მიერ ბრინჯაოს ფოთლისებური და შედგენილტარიანი სატევრების, წრიულსაყბურიანი ლაგამების და ცენტრალურამიერკავკასიური ტიპის მძიმე ცულების შემცველი ქვემო სასირეთის განძის (ტაბ. VI₁) უფრო გვიანი ხანით დათარიღება, ვიდრე ეს ანალოგიური ნივთების შემცველი ლჭაშენისა და არტიკის კომპლექსებია [Kossak 1983: სქემა, ნახ. 41], მით უფრო მაშინ, როცა ლჭაშენის ბრინჯაოს მთლიანადსხმული სატევრებისთვის ძვ.წ. XIII-XII საუკუნეები ავტორისთვის ეჭვგარეშეა [Kossak 1983: 110]. ქვემო სასირეთის განძი, არტიკის № 79 სამარხი და ლჭაშენის მთლიანადსხმული სატევრის

შემცველი № 2 ყორღანი [Мартиросян 1964: ტაბ. IX_ა] (სხვა სინქრონულ ძეგლებთან ერთად) ერთ ქრონოლოგიურ სიბრტყეზე დგას.

საერთოდ, მოცემული ქრონოლოგიური ჯგუფის თანადროულად მიგვაჩნია ბრინჯაოს შედგენილტარიანი და მთლიანადსხმული სატევრების შემცველი კომპლექსები, სადაც სასირეთის განძი რამდენადმე წინ უსწრებს მთლიანადსხმული სატევრების შემცველ ძეგლებს და მათ შორის ლჭაშენის № 2 ყორღანს (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. [Akhvlediani 2005]). აქვე შევნიშნავთ, რომ სასირეთისა და არტიკის № 79 სამარხის ჯიხვის ბრინჯაოს სკულპტურებს კისერზე ერთმანეთის ანალოგიური სალტე შემოუყვებათ (ტაბ. VI₂).

ჩვენთვის საინტერესო ფიგურულტარიანი რკინის მახვილების ბრინჯაოს მინაბადების შემცველი ძეგლები თლიას სამაროვნის კოსაკაC ჯგუფის გვიან (ახალგაზრდა) პერიოდს მიაკუთვნა. ავტორის მიერ ამ ჯგუფის ძვ.წ. VIII საუკუნით შემოსაზღვრა [Kossak 1983: სქემა, ნახ. 41] საფუძველს მოკლებულია და ვფიქრობთ კავკასიის სკვითურიწვენტარიანი ძეგლების ხელოვნური დაძველების შედეგია (სკვითურიწვენტარიანი ძეგლების გადათარიღებასთან დაკავშირებით იხ. [ფირცხალავა 2001: 77-80]).

ჩვენი ვარაუდით, თლიას სატევრები, რომელთა ტარიც სამთავროს სამაროვნის ძვ.წ. VIII-VII სს. სატევარ-მახვილების ანალოგურია, სამთავროს ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრის ქრონოლოგიურ ჯგუფში უნდა გაერთიანდეს. ბ. ტეხოვი ამ სატევრებს უსაფუძვლოდ აკუთვნებს ერთ შემთხვევაში ძვ.წ. XII-X სს. ქრონოლოგიურ ჯგუფს [Техов 1972: ნახ. 1 № 151], ხოლო მეორე შემთხვევაში ძვ.წ. X-IX სს. [Техов 1972: ნახ. 2, № 176].

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ე.წ. ურარტული მახვილების შემცველ ძეგლებს შორის შედარებით გვიანდელია სამთავროს № 123, 174 და 276 სამარხები, ყველაზე ადრეული კი ნარეკვავის № 61 სამარხია. ამ უკანასკნელში ფიგურულტარიან რკინის მახვილთან ერთად აღმოჩენილი არის რკინის ტარშეურჩენელი მახვილი და ბრინჯაოს შუბისპირი მასრაზე ორი რელიეფური სალტით (ტაბ. VII_{1,4,5}). რკინის ტარშეურჩენელი მახვილი ძირითადად ძვ.წ. XI-X სს. ქრონოლოგიური ჯგუფის კომპლექსებისთვის დამახასიათებელი ნივთია [აბრამიშვილი 1957: 134-136]. ძვ.წ. IX ს. შემდეგ აღარ გვხვდება არც ბრინჯაოს შუბისპირი მასრაზე ორი რელიეფური სალტით. ვფიქრობთ, ნარეკვავის № 61 სამარხის

თარიღი, სადაც ერთად ვხვდებით ძვ.წ. XI-IX სს. (რკინის ტარშურჩენელი მახვილი და ბრინჯაოს შუბისპირი მასრაზე ორი რელიეფური სალტით) და VIII-VII ს-ის პირველი ნახევრის (ფიგურულ-ტარიანი რკინის მახვილი) ქრონოლოგიური ჯგუფებისთვის დამახასიათებელ ნივთებს, ძვ.წ. IX-VIII სს. მიჯნის ახლო ხანებით უნდა განისაზღვროს.

რაც შეეხება სამთავროს № 123, 174 და 276 სამარხების თარიღს, აქ I, IV და V ქვეტიპის მახვილებთან ერთად აღმოჩნდა რკინის დანები, რომელთა ტარიცა და პირიც რკინის მთლიანი ნაჭრისგან არის დამზადებული (ტაბ. VIII_{1,4}; IX_{3,23}). ეს უკანასკნელი კი სამთავროს სამაროვანზე სკვითური ნივთების შემცველი ფენისთვის დამახასიათებელი ნივთია (ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი-VI ს.). ამიტომ ამ კომპლექსების თარიღი ძვ.წ. VII ს. შუა ხანებით უნდა განისაზღვროს. იმ ფაქტს, რომ ორი მომიჯნავე ქრონოლოგიური ჯგუფის გადაკვეთაზე მათთვის დამახასიათებელი ნივთები (ამ შემთხვევაში ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრის განმსაზღვრელი ფიგურულტარიანი რკინის მახვილი და ძვ.წ. VII ს. მეორე ნახევრისა და ძვ.წ. VI საუკუნისთვის დამახასიათებელი რკინის დანა (იგივე მოხრილი დანა)) დროის მოკლე მონაკვეთში თანაარსებობენ, მტკიცება არ სჭირდება. ამდენად, ფიგურულტარიანი რკინის მახვილების ქრონოლოგიური გამიჯვნა სკვითური იარაღისგან მართებულად მიგვაჩნია.

სამთავროს №№ 123, 174 და 276 სამარხების შედგენილობა იმის მაუწყებელიც არის, რომ ამ იარაღის (ფიგურულტარიანი რკინის მახვილი) არსებობის პერიოდში (ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევარი) თითოეული ქვეტიპის ხანგრძლივობა დაკონკრეტებას არ ექვემდებარება. მიუხედავად იმისა, რომ ფიგურულტარიანი რკინის მახვილების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია მათი სავარაუდო ქრონოლოგიური ურთიერთმონაცვლეობის გათვალისწინებითაა აგებული, მათი შემცველი კომპლექსების შედგენილობის გათვალისწინებით ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრის მანძილზე ამ იარაღის ქვეტიპების თანაარსებობა ივარაუდება.

ანატოლიური ფიგურულტარიანი მახვილების აღმოჩენის ვითარების გათვალისწინებით, მათი დათარიღება შესაძლებელია ამიერკავკასიის ამავე ტიპის იარაღის შემცველი კომპლექსებით. არ არის გამორიცხული, ურარტუს ტერიტორიაზე ამ მახვილების ხანგრძლივობა

რამდენადმე სცდებოდეს სამხრეთ კავკასიაში მათი არსებობის ქრონოლოგიურ დიაპაზონს.

ფიგურულტარიანი რკინის მახვილების არეალი, ამ არეალში მათი სიმრავლე და ამ ტიპის მახვილებში შემავალი ქვეტიპებისა და მათი ვარიანტების მრავალსახეობა იმ ფაქტზე უნდა მეტყველებდეს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე მეოთხედში ცენტრალური ამიერკავკასია და აღმოსავლეთ ანატოლია იარაღის გარკვეული ტიპის წარმოების ერთ დიდ მეტალურგიულ რაიონს ქმნიდა.

ABOUT THE SO-CALLED URARTIAN SWORDS

Summary

A new type of weapon is seen in the second quarter of the 1st millennium BC in the Southern Caucasus. It is a long iron sword with a bronze sheath and a figured handle. The chronological range of this type of sword is dated by the 8th cent. and the first half of the 7th cent. BC. The length of this sword fluctuates between 68-83 cm. Basically observed are swords of 75-76 cm. (the handle is 12-14 cm of the total length). The ultimate width of it is approximately 4 cm. All of them are sharp on both sides. The sword blade on an extent of $\frac{3}{4}$ cm is of parallel sides, and in the last quarter it narrows sharply. The handle of the sword narrows twice like an ellipse on both sides. Therefore the hand conveniently holds the handle and the possibility of a slip off decreases. The head of the sword's handle terminates with a small triangular core on which a bronze button from above is attached. This iron core as well as the part in the middle of the handle was filled with a piece of wood or that of a bone.

In the Caucasus we know about 60 pieces of swords with figured handles. Half of them are found in East Georgia, one is from West Georgia, about 10 units are known from Azerbaijan (see map, fig. 1).

The iron swords with figured handles dominate in the Central Caucasus and in East Anatolia. 40 units were found in Anatolia; almost all of them are without context or of an unknown origin (except the sword from Alişar Höyük).

No structured difference among the iron swords with figured handles has been found. The type is one but the difference is in the specific ways in which the handles are attached to the swords. This makes it possible to allocate five subtypes:

I – To the iron figured handle a piece of wood or bone is attached and fastened with bronze nails (Samtavro burial ground №№ 121, 202, 225, 276, 307) (pl. I₁).

II – Two Bronze plates were moulded in a particular form, which then were attached with bronze nails to both sides of the handle. Empty places were filled with wooden plates (Samtavro burial ground, grave № 79) (pl. I₂).

III – The iron base of the sword's handle is framed with bronze plates. For a close attachment of the plates to the handle, they are incorporated with fine bronze partitions, which are sweated on the frame (Samtavro, graves №№ 31, 38, 41, 48, 55, 72, 88, 96^a) (pl. I_{3,4}).

IV – The bronze handle is cast on the iron base, one part of which is massive (Samtavro, graves №№ 112, 123, 147, 262, 272, 317) (pl. I_{5,6}). The method for producing the handle for the swords of these subtypes could be different: An object of a specific shape was cast in a mould. Its one side was massive and had a hole in the middle. The iron core of the handle passed through this hole.

V – Similarly to subtype I, the swords of this subtype have iron handles on which a piece of wood or bone was attached, but in difference from the first subtype, the latter has a bronze band round the bottom of the handle (Samtavro, grave № 174 (pl. I₇).

The order of manufacturing of the swords included into subtypes are identical, but judging by the details, allocation of variants of this or that subtype is possible also.

M. Pogrebova considers that on the Samtavro burial ground the swords with figured handles appear earlier than the Scythian weapon they coexist with. In connection with this, we should notice, that not a single unit of the swords with figured handles were found with the Scythian weapon, except one – in Karmir-Blur. However, on the monument of Karmir-Blur they and the Scythian weapon are found in one layer, but it is also indispensable to consider the fact that in this layer are found other objects of the time prior to the Scythian: a quiver of King Sardur (the middle of 8th cent. BC.) and a shield of King Argishti I (8th cent. BC). It means that the monument of Karmir-Blur isn't the right determinant for the specification of the chronology of the weapon we are interested in.

From the 40 units of the iron swords with figured handles occurring on the territory of Georgia which are known to us, 21 units are found on the Samtavro burial ground. And all the subtypes of this weapon are fixed here. On the territory of Georgia from most of the number of these swords are found in Shida (Internal) Kartli, concentrated basically in Mtskheta and in its vicinity: the Samtavro burial ground (Mtskheta, 21 units), Narekvavi burial ground (6 units from which four are of subtype III); the burial ground of Mukhadgverdi (1 unit, subtype III); the burial ground of Satovle (1

unit, subtype IV; the burial ground of Telatgori (1 unit, subtype III; Tbilisi (4 units, two units of subtype III: 1 unit from the Nakulbakevi burial ground (pl. II) and 1 unit from the Trelis burial ground. Two subtype IV units from the Trelis burial ground (Pl. III_{1,2}). The sword of subtype IV is found in the Western part of Shida Kartli (Natsargora).

On the territory of East Georgia beyond Shida Kartli, swords with figured handles are revealed: in Kvemo (Lower) Kartli – 1 unit (Gantiadi burial ground № 61, sword of subtype V; in Kakheti, 4 units (Sagarejo – one sword of subtype IV); Patardzleuli – two swords: one of them subtype III (GNG-№2-30:7) and another of subtype IV (GNG-№10-02:228)); the burial ground of Rkinis Kalo-one sword of subtype IV. All the above mentioned monuments are between 8th-6th centuries BC and the swords with figured handles definitely speak about the first half of the 7th c. BC. as the top chronological date. Judging by the existing material one of the industrial centers of the iron swords with figured handles in South Caucasus was Mtskheta. As it has already been noted, the area of the distribution of the iron swords with figured handles is limited to the Central Transcaucasia and East Anatolia. But the bronze imitations of these swords are found in the area of Colchian culture, which is in West Georgia, the burial ground of Ergeta and in the North-West part of East Georgia (this territory also enters into the area of Colchian culture) – the Tli burial ground.

The Ergeta complex which contains a bronze dagger with a figured handle is dated by the 2nd half of the 8th cent. BC and the first half of the 7th cent. BC (pl. IV₃). On the Tli burial ground the bronze daggers made like the so-called Urartian swords are found in several burials: №№ 74a, 165, 201, 262, 293, 363. Part of them repeats the figured handle with a core and a small button on the handle (burial-grounds №№ 74, 165, 201, 310) (pl. IV_{1,2,3,4}). Some of them repeat only a core and a handle button (№№ 273,302) (pl. VI_{1,2}) and others – only the shape of the handle (№ 161,363) (pl. VI_{3,4}). There are also units (№ 262) which don't repeat the form of the so called Urartian swords, but have sheaths characteristic for the latter (pl. V₅). Daggers from burials № 273 and 310 (pl. V₁, IV₃) have such sheaths. Daggers from the Tli burial-ground differ not only by the material they are made from but also by the sizes and proportions. From the daggers of the Tli burial ground made like the so-called Urartian swords, in burial-ground № 123 a bimetallic dagger occurs as an exception (pl. V₆). The iron part of the handle of this unit is clad by a frame of bronze plates.

Despite the fact that Urartian belts found on the Tli burial ground point to the direct communications of the Colchian world with that of Urartian, we consider that the occurrence of a bronze imitation in the shape of Urartian iron swords with the figured handle is caused by the influence of the Samtavro culture. This assumption is grounded on the presence of the bronze sheaths with the daggers found in the Tli burial ground.

Iron swords with figured handles are often found with parts of sheaths made from thin bronze plates. The top and the end of wooden sheaths were bordered by these plates, and the central part was entirely wooden. (pl. I₇, II). Unlike Anatolian swords and their sheaths, the bronze handle and sheath of the Transcaucasian units are decorated by rhombic and triangular hollow ornaments. The sheaths of daggers from the Tli burial ground, as well as the sheath of Transcaucasian units of the so-called Urartian swords, are terminated with the hollow triangles placed as parts of a mirror (burial-ground №№ 262, 273, 310) (pl. IV₃, V_{1,3}).

As for the dating of the Tli burial ground complexes in which imitations of the so-called Urartian swords are found, it must be mentioned that the dates of the chronological groups allocated at first by B. Tekhov, and then by G. Kossak, are not conclusive.

Because of the incorrect approach to the chronological system, there was a deadlock in N.Sulava's attempt to create a chronological picture of the monuments containing fibula on the Tli burial ground. According to the author, she was guided by the method approved by R.Abramishvili for the chronological system of the Samtavro burial ground monuments. Unlike G. Kossak. and Al. Pruss, she retrospectively split chronological groups of the Tli burial ground, trying the way to reach an occurrence of fibula in this region, whereas G.Kossak and Al. Pruss begin to divide the Tli fibula' on chronological groups from the fibula occurrence in this region. In connection with this, it is necessary to notice that the objects from the Samtavro burial-ground give us the opportunity of an exact dating that has been determined to construct the chronological system for these monuments with the method which was used by R.Abramishvili. Other monuments of Transcaucasia lack such a possibility and their dating should be begun with early monuments. It gives a chance to track the typological development of separate objects and changes in archaeological culture. Therefore, the method of Pruss and Kossak applied to the Tli burial ground isn't subject to revision and, the more so, to any change.

By the dates offered by B.V.Tekhov, the Tli monuments containing imitations of the so-called Urartian swords chronologically are prior to both the East Anatolian and the South Caucasian monuments which contain swords of the specified type.

On the background of the Southern Caucasus monuments which have absolute dates, Kossak's dating of the Sasireti Hoard – which contains Bronze leaf-shaped daggers, daggers with composite handle, disk-shaped bits and heavy axes of the Central-Transcaucasian type (pl. VII₁) – with a later period than the monuments from Lchashen and Artik with similar objects is totally unacceptable [Kossak 1983, the scheme, fig. 41]. The author isn't doubtful as to the date (13th-12th centuries BC.) for the Bronze daggers with unit-cast handles from Lchashen. The Sasireti hoard, Artik burial № 79 and Lchashen barrow № 2 with a unit-cast dagger (with other synchronous monuments) are located on one chronological line.

With the given chronological group simultaneous are all complexes containing bronze daggers with unit-cast and composite handles. And in this group the Sasireti Hoard is a short time prior to the monuments with unit-cast handle daggers, and among them is barrow № 2 of Lchashen. Here we should notice that bronze sculptures from the Sasireti Hoard and Artik burial-ground № 79 have identical hoops on the necks (pl. VI₂).

Kossak has determined the imitations of the iron swords we are interested in with the figured handles from the Tli burial grounds as of the late (early) period of group C. the dating of this group by the author by the 8th century BC is groundless. In our opinion, it is the result of an artificial shift of the date of the Caucasian monuments to set them with Scythian objects. The Tli bronze daggers with the similar handles like the Samtavro swords and daggers of the 8th -7th cent. BC should be in the chronological group of the 8th cent. and the first half of the 7th cent. BC. Tekhov without any basis attributed these daggers to the chronological group of 11th-10th cent. BC in one case and in the other, to the 10th -9th cent. BC.

On the territory of the CCaucasus among the monuments containing the so-called Urartian swords, the latest are Samtavro graves № 123, 174 and 276, and the earliest is the № 61 burial of Narekvavi. In Narekvavi, apart from the iron sword with a figured handle was found an iron sword the handle of which has not survived (the latter basically occurs in the 11th-10th cent. BC, and a bronze spear with two relief lines on the bush (pl. VIII_{1,4,5}), which disappears after the 9th century BC. In our opinion, burial-ground № 61 of Narekvavi where the characteristic material for the chronological groups of the 11th-9th cent. BC. (an iron sword without the handle and a bronze spear with two relief lines on the bush) and that of the 8th cent. and of the 1st half of the 7th cent. BC (an iron sword with a figured handle) are seen together, should be dated by the end of the 9th c. and the beginning of the 8th cent. BC.

As to burials of Samtavro № 123, 174 and 276, together with the swords of subtypes I, IV and V, are found iron knives, the handle and the blade of which are made from integral iron pieces (pl. VIII_{1,4}; IX_{3,23}). On the Samtavro burial-ground, these knives are characteristic for the monuments containing Scythian objects (2nd half of the. 7th-6th cent. BC.). Therefore it is possible to date these complexes by the middle of the 7th cent. BC. The fact that on the joint of two adjacent chronological groups, objects characteristic to them coexist in a short interval of time (in this definite case an iron sword with figured handle dated by the 8th cent. and the 1st half of the 7th cent. BC and an iron knife (the bended knife) characteristic for the 1st half of the 7th cent. – 6th cent. BC), doesn't require to be proved. From the data given above we confirm the following: the chronological separation of iron swords with figured handles from the Scythian weapon is relevant.

The structure of Samtavro burials № 123, 174, 276 points to the fact that the existence of this weapon starts from the 8th cent. and includes the 1st half of the 7th cent. BC but the time of the life of each subtype can't be determined exactly. Although the typological classification of the iron swords with figured handles is constructed on their approximate chronological alternation, considering the structure of their containing complexes of the 8th cent. and of the 1st half of the 7th cent. BC, the coexistence of subtypes of this weapon is supposed.

The area of the iron swords with figured handles, a large number of these swords in this area and the diversity of their subtypes and variants, definitely point to the fact that in the second quarter of the 1st millennium the Central Transcaucasia and East Anatolia were unified in one big metallurgical area for the manufacturing of a certain type of weapon.

ლიტერატურა

- აბრამიშვილი რ. 1957** : სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, XIXA-XXIB, 115-139.
- აბრამიშვილი რ. 1961**: რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – სსმმ, XXIB, 291-380.
- ბადრაიშვილი მ. 1953**, არქეოლოგიური ძეგლები სოფელ სათოვლედან, სსმმXVII B, თბილისი, გვ. 235-241
- დავლიანიძე რ., სადრაძე ვ. 1993**: ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი. თბილისი.
- კვაჭაძე მ. 2002**: სამარხები სოფ. თელათგორთან. – ძიებანი, 10, 18-24.
- კობაიძე ლ. 1978**: რკინის კალოს სამაროვანი. თბილისი.
- ლომთათიძე გ. 1974**: ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში. თბილისი.
- მამიაშვილი ნ. 1988**: ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამაროვანი საგარეჯოდან. – გარეჯი, VIII, თბილისი, 72-112.
- მცხეთა, 1989**: ტ. IX, რედაქტორი ა. აფაქიძე. თბილისი.
- მცხეთა, ნარეკვაი II, 2000**: ა. აფაქიძის რედაქციით. თბილისი
- ნიკოლაიშვილი ვ., გავაშელი ე. 2007**: ნარეკვავის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- ოქროპირიძე ნ. 1963**: ნარეკვავის სამაროვანი. – ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, 183-220.
- სულავა ნ. 2006**: კავკასიის ფიზიკური. ავტორეფერატი, თბილისი.
- ფირცხალავა მ. 2001**: საქართველოს ე.წ. სკვითურინვენტარიანი არქეოლოგიური კომპლექსების დათარიღების საკითხისათვის. – ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი, დამატებანი IV). თბილისი, 77-86.
- ღრმახვისთავის არქეოლოგიური ძეგლები 1980**: რედაქტორი რ. აბრამიშვილი. თბილისი.
- Даниелян О. А. 1965**: Железные мечи с бронзовыми рукоятками из грунтовых погребений Мингечаура. – Археологические исследования в Азербайджане, Баку, 99-113.
- Казиев С. И. 1951**: О некоторых типах оружия из Мингечаура, Материальная культура Азербайджана, II, Баку, 5-30.
- Каландадзе А. Н. 1949** : Периодизация памятников Самтавро. – КСИИМК, XXIV, 4-5.
- Кахиани К., Ирешашвили Ш., Иорданишвили Ж., Цквитинидзе З. 1985**: Археологическая экспедиция Машаверского ущелья в 1982 году, ПАИ, 1982, 29-31.
- Мартиросян А.А. 1964**: Армения в эпоху поздней бронзы и раннего железа. Ереван.
- Пиотровский Б. Б. 1949**: Кармир-Блур, I. Ереван.
- Пиотровский Б. Б. 1955**: Кармир-Блур, III. Ереван.
- Погребова М.Н. 1984**: Закавказье и его связи с передней Азией. Москва.
- Пилипосян А.С. 1999**: Древневосточные кинжалы и мечи с рамочной рукоятью. Ереван.
- Техов Б.В. 1973**: Центральный Кавказ XVI-X вв. до н.э. Москва.
- Техов Б. 1980**: Тлийский могильник, I. Тбилиси.
- Техов Б. 1981**: Тлийский могильник, II. Тбилиси.
- Техов Б. 2001**: Кобано-Тлийское графическое искусство. Владикавказ.
- Хачатрян Т.С. 1979**: Артикский некрополь. Ереван.
- Abramishvili R. M. 1977**: Chronological ordering at archaeological finds of Transcaucasia. Bulletin of Tbilisi Archeological museum, 1, Tbilisi.

- Abramishvili R. 1995:** Neue Angaben über die Existenz des thrako-kimmerischen ethnischen Elements und des sog. skythischen Reiches im Osten Transkaukasiens. – Archäologischer Anzeiger, 23-39.
- Akhvlediani N. 2005:** Problems of the Chronology of the Late Bronze Age and Early Iron Age Sites in Eastern Georgia (Kvemo Sasireti Hoard). – ACSS, XI, 1-2, 257-295.
- Biber H. 2005:** Urartu Silahları: Kılıç, Hançer ve Bıçakları (Dissertation, Van Yüzüncü Yıl University). Van.
- Biber H., Sevan V., Yalgin O. 2008:** Thechnological and Archeometallurgical Studies on the Urartian Swords and Daggers. – Ancient Mining in Turkey and the Eastern Mediterranean, Ankara, 149-173.
- Edelstein G. 1973:** Tombs de marchands guerriers au nord d'Acre. – Archeologia Tresors des Ages, 60, Juillet, 57-63.
- Gambashidze Ir, Hauptmann A., Slotta R, Yalcin Ü. 2001:** Georgien – Schätze aus dem Land des Goldenen Vlies. Bochum.
- Kossak G. 1983:** Tli grab 85, Bemerkungen zum Beginn des skytheratischen Formenkreises in Kaukasus. Kommission Aür Allgemeine und Verdiehende Archäologie des Deutschen Archäologischen Institute, Beitrage sur Allgameinen und Vergleichenden Archäologie, 5. Bonn
- Morgan J de. 1889:** Mission scientifique au Caucase, I. Paris.
- Osten H.H. 1937:** The Alishar-Huyuk Seasons of 1930-1932, part II. Oriental Institute Publications, XXIX.
- Overlaet B. 2004:** Metallarbeiten aus dem Luristan der Eisenzeit. – Persiens antike Pracht: Bergbau-Handwerk-Archäologie, 1, 328-338.
- Papuashvili R. 2004:** Collective Burial Pit № 4, Ergeta II Burial Ground. – Journal of Georgian Archaeology, 1, 152-159.
- Schauer P. 1971:** Die Schwerter in Suddeutschland. Osterreich und der Schweiz, I. Munchen.

ტაბულაჰისა და სურათის აღწერა

- სურ. 1 – ე.წ. ურარტული მახვილების კავკასიაში აღმოჩენის ადგილები: 1. პალური, 2. ნაცარგორა, 3. სათოვლე, 4. ნარეკვაი, 5. სამთავრო, 6. უჯარმა, 7. საგარეჯო, 8. პატარძეული, 9-10. თბილისი, 11. თრელი, 12. ნოფი, 13. განთიადი, 14. მინგეჩაური, 15. მუსიერი, 16. ვორნაკი, 17. კარმირ-ბლური.
- ტაბ. I – 1. რკინის მახვილის ტარი სამთავროს სამაროვნის № 121 სამარხიდან. მახვილის სიგრძე – 70 სმ; 2. რკინის მახვილის ბრინჯაოს ტარი, სამთავრო, სამარხი № 79. მახვილის შემონახული სიგრძე – 32 სმ; 3. რკინის მახვილის ბრინჯაოს ტარი, სამთავრო, სამარხი № 55. მახვილის შემონახული სიგრძე – 16 სმ; 4. რკინის მახვილის ბრინჯაოს ტარი, სამთავრო, სამარხი № 88 მახვილის შემონახული სიგრძე – 21 სმ; 5. რკინის მახვილის ბრინჯაოს ტარი, სამთავრო, სამარხი № 272. მახვილის შემონახული სიგრძე – 16 სმ; 6. რკინის მახვილის ბრინჯაოს ტარი, სამთავრო, სამარხი № 112. მახვილის სიგრძე – 75 სმ; 7. რკინის მახვილის ბრინჯაოს ტარი, სამთავრო, სამარხი № 174. მახვილის სიგრძე – 70 სმ.
- ტაბ. II – ბრინჯაოს ნივთების ნაწილი, ბრინჯაოსტარიანი რკინის მახვილისა და ბრინჯაოს ქარქაში ნაქულბაქევის სამაროვნის № 3 სამარხიდან.
- ტაბ. III – 1. თრელის სამაროვნის სამარხი № 232; 2. თრელის სამაროვნის სამარხი № 234.
- ტაბ. IV – ბრინჯაოს სატევრები თლიას სამაროვნიდან : 1. სამარხი № 74ა [Texov 1980, ტაბ. 52]; 2. სამარხი № 165 [Texov 1980: ტაბ. 84]; 3. სამარხი № 310 [Texov 1981: ტაბ. 84]; 4. სამარხი № 201 [Texov 1980: ტაბ. 86]; 5. ერგეტას სამარხი № 4 [Papuashvili 2004, პლ. IV,].
- ტაბ. V – ბრინჯაოს სატევრები თლიას სამაროვნიდან : 1. სამარხი № 273 [Texov 1981: ტაბ. 78]; 2. სამარხი № 302 [Texov 1981: ტაბ. 86]; 3. სამარხი № 161 [Texov 1981: ტაბ. 111]; 4. სამარხი № 363 [Texov 1980: ტაბ. 33]; 5. სამარხი № 262 [Texov 1980: ტაბ. 113]; 6. სამარხი № 123 [Texov 1981: ტაბ. 57].
- ტაბ. VI – I. ბრინჯაოს ნივთების ნაწილი ქვემო სასირეთის განძიდან : 1. ცენტრალურამიერკავკასიური ტიპის სატევარი;

სამრეთამიერკავკასიური ტიპის სატევარი შედგენილი ტარით; 3-4. ფოთლისებური სატევრისპირები; 5. ლაგმები დისკოსებური საყბურებით; 6. ჯიხვის თავის სკულპტურული გამისახლება; 7. ცენტრალურამიერკავკასიური ტიპის ცული.

II. არტიკის სამაროვნის № 79 სამარხის ინვენტარი : 1-3. თიხის ქურჭელი; 4-5. ბრინჯაოს ლაგმები; 6. ჯიხვის ქანდაკება (ხაჩატრიანის მიხედვით [Хачатрян 1979: 142]).

ტაბ. VII – ნარეკვავის სამაროვნის № 61 სამარხის ინვენტარის ნაწილი: 1. ბრინჯაოს ფიგურულტარიან რკინის მახვილი; 2. კოლხური ტიპის ბრინჯაოს ცული; 3. ბრინჯაოს სამაჯური და ჯვრისებური საკიდი; 4. უტარო რკინის მახვილი; 5. ბრინჯაოს შუბისპირი მასრაზე წყვილი რელიეფური სალტით [მცხეთა, ნარეკვავე II, 2000: კატალოგი].

ტაბ. VIII – სამთავროს სამაროვნის № 123 სამარხის ინვენტარი.

ტაბ. IX – სამთავროს სამაროვნის № 174 სამარხის ინვენტარი.

DESCRIPTION OF THE PLATES AND THE FIGURE

Fig. 1 – Points of the finds of so-called Urartian swords in Caucasus: 1. Paluri, 2. Natsargora, 3. Satovle, 4. Narekvavi, 5. Samtavro (Mtskheta), 6. Ujarma, 7. Sagarejo, 8. Patardzeuli, 9-11. Tbilisi: 9. Naqulbaqevi, 10. Mukhatgverdi, 11. Treli. 12. Tsopi, 13. Gantiadi, 14. Mingechaur, 15. Musieri, 16. Vornak, 17. Karmir-Blur.

Pl. I – 1. The handle of an iron sword from burial № 121 at Samtavro burial-ground; length of the sword –70 sm; 2. The bronze handle of an iron sword from burial № 79 at the Samtavro burial ground; the survived length of the sword 32 sm; 3. The bronze handle of an iron sword from burial № 55 at the Samtavro burial ground; the survived length of the sword 16 sm; 4. The bronze handle of an iron sword from burial № 88 at the Samtavro burial ground; the survived length of the sword 21 sm; 5. The bronze handle of an iron sword from burial № 272 at the Samtavro burial ground; the survived length of the sword 16 sm; 6. The bronze handle of an iron sword from burial № 112 at the Samtavro burial ground; the length of the sword 75 sm; 7. The iron sword with a bronze sheath from burial № 174 at the Samtavro burial ground; the length of the sword 70 sm.

Pl. II – Part of bronze subjects and iron sword with a bronze handle and bronze sheath from burial № 3 at the Nakulbaqevi burial-ground.

Pl. III – 1. Burial № 232 at the Treli burial-ground; 2. Burial № 234 at the Treli burial-ground.

Pl. IV – The bronze daggers from Tli burial-grounds: 1. grave 74a; 2. grave 165; 3. grave 310; 4. grave 201; 5. From Ergeta burial № 4.

Pl. V – The bronze daggers from the Tli burial-grounds: 1. From burial № 273; 2. From burial № 302; 3. From burial № 161; 4. From burial № 363; 5. From burial № 262; 6. From burial № 123.

Pl. VI –

I. Part of the bronze subjects from the Kvemo Sasireti Hourd: 1. Dagger of a Central-Transcaucasian type; 2. Dagger of a South-Transcaucasian type with compose handle; 3-4. Lief-shaped dagger blades; 5. Bits with disk-shaped cheek-pieces; 6. Sculptured depiction of the head of a mountain goat; 7. Axe of the Central-Transcaucasian type.





II. Grave-goods from burial № 79 at Artik burial-ground: 1-3. Ceramic; 4-5. Bronze bits; 6. Bronze Sculptur of the head of an ibex.

Pl. VII – Part of the Grave-goods from burial №61 at Narekvavi burial-ground: 1. Iron sword with a bronze figured handel; 2. Bronze axe of Colchian type; 3. Bronze bracelet and cruciform pendant; 4. Iron sward without a handle; 5. Bronze spearhead with two relief belts on the bush.


Pl. VIII – Grave-goods from burial № 123 at the Samtavro burial-ground.

Pl. IX – Grave-goods from burial №174 at the Samtavro burial-ground.



ტაბ. I




ცაბ. II




ცაბ. III




ტაბ. IV







ტაბ. V




ტაბ. VI







გაბ. IX



საყურადღებო არტიკლები ცენტრალური კოლხეთიდან

გასული საუკუნის 40-იანი წლების შუა ხანებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნინო ხოშტარია) სტაციონალური არქეოლოგიური გათხრებით შეისწავლა ცივის (ცივას) ნამოსახლარი, რომელიც მდებარეობს ამავე სახელწოდების მდინარის მარჯვენა სანაპიროზე ქ. ფოთის ჩრდილოეთით 10 კმ მანძილზე, ხობის რ-ნის სოფ. ყულევის ტერიტორიაზე [ხოშტარია 1945: 467]. ცივის ნამოსახლარზე წარმოებული სამუშაოები ცნობილია ნინო ხოშტარიას მიერ გამოქვეყნებული სტატიით [ხოშტარია 1945a: 77-82]¹, თუმცა მეცნიერმა ქალბატონმა სიცოცხლეში ვერ მოასწრო აქ მოპოვებული მასალის პუბლიკაცია. ხსენებულ ნაშრომში კი მხოლოდ ცივის ნამოსახლარის სხვადასხვა კულტურულ ფენებში აღმოჩენილი არტიფაქტების ჩამონათვალს იძლევა [ხოშტარია 1945a: 80]. ცივის მასალებთან ერთად აღმოჩნდა ერთი ძალზე საყურადღებო ხის ჭურჭელი, რომელიც საინვენტარო დავთარში და ამ ძეგლის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიაში არ იხსენიება. ეჭვგარეშეა, რომ ეს უპასპორტო არტიფაქტი ამ ძეგლიდან უნდა მიმდინარეობდეს. იგი ჩვენს მიერ იქნა მიკვლეული 2011 წლის მარტში ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრში არმაზის არქეოლოგიური ბაზიდან შემოსული დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების (მათ შორის ცივის ნამოსახლარის) მასალების დამუშავებისას.²

ხის ჭურჭელი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი (ტაბ. I). დამზადებულია ერთი მთლიანი ხის ნაჭრისაგან. აქვს ნახევარსფეროსებური ფორმა, დასადგამ ნაწილზე დატანილია 3 სმ დიამეტრის მქონე ამოღარული წრე. ზედა მხარე, სადაც სითხის ჩასასხმელი ხვრელი უნდა ჰქონოდა, ბრტყელია. მუცლიან კორპუსზე და ბრტყელ ზედაპირზე შემოსდევს დამუშავების შედეგად დარჩენილი ერთმანეთის პარალელუ-

რი ამოღარული ხაზები. ჭურჭლის შიდა ნაწილი დამუშავებული უნდა ყოფილიყო ბრტყელ ზედაპირზე არსებული მრგვალი ხვრელიდან. ეს კარგად დასტურდება არტიფაქტის შიდაპირის კედლებზე და ძირზე დამუშავების შედეგად დარჩენილი ამოღარული ნახევარწრეებით. სითხის ჩასასხმელი ბრტყელი ზედაპირის შიდა კედლებზე ასეთი დამუშავების კვალი არ შეინიშნება. ჭურჭელს პირთან და კორპუსის ზედა ნაწილში ჰორიზონტალურად ებმის სითხის დასალევი მილი. სასმისის მთლიანი სიგრძეა 15 სმ, დიამეტრი 10 სმ, სიმაღლე 5 სმ.

კოლხეთში ბრინჯაო-ადრერკინასა და კლასიკურ ხანაში სხვადასხვა დანიშნულების ხის ნივთები ძირითადად გამოვლენილია ზღვისპირა ზოლის ნამოსახლარებზე (მეტწილად ქვედა ფენებში). აქ არსებულ ჭაობიან, ტორფნარეგ ნიადაგებში ისინი კარგად არიან შემონახული. ხის ფრაგმენტული ჯამები ცნობილია ისპანის, ფიჩორის (VIII ფენა), ანაკლია II-ის, ყულევისა (IV ფენა) და ჩოლოქისპირა ნამოსახლარებიდან [ჩავლეიშვილი 1987: 25; მუსხელიშვილი და სხვ. 2010: 34]. კოვზები (ან სახაპავი – ერთ მათგანი ცხოველის თავის გამოსახულებით); მერძვეობასთან დაკავშირებული ნივთები: კაბინი, სადღვებელი (რომელთა ანალოგიები მოიპოვება საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში) გვხვდება ჩოლოქისპირა ნამოსახლარის გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურულ ფენაში [ჩავლეიშვილი 1988: 30-31, ტაბ. XI, XII_{1,2,3}; დავითაძე 1974: 48-92]; ღრმად ამოღარული წაგრძელებულპირიანი ციცხვები, ხის სავარცხელი, რომელიც წარმოგენილია სიმაგრეზე და ა.შ. [მიქელაძე 1978: 59, ტაბ. XXXIX].

ცივის ნამოსახლარზე გამოვლენილი ხის ჭურჭლის ახლო პარალელები დღემდე არ არის ცნობილი კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის, ადრეანტიკური და კლასიკური ხანის ძეგლებზე. ვფიქრობთ, ტიპოლოგიურად და ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით ეს ნივთი ყველაზე ახლოს დგას საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში (ლერხუმი, სამეგრელო, გურია) გავრცელებულ ღვინის სასმის კულასთან (რკულასთან). განსაკუთრებით კი რაჭაში ცნობილ ამ რიგის ნივთებთან [მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, 1979: 205, სურ. 137].

„კულა ხის სასმისია ხმიანი“ [სულხან საბა ორბელიანი 1991: 395]. „მისი ტანი განიერი,

1 ცივას ხელოვნურად გამართულ ბორცვ-ნამოსახლარზე (დმ. 20 მ, სიმაღლე 0,5 მ) გათხრები მიმდინარეობდა 1945 წლის სექტემბერ-ნოემბერში. გავლებული იქნა ორი თხრილი, რომელთა საერთო ფართობი 300 კვ. მეტრს აღწევდა.

2 მასალების დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს: ლ. ჯიბლაძემ, რ. პაპუაშვილმა, რ. კვიციანიმ, მ. ცინდელიანმა, მ. ჩარკვიანმა და ს. ხარაბაძემ.

ნახევრად ცილინდრული, კვერცხისებური მოყვანილობისაა და ჩიბი ენოდება. აქვს გრძელი ყელი და გრძელი პირჩახეული ტუჩი“ [ქართული ეთნოგრაფიული ლექსიკონი 2009: 74]. კულადან ღვინო რაკრაკით ჩამოედინებოდა [გასიტაშვილი 1978: 147; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1955: 1414].

კულაზე მეგრული ხალხური (სუფრული) სიმღერაც არსებობს, რომლის ტექსტს გთავაზობთ.

ო, ოლური კულა რე,
ო, ოლური კულა რე,
კულათ ღვინსი მით გეშუნსი
კოჩი თინა რე,
კულათ ღვინი მისით ვაშვენი
თელო ღურა რე.³

ამრიგად, ცივის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ორიგინალური ხის ჭურჭელი უნდა წარმოადგენდეს მეღვინეობასთან დაკავშირებულ სასმისს – კულას. ამ ჩვენს მოსაზრებას გარკვეულწილად ამაგრებს როგორც საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დაცული ამ ფორმისა და დანიშნულების ხის ჭურჭელი, ასევე ცივის ნამოსახლარზე აღნიშნულ არტეფაქტთან ერთად აღმოჩენილი კულტურული ვაზის (*vitis vinifera*) ნიპნები, რომელიც განსაზღვრა პალეობოტანიკოსმა ნანა რუსიშვილმა.

ცივის ნამოსახლარზე 1945 წლის გათხრებისას გამოვლინდა ლითონის ინვენტარი, რომელთაგან აღსანიშნავია პატინით დაფარული, სრულად შემორჩენილი, ორი მასრიანი ბრინჯაოს სატეხი (საინვენტარო ნომერი: 204, 205, ტაბ. II_{5,6}). ერთი მათგანის სიგრძეა 12 სმ. არის ელიფსური ფორმის, დანახნაგებულტანიანი, რომლის წანვეტებული სამუშაო პირი ზედა ნაწილისაკენ თანდათანობით ფართოვდება (ტაბ. II₅). მეორე სატეხსაც თითქმის იგივე დეტალები ახასიათებს. განსხვავება იმაშია, რომ უფრო მასიური და მრგვალგანიკვეთიანია, აგრეთვე სამუშაო პირთან ოდნავ ნაკლები (ტაბ. II₆). ასევე აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი სახვრეტი თუ სატეხი იარაღი (საინვენტარო ნომერი: 133/526). ორივე ნივთი ნაწილობრივ დაზიანებულია, პატინითაა დაფარული, გააჩნიათ ოთკუთხა განიკვეთი და ზედა ნაწილისაკენ თანდათანობით ფართოვდებიან. მათი სიგრძეა 8,5 და 9,5 სმ (ტაბ. II_{3,4}). ანალოგიური სატეხი იარაღები მრავლადაა გამოვლენილი წინაანტიკური ხანის (ძვ.წ. X-VII სს.)

3 თარგმანი: წასვლის კულაა (ე.ი. ბოლო სასმისია – ავტ.), კულით ღვინოს ვინც დაღვეს კაციც ისაა. კულით ღვინოს ვინც ვერ დაღვეს, ცოცხლად მკვდარია.

ნამოსახლარების კულტურულ ფენებში და კოლხური ბრინჯაოს განძების შემადგენლობაში [ქორიძე, 1965: 30. სურ. 21; ჯიბლაძე 2007: 73. ტაბ. CIV_{6,7}]. სავარაუდოდ ოთხივე სატეხი იარაღი სადურგლო სამუშაოებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

ცივის ნამოსახლარიდანაა გაურკვეველი დანიშნულების დისკოსებური მოყვანილობის ტყვიის ნივთი, რომელსაც შუა ნაწილში დატანილი აქვს თვალის ფორმის რკალიანი ნახვრეტი (საინვენტარო ნომერი: 129. ტაბ. II₁); რკინის არტეფაქტი (საინვენტარო ნომერი: 55. ტაბ. II₂), რომელსაც აქვს მრგვალი ფორმა, ბრტყელი, ჟანგიანი ზედაპირი, და ნახვრეტი. ამ ნივთის ფუნქციის განსაზღვრა ჭირს.

ბრინჯაოს მეორად მეტალურგიულ ნარმოებაზე უნდა მიუთითებდეს აქ აღმოჩენილი ქვიშაქვისაგან დამზადებული ყალიბის ფრაგმენტი (საინვენტარო ნომერი: 1494. ტაბ. III). ამ ნივთზე ორი გაურკვეველი დანიშნულების ნივთია ამოკვეთილი. ერთი ძალზე წააგავს სატეხისმაგვარ იარაღს და ამოკვეთილი ნივთების მოყვანილობის მიხედვით ახლოს დგას ჩოლოქისპირა ნამოსახლარის გვიანბრინჯაოს ხანის ფენებიდან მომდინარე ყალიბთან [ჩავლეიშვილი 1991: 21, ტაბ. XII_{6,9}].

რაც შეეხება ცივის ნამოსახლარის დათარიღების საკითხს: ნ. ხოშტარიამ სოფ. ყულევის ორ, მდ. ხობისპირა და ცივის ნამოსახლარებზე, გამოყო სამი კულტურული ფენა და მეოთხე ფენის კვალი, რომელთაგან ქვედა შრეები ძვ.წ. IV-III ათასწლეულებს მიაკუთვნა [ხოშტარია 1945: 79-80]. თუმცა, ჩვენის აზრით, ეს თარიღი მეტად დაძველებულია და მისი ასაკი, ალბათ, გვიანბრინჯაოს ხანის საწყის ეტაპს არ უნდა ჩასცდეს. შუა ფენა, რომელიც ქალაქური ტიპის შენობათა ნაშთებითაა წარმოდგენილი, მან გვიანრომაული და ადრეპიზანტიური ხანით განსაზღვრა [ხოშტარია 1945: 81]. სამწუხაროდ, მკვლევარი არ ახსენებს თუ რომელ კულტურულ ფენაში აღმოჩნდა მოხსენიებული არტეფაქტები. საინვენტარო დავთარში, ლითონის ნივთების აღწერისას, იფარგლება მხოლოდ იმით, თუ რა სიღრმეზე დაფიქსირდა ეს ნივთები.

ვფიქრობთ, კოლხეთის პარალელური მასალის გათვალისწინებით ცივის ნამოსახლარის ამ არტეფაქტების გარკვეული ნაწილი შუა ფენას, ანუ გვიანბრინჯაოს ხანას (ალბათ ძვ.წ. X-VII სს.) უნდა მიეკუთვნებოდეს.

REMARKABLE ARTIFACTS FROM THE CENTRAL COLCHIS

Summary

In the 40-ies of the 20th century the Tsivi settlement was studied by the Colchis expedition (team leader Nino Khoshtaria). The majority of archaeological material from this site is not published yet. Among the artifacts found here vine drinking vessel *kula*, (which is found only in Georgia), the bronze chisels, led and iron rounded items (which cannot be identified) are important. The artifacts can be dated to the Pre- Classical period.

ლიტერატურა

- გასიტაშვილი გ. 1978:** ხის დამუშავების კულტურა იმერეთში. – მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბილისი, 135-153.
- დავითაძე ა. 1974:** ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი.
- მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. 1979:** ტ. II, მეჭურჭლეობა. თბილისი.
- მიქელაძე თ. 1978:** არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბილისი.
- მუსხელიშვილი დ, ჯიბლაძე ლ, პაპუაშვილი რ, პაპუაშვილი ნ. 2010:** ანაკლია II. თბილისი.
- სულხან-საბა ორბელიანი. 1991:** ლექსიკონი ქართული. თბილისი.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1955:** ტ. IV. თბილისი.
- ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი. 2009:** (რედ. ს. ჭანტურიშვილი). თბილისი.
- ქორიძე დ. 1965:** კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.
- ჩავლეიშვილი ი. 1987:** არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის უძველეს ნამოსახლარზე 1983 წელს. – სდსძ, XVI, 21-33.
- ჩავლეიშვილი ი. 1988:** მესაქონლეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. – სდსძ, XVII, 25-41.
- ჩავლეიშვილი ი. 1991:** კოლხური ბრინჯაოს სანარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისში. – სდსძ, XIX, 3-41.
- ხოშტარია ნ. 1945:** კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობანი და მათი შესწავლის პრობლემა. – სმამ, VI, № 5, 465-473.
- ხოშტარია ნ. 1945 a:** სოფ. ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა (1945 წლის ექსპედიციის მოკლე წინასწარული ანგარიში). – სმამ, VII, № 1-2, 77-82.
- ჯიბლაძე ლ. 2007:** კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. თბილისი.

ტაბულაციის აღწერილობა

ტაბ I – ხის ქურჭლის რეკონსტრუქცია.

ტაბ II - 1-6. ლითონის ინვენტარი.

ტაბ. III – ყალიბის ფრაგმენტი.




DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – Reconstruction of a wooden vessel.

Pl. II – 1-6. Metal items from Tsivi settlement.







Pl. III – Fragment of mold.



ტაბ. I




0 1 2

ტაბ. II





1494



იპარია – კოლხეთის ზოგიერთი ისტორიულ-არქეოლოგიური პრობლემისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ იბერიის სამეფოს აღმავლობისა და ძლიერების ხანა ძვ.წ. I ს-ის მიწურულიდან დაიწყო. ამას ხელს უწყობდა ახალი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური სიტუაცია. კერძოდ, რომსა და პართიას შორის გაუთავებელი ქიშპი და ომი. ამავე დროს იბერიამ დაიბრუნა სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ჭოროხის, მდ. მტკვრისა და არაქსის სათავეებთან მდებარე ტერიტორიები და თითქმის შავი ზღვის სანაპიროზე გავიდა [გამყრელიძე, თოდუა 2006: 51-52]. ამ პერიოდიდანვე იბერიის სამეფოს პოლიტიკური ისტორია მჭიდროდ უკავშირდება რომის სახელმწიფოს [Ломоури 1978]. როგორც არაერთგზის აღნიშნულა, ეს ვითარება გამონვეული იყო რომსა და პონტოს შორის წარმოებული ომებით. ამ ომებში ჩათრეული იქნა იბერიაც. ეს მოვლენა, როგორც ჩანს, უნდა მომხდარიყო ძვ.წ. I საუკუნის 80-იანი წლებიდან. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა მემნონის ცნობა იმასთან დაკავშირებით, რომ პონტოს მეფე მითრიდატემ ძვ.წ. 89-88 წლის ზამთარში რომის წინააღმდეგ წამოიწყო ომი და მოკავშირეებად გაიხადა პართელები, მიდიელები, სკვითი მეფეები, ტიგრან არმენიელი და იბერი მეფე [ყაუხჩიშვილი 1976: 169-170]. თ. ყაუხჩიშვილის მოსაზრებით, მემნონთან მოხსენიებული იბერი მეფე უნდა ყოფილიყო დიონ კასიოსისა და აპიანესეული არტოკე, რომელსაც აიგივებენ ქართული წყაროების არტაგთან [ყაუხჩიშვილი 1976: 170]. ამრიგად, რომისა და პონტოს დაპირისპირების თავდაპირველ ეტაპზევე იბერია (ქართლი) ნებსით თუ უნებლიეთ პონტოს მოკავშირედ გვევლინება და ამ რეალობას უნდა გამოეწვია მისი მოხვედრა რომის საგარეო ინტერესებში. სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც აღნიშნულია, რომ მეფე არტაგი/არტოკე მოუმზადებული შეხვდა პომპეუსის ლაშქრობას და სწორედ ეს ვითარება გახდა ქართლის სასტიკი მარცხის მიზეზი, რადგან მეფემ დედაქალაქიც კი ვერ გაამაგრა ხეირიანად [Ломоури 1978: 103]. თუ ეს მოსაზრება სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ გარკვეულწილად აზრს კარგავს მემნონისა და პლუტარქეს ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ ლუკულუსთან ომის დროს იბერები იყვნენ

პონტოს და სომხეთის მოკავშირეები [Ломоури 1978: 100]. თუმცა, აპიანეს ცნობის მიხედვით, უკვე პომპეუსის დროს იბერები პონტოს მოკავშირეები აღარ არიან (Appian. Mithr. 101). ეს ვითარება კი ალოგიკური ჩანს. გამოდის, რომ იბერები ომის თავდაპირველ ეტაპზევე რომის მოწინააღმდეგეები არიან, ხოლო რომაელები ამის მიუხედავად, არ ჩქარობენ იბერიაში ლაშქრობას და აქ მოდიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც იბერები მხარს აღარ უჭერენ პონტოს და სომხეთს. ამ შემთხვევაში, ალბათ გასაზიარებელია ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ აპიანესთან მოხსენიებული იბერები არ უნდა გაიგივდეს იბერიის სამეფოს დაქვემდებარებაში მყოფ მოსახლეობასთან, არამედ ისინი უნდა ყოფილიყვნენ მკვიდრი ქართლის იმ დაკარგული ტერიტორიებისა, რომლებიც ძვ.წ. II საუკუნის 90-იანი წლებში მიიტაცა სომხეთის სამეფომ [Ломоури 1978: 102]. თუ ეს მოსაზრება სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ შეიძლება მართლა დავუშვათ, რომ ქართლის მეფე მოუმზადებული შეხვდა პომპეუსის ლაშქრობას, თუმცა მაინც ძნელი წარმოსადგენია, რომ არტაგი ინფორმირებული არყოფილიყო მეზობლად მიმდინარე ბრძოლების შესახებ, რომელიც დროგამოშვებით თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. აქვე ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის გარკვევა, როგორ აისახა ეს პერიოდი ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში. საკითხით დაინტერესებულ მკვლევართაგან თითქმის არავის შეპარვია ეჭვი პომპეუსის თანამედროვე არტოკესა და ლეონტი მროველისეული არტაგის ერთიდაიგივეობის შესახებ. თუ დავუჯერებთ თ. ყაუხჩიშვილის მოსაზრებას, რომელიც დამყარებულია მემნონის უაღრესად ზოგად ცნობაზე, არტაგი უკვე მეფეა ძვ.წ. 89-88 წლებში. ლეონტი მროველის ცნობით, არტაგი იყო ქართლის რიგით მეექვსე მეფე და მან ტახტზე დაჰყო სულ ორი წელი. მისი მეფობის დროს ქართლი დალაშქრეს სპარსელებმა და არტაგიც დაამარცხეს [ლეონტი მროველი 1955: 30]

გ. მელიქიშვილმა რომაული წერილობითი წყაროებისა და ლეონტი მროველის თხზულების შეჯერების შედეგად თითქმის გამო-

რიცხა არტაგისა და არტოკეს იდენტურობა და აღნიშნა, რომ ანტიკური ხანის ქართლის მეფეთა ნუსხაში ხარვეზი სწორედ იქ ჩნდება, როდესაც იწყება რომაული ეპოქა, რადგან უცხოური წყაროებით ცნობილი არც ერთი ქართველი მეფე არ მოიხსენიება არც „ქართლის ცხოვრებასა“ და არც „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ [მელიქიშვილი 1978: 60-61]. თუმცა, ამის შემდეგ იმავე ნაშრომში მან მაინც გააიგივა არტაგი არტოკესთან და ამ მეფეს იბერიის (ქართლის) მეფეთა ნუსხაში მიუჩინა მეთვრამეტე ადგილი და მისი ზეობის პერიოდი ზოგადად შემოსაზღვრა ძვ.წ. I საუკუნის 60-იანი წლებით [მელიქიშვილი 1978: 62]. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რა საფუძველი არსებობს, რომ ვამტკიცოთ ანდა უარყოთ არტოკესა და არტაგის ერთიდაიგივეობა. რა თქმა უნდა, სადაო არ არის, რომ „ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მათიანეში ვერ აისახა რომისა და ქართლის ურთიერთობის რეალიები. თავი რომ დავანებოთ პომპეუსის ლაშქრობას, ამ წყაროებში ასახვა ვერ ვპოვა ანტიკური ეპოქის იბერიის (ქართლის) სამეფოს ისეთმა ძლევამოსილმა პერიოდმა, როგორსაც წარმოადგენდა I-II საუკუნეები. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ ეპოქის დიდი ქართველი პოლიტიკოსები (განსაკუთრებით ფარსმან II) დახატული არიან ნახევრად ზღაპრულ ფერებში, ისე რომ მათი რეალური არსებობა შესაძლოა ეჭვის ქვეშაც დადგეს. მდგომარეობას ვერ შევლის ის ფაქტი, რომ ფარსმან II-ს ლეონტი მროველი და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი „ქველის“ თიკუნით მოიხსენიებენ. მიგვაჩნია, რომ საქმე არ გვაქვს შემთხვევითობასთან და ეს ყველაფერი შეგნებულად განხორციელდა. სიახლე არ იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ ლეონტი მროველის თხზულება და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაც იდეოლოგიური დატვირთვის მატარებელი ნაწარმოებებია. ავტორების მიზანს არ წარმოადგენდა წარმოეჩინათ ანტიკური (წარმართული) ქართლის ძლევამოსილი ისტორია. მიზანი სრულიად საპირისპირო იყო. ეჩვენებინათ, როგორი დაკნინებული იყო წინაქრისტიანული პერიოდის ქართლის სამეფო და როგორ გაძლიერდა იგი გაქრისტიანების შემდეგ. სწორედ ამ უმთავრესი მიზეზის გამო ხსენებულ ნაწარმოებებში არათუ მიახლოებით მაინც აისახა რომაული ეპოქის იბერიის (ქართლის) სიდიადე, არამედ მოხდა პირიქით და ეს ხანა წარმოაჩინეს ყველაზე უფრო სუსტ და დაკნინებულ ეპოქად, როდესაც ქართლი არათუ მეტნაკლებად ძლიერ-

რი სამეფოა, არამედ მას ერთი მეფეც კი არ ჰყავს სამეფო და სამეფო ხელისუფლება გაყოფილია ორ მეფეს შორის და ქართლში ორმეფობა იწყება სწორედ რომაული ეპოქიდან.

ლეონტი მროველისეული არტაგი დღემდე გამოთქმული ყველა მოსაზრებით, იგივე არტოკეა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში ასეთი სახელის მეფე არ მოიხსენიება და ამ წყაროს მიხედვით ძვ.წ. I საუკუნის 70-იანი წლების მეფეები არიან ამაზასპი, ფარსმანი და მირდატი. ეს გარემოება კი ცოტა არ იყოს, დაუჯერებელი ჩანს, რადგან ასეთ მცირე დროში ამდენი მეფის შეცვლა თავისთავად გულისხმობს პოლიტიკურ არასტაბილურობასაც. სამწუხაროდ, ჩვენ არანაირი საშუალება არ გაგვაჩნია გადავამოწმოთ ეს ვითარება, რადგან რომაული წერილობითი წყაროები არაფერს გადმოგვცემენ ძვ.წ. I საუკუნის 70-იანი წლების იბერიაში (ქართლში) მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ. ისიც ფაქტია, რომ კვლევის ამ ეტაპზე თითქმის არ ხერხდება ხსენებული მეფეების ზეობის წლების თუნდაც მიახლოებით განსაზღვრა. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს ეჭვი შევიტანოთ დიონ კასიუსისა და აპიანეს იმ ცნობების სისწორეში, რომლებიც შეეხება იბერიაში (ქართლში) მიმდინარე ამბებს და რომისა და ქართლის ურთიერთობის რეალიებს. ასევე სანდო უნდა იყოს ისიც, რომ ამ ავტორებს სავსებით ზუსტად აქვთ შემონახული ქართლის მაშინდელი მეფის სახელი, ისევე როგორც შემდგომი ხანის მეფეებისა – ფარნაბაზი, მითრიდატე, ფარსმანი და ამ მხრივ ისინი სანდოობას იმსახურებენ. აქვე შესაძლებელია ვარაუდის სახით გამოვთქვათ შემდეგი მოსაზრებაც, ხომ არ შეიძლება „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ და „მეფეთა ცხოვრებაში“ მოხსენიებულ ქართლის მეფეებს, რომელთა რეალური არსებობა ეჭვის ქვეშ დგება, სინამდვილეში ერთი პიროვნება, არტოკე აერთიანებდეს. თუ ამ ვარაუდს დავეყრდნობით, მაშინ ძვ.წ. I საუკუნის 80-60-იანი წლების ქართლის მეფეთა ქრონოლოგიურ რიგშიც გაქრება ის გაურკვეველი შეუსაბამობა, რომელზეც უკვე იყო საუბარი. არანაირი მოულოდნელობა არ იქნება, თუ მივიჩნევთ, რომ არტოკეს ემეფა ძვ.წ. 89-65 წლებში, შესაძლოა 60-იანი წლების მინურულამდეც. რომაული წერილობითი წყაროების მონაცემები თუ მხარს არ უჭერენ ამდაგვარ ვარაუდს, არც კატეგორიულად გამორიცხავენ ასეთი ფიქრის საშუალებას.

ამგვარად, ძვ.წ. I საუკუნის 80-60-იან წლებში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, იბერია პონტოს მოკავშირე ქვეყნიდან რომის მოკავშირე, თუ რომზე დამოკიდებული, ქვეყანა ხდება. ორივე შემთხვევაში პოლიტიკური არჩევანი გარე ძალის დატანებით მოხდა. ძნელია, დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ არტოკეს დიდი სურვილი ჰქონდა რომის მოკავშირე გამხდარიყო. ასეთი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას გამორიცხავენ დიონ კასიუსისა და აპიანეს ცნობები, რომელთა თანახმადაც, არტოკე ალბანეთის მეფე ორიოსესთან ერთად წინააღმდეგობას უწევდა პომპეუსის ლეგიონებს და საკმაო ზარალიც ნახა (Appian, 24, 199) [პლუტარქე 1975: 330; ლომოური 1966: 60-61]. ამდენად, არტოკე დარჩა პოლიტიკური არჩევანის გარეშე და იძულებული გახდა რომის მოკავშირეობა და ქვეშევრდომობა ელიარებინა.

ძვ.წ. I საუკუნის 50-იან წლებში იბერიის პოლიტიკური ორიენტაცია კვლავ იცვლება. ეს გარემოება სწორედ იმ ფაქტზე მიანიშნებს, რომ რომისა და იბერიის მოკავშირეობა საკმაოდ ამორფული ხასიათის იყო და პირველივე შემთხვევისთანავე იბერიის ხელისუფალნი ცდილობდნენ ამ დამოკიდებულებისგან გათავისუფლებას. მდგომარეობა არ შეცვლილა მომდევნო ხანაშიც. მხედველობაში გვაქვს ძვ.წ. 53 წლის მოვლენები, როდესაც კარეს ბრძოლაში პართელებმა პირწმინდად დაამარცხეს მარკუს კრასუსის არმია და თვით კრასუსიც ამ ბრძოლაში დაიღუპა [Ломоури 1978: 119-120]. ამ მარცხმა საგრძნობლად შეზღუდა რომის გავლენა აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც გარკვეული დროით დამყარდა პართიის ჰეგემონია. აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, გ. მელიქიშვილი მიიჩნევს, რომ ძვ.წ. I საუკუნის 50-30-იან წლებში იბერია მეზობელ ალბანეთთან ერთად საერთოდ უნდა გათავისუფლებულიყო რომისადმი დამოკიდებულებისაგან, რადგან რომს უფრო ახლოს მდებარე სომხეთის დამორჩილების თავიც აღარ ჰქონდა და მით უმეტეს, ქართლი მისთვის სრულიად ხელმიუწვდომელი იქნებოდა [მელიქიშვილი 1970: 508]. ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ რა თქმა უნდა, ძნელია დაბეჯითებით ვამტკიცოთ იბერიის მიერ სრული თავისუფლების მოპოვება ძვ.წ. I საუკუნის 50-იანი წლებიდან, მით უმეტეს, როდესაც ძვ.წ. 53 წლის მოვლენებში (კარეს ბრძოლა) იბერიის სამეფოს მონაწილეობის შესახებ არავითარი

პირდაპირი ცნობა არ გაგვაჩნია, მხედველობაში თუ არ მივიღებთ მოვსეს ხორენაცის უაღრესად ზოგად გადმოცემას, რომლის თანახმადაც, არტავაზდმა ბრძანა შეეკრიბათ ათი ათასობით ჯარი ატრაპატაკანში, აგრეთვე კავკასიელ მთიელთა, ალვანთა და ქართველთა შორის, დაიდრა და მიაშურა შუამდინარეთს, აოტა რომაელთა ლაშქარი [მოვსეს ხორენაცი 1984: 119]. ხორენაცის ამ გადმოცემაში მართალია, გაზვიადებულად არის წარმოჩენილი სომხეთის მეფის შესაძლებლობები, მაგრამ ცხადია, რომ არტავაზდის შუამდინარეთში ლაშქრობის ზოგადი სურათი მას სწორად აქვს გადმოცემული. იგი შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ კრასუსის კატასროფის, ე.ი. ძვ.წ. 53 წლის, შემდეგ [ლომოური 1994: 55] ხორენაცის ცნობასთან ერთად თუ გავითვალისწინებთ შედარებით მოგვიანო ხანის სიტუაციასაც, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართლში რომის გავლენა თუ არ დასრულდა, მნიშვნელოვნად შესუსტდა მაინც. ამ შემთხვევაში სინამდვილესთან ახლოს უნდა იდგეს ა. ბოლტუნოვას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ძვ.წ. 53 წლის შემდეგ ქართლი გადავიდა პართიის მხარეზე [Болтунова 1965: 458]. რომის მეორე ტრიუმვირატი (ოქტავიანე, ანტონიუსი, ლეპიდუსი) ვერ ურიგდებოდა პართიის გაბატონებას რომის ყოფილი გავლენის სივრცეში და ამიტომ ანტონიუსმა ძვ.წ. 36 წელს გაილაშქრა პართიის წინააღმდეგ. ლაშქრობის დაწყების მომენტში მის უმთავრეს მოკავშირეს წარმოადგენდა სომხეთის მეფე არტავაზდ IV. თუმცა, არტავაზდს ბოლომდე მაინც არ სჯეროდა ანტონიუსის გამარჯვება, რადგან რომაელთა ძალები არ იძლეოდა გამარჯვების გარანტიას. ამიტომ სომხეთის მეფემ დაიკავა მეტად ორჭოფული პოზიცია და შუა ლაშქრობის დროს უღალატა კიდევ რომაელებს, საკუთარ განკარგულებაში მყოფი ჯარი და ალალი ბრძოლის ველის მაგივრად სომხეთში გააბრუნა, რამაც რომაელთა მარცხი გამოიწვია [Бокшанин 1966: 110-117]. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ არტავაზდი მოქმედებდა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და მან კარგად გამოიყენა რომაელთა წარუმატებლობა. იგი ლაშქრობაში იძულებით მონაწილეობდა, თან ანტონიუსის გამარჯვება და შესაბამისად, აღმოსავლეთში რომის მყარად დამკვიდრება კი ხელს სულაც არ აძლევდა [Ломоури 1978: 131]. ამ მოვლენებთან დაკავშირებით ჩვენთვის უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა იბერიაში შექმნილი ვითარება და მისი პოლიტიკური

ორიენტაცია. პართიის წინააღმდეგ ომის დაწყების წინ ანტონიუსისთვის არსებითი იყო კავკასიის სახელმწიფოების პოლიტიკური ვექტორი. ცნობილია, რომ ანტონიუსი პართიაში ლაშქრობას ჩრდილოეთიდან, ატროპატენიდან გეგმავდა და სწორედ ამ მიზეზის გამო იყო მისთვის მნიშვნელოვანი იბერიისა და ალბანეთის მეფეების მხარდაჭერა. სწორედ ამ რეალობას აფიქსირებენ დიონ კასიუსი და სტრაბონი, რომლებიც გადმოგვცემენ, რომ ძვ.წ. 36 წელს კავკასიაში გამოგზავნილი იქნა პუბლიუს კანიდიუს კრასუსი, რომელმაც დაამარცხა იბერთა მეფე ფარნაბაზე და გაიხადა იგი მოკავშირედ, შემდეგ შეიჭრა ალბანეთში, დაამარცხა ალბანელები, მათი მეფე ზობერი და მასაც მსგავსად მოექცა (Strabo, XI, 3.5; Cassius Dio, XLIX, 24.1).

ამგვარად, პართიასთან ომის წინ ანტონიუსმა მთელი კავკასია აქცია საკუთარ მოკავშირედ. თუმცა, როგორც შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადჰყო, ამ ნაბიჯმა რომი მაინც ვერ იხსნა მარცხისგან. ალბათ, შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ ანტონიუსი არც ბოლომდე სომხეთის იმედად ყოფილა და არც ქართლს და ალბანეთს გაუნწევიათ მისთვის ქმედითი სამხედრო დახმარება. ანტონიუსმა განცდილი მარცხის მთავარ მიზეზად, არც თუ უსაფუძვლოდ, მიიჩნია სომხეთის მეფის ლაღატი და ძვ.წ. 34 წელს სომხეთში შეიჭრა, არტავაზდი დაატყვევა და ეგვიპტეში გაგზავნა, სადაც მოგვიანებით სიკვდილით დასაჯა, ხოლო სომხეთის სამეფო საერთოდ გააუქმა და იგი რომის რიგით პროვინციად გამოაცხადა (Cassius Dio, XLIX). სომხეთის საკითხის ასეთმა რადიკალურმა გადაწყვეტამ რომის წინაშე ბუნებრივად დააყენა კავკასიაში ახალი დასაყრდენი ძალის პრობლემა. მართალია, რომაულ წყაროებში პირდაპირი ცნობა არ შემონახულა, მაგრამ ძვ.წ. I და ახ.წ. I საუკუნეების პოლიტიკური მოვლენებიდან და აგრეთვე, არქეოლოგიური მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთ ქვეყნად იქცა სწორედ იბერიის (ქართლის) სამეფო. ეს ვითარება ქართლის პოლიტიკურ ინტერესებშიც შედიოდა, რადგან სომხეთში სამეფო ხელისუფლების გაუქმებამ იქ შექმნა მძლავრი ანტირომაული განწყობა და ამ სიტუაციაში თანდათან გაძლიერდა პართიის გავლენა, რაც თავის მხრივ, საფრთხეს უქმნიდა ქართლსაც. ამიტომ იბერიის (ქართლის) პოლიტიკური წრეებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა რომთან სამოკავშირეო

ურთიერთობების შენარჩუნებას. ასეთი ურთიერთობა რომისთვისაც მისაღები უნდა ყოფილიყო, რადგან სომხეთში ანტირომაული განწყობის ფონზე ის სწორედ იბერიის მეშვეობით შეეცდებოდა დაბალანსებული პოლიტიკის გატარებას კავკასიაში. თანაც, ეს ის დრო იყო, როდესაც საკუთრივ რომში ოქტავიანესა და ანტონიუსს შორის მიმდინარეობდა შიდა ბრძოლა ერთპიროვნული ხელისუფლების მოსაპოვებლად და ამ ვითარებაში, როგორც ჩანს, რომს ძალა აღარ შესწევდა ადრინდელივით აქტიურად ჩარეულიყო კავკასიის საქმეებში და სავსებით აწყობდა ისეთი მოკავშირე ქვეყანა, ამ შემთხვევაში იბერია, რომელიც თუ არ დადგებოდა მკვეთრად გამოხატულ პრორომაულ პოზიციაზე, რეგიონის მასშტაბით ანტირომაულ მოძრაობას მაინც არ დაინწყებდა. სწორედ ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. I საუკუნის 30-იანი წლებიდან და, უფრო ზუსტად, ძვ.წ. 34 წლის შემდეგ, იბერიის მეფე ფარნავაზ II-ს მიეცა დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების საშუალება. ეს კი თავის მხრივ, მთავარი სტიმული უნდა ყოფილიყო ამ ქვეყნის თანდათანობითი აღმავლობისათვის. აღნიშნული ვითარება კარგად მიესადაგება ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნის არქეოლოგიურ სიტუაციასაც. მაგალითისთვის შეგვეძლო დაგვესახელებინა შორაპნის ციხის საკითხი.

არც იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური ისტორიის ზოგადი სურათი და არც არქეოლოგიური აღმოჩენები არ იძლევა საშუალებას, რომ გავიზიაროთ ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე მყარად დამკვიდრებული შეხედულება შორაპნისა და დიშნას ციხეების აღმშენებლად ფარნავაზის მიჩნევის შესახებ. მოყოლებული ლეონტი მროველიდან ყველა მკვლევარი, ვინც კი ქართლის ისტორიის ხსენებულ მონაკვეთს შეხებია, ერთხმად აღნიშნავს, რომ ფარნავაზმა ქართლის სამეფო შექმნა ეგრისთან მჭიდრო თანამშრომლობით, ქუჯის თანადგომითა და დახმარებით. ამასთან, ქართლის დასავლეთი საზღვრები განავრცო ლიხის ქედს გადაღმა, კოლხეთის სამეფოს ყოფილ აღმოსავლეთ პროვინციებში, სადაც შექმნა საგამგეო ერთეული, არგვეთის საერისთავო და აქვე ააშენა ორი ციხე-სიმაგრე. ვფიქროთ რომ ლეონტი მროველის ცნობა შორაპნისა და დიშნას ციხეების აღმშენებლად ფარნავაზის მიჩნევის შესახებ საფულძველს მოკლებული უნდა იყოს.

ყოველ შემთხვევაში, ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა არქეოლოგიური მონაცემები. დიმნას ციხეზე, მართალია, ფართომასშტაბიანი გათხრები არ ჩატარებულა, მაგრამ ზედაპირული დაზვერვებით არსად ფიქსირდება ადრეელისტიური ხანის ფენების არსებობა (არქეოლოგ ვ. ჯაფარიძის ცნობა). სამაგიეროდ არქეოლოგიურად შესწავლილია შორაპნის ციხე, რომლის გათხრებისას გაირკვა რომ ძვ.წ. IV-III საუკუნეებში აქ სრული სიცარიელეა. ელინისტიური ხანის, ფარნავაზის თანადროული არაფერი დადასტურებულა. ე.ი. ძვ.წ. III საუკუნეში, ანუ იმ დროს როდესაც თითქოსდა ლეონტის მიხედვით აქ ფარნავაზი ციხეს აშენებს, არქეოლოგიური ფენა საერთოდ არ ფიქსირდება და ყველაზე ადრეული სამშენებლო ჰორიზონტი ახ.წ. I საუკუნით თარიღდება [ჯაფარიძე 1999: 14]. აქედან გამომდინარე მიგვაჩინია, რომ შორაპანში სამშენებლო სამუშაოები იწყება ძვ.წ. I საუკუნის 30-იანი წლებიდან და მშენებლობის პირველი ეტაპი, ანუ ციხის აგება, მთავრდება ახ.წ. I საუკუნეში. მშენებლობას იწყებს ფანავაზ II და როგორც ჩანს, ამთავრებს მისი მემკვიდრე მითრიდატე I.¹ სავარაუდოა, რომ ეს აქცია ფარნავაზმა განახორციელა ძვ.წ. 34 წლის მოვლენების შემდეგ, როდესაც იგი რომის მოკავშირე გახდა და მის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა კავკასიაში. შორაპნის იბერიასთან კავშირის საბუთად შეიძლება გამოდგეს ის ფაქტი, რომ ციხის ყველაზე ადრეულ სამშენებლო დონეზე საფორტიფიკაციო კედლის თლილი ქვები პირონებით არის გადაბმული. ამ ფორმის პირონები კი ჯერჯერობით მხოლოდ ქართლის ძვ.წ. IV-I სს-ის ძეგლებიდანაა ცნობილი (სამადლო, წინამური, დედოფლის გორა) [გაგოშიძე 2007: 23]

ამავე პერიოდში შენდება გრანდიოზული კომპლექსი, სამეფო სასახლე, დედოფლის გორაზეც [Gagoshidze 2004: 170-185]. ამრიგად, ფარნავაზ II-ის დროს საკმაოდ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ქვეყნის გასაძლიერებლად და ამ ვითარების ერთგვარი გამოძახილი უნდა იყოს ქართლის პოლიტიკური გავლენის გავრცელება ყვირილის ხეობაშიც, რასაც ადასტურებენ არქეოლოგიური აღმოჩენებიც

1 ფარნავაზ II-ის მემკვიდრე მითრიდატე I უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება იმპერატორ ვესპასიანეს დროინდელ იბერიის მეფე მითრიდატეს, რომელიც მოიხსენიება 75 წლით დათარიღებულ წარწერაში, ჩვენი ვარაუდით, იგი უნდა ყოფილიყო მითრიდატე II [დანვრ. იხ. მახარაძე, ბრავაძე 2001: 48-61]

[მახარაძე 1993: 19]. ასე რომ, საქმე გვაქვს მეტად საინტერესო შემთხვევასთან, როდესაც ძველმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ (ლეონტი მროველი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“) ერთ პიროვნებად გააერთიანა რეალურად სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე ორი ფარნავაზი და ფარნავაზ I-ს მიაწერა ის მოვლენები, რაც სინამდვილეში მოხდა ძვ.წ. I საუკუნეში, ფარნავაზ II-ის დროს. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც აღნიშნულია, რომ ძვ.წ. II ს-ში იბერიას უნდა დაეკარგა კოლხეთისა და იბერიის საზღვარზე მდებარე ციხეები სკანდა და შორაპანი, რომლებიც ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ქართლის მეფის ფარნავაზის აგებულა, მაშინ როცა, სტრაბონი შორაპანს მოიხსენიებს კოლხურ ციხე-სიმაგრედ [გაგოშიძე 2007: 27]. სკანდას ციხის შესახებ ყურადღებას არ გავამიხვილებთ, რადგან იგი საერთოდ ადრე ბიზანტიურ ხანაშია აგებული [Леквинадзе 1963: 174-186]. და არც ქართული საისტორიო ტრადიცია მიაწერს მის აშენებას ფარნავაზს. ლეონტი მროველის ცნობით, ფარნავაზმა არგვეთში შორაპნისა და დიმნას ციხეები ააგო [ქც. 1955: 23] და ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში იბერია სკანდას ციხეს ვერ დაკარგავდა ერთი უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი ჯერ კიდევ არ არსებობდა. ის ფაქტი კი, რომ სტრაბონი შორაპანს კოლხეთის ციხედ მოიხსენიებს, ამ შემთხვევაში ძლიერ არგუმენტად ვერ გამოდგება, რადგან ჩანს, რომ სტრაბონს შორაპნის სანახებსა და ზოგადად, აღმოსავლეთ კოლხეთზე ერთობ ზერელე წარმოდგენა ჰქონდა. ამის მაგალითი თუნდაც ის რეალობაა, რომ ბერძენი ავტორის თანახმად, მდინარე ფასისის სათავე არმენიაშია [ყაუხჩიშვილი 1958: 123]. არადა, ეს რომ მართლა ასე ყოფილიყო, ფასისი კასპიის ზღვის აუზის მდინარე იქნებოდა და არა შავი ზღვის. ამიტომ რეალობასთან ახლოს უფრო ის მოსაზრება გვეჩვენება, რომ კოლხეთის მთიანეთი შორაპნის აღმოსავლეთით, მდინარეების ყვირილას, ძირულასა და ჩხერიმელას ხეობები (დღევანდელი საჩხერის, ჭიათურისა და ხარაგაულის რაიონები) მითრიდატე ევპატორის მიერ კოლხეთის ოკუპაციის შემდეგაც იბერიის (ქართლის) სამეფოს შემადგენლობაში დარჩენილა [გაგოშიძე 2007: 23]. ჩვენი მხრიდან დავამატებთ, ძვ.წ. I ს-ის 30-იანი წლებიდან ახ.წ. II-III სს-ის ჩათვლით, იბერია აკონტროლებდა არა მხოლოდ აღნიშნულ მინა-წყალს, არამედ მთელ აღმოსავლეთ კოლხეთს და კოლხეთის გარკვეულ შიდა ოლქებსაც.

სავსებით გასაზიარებელია ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, რომმა მიუხედავად ძლევამოსილებისა, მაინც ვერ მოახერხა შიდა კოლხეთის სრული დამორჩილება. ეს ვერ მოხერხდა ვერც არისტარქეს, ვერც მითრიდატე პერგამონელისა და ვერც პოლემონის ხელით [გამყრელიძე 2001: 68]. მიგვაჩნია, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე იბერიის სამეფოს მყარად შესვლა და კოლხური ტერიტორიების ათვისება ძვ.წ. I ს-ის უკანასკნელ მეოთხედსა და ახ.წ. I ს-ში ხდება და ამ მხრივ ნიშანდობლივია ფლავიუს არიანეს საყურადღებო ცნობა ძიდრიტებთან დაკავშირებით. ნ. ლომოურის შენიშვნით, დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილი, მდინარე რიონის ორივე სანაპირო, როგორც არიანეს აღწერილობიდან ჩანს, II ს-ში ეჭირათ ლაზებს, ხოლო ძიდრიტების ტერიტორია უნდა ყოფილიყო ჭოროხის შესართავის ჩრდილოეთით აჭარა-ქობულეთის მხარე. კონკრეტულად ვინ იყვნენ ძიდრიტები ძნელი სათქმელია, არიანეს გარდა ისინი არსად არ მოიხსენიებიან. შესაძლოა ეს სახელი „პერიპლუსის“ გადამწერების მიერ არის დამახინჯებული [ლომოური 2001: 5-6]. თუ არიანე სიმართლეს გადმოგვცემს, რომ ძიდრიტების (ამ ეთნიკური ელემენტის ზუსტ სახელს ამ შემთხვევაში ნამდვილად არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა) ტერიტორიას იბერიის მეფე ფარსმან II აკონტროლებდა, მაშინ მათი განსახლების არეალი თავისუფლად შეიძლება მოიცავდეს დღევანდელი გურიის ნაწილსაც, ან წინააღმდეგ შემთხვევაში ლაზების რაღაც გარკვეული ნაწილიც უნდა მივიჩნიოთ ფარსმანის ქვეშევრდომად. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ურეკის არქეოლოგიური მონაპოვარი, რომელიც თავისი ხასიათით აშკარად აღმოსავლურ ქართული ძეგლების ანალოგიურია [აფაქიძე 1947: 110] და ცოტა აქვს საერთო დასავლეთ საქართველოს თანადროულ ძეგლებთან [სადრაძე 2009].

ფარსმანის დროს იბერია ნამდვილად თუ გადიოდა შავ ზღვაზე, მაშინ ეს ზოლი სწორედ გურიის იმ მიდამოებში უნდა ვიგულისხმოთ, სადაც ურეკი მდებარეობს, რადგან თუ ლაზები რიონ-ფაზისის ორივე სანაპიროზე ცხოვრობდნენ და მათ პოლიტიკურად არაფერი ჰქონდათ საერთო იბერიასთან, ცოტა შეუსაბამობა გამოდის, რადგან იხატება უცნაური სურათი: იბერია აკონტროლებს არგვეტს, ანუ იმ ტერიტორიის ნაწილს, სადაც ლაზების რაღაც ნაწილი აშკარად ცხოვრობს, შემდეგ დაახლოებით დღევანდელი ვანი-

ბაღდათის მიდამოებიდან შავ ზღვამდე გურიის ჩათვლით, რომის მოკავშირე ლაზიკის გავლენის არეალია და გურიის სამხრეთით, ქობულეთის მიდამოებში კვლავ იბერიის გავლენის ზონაა. ანუ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იბერიის გავლენის ქვეშ მყოფ ორ რეგიონს საზღვარი და შეხება არა აქვს ერთმანეთთან. ეს კი დაუჯერებელი ფაქტია. უფრო სავარაუდოა, რომ იბერია აკონტროლებდა დასავლეთ საქართველოს ზოლს ლიხის ქედიდან შავ ზღვამდე და მის კონტროლს დაქვემდებარებულ რეგიონებს მიეკუთვნებოდა დღევანდელი ზემო იმერეთი, ქვემო იმერეთისა და გურია-აჭარის ნაწილი. კერძოდ, მდინარეების სუფსა-ნატანებისა და კინტრიშის აუზები. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ რომაულ-ბიზანტიურ წერილობით წყაროებში არ მოიხსენიება ანტიკური ხანის გურიის ურბანისტული ცენტრები (ურეკი, ვაშნარ-სპონიეთი), უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ ეს ისტორიკოსები ლაზიკის მხოლოდ იმ პუნქტებს ასახავდნენ, სადაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა [გამყრელიძე, თოდუა 2006: 69]. ვითარებას ვერც ის გარემოება შეცვლის, რომ ურეკის მდიდრული სამარხეული არტეფაქტები III-IV სს-ებით თარიღდება [აფაქიძე 1947: 110], რადგან ზემოთ მოხმობილი მსჯელობებიდან გამომდინარე, რომელიც ემყარება იბერია-კოლხეთის ზოგადპოლიტიკური ისტორიული სურათის ანალიზს, არ გამოირიცხება ამ რეგიონში საერისთავო (საპიტიახშო) ცენტრის შექმნა უკვე I-II საუკუნეებიდან, რაც თავისთავად გულისხმობს აქ ხსენებული ეპოქის ძეგლების გამოვლენის აუცილებლობას. ვ. სადრაძის აზრით, ურეკის სამარხეული კომპლექსების აღმოჩენა სრულ უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ საზოგადოების პოლიტიკურად, ეკონომიურად და სოციალურად დანინაურებული წევრის, თუ წევრების ნეკროპოლის არსებობა და ამ მასალების საფუძველზე უნდა ვიგულისხმოთ სუფსა-ნატანების ორმდინარეთში პოლიტიკური (საპიტიახშო) ცენტრის არსებობა, სამაროვნის შესაბამისი და შესატყვისი მძლავრი საქალაქო დასახლებით [სადრაძე 2009: 54]. კვლევის ამ ეტაპზე სავსებით მისაღებად მიგვაჩნია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ინფორმაციის სიმწირის მიუხედავად, სუფსა-ნატანების ორმდინარეთში დადასტურებული არქეოლოგიური მონაპოვარი ელინისტური ხანიდან თუ არა, გვიანანტიკური ხანიდან მაინც გარკვეული პოლიტიკური ერთეულის, გურიის

საერისთავო-საპიტიახშოს თანდათანობით ჩამოყალიბებაზე უნდა მიანიშნებდეს [სადრაძე 2009: 56].

ანალოგიური ვითარება უნდა ყოფილიყო ზემო იმერეთთან დაკავშირებითაც. არქეოლოგიური აღმოჩენებით და ძვ.წ. I საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური ვითარების ურთიერთმეჯვრებით იმ ვარაუდის გამოთქმაც შეიძლება, რომ ფარნავაზ II-მ გაატარა გარკვეული ადმინისტრაციული რეფორმებიც და სრულიად შესაძლებელია, სწორედ ამ დროს შეიქმნა არგვეთის (*resp.* შორაპნის) საერისთავოც და სწორედ ამ დროიდან კოლხეთის აღმოსავლეთი რეგიონი გარკვეული ხნით მოექცა ქართლის სამეფოს ფარგლებში. მიგვაჩნია, რომ ლეონტი მროველის ცნობა ძვ.წ. III საუკუნეში ფარნავაზის მიერ არგვეთის დიდი საერისთავოს შექმნის შესახებ რამდენადმე ანაქრონისტული ხასიათისაა და ვერ უახლოვდება რეალურ ისტორიულ ვითარებას, რადგან იმ დროისთვის, როდესაც ლეონტი მროველი შორაპნის დანიშნულებას ვარაუდობს, არქეოლოგიური მონაცემებით არგვეთში ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი ჩანს საირხის ადგილზე არსებული დასახლება, რომელიც ძვ.წ. III საუკუნეში აღმავლობას განიცდის [ნადირაძე 1990: 131] სწორედ ამ პერიოდში საირხეში, წყაროსთავის გორაზე შენდება გრანდიოზული კომპლექსი და ამავე ხანას მიეკუთვნება საირხეშივე, ადგილ ლომინაურში მიკვლეული დორიული კაპიტელებიც [მახარაძე 1997: 11-17]. ძვ.წ. I საუკუნის ბოლოს საირხეში დასახლება არსებობას წყვეტს [მახარაძე, ბრაგვაძე 1990: 40]. ვფიქრობთ, რომ ეს ორი მოვლენა, შორაპანში ციხის აგება და საირხეში დასახლების შეწყვეტა კარგად ესადაგება ერთმანეთს და ჩვენი ვარაუდითაც, სწორედ ამ დროიდან იწყება შორაპნის განსაკუთრებული აღმავლობის პროცესი. ლეონტი მროველისეული არგვეთის საერისთავოს სიდიდის შესახებ ეჭვები ჩვენს ისტორიოგრაფიაში ადრეც გამოთქმულა [ინაძე 1990: 159-164; ბრაგვაძე 1991: 95-96] და ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური მონაპოვარიც, ვფიქრობთ, სავსებით ადასტურებს ამ ეჭვის მართებულობას.

ამგვარად, რომაული ხანის კოლხეთის ტერიტორიაზე საგულვებელია იბერიას დაქვემდებარებული ორი საერისთავოს არსებობა – ერთი არგვეთი, ცენტრით შორაპან-ბორსა და მეორე სუფსა-ნატანების ორ-

მდინარეთი, ცენტრით ურეკ-ვაშნარში. იბერიის მეფეებს, როგორც ჩანს, დასავლეთით მეტი საგამგეო ერთეულის არსებობა არც არაფერში სჭირდებოდათ, რადგან არგვეთ-გურიის ხაზით პირდაპირ აკონტროლებდნენ კოლხეთის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ოლქებს. ეს ვითარება ჰქმნიდა მთავარი სტრატეგიული მიზნის მიღწევის მყარ საფუძველს. დასავლეთ საქართველოში კი ანტიკური ხანის იბერიის სამეფოს მთავარი სტრატეგიული მიზანი უნდა ყოფილიყო შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება-შენარჩუნება და აღნიშნული პოლიტიკური ერთეულებიც ჩვენი ვარაუდით, უნდა შექმნილიყო ძვ.წ. I ს-ის მიწურულსა და ახ.წ. I საუკუნეში.

SOME HISTORICAL-ARCHAEOLOGICAL PROBLEMS OF IBERIA-COLCHIS

It's quite possible that in Roman period in Colchi's territory there were two countries dominated by Iberia, one Argveti centered in Shorapan-Bori and second – Sufsa-Natanebi centered in Ureki-Vashnari. As it turns out, the kings of Iberia had no use of an extra unit, because though Argveti-Guria they had control over eastern and central regions of Colchis. This situation created good conditions for the achievement of a main strategic goal. And the goal in West Georgia for the kings of ancient Iberia should have been gaining and keeping control over Black Sea and those mention political units, in our opinion, must have been created between at the end of 1st century B.C and 1st century A.D

ლიტერატურა

- აფაქიძე ა. 1947:** გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან. – სსმმ, XIV-B, 104-119.
- ბრაგვაძე ზ. 1991:** ფარნავაზის პოლიტიკა კოლხეთის მიმართ და საირხის ნაქალაქარის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. – მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3, 93-101.
- გაგოშიძე ი. 2007:** ქართლის სამეფოს (იბერიის) საზღვრები ქ.ნ. I საუკუნეში. – იბერია-კოლხეთი, № 3, 19-29.
- გამყრელიძე გ. 2001:** კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესზე ბიოგეოგრაფიის და საგარეო ფაქტორის გავლენის შესახებ. კოლხოლოგიური ნარკვევები. თბილისი.
- გამყრელიძე გ., თოდუა თ. 2006:** რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში. თბილისი.
- ინაძე მ. 1990:** ქართლისა და ეგრისის ურთიერთობისათვის. – მნათობი, №1, 159-164.
- ლეონტი მროველი 1955:** ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება. I თბილისი.
- ლომოური ნ. 1966:** დიონ კასიუსის ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი.
- ლომოური ნ. 1994:** საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სათავეებთან. – ქართული დიპლომატია. წელიწდეული I, 52-59.
- ლომოური ნ. 2001:** დასავლეთ საქართველოს ეთნოპოლიტიკური სურათი ახ.წ. II საუკუნეში. – ხსმ ნარკვევები, VII, 5-11.
- მახარაძე გ., ბრაგვაძე ზ. 1990:** არქეოლოგიური გათხრები კარახტიწში. – ძმ, № 1.
- მახარაძე გ. 1993:** საირხის ნაქალაქარის ისტორიის ძირითადი ეტაპები. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
- მახარაძე გ. 1997:** საირხის კაპიტელების თარიღისათვის. – საქართველოს ხსმ ნარკვევები, III, 11-17.
- მახარაძე გ., ბრაგვაძე ზ. 2001:** ძვ.წ. II-I საუკუნეების ქართლის სამეფოს ისტორიისათვის. – ხსმ ნარკვევები, VII, 46-52.
- მელიქიშვილი გ. 1970:** რომაელთა ლაშქრობა იბერიასა და კოლხეთში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი.
- მელიქიშვილი გ. 1978:** ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზის შესახებ. – მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3, 51-64.
- მოვსეს ხორენაცი 1984:** სომხეთის ისტორია. თბილისი.
- ნადირაძე ჯ. 1990:** საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. თბილისი.
- პლუტარქე 1975:** პომპეუსი. რჩეული ბიოგრაფიები. თბილისი.

სადრაძე ვ. 2009: ურეკის გვიანანტიკური ხანის ძეგლები. – იბერია-კოლხეთი, № 5, 52-58.

ქც. I. 1955: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

ყაუხჩიშვილი თ. 1958: სტრაბონის გეოგრაფია. თბილისი.

ყაუხჩიშვილი თ. 1976: საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბილისი.

ჯაფარიძე ვ. 1999: ეგრისის მატერიალური კულტურა ახ.წ. I-VII საუკუნეებში. ავტორეფერატისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

Gagoshidze Iu 2004: The Royal Palace of the First Century BC-First Century AD at Dedoplis Gora. –Journal of Georgian Archaeology, № 1, 170-185.

Бокшанин А.Г. 1966: Парфия и Рим, II. Москва.

Болтунова А. 1965: Первобытно-общинный строй и древнейшие государства на территории СССР. Очерки Истории СССР. Москва.

Леквинадзе В.А. 1963: О постройках Юстиниана в Западной Грузии. – Византийский Временник, т. 34, Москва, 174-186.

Ломоури Н. Ю. 1978: Грузино-Римские взаимоотношения. Тбилиси.

თიხის ჭურჭლის ერთი სახეობა (მათარა) საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან

როგორც ცნობილია, კერამიკული ნაწარმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა მატერიალური კულტურის ისტორიის შესასწავლად. ამიტომ, კერამიკული მასალის ყველა არტეფაქტი საინტერესო კვლევის საგანს წარმოადგენს. ამგვარ კატეგორიას მიეკუთვნება თიხის ჭურჭლის ერთ-ერთი სახეობა – მათარა, რომელიც ძირითადად ანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე გვხვდება.

მათარას კონკრეტული ფუნქცია ეკისრებოდა და სითხის (წყლის, ღვინის) საგზაო ჭურჭლად გამოიყენებოდა. იგი სხვადასხვა მასალისაგან მზადდებოდა. ტრადიციულ ყოფაში შემორჩენილია ტყავისგან დამზადებული მათარები. სულხან-საბას მიხედვით „მათარა – ნატის (ტყავის, ზამშის – თ.ჭ.) სასმისია“ (ორბელიანი 1949: 188), ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „მათარა – პატარა სამგზავრო წყლის ჭურჭელია, რომელსაც ჩვეულებრივ იკიდებენ ქამარზე“ (ქართული...1986: 281). თიხის მათარები ყოფაში შემორჩენილი არ არის. მათი ხმარება ნაკლებად პრაქტიკულიყო (მტრევადია, მძიმეა), ის დროთა განმავლობაში შეიცვალა მსუბუქი მასალით. თიხის მათარები საქართველოს ტერიტორიაზე საკმარისად გვხვდება, ამიტომ მისი შესწავლა ჩვენი ინტერესის სფეროში შედის.

მათარის ტიპური ფორმა ნახევარსფერულია. ერთი მხარე ბრტყელია (ან ოდნავ გამობერილი), რომელსაც ხშირად ჭურჭლის ძირად თვლიან, ხოლო მეორე მხარე – მკვეთრად ამოზურცული, რომელიც ხშირად შემკულია სხვადასხვა სახეებით. გვხვდება ყურიანი (ყურით ქამარზე იკიდებდნენ) და უყურო მათარები, რომლებსაც ქსოვილის ბუდეში ათავსებდნენ და ქამარზე, სხეულისკენ ძირით ანუ ბრტყელი მხრით იკიდებდნენ.

მათარების ქრონოლოგიური და ტერიტორიალური გავრცელების დიაპაზონი მეტად ფართოა. ძვ.წ. III ათასწლეულიდან მათარა ცნობილია ფერგანიდან (აღმოსავლეთით) იტალიამდე (დასავლეთით) და ეგვიპტიდან (სამხრეთით) ურალამდე (ჩრდილოეთით) (Тер-Мартirosов 1984: 20).

საქართველოს ტერიტორიაზე მათარა პირველად ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში ჩანს, ხოლო განსაკუთრებული გავრცელება ძვ.წ. IV-II სს-ში ჰპოვა. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყველა მათარა თიხისაა, გარდა ითხვისის, ყაზბეგისა და ბრილის ბრინჯაოს მათარებისა. მათარები გვხვდება როგორც სამაროვნებზე, ასევე ნამოსახლარებზე. ითვლება, რომ მათარების გაჩენა და გავრცელება დამოკიდებულია ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებასა და თავისებურ გეოგრაფიულ პირობებზე. ამიტომ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და შუა აზიის უდაბნოს ზოლებისაგან განსხვავებით, წყლით მდიდარ რეგიონში (როგორცაა იბერია და კოლხეთი), არ შეიძლებოდა ის მასობრივად გავრცელებულიყო (ხახუტაიშვილი 1970: 47). საქართველოს სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლზე ჯერჯერობით 30-მდე მათარა არის დადასტურებული. ასეთი სპეციფიკური ჭურჭლისათვის, ეს არც თუ მცირე რაოდენობაა (როგორც აქამდე მიაჩნდათ. იხ. Нариманишвили 1991: 54).

საქართველოს ტერიტორიაზე მათარა პირველად ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს. დათარიღებულ სამთავროს სამაროვნის № 104 სამარხში აღმოჩნდა (აბრამიშვილი 1957: 128-129; 1961: ტაბ. XIX₁). ასევე ადრეულია და ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებს ეკუთვნის გრძელი გუბების (ყვარლის რ-ნი) სამაროვნის სამარხებში (№№ 8, 14) აღმოჩენილი 2 მათარა (მაისურაძე ბ. 1993: 68-69, 73, ტაბ. XII₆₈, XIII₁₀₆). ამ მათარებს ვინრო ყურები, ვინრო ყელი, პირი და ნაკანრი და ნალარი კონცენტრული ხაზებით შემკული მუცელი ახასიათებს. სამთავროს მათარას (სიმაღლე 33 სმ) მუცლის ცენტრალური ნაწილი შემკულია მზის დისკოსებური ნალარი ორნამენტით. ხოლო ძველი გუბების მათარებს მუცლის ცენტრში ამოზურცული შვერილი ამკობთ. ეს მათარები საკმაოდ მასიურია, ფორმით ერთმანეთის მსგავსია და ადგილობრივი თიხისაგანაა დამზადებული. მათარები, ამ სამარხების სხვა ჭურჭელთან ერთად, ადგილობრივი ტრადიციის გაგრძელებად მიაჩნიათ (მაისურაძე 1993: 9). თუმცა

უნდა აღინიშნოს, რომ მათარა ამაზე ადრე არ გვხდება არც საქართველოს და არც ამიერკავკასიის სხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათარების გაჩენა საქართველოს ტერიტორიაზე გარე სამყაროსთან ურთიერთობის გავლენის შედეგია. მიაჩნიათ, რომ მათარას, გარდა სითხის საგზაო ჭურჭლისა, სხვა ფუნქციაც ეკისრებოდა. ის ამავე დროს სატრანსპორტო-სავაჭრო ტარადაც მოიაზრებოდა. ამიტომაც მათარების გავრცელების ერთ-ერთი ეტაპი (II ეტაპი) – ძვ.წ. V- ახ.წ. III სს. – მიაჩნდება აქემენიდურ სამყაროსთან სავაჭრო ურთიერთობებსა და აღმოსავლეთის ქვეყნების ანტიკურ სამყაროსთან კავშირებზე (Тер-Мартirosов 1984: 20).

მათარები აღმოჩნდა ძვ.წ. V ს-ის ძეგლებზე: ხოვლეს ნამოსახლარზე, რომელსაც აქემენიდურ სამყაროსთან ურთიერთობის მანიშნებლად მიიჩნევენ (მუსხელიშვილი 1978: 94-97); საირხის მდიდრულ სამარხში იმპორტულ ნივთებთან ერთად (მახარაძე 2007: 98, სურ. 94), ფიჭვნარის სამაროვანზე (კახიძე 2007: 128, სურ. 72_ჲ) და ასევე ფიჭვნარში, ადგ. „ნაპურვალაზე“ (ვაშაკიძე 1978: 50).

ძვ.წ. IV-II სს-ში მათარები გავრცელებული ყოფილა საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე (ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, აჭარა). ამ ხანის ყველა მათარა ლოკალური თავისებურებით გამოირჩევა. ამიტომ მათი კლასიფიცირება ვერ ხერხდება. თუმცა შესამჩნევი ხდება რიგი დამახასიათებელი ნიშნებისა, რომლებიც განასხვავებს ერთმანეთისაგან აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონების მათარებს. კერძოდ: აღმოსავლეთ საქართველოს მათარები ყურიანია (ხოვლე, უფლისციხე, პაპიგორა, ტახტიძირი, ღართისკარი). დასავლეთ საქართველოს მათარები კი – უყურო (დაბლაგომი, ფიჭვნარი, მალლაკი და სხვ. (გამონაკლისია: ბუკისციხე, არგვეთი); აღმოსავლეთის მათარებზე ორნამენტი იშვიათად ჩანს. სამაგიეროდ, მუცლის ცენტრი შემკული აქვთ შვერილით. დასავლეთის მათარები კი ყველა ორნამენტირებულია და არ გააჩნია შვერილი. ყურის მსგავსი შვერილები გვხვდება მხოლოდ დასავლეთის ცალებზე (ფიჭვნარი, მალლაკი); მხოლოდ კოლხეთის მათარებში გვხვდება ბრტყელძირიანი ცალები (ფიჭვნარი, ს. №№ 49, 77, დაბლაგომი II, ს. № 2) და ასევე, ერთადერთი იმპორტული მათარა აღმოჩნდა დასავლეთში (ფიჭვნარი). საერთოდ, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ.

IV-II სს-ში უფრო მეტი მათარაა ჯერჯერობით გამოვლენილი, ვიდრე აღმოსავლეთში.

მათარები აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. IV-II სს. შემდეგ ძეგლებზე: უფლისციხეში (ხახუტაიშვილი 1970: 47, ტაბ. VII₁₀), პაპიგორას № 42 სამარხში (მარგიშვილი 2004: 49, ტაბ. XXXV₉), ტახტიძირის № 7 სამარხში (გაგოშიძე 1997: 16-17) და ღართისკარში (Нариманашвили 1991: 54). ყველა ეს მათარა ერთი ტიპისაა და ახასიათებს მცირე ზომის მრგვალგანივკვეთიანი ყურები, ვიწრო ყელი, მომრგვალებული ძირი და მუცლის ცენტრში ამობურცული კონუსური შვერილი (ზომები: 17-24 სმ – ტაბ. I_ჲ). ამგვარი მათარები დასავლეთ საქართველოს ძეგლებისთვის უცნობია.

მსგავსი მათარები ჩანს ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ირანში – თეფე-სიალკის სამაროვანზე (ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისი) (Ghirshman 1939: ტაბ. XXIV₉₁₅). ასეთივე მათარები არსებობს აგრძელებს გვიანაქემენიდურ ხანაში პასარგადში (ირანი) (Stronach 1978: 260-261).

ამიერკავკასიაში მათარა საკმაოდ გავრცელებული ჭურჭელია, რაც ამ შემთხვევაში ბუნებრივ პირობებსა და გეოგრაფიულ გარემოს უკავშირდება. სომხეთში ეს ჭურჭელი ძირითადად გვხვდება ელინისტური ხანის ძეგლებზე (ოშაკანი, არმავირი, გარნი, არტაშატი, დვინი და სხვ.) (Тер-Мартirosов 1984: 20-21; Есаян, Калантарян 1976: 31, ტაბ. II_{1,2}). სომხეთის მათარები მოხატულია ნითელი ან ყავისფერი საღებავით და უმეტესობას არ გააჩნია ბრტყელი მხარე (რაც დამახასიათებელია საქართველოს მათარებისთვის). მათარების ნაირგვარი ფორმები, შემკულობისა და მოხატულობის სხვადასხვა სახე გვხვდება აზერბაიჯანის ძვ.წ. IV-II სს. არქეოლოგიურ ძეგლებზე (Pзаев 1976: 46-49). თუმცა ამავე ნიშნებით განსხვავებულია აღმოსავლეთ საქართველოს ამ ხანის მათარებისგან. ვფიქრობთ, აქემენიდური ირანის მათარები უფრო ახლო დგას აღმოსავლეთ საქართველოს მათარებთან.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ შემდეგი სურათი გამოიკვეთა: ჯერჯერობით 20-მდე მათარა დადასტურდა სხვადასხვა ძეგლზე; აქედან ყველაზე ადრეულია ძვ.წ. V ს. დათარიღებული საირხის (სამარხი № 13) (მახარაძე გ. 2007: 98, სურ. 94), ადგ. „ნაპურვალას“ (ფიჭვნარი) და ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლის (ს. № 41) (კახიძე ა. 2007: 128-129, სურ. 72_ჲ) ცალები (ტაბ. I_გ). ყველა ეს მათარა ადგილობრივი ნაწარმია. მხოლოდ

საირხის მათარაა ყურებიანია (რაც იშვიათია ამ მხარის მათარებისთვის); საირხისა და ფიჭვნარის (ს. № 41) მათარების ყელი პირისაკენ გაფართოებულია, ხოლო ნაპურვალას – ვიწროა. განსხვავებით ამავე ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მათარებისაგან, ფიჭვნარის უყურო მათარებს გვერდზე შემოუყვება ფართო ღარი, რომელშიც ჯდებოდა ქსოვილის ბუდეზე მიმაგრებული ღვედი (კახიძე 2007: 128-129). სამივე მათარა შემკულია. ამათგან უნდა გამოიყოს საირხის ვარიანტი, რომელიც გამოირჩევა დახვენილი ფორმითა და რთული ორნამენტით (ნაკანრი სპირალური ხაზები, სამკუთხედები და არწივის გამოსახულება). სამივე მათარა ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც ფორმით, ისე შემკულობით.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მათარები აღმოჩნდა ძვ.წ. IV-II სს-ის შემდეგ ძეგლებზე: დაბლაგომში (ს. № 2) (თოლორდავა 1980: 10, სურ. IV₉), ფიჭვნარში – 3 ცალი (ს. № 77, 42, 49) (ვაშაკიძე 1979: 74, ტაბ. XXIX₁; 1978: 48, სურ. XI₁, XV₃), მალლაკში (ჯიქია 1971: 22-24; ლორთქიფანიძე 1972: 41; ლანჩავა 2007: 52). ქუთაისში (2 ცალი) (ლანჩავა 2007: 52), ვარდციხეში („გიორგობიანის გორა“) (Джапаридзе 1976: 93, ტაბ. XIII), ბუკისციხეში (ვაშაკიძე 1973: 85, ტაბ. IX₂), სოფ. არგვეთში (საჩხერის რ-ნი) (ქორიძე 1961: 126, ტაბ. XV₃; Нариманишвили 1991: 54, სურ. 1081), ვანში – 2 ფრაგმენტი (ლორთქიფანიძე 1981: 44, სურ. 65) და სხვ (ტაბ. I₉₋₁₂).

საინტერესო დეტალები ახასიათებთ ძვ.წ. IV-II სს მათარებს. მხოლოდ ბუკისციხისა და არგვეთის მათარებია ყურებიანი, დანარჩენები – უყურო. ყურებისმაგვარი შვერილები ახასიათებთ ფიჭვნარის (ს. № 42) და მალლაკის ცალებს. როგორც ჩანს, ყურები უჩნდებათ დასავლეთ საქართველოს გვიანი ხანის (ძვ.წ. III-II სს.) მათარებს. ყველა ეს მათარა (გარდა ერთისა – ბუკისციხის) ორნამენტირებულია (სპირალური ხაზები, დისკოსებური გამოსახულება და სხვ. ძირითადად მზის სიმბოლიკასთან დაკავშირებული სახეები); ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დაბლაგომისა (ს. № 2) და ფიჭვნარის (ს. № 49) მათარები ისეთ მსგავსებას ამჟღავნებენ ფორმითა და ორნამენტით, რომ ერთ სახელოსნოში დამზადებულადაც კი მიაჩნიათ (ვაშაკიძე 1978: 48); ასევე მსგავსია ფორმით, შემკულობით და ყურისმაგვარი შვერილებით მალლაკისა და ფიჭვნარის (ს. № 42) მათარები. განსხვავება მხოლოდ ზომებშია.

ფიჭვნარის მათარა მინიატურულია (სიმაღლე 8 სმ), რაც იშვიათობაა მათარებს შორის. მაგრამ ასეთი მათარები ცნობილია და გამოიყენებოდა სანელსაცხებლების ტრანსპორტირებისთვის (Тер-Мартirosов 1984: 20). ყველა ეს მათარა ადგილობრივი ნაწარმია. მხოლოდ ერთადერთი იმპორტული მათარა ცნობილია ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს. კულტურული ფენიდან – ატიკური ნითელ-ფიგურისანი ნაწარმი (კურდღელზე ძაღლით ნადირობის სცენით). ამ ნაწარმს გუტუსად მოიხსენიებენ (კახიძე 1965: 81, ტაბ. VIII_{11,12}).

ცალკე უნდა გამოვეყოს ბრინჯაოს მათარები, რომლებიც ჯერჯერობით საქართველოს სამი ძეგლიდან არის ცნობილი. ესენია: ყაზბეგის განძის, ბრილის (ს. № 19) (ნითლანაძე 1976: 23-26) და ითხვისის (ს. № 2) (ტაბ. I₃) სამაროვნების მათარები (გაგოშიძე 2006: 43, სურ. 13). ყაზბეგისა და ბრილის მათარები ძვ.წ. V ს-ს ეკუთვნის (ნითლანაძე 1976: 24). ითხვისის მათარა, ფირფიტოვანი, მრგვალ-ბრტყელი მუცლით, მაღალყელიანი (სიმაღლე 25 სმ), სამარხეულ ნივთებთან ერთად ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება. ე.ი. ბრინჯაოს მათარები ადრეულ ხანაში გვხვდება. ალბათ ამიტომაც გამოითქვა მოსაზრება, რომ თიხის მათარები ლითონის ჭურჭლის მიბადებით მზადდებოდა და მხოლოდ მდიდრულ სამარხებში ჩნდებოდა, ხოლო თიხის – რიგით მოსახლეობაში (ვაშაკიძე 1978: 49). თუმცა, თიხის მათარა ჩანს ძვ.წ. V ს-ის საირხის მდიდრულ სამარხშიც (მახარაძე 2007: 98, სურ. 94) და ასევე, ადგილობრივ დამზადებული ეს ნაწარმი ამავე დროის ბერძნულ ნეკროპოლზეც (ს. № 41) (კახიძე 2007: 128, სურ. 72₃). ე.ი. ძვ.წ. V ს-ში თიხისა და ბრინჯაოს მათარები თანაარსებობენ. ბრინჯაოს მათარები გვხვდება მხოლოდ მდიდრულ სამარხებში, ასევე ჩანს მდიდრულ სამარხებში თიხის მათარებიც. შემდგომ ხანაში ბრინჯაოს მათარები ქრება.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის მათარები უფრო აქემენიდურ ირანთან კავშირებზე მიგვანიშნებს და მის ნაწარმთან მსგავსებას ამჟღავნებს, რაზეც მიუთითებს ზოგიერთი მკვლევარიც (მუსხელიშვილი 1978: 94-97). A ასევე, აღსანიშნავია, საქართველოს ძვ.წ. IV-II სს-ის მათარებისათვის შემკულობის ერთი დამახასიათებელი საერთო ნიშანი: ნალარი და ნაკანრი ორნამენტები (მხოლოდ ერთი მოხატული ნატეხი ჩანს უფლისციხიდან), რაც ასევე განასხვავებს სომხეთისა და აზერბაიჯანის მოხატული მათარებისგან. ცვლილებები

მათარის ფორმებსა და შემკულებაში ძვ.წ. V ს-დან, IV-II სს-ის განმავლობაში, თითქმის არ შეიმჩნევა. მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვიდან ჩნდება ლოკალური თავისებურებები (კახეთის ტერიტორიაზე) იალოილა-თეფეს კულტურის გავლენით.

ეს დაკვირვებები და მოსაზრებები მათარების შესახებ დამათარილებელ არგუმენტებად ვერ გამოდგება, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მათარების გავრცელების საერთო სურათის წარმოჩენა შესაძლოა, შემდგომი კვლევის საფუძველი გახდეს.

T. Tchanishvili

ONE KIND OF POTTERY (FLASK) FROM ARCHAEOLOGICAL SITES OF GEORGIA Summary

In this paper is presented one kind of ceramic production – flask; is consider a specific function; is shown his areal on the territory of Georgia, and highlighted the characteristic features.

ლიტერატურა

- აბრამიშვილი რ. 1957:** სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, XIXA-XXIB, 115-139.
- აბრამიშვილი რ. 1961:** რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VI სს). – სსმმ, XXII-B, 291-382.
- გაგოშიძე ი. 1997:** არქეოლოგიური გათხრები ტახტიძირში (ქარელის რ-ნი). - კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები, თბილისი, 16-17.
- გაგოშიძე ი., გოგიბერიძე ნ., მახარაძე გ. 2006:** ითხვისის სამაროვანი. – არქეოლოგიური ჟურნალი, IV, 36-59.
- ვაშაკიძე ნ. 1973:** სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხი. – სდსძ, III, 74-87.
- ვაშაკიძე ნ., კახიძე ა. 1978:** ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1975 წელს ჩატარებული სავლე კვლევა-ძიების შედეგები. – სდსძ, VII, 42-58.
- ვაშაკიძე ნ., კახიძე ა. 1979:** არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნების ტერიტორიაზე 1976 წელს. – სდსძ, VIII, 68-84.
- თოლორდავა ვ. 1980:** დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში (ქვევრსამარხები). თბილისი.
- კახიძე ა. 1965:** მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის. – მსკა, IV, 67-94.
- კახიძე ა. 2007:** ფიჭვნარი, II. ბათუმი, ოქსფორდი.
- ლანჩავა ო. 2007:** ქუთაისის არქეოლოგია. ქუთაისი.
- ლორთქიფანიძე ოთ. 1972:** ძველი კოლხეთის კულტურა. თბილისი.
- მაისურაძე ბ., 1993:** იორ-ალაზნის ზემო დინების გვიანბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- მარგიშვილი ს., ნარიშვილი გ. 2004:** ალგეთის ხეობის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007:** საირხე. თბილისი.
- მუსხელიშვილი დ. 1978:** ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბილისი.
- ორბელიანი სულხან-საბა 1949:** სიტყვის კონა. თბილისი.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1986:** თბილისი.

- ქორიძე დ. 1961:** მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რ-ნი). თბილისი.
- ნითლანაძე ლ. 1976:** ხევის არქეოლოგიური ძეგლები (ყაზბეგის განძი). თბილისი.
- ხახუტაიშვილი დ. 1970:** უფლისციხე, II. თბილისი.
- ჯიქია ლ. 1971:** ანტიკური ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში (ქვევრსამარხები). – ქუთაისის ნ.ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, II, 22-24.
- Джапаридзе В., Джгамая Д. 1976:** Об археологических исследованиях в зоне строительства Вардцихе ГЭС. – Археологические исследования на новостройках ГССР, 91-94. Тбилиси.
- Есяян С., Калантарян А. 1976:** Античный некрополь Ошакана. – Вестник общественных наук АН АрССР, № 12, 27-40. Ереван.
- Нариманишвили Г. 1991:** Керамика Картли V-I вв до н.э. Тбилиси.
- Рзаев Н. 1976:** Искусство Кавказской Албании. IV в до н.э.-VII вв н.э. Баку.
- Тер-Мартirosов Ф. 1984:** Керамика эллинистической Армении как исторический источник. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Ереван.
- Ghirshman R. 1939:** Fouilles de Sialk pres de Kashan. Musée du Louvre, Serie archeologique, V. Paris, 1939
- Stronach, David 1978:** Pasargadae: A Report on the Excavations Conducted by the British Institute of Persian Studies from 1961-63. Oxford University Press.


ტაბულის აღწერილობა

ტაბ. I – 1-5. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მათარები; 6-13. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მათარები

DESCRIPTION OF THE PLATE

Pl. I – 1-5. Flasks discovered on the territory of the Eastern Georgia; 6-13. Flasks discovered on the territory of the Western Georgia.

ცაბ. I



ბრინჯაოს ბრავირებული სარტყლის რესტავრაცია და კვლევა

მხატვრული მელითონეობის ნაწარმი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად და უმნიშვნელოვანეს წყაროს იმ რთული პროცესების შესასწავლად, რომელშიც ასახულია კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს უძველესი ხელოვნების განვითარების ძირითადი საფეხურები.

ამ პროცესების ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო საფეხური ბრინჯაოს გრავირებულ სარტყლებთან არის დაკავშირებული. ეს ძეგლები აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს, ჩრდილოეთ სომხეთსა და დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ისინი გავრცელებას იწყებენ ძვ.წ. IX ს. დასასრულიდან და ძვ.წ. VII ს. წყვეტენ თავიანთ არსებობას. ძვ.წ. IX-VII სს. წარმოადგენს „კავკასიური ცხოველური სტილის“ აყვავების ხანას. ამ პერიოდში მთელს ამიერკავკასიაში ფართოდ ვრცელდება სახვითი ხელოვნების ერთიანი მხატვრული მიმდინარეობა. მისთვის დამახასიათებელი ძეგლები დამზადებულია ბრინჯაოსაგან და შემკულია გრაფიკული დეკორით შესრულებული მრავალფეროვანი კომპოზიციებით [ხიდაშელი 1982: 17]. ბრინჯაოს გრავირებული სარტყლების გავრცელება სინქრონულად თანხვედბა რკინის ფართო ათვისების ხანას, როდესაც რკინა-ფოლადის იარაღი მთლიანად სდევნის ბრინჯაოს მეურნეობის სფეროდან. ბრინჯაოს ნაწარმი იძენს მხატვრული სამკაულის და საკულტო დანიშნულების ფუნქციას. ფოლადის იარაღის გამოყენებით საგრძნობლად მაღლდება ბრინჯაოს მასალის ტექნოლოგიური და ზედაპირული მხატვრულ-სტილისტური დამუშავების დონე, მისი ესთეტიკური ღირებულება. [ინანიშვილი 2003: 68-73]. სარტყლები გავრცელებული იყო როგორც დასავლეთ ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. კოლხური სარტყელი წარმოადგენს ბრინჯაოსგან გამოჭედილ თხელსა და ფართო (20 სმ-მდე) ლენტს, რომელსაც ტყავის ან ქსოვილის სარჩული უნდა ჰქონოდა. სარტყლის ზედაპირი ხშირად შემკობილია ამოკანრული ან ამოტვიფრული სურათებით, რომლებშიც შეიძლება გამოვიცნოთ საწესო ან ნადირობის სცენები. ასეთი სარტყლის ნაწილები აღმოჩენილია

ყობანში, ბრილში და თრილში. აღმოსავლეთ საქართველოში ბრინჯაოს სარტყელი კეთდებოდა 1,5-2,0 მმ. სისქის ბრინჯაოს განელილ-გამოკვერილი ფურცლისაგან, რომლის საშუალო სიგრძე 80-85 სმ, ხოლო სიფართე 16-18 სმ იყო. ზოგი მათგანის სიფართე 20-21 სმ-საც კი აღწევდა. ასეთი სიფართის სარტყელი საიმედო ჯავშანსაც წარმოადგენდა. სარტყლის უმრავლესობის ზედაპირი დაფარულია გეომეტრიული სხეულების, ნადირობის სცენების, სოლარული ნიშნების, ამა თუ იმ ღვთაების თაყვანისცემისას შესასრულებელი რიტუალური წესების და მრავალი მსგავსი გამომხატველი სახეებით. ზოგიერთი მათგანი შემკულია ერთიმეორეზე გადაბმული სპირალებით, რომლითაც მთელი ზედაპირია მოფენილი. გეომეტრიულ სახეებში სჭარბობს რომბები, წრეები, სამკუთხედები, რომლებიც ხშირად წერტილოვანი, თევზისფერი და სხვ. ორნამენტით არის შევსებული. სიუჟეტიან კომბინაციებში სჭარბობს ნადირობის სცენები. სარტყელთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელია მარტივისიუჟეტიანი გამოსახულებანი, თუმცა ვხვდებით რთულსიუჟეტიანებსაც [გობეჯიშვილი, ჯაფარიძე 1959: 178-179]. ბრინჯაოს სარტყლების მხატვრულ მორთულობაში სჭარბობს ცხოველების გამოსახულებანი, რომლებიც ფართო ზოლით ფარავენ სარტყლის მთელ ზედაპირს. გეომეტრიულ მოტივებს კი მხოლოდ იშვიათად აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა დეკორში [ამირანაშვილი 1961].

ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები ისევე, როგორც კოლხურ-ყობანური ძეგლები, ერთიანია თავისი შინაარსით, რაც გვაფიქრებინებს, რომ მსგავსი სახის ძეგლების შექმნას საფუძვლად დაედო საერთო იდეოლოგიური შეხედულებები. ამიტომ, სარტყლებზე გამოსახული დეკორი უაღრესად საინტერესო ფენომენია, რომლის გააზრებაც და შესწავლაც უშუალოდ კავშირშია სწორედ წარმართულ სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან.

2010 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის სარესტავრაციო ლაბორატორიას ბრინჯაოს ორი გრავირებული სარტყელი

გადაეცა სარესტავრაციოდ. ერთი მათგანი აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე, ხოლო მეორე – ნაქულბაქევის სამაროვანზე (თბილისი, დიდმის ველი). ორივე სარტყელი რესტავრირებული იყო წარსულში.

რესტავრაციის ეთიკის უმთავრესი პრინციპებია: მკაფიოობა (ძეგლის ავთენტიკურობის დანებისმიერისარესტავრაციოჩარევისმკაფიოდ აღქმის შესაძლებლობა), ძეგლის მდგრადობა და შეუქცევადობა. სწორედ რესტავრაციის მიზანშეწონილობაზე დაფიქრების საშუალებას იძლევა სამთავროსა და თბილისის ბრინჯაოს სარტყლები და მათი რესტავრაციის მეთოდები.

ძეგლების კონსერვაცია-რესტავრაციის მიზნებისა და კონცეფციის ჩამოყალიბების სირთულე, შესაძლო რისკი, პროფესიული ეთიკის მოთხოვნები და სამუშაოთა ფასი რესტავრატორს სულ უფრო ხშირად აიძულებს უპასუხოს კითხვას, თუ რამდენად მიზანშეწონილია ამა თუ იმ საკონსერვაციო ჩარევის განხორციელება. მრავალი მეცნიერი ფიქრობს, რომ უმჯობესია ავირჩიოთ კონსერვაცია და არა რესტავრაცია [დეპასიო 2008: 127]. სამთავროს სარტყლის შემთხვევაში სახეზე გვქონდა მავნე მასალის გამოყენების ფაქტი, ხოლო ნაქულბაქევის სარტყელზე – არასწორი რეკონსტრუქციისა, რის გამოც უპირატესობა რესტავრაციას მივანიჭეთ. ორსავე შემთხვევაში დარღვეული იყო კონსერვაციის ეთიკის უმთავრესი პრინციპები: მკაფიოობა და ძეგლის მდგრადობა. 2010 წელს ჩვენს მიერ განხორციელდა სარტყლების ხელახალი რესტავრაცია.

სამთავროს სარტყელი წარმოდგენილი იყო ოთხი შემადგენელი ნაწილისაგან. სარტყლის ნაწილები გამაგრებული იყო შავი მყარი მასით, რომელიც სხვადასხვა მახასიათებლებით იდენტიფიცირებულ იქნა როგორც ფისი, რომელსაც იღებენ ბიტუმოვანი ქანების გამოხარშვით. შავი მასა არათანაბრად იყო გადანაწილებული სარტყლის უკანა მხარის ზედაპირზე. სარტყელს გააჩნდა ბზარები და ნაკლული ადგილები შევსებული იყო შავი ფისით. სარტყლის მთელ ზედაპირს ეკვროდა მექანიკური ნადების ფენა (სურ. 1-2).

სარესტავრაციო პროცესის პირველ ეტაპზე დამუშავდა ნივთის ზედაპირი. გამოყენებულ იქნა სპირტის ტამპონები და სკალპელი. შემდგომ ეტაპზე მოხდა სარტყლის უკანა მხარის დამუშავება, კერძოდ, სპირტქურაზე გაცხელებული სკალპელით ეტაპობრივად მოცილებულ იქნა ფისის პირველი პირი, სრული


განმნდა კი მოხერხდა სკალპელის (ცივი) პირით და სპირტით. სარტყელის ფისისაგან სრული განმნდის შემდეგ ნივთზე აღმოჩნდა შენიღბული დეფექტები: ნაკლული ადგილები და ბზარები. ისინი ძირითადად აღინიშნება სარტყლის ცენტრალურ ნაწილში. ბზარები დაფიქსირებულ იქნა ნებოს საშუალებით.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3

სარტყელის ოთხი ნაწილის ერთმანეთთან დაკავშირება შემდეგნაირად მოხდა: გრავირებული ზედაპირის მხრიდან ნაწილები დავაკავშირეთ ქალაღდის ნებოვანი ლენტით (სურ. 3), ხოლო უკანა მხარეს, გადაბმის ადგილი დავაფიქსირეთ ნებოთი და გავამაგრეთ სპეციალური თხელი ე.წ. მინისებრი ქსოვილით.

აღდგენილი სარტყელის ზედაპირის

სრული და საბოლოო განმენდისათვის და შემდგომი ტრანსპორტირებისთვის შეიქმნა მუყაოს სამუშაო სადგამი, რომელიც ზუსტად იმეორებდა სარტყელის ფორმას. სამუშაო სადგამის გასაკეთებლად გამოყენებულ იქნა 2 მმ სისქის მუყაო, ქაღალდის ნებოვანი ლენტი და ნებო „PBA“. მუყაოს რკალების კიდეები შეინიღბა 0,5 მმ სისქის რეზინით (სურ. 4-5).



სურ. 4



სურ. 5


რესტავრირებული ნივთის ფორმოვანი ნიშნების გათვალისწინებით სარტყელს გაუკეთდა ორგანის სამი სადგამი, რომლებიც უზრუნველყოფენ სარტყელის ფორმისა და მასზე დატანილი გამოსახულების აღქმას (სურ 6-7).




სურ. 6

ნაქულბაქევის ბრინჯაოს სარტყელი შედგებოდა მრავალი მცირე დეტალისაგან. დეტალები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო დოლბანდის ქსოვილზე ორგანული ნებოს საშუალებით (სურ. 8). მსარტყელის ნაწილების დოლბანდიდან მოშორების დროს დეტალები

ძლიერ ზიანდებოდა, რის გამოც გადაწყდა მომხდარიყო მხოლოდ დოლბანდის იმ ნაწილების მოშორება (ამოჭრა), რომელსაც არ ეკვროდა სარტყელის დეტალები.




სურ. 7



სურ. 8

სარტყელის დეტალების ზედაპირი გაინმინდა მექანიკურად. განმენდილი დეტალების მიკროსკოპიული შესწავლის შედეგად ნათლად გამოჩნდა არასწორი შენებების ადგილები, რის გამოც გადაწყდა მომხდარიყო ხელახალი რეკონსტრუქცია. სარტყელის სასურათო სიბრტყეზე გადმოცემული იყო ორი ირმის და ორი მტაცებელი ცხოველის გამოსახულება, ცხოველებს შორის მოცულობა აქცენტირებული იყო ვარსკვლავისებური ორნამენტით. სარტყელის სასურათო სიბრტყეს შემოუყვებოდა იგივე მტაცებელი ცხოველის თავებისგან შედგენილი დეკორატიული ჩარჩო.

აღსანიშნავია, რომ ძველი რეკონსტრუქციის დროს (სარტყელის დეტალები ერთმანეთთან არასწორად დაკავშირების გამო) სასურათო სიბრტყეზე გადმოცემული ფიგურები მიმართული იყო სარტყელის კიდეებიდან ცენტრისაკენ. ხელახალი რეკონსტრუქციის პირობებში ცხოველების დინამიკა განლაგდა საპირისპიროდ, ცენტრიდან კიდეებისაკენ (სურ. 9). რეკონსტრუირებული სარტყელისათვის დამზადდა ორგანის სადგგარი, რომელზედაც 20% პარალოიდ ბ72 აცეტონხსნარით დაფიქსირდა სარტყელის თითოეული დეტალი (სურ. 10).



სურ. 9


ჩვენთვის საინტერესო იყო გაგვეჩვენა ლითონის შენადნობის ტიპი. სწორედ ამ მიზნით, რესტავრაციის შემდეგ, გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა მცირემასშტაბიანი კვლევები ქიმიური შედგენილობის გასარკვევად. უძველესი მეტალურგიის შესწავლის საქმეში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ლითონის ნივთების ქიმიური შედგენილობის გარკვევას, რაც იძლევა მთელი რიგი საკითხების მეტნაკლებად სწორი გადარკვევის შესაძლებლობას.

სარტყლების შედგენილობა განისაზღვრა არადესტრუქციული რენტგენოფლოუორესცენტული სპექტრომეტრით (ELVAX XRF). 1960 წელს სამუზეუმო ნივთებზე პირველად იქნა ჩატარებული რენტგენოფლოუორესცენტული კვლევა, მას შემდეგ ის გამოიყენება, როგორც ძირითადი ანალიტიკური ხელსაწყო სხვადასხვა არქე-

ოლოგიური მასალის ქიმიური კომპოზიციების შესასწავლად [Cecil, Moriarty, Speakman, Glascock 2007:506–521].



სპექტრული ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით და ნივთების დამზადების ტექნოლოგიური სქემის გათვალისწინებით ირკვევა, რომ ჩვენს მიერ გამოკვლეული ბრინჯაოს სარტყლებისათვის (სამთავროსა და ნაქულბაქევიდან) დამახასიათებელია კალიანი ბრინჯაოს ტიპური ლიგატურა, მალეგირებელი ელემენტის ოპტიმალური შემცველობით (შნ“10,1-13,4%). ასეთი ტიპის კალიანი ბრინჯაო, კარგად მუშავდება გრავირებით. ღრმა გრავირების შემთხვევაში, ზედაპირის ჭრით დამუშავება შესაძლებელია ნაწრთობი ფოლადისაგან დამზადებული საჭრისებით.

სტატიაში წარმოდგენილი სარტყლების რესტავრაციის პროცესი და კვლევა კიდევ ერთხელ მიგვითითებს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაზიანებების შესწავლა და მათთან ბრძოლა დიდ ძალისხმევას და რაც მთავარია ინტერდისციპლინარულ კვლევებს მოითხოვს. სამუზეუმო კოლექციების დაცულობის აღწერის პროცესი პერმანენტული (პერიოდული) ხასიათის უნდა იყოს. ეს მოგვცემს შესაძლებლობას სწორად შევაფასოთ მდგომარეობა და შევიმუშაოთ თითოეული ობიექტის დაცვის მისაღები მეთოდი.



სურ. 10

ცხრილი 1

აღმოჩენის ადგილი	Cu	Sn	As	Pb	Ag	Fe
	82.2	13.4	2.5	1.3	0.3	0.3
	88.926	10.186	0.787	–	–	0.101

RESTORATION AND RESEARCH OF ENGRAVED BRONZE BELT

Summary

Studying and preventing the damage on the objects of cultural heritage needs a lot of afford and multidisciplinary studies. Artifacts should be permanently checked. This will give us an opportunity to develop the exact methods to preventive each object. The belt from Nakulbakevi was wrongly reconstructed and on the belt from Samtavro was used a harmful material. For these reasons it was decided to restore the objects, as in both cases the main principles of conservation Ethics were violated. Nondestructive elemental analyses of the bronze belts were conducted using an ElvaX portable bench top X-ray fluorescence (XRF) spectrometer. Analyses were carried out to quantify the alloy content Results indicate that the objects have similar overall compositions (Table 1).

ლიტერატურა

ამირანაშვილი შ. 1961: ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი.

გობეჯიშვილი გ., ჯაფარიძე ო. 1959: ბრინჯაოსა და რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები. – საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 89-222.

დეპასიო მ. 2008: რესტავრაცია თუ კონსერვაცია, რა ავირჩიოთ? – ვ. ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში, თბილისი, 2008, 127.

ინანიშვილი გ. 2003: სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზის საფუძვლები. თბილისი.

ხიდაშელი მ. 1982: ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში. ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები. თბილისი.

Cecil, L. G., Moriarty M. D., Speakman R. J., Glascock M. D. 2007: Feasibility of field-portable XRF to identify obsidian sources in Central Petén, Guatemala. – Archaeological Chemistry: Analytical Methods and Archaeological Interpretation, edited by Michael D. Glascock, Robert J. Speakman, and Rachel S. Popelka-Filcoff. ACS Publication Series 968. American Chemical Society, Washington, DC, pp. 506–521.

სურათების აღწერა

- სურ. 1 — სამთავროს სარტყელის ფრაგმენტი რესტავრაციამდე (წინა მხარე).
- სურ. 2 — სამთავროს სარტყელის ფრაგმენტები რესტავრაციამდე (უკანა მხარე).
- სურ. 3 — სამთავროს სარტყელი რესტავრაციის პროცესში.
- სურ. 4 — მუყაოს სამუშაო სადგამი.
- სურ. 5 — სამთავროს სარტყელი მუყაოს სამუშაო სადგამზე.
- სურ. 6 — სამთავროს სარტყელი ორგმინის სადგამზე (წინა მხარე).
- სურ. 7 — სამთავროს სარტყელი ორგმინის სადგამზე (უკანა მხარე).
- სურ. 8 — ნაქულბაქევის სარტყელი რესტავრაციამდე.
- სურ. 9-10 — ნაქულბაქევის სარტყელი რესტავრაციის შემდეგ.

DESCRIPTION OF THE FIGURES

- Pic. 1 – Fragment of the belt from Samtavro before restoration (front side)
- Pic. 2 – Fragments of the belt from Samtavro before restoration (back side)
- Pic. 3 – Belt from Samtavro in the process of restoration.
- Pic. 4 – The cardboard stand.
- Pic. 5 – Belt from Samtavro on the cardboard stand.
- Pic. 6 – Belt from Samtavro on the plexiglass stand (front side).
- Pic. 7 – Belt from Samtavro on the plexiglass stand (back side).
- Pic. 8 – Belt from Nakulbakevi before restoration.
- Pic. 9-10 – Belt from Nakulbakevi after restoration.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და მთაში ქრისტიანობის გავრცელების თავისებურებანი

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომელთა წინაშე წამოჭრილ საკვლევ პრობლემათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია არაგვის აუზის მთიანეთის და მთის მოსახლეობაში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების საკითხი და იმ თავისებურებათა გარკვევა, რაც ამ პროცესს ახლდა თან. ამ საკმაოდ რთული ამოცანის შესრულებაში ადრევე ცნობილ სხვადასხვა ხასიათის ნყარობთან ერთად (მაგ. ნერილობითი ძეგლები, ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული ინფორმაცია, მთიანეთისა და მთაში გამოვლენილი ხატ-სალოცავების შესწავლით მიღებული შედეგები და სხვ.). უაღრესად დიდი მნიშვნელობა შეიძინა იმ არქეოლოგიურმა მასალებმა, რომლებიც 1971-1990 წწ. იქნა მოპოვებული არაგვის აუზში, კერძოდ: ახალ ჟინვალში [რამიშვილი 1983: 81-130; ნიკლაური 2003: 27-28], ჟინვალის სამაროვანზე [ჩიხლაძე 1999; ჩიხლაძე, კაველიშვილი 1999: 22-24 და 2001: 80-84], ნიფრანისძირში [მუხიგული 1982-1983], არაგვისპირში [რამიშვილი 1981ა: 22-24; ბაქრაძე 1975: 25-27; რობაქიძე 1985: 87-93; 2003: 23-25], ხერთვისის კომპლექსზე და კართანას სამაროვანზე [რჩეულიშვილი 1990; 1999: 21-22], ნეძიხის და ბადრიანების სამაროვნებზე [რობაქიძე 1990: 67-72; Робакидзе 1995: 124-125; რჩეულიშვილი, რობაქიძე, ჩიხლაძე 1996: 20], ბზიანას სამონასტრო კომპლექსზე [ნერეთელი 1996: 45-47; 1999; რჩეულიშვილი, ნერეთელი 2003: 30-32], ბალიანთკარის ორნავიან ეკლესიაზე [ნერეთელი 1999], სათაოს კომპლექსზე [ჯორბენაძე 1994: 20; 1995: 22-23], დავათში [რამიშვილი 2008], ხევსურეთში [რჩეულიშვილი 1999], მთიულეთის არაგვის ხეობაში [კალანდაძე 1996: 38-41; 2003: 25-26], პირიქით არაგვის ანუ თერგის ხეობაში [ნითლანაძე, კახიძე, შატბერაშვილი 1998: 70-80; მინდორაშვილი 2005] და სხვ. ცალკე უნდა აღინიშნოს ექსპედიციის მზვერავი რაზმის (ივ. ნიკლაური, კ. ნერეთელი) მიერ ხანგრძლივი შრომის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დიდი მნიშვნელობა. აღნიშნული რაზმი საგანგებო ყურადღებას აქცევდა მთიან ზონაში ეკლესიებისა და მათი ნაშთების გამოვლენა-აღრიცხვას და შეძლების ფარგლებში შესწავლას

[ნიკლაური 1993: 51-52; 2001: 88-92; ნერეთელი 1996: 45-47; 1999].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და მთაში ქრისტიანობის გავრცელების საკითხზე მუშაობისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჟინვალის ნაქალაქარზე და მის შემოგარენში გამოვლენილი არქეოლოგიური მონაპოვარი. ჟინვალი, როგორც მთისა და ბარის საზღვარზე და ჩრდილოეთ კავკასიისკენ მიმართული უმთავრესი გზების გასაყარში აღმოცენებული პუნქტი, უძველესი დროიდან წარმოადგენდა საერთაშორისო მნიშვნელობის სტრატეგიულ კვანძს. მაგ., ჟინვალსა და მის მიდამოებში ინტენსიური ცხოვრების კვალი უკვე ენეოლითის დროიდან შეინიშნება, რაზედაც მიუთითებს ჟინვალის სამაროვნის ფარგლებში, ნიადაგის სულ ქვედა ფენებში და ნაქალაქარის სხვა უბნებზე ენეოლითისათვის დამახასიათებელი კერამიკული ნატეხებისა და ქვისაგან დამზადებული იარაღების აღმოჩენის შემთხვევები [ჩიქოვანი 1996: 11-14].

არაგვის ხეობის „ჭიმუკარში“ მდებარე ჟინვალი (ჟინვანი, ჟინოვანი) მომდევნო ეპოქებშიც წარმოადგენდა მნიშვნელოვან სამოსახლოს. ჟინვალის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არაგვის მარცხენა ნაპირის ფერდობზე შეფენილი ხატ-სალოცავის თუ ძველი ტაძრის ნაშთი, სადაც ნაპოვნია ადრებრინჯაოს დასასრულით დათარიღებული ღვთაების ტერაკოთული გამოსახულება [დლონტი 1996: 15-18]. აღნიშნული რელიგიური ცენტრის კვლევამ გვიჩვენა, რომ იგი არსებობას განაგრძობდა ძვ.წ. I ათასწლეულის განმავლობაშიც. ქართლში ფარნავაზიანთა დინასტიის გამეფების შემდეგ, როდესაც მთისა და ბარის ურთიერთობათა ისტორიაში დაიწყო ახალი ეტაპი, ჟინვალის როლი კიდევ უფრო გაზრდილი ჩანს [რამიშვილი 1981: 98-154]. ამ დროიდან არაგვის ხეობა თავისი დიდი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის გამო, ვფიქრობთ, უკვე წარმოადგენდა სამეფო დომენში შემავალ ტერიტორიას. ეს ტენდენცია კიდევ უფრო ცხადად იკვეთება ახალი ნელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში,

რასაც გვიდასტურებს არა მარტო წერილობითი წყაროები, არამედ ის არქეოლოგიური მასალები, რომლებიც მოპოვებულია არაგვის ხეობის მდიდრული ინვენტარის შემცველ სამარხებში სოფ. არაგვისპირში და ახალ ჟინვალში. საკუთრივ ჟინვალის სამაროვნის და მის ფარგლებში გამოვლენილ ნამოსახლართა ნაშთების მიხედვით დასტურდება, რომ რომაულ ხანაში ჟინვალი უკვე წარმოადგენდა ქალაქური ტიპის სამოსახლოს [რამიშვილი 1981: 112; ჩიხლაძე 1999].

ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, რაც განხორციელდა 326 წელს [პატარიძე 2000: 64-65], ჟინვალი უკვე წარმოგვიდგება, როგორც არაგვის ხეობის პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი. მცხეთაში განხორციელებული საყოველთაო ნათლისღების შემდეგ, ახალგაქრისტიანებულმა მირიან მეფემ, პირველ რიგში, ყურადღება მიაპყრო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს. ახალი რელიგიის დაფუძნებით ქართლის მეფე მიზნად ისახავდა სამეფო ხელისუფლების პოზიციების განმტკიცებას სტრატეგიული მნიშვნელობის ამ რეგიონში. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი სამეფო კარს ადრეც თავის გავლენის ქვეშ ჰქონდა მოქცეული, მაგრამ არა იმ ხარისხით, როგორც ქართლის ბარის ცალკეული კუთხეები. ამიტომაც, მირიან მეფემ პირველი ნაბიჯი სწორედ ჟინვალისაკენ გადადგა, საიდანაც იხსნებოდა გზები მთის თითქმის ყველა კუთხისაკენ. წერილობითი წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართლის სამეფო კარს უკვე გააჩნდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მთის მოსახლეობა მამაპაპეული რწმენა-წარმოდგენების და წარმართული ხატ-სალოცავების იოლად დათმობას არ აპირებდა. ამიტომაც, ჟინვალისაკენ გაგზავნილ წმინდა ნინოს, რომელსაც ევალეობდა მთიელთა ახალ რელიგიაზე მოქცევა, თან გააყოლა ერთ-ერთი ერისთავი თავისი მხედრობით. სწორედ ამ მხედრობას ევალეობდა, რომ „პირუტყუთ სახეთა მათ კაცთა, ჭართლელთა, ფხოველთა, წიაღ-ლაკასანელთა და გუდამაყრელთა“ [ქართლის ცხოვრება 1942: 80₁₄₋₁₅], თუ ნებით არა, ძალის წარმართვით შეეწყნარებინათ ახალი სარწმუნოება. ამიტომაც იყო, რომ წმინდა ნინოს თანმხლებმა პირებმა, მთიელები თუ მათი წარმომადგენლები მოიხმეს წობენს, რომელიც ლოკალიზებულია ჟინვალის შესასვლელთან [გვასალია 1972: 25-27], იქ, სადაც ამჟამად მდებ-

ბარეობს სოფ. ჩინთი და ჟინვალიდან გადმოსახლებულთა საკმაოდ დიდი უბანი.

საყურადღებოა, რომ სოფ. ჩინთში, საკანაფე ხევის მარცხენა მხარეს, აღმართულია ეულად მდგომი კლდის საკმაოდ დიდი მასივი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ძველი ტრადიციისამებრ „ნინოს ქვას“ უწოდებს. „ნინოს ქვის“ ზედა ნაწილზე შემორჩენილია მცირე ნაგებობის ნაშთი, რომელიც ჩვენ მივიჩნით წმინდა ნინოს სახელზე აგებული ნიშის კუთვნილებად.

ჟინვალის კართან მოწვეულმა მთიელებმა წმინდა ნინოს შეთავაზებას მტრულად უპასუხეს და უარი განაცხადეს ახალი სარწმუნოების გაზიარებაზე. მაგრამ, მას შემდეგ, რაც მირიან მეფის მიერ წარგზავნილმა „ერისთავმან ქართლისამან მცირედ წარმართა მახუილი მათ ზედა“ [ქართლის ცხოვრება 1942: 80₁₉₋₂₀] უფრო ძლიერმა და უკეთ ორგანიზებულმა ბარმა (resp. სახელმწიფომ) გატეხა მთიელთა წინააღმდეგობა და „ძლევით შემუსრნეს კერპნი მათნი“ [ქართლის ცხოვრება 1942: 80₂₀]. სავარაუდოა, რომ ტრადიციულ კერპთა ამ ნგრევას შეეწირა ჟინვალის სამლოცველოც, სადაც დასვენებული იყო წარმართული ღვთაების ადრესსენებული ტერაკოთული ქანდაკება. მიუხედავად საკმაოდ მკაცრი ზომებისა, რასაც ახორციელებდა სამეფო ხელისუფლება, მთის წინააღმდეგობა ერთი ხელის მოსმითარყოფილა დაძლეული. ჯერ ერთი, ფხოველებმა საერთოდ უარყვეს ახალი რელიგია, და იმისათვის, რომ თავი დაესხნათ ხელისუფლების ზეწოლისაგან, გაიღეს გაუგონარი მსხვერპლი და როგორც ისტორიული წყარო მოგვითხრობს: „დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს“ [ქართლის ცხოვრება 1942: 80₂₂₋₂₃].

ამავე დროს, წერილობითი წყაროების მიხედვით ჩანს, რომ ხელისუფლებას საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში უხდებოდა მთის მოსახლეობასთან ჭიდილი. სამეფო კარი თავის მიზნის მისაღწევად იყენებდა სხვა მეთოდებსაც. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი ამ მოვლენებთან დაკავშირებით წერს, სამხედრო ძალისხმევის პარალელურად ურჩ მთიელებს მეფემ „დაუმძიმა ხარკი“ [ქართლის ცხოვრება 1942: 80₁₄₋₁₅]. გადასახადების დამძიმებამ სამხედრო ზეწოლასთან ერთად საბოლოოდ აიძულა მთის მოსახლეობის დიდი ნაწილი დამორჩილებოდა სამეფო ხელისუფლების მკაცრ გადაწყვეტილებას.

მთაში ქრისტიანობის იძულებით გავრ-

ცვლელის აქტივით დაინყო სრულიად ახალი ფაზა მთისა და ბარის ურთიერთობაში. აღსანიშნავია, რომ მცხეთის დიდი ნათლისღებებიდან თითქმის V საუკუნის ბოლომდე (განსაკუთრებით ვახტანგ გორგასლის ზეობის ხანაში), ქართლის სამეფოს შედარებით მშვიდი განვითარების ხანა დაუდგა, რამაც ხელი შეუწყო იმ სოციალური ფენის გაძლიერებას, რომელმაც გაითავისა ახალი იდეოლოგია – ქრისტიანობა. ეკლესიების და ქვაფუძვლების მშენებლობა გაიშალა არა მარტო ბარში მდებარე უმთავრეს ცენტრებში, არამედ მთაშიც, სადაც თანდათანობით ჩამოყალიბდა ღვთისმსახურთა ახალი ფენა, რომელთა შორის ალბათ მთის მოსახლეობიდან გამოსული პირებიც შედიოდნენ. მაღალმთიან ზონაში და მთისწინეთშიც, სწორედ ამ დროს იწყება ძველი, წარმართული რიტუალების ჩანაცვლება ქრისტიანულით, მათი ურთიერთშერწყმა და ძველი პლასტების ქრისტიანულით გადაფარვის თანდათანობითი პროცესი.

ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ მიძალებას მთის მიმართ ზედ დაერთო იდეოლოგიურიც. მთა თავისი შეზღუდული ეკონომიკური რესურსებით, ბუნებრივია, არ იყო მზად დიდი სოციალური ძვრებისათვის, მაგრამ იგი ახალი რელიგიის თავს მოხვევის შემდეგ გაცილებით უფრო მჭიდროდ აღმოჩნდა დაკავშირებული ბართან. თავის მხრივ, ქრისტიანობის აღიარება სახელმწიფო რელიგიად წარმოადგენდა ეპოქალურ მოვლენას ქართლის სამეფოს ისტორიაში და ახალი სოციალური ურთიერთობების გამარჯვების ხანას, როდესაც საბოლოოდ იწყებს გაფორმებას ფეოდალურ ურთიერთობებზე დაფუძნებული მთისა და ბარის ახლებური კომპლექსები, რომელსაც გააჩნდა საკუთარი „მთა“ და „ბარი“. ქრისტიანობის, როგორც ახალი სოციალური სისტემის იდეოლოგიის გამარჯვების შემდეგ, მთის დასამორჩილებლად, მისი რესურსების საექსპლოატაციოდ, კიდევ უფრო მეტი ენერგიით ამოქმედდა არა მარტო მთელი გეოგრაფიული და მეურნეობრივი ბარი (resp. სახელმწიფო), არამედ, საკუთრივ ამა თუ იმ ხევის თუ შედარებით მომცრო პოლიტიკური ერთეულის კუთვნილი „ბარიც“, როგორც იქ გაბატონებული ფეოდალური სახლის ეკონომიკური ძლიერების უმთავრესი ბაზისი. ეს იყო ერთიანი ზეაღმავალი პროცესი, რომლის შეჩერება, განვითარების ნორმალურ პირობებში, მთას აღარ შეეძლო. ამიტომაც იგი ვახტანგ გორგასლის ზეობის ხანაში ქართლის სამეფოს

კუთვნილი მთის სრული ათვისებით დამთავრდა. ეს ხანა უნდა ჩაითვალოს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ქრისტიანიზაციის საკმაოდ წარმატებულ პირველ საფეხურად. მთის მიმართ ვახტანგ გორგასლის აქტიური პოლიტიკის დასახასიათებლად ქართულ წერილობით წყაროებს არაერთი საყურადღებო ცნობა აქვს შემონახული. სწორედ ამ ცნობებიდან ჩანს, რომ „მეფენი კავკასიისანი“ ვახტანგ მეფის სურვილს არიან დამორჩილებულნი. ამასვე მეტყველებს ხალხური პოეზიის ერთი უნიკალური ნიმუში: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკვა, იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“. სამხედრო, ეკონომიკური და იდეოლოგიური იარაღის მეშვეობით „მოდრეკილი“ მთა V ს-ის მეორე ნახევარში წარმოადგენდა სამეფოს ორგანულ ნაწილს და, რომ არა გართულებული საგარეო ურთიერთობები (იგულისხმება სასანური ირანის აგრესია), ახალი იდეოლოგიით შეიარაღებული ქართლის სამეფო იდგა მძლავრი აღმავლობის გზაზე. ახასიათებს რა, ვახტანგ გორგასლის დროინდელი საქართველოს მდგომარეობას (ვის დროსაც ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოიპოვა სრული დამოუკიდებლობა – ავტოკეფალია), დ. მუსხელიშვილი სწორად შენიშნავს, რომ ახალი ეკონომიკური და სოციალური ვითარების შესაბამისი იდეოლოგიით შეიარაღებული მმართველი არისტოკრატია მეფის მეთაურობით ახორციელებდა ცხოვრებით ნაკარნახევ ისეთ ღონისძიებებს, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ქვეყნის საერთო განვითარებისთვის, მისი კონსოლიდაციისათვის ცალკეულ პროვინციათა თუ მხარეთა ურთიერთშერწყმისათვის, დასავლეთ საქართველოს შემომტკიცებისათვის, აგრეთვე, მთისა და ბარის ეკონომიკურ ურთიერთობათა გაცხოველებისათვის [მუსხელიშვილი 1977: 217]. ამასთანავე, სახელმწიფოს მიერ ქართლის სამეფოს კუთვნილი მთის სრული ათვისება ხელსაყრელ პირობას ქმნიდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის გაღრმავებისათვის, რისი განხორციელებისათვის მარჯვედ შეიძლებოდა გამოყენებულიყო ქრისტიანული იდეოლოგიაც. ეს მომენტი კარგადაა ასახული იმ დიდ ღონისძიებაში, რაც განახორციელა ვახტანგ მეფემ ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობისას, სადაც მის გვერდით იბრძოდნენ ჩრდილოკავკასიელი მთიელებიც.

ამრიგად, იმ რთულმა ეკონომიკურმა, სოციალურმა და კულტურულმა ძვრებმა,

რომელსაც სათავე მიეცა რკინის ფართო ათვისების დროს და რასაც საფუძვლად ედო ბარში მინაზე კერძო საკუთრების თანდათანობითი დამკვიდრება (სათემო საკუთრების რღვევის ხარჯზე), მირიან მეფისა და ვახტანგ გორგასალის ხანაში მიიღო სრულიად ჩამოყალიბებული სახე. სწორედ ამ ათასწლოვანი პროცესის თანმხლები მოვლენა და ლოგიკური შედეგი იყო ახალი სოციალური ურთიერთობების გამარჯვება, ქრისტიანული იდეოლოგიის დამკვიდრება, მთისა და ბარის ახლებლური კომპლექსის ჩამოყალიბება და მთის ჩართვა ფეოდალურ ურთიერთობებში, უფრო სწორად, ფეოდალიზაციის გზაზე შემდგარი ბარის თანდათანობითი გაბატონება მთაზე.

რა თქმა უნდა, მთა თავისი შეზღუდული ეკონომიკური რესურსებით არ იყო და ვერც იქნებოდა მზად დიდი სოციალური ძვრებისათვის. მაგრამ იმ ვითარებაში, როდესაც ჩამოყალიბდა მთისა და ბარის ახლებური კომპლექსები, რომელთაც გააჩნდათ საკუთარი „მთა“ და „ბარი“, და რომლებსაც ფლობდნენ ახალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, მთის (მთური მეურნეობრიობის და ყოფის) წინააღმდეგ, მის დასამორჩილებლად, მისი ბუნებრივი რესურსების საექსპლოატაციოდ, კიდევ უფრო მზარდი ენერგიით ამოქმედდა არა მარტო სახელმწიფო მანქანა, არამედ საკუთრივ ამა თუ იმ ხევის, შედარებით მცირე მასშტაბის – „ქვეყნის“ – კუთვნილი ბარიც, რომელიც წარმოადგენდა იქ გაბატონებული ფეოდალური სახლის ეკონომიკური ძლიერების უმთავრეს ბაზისს. უაღრესად საინტერესოა ის ფაქტი, რომ წერილობითი წყაროების ამ მცირე მონაცემებს მნიშვნელოვნად ამაგრებს ის მდიდარი არქეოლოგიური მასალა, რომელიც მოპოვებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ.

ჟინვალის ჰიდროკომპლექსის მშენებლობის ზონაში და ფშავის არაგვის ხეობის სიღრმეში გათხრილი სამაროვნების (ახალი ჟინვალი, ჟინვალი, ნეძიხი, სათაო, ნიფრანისძირი და სხვ.) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქრისტიანულ რელიგიას ამ მხარეში საკმაოდ მყარად მოუკიდებია ფეხი, რაც მჟღავნდება დაკრძალვის ქრისტიანული წესის სწრაფ და საყოველთაო დამკვიდრებაში. ნათლად ჩანს, თუ IV ს-ში როგორ ბატონდება თანდათანობით დაკრძალვის ქრისტიანული რიტუალი: სამარხთა დამხრობის ახლებური წესი, გამოტილი,

გულზე ხელდაკრევით, თავით მკაცრად დასავლეთისაკენ; უმნიშვნელოდ, მაგრამ როგორ მცირდება ახალგაქრისტიანებულთა სამარხებში ინვენტარი, როგორ ჩნდება ორმოსამარხებიდან ქვისსამარხებზე გადასვლის მიდრეკილება და სხვ. როგორც ჩანს, არაგვის ხეობის ის ნაწილი, რომელიც მოიცავს მთისწინეთს და მთის ქვედა ზონას, იმდენად ექვემდებარებოდა ბარული ცხოვრების წესს და დროის მოთხოვნას, რომ ისინი, სამარხეული კომპლექსების შედგენილობითაც კი, თითქმის არ განსხვავდება ბარის სამაროვნებისაგან. რა თქმა უნდა, დაკრძალვის ახალი რიტუალის შემოღებით, ძველი წესები ერთბაშად არ მისცემია დაიწყებას და IV-V სს-ის ზოგიერთ სამარხში გაშოტილ პოზასთან ერთად გვხვდება გვერდზე მწოლიარე მოხრილი ჩონჩხებიც. ანთროპოლოგთა დაკვირვებით, მოხრილ პოზაში ძირითადად ქალებია დაკრძალული (ლ. ასლანიშვილი).

ქრისტიანული რელიგიის საყოველთაო გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთში და მთაში ჩანს არა მარტო დაკრძალვის რიტუალის ქრისტიანიზაციაში, არამედ საეკლესიო მშენებლობის დამკვიდრებაშიც. ეკლესიების მშენებლობა ბარში საკმაოდ აქტიურად გაჩაღდა უკვე IV ს-ში. ეს პროცესი უფრო ინტენსიურად წარიმართა V ს-ში. IV-V სს-ში აშენდა ისეთი მონუმენტური ძეგლები, როგორცაა სვეტიცხოვლის ბაზილიკა, ბოლნისის სიონი, ნილკნის ეკლესია, კანარეთის სამება, მანგლისის კათედრალი, კახეთის ცხრაკარა, ერელაანთ საყდარი და სხვა მრავალი. ეკლესიების გვერდით, რისი მშენებლობაც მოითხოვდა დიდი ეკონომიკურ და ფიზიკურ ძალისხმევას, ქართლის სამეფოში დამკვიდრდა ქვაჯვართა აღმართვის პრაქტიკაც, რისი საუკეთესო მაგალითია არაგვის ხეობაში დავათის სტელები. ეს ქვაჯვარები მაშინ ეკლესიების მაგივრობასაც ეწოდნენ და მათი აღმართვით შედარებით ადვილდებოდა იმ წარმართული ხატ-სალოცავების „დაპყრობა“, რომლებიც, როგორც ჩანს, საკმაოდ მრავლად იყომთასათუბარში. ეკლესიების რიცხვი არაგვის ხეობაში შედარებით მოკრძალებულია თუნდაც იმის გამო, რომ ბევრ მათგანს ჩვენამდე აღარ მოუღწევია. მაგრამ ის, რაც არის (მაგ. ნეძიხის და ბაღიანების ორნავიანი ბაზილიკები, მზენვერის წმინდა გიორგი და სხვ.), ნათლად მიუთითებს, რომ ამ ხეობაში ქრისტიანობის დამკვიდრების პირველ საფეხურზე უცხო არ იყო ეკლესიების მშენებლობის პრაქტიკა. ეკლესიათა ცალკე-

ული ქრონოლოგიური ჯგუფების დათარიღებაზე და კლასიფიკაციაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ეს საკითხი საკმაოდ კარგადაა შესწავლილი არქეოლოგებისა და ხელოვნებათმცოდნეების მიერ [წერეთელი 1999; რჩეულიშვილი, წერეთელი 2003: 30-32].

ქრისტიანული რელიგიის გავრცელება და განმტკიცება მთაში, ბუნებრივია, მიმდინარეობდა წარმართულ სარწმუნოებასთან ულმობელ ჭიდილში. მირიან მეფის დროს დაღწილი კერპები, რა თქმა უნდა სრულიადაც არ ნიშნავდა წარმართული რწმენა-წარმოდგენების ერთბაშად მოსპობას. ამ ჭიდილში, ეკლესიების დაარსებას და დაცვას არაგვის ხეობაში (ისევე, როგორც სხვა ხეობებში), ემსახურებოდა სახელმწიფო სათანადო ციხე-სიმაგრეებით, რომლებიც სახელმწიფო ხარჯზე შენდებოდა და უზრუნველყოფდა მათ შედარებით უსაფრთხო არსებობას. ეს საქმიანობა განსაკუთრებით ინტენსიური ჩანს სამეფო დომენის ფარგლებში, რასაც ყველა ნიშნით განეკუთვნებოდა არაგვის ხეობის დიდი ნაწილი. ალბათ ამიტაც უნდა აიხსნას ის თამამი ნაბიჯები, რომელიც გადადგა მირიან მეფის ხელისუფლებამ, როდესაც მცხეთის შემდეგ წმინდა ნინოსთან ერთად თავისი ძალისხმევა სწორედ არაგვის ხეობისაკენ წარმართა.

საქართველოს ეკლესიის მიერ ვახტანგ მეფის ზეობაში ავტოკეფალიის მოპოვებამ უზარმაზარი წინაპირობა შექმნა ქრისტიანობის მთისწინეთში და მთაში უფრო მყარად დასამკვიდრებლად, მაგრამ ეს აღმავალი პროცესი შეაჩერა ირანის აგრესიამ, როდესაც ბიზანტიის იმპერიასთან ჭიდილში, V ს-ის ბოლოს მათ სასტიკად ააოხრეს ქართლის სამეფო და რამდენადმე მოგვიანებით კი ქართლში გააუქმეს სამეფო ხელისუფლება. ყველა ნიშნით VI ს-ის პირველი ნახევარი და შუა ხანები, ქართლის სამეფოსათვის იყო ერთგვარი შავბნელი ხანა, რითაც ქვეყანაში (ასევე მთაში) საგრძნობლად შესუსტდა ქრისტიანობის გავრცელების პირველი საფეხური. უნდა ვივარაუდოთ, რომ არაგვის ხეობის საუღელტეხილო გზებით დაინტერესებული სპარსეთი განსაკუთრებით დიდ ზიანს მიაყენებდა არაგვის აუზს და იქ გარკვეული დროით შეფერხდებოდა არა მარტო ახალი ეკლესიების მშენებლობა, არამედ არც ძველ ეკლესიებს დაადგებოდათ კარგი დღე. ამ ბრძოლაში შესაძლოა წინაქრისტიანული ხანის კულტმსახურებს ისევ თავი აეშვათ და ეკლესიასთან ბრძოლაში სპარსელთა უნებ-

ლიე მოკავშირის როლი შეესრულებინათ. ასეთ ვითარებაში, რის ვაივაგლახით და უდიდესი ძალისხმევით გავრცელებული ახალი რელიგია მთელ რიგ რაიონებში, და განსაკუთრებით მთაში, ხელახლა აღსადგენი გამხდარა. ეს მისია VI ს-ის მეორე ნახევარში იკისრა ახალმა ხელისუფლებამ, რომელიც ერისმთავართა ინსტიტუტის სახელითაა ცნობილი. ფეოდალური არისტოკრატის მიერ ქვეყნის მმართველებად ერისმთავრების აღიარებამ კვლავ გამოაცოცხლა ეროვნული ძალები, რომლებმაც ქვეყნის ალორძინებასთან ერთად უდიდესი ყურადღება მიაქციეს საეკლესიო მშენებლობას. მართალია, მშვიდობიანი განვითარების ხანა VI ს-ის მეორე ნახევარში რომ დამყარდა საქართველოში ძალზე ხანმოკლე იყო, მაგრამ ისიც კი საკმარისი აღმოჩნდა ეროვნული ენერჯის ახალი ძალით გამოსავლენად. ფეოდალთა წრიდან გამოსული ერისმთავრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ქვეყანაში ქრისტიანული რწმენის განმტკიცებას, საეკლესიო მშენებლობას და სამეფო ხელისუფლების გაძლიერების საქმეს. ჩვენი ვარაუდით, ეს პროცესი შეეხო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსაც, რაზედაც მიუთითებს არაერთი ეკლესიის აგების ფაქტი საარაგვოში. იმ დროს, როდესაც მცხეთაში აღიმართა ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების შედეგრი – ჯვრის ტაძარი, არაგვის აუზში აგებული ჩანს დავათის ეკლესია, თვალის ტაძარი, კუდოს ეკლესია და სხვ. VII ს-ში კავკასიის არენაზე ახალი დამპყრობელი – არაბთა ხალიფატი რომ არ გამოჩენილიყო, სპარსელების მიერ მიყენებულ ზარალს ქართლის სამეფო მალე აღიდგენდა, მაგრამ ავმა ბედისწერამ ჩვენ ქვეყანას წელში გამართვის საშუალება ბოლომდე არ არგუნა. არაბთა ბატონობის ხანაში დასრულდა მთის ქრისტიანიზაციის პირველი ფაზა. ქართული ქრისტიანული სამყარო კიდევ უფრო მძიმე და ხანგრძლივი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა, რამაც მთიანეთის დექრისტიანიზაცია იმ ზომამდე მიიყვანა, რომ სომხურ ისტორიულ წყაროებში, აღმოსავლეთ საქართველოს კუთვნილი მთიანეთის ნათლისღების თარიღად მიჩნეულია IX ს. ეს ხანა, რომელიც ადრეული შუასაუკუნეების დასასრულს და განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების პირველ პერიოდს (IX-X სს.) ასახავს, შეიძლება ჩაითვალოს აღმოსავლეთ საქართველოს მთის ქრისტიანიზაციის მომდევნო – მეორე საფეხურის დასაწყისად, როდესაც წანარების კახეთის ბარ-

ში გაბატონების შემდეგ, არაბებთან ბრძოლის სათავეში კახეთის სამთავრო მოექცა. მიუხედავად არაბთა არაერთი დამსჯელი შემოსევისა IX-X სს-ში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცების ახალი ეტაპი. ამის მატერიალური საბუთია ადრე შუასაუკუნეების ბოლოთი და IX ს-ით დათარიღებულ სამაროვნებზე მოპოვებული ნივთიერი მასალა და ეკლესიათა მთელი ჯგუფი, რომლებიც ფაქტიურად მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის მთელ მთას. ესენია: გუდრუხის, თვალივის, კართანას, ავენისის, ანატორის, ტყობა-ერდის ღვთისმშობლის სახელობის, სიონის (ხევში) და სხვ. ეკლესიები, რომელთა დიდი ნაწილი IX ს-ით, ან IX-X სს-ით თარიღდება [წერეთელი 1996: 45-47].

დაახლოებით ამ პერიოდის სამაროვანზე, რომელიც შესწავლილია კართანაში (მაღაროსკარის ზემოთ), VII-VIII სს-ით დათარიღებულ სამარხებში აქა-იქ კვლავ თავს იჩენს დაკრძალვის წინაქრისტიანული პოზა, რაც ძველი რწმენა-წარმოდგენების ერთგვარი რესტავრაციის შედეგად კვლავ უნდა აღდგენილიყო ფშავის არაგვის ხეობაში (და ალბათ, საარაგვოს მთელ მთიანეთში).

IX ს-დან საქართველოში ქრისტიანული კულტმსახურების განმტკიცების და შემდგომი განვითარების საქმეში იწყება სრულიად განსხვავებული ახალი ხანა, როდესაც დასავლეთ საქართველოს ეკლესია გაუერთიანდა აღმოსავლეთისას და შევიდა მცხეთის იურისდიქციაში [დრიასამიძე 2001: 220-232]. ეს ხანა მართლაც რომ განსაკუთრებული იყო მთელი საქართველოს მთიანეთისთვისაც (იგულისხმება მთიანი აფხაზეთი, სვანეთი, მთიანი რაჭა, ლიახვის სათავეები, არაგვის ხეობების მთა და თუშეთი). X ს-ში საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესში მჭიდროდ აღმოჩნდა ჩართული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიც. ამ მხარეში ჯერ კახეთის სამთავროს, ხოლო ოდნავ მოგვიანებით, გაერთიანებული საქართველოს ძალისხმევით საეკლესიო მშენებლობამ, როგორც უკვე მივუთითეთ, კიდევ უფრო ფართო ხასიათი შეიძინა. კვლავ განახლდა ის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავდა ეკლესიების, ან ქრისტიანული ნიშების აგება-დაფუძნებას. ამ დროისათვის სახელმწიფოს, როგორც ჩანს, უკვე გააჩნდა ასეთი ძვირადღირებული სამუშაოების დაფინანსების შესაძლებლობა. აღმოსავლეთ საქართველოს

მთიანეთის საფუძვლიანი ქრისტიანიზაციის ამ მეორე ეტაპზე სხვებს შორის მკვეთრად გამოიკვეთა ორი პრობლემა: მაღალმთიანეთიდან ალპური საძოვრების ზონამდე, ყოფილი წარმართული ხატ-სალოცავების ადგილას – ახალ ეკლესიათა და ეკლესიის მსახურთათვის საჭირო საცხოვრებლების მშენებლობა, რაც უპრეცედენტო იყო თავისი მასშტაბებითა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა გაქრისტიანებისათვის. საკმაოდ ფართომასშტაბიანი და წარმატებული ღონისძიების განხორციელება, – ეს უკანასკნელი პროცესი პასუხობდა გაძლიერებული ბიზანტიის ინტერესებსაც. ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში ამჯერად გადამწყვეტ როლს (რა თქმა უნდა, სახელმწიფოსთან ერთად) ასრულებდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი. აქ წამოჭრილ პირველ პრობლემასთან დაკავშირებით სამეფო ხელისუფლების ძირითადი მიზანი იყო მომავალში არ დაეტოვებინა „დაუპყრობელი“ არც ერთი ის ადგილი, სადაც მომავალში შესაძლებელი იქნებოდა წარმართული სამლოცველოების რესტავრირება. ეს მოვლენა კარგად აქვს შემჩნეული ვახუშტი ბაგრატიონს, რომლის სიტყვით: „კვალად არიან გორა-მთათა ზედა შენნი ეკლესია-საყდარნი (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი – რ.რ.), სადაც ძნიად ხვდებიან კაცნი, თვინიერ დღესასწაულთა მათთა, ამისთვის რამეთუ, ვინაითგან კერპობასა შინა მათ მთა-გორათა ზედა იყუნენ კერპნი აღმართებულნი, და დღესასწაულობდნენ მუნ სოლოდობითა და ქრისტიანობასა შინა შემუსრნეს კერპნი, არამედ კუალად არა დასცხრნენ მუნვე განცხრომასა სიმთვრალითა, სილოდითა და როკვითა, აღაშენეს მათ ზედა მუნ ეკლესიანი, რათა თავყვანისცენ ამათ და არა მოიხსენონ კერპნი სოლოდა-განცხობითა“ [ვახუშტი ბატონიშვილი 1941: 143].

არქეოლოგიურმა დაზვერვებმა, რომელიც განხორციელდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ალპურ ზონაში [ნიკლაური 2001: 88-92] და რომელიც მიზნად ისახავდა იქ შემჩნეული ხუროთმოძღვრული ძეგლების აღრიცხვა-შესწავლას, გვიჩვენა, რომ მაღალმთიანი ზონის ამ უჩვეულო „ნამოსახლარებზე“ სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთებს შორის შეიმჩნევა ეკლესიათა ნანგრევებიც. ეს ინფორმაცია სავსებით შეესაბამება წერილობით წყაროში შემონახულ ზემოხსენებულ ცნობას. ამ

ნაგებობათა ვიზუალურმა კვლევამ და ანაკრეფი მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ალპური ზონის ნაგებობათა ნაშთების დიდი უმრავლესობა თარიღდება განვითარებული შუასაუკუნეებით (XI-XIII სს.), პერიოდით, როდესაც საქართველომ მიაღწია თავისი ძლიერების მწვერვალს.

გამორიცხული არ არის, რომ თავისი ძლიერების ზენიტში მყოფი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ფხოველთა ცნობილი აჯანყების ერთ-ერთი მიზეზი მაღალმთიან ზონაში არსებულ ტრადიციულ ხატ-სალოცავებზე ეკლესიის მეშვეობით ტოტალური კონტროლის დაწესებაც ყოფილიყო.

მონღოლთა მრისხანე ურდოების შემოსევების შემდეგ, რამაც XIII ს-ში გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქვეყნის ძლიერებას და დიდი საფრთხე შეუქმნა მის მთლიანობას, მთაზე და განსაკუთრებით მაღალმთიანეთზე სახელმწიფოს გავლენა სწრაფად იწყებს შესუსტებას. მონღოლთა ბატონობის პირველი ტალღის შესუსტებისა და გადავლის შემდეგ ენერგიულმა მეფემ გიორგი ბრწყინვალემ ნაწილობრივ შესძლო „ანყვეტილი“ მთის შეკავება, მაგრამ მისი „ძეგლისდება“ უკვე კომპრომისია და ბარის ანუ სახელმწიფოს მარცხის აღიარებაა მთის მიმართ. მთამ შეძლო მოეპოვებინა საკუთარი სამართალი, რაც ცენტრალური ხელისუფლების უძღურების პირველი ნიშანი იყო. ამიტომაც, XIV ს-ის ბოლოს, როდესაც ახალმონღოლური იმპერიის ლაშქარმა თემურლენგის ხელმძღვანელობით გააპარტახა საქართველო და მოშალა ცენტრალური ხელისუფლება, მთამ მაშინვე არათუ მთლიანად „აინყვიტა“, არამედ ძალა მოიცა და აქეთ შემოუტია დასუსტებულ ბარს. სვანების, ოსების და ფხოველების ჩამონოლა და ქუთაისის, გორის და ჟინვალის აღება-აოხრებანი ბარის დიდი მარცხის საბოლოო შედეგი იყო. ასეთ ვითარებაში თანდათანობით დაცარიელდა და ადმინისტრაციული ფუნქცია დაკარგა მთაში არსებულმა ციხე-სიმაგრეებმა (სიმაგრეულა, ყელყვითელა, ფიტავის, ქაჩუსა და ციხისძირის ციხეები და სხვ.). განიდევნა, ან განადგურდა მთის მრავალრიცხოვან ეკლესიებში მსხდომი ღვთისმსახურები. ხოლო თვით ეკლესიების უმრავლესობა, განსაკუთრებით ფხოველში, თანდათანობით დაცარიელდა და უპატრონობით დაზიანდა. ბარის (იგივე, სახელმწიფოს) ამ მარცხს და მთაში საეკლესიო სამსახურის თანდათანობით მოშლას, როგორც წესი, თან სდევდა წარმართული ყო-

ფიდან შემორჩენილი, მაგრამ ქრისტიანული წესებით საფუძვლიანად სახეშეცვლილი რწმენა-ჩვეულებათა აღორძინება [კიკნაძე 1988: 239-248]. ასეთ ვითარებაში თანდათანობით აღდგა მმართველობის ძველი ინსტიტუტები, განსაკუთრებით ისტორიულ ფხოველში, სადაც ხალხის წრიდან გამოსული ხევისბერები ითავსებდნენ როგორც საერო, ისე სასულიერო მმართველობის ფუნქციებს. ამ ვითარებაში გახშირდა ეკლესიების და მისი შემოგარენის კვრივებად გამოცხადების წესი, რის მიხედვითაც შიგ შეღწევა მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა. ერთი ხანდაზმული ხევისურის ცნობით, ანატორის ეკლესიის გარშემო კვრივად გამოცხადებულ ტერიტორიაზე თუ დაჭრილი ირემი შეასწრებდა, მონადირე ვერ ბედავდა ტაბუირებულ ტერიტორიაზე თან შეჰყოლოდა ნანადირევს.

ერეკლე მეფის ერთგვარი მიბრუნება მთისაკენ, როგორც ჩანს, სრულიადაც არ ისახავდა მიზნად იქ მტკიცე სამეფო ხელისუფლების დამყარებას და ქრისტიანული კერების აღდგენას. ქართლ-კახეთის მეფე კმაყოფილდებოდა იმ მხედრობით, რასაც მთა აწვდიდა სამეფო კარს გაუთავებელი ომიანობის დროს.

ამრიგად, მთაში ქრისტიანობის შეურყევლად დამკვიდრების მეორე ეტაპი, მიუხედავად ხანგრძლივი მცდელობისა, ამჯერადაც მარცხით დასრულდა.

ამ მიმართულებით წარმატება არც მთის მოსახლეობის ქრისტიანიზაციის მესამე ციკლს მოჰყოლია. რუსეთის იმპერიამ, საქართველოს ანექსიის შემდეგ, მოინდომამთაში ქრისტიანობის აღდგენა. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობის აღმდგენმა კომისიამ არაერთი ეკლესია ააგო მთიანი ზონის სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის ფშავის არაგვის ხეობაშიც, ამ საკმაოდ ძვირადღირებულ ღონისძიებასაც არ ჰქონია რაიმე ხელშესახები შედეგები. ვერც ტოტალიტარულ ხელისუფლებასთან შეწყვილებულმა რუსულმა ეკლესიამ შეძლო მთის მოსახლეობის შემობრუნება ქრისტიანული რელიგიისაკენ და მათ მიერ აგებული ეკლესიების დიდი ნაწილი უმოქმედობისათვის იყო განწირული, ამას დაერთო ისიც, რომ რუსეთში კომუნისტური იმპერიის ჩამოყალიბების შემდეგ დაიწყო ანტი-ქრისტიანული ისტერია, რის შედეგადაც არა მარტო მთაში, არამედ ბარშიც მინასთან იქნა გასწორებული ქრისტიანული ცენტრები – აფეთქებულ იქნა ეკლესიები და განადგურდა

უმდიდრესი საეკლესიო ფასეულობები. საბჭოთა ხელისუფლებამ მთაზე „ბატონობის“ მარტივი გზა აირჩია, დაინყო მთის მეთოდური დაცლა ძირძველი მოსახლეობისაგან და მათი ბარში ჩასახლება. 70-წლიანმა ამ უგუნურმა მცდელობამ მთის ცალკეული ეთნოგრაფიული კუთხეები თითქმის მთლიანად მოშალა.

დღეისათვის, როდესაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია აღდგა და თანდათანობით ძლიერდება, ვიმედოვნებთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში აქა-იქ დარჩენილ მკვიდრ მოსახლეობას დროულად მიექცევა სათანადო ყურადღება. უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს მთიანეთში მცხოვრებ ფშავ-ხევსურებს, მთიულეთ-გუდამაყრელებს, მოხვევებს, დვალეებს, რაჭა-ლეჩხუმელებს და სვანებს უდიდესი როლი მიუძღვით ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთსაზღვრების დაცვაში. ამასთან, მტრების ხშირი შემოსევების ყამს მთა იყო არა მარტო ბარიდან ლტოლვილი მოსახლეობის საიმედო თავშესაფარი, არამედ სამეფო ხაზინისა და საეკლესიო სინძინდების გადასარჩენად შედარებით საიმედოდ დაცული ადგილი. დღეისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს უკიდურესად უჭირს. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ და ქართულმა ეკლესიამ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა არა მარტო შეჩერდეს მთის დაცლის პროცესი, არამედ შემუშავდეს ისეთი ერთობლივი ღონისძიებების პროექტი, რაც უზრუნველყოფს ბარში იძულებით ჩასახლებულ, ან ამ ბოლო დროს ეკონომიკური სიდუხჭირით მთიდან ბარში ლტოლვილი მოსახლეობის (ნაწილის მაინც) მთაში მიბრუნებას. ამისათვის საჭიროა: ერთი მხრივ, გონივრული ეკონომიკური პროგრამის შემუშავება, ხოლო მეორე მხრივ, მთაში და განსაკუთრებით მაღალმთიანეთში ზოგიერთი ძველი ნაეკლესიარის აღდგენა, საჭიროების შემთხვევაში კი ახლის აშენება. ეს ღონისძიება, რაც უნდა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე გამართლებული იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1. ბაქრაძე ირ. 1975:** არაგვისპირის ნამოსახლარი. – რ. რამიშვილი (რედ.), ჟე (I სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები), თბილისი, 25-27.
- 2. გვასალია ჯ. 1972:** „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ნობენის ლოკალიზაციისათვის. – სმამ, 66, № 3, 25-27.
- 3. დიასამიძე ბ. 2001:** ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X საუკუნეები). ბათუმი.
- 4. ვახუშტი ბატონიშვილი 1941:** აღწერა სამეფოსა საქართველოსა (თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით). თბილისი.
- 5. კალანდაძე ზ. 1996:** არქეოლოგიური კვლევა-ძიება მთიულეთის არაგვის ხეობაში. – სამეცნიერო სესია მიძღვნილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დაარსების 25 წლისთავისადმი, 38-41. თბილისი.
- 6. კალანდაძე ზ. 2003:** ფიტავის სამაროვანი. – ჟაე, III სამეცნიერო სესიის მასალები, 25-26. თბილისი.
- 7. კიკნაძე ზ. 1988:** „წარმართობა თუ ქრისტიანობა?“ – მნათობი, №4, 239-248.
- 8. მინდორაშვილი დ. 2005:** არქეოლოგიური გათხრები ხევში. თბილისი.
- 9. მუსხელიშვილი დ. 1977:** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბილისი.
- 10. მუხიგული ნ. 1982, 1983:** წიფრანისძირის სამაროვანი. საველე მუშაობის ანგარიშები. ინახება დუშეთის არქეოლოგიური ბაზის არქივში.
- 11. პატარიძე ლ. 2000:** „ქართლის გაქრისტიანების დროისა და ისტორიული ვითარების შესახებ“. – ქასკ, IV კონფერენცია, მიძღვნილი იესო ქრისტეს დაბადების 2000 წლისთავისადმი (მოხსენებათა მოკლე შინაარსები). 64-65. თბილისი.
- 12. რამიშვილი რ. 1981:** არაგვისპირის სამაროვანი (1974-1975 წწ. მასალების მიხედვით). – ჟე, (მეორე სამეცნიერო სესიის მასალები), 22-24. თბილისი.
- 13. რამიშვილი რ. 1981ა:** მთისა და ბარის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი არაგვის ხეობის არქეოლოგიური მასალების მიხედვით. – ჟე, (მეორე სამეცნიერო სესიის მასალები), 98-154. თბილისი.
- 14. რამიშვილი რ. 1983:** ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ. განათხარის მიხედვით. – ჟინვალი I, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, 81-130. თბილისი.
- 15. რამიშვილი რ. 2008:** არქეოლოგიური კვლევა-ძიება დავათში. – აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, V. თბილისი.
- 16. რობაქიძე ც. 1985:** არაგვისპირის სამაროვნის სამკაულები (ბეჭდები). – აძ (ახალგაზრდა მკვლევართა IV და V სამეცნიერო სესიის მასალები), 87-93. თბილისი.
- 17. რობაქიძე ც. 1990:** ნეძიხის სამაროვანზე მოპოვებული მცირე პლასტიკის ნიმუშები. – ძმ, № 1, 67-71.
- 18. რობაქიძე ც. 2003:** კვლევა-ძიება არაგვისპირის სამაროვანზე. – ჟაე, III სამეცნიერო სესიის მასალები, 23-25. თბილისი.
- 19. რჩეულიშვილი გ. 1990:** ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- 20. რჩეულიშვილი გ. 1999:** ქრისტიანობა შუასაუკუნეების ფხოვში. – ქრისტიანული არქეოლოგიის III სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა მოკლე შინაარსები, 21-22. თბილისი.
- 21. რჩეულიშვილი გ., რობაქიძე ც., ჩიხლაძე ვ. 1996:** დაკრძალვის ქრისტიანული რიტუალის გავრცელების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არაგვის ხეობის მასალების მიხედვით. – ადრეული ქრისტიანობა და საქართველო. ადრექრისტიანული არქეოლოგიის II კონფერენცია მიძღვნილი აკად. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავისადმი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები, 20. თბილისი.
- 22. რჩეულიშვილი გ., წერეთელი კ. 2003:** ბზიანას არქიტექტურული კომპლექსი სოფ. ნეძიხში. – ჟაე, III სამეცნიერო სესიის მასალების კრებული, 30-32. თბილისი.

23. **ქართლის ცხოვრება 1942:** ანა დედოფლისეული ნუსხა. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი.
24. **ლლონტი მ. 1996:** მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელებისათვის არაგვის აუზში. – სამეცნიერო სესია მიძღვნილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დაარსების 25 წლისათვისადმი, 15-18. თბილისი.
25. **ჩიქოვანი გ. 1996:** არაგვის აუზი ადრესამინათმოქმედო კულტურის ხანაში. – სამეცნიერო სესია მიძღვნილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დაარსების 25 წლისათვისადმი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები, 11-14. თბილისი.
26. **ჩიხლაძე ვ. 1999:** არაგვის ხეობა ძვ.წ. პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში (ჟინვალის სამაროვანის მასალების მიხედვით). საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი.
27. **ჩიხლაძე ვ., კაველიშვილი ე. 1999:** ჟინვალის ღვთისმშობელი. – ქრისტიანული არქეოლოგიის III სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა მოკლე შინაარსები, 22-24. თბილისი.
28. **ჩიხლაძე ვ., კაველიშვილი ე. 2001:** ჟინვალის ბეჭედი ქრისტეს შობის სცენით. – ქრისტიანული არქეოლოგიის V კონფერენცია (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), 80-84. თბილისი.
29. **წერეთელი კ. 1996:** არაგვის ხეობის ქრისტიანული ხუროთმოძღვრება. – სამეცნიერო სესია მიძღვნილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დაარსების 25 წლისათვისადმი, 45-47. თბილისი.
30. **წერეთელი კ. 1999:** ისტორიული ფხოვისა და მისი მთისწინეთის ქრისტიანული ძეგლები. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი.
31. **წითლანაძე ლ., კახიძე ა., შატბერაშვილი ბ. 1998:** გიგინასათიბის სამაროვანი (დარიალის ხეობა). – ფსაძ, ტ. VI, 70-80.
32. **ნიკლაური ივ. 1993:** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გზები და კავშირთიერთობები ჩრდილოეთ კავკასიასთან. – სამეცნიერო სესია „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“, 51-52. თბილისი.
33. **ნიკლაური ივ. 2001:** ეკლესია-მონასტრები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. – ქრისტიანული არქეოლოგიის V კონფერენცია (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), 88-92. თბილისი.
34. **ნიკლაური ივ. 2003:** ახალი ჟინვალის I სამაროვანზე წარმოებული კვლევის შედეგები. – ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის III სამეცნიერო სესიის მასალები, 27-28. თბილისი.
35. **ჯორბენაძე ბ. 1994:** სოფ. გუდრუხის ხუროთმოძღვრულ-არქეოლოგიური ძეგლები. – რდი, I სამეცნიერო სესია, მოხსენებითი თეზისები, 39. თბილისი.
36. **ჯორბენაძე ბ. 1995:** ადრე შუასაუკუნეების სამაროვნები არაგვის ხეობაში. – რდი, II რესპუბლიკური სამეცნიერო სესია, მოხსენებითი თეზისები, 22-23. თბილისი.
37. **Робакидзе Ц. В. 1995:** Исследования на Недзихском могильнике – ПАИ, 1987, 124-125. Тбилиси.

SOME PECULIARITIES OF THE SPREADING OF CHRISTIANITY IN
HIGHLANDS AND FOOTHILLS OF EAST GEORGIA

Summary

According to the archaeological data and written sources the spreading of Christianity in highlands and foothills of Eastern Georgia was a step by step process and was facing the great resistance of local population. Using the different methods including increasing tribute and sometimes “*using the sword*” the royal government was more or less successful in the spreading of Christianity in highlands of Eastern Georgia.

After the adoption of Christianity as the official religion of Kartli in 326 king Mirian first of all focused his attention to the highlands of Eastern Georgia. On the basis of new State religion he aimed to strengthen the royal power in this region, which had the strategic importance. St. Nino was sent to the highlands to convert local population to Christianity. The king sent also *Eristavi* with the army, which had to be used in case of the pagan’s resistance. The written sources tell that the part of highlanders were converted to the Christianity using the military force and others left their homes and fled to Tusheti. The disobedient were punished by rising of tribute.

After this forced action the new stage of the relations between the highlands and lowland of Georgia began and lasted until the end of the 5th c AD. The highlands of East Georgia became more closely connected to the other parts of the kingdom. This period can be considered as the first and successful stage of Christianization of Georgian highland. This process was stopped by the Iranian aggression in the end of the 5th c AD. During the war against the Byzantine Empire in the 5th century the Sassanid Iran devastated the kingdom and later abolished the Royal government of Kartli. In these conditions the Christian religion lost its positions in mountainous Kartli. The mission of restoring of Christianity as the official religion in highlands from the mid 6th century was taken by new government of Kartli – known as the institute of “*Erismtavari*”.

In the 7th century Arab Caliphate conquered Georgia. During the domination of the Caliphate the first phase of the Christianization of Georgian highlands was finished.

In spite of fact that Arabs several times invaded Georgia in 9th-10th centuries, the second stage of Christianization of the highlands of East Georgia began from the 9th century.

The invasions of Mongols during the 13th century irreparably damaged the strength of the country and undermined its territorial integrity. In such circumstances, in the historical province of *Phkovi* (the part of highlands of East Georgia) the ancient institutes of governance gradually rose, where the *Khevisberis* – persons raised from ordinary people were ruling the region as secular and religious leaders. So, despite the long term efforts the second stage of spreading of Christianity in highlands of East Georgia failed again.

During the third stage of the process, after the annexing of Georgia the Russian Empire tried to recover Christianity in the highlands. The commission of recovering of Christianity built churches in the mountainous zone, but these efforts had no tangible results. The Russian church was not able to turn the local population to the Christianity and the majority of newly built churches were doomed for omission.

რამინ რამიშვილი – საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიის გამორჩენილი მკვლევარი

(1928-2012)



ეს მცირე წერილი სურვილია კიდევ ერთხელ გამოვხატო მადლიერების გრძნობა პიროვნებისადმი, ვინც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შუასაუკუნეების ხანის ქართული არქეოლოგიის წინსვლასა და განვითარებას მიუძღვნა. ძნელია წარსულ დროში საუბრობდე ისეთ ღვანღმოსილ ადამიანზე, როგორც ბატონი რამინ რამიშვილი იყო. კეთილი, თბილი, მოკრძალებული, ყურადღებიანი; გაჭირვების ჟამს გვერდზე მდგომი; მიმტვევებელი; სხვისი წარმატების მოხარული და დამფასებელი; თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული და საქმის უზადო მცოდნე; თავისი მასწავლებლების მადლიერი და ახალგაზრდა კოლეგების ქომაგი და დამხმარე.

დაიბადა თბილისში, 1928 წლის 2 ივლისს ცნობილი მეცნიერის აკად. მაქსიმე რამიშვილის ოჯახში. 1947 წ. ვერცხლის მედალზე დაამთავრა მე-9 საშუალო სკოლა, 1952 წ. კი თბილისის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და იმავე წელს გახდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების ასპირანტი. 1957 წლიდან ის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელია.

ბ-მა რამინმა 62 წელი შეაღია საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური

ძეგლების კვლევა-ძიებას და თავისი მრავალწლიანი შრომით ბევრი ახალი ფურცელი შემატა საკუთარი ქვეყნის ისტორიას. ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტმა 1950 წ. პირველად მიიღო მონაწილეობა უჯარმის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რომელსაც ბ-ნი გიორგი ლომთათიძე ხელმძღვანელობდა. არ გამოპარვია ექსპედიციის ხელმძღვანელს ახალგაზრდის ნიჭი და შრომისმოყვარეობა. გ. ლომთათიძის 1952 წ. საველე დღიურის 5 ივლისის ჩანაწერში ვკითხულობთ: „რამინ რამიშვილი ისევ „თავის“ კოშკს მოუვლის, რომლის თხრა 1950 წელს დაიწყო, და, მისი ამბავი რომ ვიცი, ჯანს გააგებინებს“. ასეთი საოცარი შემართებითა და ენერგიით ემსახურებოდა ბ-ნი რამინი საყვარელ საქმეს სიცოცხლის ბოლომდე. უჯარმის ექსპედიციას მოჰყვა: მცხეთა, ქვემო ქართლი, ენგურის ხეობა, ბიჭვინთა, იყალთო, მატანი, კვეტერა, ივრის ხეობა; ბოლოს კი არაგვის ხეობა. ის საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 60-ზე მეტ ექსპედიციაში მონაწილეობდა. მათგან 20-ზე მეტს თვითონ ხელმძღვანელობდა. 1960 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „ქართლის სამეფო ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში.“ დისერტაციას საფუძვლად ედო კამარახევში მისი მონაწილეობით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. 1962 წლიდან ის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია. 1984 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „ქართლის სამეფო ახ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში“. 1984-2003 წწ. ხელმძღვანელობდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შუასაუკუნეთა ხანის განყოფილებას.

ბ-მა რამინმა უზარმაზარი წვლილი შეიტანა საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების კვლევა-ძიების საქმეში. ის ავტორია 150-ზე მეტი ნაშრომისა. მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიის, სადაც სრულიად ახლებურადაა დასმული და გადაჭრილი იმ პერიოდის საქართველოს არქეოლოგიის მნიშვნელოვანი პრობლემები. ამ მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური გამოკვლევები: ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები (1970); ერნოს ველი გვიანარმაზულ ხანაში (1979);

მთისა და ბარის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი არაგვის ხეობის არქეოლოგიური მასალების მიხედვით (1981); ნაქალაქარი ჟინვალი (1982); ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ. განათხარის მიხედვით (1983); ზოგიერთი მოსაზრება საქართველოში ფეოდალიზმის გენეზისის შესახებ (1989); არქეოლოგიური კვლევა-ძიება დავათში (2008) და არაერთი სხვა გამოკვლევა, რომელთაც გვერდს ვერ აუვლის შუასაუკუნეების არქეოლოგიის ვერც ერთი მკვლევარი. ბ-ნი რამინი მონაწილეობდა არაერთ საერთაშორისო ფორუმში. მისი თაოსნობით რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია მოეწყო დუშეთის (მილახვრიანთ კარის) არქეოლოგიურ ბაზაზე. კონფერენციების ძირითად თემა იყო მთისა და ბარის ურთიერთობა საქართველოს, კავკასიისა თუ ევრაზიის მასშტაბებით. ბ-ნი რამინის რედაქტორობით დაიბეჭდა რამდენიმე მონოგრაფია, კრებული და პერიოდული გამოცემა. მათ შორისაა ისეთი მნიშვნელოვანი გამოცემები, როგორცაა: „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, „ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები“, „ჟინვალის ექსპედიციის სამეცნიერო სესიის მასალები“, „არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში“, „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ძეგლები“, „ქრისტიანული არქეოლოგიის კონფერენციის მასალები“. ამ პერიოდულ გამოცემათა შორის ცალკე უნდა აღინიშნოს „არქეოლოგიური ძიებანი“, რომელიც ასევე ბ-ნი რამინის ინიციატივით დაარსდა და წარმოადგენდა ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო სესიის მასალების პუბლიკაციას 5 წიგნად. ეს იყო ბ-ნი რამინის მხრიდან ახალგაზრდა მეცნიერთათვის დიდი მხარდაჭერისა და თანადგომის გამოხატულება. ის ყოველთვის ხელს უწყობდა შრომისმოყვარე და ნიჭიერ ახალგაზრდებს გამოეველინა საკუთარი შესაძლებლობები და ამ მხრივ მათ ყველანაირად ახალისებდა. ამ კრებულებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ახალგაზრდა არქეოლოგების შემდგომში პროფესიონალ მკვლევარებად ჩამოყალიბების საქმეში. ბევრ ჩვენთაგანს ახსოვს, რამდენი ღამე აქვს გატეხილი ბ-ნი რამინს ჩვენს მიერ დაწერილი ანგარიშების, მოხსენებების, სტატიებისა თუ დისერტაციების რედაქტირებაში. მის ხალხმრავალ ექსპედიციაში ყველა ახალგაზრდას ჰქონდა განსაზღვრული სამეცნიერო კვლევა-ძიების სფერო. ყველას ჰქონდა სანიმუშო ხელშეწყობა წარ-

მატებით ეკეთებინა თავის საქმე. დანარჩენი უკვე ახალგაზრდის ნიჭსა და მონდომებაზე იყო დამოკიდებული. ბ-ნი რამინის ხელმძღვანელობით დაცულია 10-მდე საკანდიდატო დისერტაცია. იყო რამდენიმე სადოქტორო დისერტაციის მეცნიერ-კონსულტანტი. თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სამხატვრო აკადემიაში წლების მანძილზე კითხულობდა ლექციების კურსს – „საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორია და ძეგლთა დაცვის საფუძვლები“. 1992 წ. ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანებულმა სამეცნიერო საბჭომ რამინ რამიშვილი აირჩია პროფესორის თანამდებობაზე.

1971 წ. ბ-ნი რამინი სათავეში ჩაუდგა ჟინვალის (შემდგომში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის) არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომლის მიზანს შეადგენდა ჟინვალის ნეკროპოლის დატბორვის ზონაში მოქცეული ძეგლების შესწავლა. ექსპედიციის სამეცნიერო ინტერესების სფერო თანდათან ფართოვდებოდა და მალე მან არა მარტო დატბორვის ზონა, არამედ მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი მოიცვა. ექსპედიციის ხელმძღვანელისა და წევრების თავდაუზოგავი შრომის შედეგად გაითხარა სხვადასხვა პერიოდის მრავალი არქეოლოგიური ძეგლი. გათხრების პარალელურად თითქმის სრულად იქნა აღწერილ-დაფიქსირებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მატერიალური კულტურის ძეგლები. მათ შორის მრავლად იყო მანამდე სრულიად უცნობი არქეოლოგიური თუ ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები. უამრავი სიძნელის მიუხედავად ექსპედიციამ ბ-ნი რამინის ხელმძღვანელობით მოახერხა და შედარებით მოკლე დროში წარმატებით დაავიწყებინა უზარმაზარი სამუშაოები, როგორც დატბორვის ზონაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბ-ნი რამინის მიერ დუშეთის რ-ნის სოფ. მილახვრიანთ კარში, ჭილაშვილების XVIII ს-ის იმჟამად ნახევრად დანგრეული, დამწვარი და გაპარტახებული სასახლის ნანგრევებზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზის შექმნა. ბ-ნი რამინის გარდა დიდხანს თითქმის არავის სჯეროდა, რომ ამ ნამოწყებიდან რამე გამოვიდოდა. ხანძრისაგან გადარჩენილ სასახლის ნაწილში, რომელიც ასევე სავალალოდ გამოიყურებოდა, განთავსებული იყო: სკოლა, კლუბი, მაღაზია, რამდენიმე

ოჯახი, „სოფტექნიკის“ დირექცია. სასახლის კარის ეკლესიაში კი ტრაქტორების სარემონტო სახელოსნო ფუნქციონირებდა. ბ-ნი რამინის თავდაუზოგავი მცდელობისა და მტკიცე ხასიათის წყალობით ყველაფერი მოგვარდა. ჭილაშვილების სასახლეში განთავსებულ დაწესებულებებსა თუ უსახლკარო ოჯახებს გამოეყოთ სათანადო ადგილები და შენობები. დანგრეულ-დამწვარ ბაზას კი ისევ ბ-ნი რამინის წყალობით პირვანდელი სახე დაუბრუნდა. 1975 წ. ბაზაში განთავსდა აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის (და არა მარტო ამ ექსპედიციის) მიერ მოპოვებული დიდძალი მასალა; გათხრების დოკუმენტაცია; არქივი; ბიბლიოთეკა; ფოტოლაბორატორია; სარესტავრაციო სახელოსნო; საკონფერენციო დარბაზი; ეთნოგრაფიული კოლექციების საცავი; სამუშაო ოთახები ექსპედიციის წევრთათვის თუ მასალების გასაცნობად ჩამოსული კოლეგებისათვის. ნლების მანძილზე ამავე ბაზაზე ტარდებოდა სამეცნიერო სესიები და კონფერენციები. სანიმუშოდ მოვლილი ბაზის ეზოში გადმოტანილ იქნა დატბორვის ზონაში აღმოჩენილი არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძეგლები. ბ-მა რამინმა ბაზაზე მოაწყო არქეოლოგიური გამოფენა, სადაც წარმოდგენილია ექსპედიციის მიერ მოპოვებული მნიშვნელოვანი მასალები. ხშირად ვყოფილვართ მომსწრენი რა საოცარი გატაცებით უყვებოდა ის ბაზაზე მოსულ სტუმრებს არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ. არ ჰქონდა მნიშვნელობა სტუმრები მოწიფული ადამიანები იყვნენ თუ სკოლის მოსწავლეები. ყველას დაუზარებლად უტარებდა ექსკურსიებს მისივე წყალობით ხელმეორედ აღორძინებულ ჭილაშვილების სასახლეში. ბ-ნი რამინის მცდელობით მილახვრიანთ კარის ბაზა იქცა სამეცნიერო ცენტრად, სადაც მომზადდა არაერთი საინტერესო ნაშრომი საქართველოს არქეოლოგიის სხვადასხვა პრობლემების შესახებ. უსაზღვროდ უყვარდა ბ-ნი რამინს ბაზაზე ყოფნა და მუშაობა. ბოლო ხანებში ჯანმრთელობის გაუარესების გამო ხშირად ვეღარ ახერხებდა იქ ასვლას, რასაც მტკივნეულად განიცდიდა. თუმცა, ბოლოს მაინც აისრულა სურვილი და ზაფხულის თვეები თავის უსაყვარლეს ადგილას გაატარა. თბილისში ჩამოსვლიდან სულ რამდენიმე დღეში, 30 აგვისტოს გარდაიცვალა.

ბ-ნი რამინს რამდენიმე გამოსაქვეყნებელი ნაშრომი დარჩა. მათ შორისაა მონოგრაფია – ბაზალეთის სამაროვანი, რომელიც

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დაასრულა. ამ მონოგრაფიის პუბლიკაცია, ქართული არქეოლოგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება.

ბუნებრივია, ამ მცირე წერილში სრულად ვერ წარმოვადგენდით ბ-ნი რამინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მნიშვნელოვან ეტაპს, მის უზარმაზარ დამსახურებას საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენისა და შესწავლის საქმეში. მისი დიდი სამეცნიერო მემკვიდრეობა მომავალში საგანგებო კვლევა-ძიების საგნად უნდა იქცეს.

დავით მინდორაშვილი

კახი წერეთელი

კახი წერეთელი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოს არქეოლოგიასა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლას, მათ ფიქსაციასა და პოპულარიზაციას მიუძღვნა.

კახი წერეთელი დაიბადა 1950 წლის 10 სექტემბერს ლანჩხუთის რაიონის სოფ. მამათში. დაამთავრა თბილისის მე-19 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის განყოფილებაზე, რომელიც წარმატებით დაასრულა 1973 წელს. იმავე წელს დაიწყო მუშაობა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში და მონაწილეობა მიიღო ჟინვალის კომპლექსურ არქეოლოგიურ ექსპედიციაში. მან ღირსეულად განვლო ყველა თანამდებობრივი საფეხური ლაბორანტობიდან უფროს მეცნიერ თანამშრომლობამდე. კახისთვის ჟინვალის ექსპედიცია გახდა სამეცნიერო მუშაობისა და ცხოვრების დიდი სკოლა, სადაც მას საშუალება მიეცა საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების რეალიზაციისა.

კახი წერეთელი წლების მანძილზე მონაწილეობდა არაგვის ხეობის დაზვერვით სამუშაოებში ივანე ნიკლაურთან ერთად, რომლებმაც სამასამდე ძეგლის – ეკლესია-მონასტრის ფიქსაცია და აზომვითი სამუშაოები ჩაატარეს. იგი იკვლევდა არაგვის ხეობის ხატ-ჯვრებს, შეისწავლა შვიდი ეკლესია, რომელთა ნანჩილი გათხრების დროს გამოვლენილი იქნა სოფ. ჟინვალში. ყურადღებას იქცევს მისი გამოკვლევები “ჟინვალისა და მისი შემოგარენის ხუროთმოძღვრება” და “ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნის ეკლესიები”, რომლებსაც დღეს “ჟინვალის ზღვა”, ჟინვალის წყალსაცავი ფარავს.

კახიმ მონაწილეობა მიიღო ჟინვალის, დმანისის, ნორბისის, თბილისის, შილდის, იყალთოს, ალავერდის და სხვ. არქეოლოგიურ ექსპედიციებში.

კახი წერეთლის სამეცნიერო მოღვაწეობა დაკავშირებული იყო ქრისტიანული არქეოლოგიის პრობლემატიკის კვლევასთან. მას გამოქვეყნებული აქვს 60-მდე

სამეცნიერო სტატია სხვადასხვა კრებულებსა და სამეცნიერო ჟურნალებში. 1999 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე “ისტორიული ფხოვისა და მისი მთისწინეთის განათხარი ქრისტიანული ძეგლები”.

კახი წერეთელი მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო კონფერენციებში. მას დიდი წვლილი მიუძღვის ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაციისა და კონსერვაციის საქმიანობაში. ამ მიზნით მას მოუხდა მუშაობა სოფ. ზემო ნიჩბისის წმ. გიორგის, სოფ. კაკაბეთის ღვთისმშობლის მიძინების, სოფ. ქციის შობის, სოფ. შილდის “ლომის საყდრის”, სოფ. იყალთოს, სოფ. შილდის “მამისაანთ საყდრის”, ალავერდის საკათედრო ტაძრის, დმანისის სიონის საკათედრო ტაძრის, მამკოდის ღვთისმშობლის, მარტყოფის ღვთაების ეკლესია-მონასტრების ტერიტორიებზე.

გამოსაცემად მომზადებულია მისი მონოგრაფიის „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის და მთისწინეთის ქრისტიანული არქეოლოგიური ძეგლები“, რომლის გამოცემა ნაადრევმა სიკვდილმა არ დააცალა.

კახი წერეთელი გამოირჩეოდა დიდი ერუდიციით, ებრალოებით, კეთილგანწყობით, კომუნიკაბელურობით და ვინც იცნობდა და ურთიერთობა ჰქონია მასთან, არასდროს დაივიწყებენ მას.

ვერა ჩიხლაძე

ოლეგ ბენდუქიძე

2013 წლის 9 სექტემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი პალეონტოლოგი ოლეგ ბენდუქიძე.

ო. ბენდუქიძე დაიბადა 1939 წლის 24 ოქტომბერს ქ. თბილისში. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტში. ოლეგ ბენდუქიძის სამეცნიერო ხელმძღვანელი გახდა ცნობილი მკვლევარი ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ახალგაზრდა მეცნიერის ცხოვრებაში.


ო. ბენდუქიძეს ფართო სამეცნიერო ინტერესები ჰქონდა და აქტიურად მონაწილეობდა გეოლოგიურ, არქეოლოგიურ და პალეონტოლოგიურ ექსპედიციებში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში, ყაზახეთსა და ირანში.

მოკრძალებული და თავმდაბალი ოლეგ ბენდუქიძე დიდ ენთუზიაზმითა და გატაცებით მონაწილეობდა არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობაში. სავსე მონაპოვრების სამეცნიერო ანალიზისა და მიგნებების დიდი ნაწილი საინტერესო იყო და ორიგინალობით გამოირჩეოდა.

ოლეგ ბენდუქიძემ დიდხანს და წარმატებით იმუშავა თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვრებზე და რამდენიმე საინტერესო სტატიაც გამოაქვეყნა.

თავისი საქმის დიდი ენთუზიასტი, კარგი პოეტიც იყო. იგი ლექსებს საჯაროდაც კითხულობდა და ხშირად გამოდიოდა სკოლის მოსწავლეების წინაშე.

ბატონი ოლეგი აგრეთვე გატაცებით წერდა პოპულარულ სტატიებს საქართველოს არქეოლოგიის შესახებ. მას იზიდავდა ყოველივე ამოუხსნელი მეცნიერებაში. გატაცებით კამათობდა ინდოევროპელების განსახლების პრობლემაზე, მტკვარ-არაქსელების, თუ თრიალეთელების გენეტიკურ წარმომავლობაზე, ცდილობდა დაედგინა, თუ რა ჯიშის ცხოველი იყო გამოსახული ამა თუ იმ უძველეს არტეფაქტზე. არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული



ცხოველების ძვლების შესწავლისას ყოველთვის ცდილობდა აღედგინა არქაული საზოგადოების ბიოგეოგრაფია.

ბატონი ოლეგი უაღრესად განათლებული, მოაზროვნე და ფართო ჰორიზონტის მქონე პიროვნება იყო. მასთან საუბარი ყოველთვის საინტერესოდ მიმდინარეობდა. ხშირად ისე ხდებოდა, რომ რამდენიმე წუთით მოსული, რამდენიმე საათს რჩებოდა ხოლმე ჩვენთან. აინტერესებდა ისტორია, ხელოვნება, უძველესი ცივილიზაციები და ხალხები.

საკითხთა უმეტესობაზე საკუთარი, ხშირად უკვე დამკვიდრებული მოსაზრებებისაგან რადიკალირად განსხვავებული აზრი ჰქონდა.

ოლეგ ბენდუქიძე გამორჩეული პიროვნება იყო და, როგორც ჩანს, მისი აზროვნების თავისებურება წინაპრებიდან მოდიოდა. დედამისის დიდი ბებია ცნობილი მედიუმი და თეოსოფიური სკოლის შემქმნელი ელენე ბლავატსკაია იყო. ალბათ სწორედ ცნობილი დიდი ბებულის მჩქეფარე ენერგია, ენთუზიაზმი, სულიერი სიმტკიცე, სამყაროს აგებულების შეცნობის სურვილი და ძველი ცივილიზაციების ისტორიის სიყვარული გამოჰყვა ბატონ ოლეგს.

ბატონი ოლეგი სიკვდილამდე ცოცხა ხნით ადრე ვნახეთ, ის ექსპედიციაში წასვლას გეგმავდა. ავადმყოფობაზე სიტყვაც არ დასცდენია. ახალგაზრდული შემართება სიცოცხლის ბოლომდე ჰქონდა და ვერ წარმოედგინა, რომ მას საყვარელი საქმის კეთებაში რამე შეუშლიდა ხელს. მისი გარდაცვალება მისი მეგობრებისთვის და კოლეგებისთვის სრულიად მოულოდნელი იყო.

ელენე ბლავატსკაია წერდა: „მდგომარეობა, რომელსაც ადამიანი სიკვდილის შემდეგ მიიღებს, შეესაბამება იმას, რისიც მას სწამს და რასაც ელის“. ოლეგ ბენდუქიძეს სიკეთის და სიყვარულის სწამდა.

ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

**ნინო შანშაშვილი
გოდერძი ნარიმანიშვილი**

ცისანა ჩიკოიძე



ცისანა ჩიკოიძე იმ შესანიშნავ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებმაც თავისი საქმიანობა საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების კვლევას, შესწავლას მიუძღვნეს.

ცისანა არქეოლოგიას პირველად 1957 წელს ეზიარა, როცა სტუდენტთა ჯგუფთან ერთად მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას როგორც პრაქტიკანტი ეწვია.

1960 წელს იგი უკვე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების მკვლევართა ჯგუფშია, რომელსაც ცნობილი არქეოლოგი გიორგი ლომთათიძე ჩაუდგა სათავეში. მათ მიერ მრავალი საინტერესო სამუშაო იქნა ჩატარებული.

არ არსებობდა ისეთი საველე სამუშაო, რომელშიც საჭიროების შემთხვევაში ცისანა არ ყოფილიყო ჩაბმული.

თავდაპირველად მისი მოღვაწეობის ასპარეზად კახეთის რეგიონი იქცა. აქ მან შეისწავლა ადრე გათხრილი ძეგლებიდან მომდინარე მასალა, დაურთო ახალი მონაპოვრები, რომელიც მისი საკვალიფიკაციო ნაშრომის სახით იყო წარმოდგენილი. ამას მოყვა ქ. თელავის ძეგლებისადმი მიძღვნილი შესანიშნავი მონოგრაფია - „თელავი“.

1977 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა რუსთავის

არქეოლოგიურ ექსპედიციას, სადაც საქმის ცოდნასთან ერთად გამოამჟღავნა ორგანიზატორული ნიჭი. მან შექმნა საქმიანობით ერთმანეთთან დაკავშირებული თანამშრომელთა კოლექტივი. მათი მოღვაწეობის შედეგები ყოველწლიურად აისახებოდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის საველე კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილ კრებულებში, კონფერენციებში; აგრეთვე, რუსთავის ექსპედიციის მიერ გამოცემულ სამ კრებულში. რუსთავის ექსპედიცია მჭიდრო კავშირში იყო რუსთავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმთან და ერთობლივ ღონისძიებებსაც ატარებდნენ.

ცისანა დაუკავშირდა ქალაქ რუსთავის ხელმძღვანელობასაც და ინტელიგენციასაც, ჩააბა ისინი საერთო სამეცნიერო საქმიანობაში.

ცისანა მუდამ გარშემორტყმული იყო მეგობრებით, ამხანაგებით, კოლეგებით, რომელთათვისაც დახმარებას და რჩევებს უხვად გასცემდა.

ცისანა იყო სამაგალითო შვილი, კარგი დედა და ბებია. ყველა იმ წარმატებებში, რომელიც წილად ხვდა მის შთამომავლობას, ცისანას წვლილიც ურევია.

ცისანამ პირნათლად შეასრულა ყოველივე, რაც მას როგორც მეცნიერს, მოქალაქეს, ადამიანს ევალებოდა.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მინა.

შემოკლებათა განმარტება

ABBREVIATIONS

აკ - არქეოლოგიური კრებული

გსმ – გორის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი.

დმმნ – დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი.

დსმ – დუშეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი.

ენიკის მოამბე – აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, თბილისი.

თამბ – თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი, თბილისი

თსუ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კაეშ – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, თბილისი.

კაკ - კავკასიის არქეოლოგიური კრებული, თბილისი.

მაცნე – ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.

მსკა – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისთვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.

მსკი – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი.

მსმ – მცხეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი.

საკძ – საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წწ. მოკლე ანგარიშები. თბილისი.

სემ – საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

სემმ – საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, თბილისი.

სემხმ – საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი.

სმამ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბილისი.

სსმაე – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

სსმმ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბილისი.

სსხმნ – საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები, თბილისი

სხ – საბჭოთა ხელოვნება, თბილისი.

ფსაძ – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბილისი.

ქაკ – ქრისტიანული არქეოლოგიის კონფერენცია.

ქც – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

ძიებანი – ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში. ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.

ძმ – ძეგლის მეგობარი.

АЭФК – Археология, этнология, фольклористика Кавказа.

ИГАИМК – Известия Государственной академии истории материальной культуры.

ИКОИМАО – Известия кавказского отделения Императорского Московского археологического общества.

КСИА - Краткие сообщения института археологии. Москва.

МАК – Материалы по археологии Кавказа, Москва.

МИА – Материалы и исследования по Археологии СССР. Институт археологии АН СССР. Москва.

ПАИ - Полевые археологические исследования. Центр археологических исследований. Тбилиси.

СА – Советская археология. Институт археологии АН СССР. Москва.

САНГ – Сообщения академии наук Грузии, Тбилиси.

СЭ – Советская этнография. Институт этнографии АН СССР. Москва.

ТАИЯЛИ – Труды Абхазского института языка, литературы и истории. Сухуми

AJA – American Journal of Archaeology.

AE – *Arhaologie in Eurasian, Berlin.*

AS – Anatolian studies. Journal of the British Institute of Archaeology at Ankara.

ESA – *Eurasia Septentrionalis Antiqua, Helsinki.*

MAVA – Materialien zur Allgemeinen und Vergleichenden Arhaeologie, Muenchen.

ავტორთა საყურადღებოდ

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ჟურნალში „ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში“ დაიბეჭდება მუზეუმის თანამშრომელთა სამეცნიერო ხასიათის სტატიები და ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიშები, რომლებშიც ასახული იქნება ჩატარებული კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები. ამდენად, გაგრძელებული იქნება რუსულენოვან PAИ-ის ტომებში და 2004 წელს დაბეჭდილ „საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში“ დამკვიდრებული ტრადიცია. მოკლე ანგარიშის შედგენისას გასათვალისწინებელია ინსტრუქცია, რომელიც ინახება არქეოლოგიის ცენტრში.

ჟურნალში გათვალისწინებულია შემდეგი რუბრიკები: სტატიები, არქეოლოგიის თეორია, არქეოლოგიის ისტორია, კრიტიკა, ქრონიკა და სხვ.

რედაქცია იღებს სტატიებს 16 გვერდამდე. გვერდების ამ მოცულობაში შედის: სტატია 10-12 გვერდამდე, ლიტერატურის სია, საილუსტრაციო მასალა, გრაფიკული ტაბულების და ფოტოების აღწერილობა. რედაქციას უნდა ჩაბარდეს სტატიების ელექტრონული ვერსიები და მათი ამონაბეჭდები.

გვერდის ზომა – A4; შრიფტი – LitNusx, შრიფტის ზომა – 12, ერთი ინტერვალით.

დამონბეჭდილი ლიტერატურის მითითების წესი:

მითითება ხდება ტექსტში კვადრატულ ფრჩხილებში [კვირკველია 1985: 119, სურ. 5, ტაბ; I₆].

ლიტერატურის სია დალაგებული უნდა იყოს ანბანის რიგით, ჯერ ქართული, შემდეგ რუსული და შემდეგ ევროპული შრიფტით; თუ აუცილებელია, სხვა შრიფტებზე წარმოდგენილი ლიტერატურის დასახელება (მაგ. ბერძნული, არაბული და ა.შ. შრიფტით), ის სიას ერთვის ბოლოში.

ავტორის გვარი, ინიციალები, გამოცემის წელი, სახელწოდება, გამოცემის ადგილი:

ლორთქიფანიძე ოთ. 2002: ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

პერიოდული გამოცემის ან კრებულის მითითებისას მათი სახელწოდება უნდა გამოიყოს დეფისით. აუცილებელია გვერდების სრული მითითება:

Lordkipanidze, O. 2001: The Akhlagori Hoard (An attempt at dating and historical interpretation). – Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, 33, 143-190.

კრებულების მითითების შემთხვევაში აუცილებელია კრებულის რედაქტორის მითითება:

ლორთქიფანიძე ო., გიგოლაშვილი ე., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა. 1981: ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან (ტიპოლოგია, დათარიღება, კატალოგი) (ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), ვანი V). თბილისი.

ან: **ჯალაბაძე მ. 2003:** ჭურჭლის ერთი ტიპის შესახებ ბერიკლდეების ნამოსახლარიდან. – ბ. მა-ისურაძე, ნ. ახვლედიანი (რედ.), კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები (ძიებანი, დამატებანი, X), 45-47. თბილისი.

PAИ-ის მითითებისას დასაცავია შემდეგი წესი:

Рамишвили Р. и др. 1980: Археологические исследования в Арагвском ущелье. – PAИ, 1977, 169-187.

თუ ერთსა და იმავე ავტორს ერთ წელიწადში ორი ან მეტი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, ისინი უნდა დალაგდეს სათაურების ანბანური რიგის მიხედვით და დაინომროს ლათინური ასოებით:

Шелов Д. Б. 1956a: Керамические клейма из раскопок Фанагории. – МИА, 57, 128-154

Шелов Д. Б. 1956b: Монетное дело Боспора VII-II вв. до н.э. Москва.

ცალკე გვერდზე უნდა იყოს წარმოდგენილი გამოყენებულ შემოკლებათა განმარტების სია.

მოთხოვნები ილუსტრაციული მასალის მიმართ:

ფოტოების ელექტრონული ვერსია, მაღალი ხარისხის, არანაკლებ 300 რეზოლუციის, მკვეთრი გამოსახულებით.

გრაფიკული ტაბულები კომპიუტერულად შესრულებული, tiff ფორმატში, არანაკლებ 600 რეზოლუციის. ილუსტრაციულ მასალას თან უნდა ახლდეს სურათებისა და ტაბულების აღწერა.

თუ დაცული არ იქნება ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები, რედაქცია სტატიას არ განიხილავს.

რედაქციას აქვს უფლება გადასცეს სტატია სარეცენზიოდ.

სტატია უნდა ჩაბარდეს რედაქციის მდივანს მ. ჩარკვიანს.

